# ფურცლები წარსულიდან

კრებული

თელ-ავივი

2000

# ბაბოვების ოჯახი

ავტორი და შემდგენელი
**პოლინა ბაბოვი**

ჟ-ნ მერის,
ჟ-ნ ნათელას,
ბ-ნ ზერას,
ჟ-ნ როზეტს!

გმადლობთ...

თქვენი

პოლინა

პოლინა ბაბაზოვი

# მამისეული სახლი

# წინასიტყვის მაგიერ

ჩემი მოგონებანი არ წარმოადგენს გარკვეული სიუჟეტის თანმიმდევრულ თხრობას, ერთ მთლიან ტილოს.

წინამდებარე ნაწერებში მოცემული მაქვს ცალკეული ეპიზოდები მამისეული ოჯახის ცხოვრებიდან. იმავე დროს მოვიხსენიებ ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებს და მათთან დაკავშირებულ მოვლენებს. შევეცადე ობიექტურად წარმომესახა სურათები. აქედან გამომდინარე არ ვიძლევი წარსულის გაანალიზებას. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი რამ გამომრჩა ან ვერ შევძელი ყველაფრის გამოთქმა. ჩემი ცხოვრების მსვლელობამ მიმიყვანა იმ საჭიროებამდე, რომ ქაღალდისათვის გამენდო მეხსიერებაში ჩარჩენილი მოვლენები. პირველყოვლისა – ჩემი უფროსი დის ფანის გარდაცვალების შემდეგ მე ვიგრძენი ვაკუუმი ცხოვრებაში. მელანქოლიაში ჩავარდნას რომ გავქცეოდი, ნელ-ნელა ვიწყე წერა.

მამისეული სახლი – რაბი დავიდ ბააზოვის ნაშენი ოჯახი, რომელიც ოდესღაც არსებობდა, მე მიმაჩნია, რომ ფანის გარდაცვალების შემდეგ იგი მოიშალა თავის საძირკველში; გაქრა, წავიდა მთელი თავისი დამახასიათებელი მენტალობით. განგებამ შექმნა და მანვე ამოშალა ცხოვრებიდან. დავიდ ბააზოვის ოჯახი, რომელიც თავის დროს დუღდა და იფრქვეოდა ცეცხლის ენებად, იღწვოდა ეროვნული აღმაფრენით, ქმნიდა, იჩაგრებოდა, მაგრამ მაინც არსებობდა. და იგი არსებობდა გონიერი არსებით და აზროვნებით. დღეს ეს ოჯახი ფიზიკურად აღარ არის – გარდასულია მარადისობაში. მარადიულია მისგან დარჩენილი სული ძლიერი.

ვნახოთ, რას იტყვის მომავალი თაობა. დაველოდოთ მის სიტყვასა და ქმედობას.

ჩემს პირად ცხოვრებაში არ მაკლდა მეგობრები და არც მტრები. ბევრი სიხარული მხვდა წილად, და უფრო მეტი კი სიმწრის დღეები.

დედამ პურიტანულად აღმზარდა, რამაც თავისებური დაღი დაასვა ჩემი შეგნებული ცხოვრების ჩამოყალიბებას. არასდროს გამირჩევია ამხანაგები მათი ქონებრივი სხვაობის მიხედვით. რატომღაც ისე დამკვიდრდა ჩემს ცხოვრებაში, რომ ის, რაც ეპატიებოდა სხვებს, არ მეპატიებოდა მე...

ყველაფერი წარმავალია ამ ქვეყნად და არაფერი არ არის ახალი მზის ქვეშ.

אין חדש תחת השמש.

# ბელორუსული სურათები

ხუთი წლის თუ ვიქნებოდი, როდესაც მე და დედა ბელორუსიიდან თბილისში დავბრუნდით. იმ დროს ქ. მინსკის მახლობლად დაბა უზდაში დედის მშობლები და ქმარშვილიანი დები – ნეხამა და ხასია ცხოვრობდნენ.

თითქოს ჩრდილოეთის სუსხი თან წამოგვყვაო, ისე ვიყავი გახვეული და ჩაფუთნული თეთრ ქურქში. ჩამომსვეს თბილისის რკინიგზის ბაქანზე. უმალ ხელში ამიტაცა ჩემი ჩამოსვლით გახარებულმა თვალებბრჭყვიალა უფროსმა დამ – ფანიმ.

–აბა ჩქარა, ტიტინავ, მიამბე, რა ნახე. როგორები არიან ბებია და ბაბუა და... –სულმოუთქმელად მაყრიდა კითხვებს ფანი.

–ბაბუა სულ თორას კითხულობდა, თავზე ხელს მადებდა და მლოცავდა.

–კიდევ... კიდევ?

–ბებიას ბოსტანში დავყავდი. მწვანე ხახვს მაწყვეტინებდა... ბოსტნის

რასელ ბააზოვის მშობლები -ფრიდა და მოშე რასკინები,
უფროსი და ნესამა ქმარ-შვილით, უმცროსი და ხასია

იქით აღარ მიშვებდნენ... ტყე იწყებოდა. ტყის პირას მგლის ხაფანგები იყო დაგებული. შორიდან საზღვარი მოჩანდა.

—კიდევ... კიდევ? —ფანის სურს სულ მისმინოს და მისმინოს.

—დედას ერთ ქალთან დავყავდი რუსული ენის სასწავლებლად...

—და მგონია, მაინც ვერ ისწავლე... —შენიშნავს ენაკვიმატი მეირი.

—ჰმ... ის ქალი ძალიან მაღალი იყო... და თვალები კატისებრი ჰქონდა.

—და შენც გეშინოდა, არა?! —დამცინავად მეკითხება მეირი.

—ხო, მეშინოდა.

—და ამიტომაც ვერ ისწავლე რუსული... —არ მეშვებოდა თავისი ჩვეული გამოჯავრებით მეირი.

სადგურიდან შინისკენ ეტლით წამოვედით. მაშინ ეტლს თბილისში ფაეტონს ეძახდნენ. გზაში მე ენას არ ვაჩერებდი. მეტადრე ფანის მოფერებით გათამამებული შეუჩერებლივ ვტიტინებდი.

—იქით, შორს გზის გადაღმა ვაგონები იდგნენ. შიგ ჭრელთავსაფრიანი, ლოყებ-წითელა, მსხვილ-მსხვილი გოგოები ისხდნენ. ძალიან ხმამაღლა, საათობით მღეროდნენ. მინსკში ადამიანები ხმამაღლა ლაპარაკობენ, ტრამვაის ხმა ძლივს ისმის... მინსკიდან უზდამდე ურმით ვიმგზავრეთ. გზაში უმი კვერცხები ვყლაპეთ.

ფანი ჩემს თავს არავის უთმობდა, სულ მიხუტებდა, თითქოს ეშინოდა არავის წაერთმია მთელი ზაფხულის უნახავი და მონატრებული პატარა დაიკო. მისგან განებივრებულმა დავიხარე და ყურში ჩავჩურჩულე:

—მე ერთ რამეს გეტყვი და არავის უთხრა. მარტო შენ გენდობი. იქ ჩემთან სათამაშოდ ერთი გოგო მოდიოდა ხოლმე. რივკელეს ეძახდნენ. ხოლო ის რივკელე სულ მუდამ ჩასველებული იყო.

—ხა, ხა, ხა! —წასკდა ფანის ხმამაღალი სიცილი. —აი, ესეც შენი ბელორუსული შთაბეჭდილებანი! —ისე ეცინებოდა ფანის, რომ თმებიც კი ჩამოეშალა და მიმავალი ეტლის რყევისაგან ყორნის ფრთებივით უფრიალებდნენ.

—ეს პატარა, მგონია, იქაურ საიდუმლოებას სულ დაგვიფქვავს, —ულვაშებში ჩაცინვით დასძინა დედის გვერდით მჯდომმა მამაჩემმა. —აბა, ჩვენც გვითხარი, ჩვენც გაგვაცინეო, —მიმართა ფანის.

—აარა! —წელში გასწორდა და მეტად სერიოზული ტონით განაცხადა ფანიმ, —არა! ეს საიდუმლოება მარტო მე გამანდო და არავითარ შემთხვევაში არავის გეტყვითო.

ვიგრძენი, რომ სისულელე ვიბრიტინე. შემელახა ბავშვური თავმოყვარეობა. უკვე სახლში მისვლისას შევეცადე უფრო გააზრებული მეთქვა რაიმე.

სახლში საზეიმო ვითარება სუფევდა. სადილობისას, როცა მთელი ოჯახი მაგიდას გარს ვუსხედით, სურდათ თუ არა უფროსებს, მე მაინც ენას არ ვაჩერებდი.

—თქვენ არ იცით იქ როგორი მაღალი ხეებია. მთავარი გზის გადაღმაც

სულ ტყეები იყო. იქ მე და დედა ხშირად დავდიოდით სასეირნოდ. ტყეში ფიჭვის სუნია. ხეებს ვერ მიეკარები, წებოვანია. დედას იმ ტყეში მივყავდი ხოლმე, სადაც ის „ზანდარმებს“ ემალებოდა.

—ზანდარმებს კი არა, ჟანდარმებს, —გამისწორა მეირმა.

ეს ამბავი ჩემთვის, როცა წამოვიზარდე უფრო ნათელი გახდა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, როცა რუსეთის იმპერიაში რევოლუციური სუსხი ბობოქრობდა და სოციალიზმის იდეები მოდად იქცა, ბელორუსიის პატარა დაბა უზდის მკვიდრნიც ამ მოვლენებისაგან გვერდზე არ დარჩენილან. დედის გადმოცემით, ჩვენი ბაბუა მოშე რასკინი, შთამომავლობით ქონენი, მეტად ღმერთის მოშიში ებრაელი ყოფილა. მას თავის მფლობელობაში მიწის კარგა დიდი ნაკვეთი ჰქონია. როცა ხმა დაირხა ქონებრივ უთანასწორობაზე, მიწის ჩამორთმევაზე და რევოლუციის მიერ წამოყენებულ სხვადასხვა მოთხოვნებზე, ჩვენს ბაბუას — მოშე რასკინს ბევრი აღარ დაუყოვნებია და ნებაყოფლობით თავისი კუთვნილი მიწა საზოგადოებრივ კუთვნილებაში გადაუცია.



Р.Д.

Товша Раскинъ — съ супругою

Мнахимъ Базовъ — съ супругою

почтутъ за величайшее удовольствіе видѣть Васъ въ числѣ своихъ гостей на бракосочетаніи

дочери ихъ — Рахили

сына ихъ — Давида

съ господиномъ — Давидомъ Б[illegible]

съ дѣвицею — Рахилей Раскинъ.

имѣющее быть въ Пятницу 30 Мая (17 Сивона) 1903 г. въ м. У[illegible] Минской губ.

Вѣнчаніе въ 9 час. вечера.

Для телеграммъ: м. У[illegible] Раскин, Базов

Вит. [illegible]

რახელ რასკინისა და დავით ბააზოვის ქორწინების მოსაწვევი ბარათი

1898 წელს, მარტის თვეში ქ. მინსკში შედგა რსდმპ-ს პირველი ყრილობა. რევოლუციონერ მესვეურთა გარდა ყრილობას ესწრებოდა რევოლუციურ პათოსს აყოლილი დაბა უზდის ახალგაზრდობაც და, მათ შორის, ჩვენი მომავალი მშობელი დედა რახელიც.

—ჩვენ მოგვაგნეს მეფის ჟანდარმებმა, —იგონებდა დედა, —ვისაც მისწვდნენ, დაიჭირეს. მაგრამ ბევრმა გაქცევით უშველა თავს. მეც ჩემს ამხანაგ გოგოებთან ერთად გავიქეცი და სამ დღეს ტყეში ვიმალებოდით. მე იმ ყრილობაზე არ მინახავს ლენინი და არც სტალინი, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს ფილიპე მახარაძეო.

დავიდ ბააზოვი და რახელ რასკინი.
ქორწინების სურათი

•

ჩვენი დედა რახელის იმდროინდელი, მოდური გატაცება რევოლუციით ხანმოკლე აღმოჩნდა. მისი რევოლუციონერობა დამთავრებულა მაშინ, როცა 16 წლის ასაკში შეხვედრია ჩვენს მომავალ მშობელ მამას — დავითს. როგორც ცნობილია, იმ ხანად დ. ბააზოვი სლუცკისა და ვილნოს იეშიბოთებში სწავლობდა. დაქორწინების შემდეგ ჩვენი მომავალი მშობლები საქართველოსკენ წამოსულან და ბინა რაჭის მთებში, ონში დაუდვიათ. მას შემდეგ დედა ოჯახის თავდადებული ბურჯი და მამის იდეების გამზიარებელი იყო თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის. დედა ყოველთვის მხარში ედგა მამას. ყველა იმ ადგილებიდან, სადაც მამისეულ ოჯახს მოუხდა ცხოვრება, დედას ყველაზე მეტად რაჭა უყვარდა. რაჭას ის შეესისხლხორცა და მშობლიურ კუთხედ მიიჩნევდა. უყვარდა მისი ხალხი და ისიც უყვარდათ იქ.

მაგრამ დედა არ ივიწყებდა თავის ბავშვობის ამხანაგებსაც. დღესაც არის დაცული ჩვენს საოჯახო ალბომში ორი მანდილოსნის ფოტოსურათი. მახსოვს, როცა დედა ამ სურათებს დახედავდა, სახე მოეღრუბლებოდა, ღრმად ამოიოხრებდა და თვალზე ცრემლი ადგებოდა. ერთს ეძახდა ზილფას, მეორეს გენიას. ზილფა რევოლუციური მოღვაწეობისათვის მტრის ტყვიას გაუგმირავს ბელორუსიაში, ხოლო გენია, ესეც რევოლუციური მოღვაწეობისათვის, პოლონეთის სახრჩობელებზე დაღუპულა.

●

გამიჭირდება გადმოვცე საგვარეულო ნუსხის სრული სურათი. მაგრამ მაინც ვიტყვი რამდენიმე სიტყვას მათ შესახებ, ვისი ფოტოსურათებიც სათუთად შემონახულია ჩვენს საოჯახო ალბომში.

ჩემს დიდიდედას (დედა რახელის ბებიას) – ბათ-შევას უცხოვრია ქ. ლოძში. მისი ფოტოსურათიდან იყურება წარმოსადეგი, თუმცა მსუქანი აღნაგობის სანდომიანი სახის მანდილოსანი. მისი ჩაცმულობა მეტყველებს, რომ იგი მიეკუთვნებოდა ქალაქურ ებრაულ ელიტას. ჩვენი ბაბუა მოშეს გარდა მას ჰყოლია კიდევ ერთი ვაჟიშვილი – სალომონი. ეს უკანასკნელი ომში დაკარგულა. დიდიდედას მოსვლია ოფიციალური უწყება შვილის დაღუპვის გამო. ცოტა ხნის გავლის შემდეგ შვილზედ მგლოვიარე დედას ახალეს,

რახელ რასკინის ბავშვობის ამხანაგები

ენია - დაიღუპა სახრჩობელაზე ზილფა - განგმირულ იქნა ტყვიით

აგერ შენი შვილი ცოცხალი მოდის სახლისკენო. ამ უცაბედმა სიხარულმა და ემოციამ გამოიწვია ის, რომ დიდიდედა ბათ-შევას იქვე გული გასკდომია და გარდაიცვალა. ამ ამბავს ხშირად იგონებდა ჩვენი დედა რახელი. განსაკუთრებით ამაზე აეკვიატა ფიქრი 1938 წელს გერცელის დაკარგვასთან დაკავშირებით.

გვახსოვს ყველას:

„თუ ჩემი გერცელი ცოცხალი გამოჩნდა, უცაბედად არ მახალოთო, მინდა მისი ყურებით ცოტა ხანს დავტკბეო."

ჩვენი მშობელი დედის, რახელის მშობლები და დები – ნეხამა და ხასია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცხოვრობდნენ მინსკის მახლობელ დაბა უზდაში. ჩვენს დედას კიდევ ჰყავდა თავის მომდევნო და-ძმა – ჰირში და

რახელის ბებია ბათ-შევა

• რახელის და-ძმა: ჰირში და ხენია •

რასელის უმცროსი და სასია

ყოველგვარი კავშირიო.

და მართლაც, შემდგომში, იმ ტრაგედიის შემდეგ, რომელიც ჩვენი მამის სახლს დაატყდა თავზე, ვიღას ახსოვდა შორეთში მყოფი ბიძა და დეიდა. ასე და ამგვარად, იმ დროიდან მოყოლებული გადაიკარგა ჩვენთვის მათი გზა-კვალი.

ამერიკის
მკვიდრი
რასკინების
ოჯახიდან

გენია. ამ უკანასკნელებს, სამოქალაქო ომის დროს, მიუტოვებიათ თავისი მკვიდრი ადგილები და გაჰყოლიან იმ ებრაელებს, რომლებმაც ახალი და უკეთესი ცხოვრების იმედით მიაღწიეს ამერიკას. დედას და-ძმა — ჰირში და გენია დასახლებულან ფლორიდაში. 1934 წლამდე დედას და შორეთში მყოფ და-ძმას შორის ყოფილა მიწერ-მოწერა. მაგრამ იმის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილეში ჩამოწვა ავის მომასწავებელი შავი ღრუბლები, ჩვენს დედას მიუწერია ფლორიდაში მცხოვრებ და-ძმისათვის: შვილების უსაფრთხოებისათვის მირჩევნია შეწყვიტოთ ჩემთან

# ჩვენი საოჯახო ფოტოსურათი

ფანის მიერ შედგენილ წიგნს „დავიდ-გერცელ ბააზოვები“ 73-ე გვერდზე დართული აქვს საოჯახო ფოტოსურათი. ამ ფოტოზე (იხ. შემდეგ გვერდზე). გამოსახულია ჩვენი ოჯახის წევრები 20-იან წლებში. ოჯახის წევრთა გადასაღებად განლაგება სულაც არ იყო ფოტოგრაფის ჩანაფიქრის შედეგი, არამედ ეს გამომდინარეობდა სინამდვილიდან, ე.ი. ყოველთვის – ოჯახის თავშეყრილობის დროს – ყოველი წევრი იკავებდა თავის ადგილს ისე, როგორც ეს სურათზეა გამოსახული. განსაკუთრებით, თუ საქმე ეხებოდა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას ან გადაწყვეტას.

გერცელი მუდამ განუწყვეტლივ კავშირში იყო მამისეულ ოჯახთან. იგი მეტად გულშემატკივარი და გულისხმიერი იყო. ყოველთვის მხარში ედგა მამას ოჯახის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში. განსაკუთრებულად ყურადღებით გვექცეოდა დედას და მე. მაგრამ იგი, როგორც უფროსი ვაჟიშვილი, უკვე ემზადებოდა დამოუკიდებელი ოჯახის შექმნისათვის და აგრეთვე სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის. ამ მიზნით გერცელმა ჩვენი სახლის შორიახლოს იქირავა პატარა ოთახი. ეს იყო მარტოხელა ადამიანისათვის საყოფი ბინა; არქივის შესახვევში (დღეს – საიათნოვას ქუჩა). მიყვარდა უფროს ძმასთან მისვლა, რამეთუ უკან დაბრუნებისას მის სადარბაზოში კი არ ჩავდიოდი წესიერად, არამედ ვჯდებოდი კიბის სამაჯურზე და მაღლიდან დაბლა ჩავსრიალდებოდი ხოლმე.

იმდენად, რამდენადაც გერცელი თავის შემოქმედებით მუშაობაში ჭეშმარიტების ძიებაში იმყოფებოდა, არ შეეძლო გვერდი აეხვია იმდროინდელი სინამდვილის მოვლენებისათვის. ის აკვირდებოდა და აღიქვამდა პროცესებს, რომელიც საბჭოური კრიტერიუმით ვითარდებოდა. ჰქონდა მას სხვა გამოსავალი? ადვილია დღეს, დღევანდელი თვალსაზრისით, რეტროაქტივით კაცი გააკრიტიკო იმისათვის, რასაც მაშინ ადამიანი ვერ გაექცეოდა. და თუ გაექცეოდა, როგორ და საით?! ვინ გამოვიდა ასეთი გმირი?! გაგვცენ პასუხი დღევანდელმა კრიტიკოსებმა. ვა, რომ ვერც მაშინდელმა სინამდვილის აღი-

---

სურათზე – ოჯახი 1929 წელს.

მარცხნიდან მარჯვნივ: გერცელი, ფანი, მამა, მეირი, ხაიმი, ჰოლინა, დედა

არებამ, თავდადებამ და ერთგულებამაც ბევრს მაინც ვერ უშველა. მაინც დაიღუპნენ.

გერცელს ჰქონდა ჩვეულებად, როგორც კი რაიმე შემოქმედებით შრომას დაამთავრებდა, ეს იყო პოემა, ლექსი, თხრობა თუ პიესა, თავდაპირველად უნდა გაეცნო თავისი მამისათვის და შემდეგ ოჯახის ყოველი დანარჩენი წევრისათვის. –გერცელი მოდის! –ითქმოდა და ყველამ იცოდა, რომ გერცელი წამოვიდა, რათა მამას განსახილველად წარუდგინოს ახლადდამთავრებული თავისი ნაწარმოები. ოჯახი იკრიბებოდა მთლიანობაში და ყველამ იცოდა თავისი ადგილი, სად უნდა დამჯდარიყო ან დამდგარიყო ფეხზე, ისევე, როგორც ეს ცნობილ საოჯახო ფოტოსურათზეა გამოსახული. მამა და გერცელი სხედან მრგვალ მაგიდასთან. მათგან ხელმარჯვნივ ზის დედა და მე მის კალთაზე ვარ მოკალათებული. ჩვენი უფროსი ძმები ხაიმი და მეირი დგანან ჩვენს უკან. რაც შეეხება ფანის, ის დგას მამას და გერცელს შორის უკან, ნაზად ხელი დაუდვია გერცელისათვის, თითქოს თავისი თბილი გამოხედვით თავიდანვე ცდილობს ნაწარმოების განხილვა წარმართოს მშვიდობიან ფორმაში. გამოგიტყდებით გულახდილად, რომ მე ჩქარა მბეზრდება ჩვენი ოჯახის ასეთი სერიოზული თავშეყრილობა. ჩემი სამყარო იყო გარეთ, ეზოში, ბავშვებთან. ამიტომ, როგორც კი ნაწარმოების კითხვა დაიწყებოდა, ყველას ყურადღება დაძაბული იყო და მე ვსარგებლობდი ამ სიტუაციით, ჩამოვცურდებოდი დედის კალთიდან და ვიპარებოდი გარეთ. მაგრამ მაინც მაინტერესებდა რა ხდებოდა შიგ, იმ ოთახში, რომელიც მივატოვე. ამიტომ ოდნავ მიხურული კარიდან ხშირად ვიჭვრიტებოდი, მსურდა გავრკვეულიყავი თუ რა ხდებოდა ოთახში. უფრო უკეთესად გავერკვიე მაშინ, როცა წამოვიზარდე. მამას და გერცელს შორის იმართებოდა კამათი. ფანი, როგორც კარგი არბიტრი, ცდილობდა ორივეს შეთანხმებას. მაგრამ ჩუმი მეირი მოულოდნელად მიატოვებდა თავის ადგილსამყოფელს, გამოვიდოდა წინ, მტკიცე ნაბიჯით წარდგებოდა გერცელის წინ და მარჯვენა ხელის მაღლა აწევით უმტკიცებდა რაღაცას თავის უფროს ძმას. გერცელი მას შეჰყურებდა, არ ეკამათებოდა; პირიქით, კიდეც უღიმოდა. მას უყვარდა თავისი უმცროსი ძმა, პრინციპული, პირდაპირი. არ ვიცი გერცელი მას ეთანხმებოდა თუ არა, მაგრამ სწორედ ასეთი ძმა უყვარდა.

# იერუსალიმის შესახვევი

იერუსალიმის შესახვევი იწყებოდა № 4-ით და გამოდიოდა ლესელიძის ქუჩაზე (ადრე ეს ქუჩა ცნობილი იყო სომხის ბაზრის სახელწოდებით). თავად იერუსალიმის შესახვევი სულ თორმეტი ნომრისგან შედგებოდა და მჭიდროდ დასახლებულ აღმართს წარმოადგენდა. ჩვენს მხარეს, ე. ი. მარცხნივ, დასაწყისიდანვე სულ ბოლომდე ცხოვრობდნენ მეტწილად ახალციხიდან გადმოსული ებრაელები და ე. წ. „ლახლუხები". ჩვენს მოპირდაპირე მხარეს — მარჯვნივ — ბინადრობდნენ ერთი აშქენაზის ოჯახი და მთელი რიგი სახლ-კარის სომეხი მეპატრონე თავისი მსახურებით. გასაბჭოების შემდეგ სომეხი მეპატრონე გაქცეულა, ხოლო მისმა მსახურებმა, რომლებიც ადგილზე დარჩნენ, ქუჩების მხვეტავებად იწყეს მუშაობა. მათ ყველა „დვორნიკს" ეძახდა. ყოფილი მეპატრონის სახლ-კარი თავისი დიდი ეზოთი დიდხანს შეუვალ სიმაგრეს წარმოადგენდა, რამეთუ ეზოს მასიური, მოწითალო რკინის ჭიშკარი იშ-ვიათად იღებოდა.

შეძლებულნი ქვითკირით ნაშენ ორსართულიან სახლებში, მეტწილად, მეორე სართულზე ცხოვრობდნენ. მათ საქმიანობას შეადგენდა ოქროთი აღებ-მიცემობა ან ძვირფასი ქსოვილით ვაჭრობა. ფართლეულით უმთავრესად ვაჭრობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გამოსული ებრაელები — „ლახლ-უხები". ღარიბი და ხელმოკლე ებრაელობა ბინადრობდა დაბლა, ნახევარს-არდაფის ოთახებში. მათი ბინების ქუჩის პირა მხარეს ფანჯარა ნახევარზე მოსჩანდა ან სულაც არ ჰქონდა ჩატანებული. გასასვლელი მხოლოდ ეზოში ჰქონდათ. დაბლა სართულზე მცხოვრებნი მეტწილად მეწვრილმანეობას ეწეოდნენ; ყიდნენ ხაჭაპურს, მწნილს, ახალციხიდან ჩამოტანილ ძეხვს, ბატის შაშხს, კუპატებს. იყვნენ ისეთნიც, რომლებიც თავიანთ სახლებშიც ყიდდნენ ქაშერ ხორცს. სამწუხაროდ, ასეთი გამყიდველნი ყოველთვის საშიშროების ქვეშ იყვნენ. თუ მილიცია მიაგნებდა, ხორცს ჩამოართმევდა, ფულად ჯარი-მასაც ახდევინებდა. განმეორებით შემთხვევაში, აპატიმრებდნენ კიდეც. მაგრამ, ვინაიდან მათ სხვა საარსებო საშუალება არ გააჩნდათ, ისევ ძველ, სარისკო საქმიანობას აგრძელებდნენ. მათ შორის მცირე ნაწილი ხელოსნებიც იყვნენ. შეხვდებოდით ფეხსაცმლის შემკეთებლებს, მეშუშეებს და სხვ. იყვნენ მე-დოლეები, მეგარმონეები: ამათ იწვევდენ ქორწილებში, ნათვლაზე და სხვა

დღესასწაულებში. სანამ ჩვენი ოჯახი აღნიშნულ შესახვევში ცხოვრობდა, სურათი თითქმის ერთი და იგივე იყო – იერუსალიმის შესახვევის ბინადარნი ძველი ყაიდით განაგრძობდნენ ცხოვრებას. ყველას გვარი და სახელი როდი მახსოვს. მაგრამ ვისაც გავიხსენებ, აქვე მოგახსენებთ; ესენი იყვნენ: ჯანაშვილები, ცოცოლაშვილები, კაცობაშვილები, ბაღდადლიშვილები, ქოენიშვილები, ბახანოვები, კენჭოშვილები, რაგიმოვები, მორდეხოვები, აბათ-



ბაასოვების ბინა იერუსალიმის შესახვევში (ქვედა სართულზე)
პირველი - მარცხენა ფანჯარა დედ-მამის საძინებელი ოთახისა. ეს ოთახი 1924 წელს – დღისით გამოყენებული იყო ვაზეთ „მაკავეელის“ რედაქციისათვის

ხარნოვები, აჯამელაშვილები, აგაჯანოვები, ბათუაშვილები, ისრაელოვები და სხვა, მაგრამ ბევრ მათგანს ხალხი უფრო შეკვეცილი ან შერქმეული სახელებით იცნობდა, ასე მაგალითად: –ჭენკე, გოზალოთი, ბოკალიათი, ბაჯოთი, რაგიმოანთი, კაცობა, შალელოთი, ქოენიანთი, კოჭობა და სხვა.

იერუსალიმის შესახვევში
ფეხი დამისხლტდა მე შუა გზაზე,
პირქვე დავეცი მოლიპულ ქვაზე,
სისხლიც ვანთხიე იქ ქვაფენილზე.

მდიდარ ვაჭართა ქუჩის ბოლოდან
თარის ქვითინი ყურს მიყრუებდა,
ზედ ჭიანურიც მწარედ კვნესოდა,
აზარტიც იქვე ფეხს იკიდებდა.

ო, როცა სული ითხოვდა შველას,
იმ დროს მომესმა მაღლით გალობა,
სალოცავიდან ისმოდა „შახრით“
და ღმერთს ვუხადე დიდი მადლობა.

# საშინაო სურათები

ჩვენს ბინას ორი გასასვლელი ჰქონდა: ერთის მხრიდან, სადარბაზოს კარიდან გავყავდით იერუსალიმის შესახვევში; ჩვენი სადარბაზო საკმაოდ ფართო და ლაღი იყო, ამიტომ იგი ჩვენი მამა დავითის მიერ გამოყენებული იყო ბიბლიოთეკად. მის წიგნთსაცავში უმთავრესად სულ ივრითის ენაზე იყო წიგნები: თორები, ფილოსოფია, ისტორია, მსოფლიოში გამოჩენილ მწერალთა მხატვრული შემოქმედებანიც – ტოლსტოი, ოსტროვსკი, რომენ როლანი და სხვანი. თავისუფალ დროს მამა ჩაჯდებოდა იქვე მომზადებულ სავარძელში, გამოაღებდა სადარბაზო კარს – ჰაერის და სინათლის ნაკლებობის გამო, და



ეზო ლესელიძის ქუჩის მხრიდან
(მეხსიერებით აღდგენილი ჩანასატი ჰოლინა ბაასოვისა)

შეეძლო საათობით ეკითხა. სადარბაზოს ერთ მხარეს შევყავდით ჩვენი ბებია სიფორას პატარა ოთახში. მოპირდაპირე მხარეს მოთავსებული იყო ჩვენი სასადილო ოთახი, რომელიც სასტუმროდაც იყო გამოყენებული. სასადილო ოთახის გვერდით იმყოფებოდა ჩვენი დედ-მამის პატარა საძინებელი ოთახი. (გათვითცნობიერებულ მკითხველს კარგად ეცოდინება, რომ 1924 წელს დავით ბააზოვის, ნათან ელიაშვილის და გერცელ ბააზოვის მიერ გამოცემული იქნა – სულ სამჯერ – გაზეთი „მაქაბი", და სწორედ ამ გაზეთის რედაქციისათვის გამოყენებული იქნა ეს ოთახი).

ჩვენი ბინა ქუჩისპირა ფანჯრებით იყურებოდა იერუსალიმის შესახვევში, ხოლო ბინას მეორე მხარეს ეკრა შუშაბანდი და გადიოდა ეზოში მაგისტრალური ქუჩის (რომელსაც დღეს ლესელიძის ქუჩა ეწოდება) პირას.

სასადილო ოთახში გვედგა მუსიკალური ინსტრუმენტი – პიანინო. ფანიმ მუსიკის შესასწავლად მიმიყვანა საბავშვო კომპოზიტორ ქალთან თამარა შავერზაშვილთან, რომელიც ჩვენგან საკმაოდ შორს ცხოვრობდა – ვაკისკენ, ვარდისუბნის ქუჩაზე. მე, იმ დროს, როცა მუსიკის გაკვეთილებს ვამზადებდი, ხანდისხან ყურადღებას ვაქცევდი იმ ფოტოსურათებს, რომლებიც ჩვენი სასადილო ოთახის კედლებზე ეკიდა. და სწორედ აქ მინდა შევჩერდე ერთ მეტად მნიშვნელოვან ფოტოსურათზე, რომელიც იმ კედელზე ეკიდა, სადაც პიანინო იდგა. ეს იყო ადამიანთა დიდი ჯგუფის სურათი, მაშინაც საკმაოდ ძველი. და რამდენჯერმე ფანიმ მიმითითა იმ სურათზე გამოსახულ, სულ დაბლა მჯდომთა შორის, ერთ ახალგაზრდაზე, რომ ეს ჩვენი მამა არისო, ე.ი. შემდგომში ჩვენი მამა დავითი. იქვე ყურადღებას იპყრობდა ცენტრში მჯდომი ლამაზი პირისახის შავწვეროსანი, რომელიც, როგორც ამიხსნეს, იყო თეოდორ ჰერცლი. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მეტად მნიშვნელოვანი, დოკუმენტალური სურათი ჩვენი ოჯახის ავბედობის დროს – 1938 წელს გამოიკარგა.

ჩემი პატარაობისას, მე კარგად მახსოვს, როდესაც გერცელი შეკრებდა ყველა და-ძმას და გვამღერებდა ძველებრაულ ენაზე შემდეგ სიმღერებს: „ჰათიკვა", „ხედერ კატან", „შამ შუყალიმ" და სხვ. გარდა ებრაული სიმღერებისა თვითეულმა ჩვენგანმა ადგილობრივი სიმღერებიც შევითვისეთ. ყველაზე მეტად ჩვენს დედას – იდიშური სიმღერების გარდა – უყვარდა ქართული ფოლკლორული სიმღერებიც. ხაიმს, რატომღაც ისევ რაჭული სიმღერების გახსენება უყვარდა. მე მხოლოდ მისგან გამიგონია:

> რაჭას წასვლა მირჩევნია,
> დალიე, დალიე,
> მილიონის ქონებასა,
> დალიე, დალიე."

ან კიდევ

ჩემო ნათლის დედაო,
ცოტა მეჩქარებაო,
ხაჭაპურიც გამომიცხე,
ეველიც გეშოვნებაო.

ჩემი უფროსი და-ძმანი არასდროს მინახავს უსაქმოდ გარეთ გასულნი. თვითოეულ მათგანს მიზანდასახული ცხოვრება ჰქონდა. ფანი ხომ — ეს იყო ოჯახში სიბრძნის განსახიერება. ხელში ან წიგნი ეჭირა, ან ხელსაქმე. ყველაზე მეტად სახლ-კარის მოვლა-დასუფთავებით იყო დაკავებული. ისე არ დაჯდებოდა, სანამ ყველაფერს სრულ წესრიგში არ მოიყვანდა. მე, მისგან განსხვავებით, ეზო მიზიდავდა. იქ მეგულებოდა ბავშვები, რომლებთანაც ვთამაშობდი. ამიტომაც იყო, რომ ეზოში მოსმენილ ქუჩურ სიმღერებს ვითვისებდი, შემქონდა სახლში და ვაბრახუნებდი ინსტრუმენტზე, რა თქმა უნდა, თუ სახლში ჩემი და-ძმანი არ იყვნენ, ვინაიდან ისინი მიშლიდნენ სმენით დაკვრას. ფანის სურდა, რომ მე მომემზადებინა მუსიკის გაკვეთილები. მაგრამ როდესაც მათ გავიგულებდი სახლიდან წასულებს, მე ისევ ვუბრუნდებოდი ჩემს სტიქიას. და ერთხელ მომისმინა მეირმა, როცა ვუკრავდი და ვამღერებდი:

მე ვარ ფაცანა, ბუნების შვილი,
არ მაქვს სახლი, არ მაქვს კარი,
არც თუ ლოგინი...
ჯან, ჯან, ფაცან-ჯან...
ჯან, ჯან..
არ მაქვს სახლი,
არ მაქვს კარი,
არ თუ ლოგინი...

—აი შენ, მართლა ფაცან! აი, შენ ვინ ყოფილხარ! არ ვიცოდი, რომ მე პატარა დაიკო ფაცანა მყოლიაო, —ასეთი იყო მეირის რეაგირება. მეირი თავის მხრივ ცდილობდა, რომ შეეყვარებინა ჩემთვის წიგნის კითხვა. ამ მიზნით მას მოჰქონდა ჩემთვის საკითხავად საინტერესო, საცნობისმოყვარე წიგნები. ასე, მაგალითად, ვინმე გამოჩენილი მოგზაურის შესახებ, ან ჟიულ ვერნის სათავგადასავლო წიგნები და სხვ. ეს მეირის დამსახურება იყო. ასეთმა აღზრდამ შემდგომში თავისი შედეგიც გამოიღო, რითაც გამოვირჩეოდი (მხოლოდ შვიდწლედის ფარგლებში) ჩემს თანაკლასელებს შორის.

ფანი ჩვენს ოჯახში გამოირჩეოდა ბრწყინვალე გონიერებით. დედ-მამას ყოველთვის მხარში ედგა, ეხმარებოდა, ხოლო და-ძმანზეც საკმაოდ მზრუნველობდა. ყოველთვის მაოცებდა მასში ის, რომ რაჭაში დაბადებულსა და გაზრდილს იმთავითვე დაჰყვა მიდრეკილება კლასიკურისადმი. ის ჩემსავით არასდროს აჰყოლია ქუჩაში მოსმენილ სიმღერებს, კილო-კავს და

ჩვევებს. ჩვენ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ადრევე ვეზიარეთ საოპერო მუსიკას. სულ პირველად მან ხელი მომკიდა და წამიყვანა დღისით საბავშვო ბალეტებზე – „კუზიანი კვიცი“ და „წითელქუდა“ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. მას შემდეგ ჩვენ, უფრო სწორედ, დედა, ფანია და მე ხშირ მსმენელებად ვიქეცით ამ თეატრის. მოგვიანებით გერცელი ზრუნავდა და წლის დასაწყისშივე მე და დედას შეგვიძენდა წლიურ აბონემენტს. ჩვენი ადგილები თეატრში იყო ამფითეატრის წინა რიგები. ფანიც ხშირად გვიერთდებოდა, როცა მისთვის სასურველი ოპერა იყო. ყველაზე მეტად უყვარდა ჩაიკოვსკის, ვერდის და ბიზეს ოპერები. მისთვის ყველაზე მაღლა „ევგენი ონეგინი“ იდგა. ტატიანა „ევგენი ონეგინიდან“ ფანის თავის განსახიერებად მიაჩნდა.

ჩვენს დედა რახელს უფრო პუჩინის „ტოსკა“ უყვარდა, აგრეთვე „ტრუბადური“. საერთოდ დედას უფრო იზიდავდა ტრაგიკული ხასიათის ოპერა და ის ტიროდა ხოლმე. ყველაზე მეტად ის განიცდიდა და მწარედ ტიროდა, როდესაც – ჩემს ადრეულ ბავშვობაში – მიდიოდა ოპერა „რახილკა ჟიდოვკა“ ანუ „კარდინალის ქალიშვილი“, რომელშიც კარდინალი კოცონზე სწვავს საკუთარ ქალიშვილს და არ იცის, რომ ეს თავისი შვილია. რატომღაც იგი ისე მწარედ განიცდიდა ამ ოპერის სიუჟეტს, რომ წარმოიდგენდა თავისთავს, რამეთუ ის რახილი მისი სეხნია იყო. მაგრამ მთელი ოჯახი დატყვევებული და დიდი გრძნობით უსმენდა ოპერა „სამსონ და დალილას“.

სცენა „დაისის“ I მოქმედებიდან

ეს ალბათ ეროვნული გრძნობით აიხსნება. სამსონი ხომ იგივე ჩვენი ბიბლიური შიმშონ ჰაგიბორი იყო. სამწუხაროდ, „ჟიდოვკა“ და „სამსონ და დალილა“ მალე თბილისის ოპერაში აღარ იდგმებოდა – შეიძლება ძალების უქონლობის გამო და შეიძლება იმიტომაც, რომ ხელისუფლებას არ სურდა არავითარი ოპერა ებრაულ თემაზე.

რაც შეეხება ქართულ ოპერა „დაისს“, აქ უკვე მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენი მამა დავითიც დიდი თაყვანისმცემელი იყო. ჩვენი დედ-მამა სპეციალურად „დაისის“ მოსასმენად დაიარებოდნენ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერაში. მაგრამ მამას „აბესალომ და ეთერი“ უფრო მოსწონდა. ყველასგან გამორჩევით, ჩვენ დედა რახელს მხიარული ოპერა „ქეთო და კოტეც“ ძალიან უყვარდა. როდესაც სახლში ჩემი და-ძმანი არ იყვნენ, მაშინ დედა მთხოვდა პიანინოზე სმენით დამეკრა და მემღერა არიები „დაისიდან“. განსაკუთრებით აღტაცებაში მოდიოდა კინტოების დუეტით ოპერიდან „ქეთო და კოტე“:

ძმებო, ამხანაგებო,
ყველას იმას გთხოვთ
ნუ ჩამდებთ კუბოშია,
ჩამდეთ ტიკჭორაშია...
ჯან, ჯან...

და ა.შ. და ეს სიტყვები ძალიან ამხიარულებდა ხოლმე.

◆◆◆

მე მსურს დავუბრუნდე ისევ ჩვენს მამისეულ ბინას, ვინაიდან მაქვს რაღაც მოსაგონებელი. ამგვარად მე ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი დედ-მამის საძინებელი ოთახი დღისით გამოყენებული იყო გაზეთ „მაკავეელის“ რედაქციისათვის. აღნიშნულ გაზეთში მამის, გერცელის და ნათან ელიაშვილის გარდა მონაწილეობდნენ მიშა კაკიტელაშვილი, მიხაკო თავდიდიშვილი, გერშონ მეგრელიშვილი (ფსევდონიმებით „ხმა პროვინციიდან“ და „მეგობარი“) და სხვ. ერთხელ ერთი აქტიური მონაწილე ამხანაგი გაექცა სარედაქციო კოლეგიას. ხდება ასეთი სხვაგანაც. ამის შესახებ ფანი მომიყვა არა ერთხელ. მაშინ ფანი იქნებოდა დაახლოებით თორმეტი წლის. როდესაც სარედაქციო კოლეგია მუშაობდა, კარი მიხურული ჰქონდა, რათა სახლიდან რაიმე ხმაურს მათთვის არ შეეშალა ხელი.

„მე ვიჯექი აგიზგიზებულ რკინის ღუმელთან, ჩვენს სასადილო ოთახში, –იგონებდა ფანი, –ავიღე თეფში და მსურდა უკვე მომზადებული ლობიო დამესხა ჩემთვის. მოულოდნელად საძინებელი ოთახის კარი გაიღო და გამოვარდა იქიდან სახეაწითლებული, პალტოს საყელო აეწია, და გაემართა გასასვლელი კარისკენ მ.კ-ლი. მას უკან გამოჰყვა ნათან ელიაშვილი და მიაძახა: „–რა, მიდიხარ ჩვენგან, თორემ ახლა მეც უკან დაგედევნებიო!“

შებრუნდა ისევ იმ პატარა ოთახში, კარი არ მიიხურა. დავინახე გერცელი განაწყენებული სახით, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი. ნათანი წინ და უკან დადიოდა ბოლთის ცემით. უცებ შეჩერდა ჩემს წინ, დამავლო მაჯაში ხელი, შემიყვანა იმ ოთახში და წარმადგინა გერცელთან: „აი, ჩვენ გვეყოლება ახალი თანამშრომელიო!“ ამ სიტყვების შემდეგ მომიბრუნდა მე და თითქმის ბრძანების კილოთი მომმართა: „ახლავე დაჯექი და დაგვიწერე ლექსები გაზეთისთვისო!“ აი, ასე გაჩნდა ჩემი ორი ლექსი გაზეთ „მაკავეელში“: „ფურიმი“ და „იმედი“, რომელსაც მივაწერე მარტო სახელი „ფანია“, გვარის გარეშე.“

# სცენისმოყვარეთა ცხოვრება

მე მაშინ ისე პატარა ვიყავ, რომ მიჭირს დავადგინო რამდენი წლის ვიქნებოდი, როცამ დედამ მკლავზე აყვანილი ერთ ჩაბნელებულ ნახევრადღია დარბაზში მიმიყვანა. იქ ხალხი გარინდული იჯდა და სადღაც შორისკენ იყურებოდა, საიდანაც განათებული ადგილი მოჩანდა. დედამ შესასვლელთან ახლოს, თავისუფალ სკამზე ჩამომსვა და ჩამჩურჩულა: „სუ, ჩუმად იყავ! ნუ ლაპარაკობ! აი, შენც იქით უნდა გაიხედო!“ მოვკუმე პირი და თვალებდაჭყეტით გავიხედე იქით, საითაც დედამ მიმითითა.

განათებულ ადგილას დავინახე ადამიანები. მათ შორის შევიცანი ჩემი ძმა მეირი. შუაგულს, შემაღლებულ სკამზე ჩამომჯდარიყო მორდეხ დანიელოვი, მეირის უახლოესი ამხანაგი. ამ უკანასკნელს ეცვა უცნაური გრძელი სამოსი. აბრიალებდა შავ თვალებს. და უცებ მის ხელში გაიელვა რაღაც გრძელმა და პრიალა საგანმა, მოუქნია მეირს და მეირი მის ფერხთით დაეცა.

–ვაიმე, მეირ! მეირ!!! –ვიკივლე საშინლად შეშინებულმა და ავღრიალდი. დედამ მკლავზე ამიტაცა და გარეთ გამიყვანა. მამშვიდებდა დედა:

–სუ, ნუ სტირი, ნუ გეშინია... მართალი არ გეგონოს! ისინი სცენაზე ასე თამაშობენ. აი, ნახავ, ცოტა ხნის მერე მეირი სახლში მოვა... –მე მაშინ ჩავჩუმდი. მაგრამ შეუცნობადი ყოფილა ადამიანის ფსიქიკა. ის შიში, რომელიც მაშინ განვიცადე ციცქნა ბავშვმა, იდუმლად და სამუდამოდ მიმალულა გრძნობათა კუნჭულებში. ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ასე მგონია, რომ გულის ლაბირინთებში კიდევ მკაწრავს.

როცა წამოვიზარდე, ზემოაღნიშნული სურათი ჩემთვის ნათელი გახდა. მორდეხ დანიელოვი, მეირი (ჩემი მესამე ძმა), მოტკე მამისთვალოვი, ცები დათიკაშვილი, ცები კანზაველი, იოსებ ქურჩიშვილი და სხვები თამაშობდნენ სცენაზე. სპექტაკლი, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ, ასახიერებდა ებრაელთა ცხოვრებას ისტორიულ ასპექტში. მორდეხი ასრულებდა ანტიოქიოსის როლს, ხოლო მეირი იონათან ხაშმონაელს, იეჰუდა მაქაბის ძმას. წარმოდგენა ნაჩვენები იყო იქ, სადაც თბილისელთათვის საღამო ჟამს საყვარელი სასეირნო ადგილი იყო. ეს გახლდათ ყოფილი სათავადაზნაურო ქართული კლუბი. იგი მოთავსებული იყო საზაფხულო ღია ბაღში, რომელსაც შემდეგში ეწოდა „ქართული კლუბი“. დღეს მის ქუჩისპირა ნაწილში,

თავისუფლების მოედანთან ახლოს, გაშენებულია ქალაქის მეტროპოლიტენის მთავარი სადგური.

„ქართულ კლუბში“ დედაჩემს ხშირად დავყავდი. იქ იმართებოდა ქართული სიმღერების კონცერტი. კარგად მახსოვს სახალხო მომღერლის ლადო კავსაძის მიერ შესრულებული ქართული სიმღერები. დედას ის ძალიან მოსწონდა. დედა თავადაც კარგად მღეროდა და საერთოდ ხალხური მუსიკის მოყვარული იყო. მოსწონდა კავსაძის მიერ შესრულებული „თხამ შეჭამა ვენახი“. (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ისრაელში ყოფნის დროს ძველ ებრაულ ფოლკლორულ სიმღერებს შორის მე მოვისმინე აღნიშნული სიმღერის მელოდია). დარბაზი ყოველთვის სავსე იყო ლადო კავსაძის თაყვანისმცემლებით და ბილეთები ძნელად საშოვნელი. მაგრამ ჩვენთვის გერცელი ზრუნავდა და ადრევე მოგვამარაგებდა ხოლმე ბილეთებით. ამ კლუბში იმართებოდა კლასიკური სპექტაკლებიც, რომლებზეც მარტო ფანის დავყავდი. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, როდესაც ერთ საზაფხულო სეზონში ვნახეთ გამოჩენილი სომეხი მსახიობის ოვანეს ფაფაზიანის მონაწილეობით შექსპირის პიესა „ოტელო“ – ის ოტელოს თამაშობდა და ალექსანდრე დიუმას „კინი“. აქაც მთავარ, კინის როლს ასრულებდა. ფანი აღტაცებაში მოდიოდა ფაფაზიანის თამაშით. მეც მომწონდა, უფრო სწორად, ვიწონებდი, რამეთუ მოსწონდა ფანის; და რაც ფანის მოსწონდა, ცუდიც რომ ყოფილიყო, ჩემთვის არ არსებობდა მეორე აზრი.

იმ პერიოდში მორდეხი ჩვენი ოჯახის განუყრელი მეგობარი იყო, მეირის თანაკლასელი თორისა და გემარის დაუფლებაში. მ. დანიელოვს მეირი ნამდვილი ძმური სიყვარულით უყვარდა. შემდგომ პერიოდში ცხოვრებისეულმა ვითარებამ ისინი ერთმანეთს გარიყა. მაგრამ ერთმანეთისაგან შორს მყოფნიც ერთი მეორეს არ ივიწყებდა და გულში სითბოს ინახავდა. მორდეხი თავის სამძიმრის წერილში, რომელიც მე გამომიგზავნა ფანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, იგონებს იმ წარსული დღეების შესახებ:

„... მე მამიშენის სახლში მეირთან ერთად ვსწავლობდით გემარას. ფანია ჩვენ თავს დაგვტრიალებდა. ეს პატარა გოგონა ხან წყალს მოგვიტანდა, ხან ჩაის და ხილს. ყველაფერი აღდგა ჩემს თვალწინ, მისი ბავშვობა, მისი ზრდა. გამახსენდა ყველა ის მოვლენები და მისი მოღვაწეობა, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებდა. ჩემი და მეირის მეცადინეობისას, მხოლოდ საჭირო შემთხვევაში, ფეხაკრეფით შემოვიდოდა და გავიდოდა მეორე ოთახში. ხშირად დაინახავდი წიგნებით ხელში. კითხვა აინტერესებდა. ამ ყურცქვიტა გოგონას, ნაზი შეხედულებისას და გამგონეს, ქუჩაში გასულს იშვიათად ნახავდით.“

მორდეხი ხშირად იგონებდა ყმაწვილობის პერიოდში მეირთან ერთად გატარებული წლების შესახებ. მე გავიხსენებ მისგან მოსმენილ ერთ საინტერესო ეპიზოდს.

„ჩვენ, 102-ე სკოლის მოსწავლენი, –მოგვითხრობს მორდეხ დანიელოვი, –ვამზადებდით სპექტაკლს. გვქონდა დანიშნული გენერალური რეპეტიცია. გერცელი სადღაც საქმეზე იყო წასული. მას, როგორც სპექტაკლის ხელმძღვანელს, ცვლიდა მ. კ-ლი. რეპეტიციის მსვლელობის დროს მე, როლის მიხედვით, სკამზე უნდა დავმჯდარიყავი. მაგრამ ზურგსუკან მყოფმა ერთმა მონაწილემ ხუმრობით სკამი გამომაცალა. მე მთელი სიგრძით იატაკზე გავიშხლართე. ატყდა საერთო სიცილი. მეც ავყევი ყველას. ვხარხარებდი იატაკზე გაშხლართული. მაგრამ ეს ონავრობა ძვირად დაგვიჯდა. ჩვენი საქმისადმი ასეთი არასერიოზული დამოკიდებულებით განრისხდა მ. კ-ლი. მოგვიახლოვდა და ჯერ კიდევ იატაკზე მყოფს მთელი ხუთი თითით სახეში სილა გამაწნა. თითქოს ცეცხლი მომეკიდაო. წამოვვარდი შეურაცხყოფილი. წამსვე გავვარდი გარეთ და შურდულივით მოვკურცხლე სახლისაკენ, რომელიც აზიზბეკოვის ასახვევში იმყოფებოდა. სპექტაკლის მონაწილენი – უკლებლივ ყველა, მეირის ჩათვლით, მე გამომყვა. „გაფიცულებმა“ თავი მოვიყარეთ ჩვენი ბინის ქუჩისპირა აივანზე. სპექტაკლზე მუშაობის დასაბრუნებლად, მოსალაპარაკებლად ჩვენთან მოდიოდა 102-ე სკოლის დირექტორი, ნეტარხსენებული ეფიმ ისაიჩი, კოკიელოვი. ეს ტანმორჩილი კაცი, ნაყვავილევი სახით და ოქროს პენსნით ცხვირზე, გაჩერდებოდა ჩვენი სახლის ქუჩისპირა აივნის წინ და თვალცრემლიანი გვევედრებოდა, რათა დავბრუნებულიყავით რეპეტიციაზე. ხანდისხან პატარა მუშტებს მოიღერებდა და გვემუქრებოდა შემდეგი სიტყვებით:

–რას სჩადიხართ, რას, თქვე ძაღლის ლეკვებო! გინდათ ყელი გამოგვჭრათ? თქვე... აი, მერე ნახავთ, რას გიზამთ! მერე მე მიყურეთ!.. –მუშტს მუშტზე არტყამდა და ამოგვძახებდა: –აი, ასე გაგზუზამთ! (ე.ი. გაგჟუჟამთო).

ეფიმ ისაიჩ კოკიელოვს განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული, ამიტომ რუსულ ენას უფრო კარგად ფლობდა, ვიდრე ქართულს. სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. სკოლის გარეშე, კერძოდ თავის ბინაზე, ის რუსული ენის გაკვეთილებსაც აძლევდა. გარდა ამისა ეფიმ ისაიჩი მსურველებს ამზადებდა კალიგრაფიის გამოსწორებაში. ხშირად შეხვდებოდით საქართველოს რუსულენოვან გაზეთ «Заря Востока» -ში მის განცხადებებს:«Научу писать красиво.» ერთხელ მეც ვიყავ მისი მოწაფე. მე, მართლაც, რომ საშინლად ცუდი ხელწერა მქონდა. „შენი დაწერილი ორიანის კუდი, –მეტყოდა ხოლმე ნეტარხსენებული, –ბატის ფეხებს ჰგავსო.“

„ჩვენ მტკიცედ ვიცავდით ჩვენს პრინციპებს, –იგონებდა მორდეხი, –და არ მივდიოდით დათმობაზე. მე მოვითხოვდი, რათა ჩემს შეურაცხმყოფელს ჩემთვის ბოდიში მოეხადა. სიტუაცია მართლაც კრიტიკული იყო. მოხდებოდა სკანდალი: სპექტაკლის პრემიერა დანიშნული იყო, ბილეთები – წინასწარ გაყიდული. მოწვეულნი იყვნენ მაღალი საზოგადოების პირნი და მათ შორის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე. ამასობაში დაბრუნდა

გერცელიც. როცა შეიტყო აღნიშნული ინციდენტის შესახებ, ის მეტად დაღონდა. ახლა მან იწყო ჩვენთან სიარული. ვერ გასჭრა ვერც მისმა ხვეწნა-მუდარამ. გერცელი ყველას გვიყვარდა, მაგრამ ვიყავით ჯიუტნი და გაუტეხავნი. თითოეული გაფიცული ამხანაგი კვლავ მე მიჭერდა მხარს, და მათ შორის მეირიც, გერცელის მესამე, უმცროსი ძმა. ყველას ჩემსას ეძინა, ვინ სად და როგორც თავსდებოდა. ზოგიერთ ამხანაგს პირდაპირ იატაკზე ეძინა. და ყველას დედაჩემი აპურებდა. გერცელი ჩუმად გადაგვხედავდა, გადმოგვხედავდა და ბოლოს მზერას თავის უმცროს ძმაზე, მეირზე შეაჩერებდა:

—მეირ, შენც? —ეკითხება გერცელი მეირს.

—ხო, მეც! მეც მათთან ვარ ბოლომდის! —ამაყად და მტკიცედ მიუგებდა მეირი. (გერცელს ხომ სწორედ ასეთი, თავისი პრინციპების დამცველი ძმა უყვარდა).

—და ბოლოს, ჩვენი ინციდენტი, —მოგვითხრო მორდეხმა, —იმით დამთავრდა, რომ ისევ გერცელმა შეგვარიგა. დავბრუნდით რეპეტიციაზე. გამოვიჩინეთ მეტი მონდომება და სპექტაკლი დიდი წარმატებით განხორციელდა.

ჩაიწერე

მორდეხ დანიელოვის

მონაყოლიდან

# პირველი ზარი

კარგად მახსოვს ჩემი პირველი წასვლა სკოლაში. დედამ ხელი მომკიდა და მიმიყვანა თბილისის 102-ე ებრაელთა შვიდწლიან შრომის სკოლაში.

ჩვენი სკოლა იტალიური სტილით აგებულ ორსართულიან შენობაში იყო მოთავსებული. აღნიშნული სახლი ადრე ერთი მდიდარი სომხის საკუთრებას წარმოადგენდა. რამდენად მართალია არ ვიცი, მაგრამ ამბობდნენ, რომ მეპატრონეს გამოყენებული ჰქონია საროსკიპო სახლად. რევოლუციის დროს ეს მეპატრონე გაქცეულა. 1921 წლიდან საბჭოთა ხელისუფლებას ებრაელთა სკოლად გადაუკეთებია. ჩემსობას ძველი ბინადრებიდან შემორჩენილი იყვნენ სკოლის დამლაგებელი ქალი, რომელსაც „ოსკი ტოტას“ (რუსული სიტყვა тётя-დან დამახინჯებულად გადმოკეთებული) ვეძახდით, და მისი ვაჟი არტაშა – სკოლის დარაჯი. ეს შენობა დღესაც არსებობს კაშენის ქუჩაზე, მაგრამ გადაკეთებულია საცხოვრებელ ბინად. ზემოაღნიშნული შვიდწლიანი სკოლა, გადაკეთებული 30-იანი წლების დასასრულს ათწლედად, გადავიდა ლესელიძის ქუჩაზე.

შვიდწლიან ებრაელთა შრომის სკოლაში ჩემს მისვლამდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა გერცელი. იგი იყო სასწავლო ნაწილის გამგე და ძველი ებრაული ენისა (მაშინ ასე ეძახდნენ ივრითულ ენას) და ლიტერატურის მასწავლებელი. როცა ჩემი მესამე ძმა – მეირი – გამოსაშვებ მეშვიდე კლასს ასრულებდა. მეირთან ერთად სწავლობდნენ მოტკე მამისთვალოვი (შემდეგში ასპირანტი, ლიტერატორი), ცები დათიკაშვილი (შემდგომ პერიოდში იმავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი), სონია ბაღდადლიშვილი, მორდეხ დანიელოვი (შემდგომში თბილისის რკინიგზის ინჟინერი), იოსკა მანაშეროვი (შემდგომში მათემატიკის მასწავლებელი ცხინვალში) და სხვ.

როცა მე ფეხი შევდგი სკოლაში, ჩემი ძმები იმ სკოლიდან კარგა ხნის წასულები იყვნენ. სკოლის დირექტორი იყო ეფიმ ისაიჩ კოკიელოვი. ეს უკანასკნელი იყო განსწავლული პიროვნება, მათემატიკოსი; წარმოშობით ახალციხიდან. უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთში.

დამსვეს ნოლ კლასში, წინა მერხზე. ვიყავი ექვსი წლის.

პატარაობიდანვე მაფრთხობდა უცხო და უჩვეულო გარემო. მე მომეჩვენა, რომ ჩემი თანაკლასელების უმრავლესობა ჩემზე უფროსები და მოსული აღნაგობისანი იყვნენ. მე მათთან შედარებით ჩია ბავშვად გამოვიყურებოდი

(შემდგომში ჩემთვის ნათელი განდა, რომ ჩემი თანაკლასელები სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ, უმრავლესობა ჩემზე უფროსნი. ვინაიდან საზოგადო მოღვაწენი კრებდნენ სკოლისგარეშე დარჩენილ ბავშვებს და ასაკის მიუხედავად მოჰყავდათ ნოლ კლასში). მათი ცეცხლოვანი თვალების ბრიალი ჩემში უნებურად შიშის ჟრუანტელს იწვევდა. აღარ დაველოდე დედის მოსვლას, რომელსაც შინ უნდა წამოვეყვანე: ჩვენი ბინა სკოლიდან არც თუ ისე შორს იყო.

დაირეკა ზარი, რომელმაც გვამცნო, რომ დამთავრდა პირველი გაკვეთილი. მე დიდხანს არ დამიყოვნებია და სახლისაკენ შურდულივით გავქანდი. სახლში დამნაშავესავით ჩავცუცქდი დერეფნის კუთხეში, სადაც ჩემი სათამაშოები და თოჯინები მეგულებოდა. დავავლე ხელი ერთ თოჯინას და, მგონია, აღარ ვაპირებდი ჩემი „საფარვიდან“ იმ დღეს გამოსვლას. დედის კითხვაზე, თუ რატომ არ დავრჩი ბოლომდის სკოლაში და გამოვიქეცი, ვუპასუხე: „მე იქ არ მომწონს და არასდროს არ წავალ.“ დედამ ხმა არ ამოიღო. საღამო ხანს, როცა მამა სახლში შემობრძანდა, მე ისევ კუთხეში მივცუცქდი. მამამ დედისგან შეიტყო სკოლიდან ჩემი გაპარვის ამბავი. მამამ ჯერ გაიოცა და შემდეგ მისთვის ჩვეული დინჯი ტონით მომმართა:

—ბაშიკო (ასე, მეძახდა მამა შემოკლებით ჩემი ნამდვილი სახელის „ბათაშვილის“ მიხედვით), რატომ მიატოვე გაკვეთილები?

—მე იქ არ მინდა წასვლა! —მტკიცედ მივუგე.

—რატომ?! სწავლა არ გინდა? —ისევ დინჯად მეკითხება.

—არა, არ მინდა! მე აქ მინდა ჩემს კუკლებთან.

—ვაი სირცხვილო! სად გამოვყო თავი?! ჩემს პატარას სწავლა არ სურს.

პატარა დუმილის შემდეგ, ხელების გაშლით და იმავე დინჯი ტონით განაგრძობს მამა:

—ვაი სირცხვილო!..

მამის მიერ წყრომის გამოთქმა, რასაც ჩვეული არ ვიყავი, ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა. მეორე დღეს ხმაამოუღებლად, თუმცა ისევ უკმაყოფილო გრძნობით, ავიღე ჩემი სკოლის ჩანთა და სხვა ბავშვებთან ერთად დავადექი სკოლისკენ მიმავალ გზას..

როგორც აღვნიშნე, გერცელი დიდი ხნის წასული იყო სკოლიდან, მაგრამ კიდევ დიდხანს იმ სკოლის პედაგოგებს შორის იგრძნობოდა მისდამი თაყვანისცემა. განსაკუთრებით პედაგოგ ქალებისათვის ის კულტი იყო. მე არ დავასახელებ სახელსა და გვარს ერთი ულამაზესი ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ქალისას, რომლისთვისაც გერცელი ერთადერთ სიყვარულად დარჩა მის სიცოცხლეში. მის სწორი სახის ნაკვთებს ამკობდა მუქ წამწამებით შემოფარგლული ზღვისფერი თვალები. ტან-ფეხითაც აწყობილი და ნარნარი რხევის პატრონი იყო ის მშვენიერი ქალი. იგი შემდგომ პერიოდში სამუშაოდ, როგორც პედაგოგი, გადავიდა თბილისის უნივერსიტეტში. რო-

გორც შემდგომ პერიოდში გაირკვა, მან გერცელისადმი თავის სიყვარულს არ უღალატა და დარჩა გაუთხოვარი. ეს პედაგოგი ქალი პირადად მე არ მასწავლიდა, მაგრამ შეხვედრისას ყოველთვის მეფერებოდა.

ჩემს მონაყოლს აქვე მინდა დავუმატო გერცელის ყოფილი მოსწავლეების ესთერ თეთრუაშვილისა და სიმა გორელაშვილის მოგონებები, რომლებიც ეხებიან მისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდს. *)

## თბილისის ქართველ ებრაელთა შრომის სკოლის პიონერული რაზმი

30-იან წლებში 102-ე შრომის სკოლაში მკვეთრად შეიცვალა სკოლის სახე და ხასიათი. თუ ნათან ელიაშვილისა და შემდეგ გერცელის იქ მოღვაწეობის პერიოდში მთავარ ალტერნატივას წარმოადგენდა ებრაელ ბავშვებში გამოეღვიძებინათ და შთაენერგათ ეროვნული სულისკვეთება — საერთო საგნების სწავლებასთან პარალელურად, ამიერიდან სკოლა აშკარად დაადგა საწინააღმდეგო გზას. იდევნებოდა ყოველივე ეროვნული და სკოლა საბჭოური შინაარსის საერთო რელსებზე გადაჰყავდათ.

ებრაელთა უბანში გაისმა პიონერული რაზმის საყვირის ხმა. მათ მთელ ქვეყანას ამცნეს, რომ დადგა სულ სხვა, ახალი ერა ებრაელთა უბანშიც.

102-ე სკოლის პიონერული რაზმის ხელმძღვანელად დანიშნული იყო შალიკო იოსებაშვილი. უნდა აღვნიშნო, რომ ეს პიროვნება დიდი პატივისცემით სარგებლობდა ბავშვებს შორის. იყო ზედმიწევნით პატიოსანი და შრომისმოყვარე ადამიანი. მაგრამ მასში გამორიცხული იყო ყოველგვარი ეროვნული გრძნობა. მას არ ესმოდა ებრაელი ერის დუხჭირი და მისი მთავარი ამოცანები. იგი ყოველმხრივ იზიარებდა საბჭოურ პოლიტიკას და კეთილსინდისიერადაც ემსახურებოდა მას. აღარ ისმოდა ებრაული სიმღერები,

* ეს მოგონებები იხ. აქვე, განყოფილებაში „გერცელი“

არ ისწავლებოდა ებრაული ენა და აღარ იდგმებოდა ებრაული ხასიათის სპექტაკლები, რასაც ადგილი ჰქონდა გერცელის ამ სკოლაში პედაგოგიური მოღვაწეობის დროს. შალვა იოსებაშვილი და ბევრი მისი დროინდელი მოღვაწენი ახორციელებდნენ საბჭოურ პოლიტიკას.

ერთხელ ჩვენი, ოქტომბრელების რაზმი მწკრივში დაწყობილი სკოლის ეზოდან მარშით ქუჩაში გავიდა. მესაყვირისა და მედაფდაფის წინ, უშველებელი წითელი დროშით ხელში, დამაყენეს მე და ასეთნაირად გავედით ებრაელებით დასახლებულ უბნებში. გამოვედით მთავარ მაგისტრალზე — სომხის ბაზრის ქუჩაზე (დღეს ლესელიძის ქუჩა). ჩვენი ბინა სომხის ბაზრის და იერუსალიმის შესახვევის კუთხეში იდგა. ჩვენი რაზმის საყვირი და დაფდაფი აყრუებდა არემარეს — ვამცნობდით მთელ ქვეყანას, რომ აი, დადგა ახალი ხანა, რომ ჩვენ, ოქტომბრელებს მოგვაქვს ებრაელებისათვის საუკეთესო მომავალი, ბედნიერი ცხოვრება. მე მივუძღვებოდი ამ პროცესიას წინ მაღლა თავაწეული, წითელი დროშით ხელში. ვინ არ გამოსულიყო ჩვენს სანახავად, მთელი უბანი გარეთ იყო. როდესაც მივუახლოვდით ჩვენი ბინის კუთხეს, შევნიშნე, რომ ტროტუარის პირას იდგა გერცელი და ცნობისმოყვარეობით გვიყურებდა. იდგა იგი ჩუმად, მაგრამ როდესაც ჩემი ამაყად აწეული თავით და დროშით ხელში მე მას გავუსწორდი, უცებ მომესმა ყურში სიტყვები, რომლებიც, ალბათ, მან უნებურად თავისთვის ჩაილაპარაკა: „აი, ესეც“ და „ერთი უყურეთ ამ პატარასაც“. თითქოს ცივი წყალი გადამავლესო. ვიგრძენი, რომ რაღაც ჩემი უფროსი ძმის გერცელის საწინააღმდეგო მოვლენებთან გვქონდა საქმე. და ის დროშაც, რომელიც მე მომაჩეჩეს და ყველაზე წინ დამაყენეს, განზრახ იყო გამიზნული.

შემდეგში ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე. მივხვდი, რომ გერცელი იყო ახალი პოლიტიკის მსხვერპლი. იგი აიძულეს ხელი აეღო ებრაელი ბავშვების მასწავლებლობისაგან, რათა ამით საქართველოს ხელისუფლებს გაეადვილებინა შემდგომში ებრაელთა თანდათანობითი ასიმილაციის პროცესი.

## აქლემები ჩვენს ქუჩაზე

ჩემი ადრეული ბავშვობისას, სანამ ტრამვაის ხაზს გაიყვანებდნენ (ნუ გაუკვირდება იმას, ვინც მკვიდრი თბილისელი არ არის), ჩვენი სახლის წინ აქლემების ქარავანი გაივლიდა ხოლმე წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ. ეს ქარავანი, ამბობდნენ მაშინ, მოდიოდა თათრის მოედნის მხრიდან თეთრი წყაროს (შემდეგ ლუქსემბურგის სახელობის) რაიონიდან და მიემართებოდა სოლოლაკის მიმართულებით. მთელი ქუჩისპირა მცხოვრებლებისათვის ეს იყო უცხო სანახაობა. ყველა გარეთ გამოცვივდებოდა, რათა ენახა ეს საუცხოო ცხოველი. ქარავანი შედგებოდა მჭიდროდ გადახურული ფურგონებისაგან. შიგ ისხდნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები. ფურგონს გარეთ, წინ იჯდა მეპატრონე, რომელიც ფურგონში შებმულ აქლემებს უძღვებოდა. ვიღაცამ თქვა, თუ აქლემს შეაფურთხებ სახეში, ერთიანთად გადაგიხდის იმდენს შემოგაფურთხებსო. ერთხელ მოვემზადეთ, რომ გამოგვეცადა ეს ცხოველი. მეც გავბედე და როდესაც ქარავნის ერთი აქლემი გამისწორდა, მივირბინე ამ უშველებელ ცხოველთან, რომელიც მე სულაც არ მაქცევდა ყურადღებას და შევაფურთხე, მაგრამ ისე შემეშინდა, რომ წამსვე გამოვტრიალდი და გამოვიქეცი უკან. ასე, რომ დღესაც არ ვიცი, მართლა დამიბრუნა თუ არა ფურთხი.

## „ძაძი კნუტ, ძაძი კნუტ...“

აქლემების გამოჩენა ჩვენს ქუჩაზე იშვიათი მოვლენა იყო. წელიწადში შეიძლება ერთხელ ან ორჯერ გაევლოთ. თბილისელებს თავის ქალაქში ფეხით სიარული უყვარდათ. მაგრამ მიმოსვლის ძირითად საშუალებას ფაეტონი წარმოადგენდა (გარე უბნებში — „ტაჩკა“). მგზავრობის ეს არქაული საშუალება — ფაეტონი სიამოვნების მომგვრელიც იყო. ვინ არ გასულა გარეთ სანახავად, როცა მის წინ საქორწილო პროცესიის დროს ეგზოტიკურად მორთულ-მოკაზმული მეფაიტონე და ცხენები ჩაიქროლებდნენ ხოლმე. თბილისური ბოჰემის მოყვარულნი მოლხენისა თუ ქეიფის დროს ჩასხდებოდნენ ფაეტონში და გააქანებდნენ, გარმონითა და ხმამაღალი სიმღერით შემოივლიდნენ უბნებს.

ქუჩის ბავშვებმაც გამონახეს თავის გასართობად ხერხი. ფაეტონის უკანა ბორბლებს შორის გადებული იყო რკინა. ფაეტონის ადგილიდან დაძვრის მომენტში ბავშვები შეახტებოდნენ და ამ რკინაზე ჩამოსხდებოდნენ. გაქანე-

ბული ეტლი (ფაეტონი) ბავშვებს თან გაიყოლებდა. ადგილი ჰქონდა ავარიულ შემთხვევებსაც, მაგრამ ბავშვები მაინც არ ეპუებოდნენ. ქუჩის სხვა ბავშვები, რომლებიც იქ არ იყვნენ ჩამომსხდარნი, სირბილით მიჰყვებოდნენ გაქანებულ ფაეტონს ხმამაღლა შეძახილით: „ძაძი კუტ, ძაძი კნუტ!“ (რუსული სიტყვიდან Зади кнут). მეეტლემ უკვე იცოდა, რომ უკან ჩამომსხდარნი იყვნენ ბავშვები და იქვე შოლტს გამოაქანებდა, რათა ჩამოეცილებინა ბავშვები.

ქუჩის ბავშვებს უყვარდათ მეფაიტონეს გამოჯავრება და როცა ბავშვები არ იყვნენ შემომსხდარნი უკან ფაეტონზე, მაინც მისდევდნენ და გაიძახოდნენ: „ძაძი კნუტ, ძაძი კნუტ!.. მეფაიტონე კვლავ იქნევდა შოლტს უკან იქ არარსებული ბავშვების მიმართ და ეს ოხუნჯობა ბავშვებს ართობდა.

## „ვის გინახავთ ჩემი სულელი და?“

ქალაქის მმართველობამ ჩვენი სახლის წინ მაგისტრალურ ქუჩაზე აქლემთა ქარავნის სვლა აკრძალა. ნაცვლად ამისა ჩქარა გამოჩნდა „კონკა“. თუ მანამდე ახმახი აქლემი ჩემთვის გამოუცნობი ცხოველი იყო, ახლა ამ კონკამ მთლად მომაჯადოვა. ვიდექი ჩვენი ეზოს ჭიშკართან და ველოდებოდი კონკის გამოჩენას. როდესაც სრიალ-სრიალით მიგრიალებდნენ კონკის ვაგონები, თვალს ვაყოლებდი და ისინი მე საბავშვო სათამაშოებად მესახებოდნენ. საიდან მოდიოდნენ, საით მიდიოდნენ ის ადამიანები, რომლებიც შიგ ისხდნენ? მშურდა, მიზიდავდა ჩემთვის გამოუცნობი სამყარო. ჩემში დასძლია ცნობისმოყვარეობამ და როცა ერთხელ ჩვენი სახლის შორიახლო გაჩერებაზე შეჩერდა ეს ჯადოქარი, მე უმალ ავირბინე კონკის საფეხურებზე. კონკა დაიძრა და მეც წამიყოლია თან!..

წამიყოლია და საით?! რა ვიცოდი სად მიდიოდა. ჩამოვჯექი და კონკის ფანჯრებიდან აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს... ეჰე!.. მალე გავცდი ჩემს ნაცნობ ადგილებს... გულმა დამიწყო ფანცქალი. კონკამ გაიარა ხიდი (მუხრანის ხიდი), ავიდა აღმართზე (ციციანოვის აღმართი). უკვე შევშინდი. მოვხვდი უცხო სამყაროში... ავტირდი.

კონდუქტორი მეკითხება: რად ვტირი. ვუპასუხე, რომ „სახლში მინდა“.

„სად არის შენი სახლი?“ —მეკითხება იგი.

„არ ვიცი. მე ამოველი და მეტი არაფერი ვიცი... სახლში მინდა... სად არის ჩემი სახლი?..“

„შენ თუ არ იცი, ბავშვო, მე საიდან მეცოდინება?“ —და შემდეგ მომმართა: „ვიდრე მთლად გვიან არ არის, აი, ახლა ჩადი ვაგონიდან!“

კონდუქტორმა ჩამომიშვა. აღმოვჩნდი შუაგზაზე. იქიდან დაბლა და შორს იშლებოდა თბილისის შესანიშნავი პანორამა. მოჩანდა მოდუდუნე მტკვარი, ხიდი და შემდეგ სახლები, გარშემორტყმული მთებით. ვის ჰქონდა მაშინ იმ

სილამაზის აღქმის უნარი. თავბრუ დამეხვა. შიშით შეპყრობილი ბავშვი ვიდექი შუა ტროტუარზე და ვტიროდი. მოდის ერთი რუსი ქალი, დატვირთული ბაზარში ნავაჭრით ხელში.

„რად ტირი, ბავშვო?“ —მეკითხება იგი.

„სახლი დავკარგე.“

„საიდან მოხვედი?“

„არ ვიცი.“

„კარგი, მე გაპოვნინებ, ოღონდ ჯერ ეს კალათები მიმატანინე სახლამდე.“ —მომმართა მან და ამ სიტყვებთან ერთად ხელებში მომაჩეჩა კარტოფილითა და ხახვით სავსე ორი კალათა. მივატანინე სახლამდე. დღევანდელი გაგებით — მისი სახლი უნდა ყოფილიყო ავლაბრის მოედნის ხელმარცხნივ შესახვევში. შემდეგ მართლა გამომყვა იმ ადგილამდე, სადაც შემომხვდა და მიმასწავლა, რომ დავყოლოდი კონკის ხაზს და სულ მისი მიმართებით მევლო. ასეც მოვიქეცი. დავეშვი აღმართზე. ვიარე და ვიარე. გავიარე ხიდი. შემდეგ კიდევ გავყევი ხაზს და ბოლოს დავადექი სომხის ბაზარს. ასე და ამგვარად, ბოლოს მივჩანჩალდი ჩემს სახლამდის... სახლში...

ალბათ გავიდა რამდენიმე საათი, რაც სახლიდან გავუჩინარდი. სახლში დამხვდა ნამდვილი გლოვა. დედა გულწასული. ჩემი და-ძმანი შიშისაგან დახოცილები. შეშფოთებული მეზობლები და ნაცნობები. გერცელი ერთთავად ხელების მტვრევით დაიარებოდა მილიციის ორგანოებიდან საავადმყოფოებში და ყველას ეკითხებოდა:

—ხომ არ გინახავთ ჩემი პატარა და, გამხდარი, თეთრპირსახება, ჭორფლიანი, თვალებდაჭყეტილი, წაბლისფერკულულებიანი... სულელი ჩემი პატარა და...

მე თვითონვე რომ არ გამოვჩენილიყავი, ერთთავად დავხოცავდი ყველას. მაგრამ გამოვჩნდი და ამით ვიხსენი.

როდესაც თანდათანობით შენელდა სიმწარე, დაცხრა აღელვება, გაიფანტა შიშის ღრუბელი და მოვიდნენ გონს, მაშინ მოვიდნენ და მომმართეს ბრძანებით:

—აღარ გაიმეორო თვითნებური, მსგავსი ექსპერიმენტები, თორემ იძულებული ვიქნებით თოკით დაგაბათ სახლში...

კონკაზე ასვლით ჩემი თავგადასავალი მაინც მშვიდობიანად დამთავრდა (თუმცა ჩემს მხსნელს საზღაურად ხახვი და კარტოფილი ვუთრიე).

კონკა ქუჩის ბავშვებს ისე იზიდავდა, რომ მიმავალ კონკას შეახტებოდნენ ხოლმე საფეხურზე და სახელურზე ჩამოეკიდებოდნენ. სამწუხაროდ და სავალალოდ, ეს სახიფათო მოქმედება ხანდისხან ტრაგიკულად მთავრდებოდა ბავშვებისათვის.

# ჰუმანური მამა

ერთხელ, ზაფხულის მიწურულს, როდესაც აგარაკიდან შინ მოვბრუნ-დით, ბინა გატეხილი დაგვხვდა. ქურდს დაუთოებული და გარეცხილი თეთ-რეული მოსწონებია და თანაც მიაყოლა დედის ნამზითვი ნივთები: სამაჯური, ძეწკვი და სხვ. გავიდა დღეები. გვაცნობეს, რომ ქ. თბილისის რკინიგზის სადგურთან შეუპყრიათ კაცი, რომელიც ნაძარცვი ნივთებით ვაჭრობდა. იმ ნივთებს შორის აღმოჩნდა ჩვენგან წაღებული თეთრეულიც. საოცარი იყო ის, რომ დაკავებული კაცი აღმოჩნდა ჩვენი კარის მეზობელი. მე არ ვახსენებ იმ კაცის სახელს გარკვეული მოსაზრებით.

უცნაური მისიით გაემართა ჩვენი მამა დავითი პირდაპირ ორთაჭალის ციხისაკენ, სადაც ჩვენი გამქურდავი მოეთავსებინათ. მამამ აღძრა შუა-მდგომლობა, თავისთავზე აიღო პასუხისმგებლობა და ქურდი მეზობელი გაათავისუფლებინა.

სასჯელმოუხდელ ქურდზე მამის ჰუმანურმა მოქმედებამ ფსიქოლოგიურ-ად იმოქმედა. ციხიდან განთავისუფლებული თავის სახლში ვეღარ გაჩერდა. ყოველ შეხვედრაზე მამას თვალს ვერ უსწორებდა. ამის შედეგად მალე ის გადაიხვეწა რუსეთის ქალაქებისაკენ. ხანდისხან მობრუნდებოდა ოჯახში, დაენახვებოდა მოხუც მშობლებს, დებსა და ძმას და ისევ გაბრუნდებოდა. მალე მას შერთეს ცოლად ერთი პატიოსანი, ღარიბი ოჯახიდან გამოსული ქალიშვილი და შემდეგ ისევ გაბრუნდა რუსეთისკენ. დროდადრო უბრუნდე-ბოდა მეუღლეს. შეეძინა ორი ვაჟიშვილი. არავინ იცოდა თუ რით იყო დასაქმებული რუსეთში. განათლება მას არ ჰქონდა და არავითარ ხელობას არ იყო დაუფლებული. ზოგიერთი მნახველის გადმოცემით ის უნახავთ მოს-კოვში ფეხსაცმლის მწმენდავად. ზოგჯერ ბედი უსინჯავს ცირკის არენაზე — მოჭიდავის როლში. გავიდა დრო და შევიტყვეთ მისი გარდაცვალების ამ-ბავიც. მისი საბრალო ცოლ-შვილი, რომელნიც ადრე ჩვენს მეზობლად ბინადრობდნენ, ქუთაისში გადავიდნენ საცხოვრებლად. დაქვრივებულ მეუღ-ლეს დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიუცია ბავშვებისთვის საშუალო განათლება. დაზრდილი ვაჟიშვილები სულაც არ გაჰყოლიან მამის კვალს. ისინი დაეუფლნენ ხელობას და პატიოსნად ცხოვრობდნენ. სადღეისოდ მისი ვაჟიშვილები თავიანთი ცოლ-შვილით ისრაელის მოქალაქენი არიან, შრო-მობენ თავიანთი ხელობის მიხედვით და პატიოსანი სახელით სარგებლობენ.

# მამა, გერცელი –
# როგორც აღმზრდელები და მათი ხასიათი

ჩემს მოგონებებში, პირველყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა მამის და გერცელის თვისებებსა და ხასიათს.

მე, როგორც უმცროსს ოჯახში, ყველა მეფერებოდა. მაგრამ, ნუ იტყვით, პრინციპული საკითხის გადაწყვეტის დროს ყველა მომთხოვნი და მკაცრი აღმოჩნდა.

ჩემს მესამე ძმას, მეირს უნდა ვუმადლოდე, თუ კლასგარეშე რამე ცოდნა მივიღე. თვითონ სულ კითხვით იყო გართული. მე კი ეზოში თამაში მიყვარდა ჩემს თანატოლებთან. მეირს ძალით შევყავდი სახლში, დამსვამდა და დამიწყებდა რაიმე საინტერესო საკითხებით დაინტერესებას. მოჰქონდა ჩემთვის წიგნები გამოჩენილი მოგზაურებისა და პიროვნებების შესახებ; ასტრონომიის გასაცნობად ციური რუკები, სპეციალური წიგნები და ასტრონომიული საბავშვო სათამაშოები.

გერცელი თვალყურს ადევნებდა სკოლაში მიღებულ შეფასებებს. ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა. მაგიდიდან ხელში აიღო სკოლიდან ახლადმოტანილი ჩემი ნიშნის ფურცელი. გერცელმა გაოცებით შენიშნა: „ხუთზე მე არ ვიცი გეოგრაფია და შენ ვინ დაგიწერა ასეთი მაღალი ნიშანი“-ო. გერცელი დიდი ხნის წასული იყო იმავე სკოლიდან, სადაც ადრე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას; მან კარგად იცოდა, რომ ამ სკოლაში კიდევ დიდხანს რჩებოდნენ მისი თაყვანისმცემლები. ამის გამო შეშინდა: მისდამი სიყვარულით დაუმსახურებლად ხომ არ მიწერდნენ მაღალ შეფასებას. ამიტომ გერცელი ამ ნიშნების ფურცლით ხელში პირდაპირ გაემართა 102-ე სკოლისაკენ. მან გეოგრაფიის მასწავლებელ ნინო ნადარეიშვილს მიმართა შემდეგნაირად:

„პატივცემულო ნინო, ჩემი პატარა დაიკო, ვიცი, ნიჭიერია, მაგამ ზარმაცია, აკლია სიბეჯითე. იგი ბევრ დროს უთმობს ეზოში თამაშს. როგორღა მიიღო მან მაღალი ნიშანი „ხუთი“? გთხოვთ არ დაუწეროთ დაუმსახურებლად ნიშანი. შეეჩვევა და გაფუჭდება.“

ნადარეიშვილი: „ოი, ჩვენო გერცელ, ნეტავ ერთხელ მაინც დაგვესწროთ გაკვეთილზე, თქვენი დაიკო ჩემს მიერ ახსნილ ახალ მასალას იქვე უმეორებს კლასს. შესანიშნავად იცნობს რუკას. თვითონაც კარგად ხატავს მუნჯ რუკებს... ნუ სწუხართ, სავსებით იმსახურებს. კი არა, მეტსაც დავუწერდი, რომ არსებო-

ბდეს მეტი ნიშანი...“ ამ საუბრის შესახებ მე შევიტყვე, უფრო სწორად, ყური მოვკარი, როცა შინ მობრუნებული გერცელი უყვებოდა დედას.

გერცელის მოუსყიდველობაზე და მის ობიექტურობაზე მე ერთხელ კიდევ შევჩერდები ჩემს მოგონებათა შემდეგ ნაწილში. ახლა კი მსურს მოგახსენოთ მამაჩვენის შესახებ.

იმ პერიოდში სკოლისათვის საჭირო ინვენტარი: რვეულები, კალმისტარი, სამელნეები და სხვა ძნელი საშოვნელი იყო. კლასმა შეაგროვა საჭირო ფული და ჩამაბარა მე, რათა, როგორც კი სადმე გამოჩნდებოდა საჭირო ნივთები, გამომართმევდა და შეიძენდა. როდესაც ბავშვები გაკვეთილების შემდეგ შინ ვბრუნდებოდით, გზაზე გვხვდებოდა მოხუცი ქალი, ჩამომჯდარი ტროტუარის პირას. მას კალათაში ელაგა გასაყიდად თვითნაკეთი ნუგბარები. ერთხელ მეც წამძლია ყიდვის სურვილმა. საკუთარი ფული არ მქონდა, ამიტომ ნუგბარის საფასური მოვაკელი მობარებულ თანხას, იმ იმედით დარწმუნებული, რომ საჭირო შემთხვევაში ოჯახში იქვე შემივსებდნენ. მოულოდნელად მაღაზიაში გამოჩნდა რვეულები და საწერ-კალმები. კლასმა მოითხოვა ჩემგან ფული. მე შევცბი, რამეთუ გამახსენდა, რომ მოვაკელი. მათ ვუთხარი, ფული სახლში დამრჩა და ახლავე მოგიტანთ-მეთქი. გამოვქანდი სახლისაკენ. ბობოქარივით შევიჭერი ბინაში და დედას მივმართე:

„დედიკო, აბა, ჩქარა ფული. უნდა შევავსო. მაკლია... კლასმა მოითხოვა.“

დედა: „რის ფული? მე რატომ უნდა შევავსო? რატომ აკლია, შენ შენი წილი ხომ მიიტანე?..“

„დედა, ჩქარა მომეცი ფული. კლასი მელოდება.“

„გამაგებინე, რატომ აკლია კლასის ფულს...“

„მერე აგიხსნი. დავხარჯე, ნუგბარი ვიყიდე...“

„დახარჯე?! როგორ შეიძლება ხელი გეხლო კლასის ფულისათვის!..“

მე ვიწყებ ნერვიულობას, ჭირვეულობას. „კლასი მელოდება...“

ამასობაში ოთახში შემოვიდა მამა. დედამ მიმართა მას:

„დავით, მოუსმინე შენს პატარას.“

მე, უკვე ატირებულმა, მამას მოვუყევი ყველაფერი. მე, განებივრებულ ბავშვს, მგონია, რომ მამა ახლავე ჯიბეში ხელს ჩაიყოფს, ფულს მომცემს და დედასაც გაუჯავრდება, რომ არ აღმოჩნდა გულმოწყალე. მე ძალიან კარგად მახსოვს მამის სახე იმ დროს — ჩემსკენ ნახევრად პროფილში — მომიბრუნდა და თავისი ჩვეული დინჯი ტონით მომმართა:

„შენ, ჩემო შვილო, ეს რა დიდი დანაშაული ჩაგიდენია. —ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, თუ ჩემი ალერსიანი მამა ასეთი სიტყვებით მომმართავდა, —შენ კლასმა ფული მოგანდო და შენ მას ხელი ახლე?! შენ დახარჯე საზოგადოებრივი ფული?!“

მე ვეღარ ვცნობდი მომფერებელსა და რბილი ხასიათის მამას. მეგონა მელაპარაკება ვინმე მკაცრი მსაჯი. მკაცრი ტონით და ინტონაციით განაგრძო:

„იცი შენ, ჩემო შვილო, აბა, გაეცანი დიდი ბანდიტებისა და ქურდების ბიოგრაფიებს. ისინიც ზუსტად ასე შენსავით იწყებდნენ, ბავშვობაში ცოტათი და შემდეგ... და შენც, მათ მსგავსად, როცა გაიზრდები, ბანკს გატეხავ."

ვაი ამ ჩემს ყურებს, რა გავიგონე...

რა თქმა უნდა, ის კონფლიქტი მაშინ კომპრომისით დამთავრდა. მაგრამ ეს ინციდენტი და ეპიზოდი — მამა, როგორც აღმზრდელი და მსაჯი, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არ დამვიწყებია.

## 102-ე შრომის სკოლის პედაგოგები და მასწავლებლები

ნათან ელიაშვილის წასვლის შემდეგ 102-სკოლის დირექტორად დაინიშნა ეფიმ ისაიჩ კოკიელოვი. მას რუსეთში ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება. სკოლაში ასწავლიდა არითმეტიკას. სკოლის გარეშე აძლევდა გაკვეთილებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში. ამის გარდა, იგი იყო შესანიშნავი კალიგრაფისტი, რის გამოც მასთან ბევრი (უფროსებიც და უმცროსებიც) მიდიოდნენ სახლში კალიგრაფიის გამოსასწორებლად.

მოგვიანებით პერიოდში, როცა მე უკვე გამოსაშვებ, მეშვიდე კლასში ვიყავი, მათემატიკის მასწავლებლად მოვლენილი იქნა იმავე სკოლის ყოფილი მოსწავლე, ხოლო შემდეგში უმაღლესდამთავრებული და შესანიშნავი მათემატიკის მასწავლებელი ცები დათიკაშვილი. ცები დათიკაშვილის გამოჩენა ჩვენს სკოლაში ფურორს წააგავდა. მისი მშვენიერი პირი-სახე — კალმით ნახატივით — კეთილად განაწყობდა მის მიმართ ადამიანებს. გოგონა მოსწავლენი ხომ ყველა მისი თაყვანისმცემელნი იყვნენ. მოხდა ისე, რომ ცებიმ თავისი მომავალე საცოლე იმავე სკოლის გოგონებიდან შეარჩია. მომავალში, როცა ეს სკოლა გადაკეთდა ათწლედად, ცები სხვა სკოლაში გადავიდა სამუშაოდ. გვესმოდა მის შესახებ, რომ იგი მთელი თბილისის მასშტაბით სახელმოხვეჭილი მათემატიკის მასწავლებელი გახდა. მისი წარმატება ყველას გვიხაროდა.

მესამე ებრაელი, რომელიც ჩვენს სკოლაში მოღვაწეობდა, როგორც აღვნიშნე, ეს იყო პიონერული რაზმის ხელმძღვანელი შალიკო იოსებაშვილი. დანარჩენი პედაგოგ-მასწავლებლები ჩვენს სკოლაში იყვნენ არაებრაელები — ქართველები. უნდა აღვნიშნო, რომ ქართველ მასწავლებელთა დამოკიდებულება ებრაელი ბავშვებისადმი იყო მეტად კარგი, თბილი, ობიექტური და არვითარი მიკერძოება და არავითარი ანტისემიტიზმი.

ჩვენი სიმღერის მასწავლებლები — ნინო ბაქრაძე და იაშვილი ხომ საუკე-

თესო ადამიანები იყვნენ. ნინო ბაქრაძემ სკოლის მოსწავლეებისაგან ჩამოაყალიბა სიმღერის გუნდი. ამ გუნდის ერთ-ერთი წევრი გახლდით მეც. გუნდის წევრებს შორის ყველაზე მეტად გამოირჩეოდა — თავისი კარგი ხმით და სმენით — შ. ბ-ძე. სახიერებითაც და ტანადობითაც თვალში მოუვიდოდა ადამიანს. ჩვენმა სიმღერის მასწავლებელმა, რატომღაც, გოგონებს შორის გამომარჩია და ჩვენ, ე.ი. მე და შ. ბ-ძეს შესასრულებლად გვაძლევდა დუეტს. მასწავლებელიც და სხვებიც, ვინც ჩვენ გვისმენდა, კმაყოფილები იყვნენ ჩვენი სიმღერით. ძლიერი ხმის პატრონი მე არ ვიყავი, მქონდა ერთი წრიპინა სოპრანო. საოცრება ის იყო, რომ თუ ჩვენ — მე და შ. ბ-ძე სცენაზე ასე ლამაზად გამოვიყურებოდით, როგორც კი სცენიდან ჩამოვიდოდით შ. ბ-ძე უსათუოდ მეტყოდა რაღაც მწარე სიტყვას. ასე, მაგალითად: შენი თავი დიდი ვინმე გგონია და ა.შ. მე არ ვუთმობდი, ვპასუხობდი, ვჩხუბობდით. მერე ისევ ავყავდით სცენაზე. ვმღეროდით, ჩამოვდიოდით და ისევ ვჩხუბობდით. ასე გაგრძელდა თითქმის სკოლის დამთავრებამდე.

ჩვენს გარდა, სკოლის გუნდიდან ყველაზე მეტად გამოირჩეოდა, როგორც ნიჭიერი მომღერალი (ის ჩვენზე უფროსი იყო), ეთერი კაცობაშვილი. იგი მართლაც თვითმყოფადი ნიჭით იმსახურებდა დიდ მოწონებას. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ნ. ბაქრაძემ დადგა საბავშვო ოპერა: „როდესაც წაველთ ჭალაში", ეთერი ასრულებდა მთავარ როლს (ბავშვების ბაბუას). მე ვიყავ ერთ ეპიზოდში, უნდა მემღერა კარგარეთელის სიმღერა „გაზაფხულდა ბუჩქის ძირას". ეთერი თავისი ნიჭის წყალობით მომავალში გახდა თვალსა-ჩინო სახალხო მომღერალი.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი სკოლის მოსწავლე ამხანაგი ვაჟები გაკვეთილების შემდეგ შეიკრიბნენ და მოადგნენ ჩვენი ეზოს ჭიშკარს. მე ვიყავი სკოლიდან ახალმოსული. მათ გამომიძახეს ეზოს კარებთან სალაპარაკოდ. დედაჩემი, მართალია, მკაცრი აღმზრდელი იყო, მაგრამ ახლა ხედავდა, რომ ჩემი თანამოსწავლენი მეძახდნენ დღისით-მზისით. ამიტომ დამრთო ნება გავსულიყავი მათთან, მაგრამ, ვითომ კერძის მოსამზადებლად, ნავთქურასთან ტრიალებდა და ცალი თვალი ჩვენსკენ ეჭირა.

თანამოსწავლე ვაჟები შეჩერდნენ ჭიშკრის გაღმა, ქუჩის პირიდან. მე — ეზოს მხრიდან. ერთი მათგანი, სახელად იოსკა, მომმართავს: „შენ, რამდენ ხანს გინდა დაჩაგრო ჩვენი საუკეთესო ამხანაგი. ამის უფლებას შენ არ მოგცემთ..."

ჩემს კითხვაზე: „ვის ვჩაგრავ? რათა... ვერ გამიგია რას მერჩით!.." —ისინი მპასუხობენ: „აბა, გაიხედე იქით" — და მიმითითეს იქით, ტროტუარის მეორე პირას. იქ ხესთან ატუზული იდგა სახით ქუჩისკენ ნახევრად მიბრუნებული, თვალცრემლიანი შ. ბ-ძე.

—ხედავ, როგორ არის შენგან დაჩაგრული?! შენ ხარ ყველაფერში დამნაშავე...

ენა დამება. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. ვერ ვხვდებოდი მათ ქარაგმულ სიტყვებს. რაღაცას ვბლუკუნებდი გაწითლებული, აღელვებული. ალბათ დედაჩემი მიხვდა, რომ რაღაც უხერხულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი და სწორედ რომ დროულად მიხსნა, დამიძახა, სახლში გელოდებიანო.

მაშინ მე ვიყავ ერთი გულუბრყვილო და ამ ამბებში შეუგნებელი ბავშვი, რამეთუ სახლში ჩემთვის იმის მაგვარს, რასაც ქალ-ვაჟის დამოკიდებულებას ეძახიან, არავინ მასწავლიდა. შორს ვიყავ ყოველივე ცხოვრებისეული სინამდვილიდან. ყველაფერი მესახებოდა ვარდისფერ ჩარჩოში. თუ რაიმე ვისწავლეთ ლიტერატურაში, მეგონა ეს ეხებოდა ვიღაც სხვას. ჩემთვის შორს იყო ყოველივე მსგავსი, რასაც რომანტიკას ეძახიან. ასე რომ ჩვენს კარზე საკამათოდ მომდგარ ვაჟთა დელეგაციას თავდაპირველად ვერაფერს მივუხვ-დი.

ასე და ამგვარად უშედეგოდ დამთავრდა მაშინ შ. ბ-ძის მეგობარ-ამხანაგების მიერ კოლექტიურად გამომჟღავნებული მისი სიყვარული ჩემს მიმართ.

გავიდა დრო. ნეტავ ისევე დაუბრებული დავრჩენილიყავით სამუდამოდ. ყოველი ჩვენგანი თავისი გზით წასულიყო თავის ცხოვრებაში, ოღონდ არ დაღუპულიყო მეორე მსოფლიო ომში.

●

ჩვენი 102-ე შრომის სკოლა დაკომპლექტებული იყო მეტწილად ღარიბი ოჯახების ბავშვებით. კლასში გვხვდებოდნენ ასაკობრივად არაფარდოვანი მოსწავლეები. მაგალითად, როდესაც მე მეექვსე კლასში ვსწავლობდი, ჩემს მომდევნო მეხუთე კლასში სწავლობდა ჩემი ნათესავი გოგო, რომელიც ჩემზე ექვსი წლით უფროსი იყო.

20-იან წლებში საზოგადოების მესვეურნი აწყობდნენ ქველმოქმედებითი ხასიათის ღონისძიებებს 102-ე შრომის სკოლის დასახმარებლად. აღნიშნულ ღონისძიებებზე იწვევდნენ შეძლებულ ადამიანებს, რათა მათ გაეღოთ შეწირულებანი ზემოაღნიშნული მიზნისათვის — შექმნილი ფონდიდან ღარიბ ბავშვებს უფასოდ ურიგებდნენ ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, სწავლების დროს ცხელ საუზმეს და სხვ. მე არ ვითვლებოდი ღარიბ ბავშვთა სიაში, რამეთუ არაფერი მაკლდა, თუმცა ჩემი მშობლები არასდროს ყოფილან მდიდრები. მამა მუშაობდა. სახელმწიფო სამსახურის მიხედვით მიღებული ჯამაგირით არჩენდა ოჯახს. მამას — არასდროს — სალოცავის საზოგადოებისაგან არავითარი ფულადი დახმარება არ მიუღია. ყოველი მისი გამოსვლა იყო გულის ძახილით. მე, მშობლების გარდა, მზრუნველობას არ მაკლებდა ჩემი უფროსი ძმა გერცელი. მხოლოდ მისი მოტანილებისგან მეცვა და მეხურა. ასე რომ მე არც უნდა ვყოფილიყავი დასახმარებელ ბავშვთა სიაში, რაც სავსებით სწორი იყო. რაც შეეხება ქველმოქმედებითი ხასიათის ღონისძიებებს, აქ გერცელი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ყოფილა. მე მსმენია ახლობლები-

საგან, რომ ყოფილი აბას-აბაცკის (დღეს –ალავერდოვის) მოედანზე ბაღის მარცხენა მხარეს იდგა ორსართულიანი სახლი, სადც იმართებოდა აღნიშნული კონცერტები. აგრეთვე გამოყენებული იყო იმავე მოედანზე შაუმიანის სახელობის ბიბლიოთეკის მეორე სართულის სადარბაზო.

ჩემი თანაკლასელები და მეზობლის სხვა ბავშვებიც, რომლებიც სხვადასხვა კლასში სწავლობდნენ, ხშირად იკრიბებოდნენ ჩემთან. ჩვენი შუშაბანდი ყველას იტევდა. ჩემს გარეშე საშინაო დავალებებს არავინ ასრულებდა. საქმეც რომ არ ჰქონოდათ, მათი პატრონები ჩემთან გზავნიდნენ საამხანაგოდ და სამეგობროდ. დედაჩემიც შეძლებისდაგვარად ყველას უმასპინძლდებოდა. მე პირადად მათ სახლებში ნაკლებად ვიყავი ნამყოფი, თუმცა ზოგიერთ მათგანს ჩვენზე უკეთესი სახლ-კარი ჰქონდა. სკოლაში საკონტროლო წერის დროს ცდილობდნენ ჩემთან ახლოს დამსხდარიყვნენ და მოხერხებულად გადაეწერათ ჩემგან. რამდენჯერ გავუგდივარ რუსული ენის მასწავლებელს ნადია ახვლედიანს გაკვეთილიდან გარეთ იმ კარნახისათვის, რომელსაც თანაკლასელი მაიძულებდა. ამდაგვარი ბავშვების უმრავლესობა მაინც სამოსანი რჩებოდა. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა როდი იყო ასეთი. მაგალითად, იყვნენ წარჩინებული და ფრიადოსანი მოსწავლეებიც, რომლებიც არავის დახმარებას არ საჭიროებდნენ. ისინი კეთილსინდისიერად იმსახურებდნენ პირველ ადგილს სკოლაში კარგი სწავლისათვის. ასეთები იყვნენ: მალქა აკოშვილი, ზინა კრიხელი, მანია გუჯიაშვილი. ჩემს მიერ დასახელებული მოსწავლეების შემდეგ სკოლაში ვიხსენიებოდი მე.

როდესაც ბავშვობაში მოგაყენებენ ტრავმას ადამიანები, რომლებიც საბუქსიროდ გყავდნენ აყვანილნი და შემდეგ ასეთები მორალურ ხრამში გადაგაგდებენ, არასოდეს დაივიწყებ. თუმცა სალაპარაკოდ არასოდეს მიხსენებია, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ვიხსენებ ქვემოთ მოყვანილ დეტალს და გადმომაქვს ქაღალდზე. და ეს იქნება ჩემი მოგონებითი პასუხი იმ ამხანაგების მაშინდელ ნამოქმედარზე.

შვიდწლედის დამთავრების დროს, როგორც აღვნიშნე, დამსახურებულად პირველ ადგილზე იხსენიებოდნენ მ. აკოშვილი, ზ. კრიხელი, მ. გუჯიაშვილი. მე ვიყავ მოხსენიებული მათ შემდეგ. ამ დროს გამოხეთქა იმ ცბიერობამ, რომელიც გულში ჰქონდათ ჩამარხული ყოფილ ჩემს „მეგობრებს“, რომლებიც ადრე გარს მეხვევნენ და უჩემოდ გაკვეთილს არ ამზადებდნენ (და მაინც სამოსანნი რჩებოდნენ). იფეთქა ნამდვილმა ჯანყმა ჩემსა და დირექციის წინააღმდეგ. არ ძალმიძს დავივიწყო მათი სიტყვები: „დავანგრევთ სკოლას!.. თავდაყირა დავაქცევთ დირექტორის კაბინეტს, თუ არ გაგვათანასწორებთ ნიშნებით პოლინა (პაშა) ბააზოვთან!..“

როდესაც ცხოვრების შემდგომ პერიოდში შევხვედრივარ ამ ამხანაგებს, ვითომც არაფერი – ჩვეულებრივი ცბიერი ღიმილით და სალმით შემხვედრიან. მაგრამ მე გულში ხინჩად ჩამრჩა მათი ვერაგული მოქმედება ჩემს მიმართ.

ამიტომ ოჯახში გადაწყდა: საშუალო განათლების მისაღებად მათ უნდა გავცლოდი. ჩვენი შვიდწლედი გადაკეთდა ათწლედად, გადავიდა 67-ე სკოლის სახელით ლესელიძის ქუჩაზე, მე კი სწავლის გასაგრძელებლად გადავედი თბილისის პირველ საცდელ სკოლაში, რუსთაველის ქუჩაზე. აღნიშნული სკოლის შესასვლელში, ეზოს მხრიდან, კედელზე გაკრულია მემორიალური დაფა, სადაც აღნიშნულია, რომ იმ სკოლაში სწავლობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ანტონ ფურცელაძე.

აღნიშნულ სკოლაში, როდესაც მე სწავლის გასაგრძელებლად გადავედი, ჩემს მეტი ებრაელი მოსწავლეებს შორის არავინ იყო (შემდგომ პერიოდში კი იყვნენ). დამოკიდებულება პედაგოგ-მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან ჩემდამი იყო ნორმალური (გარდა ერთი მასწავლებლისა და მასზე დაბლა შევჩერდები). არავითარი ანტისემიტიზმის გამომჟღავნება. მოსწავლეებს შორის ბევრი იყო ჩემი მეგობარი და დარჩნენ ასეთებად ბოლომდის.

მასწავლებლებიდან ჩემდამი კარგი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საბავშვო მწერალი ილია სიხარულიძე, ისტორიის მასწავლებელი კოკაია და მე ყველაზე მეტად მიყვარდა და ვუყვარდი რუსული ენის მასწავლებელს კოტე ნიჟარაძეს. ერთადერთი მასწავლებელი, რომელმაც არ შემიყვარა, ეს იყო გადარჯულებული ებრაელი, მათემატიკის მასწავლებელი ილია შტეინბერგი. ეს მასწავლებელი განთქმული იყო მთელს რესპუბლიკაში, როგორც საუკეთესო მათემატიკოსი და პედაგოგი, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა შემხვედროდა მტრულად. წარმოშობით ქუთაისიდან იყო. გაურბოდა ებრაელობას. მისი მეუღლე ქართველი, კორინთელის ქალი იყო და მისი შვილებიც დედის გვარზე იწერებოდნენ. ჩემი მისვლით მე მას დავურღვიე სულიერი სიმშვიდე, რამეთუ შევახსენე, რომ ისიც წარმოშობით ებრაელია და, მით უმეტეს, მას ეცოდინებოდა ბაასოვების ეროვნული სულისკვეთება და სწორედ ეს სძულდა მას. რამდენადაც 102-ე ებრაელთა სკოლის მასწავლებელი ცები დათიკაშვილი იყო დინჯი, მეთოდიკა მისი ისეთი იყო, რომ ახსნილს თითქოს თავში გიდებდა, ილია შტეინბერგი, რომელიც სახელმოხვეჭილი მათემატიკის მასწავლებელი იყო, ჩემთვის უბედურება აღმოჩნდა. მიყვიროდა. მეშინოდა მისი. ამიტომ იყო, რომ მის საგანში ოთხიანს ვეღარ გავცდი მაშინ, როდესაც სხვა საგნებში წარმატებით ვსწავლობდი.

მე ისეთივე ონავარი თვისებისა ვიყავ და ამხანაგური ჩემს თანაკლასელებთან. მე მსურს შევიხსენო ერთი-ორი ეპიზოდი 1-ელ საცდელ სკოლაში სწავლის პერიოდიდან. ჩვენი ონავრობის გამო ერთხელ ქიმიის მასწავლებელმა დაიბარა ჩემი მშობლები. დედაჩემმა კატეგორიული უარი განაცხადა სკოლაში წამოსვლაზე: „მრცხვენია ჩემი შვილის ცელქობის გამო გამოვჩნდე სკოლაშიო.“ მან არც იცოდა სად იყო ჩემი სკოლა. სამაგიეროდ მამაჩემმა იკისრა სკოლაში მოსვლა. როდესაც ქიმიის მასწავლებელმა — ნინო ვარდი-

აშვილის ქალმა მამაჩემი იხილა, დაავიწყდა ჩემი თავი და საჩივარი ჩემს შესახებ. მოიხიბლა მამაჩემით, ესაუბრა სხვადასხვა საკითხზე და აღარ ათავისუფლებდა. ბოლოს მამას უკითხავს: რა ჩაიდინა ჩემმა შვილმა? ცელქობს, ვიცი... მაგრამ კონკრეტულად რა დააშავა?

ნინომ უპასუხა:

—ბატონო დავით, ნუ სწუხართ თქვენს შვილზე. ჩვენ მას მოვუვლით. ისეთი არაფერი არ არის. ჩვენ მოხარული ვართ თქვენი ნახვით და ვწუხვართ, რომ შეგაწუხეთ.

გაოცებული მამაჩემი დაბრუნდა და არც იცოდა რა ახსნა-განმარტება მიეცა სახლში. სკოლაში კი ქიმიის მასწავლებელი ყოველი შეხვედრის დროს მიღიმოდა და ასე მეტყოდა: „გთხოვ რაიმე ჩაიდინო კიდევ, რომ ვაიძულოთ მამაშენი კიდევ მობრძანდეს ჩვენთან. მოხიბლული ვარ...“ —თავის აღტაცებას თითქმის კლასის წინაშეც ვერ მალავდა.

საერთოდ, ჩვენი ქიმიის მასწავლებელი მკაცრი და მომთხოვნი იყო. ერთხელ კლასმა გადაწყვიტა მისი დასჯა. იმ დროს ქალაქში გადიოდა გახმაურებული ფილმი „უჩინარი კაცი“. დღის სეანსებზე უფრო ადვილი იყო მოხვედრა და ბილეთებიც შედარებით იაფი. სწორედ მისი გაკვეთილიდან გავიპარეთ და წავედით იმ ფილმის სანახავად. მეორე დღეს ჩვენ კლასს სკოლის კარები ჩაგვიკეტეს და აღარ შეგვიშვეს შიგ შენობაში. გამოგვიცხადეს, რომ კლასი დახურულია, ყველა გარიცხულია სკოლიდან და ყოველმა მოსწავლემ სათითაოდ მოიყვანოს მშობელი, რათა გაიტანოს საბუთები და სადაც უნდათ იქ გადაგიყვანონო. ყველა ჩავვარდით საგონებელში. ვიდექით სკოლის ეზოში ერთ დიდ ხესთან. ზოგიერთი მოსწავლე სოფლიდან იყო და ცხოვრობდა ნათესავთან. რა უნდა ექნათ? მეც, როგორც ყველა, საგონებელში ჩავვარდი. მეტი გზა არ მქონდა. წამოვედი სახლისკენ. გამოვუტყდი დედას. აღშფოთებულმა დედაჩემმა იდიშურად იწყო საჩივრის გამოხატვა: —ოი, ვეიზმირ! ოი, ვეიზმირ!.. —თან ხელებს თავში იცემდა: —ეს რა ჩაიდინა ჩემმა შვილმა. სირცხვილით თავი სად გამოვყო...

მამაჩემი იმ დროს თბილისში არ იმყოფებოდა. დედამ, ჩვეულებრივად, უარი თქვა სკოლაში წამოსვლაზე. ამ დროს ოთახში შევიდა გერცელი. მე ისევ სკოლისკენ გავიქეცი. როცა გაიგო საქმის ვითარება, მაშინვე წამოვიდა. მე და ჩემსავით გარიცხული ჩემი თანაკლასელები განვაგრძობდით ეზოს ხის ჩრდილში დგომას. ზემოთ, სკოლაში სწავლა ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. ამ დროს, ვხედავთ, გაიღო სკოლის ჭიშკრის კარი. შემოანათა გერცელმა. ერთი გადმოგვხედა და პირდაპირ გაემართა სკოლის შენობაში შესასვლელი კარისკენ. როდესაც გერცელი სკოლის დირექციაში შესულა, აქაც თითქმის ის სცენა განმეორებულა, როგორიც მამაჩემის იქ გამოჩენას მოუხდენია. სკოლის დირექტორს, როგორც კი გერცელი უხილავს მის კაბინეტში შესული, იქვე უთქვამს ასე: „თქვენს საპატივცემულოდ ვაპატიებთ თქვენს

დაიკოს, ვიცით, რომ იგი მეთაურებმა აიყოლიეს, თორემ თვითონ არ წავიდოდაო."

უკან გამობრუნებული გერცელი მოგვიახლოვდა ჩვენ, იქვე, ეზოში ხესთან მდგარ მოსწავლეებს და ის იყო უნდა ეთქვა ჩემთვის, რომ მე მაპატიეს. შემიძლია ავიდე მაღლა და დავჯდე ჩემს მერხზე კლასში. მაგრამ მან არაფერი თქვა. ხმაც არ ამოუღია. ყველას გადახედა ჩუმად და იქვე ხმაამოუღებლად გაბრუნდა უკან... დირექტორის კაბინეტისკენ.

გერცელი მეორედ ვიხილეთ სკოლის შენობიდან გამოსული. ჩვენსკენ აღარ გამოუხედია, ისე გაემართა ეზოს ჭიშკრისკენ. საიდანაც გავიდა გარეთ.

შემდეგ შევიტყვეთ მისი მისიის შედეგები. გერცელს დირექტორისათვის მიუმართავს:

—პატივცემულო, გთხოვთ ნუ აღადგენთ მარტო ჩემს დას. იქ ეზოში მყოფი მოსწავლეები ყველა ერთნაირად დამნაშავეები არიან. თუ აღადგენთ სასტიკი გაფრთხილებით მთელ კლასს, მაშინ იქ ჩემი დაც იქნება ნაპატიები. ჩემი და სხვაზე უკეთესი არ არის, რომ მარტო ის გამოარჩიოთ და დაუშვათ თქვენს სკოლაში!

დირექტორს გერცელისათვის პირობა მიუცია, რომ გამონახავდა კომპრომისს და არ დააზარალებდა არც ერთ მოსწავლეს. ასე და ამგვარად, სასტიკი გაფრთხილებითა და საყვედურის გამოცხადებით აღდგენილ იქნა მთელი კლასი.

ეს ის პერიოდი იყო გერცელის ცხოვრებაში, როცა მეტად პოპულარული იყო საზოგადოებაში. ნეტავ ასეთი არ ყოფილიყო და შეიძლება მაშინ აღარ დაღუპულიყო. ნუთუ აქაც მართლა განგების ხელია, რომ ღმერთს მართლა გამორჩეულები უყვარსო და ამიტომ ისინი ნაადრევად მიჰყავს ამქვეყნიური ცხოვრებიდანო. მე მეამაყებოდა გერცელის საქციელი. მახსოვს, როდესაც ჩვენ, სკოლის მოწაფეებს გერცელი შემოგვხვდებოდა გზაზე, მოწაფეები გაიწგამოიწეოდნენ და ერთი ადამიანის კი არა მთელი ათი ადამიანის გზას უთმობდნენ; შეჰყურებდნენ მოჯადოებულნი, როგორც სხივოსან მზეს; ლურჯი თვალებისა და გაცისკროვნებული პირისახის პატრონს. ჩემი თანაკლასელები არ ივიწყებდნენ და თაყვანს სცემდნენ. რატომ ინება ასეთი ადამიანის დასაღუპად გაწირვა იმ დიდმა ღმერთმა?!

# სხვათა მოგონებები

## ახალგაზრდა დავიდ ბაბაზოვზე

ჩვენი ბინიდან მეორე გასასვლელი ეზოში – შუშაბანდის მხრიდან – მაგისტრალური ქუჩის (მაშინ სომხის ბაზრის, დღეს – ლესელიძის ქუჩის) პირას გადიოდა. გასასვლელიდან რამდენიმე კიბე უნდა ჩაგვევლო. ზემო კიბის კუთხეში ჩვენი ბებია სიფორას საყვარელი ადგილი იყო ჩამოსაჯდომად. აღნიშნულ ეზოში იყო აგრეთვე ცხინვალელთა სალოცავში ასასვლელი კიბე. ამგვარად, ბებია სიფორას თვალწინ მიდიოდნენ მლოცველები, რომლებსაც, თითქმის უმრავლესობას, იცნობდა.

### ქალთა კრება

სალოცავად მოსულ ქალებს რატომღაც უყვარდათ ბებია სიფორასთან შეჩერება, იქვე მის გვერდით ჩამოჯდომა და მუსაიფი. ეს მათთვის იქცა ტრადიციად. უფრო ხშირად სპეციალურად მოდიოდნენ ბებიასთან სასაუბროდ. საშაბათოდ იცვამდნენ სპეციალურ კარგ ტანსაცმელს და აბრეშუმ თავსაკრავიანები სხდებოდნენ ბებიის გარშემო. ჩემთვის ეს იყო სასჯელი, რამეთუ შიგ გასავლელშიც სხდებოდნენ და მე ვეღარ ვახერხებდი ეზოში ხშირად გასვლას ბავშვებთან სათამაშოდ. მოხუცი მანდილოსანი ქალები ერთმანეთს უზიარებდნენ ახალ ამბებს, რომლებსაც ისმენდნენ თავიანთ ოჯახებში, თავისივე შვილებისაგან. მათი შვილების უმრავლესობა ვაჭრობით დაკავშირებულნი იყვნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებთან და მათ ჩამოჰქონდათ ამბები. ხშირად მათ მიერ ჩამოტანილი ცნობები წინ უსწრებდა გაზეთებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას. როდესაც შინ შემობრუნებული ჩვენი ბებია ჩვენს მამა დავითს მოუთხრობდა გაგონილ ამბებს და შემდეგ ადგილობრივ გაზეთებში ამოიკითხავდა იგივე ცნობას ინფორმაციის სახით, გაოცებული რჩებოდა მამა. მისი დედა, რომელიც სახლის კარს არ სცილდებოდა, მეტად საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა მას.

მოხუც ქალთა შეკრებულობას ჩვენი ბინის შესასვლელში მე მაშინ ყურადღებას როდი ვაქცევდი. ხანდისხან ყურს მოვკრავდი რაღაცას და მეც უნებლიეთ შევჩერდებოდი მათ მიერ უცნაური ამბების თხრობის გამო. ყოველთვის მეგონა, რომ ისინი რიგრიგობით რაღაც ზღაპრებს უამბობენ ერთმანეთს. მეტადრე თუ საუბარი ეხებოდა ჩვენს მამა დავითს. დარწმუნებული

სურათზე: ქარცხნიდან

ბებია სიფორა, გერცელი, მამა, მეირი, ჰოლინა, დედა

ვიყავი, რომ ისინი თხზავდნენ ზღაპრებს და არ მიმაჩნდა საჭიროდ ყოველთვის დამეგდო ყური. მერჩივნა როგორღაც გარეთ გამეღწია ბავშვებთან სათამაშოდ. მაგრამ, აი, ჩემი მესამე ძმა – მეირი კი თურმე დიდი ინტერესით უგდებდა მათ ყურს, მაგრამ არ უჩვენებდა, რომ იგი დაინტერესებული იყო მათი საუბრით. მეირს ჩვეულებად ჰქონდა ბინაშიც და შუშაბანდშიც წინდაუკან სიარული, რომლის დროსაც იგი რაღაცას ფიქრობდა. იგი არავის უნახავს უწიგნოდ. გადაშლილი წიგნით ხელში (წიგნი მეტწილად ძველებრაულ ენაზე იყო. მე შემთხვევით შემომენახა რამოდენიმე მისი ივრითული წიგნი – ასტრონომიის, გეომეტრიისა და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ). გადაშლილ წიგნში ედო ფურცლები, ყურზე გადებული ჰქონდა მედურგლესავით ფანქარი და დროდადრო აკეთებდა ჩანიშვნებს ან წიგნში ან ფურცლებზე. მის ასეთ ფორმას ყველა მიჩვეული იყო და არვინ აქცევდა ყურადღებას. მაგრამ არავინ იცოდა, რომ შუშაბანდში წინდაუკან სიარულის დროს ეშმაკურად უსმენდა მოხუც ქალთა საუბარს და აღინიშნავდა იმას, რაც მიაჩნდა საჭიროდ. ჩვენდა სამწუხაროდ, მწარე დღეებისა და უბედურებების დროს ბევრი რამ – მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ფოტოსურათები და სხვა მასალა გადაიკარგა და მათ შორის მეირის ჩანაწერები. დღეს რომ ისინი ხელთ გვქონოდა, ბევრი რამ გვეცოდინებოდა ჩვენი წარსულისა და მეტადრე მამის შესახებ.

მე პირადად ის, რაც მათი მონაყოლიდან მაშინ ზღაპრად მიმაჩნდა, ზოგიერთმა ახალამოსულმა ქართულენოვან გაზეთებში („იმედი“, „ალია“) მოათავსეს – მოგონებები მამაზე, რითაც დაადასტურეს ჩემს ბავშვობაში ჩვენი ბინის შესასვლელთან ბებიას ამხანაგ ქალთა კრებაზე მოსმენილი.

## როგორ გადაურჩა ჩამოხრჩობას

მანდილოსან ქალთა შეკრებებზე ბევრი რამ იქნა თქმული. როგორც აღვნიშნე, მეირი შეუმჩნეველად უსმენდა... მეგონა, ბებერი ქალები თავს ირთობენ ბევრი ლაპარაკით. მიუხედავად ამისა ერთი ამბავი მაინც ჩამრჩა მეხსიერებაში, მით უმეტეს, რომ ბებია სიფორა არაერთხელ იგონებდა და გვიყვებოდა ხოლმე.

ვინც იეშიბოთს ამთავრებდა, ოფიციალური საბუთის – ე. წ. სარაბინო წოდების დიპლომი (შოხეტობისაც) პეტერბურგში უნდა მიეღო. საბუთების მომზადება, როგორც ჩანს, ისე ჩქარა არ ხდებოდა. ამიტომაც იეშიბოთდამთავრებული დ. ბააზოვი საქართველოში მობრუნებულა (რამდენი დრო გავიდა, ბებიას არ უთქვამს). გარკვეული დროის განვლის შემდეგ დავიდ ბააზოვს მოსვლია პეტერბურგიდან მოწვევა სარაბინო დიპლომის მისაღებად. ჩვენს ბებიას არასოდეს უთქვამს როდის მოხდა ეს ამბავი (მან თავისი წლოვანებაც არ იცოდა).

ბებია: –ყველამ გაიგო, რომ ჩემი შვილი დავიდი პეტერბურგს მიემგზავრება რაბინობის ცნობის მისაღებად. მაგრამ სანამ ჩემი შვილი ადგილზე ჩავიდოდა, მტერმა და დუშმანმა (ბებიას თქმით, ეს მტრები იყვნენ ზოგიერთი ხახმები) მას დაასწრო და პეტერბურგის ჟანდარმერიისათვის სასწრაფო დეპეშა გაუგზავნია. დეპეშით ატყობინებდნენ. მანდ მალე ჩამოვა ესა და ეს კაცი. ის საშიშია, აპირებს რუსეთის მეფეზე თავდასხმას. მოდის მეფის მოსაკლავადო. ჩემი დავითი პეტერბურგში ჩასვლისთანავე, იქვე შეუპყრიათ ჟანდარმებს და დილეგში გამოუმწყვდევიათ. მათი განზრახვით მეორე დილით უნდა ჩამოეხრჩოთ ან დაეხვრიტათ. მთელი ღამე ბნელაში ჰყოლიათ გამომწყვდეული, –აღნიშნავდა ბებია. შუაღამისას დავიდს მოესმა ღმერთის ხმა: –კაცო, კაცო! მარჯვნივ თხელი კედელია, გაანგრიე ის და, თუ ცურვა იცი, მდინარეზე გახვალო. მართლა ღმერთის ჩაძახილი იყო თუ ღვთისნიერი ადამიანის ხმა, ვინ იცის! ფაქტია, რომ, ბებიის თქმით, დავიდს მართლა გამოუნგრევია კედელი. მდინარე ნევის მხრიდან მთვარეს შეუნათებია. დავითი მდინარეში გადამხტარა და ამის შემდეგ ცურვით სამშვიდობოზე გასულა.

ქალებისა და ჩვენი ბებიის მიერ არაერთგზის მოყოლილი ამ ამბის შესახებ მე არავითარი მტკიცებითი საბუთი არ გამაჩნია, მაგრამ სახლში უფროსების, განსაკუთრებით ჩვენი მამიდების გადმოცემითაც მართლა ყოფილა დასმენის შედეგად მისი მოკვლის მცდელობა პეტერბურგში სარაბინო დიპლომის აღების დროს.

ფანის გადმოცემით, ჩვენს მამას, დავიდ ბააზოვს მიანიჭეს კაზიონური ანუ საზოგადოებრივი რაბინის წოდება.

## ადიდებულ ლიახვში

მეორე ამბავი, რომლის შესახებაც ჩემს ხელთ არის მტკიცებადი საბუთი, ვერცხლის მედალი რუსეთის იმპერატორის თავის გამოსახულებით, რომლითაც დაუჯილდოებიათ ყრმა დავიდ ბააზოვი მამაცობისათვის.

ყრმა დავითი მჯდარა თავისი სახლის სარკმელთან და კითხულობდა თორას. უცებ გარედან მოესმა ხალხის კივილი. უხმობდნენ მაშველს, რათა ეხსნა აბობოქრებულ ლიახვში მოხვედრილი ცხენიანი კაცი. ყველა წიოდა და კიოდა, მაგრამ ვერავის გაუბედავს მდინარეში გადახტომა და მათი დახსნა. ყვირილზე დავითი გადამხტარა ფანჯრიდან და შემდეგ პირდაპირ მდინარეში ჩამხტარა, დაუვლია ხელი აღვირისათვის და კაცი ცხენთან ერთად გამოუყვანია სამშვიდობოზე. ეს უკვე აღარ იყო ზღაპარი. ბებიისა და მისი ამხანაგი ქალების გადმოცემით, ამბავი გახმაურებულა. თავად იმ გადარჩენილ ქართველს უცნობებია თბილისის გუბერნატორისათვის. მას, თავის მხრივ, მოუხსენებია მეფისნაცვლისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს მომხდარი ფაქტის შესახებ შეუტყობინებია პეტერბურგში. იქიდან დავიდ ბააზოვის სახელზე მოსულა ვერცხლის მედალი ნიკოლოზის თავის გამოსახულებით. ეს იყო ჯილდო მამაცობისათვის. (ეს ამბავი ფანისაც აქვს მოთხრობილი თავის მემუარებში. იხ. «Памяти Фани Баазовой». გვ. 18–19). აღნიშნული მედლის ფოტოპირს ვურთავ ჩემს ნაწერს.




მედალი, რომელიც მიუღია დავით ბააზოვს

საერთოდ ბებია და მისი მეგობარი ქალები თავის თავშეყრილობაზე აღნიშნავდნენ, რომ დავიდ ბააზოვს არაჩვეულებრივად ეხერხებოდა ცურვა. და ამასთან დაკავშირებით მოჰყავდათ კიდევ მეორე ფაქტი, რომელსაც, უკვე მოგვიანებით, ადგილი ჰქონია ქ. ფოთში. აქაც უხსნია კაცია დახრჩობისაგან და ამისთვის დაუჯილდოებიათ ტროსტით და ჩალის ქუდით. რომ გითხრათ სიმართლე, არავითარი ტროსტი და ჩალის ქუდი ჩვენს სახლში არ შემონახულა. იქნებ ამიტომაც, არც ფანი აღნიშნავს ამის შესახებ და მეც ვერ დავასაბუთებ ამ შემთხვევას.

რაც შეეხება ქალების მიერ მოყოლილ ამბებს, რაც მე მაშინ მათ მიერ გამოგონილ ზღაპრებად მიმაჩნდა, შემდგომში თითქმის ყველა დადასტურდა. ჯერ კიდევ ფანიმ ( პ კ ) ისრაელში ამოსვლის წინ და შემდეგ აქაც, ადგილზე შეაგროვა არაერთი წერილობითი საბუთი. ფანის გარდაცვალების შემდეგ მეც ამ მიმართებით შევაგროვე მასალა. აქ ლაპარაკია თუ როგორ იხსნა დავიდ ბააზოვმა აწყურში და ახალციხეში ებრაელები და სხვა ეროვნებების ადამიანები დახოცვისაგან, ძირითადად, 1918 წელს. ზოგიერთ მათგანს წარმოგიდგენთ დაბლა.

## ებრაელებს ეკრძალებათ პარასკევს ყიდვა

1976 წელს გაზეთ „იმედის" 27 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა შიმყონ ხახიაშვილის მოგონება*) მამაზე. მან ეს წერილი უძღვნა მამის ხსოვნას, რომელიც იმ პერიოდში აღინიშნებოდა.

შ. ხახიაშვილი თავის წერილში იგონებს მამის ონში მოღვაწეობის ერთ-ერთ ფაქტს.

„მეფის რუსეთის ხელისუფლების პერიოდში, —აღნიშნავს ავტორი, —ონის მამასახლისმა ვინმე კარაპეტიანმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც დღის ორ საათამდე ებრაელ მოსახლეობას ეკრძალებოდა პროდუქტების ყიდვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ შაბათისათვის ჩვენს ხალხს სასმელ-საჭმელის წინასწარ მოუმარაგებლობის გამო მარხულობა მოუხდებოდათ. ონში ბაზრობა კი მხოლოდ ერთხელ იყო, ისიც პარასკევობით."

რაბი დავიდ ბააზოვი ბევრი ესაუბრა და უმტკიცა მამასახლისს, რათა გაეუქმებინათ ეს გაუმართლებელი ბრძანება, მაგრამ ვერაფერს მიაღწია უგუნურ ადამიანთან. მიიღო უარი.

იმ დროისათვის ონში შემთხვევით ჩასულა ქუთაისის გუბერნიის უფროსი (ონი ექვემდებარებოდა ქუთაისს). რაბი დავიდ ბააზოვი ახლა მასთან მივიდა და თავისი ჩვეული გამჭრიახი აზროვნებით და ხალხის სახელით სთხოვა ბრძანების გაუქმება. გუბერნიის უფროსმს შეუსრულა თხოვნა. ამის შემდეგ ცხოვრება თავისი რუტინით წავიდა. რამდენიმე თვეში შეიქმნა დროებითი მთავრობა და რაბი დავიდ ბააზოვი დანიშნული იქნა ონის მამასახლისად,

* წერილი სრულად ქვეყნდება აქვე, განყოფილებაში „დავიდ ბააზოვი"

ვინაიდან ონის მოსახლეობის 85 % ებრაელები შეადგენდნენ. ამ პერიოდში დავიდ ბააზოვს მიუმართავს ონის ჯამაათისათვის:

„პატივცემულო ჯამააათნო, ძმებო, მამებო, შვილებო! დადგა დრო თქვენს ოჯახებს მისცეთ განათლება და თქვენი დაჟანგული არშინები დაამტვრიეთ და გადაყარეთო.“

შემდეგ წერილის ავტორი აღნიშნავს, თუ როგორ ესტუმრა რაბი დავიდ ბააზოვი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ – 1946 წელს ონის საზოგადოებას და როგორ გამოვიდა ჯამაათის წინაშე ვრცელი მოხსენებითო!

## თავისა და ხალხის დახსნა „მხსნელი არმიისაგან“

დაუნდობელმა სიკვდილმა წაგვართვა ფანი. მან ვერ მოასწრო 20-იანი წლების მოვლენების სრულყოფილად აღწერა. რასაც მე მოგითხრობთ, მხოლოდ ოჯახის წევრთა გადმოცემით მახსოვს. ვეცდები ვიყო ობიექტური. არავითარი ზედმეტი სიტყვა, რაც არ მსმენია, აქ ჩემი მხრიდან არ დაემატება. უთუოდ ფანი, რომელიც ცოცხალი მოწმე იყო თავის თანამედროვე მოვლენებისა, თავისი კაზმული სიტყვით ყოველივეს საინტერესოდ გადმოგვცემდა. ჩემს მიერ მოთხრობილს უთუოდ სქემატური სახე ექნება.

1921 წელს, ზამთარში წითელმა არმიამ გადმოლახა მამისონის უღელტეხილი და შევიდა საქართველოში, პირველ რიგში რაჭაში. დამშეული, ნაგლეჯსამოსიანი, სიცივისაგან გათოშილი ჯარის დანახვაზე ონის მოსახლეობა დამფრთხალა და იქვე ყველა შინ ჩაკეტილა. არსად საჭმელ-სასმელი არ იშოვნებოდა. პირველ რიგში, რაც „განმათავისუფლებელმა“ წითელმა არმიამ გააკეთა, ის იყო, რომ დააპატიმრა და დილეგში ჩაყარა ყველა ეჭვმიტანილი მტერი, ე.წ. „თეთრხელებიანები“. მათ კატეგორიაში მოხვდნენ კულტის მსახურნი და მათ რიცხვში მამაჩვენი – რაბინი დავიდ ბააზოვი. პატიმართა უმრავლესობა დასახვრეტად ყოფილა განწირული. იგივე ხვედრი ელოდა ჩვენს მამასაც. აღნიშნული მოვლენები გერცელს შესანიშნავად აქვს აღწერილი თავის რომან „ფეთხაინში“.

ამგვარად, დ. ბააზოვი, განწირულ მსხვერპლთა შორის, ბნელ დილეგში ყოფილა გამომწყვდეული. გარეთ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. დამფრთხალი ხალხი გარეთ თავს არ ყოფდა. მაგრამ დამშეულ ჯარს ჭამა სჭირდებოდა. რა ექნათ! ეძებდნენ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან.

არ მახსოვს ითქვა თუ არა ოჯახში სახელები იმ ადამიანებისა, რომელთაც წითელი არმიის უფროსებისათვის მიუმართავთ: „თქვენ გამომწყვდეულთა შორის გყავთ კაცი, რომელსაც შეუძლია თქვენ დაგეხმაროთ... ის გავლენიანი კაცია და მისი სიტყვა სჭრისო.“ ასეთნაირად გადარჩენილა მაშინ ჩვენი მამა სიკვდილს. მამას ჯარის ნაწილის გარკვეული ჯგუფი თავის სახლში წაუყვანია.

ბერცელ ბაკაზოვი



# ფეოსეთი



სახელგამი

1935

დაუთმია მთელი მეორე სართული. თვითონ თავისი ცოლ-შვილით დაბლა სართულის ერთ ოთახში მოთავსებულა. დ. ბააზოვის მაგალითისათვის მიუბაძავთ ონის მოსახლეობას — ებრაელს თუ ქრისტიანს. ჯარს სურსათ-სანოვაგითაც დახმარებიან, რის შედეგადაც სხვაც ბევრი სიკვდილმისჯილი სიკვდილს გადარჩენია „მხსნელი წითელი არმიის " ხელისგან.

## ყუთში ჩალაგებული ტანსაცმელი

ბინის ერთ კუნჭულში ერთი მრგვალი, ნახევრად შეხსნილი, ტყავის ღვედ-ით შეკრული მუყაოს ყუთი იდგა. დედა ამ ყუთს ხანდახან ახდიდა თავს, ამოალაგებდა შიგ მოთავსებულ ნივთებს — ტანსაცმელს, ქუდებს, ფეხსაც-მელებს, გაამზეურებდა-გაანიავებდა და ისევ ჩაალაგებდა. დააყრიდა ნავთა-ლინს და ისევ შეკრავდა.

ერთხელ დედას ვკითხე:

—რად გინდა აქ ასე ყველაფერი ჩალაგებული, როცა ოთახში კარადა გვაქვს და იქ ბევრი ადგილია?

—ო, შვილო, ახლა ნუ მკითხავ ნურაფერს და შეიძლება სხვა დროს აგი-ხსნა.

გადიოდა დრო და ის ყუთი ისევ შუშაბანდში იდგა. ერთხელ დედას ისევ ვკითხე:

—ვისთვის გინდა ეს ტანსაცმელი? ვინმეს უნდა გაუგზავნო?

დედა: ეჰ, შვილო, ეს გასაგზავნი არ არის. ჩვენ თვითონ ვაპირებდით გამგზავრებას იქ, ერეც-ისრაელში. მე, ჩემის მხრიდან, ყველაფერი გავამზადე; თეთრეული გარეცხილი, გაუთოებული, დაწნულ ყუთებში იყო ჩალაგებული. ველოდით ნებართვას. მაგრამ ბოლოს მამას არ დართეს გამგზავრების უფ-ლება. ასე და ამგვარად, ჩავრჩით აქ. მე მაინც იმედს არ ვკარგავ... გამზადებულ ნივთებს ხელს არ ვახლებდი. ღმერთია პატრონი, იქნება კიდევ გაგვიღიმოს ბედმა...

გადის დრო და ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა.

## ქაშერი ღვინო

მოკლედ გიამბობთ ამბავს, რომლის შესახებაც მე მხოლოდ მსმენია, მტკი-ცებითი საბუთი კი არ გამაჩნია.

20-იან წლებში თბილისის ებრაელთა უბანში, კერძოდ სომხის ბაზრის (დღეს ლესელიძის ქ.) პირას, ახალციხელთა ლოცვის მარცხენა მხარეს — ორსართულიან სახლში გაუხსნიათ კოოპერატივი, სახელწოდებით „ქაშერი". კოოპერატივ „ქაშერში" მამას გამყიდველად მიუწვევია მეტად ავტორიტეტული და პატიოსანი პიროვნება — ბანძის რაბინი დავით აჯიაშვილი. მაგრამ საქ-

მისათვის მარტო პატიოსნება როდი იყო საკმარისი. დ. აჯიაშვილს, ისევე, როგორც დ. ბააზოვს, სულ არ გააჩნდა ვაჭრობის ცოდნა და გამოცდილება. ამის შედეგი იყო ის, რომ ამ ორი დავითის წამოწყება გაკოტრებით დამთავრებულა. მათ ღმერთისათვის მადლობა უნდა ეთქვათ, რომ საციხოდ არ გაუხდათ საქმე – დ. ბააზოვს სავაჭრო დარგში გამოუცდელობისა და უცოდინარობის, ხოლო დ. აჯიაშვილს თავისი მოძმე ებრაელებისადმი მეტისმეტი ნდობის გამო. დ. აჯიაშვილი ებრაელთა ქუჩაზე გახსნილ კოოპერატივში უხმობდა ყველას. მყიდველთა უმრავლესობას ნისიად მიჰქონდა პროდუქტი. ამ მყიდველების საკმაოდ დიდი ნაწილი განაღდებაზე იშვიათად თუ იფიქრებდა. გადმოცემით, დ. აჯიაშვილს დანაკლისი ხშირად საკუთარი ჯიბიდან შეუვსია. მალე კოოპერატივში გამოილია ქაშერი ღვინო (ღვინოს ერეც-ისრაელიდან იღებდნენ), ძეხვი, ხორცი და სხვა პროდუქტი. საქმე ჩაშლილა. ორივე დავითი გადარჩენილა ადმინისტრაციული სასჯელით.



რაბი დავით აჯიაშვილი
(1886-1945)

ზემოაღნიშნული ეპიზოდი, მახსოვს, ჩვენს ოჯახში ირონიულ ღიმილს იწვევდა.

## „ქარმელიდან“ - „ახალ გზამდე“

როგორც ცნობილია, მამას არ მისცეს ისრაელში სამუდამო საცხოვრებლად გამგზავრების უფლება. საბჭოთა ხელისუფლების პირისპირ დარჩენილი რაბინი დავიდ ბააზოვი, თავისი თემის კულტურულ-რელიგიურ აღორძინებას მეცადინეობდა. ამ მიზნით, ქართველ ებრაელთა მესვეურებთან ერთად, არაერთ ქმედით ღონისძიებას ატარებდა. ერთ-ერთი ამათგანი გახლდათ ქაშერი ღვინის წარმოება, რომელსაც უწოდა „ქარმელი“. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო 30-იან წლებში. ღვინის წარმოება „ქარმელი“ დაკომპლექტებული გახლდათ ქართველი ებრაელი მშრომელებით. მათ შორის გამოირჩეოდნენ ყაზარო მამისთვალოვი, შიმყონ დავარაშვილი, ბიძაჩემი შელომო ბააზოვი და სხვები. ერთი არაებრაელი, სომეხი გრიშა სარიანიც (საქართველოში – სარიშვილი, რუსეთში – სარეიევი) იყო ღვინის წარმოების სპეციალისტი და სარეალიზაციო აგენტი, – ღვინო გაჰქონდათ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ქალაქებში. რაც მთავარია, ეს ადამიანი – სარი-

ევი – იყო მეტად პატიოსანი და მამისადმი პატივისცემით გამსჭვალული პიროვნება. მან ეს დაამტკიცა მაშინ, როცა მამა პატიმრობაში, ჩვენი ოჯახი კი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვი ჩვენი თემის ზოგიერთ წარმომადგენელზე. ისინი ადრე მეგობრებად მიგვაჩნდა, მაგრამ ამ დრამატულ დღეებში მოგვექცნენ როგორც მტრები.

ქაშერი ღვინის წარმოება მოთავსებული იყო თბილისის ცენტრალურ ნაწილში – ველიამინოვის ქუჩაზე (ახლა დადიანის ქ.), რომელიც გადიოდა თავისუფლების მოედანზე.

ხელისუფლების ორგანოებს კარგად ესმოდათ სიტუაცია, რომელშიც რაბინი დ. ბააზოვი აღმოჩნდა. იცოდნენ, რომ დ. ბააზოვი თავისი სულისკვეთების ერთგული რჩებოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მას სისტემატურად ადევნებდნენ თვალ-ყურს. ყოველი მისი საქმიანობა თუ ნაბიჯი ფიქსირებული გახლდათ გარკვეულ ორგანოებში და ასე გრძელდებოდა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კვლავ მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

ქაშერი ღვინის წარმოება მოთავსებული იყო სარდაფში. გამოსასვლელი ჰქონდა საფეხურებით ველიამინოვის ქუჩის ტროტუარზე. ამოსასვლელის ზემო ნაწილზე გაკრული იყო წარმოების აბრა „ქარმელი“.

ორგანოების კაცი ყოველდღე უთვალთვალებდა წარმოებას: თურმე გაკვირვებული შესცქეროდა აბრას „ქარმელი“. ერთხელ ამ მეთვალთვალეს წარმოების ერთი თანამშრომელი შეუჩერებია და უთქვამს:: „გადაეცით თქვენს პატივცემულ დავითს, რომ აქ შეცდომაა. ალბათ, არ მიუქცევია ყურადღება. უთხარით გაასწოროს... უნდა ეწეროს „ქარელი“ და არა ეს რაღაც რომ წერია.“ ამ თანამშრომელს ჩასცინებია და მეთვალთვალისათვის ახსნა-განმარტება მიუცია: „პატივცემულო მეგობარო... აქ არავითარი შეცდომა არ არის დაშვებული. ბატონ დავით ბააზოვს არაფერი ეშლება. მან ღვინის წარმოებას დაარქვა – ქარმელი. ეს გახლავთ მთა ერეც-ისრაელში. ამ მთა ქარმელზე იზრდება ვაზი, რომლისგანაც ებრაელები ღვინოს სწურავენ.“ ამ ახსნა-განმარტების შემდეგ მამა გამოიძახეს ორგანოებში, სადაც კატეგორიულად გააფრთხილეს, „ქარმელი“ შეეცვალა საბჭოური შინაარსის სახელწოდებით. ამის შემდეგ წარმოებას დაერქვა „ახალი გზა“.

ის თანამშრომელი, რომელმაც ორგანოების თანამშრომელს ახსნა-განმარტება მისცა, მოგვიანებით, როცა მამა პატიმრობაში აღმოჩნდა, სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოიძახეს, და ამ მოწმეს სხვა არაფერი ჰქონდა სათქმელი მამის საწინააღმდეგოდ, გარდა იმისა, რომ „დავით ბააზოვი – შაბათს ხელს არ აწერდა დოკუმენტებს.“

სამაგიეროდ, დღეს ამ ადამიანის შთამომავლობა მრავლადაა ისრაელში და სწორედ იმ ქარმელის მთაზე ცხოვრობს, სადაც ყურძენიც ხარობს და სხვა სიკეთეც.

## ელო ძია

ძველი თბილისის ერთ მთავარ მაგისტრალურ ქუჩას დღეს ლესელიძის სახელი ჰქვია. ჩემი ადრეული ბავშვობის პერიოდში ამ ქუჩას სომხის ბაზარი ერქვა. სომხური ეკლესიის გვერდით, კუთხის სახლის ქუჩისპირა დაბლა ნაწილში ელო ძიას ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო ჰქონდა. მე მიხაროდა, რომ ოჯახიდან ფეხსაცმლის შესაკეთებლად მგზავნიდნენ მასთან. ელოს სახელოსნოს კედლებზე გაკრული იყო ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ფერადოვანი სურათები; კედლები აჭრელებული იყო. ამიტომ მერჩია ფეხსაცმლის შეკეთებას იქ დავლოდებოდი, ვიდრე წამოვსულიყავი. მიტაცებდა იმ სურათების თვალიერება – სახელოსნოში მარტო მე როდი ვიყავი. იქ, როგორც წესი, თავს იყრიდა სომეხთა თავკაცობა: თითქოს იქ სათათბირო ჰქონდათ შექმნილი.

ერთხელ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ძიას „სათათბირომ“ უცებ შეწყვიტა ჩვეული საუბარი და სათითაოდ, სწრაფად იწყეს გარეთ გასვლა. უნებლიედ გავაყოლე თვალი. ვხედავ, ტროტუარზე ჯოხით ხელში, ნელი ნაბიჯით მოდის მამაჩემი. სახელოსნოდან გარეთ გასულნი მამას შემოეხვივნენ, ვინ მის წინ მუხლებზე დაიჩოქა და კალთას ეამბორებოდა და ვინ – ხელს. მამა მათ ხელს თავზე ადებდა, იღიმებოდა და, მგონი, ლოცავდა. ამ სანახაობას გაშტერებული შევცქეროდი – მამა ოჯახში სათაყვანებელი გვყავდა, მაგრამ თუ იგი გარეთაც უყვარდათ, არ ვიცოდი. პირველ რიგში მე გავიფიქრე, რომ ამ კაცებს რაღაც ეშლებათ, შეცდომით სხვა პიროვნებად მიიღეს-მეთქი. მალე გარსშემოხვეულმა სომხებმა რკალი მოხსნეს და მამა ჩვეული სიდინჯით გაუდგა გზას. ელო ძიას „სათათბიროს“ კაცები სახელოსნოში შემობრუნდნენ დარცხვენილი ვიდექი კუთხეში. დავძლიე ჩემი მორცხვობა და მივმართე მათ:

–თქვენ ცდებით, თქვენ არ იცით, რომ ის ჩემი მამაა... ის არ არის „ნაჩალნიკი“, არც ვინმე დიდი თანამდებობის პირი, ის მამაჩემია... თქვენ გეშლებათ.

ყველამ სიცილი დაიწყო:

–ო, პატარავ, მართლა მამაშენია?! ბოდიში! –დამცინავი კილოთი მეუბნება ერთი მათგანი, –არ ვიცოდით.

–აი, შენ თუ იცი ვინ არის მამაშენი? –ამის მთქმელმა ხელის თითები პირთან მიიტანა და მითხრა: –ამ პირში თუ დღეს ჩვენ სული გვიდგას, ეს მამაშენის დამსახურებაა. მან ჩვენი სიცოცხლე იხსნა. გადაგვარჩინა სიკვდილს.

ისრაელში ჩამოსვლის შემდეგ არაერთმა დოკუმენტმა დამიმტკიცა ის ფაქტი,

რომ მამაჩემს 1918 წელს სიკვდილისაგან გადაურჩენია ებრაელები, სომხები, თავად ქართველები და სხვები.

ამის შესახებ თბილისიდან ფანიმ ჩამოგვიტანა გენერალ მაღლაკელიძის მოგონე-ბა დავით ბააზოვზე, ხოლო ისრაელში შეგროვილ იქნა ცურ შალო-მის ხახამ ყვითელაშვილის და სიმონ ბათოშვილის მოგონებანი; აგრეთვე აკოშვილების ოჯახზე ნათქვამი და დაბეჭდილი გაზ. „ალიაში“.

# ადამიანის ბედ-იღბალი გარდუვალია?

არ გრცხვენია, ბიჭო სესე,
ქვებს რომ ესვრი ჩიტებს ესე?!

ზოგს ბავშვობა მეტად მძიმე შეხვდა, დაიტანჯა და დაიჩაგრა. შემდეგ ზრდის პროცესში, ან უფრო მოგვიანებით, სადღაცას, ცხოვრების რომელიმე საფეხურზე ბედმა გაუღიმა. ნიჭით ან რაიმე სარფიანი საქმით, შემთხვევით თუ კანონიერი გზით ხდება სახელმოხვეჭილი, მატერიალურადაც გაძლიერებული. ასეთების მაგალითები ცოტა როდი მოგვეპოვება საზოგადოების ისტორიაში.

იბადებიან საწინააღმდეგო ბედ-იღბლის ადამიანებიც. ასეთები იზრდებიან უღრუბლო ცის ქვეშ, დაბადებიდანვე არიან უზრუნველყოფილი ყველანაირად, არასდროს აწყდებიან წინააღმდეგობებს და ასეთი მდგომარეობა ასეთებს მიაჩნიათ ნორმალურად, რომ ის, რაც აქვს, ეს ასეც უნდა იყოს. ლაღობს და დანავარდობს ისე, როგორც ცაში ფრინავს ფრინველი და არ იცის, რომ მას მოელის ორფეხა არსებიდან ნასროლი ქვა ან ტყვია და დაანარცხებს ძირს.

ბავშვობა მქონდა ლაღი, უდარდელი. დავნავარდობდი უღრუბლო ცის ქვეშ. გარემოს აღვიქვამდი ვარდისფერ ჩარჩოში გახედვით. რომ იტყვიან, ცა ქუდად მიმაჩნდა და მიწა ქალამნად. მამისეულ სახლში ვიყავი განებივრებული ბავშვი; ალბათ ოჯახში დანერგილი ჰარმონია განაპირობებდა ჩემს უდარდელ ხასიათსაც. დედ-მამამ ჩაგვინერგა ურთიერთ სიყვარული და პატივისცემა. თუმცა თვითეულ ჩემს და-ძმას თავისი საკუთარი პრინციპულობა გააჩნდა. ეს მათ ხელს არ უშლიდა და ერთმანეთთან მტკიცედ იყვნენ შეკავშირებულნი. გაჭირვების დროს თავდადებულნი იყვნენ ერთმანეთისადმი.

არასდროს გამიგონია სახლში ყვირილი, ჩხუბი, წყევლა, უხეში სიტყვა, მუქარა ვინმეს მიმართ. აკრძალული იყო ქუჩური სიტყვების გამოყენება. მამისეული სახლი მუდამ ღია იყო გაჭირვებულთათვის. საერთოდ ჩვენი ოჯახი იყო სტუმართმოყვარე. ფუფუნებითი ცხოვრება არ გვქონდა, მაგრამ არც რაიმე დაგვკლებია როდისმე. და თუ გვაკლდა — საჭმელი თუ ჩასაცმელი, დაკანონებული იყო, რომ ეს არავის არ უნდა გაეგო, არც მეზობელს და არც სხვას. თუ როდისმე დედასთან გამომითქვამს, რომ „აი, იმ გოგოს რა

ლამაზი კაბა აცვია", –ამაზე დედა დამარცხვენდა: „აი, შენ ამჟღავნებ შურს, რაც საშინელი თვისებაა ადამიანისათვის. გერჩივნოს გქონდეს შენ ერთი კაბა! დაე, სხვას ათი."

ჩვენი მამა დავითი, ჩემი დღენი რაც მახსოვს, ყოველთვის მუშაობდა (გახსნა ღვინის წარმოება და ჩაბა ქართველი ებრაელები, – ამაზე ზემოთ ითქვა). მახსოვს მისი გამონათქვამი: „რა ბედნიერია ის კაცი, რომელიც რაიმე ხელობას ფლობსო. ის ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება ლუკმა პურითო".

ფანი არასდროს ყოფილა სამკაულებით მორთული, მაგრამ როცა ის სახლის სადარბაზოდან იერუსალიმის შესახვევში გავიდოდა და მიემართებოდა სასწავლებელში თუ სამუშაოდ, ელეგანტური ჩაცმულობით ყოველთვის იპყრობდა ყველას ყურადღებას. შესახვევის ბინადარნი თვალს აყოლებდნენ მიმავალ ფანის, მათი ბავშვები ხომ სირბილით მისდევდნენ... ფანის სტილი იყო ინგლისური ყაიდით ჩაცმულობა. გულგაღეღილი კაბით არასდროს გასულა გარეთ. ახასიათებდა ყელამდე ფოლაქების შეკვრა. მის მომხიბვლელობას ნორმალური აღნაგობაც უწყობდა ხელს.

ოჯახში მინახავს მისი ერთი ფოტოსურათი (მეტად სამწუხაროა, რომ სხვა ფოტოსურათებთან ერთად ისიც გამოიკარგა). აღნიშნულ სურათში ფანი დაახლოებით 14-15 წლის თუ იქნებოდა. იდგა მრგვალი მაგიდის გვერდით. მაგიდაზე იდგა ყვავილებიანი ვაზა. ბაფთით შეკრული სქელი ნაწნავი მკერდზე ჰქონდა გადმოდგებული. ყავისფერ ბრჭყვიალთვალებიან სახეზე გონიერება ეწერა. ფართოდ გახელილი თვალები გამოხატავდნენ შეუცნობელ აზრს. თითქოს-და აგერ მათ სწადიათ სწრაფად დაეუფლონ ყოფიერების არსს – დაიპყრონ საიდუმლოებით სავსე სამყარო. ეცვა ყელამდე შეკრული კაბა, ბაფთებით გაწყობილი ქვედა წელი (აქ უკვე იგრძნობოდა ბელარუსული, დედის გავლენა) უფარავდა მუხლებს. ეცვა სქელი „ჩულქები" და დახურული ფეხსაცმელი. რაც მთავარია, ცალ ხელში ეკავა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი. მოგვიანებით ვკითხე:

–ფანი, ეს რა არის, ასეთი სქელი წიგნი რამ დაგაჭერინა? რა წიგნი იყო ასეთი?

–ეს იყო მარქსის „კაპიტალი".

მისი სიტყვით, უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდა. იმ ხანებში მარქსიზმს პირველწყაროებით სწავლობდნენ და არა ისე, როგორც ეს ჩემს დროს იყო: თუ კონსპექტს დავეუფლებოდით, ეს იქნებოდა ჩვენთვის თავიც და ბოლოც. მადლობაც უნდა ეთქვათ ვაჟბატონ გამომცდელებს.

ადვილი შესაძლებელია, რომ ფანის თანახის ცოდნა უადვილებდა ფილოსოფიის დაუფლებაში. გამიგონია, რომ მისი პროფესორი ბაქრაძე აღფრთოვანებული იყო ფანიას გახსნილი გონებითო.

ფანი ბუნებით ჩამოყალიბებული არისტოკრატი იყო.

ფანისგან განსხვავებით, მე უფრო გარე სამყარო მიზიდავდა; ეზო, იერუსალიმის შესახვევის ბავშვები. ხშირად შინ მიბრუნებული ვიმეორებდი ქუჩაში გაგონილ სიტყვებს და მანერებს, რის გამოც უფროსებისაგან ვიმსახურებდი შენიშვნებს.

♦

ადრეული ბავშვობის ჩემი მეგობრები მეტწილად აღმოსავლეთის წარმოშობის ებრაული ოჯახებიდან იყვნენ. მათ ძალიან უყვარდათ რომელიმე მათგანის ოჯახში შეკრება, სადაც მართავდნენ სიმღერა-ცეკვის წარმოდგენებს, საკრავად გამოყენებული ჰქონდათ დაირა.

ვინც თავის სიცოცხლეში არასდროს ყოფილა თბილისის ბოტანიკურ ბაღში, იმას არ აქვს უფლება თქვას, რომ ის თბილისელია.

ფანი (ძარკუნივ) და
მისი ბავშვობის მეგობარი სურკა ბახანოვი

და აი, ჩვენ ბავშვები ზაფხულობით შევიკრიბებოდით ხოლმე და ჩვენი საჭმელ-სასმელით გავემართებოდით დილიდანვე. აღმართის ავლით შევიდოდით ბოტანიკურ ბაღში. იქ ხომ სამოთხისებური წარმტაცი ბუნებაა. მონუსხულივით ვუმზერდით საოცარ ჩანჩქერს. ჩვენც იქვე მახლობლად გავშლიდით საფენს, ვალაგებდით საჭმელებს. ცოტა დანაყრების შემდეგ მედაირე იწყებდა თავის დიპლიპიტოს, ჩვენც იქვე ავყვებოდით სიმღერითა და ცეკვით. რა თქმა უნდა, რომ მე მათგან მქონდა შეთვისებული აღმოსავლური სიმღერები და ცეკვები.

ჩემთვის ეს პერიოდი საუკეთესო მოსაგონია (დაახლოებით როცა ჯერ კიდევ შვიდწლედში ვსწავლობდი – 102-ე ებრაელ-

თა სკოლაში).

შემდეგ წყდება ჩვენი შეხვედრები. წამოვიზარდეთ. ყველა თავთავისი ცხოვრების გზით წავიდა (იმ გოგოებიდან უმრავლესობა დათხოვდა. მე მათთან შედარებით ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და ცოტაც ბედძნელი).

მე პირადად, ფანიმ მომკიდა ხელი და პირველად წამიყვანა დღის წარმოდგენაზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში – საბავშვო ბალეტის „წითელქუდას" სანახავად. ამის შემდეგ ჩემი შემდეგი სულიერი აღზრდა წავიდა თბილისის ოპერისკენ გაკაფული გზით – ფანის წყალობით.

და ეს ჩემი უდარდელი და ნებიერი ბავშვობა შეწყდა, როცა ჩვენს ცაზე შავი ღრუბლები ჩამოწვა. ეს იყო 1938 წლის 25 აპრილი. და შემდეგ ამისა, იმ გაფრენილი ჩიტის მსგავსად, მომახვედრეს ქვა და დავნარცხდი დაბლა.



•

თბილისის

ბოტანიკური

ბაღი

•

# ჩემი თაობის ლამაზმანი მანდილოსნები

თბილისის ებრაელთა უბანში უფროსი თაობიდან ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ულამაზესი ზილფა ბათუაშვილი-ტეტროდი. ხორბლისფერთმიანი, მომწვანო თვალებით, სპილოს ძვლის ფერის პირისახის პატრონი – ნამდვილად სილამაზის დედოფლობის პირველ ხარისხს იმსახურებდა.

არანაკლებ მოხიბვლელ, პრიალ-შავთვალა ლამაზმანს წარმოადგენდა ფრიდა ბახანოვი. ერთიც და მეორეც შემთხვევით იერუსალიმის შესახვევის მე-12 ნომრის ბინადარნი იყვნენ. ადრეც აღვნიშნე, რომ ჩემსობას იერუსალიმის შესახვევი-აღმართი რიყის ქვით იყო მოფენილი. იქ ნებისმიერ ადამიანს უჭირდა ასვლა თუ ჩასვლა. და, აი, ფრიდა ბახანოვს გაოცებული შევსცქეროდი, როცა „შპილკა" ქუსლებიან ფეხსაცმელზე შემდგარი, ძალიან მსუბუქად, ადვილად და მოხერხებულად დააბიჯებდა იმ უხეშ რიყის ქვებზე. როდესაც ჩვენს ფანჯარას მოუახლოვდებოდა, საიდანაც მე მას თვალს ვაყოლებდი, ერთ წამს შეჩერდებოდა, შემომხედავდა თავისი კეთილი და ლამაზი თვალებით და შემდეგ განაგრძობდა სვლას.

ჩვენგან მოშორებით, ხოდაშენის ქუჩაზე ცხოვრობდნენ სილამაზით და მუსიკალობით დაჯილდოებული ბერიძეების ქალები: ფრიდა, ლია, თამარა, ესთერი და ზინა.

რაც შეეხება მომდევნო თაობას, რომელთა უმრავლესობაც 102-ე სკოლიდან იყვნენ გამოსულნი, აქაც სილამაზით თვალს ხიბლავდნენ ფრიდა ბათუაშვილი (მომავალში მიშა გურიელაშვილის მეუღლე, რომელიც მეორე სამამულო ომში დაიღუპა – მტერმა აუფეთქა ტანკი, რომელსაც თავად მართავდა). მათი შვილ-მამავალი დღეს ისრაელის მოქალაქეები არიან.

თავიანთი სილამაზით ცნობილი იყვნენ: მარო მოშენაშვილი, სონია კრიხელი (ექიმი), ზინა კრიხელი (ისტორიკოსი), თამარ ჩაჩანაშვილი (ცხოვრობს ხაიფაში). მარო აჯიაშვილი (შპრიხის მეუღლე, აწ ქვრივი) – შვილ-მამავლით ცხოვრობს ისრაელში; მარგალიტა ჩაჩაშვილი (აწ განსვენებული, იყო მეუღლე სიონისტის იოსკა თავდიდიშვილისა). ზინა ცოცოლაშვილი (შვილ-მამავლით ცხოვრობს ისრაელში, ხაიფის რაიონში) და სხვები.

თვითეული მათგანი ღირსეული ოჯახის შვილებია. თავადაც ღირსეული მეუღლეები, დედები და დიასახლისები.

მაპატიოს მკითხველმა თუ არანაკლებ ღირსეულნი, სილამაზის პატრონნი გამომრჩა. ეს არ არის გამოწვეული ჩემი სუბიექტურობით, არამედ უბრალოდ გულმავიწყობით და სულაც შეიძლება იმიტომ, რომ მე ყველა თვალით არ მყავდა ნანახი.

# შამაში მოშეს ოჯახი

20-იან და 30-იან წლებში ქ. თბილისის ლესელიძის ქ. (მაშინ ერქვა სომხის ბაზარი) 43 ნომერში მაღალთაღიანი ორსართულიანი შენობა ეკუთვნოდა ცხინვალელ ებრაელთა საზოგადოებას. როგორც ამას მორდეხ დანიელოვიც გვიმოწმებს თავის წერილში (თბილისიდან ისრაელში გამოგზავნილი ჩემს სახელზე ფანის გარდაცვალების გამო), საზოგადოებას მამა მიუწვევია როგორც კულტის მსახური. პირველი სართულის ერთი ნახევარი მიაკუთვნეს დავით ბააზოვს თავის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად. მეორე ნახევარში, ჩვენი ოჯახის იქ დასახლებამდე, ცხოვრობდა შამაში მოშე თავისი ცოლ-შვილით. მეორე სართული მთლიანად გამოყენებული ჰქონდათ სალოცავად.

შამაში მოშე უკვე ისეთი მოხუცებული იყო, რომ სამუშაოდან განთავისუფლებული იყო, მაგრამ იმ ადგილას მისი ოჯახი განაგრძობდა ცხოვრებას. ჩვენ და მათ გვქონდა ერთი სამზარეულო, რომელიც ჩვენი კარის მეზობლების მხარეს იმყოფებოდა. მამაჩემმა მალე მთლიანად მათ დაუთმო ის სამზარეულო და იქვე გადააკეთეს საცხოვრებელ ოთახად, რომელიც მიაკუთვნეს ახალგათხოვილ შუათანა ქალიშვილს თამარს, ხოლო თავისი კუთვნილი ნაწილი გადატიხრეს შუშაბანდით და იქ მოათავსეს საკუთარი სამზარეულო. მოშეს გარდაცვალების შემდეგ, მეორე – უფრო დიდ ოთახში ცხოვრობდნენ რიბკა თავისი უმცროსი ქალიშვილით (მალე ისიც გათხოვდა და გადავიდა ქმრის ბინაზე). რიბკასთან დარჩა ვაჟიშვილი მიხაკო თავისი ცოლ-შვილით. ოჯახი განიცდიდა მატერიალურ გაჭირვებას. არ გააჩნდათ არავითარი საარსებო საშუალება. არავითარი მოხუცებულობის პენსია ქვრივს არ ეძლეოდა. უქმეების დროს და საშაბათოდ ოჯახს სალოცავი ეხმარებოდა. მალე ლესელიძის ქუჩაზე (სომხის ბაზარზე) გაიყვანეს ტრამვაის ხაზი და თამარას მეუღლემ სიმონმა კონდუქტორად დაიწყო მუშაობა ჩვენი ბინის წინ გამავალ ტრამვაიზე.

ამგვარად, შამაში მოშეს ოჯახი ჩვენი ერთადერთი კარის მეზობლები იყვნენ. აქვე აღვნიშნავ, რომ გვქონდა კეთილმეგობრული ურთიერთობა. განსაკუთრებით – თავიანთი ერთგულებით და კარგი დამოკიდებულებით – გამოირჩეოდნენ მათი შვილები, მით უფრო თამარი და მიხაკო. თამარი

მალე მრავალშვილიანი დედა გახდა, მაგრამ ძველებურად განაგრძობდა ჩემთან მეგობრობას. მეპყრობოდა ამხანაგურად; ჩვენი ფანით მოხიბლული იყო და დიდ პატივს სცემდა. ჩვენი ოჯახის ავბედობის დროს მან მტკიცედ დაიცვა ჩვენი ოჯახის ღირსება ავი ენებისაგან და ცილისწამებისაგან, რამეთუ თამარი ჩახედული იყო ჩვენი ოჯახის საქმიანობაში.

ჩვენი და კარის მეზობლების ბინა მეტად ნესტიანი იყო. ამიტომ ხშირად გაგვქონდა ლოგინი და ტანსაცმელი ეზოში გასანიავებლად. იყო დღეები, როცა ჯამ-ჭურჭელიც გაგვქონდა ეზოს ონკანის ქვეშ გასახეხად და გასაპრიალებლად. აქ უკვე იმართებოდა ქალებს შორის შეჯიბრი, თუ ვინ უკეთ გააპრიალებდა ტაფებსა და ქვაბებს. ჩვენი შრომისმოყვარე მეზობლები თავისუფალ დღეებში, მეტადრე საღამოობით, იკრიბებოდნენ და ლოტოს და კარტის თამაშით ერთობოდნენ. თუ გინდ გამკიცხოს მკითხველმა, მაგრამ მე აღვნიშნავ ფაქტებს. მამაჩვენი თავის შვილებს უკრძალავდა კარტის თამაშით გართობას. მე არ მრთავდა კარტის სახლში შეტანის ნებას. ჩვენს ოჯახში არასდროს გვითამაშნია ლოტო. ჩემი და-ძმანი თამაშობდნენ ჭადრაკს. ამ თამაშში მეირი ყველას ჯობდა. ლოტო მეც არ მიზიდავდა, მაგრამ კარტი ჩუმად შემქონდა და ბავშვებთან ერთად შუშაბანდში (როცა მამა სახლში არ მეგულებოდა) სხვადასხვაგვარ თამაშს ვეუფლებოდი. მალე მე კარტის გაშლაც ვისწავლე — სამკითხაოდ. ჩემთვის ეს იყო თამაში, მაგრამ, ნუ იტყვით, სხვებს მოსწონდათ და მაცივდებოდნენ გაგვიშალეო. მე მეშინოდა უფროსებს არ გაეგოთ — არ მომკლავდნენ, მაგრამ გამიჯავრდებოდნენ საშინლად.

ჩვენი მეზობლების ოჯახიდან მეტად საინტერესო პიროვნება იყო მიხო, მოშე შამაშის მეორე ვაჟი. მიუხედავად ოჯახის ხელმოკლეობისა, როგორც კი რაიმე შესაძლებლობა ჩაუვარდებოდათ ხელში, გაშლიდნენ სუფრას, დადგამდნენ სასმელს და რაიმე მისატანებელს — ხილს, პურს, თევზს, ლობიოს, მწვანილს და სხვ. მხიარული ყოფის მოყვარულნი იყვნენ. დროსტარება მათი სტიქია იყო. თითქმის ოჯახის ყოველი წევრი დაჯილდოებული იყო ბუნებრივი ნიჭით. ყველა მღეროდა, ცეკვავდა, უკრავდა. მათი სახლიდან ისმოდა აღმოსავლური მუსიკის ჰანგები. როდესაც მხიარულობის აზარტში შედიოდნენ და მათი ბინა სტუმარ-მასპინძელს ვეღარ იტევდა, მოქეიფენი ეზოში გადიოდნენ, სადაც თავისუფლად შეეძლოთ გაეშალათ ცეკვა. სტუმრებიდან მეტწილად მიხოს ქართველი თუ სომეხი ძმადნაფიცი ამხანაგები იყვნენ. ჩვენი მეზობლების ლხინისა და დროსტარების საყურებლად ჩვენი ოჯახი გარეთ არ გადიოდა. ეს იყო თბილისური ბოჰემის ერთ-ერთი კუნჭული და მე მიზიდავდა მათი ყურება. უნებურად ვხდებოდი მათი ლხინის მოწმე. ჩემი მეზობლები მე თავისი ოჯახის წევრივით მიყურებდნენ. როდესაც სახლში შებრუნებულს შინ შემქონდა მათგან შესწავლილი სიმღერები, ამით არც თუ ისეთ დიდ მოწონებას ვიმსახურებდი ჩემი უფროსებისაგან. რაჭაში დაბადე-

ბული ჩემი უფროსი და-ძმანისათვის თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში განუყრელი იყო ნოსტალგია. როცა ხაიმი წამოიწყებდა სიმღერას.

ჩვენს მეზობელ მიხოს, ან მიხაკოს — როგორც შინაურებში ეძახდნენ, თვითმყოფადი დადებითი თვისებების პატრონს, გზა-კვალი არეული ჰქონდა. იგი იყო შესანიშნავი ვაჟკაცი, ფიზიკურად ღონიერი, კეთილი, უფროსების პატივმცემელი. მას ჰყავდა მეუღლე და ორი ვაჟი. მაგრამ არ იყო დაუფლებული არავითარ ხელობას, რათა შრომით ერჩინა ოჯახი. მამაჩემისა და გერცელის რჩევისათვის რომ დაეჯერებინა (მათ სცადეს მისი სამუშაოზე მოწყობა, მაგრამ ვერ ჩერდებოდა), იქნებ ასცდენოდა იმ უბედურებას, რაც შემდეგ დაემართა. მამაჩემის დანახვაზე მიხო მის მუხლებთან ეცემოდა, ცრემლებად იღვრებოდა და პატიებას სთხოვდა. მამაჩემს უკვირდა მისი ასეთი მოქმედება და ეტყოდა ხოლმე:

—შვილო, წამოდექი ფეხზე. რა გაწუხებს, მითხარი, იქნებ რაიმეთი დაგეხმარო. —მაგრამ მიხო ასე პასუხობდა: —უსათუოდ გამოგიტყდები, მაგრამ ახლა არა. მაგრამ პატიებას გთხოვ.

როცა გერცელს დაინახავდა, მასაც ასევე ექცეოდა, მაგრამ უფრო თამამად მიმართავდა ხოლმე:

—თქვენი მამის მრცხვენია. შენ ახალგაზრდა ხარ და უფრო გაგიბედავ. უსათუოდ გაგანდობ იმას, რაც მაწუხებს.

სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო.

ერთ დღეს მიხო სახლში არ დაბრუნებულა. დაიკარგა. არავინ იცოდა სად წავიდა. მალე მილიციამ აღმოაჩინა ქალაქის მახლობლად, ხუდათოვის ტყის პირას დანით სასიკვდილოდ დასერილი მიხო. მას მიყენებული ჰქონდა თორმეტი ჭრილობა. სისხლისაგან იწრიტებოდა.

საავადმყოფოში მიხოს სანახავად მისული გერცელი ბევრი ეხვეწა, რათა მისთვის გაემხილა იმათი ვინაობა, ვინც ჩაიდინა ეს დანაშაული. მაგრამ მიხოს არ ეგონა, რომ მოკვდებოდა — ის ხომ ფიზიკურად ჯანმრთელი და ღონიერი იყო — და სურდა თვითონ გაეცა პასუხი მოღალატე ამხანაგებისათვის.

—გერცელ, —უთხრა მან, —მე არ მინდა გაგხვიო შენ ამ საქმეში. ეს შენთვის საშიში იქნება. მე კი, აი, გამოვალ და მე თვითონ გავუსწორდები.

მაგრამ მიხო გარდაიცვალა და ასე ჩაიმარხა ბოროტმოქმედთა მიერ ჩადენილი ეს საშინელი დანაშაული. მიხოს ოჯახის წევრებს, ალბათ, ეშინოდათ შვილებიც არ მომიკლანო და მისი ამხანაგებიდან არავის სახელებს არ ასახელებდნენ. შემდგომ პერიოდში მის ქვრივს დაცდა ერთის — ვინმე ჯოხაძის სახელი, რომელიც ასევე მოკლული იქნა, ალბათ, თავისივე „ამხანაგების“ ხელით.

ასე და ამრიგად, მიხო, სიცოცხლით სავსე, შესანიშნავი ახალგაზრდა დაიღუპა. საგულისხმოა ვიფიქროთ, რომ სურდა ჩამოსცილებოდა იმ არას-

წორი გზით მავალ ამხანაგებს და დაეწყო ახალი და პატიოსანი გზით ცხოვრება.

მიხოს დაქვრივებულმა მეუღლემ ისწავლა ქალის ტანსაცმლის შეკეთება. დაზარდა შვილები და შემდეგ შვილიშვილებიც. ისინი დღეს ისრაელის მოქალაქენი არიან. მიხოს დის, თამარის შვილმამავალნიც ისრაელში იმყოფებიან.

## შულმანები

როგორც ერთხელ აღვნიშნე, ჩვენი ბინის მოპირდაპირე მხარეს, იერუსალიმის შესახვევის № 5-ში ცხოვრობდნენ შულმანები. მათ დამსახურებული ჰქონდათ პატიოსანი ადამიანების სახელი. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ქართველ ებრაელებთან, იყვნენ გულისხმიერნი და ყოველ საერთო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. ოჯახის თავი — იანკელე — მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი იყო, მისი მეუღლე ზილფა — დიასახლისი. მეტად მორწმუნენი იყვნენ და ტრადიციების მტკიცედ დამცველნი. ჰყავდათ ორი ულამაზესი ქალიშვილი. სამწუხაროდ, ერთმაც და მეორემაც მოხუც დედ-მამას გული ატკინეს. გენიამ შეიყვარა სომეხი მამაკაცი და მშობლების ნებართვის გარეშე გაჰყვა ცოლად. მამამ გენია სახლიდან დაითხოვა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სახლში აღარ შეუშვა. დედა — ზილფა, უფრო გულშემწყალე გამოდგა. დედის გული ვერ ითმენდა და დადიოდა ქალიშვილის სანახავად.

გენიას მეუღლე მეტად შეძლებული კაცი იყო, განათლებულიც და ყოველნაირად ცდილობდა ებრაელი მეუღლისათვის ბედნიერება მიენიჭებინა.

რაც შეეხება მეორე ქალიშვილს — სარას, რომელსაც სარკას ეძახდნენ, ასევე იშვიათი სილამაზის ქალი იყო, მაგრამ... ისიც დედ-მამის ნებართვის გარეშე მისთხოვდა ერთ ებრაელს, მაგრამ მახინჯი შესახედაობის კაცს. ზილფამ ვერაფრით ვერ მიიღო მახინჯი სიძე. საქმროს თანდასწრებით მიმართა ქალიშვილს: —სარკელე, ეს ვინ მაიმუნი მომიყვანეო. და სიმახინჯის გამო ამ სიძესაც არ ჰქონდა უფლება მეუღლის მშობლების სახლის კარი შეეღო. „რა გინდათ თქვენ, —ეტყოდა სარკა მშობლებს, —მე კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით, მე მას ვუყვარვარ, პატივს მცემს, მატერიალურად არაფერს მაკლებს.“ ამ ლამაზმანმა მატერიალური უზრუნველყოფა ამჯობინა ესთეტიურ სიამოვნებასა და რომანტიკას. მართლაც, ეს ის პერიოდი იყო, როცა ადამიანებს უჭირდათ, ძლივს უმკლავდებოდნენ ცხოვრების სიძნელეებს. სარკას მეუღლეს საქმოსნობაში ბედმა გაუღიმა და ლამაზ მეუღლეს ფუფუნებაში აცხოვრებდა. კაცია და გუნება, უთქვამთ ადამიანებს.

იმ დიდი ეზოს რკინის ჭიშკარი, სადაც შულმანები ცხოვრობდნენ, როგორც იქნა გაიღო. მთელი რიგი სახლები და ნაგებობანი აივსო ახალი მდგმუ-

რებით. მათ შორის იყვნენ ქართველებიც. ამ დროიდან მოყოლებული იერუსალიმის შესახვევი მრავალეროვანი გახდა – ინტერნაციონალური. ახალ მოსულებს შორის გამოირჩეოდნენ სირაძის ქვრივი ქალი, თავისი ორი პირმშვენიერი გოგონათი (კლარა და ვიქტორია).

იერუსალმის შესახვევი მეტად ხმაურიანი იყო. დღესასწაულების დროს დროსტარება გარეთ იმართებოდა. დოლისა და გარმონის ხმები მთელ შესახვევს აყრუებდა. მაგრამ ზოგჯერ ეს მხიარულება ჩხუბითაც მთავრდებოდა. საერთოდ, იერუსალიმის შესახვევში ჩხუბი ხშირი იყო. რატომღაც ერთ-ერთ მოჩხუბარ ქალს ჩვენი ბინის ფანჯარასთან უყვარდა გაჩერება, მუშტების ქნევით, ხმამაღლა ძახილით და წყევლა-კრულვით ემუქრებოდა სადღაც მოშორებით მცხოვრებ თავის მოწინააღმდეგე ქალს. ერთი ვინმე ბო...თი, – ესეც რატომღაც ჩვენს ფანჯარასთან გაჩერებული, მკლავებს აიკაპიწებდა და ათსართულიანი გინებით ჩხუბში იწვევდა მეტოქეს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩხუბში არასდროს გამოუყენებიათ დანა. უყვარდათ დარტმა, მუქარა და ცხვირიდან სისხლისდენა, მუშტის გამოყენება, მაგრამ არასოდეს – დანით არავინ დაჭრილა. მსგავს სცენებს ეძახდნენ „სეირს“, მეზობლები გამოცვივდებოდნენ სეირის საყურებლად, მეტწილად ქალები. მეც მსურდა გარეთ გავარდნა, მაგრამ დედა არ მრთავდა ნებას. არც თავად გადიოდა და არც ერთი ჩვენი ოჯახის წევრი არ იჩენდა ზედმეტ ცნობისმოყვარეობას. მე მაინც, ეს ნაბოლარა და მეტიჩარა, ვახერხებდი ფანჯრიდან გაჭვრეტას. მაშინ ვხედავდი „სეირის“ სანახავად გამოსულ ახალ მდგმურებს – მოპირდაპირე მხრიდან გაღებული ჭიშკრიდან. კარგად მახსოვს მათ შორის ერთი მანდილოსანი – ხელისგულებს ყურზე მიიდებდა და გაიძახოდა: „ვურიები, ვურიები!.. რას ჩადიან!..“ ამ პატივცემულს ავიწყდებოდა თავის სოფელში არანაკლები ჩხუბი (და შეიძლება მეტიც!) რომ იმართებოდა, მაგრამ ამის თქმას ვინ გაუბედავდა!

დილაობით შესახვევის მყუდროებას არღვევდა უცხო ადამიანების ძახილი, რომლებიც გთავაზობდნენ „სამოვრის მიწა“, „ყვავილების მიწა“ და სხვა.

წლების განმავლობაში სახლის გარშემო დაიარებოდა ერთი თათარი, რომელიც გაიძახოდა, რომ იყიდის ძველ ავეჯსა თუ რაიმე ნივთს. ალბათ, მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად, სიტყვებს რუსულად წარმოსთქვამდა; ის საცოდავი, ალბათ, სიბერისა თუ მოქანცულობის გამო, ხშირად სიტყვებს ურევდა. და აი, ერთხელ ჩემმა ძმა მეირმა მიაქცია ყურადღება, როცა ეს თათარი იძახდა ასე: «Куплю порванай кроват и поломанный башмак!»

გავიდა დრო. ცხოვრება შეიცვალა, გაუმჯობესდა. იერუსალიმის შესახვევში, ჯერ კიდევ ჩემი იქ ყოფნის დროს, ბევრი ცვლილება მოხდა. იმათ, ვინც ადრე მეწვრილმანეობას ეწეოდა, აღარ მოინდომეს, რომ მათი შვილები მათი მსგავსნი ყოფილიყვნენ. კარგად მახსოვს, ერთ ხორცით მოვაჭრის შვი-

ლიშვილებმა სახელი გაითქვეს, როგორც უნიჭიერესმა მევიოლინეებმა. გამოვიდნენ ნახევრად სარდაფებიდან, შვილებს მისცეს განათლება. ზოგი მათგანი დღეს ისრაელშია და ვინც საქართველოში დარჩა, ისინი საკმაოდ ღირსეულ ცხოვრებას ეწევიან.

## მალქიელ იეგისკელაშვილის ტრაგიკული დაღუპვა

იერუსალიმის შესახვევის მე-6 ნომერში, მეორე სართულზე, ბინადრობდა ფილხაზ იეგისკელაშვილის ოჯახი. თავად ფილხაზი 20-იან წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმდროინდელ ქართველ ებრაელთა საზოგადოების პროგრესულ მოძრაობაში. მას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა მამაჩემთან და მამაჩემს ძალიან მიაჩნდა. აღსანიშნავია მისი მეუღლის, ცისფერთვალება, მეტად სათნო ადამიანის, სიმხას გულთბილობა და კარგი დამოკიდებულება ჩვენს ოჯახთან.

ფ. იეგისკელაშვილმა თავის ორივე ვაჟიშვილს მიაღებინა განათლება. განსაკუთრებით გამოირჩეოდა უფროსი ვაჟიშვილი მალქიელი (მალქი – ასე ეძახდნენ). მან დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისის ადვოკატურაში (უმცროსი ვაჟი ელკო ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო).

ახალგაზრდა ადვოკატმა მალქიმ მალე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ნიჭიერი და უნარიანი კარგად ართმევდა თავს საკმაოდ რთულ კრიმინალურ საქმეებსაც. უკანასკნელი საქმე, რომელიც მან მოიგო, ამ ახალგაზრდა დამცველისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მისი დასაცავის მოწინააღმდეგე მხარეს იცავდა ადვოკატი დ-ძე. ამ უკანასკნელმა საქმე წააგო. მან თავისი კლიენტის პატრონებს (ეროვნებით თათრები იყვნენ) – შესაძლებელია არა განზრახვით, არამედ თავის მართლების მიზნით, უთხრა შემდეგი სიტყვები: „მე საქმეს მოვიგებდი, მაგრამ იმ ადვოკატმა ხელი შემიშალა“. ამ ვაი-კლიენტებმა, გონებაჩლუნგმა ადამიანებმა, რომელთა შორისაც შურისძიების თვისება მტკიცედ იყო გამჯდარი, არ დააყოვნეს და შური იძიეს მალქიზე. დღისით, მზისით, მალქი კაშენის ქუჩის გავლით მიემართებოდა ქალაქის ცენტრისაკენ. 102-ე ქართველ ებრაელთა შრომის სკოლის მოპირდაპირე ტროტუარზე მიმავალ მალქის შორიახლოს შეჩერდა მსუბუქი მანქანა. გადმოვიდა კაცი რევოლვერით ხელში და ცხელი ტყვიით განგმირა ჩვენი მალქი. ეს იყო საშინელი და მხეცური მკვლელობა. ეს იყო ტრაგედია არა მარტო მშობლებისათვის. მალქის დასტიროდა მთელი ხალხი, ებრაელიც და არაებრაელიც.

# გერასიმენკოს ოჯახი

ცხინვალელ და ახალციხელ ებრაელთა სალოცავებს შორის იყო ერთი სამოსახლო ადგილი. მე არ მახსოვს რა იყო ადრე იქ, მაგრამ ჩემსობას მალე აღიმართა წითელი აგურით ნაშენი, კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი სამსართულიანი სახლი. იმ უბანში დიდხანს არავინ იცოდა ვინ იყვნენ აღნიშნული სახლის ბინადარნი. მათი სადარბაზო მუდამ ჩაკეტილი იყო. იღებოდა მაშინ, როცა ვინმე შედიოდა ან გამოდიოდა. შორიახლოს მცხოვრები მეზობლები ხედავდნენ, რომ ამ სახლიდან (როგორც შემდეგში გაირკვა – მესამე სართულიდან) გამოდიოდა ტყავის „კურტკიანი“ ზორბა მამაკაცი, ჯდებოდა მოტოციკლეტზე და მიქროდა ზევით, მოედნის (დღეს – თავისუფლების მოედანი) მიმართულებით. გვიან დაღამებისას ჩვენს ეზოში შემოდიოდა ნაგვის გადასაყრელად. ამ ზორბა მამაკაცის მეუღლე, მარია. სურდა თუ არა, იძულებული იყო ჩვენი ეზოს მცხოვრებლებისათვის, ვინც მას გზაზე შემოხვდებოდა (ესენი, უმთავრესად, მოშე შამაშის ოჯახის წევრები იყვნენ), სალამი მიეცა. მარია – მეტად მომხიბვლელი, შავთვალა და გრძელ, შავთმიანი ბოშის ქალი, გერასიმენკოს ოჯახის დიასახლისი იყო.

აღნიშნული სახლის კარიბჭე გაიღო მაშინ, როცა გერასიმენკოს უფროსი გოგონა, სახელად ვალია, გამოცხადდა ჩემთან და შემომთავაზა მეგობრობა. თუმცა ის რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო, მაინც დავმეგობრდით. ვალია ხშირად მესტუმრებოდა. მას იზიდავდა ჩვენი პიანინო. ვალია კარგად მღეროდა რუსულ სიმღერებს. მალე მიმიპატიჟა თავის სახლში. გერასიმენკოს ოჯახმა გულთბილად მიმიღო. ამის შემდეგ მე და ვალია ერთმანეთთან ხშირად დავიარებოდით. ვალიას მამა – მოტოციკლეტისტი – ყოველთვის თბილი ღიმილით მხვდებოდა, მეძახდა «маленькая» -ს ჩემი კუთვნილი სახელის ნაცვლად. მის ოჯახში დიდი და პატარა – ყველა მღეროდა, მეტწილად რუსულ და ბოშურ სიმღერებს; უკრავდნენ გიტარაზე და ცეკვავდნენ. მათ ჰყავდათ კიდევ ერთი, უმცროსი გოგონა, ირა. მათთან ბინაზე, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა მარიას რძალი (ძმის, ვასიას მეუღლე) თამარა. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალი. ჰქონდა ხმა – მეცო-სოპრანო. მე თვითონ მომისმენია მისთვის ოპერა „ქეთო და კოტეში“, სადაც იგი ასრულებდა ბაბუცას პარტიას. თამარა თავისი ქმრის ვასიას გვარზე არ იწერებოდა, არამედ ატარებდა მამისეულ გვარს – გოძიაშვილს. თამარა გოძიაშვილი საქართველოს გამოჩენილი მსახიობის ვასო გოძიაშვილის ღვიძლი და იყო. შვილი არ ჰყავდა. ცხოვრობდა მარტო. მის

ქმარს ვასიას იშვიათად თუ ვინმე ნახავდა: იგი დაკავშირებული იყო მოჭიდავეთა დასთან, რომელიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში თუ დაბებში მართავდა წარმოდგენებს.

საოცარია, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ მთელი იმ უბნიდან და მეზობლებიდან (ჩვენი ოჯახის ჩათვლით), მარტო მე, ბავშვი, აღმოვჩნდი გერასიმენკოს ოჯახის სასურველი შემსვლელი. ის სახლი ისევ ჩაკეტილი რჩებოდა ყველასთვის. გარშემო ადამიანებს აინტერესებდათ ვინ იყვნენ ისინი! როგორც შემდეგში გაირკვა, მოტოციკლის მძღოლი ენკვდ-ს მუშაკი იყო.

მეორე სართულზე ბინადრობდა შალვა მამაცაშვილის ოჯახი. შალვა მამაცაშვილიც თბილისის ოპერის მომღერალი იყო. ოპერა „დაისში" ის ასრულებდა ცანგალას პარტიას. თავად შ. მამაცაშვილი სანდომიანი და სალმიანი ადამიანი სჩანდა, მაგამ მისი რუსი მეუღლე თავის ერთი ვაჟიშვილით ყოველთვის უცხონი, უსალმო და მიუკარებელნი რჩებოდნენ. აღნიშნული ბინა მიაკუთვნეს შ. მამაცაშვილის მეუღლეს, როგორც ნკვდ-ს მუშაკს.

რაც შეეხება პირველ სართულზე მცხოვრებლებს, აქ საერთოდ ცხოვრობდნენ ყველაზე უსიმპათიო ადამიანები. არა იმიტომ, რომ ისინი ასიმილირებული ებრაელების ქალები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ რა ებრაულ გარემოში, არ ცდილობდნენ არავისთან დაახლოებას. ებრაული ტრადიციები, უქმეები და შაბათი მათთვის უცხო იყო. მე, რომელსაც მესამე სართულზე, გერასიმენკოსას თავისუფალი მიმოსვლა მქონდა, ეს ასიმილირებული ებრაელი ქალები (რომელთა სახელები დღესაც არ ვიცი) არასდროს მიკარებდნენ ახლოს. ისეთი ჩაკეტილნი იყვნენ, რომ ძნელი იყო მათთან დაახლოება. ვინ იცის რა იწვევდა მათში ასეთ განდგომილებას ადამიანებისაგან? შიში თუ მათ სულში და გულში უკვე დიდი ხნის გამჯდარი სიძულვილი ებრაელობის მიმართ.

მე, როცა ვიმყოფებოდი გერასიმენკოს ოჯახში, მიყვარდა მათ ქუჩის პირა აივანზე გასვლა და იქიდან თვალის მიმოვლება ჩვენს ებრაელთა უბანზე. ეს სახლი, რომელიც 45 ნომერში მდებარეობდა, ებრაელთა ორსართულიან სახლებს ზემოდან გადასცქეროდა. აღნიშნული სახლის მკვიდრნი ცხოვრობდნენ თავისი ყოფით. ებრაელების უბანში ამ უცხო ელემენტის ჩათესვამ თითქმის არაფერი შესცვალა. ებრაელები მათ სულაც არ აქცევდნენ ყურადღებას და განაგრძობდნენ თავისი მენტალობით ცხოვრებას.

დროთა განმავლობაში აღნიშნული სახლის ბინადარნი შემცირდნენ. მარია გარდაიცვალა. შემდეგ თამარიც. ვალია გათხოვდა და წავიდა. ხოლო ირა, უმეთვალყუროდ დარჩენილი, აჰყვა ამხანაგებს და სახლიდან წავიდა. მალე მარტოდ დარჩენილმა გერასიმენკომ ის ბინა მიატოვა და საცხოვრებლად სადღაც წავიდა (სად, არ ვიცი). მეორე სართულზეც, მომღერალი შ. მამაცაშვილიც გარდაიცვალა. მისმა რუსმა ცოლ-შვილმა აღარ ინება იქ ცხოვრება და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდნენ. მათ ბინაში გამოჩნდნენ ახალი

მდგმურები. ესენი იყვნენ ხანანაშვილების ოჯახი. არც ესენი აღმოჩნდნენ მეზობლების მოყვარულნი და სალმიანნი. მე მხოლოდ ერთ ეპიზოდზე შევჩერდები.

უნივერსიტეტში ბოლო კურსზე სწავლის დროს ჩვენს ფაკულტეტზე კომკავშირის კომიტეტის მდივნად მოგვევლინა ხანანაშვილების (ახალი მდგმურები მამაცაშვილის ყოფილ ნასახლარში) ოჯახის ვაჟიშვილი (სახელს არ ვასახელებ). საქმეში ჩახედული ადამიანები აღნიშნავდნენ, უპარტიო ისტორიკოსს გაუჭირდება სამსახურის შოვნაო. ვინც კომკავშირის გარეშე იყო დარჩენილი, ყველამ შეიტანა განცხადება რათა მიეღოთ მათ რიგებში. მეც უნდა გამეღო ეს არასასურველი ხარკი. ვიყავი დარჩენილი მარტოდ, უდედმამოდ; და-ძმანი ხიზნურ და ტრაგიკულ მდგომარეობაში. მეც შევიტანე განცხადება. როცა ფაკულტეტის კომკავშირის საერთო კრებაზე იწყეს ახალმიღებულთა გვარების გამოცხადება (აცხადებდა ხანანაშვილი), მე გამომეცხადა უარი. ჩემს შესახებ ხანანაშვილმა მისცა ახსნა-განმარტება, რომ არ არის სასურველი კომკავშირის რიგებში იმყოფებოდნენ არასანდონი. სადღაცას გულში გამეხარდა, რომ უარი მითხრეს, რამეთუ მართლა არ მსურდა მკვლელების პარტიაში შესვლა. მაგრამ აღმაშფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ სწორედ ებრაელმა გამომიცხადა უარი.

## სეით დევდარიანი

მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. ჟურნალ „კვალის“ გარშემო შეკრებილმა ქართველმა ინტელიგენციამ 1898 წელს ჩამოაყალიბა „მესამე დასი“. აღნიშნულ დასს ხელმძღვანელობდა ნოე ჟორდანია, თუმცა თავდაპირველად იგი დააარსა გ. წერეთელმა. „მესამე დასის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო სეით დევდარიანი. სოციალ-დემოკრატთა გარკვეული ნაწილი აღიარებდა მარქსიზმის იდეალებს. სეით დევდარიანმა, რომელიც სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობდა, მალე თავისი მოსწავლე იოსებ ჯუღაშვილი (სოსო) შეიყვანა „მესამე დასში“, მაგრამ შემდგომ პერიოდში იოსებ ჯუღაშვილი გამოეყო „მესამე დასს“ და გაჰყვა რევოლუციურად განწყობილ მოძრაობას. იმ პერიოდში ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა მუშათა მოძრაობა, რომელიც აღმავლობის გზით მიდიოდა.

იმის შემდეგ, როცა დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და „ხალხთა ბელადი“ სტალინი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გახდა, რომ იტყვიან „ძალა აღმართსა ხნავსო“, სეით დევდარიანიც ჩამოსცილდა ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობას. იგი ჩაიკეტა პირადულ ცხოვრებაში: სახლიდან იშვიათად გამოდიოდა, მუშაობდა მემუარებზე და საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

რევოლუციის გამარჯვებამდე სეით დევდარიანი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის გადასახლებული იყო ციმბირში. გადასახლებაში ყოფნის დროს გაეცნო მასავით გადასახლებულ რევოლუციური მოღვაწეობისათვის ერთ აშქენაზის ქალს, რაისა ისაკოვნას. მათ იქორწინეს. ორივესათვის ეს იყო მეორედ ქორწინება. თითოეულ მათგანს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ვაჟიშვილი. რაისა ისაკოვნას ვაჟს ერქვა ტოლია (ცოტა ხეიბარი იყო), ხოლო სეითის ვაჟს — იურა. მათ ორივე ვაჟიშვილი ერთნაირი სითბოთი და სიყვარულით გაზარდეს. 20-იანი წლების შემდეგ სეითი თავისი ახალი მეუღლით და ვაჟიშვილებით ბრუნდება საქართველოში და სახლდება თბილისში.

მე არ ვიცი როდის და რა ვითარებაში გაიცნო მამაჩემმა სეით დევდარიანი, მაგრამ ჩემი გააზრებული ცხოვრებიდან მე უკვე ვიცოდი, რომ სეით დევდარიანი მამას დიდი მეგობარი იყო. დედა, ფანია და მე არაერთხელ ვყოფილვართ დევდარიანების ოჯახში როგორც სასურველი სტუმრები. უფრო ხშირად ფანის იწვევდნენ და ჩემს უფროს დაიკოს ყოველთვის თან დავყავდი.

ისინი ცხოვრობდნენ პლეხანოვის ქუჩიდან ერთ-ერთ გასახვევ ქუჩაზე, რომლის სახელწოდება ამჟამად მე აღარ მახსოვს. ვიცი რომ შევდიოდით ეზოში, ავდიოდით მეორე სართულზე და შუშაბანდით შევდიოდით მათ მისაღებ ოთახში. ფანისა და მათ ვაჟიშვილებს შორის დამყარებული იყო თბილი და-ძმური ურთიერთობა.

რაისა ისაკოვნა გამოსული იყო გეტოდან. მამა რაბინი ჰყოლია. შემდეგ რევოლუციაში ჩაბმულა, რის გამოც მამისეული ოჯახის მიტოვება დასჭირვებია. რაისა ისაკოვნა მეტად ბედნიერი და კმაყოფილი იყო თავისი ახალი ცხოვრებით თბილისში. მაგრამ როგორც კი ფესახის უქმე დგებოდა, ის დაღონდებოდა ხოლმე, აგონდებოდა მამისეული ოჯახი და იქ ჩატარებული ებრაული უქმეები. სეითი ამას ამჩნევდა და დიდი გაგებით ხვდებოდა მას. ერთხელ სეითს მიუმართავს მამაჩვენისათვის:

—დავით, ხომ არ შეიძლება ფესახში გესტუმროთ, რათა ჩემმა მეუღლემ გაიხსენოს ბავშვობაში ნახული და მოსმენილი ფესახის სედერი?

მამამ დიდი სიხარულით მიიღო მისი წინადადება. მათ გარეშეც, არ მახსოვს ისეთი ფესახი, რომ მამას არ მოეყვანოს რამდენიმე უცხო სტუმარი სედერზე დასასწრებად. ესენი უმთავრესად შემთხვევით ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო აღმოჩნდნენ თბილისში. ახლა კი ცოლ-

ქმარი დევდარიანები ჩვენი ოჯახისთვის მეტად საპატიო და სასურველი სტუმრები იყვნენ.

არ ვიცი, არის თუ არა საჭირო გავიხსენო ერთი დეტალი. ყოველ შემთხვევაში ამას უფრო ჩემთვის ვწერ. იმ დროს, როცა მთელი ოჯახი დიდი მონდომებითა და ყურადღებით მოელოდნენ დევდარიანებს, მე, პატარა ბავშვს, რაღაც უსიამოვნო გრძნობა მიპყრობდა. როგორც კი სტუმრები შემოვიდოდნენ სასტუმრო ოთახში, მე მევალებოდა სასწრაფოდ გარეთ გამეყვანა ჩემი განებივრებული თეთრი კატა, ვინაიდან რაისა ისაკოვნას საშინლად ეშინოდა კატის. ჩვენს ბინაში იმ პერიოდში ბინიდან გარეთ გასასვლელი კარი არასდროს იკეტებოდა. მით უმეტეს ფესახში, სედერის დროს, როცა ელოდები ელიაჰუ ჰანაბის, კარი საერთოდ ღია უნდა დატოვო. მოხუცულ კარებს გარეთ გაგდებული კატა თავით და თათებით მოხერხებულად აღებდა, შემოიპარებოდა, ყველას მაგიდის ქვეშ ფეხებზე ელასლასებოდა, და თუ რაისა ისაკოვნას მიედებოდა, მაშინ ეს უკანასკნელი საშინლად წამოიყვირებდა ხოლმე. მე ვიღებდი უფროსებისგან შენიშვნებს. ისევ ვაგდებდი და ისევ ასე გრძელდებოდა. რაისა ისაკოვნამ, ციმბირში ნამყოფმა, ალბათ რა არ ნახა, არაერთი მოკლული და დაჭრილი ადამიანი და კატის კი ეშინოდა. მაგრამ მიუხედავად ჩემი განებივრებული თეთრი კატისგან გამოწვეული უსიამოვნებისა, სეითი მე მაინც მეფერებოდა და თავზე ხელს მისვამდა.

მარჯვნიდან: ვერცელი და მისი მეუღლე სოფა, დედა, მეორე წაღვერში. 1930 წ.

ზაფხულობით მე და დედა ვისვენებდით წაღვერში. ჩემი უფროსი და-ძმანი ხშირად გვესტუმრობდნენ ხოლმე. ხანდისხან მამაც გვაკითხავდა. განსაკუთრებით გერცელს ძალიან უყვარდა წაღვერი. მის გარშემო იკრიბებოდნენ ამხანაგები, რომლებსაც შექმნილი ჰქონდათ „ცეყირეი ციონის“ საზოგადოება.

როდესაც მამაც გვესტუმრებოდა, მაშინ ჩვენ ყველანი მიწვეულნი ვიყავით სეით დევდარიანთან თავის პატარა აგარაკზე, რომელიც მდებარეობდა წაღვერიდან ბაკურიანი-

ახალგაზრდა ქართველ ებრაელ სიონისტთა („იცუკირეი ციონის“) ჯგუფი. წაღვერი, 1924 წ. სურათზე: ვერცელ ბაასოვი, რახამო ბათომელი, ნიკვაძელი, მ. იაკობაძელი, ს. იაკობიძელი, ბუსუკაძელი, ვორელიძელი, მ. თავდიდიძელი, სიმონოვი და სხვ.

სკენ მიმავალ გზაზე – ტბასა და ლიბანს შორის. მივემგზავრებოდით საზაფხულო მატარებლით, რომელსაც „კუკუშკას“ ეძახდნენ. „კუკუშკა“ უხვევდა და უხვევდა ნახევარწრისებურად და სადღაც შუა გზაზე ჩამოვდიოდით.

სეით დევდარიანის აგარაკი; –ეს არ იყო მდიდრული. ფეშენებელური ვილა, არამედ იყო პატარა, ქვითკირითა და ფიცრით ნაშენი პატარა სახლი. ვის უნდოდა ოთხ კედელს შორის ჯდომა, როცა გარეთ წარმტაცი ბუნება იყო. და ჩვენც ვსხდებოდით ხის მრგვალი მაგიდის გარშემო, ვტკბებოდით ფანტასტური, სურნელოვანი არემარეს მზერით. მამა და სეითი საუბრობდნენ, ჩვენ შევექცეოდით შესანიშნავ ხილს, რაისა ისაკოვნას ხელით ნახელავ ღვეზელს, მჟავე წყალს და სხვ.

ჩემს და ფანის რომ დასცლოდა, ის უფრო მეტს, საინტერესო ცნობებს მოაწვდიდა მკითხველს ამ მეტად ძვირფასი და საინტერესო პიროვნების, ნეტარხსენებული სეით დევდარიანის შესახებ. გაგონილი მქონდა მხოლოდ

„ნაპირეი ცოცხის“ ბაშფის კიდევ ერთი სურათი. 1926 წ.

ერთი ფაქტი. წელიწადში ერთხელ თუ ორჯერაც სეით დევდარიანი სადილზე მიწვეული ჰყავდა კრემლში მის ყოფილ მოწაფეს – და იმ დროს კი „მზისდაგვარ ხალხთა ბელადს“ – სტალინს ქართულ პურ-მარილზე.

დადგა 1937 წელი. ჩვენთვის ჩამოწვა წყვდიადი. იღუპებოდნენ ადამიანები განუკითხავად.

ერთ დღეს ჩვენს ოჯახში მოაღწია საშინელმა ცნობამ – დევდარიანები, სეითი თავისი მეუღლით, წაიყვანეს და გაქრნენ. დაიღუპნენ. დაშინებული მათი ვაჟიშვილები გაიქცნენ. ტოლიამ თავი რუსეთს შეაფარა, ხოლო იურა სულ სხვა მიმართულებით გაიქცა და არავინ იცოდა სად იყო იგი.

ტოლიას შესახებ აღარასოდეს გვსმენია, ხოლო იურა გამოჩნდა ცოცხალი 60-იან წლებში. იგი იმ დროს მუშაობდა დიდ სამრეწველო ცენტრში ინჟინრად.

# ჩვენი სტუმარი
# სოლომონ მიხოელსი

მსურს ჩვენს საპატიო სტუმრებს შორის მოვიხსენიო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება. ეს გახლავთ მოსკოვის სახელმწიფო ებრაული (იდიშური) თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სოლომონ მიხაელის ძე მიხოელსი. აი, რას ვკითხულობთ წერილში, რომელიც დაიბეჭდა მისი თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლასთან დაკავშირებით ჟურნალ „ხელოვნებაში" 1933 წელს:

„... მიხოელსი, როგორც აქტიორი არის უდიდესი ერუდიციისა და მომხიბვლელობის მქონე. იგი სარგებლობს ფართო პოპულარობით და დამსახურებული სიყვარულით მთელ საბჭოთა კავშირში." „...მომავალი სეზონის რეპერტუარის შესახებ ამბ. მიხოელსმა ჩვენი რედაქციის თანამშრომელს განუცხადა შემდეგი: „პირველ პრემიერად წარმოდგენილი იქნება „მიდათ ადინ" (სამართლის საზომი) ბერგელსონის, მეორე პრემიერად – „მეფე ლირი" (თარგმანი პოეტ გალკინისა). მესამე პრემიერისათვის მოლაპარაკებას ვაწარმოებთ გერცელ ბააზოვთან მისი პიესის „მუნჯები ალაპარაკდნენ"-ის დადგმის შესახებ."

აღნიშნული წერილიდან ვტყობილობთ, რომ ს. მიხოელსი თბილისში საგასტროლოდ ყოფნის დროს შეხვედრია რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელს სანდრო ახმეტელს და თეატრის კოლექტივს.

და, სწორედ ამ პერიოდში ეს საპატიო ადამიანი ესტუმრა ჩვენს ოჯახსაც, კერძოდ, რაბინ დავიდ ბაზოვს. ძალიან კარგად მახსოვს, ეს იყო დღისით. დედაჩვენმა მოამზადა სპეციალური სადილი. შევიკრიბეთ მთელი ოჯახის წევრები. მას ვიღაც ახლდა, მაგრამ არ მახსოვს იმ კაცის ვინაობა. შემდგომში ჩემი უფროსები იგონებდნენ, რომ საუბარი მიმდინარეობდა მეტად გულთბილ ვითარებაში. ს. მიხოელსი ჩარჩა ოჯახის მეხსიერებაში როგორც დიდი ადამიანი და ჰუმანისტი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების პერიოდში შეიქმნა მსოფლიო ანტიფაშისტური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ს. მიხოელსი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ქ. მინსკში 1948 წელს მოწყობილ საავტომობილო ავარიის დროს იგი იქნა მოკლული.

## შოვიდან მოსკოვში

ზაფხულის მიწურული იყო. გერცელი, მისი ახლადშერთული მეუღლე – სოფიო და ფანი მაღალმთიან აგარაკ შოვიდან დაბრუნდნენ. ოთახის კარი გაიღო და შემოგვანათა გერცელმა. მის ზურგს უკან მომციონარი და თვალებბრჭყვიალა ფანი იდგა. დედა სასადილო მაგიდასთან შეჩერდა, ალუვარულით და სიხარულით შეეგება თავის უფროს ვაჟიშვილს. გერცელმა მარჯვენა ხელით ფანი წინ წამოსწია და წარუდგინა დედას.

–Вот. мамочка. принимай свою дочку! –გერცელის ხმაში წყრომა იგრძნობოდა.

ფანი დამნაშავესავით, მორცხვად იღიმებოდა. თუმცა მისი თეთრი კბილების ელვარება და ყავისფერი თვალების ბრიალი მის ონავარ ხასიათზე მეტყველებდნენ. მაღალმთიან რაჭის მზეს ისე მაგრად დაეკრა სახეზე, ბეჭებზე და მკლავებზე, რომ არა მარტო ჩვენმა ახლომხედველმა დედამ, მეც ძლივს შევიცანი ფანი. მე, პიჯაფჩენილი, ცნობისმოყვარე ბავშვი ჩავდექი დედასა და ჩემს უფროს ძმას შორის, რაღაც საინტერესო ამბის მოლოდინში.

თავდაპირველადი რეაქცია ჩემი დედა-რახელის მხრიდან ასეთი იყო:

–Сынок. что ты шутишь. Ты ведь. какую-ту цыганку привел ко мне и говоришь. что она моя дочь?

–Да. да. именно твою дочь! –დასძინა გერცელმა, –твоя дочь превратилась в цыганку!

–Да. но я свою Фаню родила беленькой. каким-же образом она стала черной?!

–ხა, ხა, ხა! –ველარ შეიკავა თავი ფანიმ და დედას კისერზე მოეხვია: –Мамочка. дорогая. это я. твоя Фаня.

ბრინჯაოს ფერზე დამდგარ ფანის მეტად შვენოდა მწვანეფოთლებიანი, ჭრელი, დანაოჭებული, გულღია სარაფანი; პრიალა წვივებზე ზონარშემორტყმული ფირუზისფერი „მესტები“ (თხელტყავიანი, საზაფხულო, აღმოსავლურ ყაიდაზე შეკერილი სანდლები) ესიტყვებოდა მის ესოდენ ეგზოტიკურ გარეგნობას.

–მთელი ზაფხული შემიკლა და ვერაფრით წამოვაცმევინე ფეხზე რაიმე, –ჩიოდა გერცელი დედასთან, –ირემივით სულ ფეხშიშველა დარბოდა. უნდა

გენახა წკეპლით ხელში ტყის ქალღმერთივით, შემოიარა რაჭის მთები. მე რომ არ შემეჩერებინა, მამისონის უღელტეხილზეც გადავიდოდა, ისეთი თავზეხელაღებული ქალიშვილი გყავს.

უფროსი ძმის წყრომას ფანი მხოლოდ მოსიყვარულე ღიმილით პასუხობდა.

უცებ ფანიმ ხელი ხელს შემოჰკრა, შეტრიალდა ცერებზე და მეორე ოთახში გახტა. დაბრუნდა მალე. ხელში ეკავა ფეხსაცმლის მუყაოს ყუთი. ფანიმ გახსნა ყუთი, ამოალაგა ქალის ახალი ფეხსაცმელები და მაგიდაზე დააწყო.

იმ პერიოდში ნაკლებად იშოვნებოდა დასავლეთევროპულ ყაიდაზე შეკერილი მზა ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი. ამიტომ იყო, რომ თბილისელ მოდის მიმდევართა სამყაროში დიდი მოწონებით სარგებლობდა სომეხ ხელოსანთა მიერ შეკერილი ქალის ფეხსაცმელი. ხოლო ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის სპეციალისტებად მეტწილად ევროპელი ებრაელები იყვნენ ცნობილი.

ფანი იმ წლებში

ფანის ახალი ფესაცმელები, ნიანგის ტყავისაგან შეკერილი, მეტად მაღალი და წვრილქუსლიანი იყო, რომელსაც მაშინ ახალი მოდის მიმდევარნი ეძახდნენ „შპილკას“.

—სამაგიეროდ, როცა შენ მოსკოვში წამოგყვები, —ნიშნისმოგებით მიმართა ფანიმ გერცელს, —და იქ დიდ თეატრში წავალთ, მაშინ, აი, ამ ფეხსაცმელს ჩავიცმევ.

გერცელი ახლა ამ ფეხსაცმელების ფორმამ განაცვიფრა.

—ფანი, შენ მეორე უკიდურესობაში ვარდები. მთელი ზაფხული მთლად ფეხშიშველი დადიოდი და ახლა... შენ მართლა აპირებ ამ საოცრებაზე შედგე?! წაიქცევი... არა, ჩემი იმედი არ გქონდეს. მცველად სხვა ვინმე შეიგულე. მე არ მეცლება შენთვის, რომ გვერდით „ყავარჯნის“ მაგიერობა გაგიწიო! —ასე კატეგორიულად განუცხადა გერცელმა დას და გაბრუნდა გასასვლელ კარისკენ. კარში შეჩერდა, მობრუნდა და და-

ამატა: –ყოველ შემთხვევაში შენს ხელჩანთაში „ჩუსტები“ ჩაილაგეო.

ფანიმ ისევ ყუთში ჩაალაგა ფეხსაცმელები, მხიარულად გატრიალდა და გაიტანა მეორე ოთახში. მალე იქიდან მოგვესმა მისი კონტრალტო. ის რუსულად წაიმღერებდა მუსორგსკის ოპერა „ივანე სუსანინიდან“: „ოჰ, მომეცით, მომეცით მე თავისუფლება“ (Ой. дайте. дайте мне свободу ...).

იმ დროს ფანისთვის ოქროს წლები იყო, რომ იტყვიან, ცა ქუდად მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

იმ ხანად გერცელს თავის სამწერლო მოღვაწეობის გამო უხდებოდა მოსკოვს ან რუსეთის სხვა რომელიმე ქალაქში გამგზავრება. ახალდაქორწინებული გერცელის მეუღლე სოფიო და ფანი ხშირად მიჰყვებოდნენ თან. ოჯახისთვის ქალების გამგზავრება მთელ მოვლენას წარმოადგენდა. საგანგებოდ ემზადებოდნენ. გერცელი მათ სამზადისზე ყოველთვის უკმაყოფილებას გამოთქვამდა – მეუღლესა და დას ასეთნაირად მიმართავდა:

–თქვენ მძიმე არტილერია ხართ. არ გეხერხებათ ჩემსავით ადგეთ და წყნარად გამოემგზავროთ. მოსკოვში წამოსასვლელად ყველაფერს თავდაყირა აყენებთ.

ვერა შმულევიჩი თბილისში განთქმული ქალის კაბის მკერავი იყო. თავის სამუშაოდ იშვიათად იყენებდა მოდების ჟურნალს. ცალკეულ ინდივიდზე ქმნიდა შესაფერის ფასონსა და არასდროს იმეორებდა ერთხელ შექმნილ მოდელს.

შავი შიფონის კაბა, რომელიც შმულევიჩმა ფანის სპეციალურად შეუკერა მოსკოვის დიდი თეატრისათვის, ხელოვნების საუკეთესო ნაწარმს წარმოადგენდა. კაბა იყო სწორი, კოჭებამდე გრძელი, გამოკვეთდა სხეულის ფორმებს. კოჭებთან რბილი ფალდებით მარაოსავით იხსნებოდა. მხრების გარშემო შემოვლებული ჰქონდა შავი ფართო გიპიური, ე.წ. პერელინის მსგავსად და ეცემოდა წელზე, რომელიც გამოკვეთავდა ვიწრო წელის ფორმას. გვერდზე, კისერთან ახლოს დამატებული ჰქონდა თეთრი და შავი შიფონისგან გამოყვანილი ხელოვნური მარგალიტკები. აღნიშნული კაბა ფანის შესანიშნავ ფიგურაზე შედევრად გამოიყურებოდა. გადაჭარბებული არ იქნება თუ აღვნიშნავ ერთ ფაქტს, რომ ბევრი ქალი მასზე უფრო მდიდრულად და პატიოსანი თვლებით შემკული იცვამდა, მაგრამ იმ პერიოდში, როცა ფანი თავის ახალგაზრდობის, ბედნიერი პერიოდის ზენიტში იმყოფებოდა, თავისი საკუთარი სტილით, ჩაცმულობით თუ ვარცხნილობითაც ქალაქ თბილისში ერთ-ერთ ტონის მიმცემად ითვლებოდა მოდის მოყვარულთა სამყაროში.

ფანი თავის წიგნში „კეთროვანნი“ აღნიშნავს ამ ფაქტის შესახებ, მაგრამ მეტად მკრთალად, რამეთუ არ უყვარდა ქათინაურების მოსმენა და მით უმეტეს მათი გამეორება ან გადმოცემა. აღნიშნულ წიგნში ის გადმოგვცემს იმ მწარე და საშინელი დღეების შესახებ, რაც მას მოუხდა გადაეტანა იმ უბედურებასთან დაკავშირებით. ამიტომ მე, მისი და, უფრო თამამად გად-

მოგცემთ მის შესახებ თქმულსა და გაგონილს.

მოსკოვიდან მობრუნებული გერცელი დედას უზიარებდა შთაბეჭდილებებს. იმ დროს მეც იქ ვიყავი და მოვისმინე შემდეგი:

–Мамочка , შენ ვერ წარმოიდგენ როგორ მოვტყუვდი, –ემოციურად უყვებოდა დედას, –დიდ თეატრში, ანტრაქტის დროს ფოიეში მე, სოფიო და ფანი ვსეირნობდით. მე შევნიშნე, რომ იმ საღამოს თეატრალური საზოგადოება სულ ჩვენსკენ იყურებოდა. გავოცდი. ვფიქრობდი: „რატომ? რით გამოვირჩევით?“ მაგრამ მალე გაირკვა რაშიც იყო საქმე. თურმე ყველას ყურადღება შენს ფანის მიუქცევია. „ვინ არის ეგ ელეგანტური ქალიშვილი, თან რომ გახლავთ?“ –ჩურჩულით მეკითხებოდნენ ნაცნობები. ხოლო მწერალმა აფინოგენოვმა ასე შენიშნა: „ეს რა გამომეტყველება აქვს თქვენს დაიკოს. იუდეას მთებიდან ჩამოსულ დედოფალას ჰგავსო!“

–ო, როგორ მეამაყება ჩვენი ფანიკო, ვენაცვალე... –წარმოთქვა ჩვენმა მამა-დავითმა, რომელიც შემთხვევით შემოესწრო ამ საუბარს.

–დავიდ, ნუ გიყვარს შენი შვილების ქება, –შენიშნა დედამ, –შენი შვილები სხვებმა უნდა აქონ და არა მშობლებმა.

–ო, მაპატიე ეს სისუსტე, ჩემო რახელ, მაგრამ მე არ შემიძლია ჩუმად ვიყო, როცა ასეთი საამაყო მყავს ჩემი ფანი. აბა, მოგესმინათ პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილისათვის. ის შემომხვდა გზაზე და ასე მითხრა: „ბატონო დავით, თქვენ ბედნიერი მამა ბრძანდებით, როცა ასეთი ქალიშვილი გყავთო. ფანი ჩვენი საუკეთესო სტუდენტია. იცით, რა ბრწყინვალე აზროვნება აქვსო.“

–მეც დავამატებდი, მაგრამ ვშიშობ შემოგვისწრებს. მას კი არ უყვარს ქათინაურები, –დასძინა გერცელმა. და მართლაც ამ დროს ოთახში შემოვიდა ფანი, რის გამოც საუბარი მის შესახებ უცბად შეწყდა.

## ი. ბიხოვი

20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში ფანი თავისი ყმაწვილქალობის ღირსების ზენიტში იყო. მის გარშემო ტრიალებდნენ მისდამი მოტრფიალე ახალგაზრდები, რომლებიც მას ხელს სთხოვდნენ. მათ შორის იყვნენ გაბედულნიც და მორცხვი ახალგაზრდებიც. ბევრნი იყვნენ გერცელის ამხანაგები და მიუხედავად მათი წარუმატებლობისა პირადულ საკითხში, მაინც რჩებოდნენ კარგ მეგობრებად. მე არ მინდა ამ ამხანაგების სახელები ჩამოვთვალო, მიმაჩნია, რომ არაეთიკურია. მაგრამ მაინც შევჩერდები ერთ საინტერესო პიროვნებაზე. ეს ახალგაზრდა არ წარმოადგენდა გერცელის წრიდან გამოსულს. მისი სახელი იყო ს. მ. ბიხოვი. იგი რუსეთიდან თავისუფალ გადასახლებაში იყო საქართველოში ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის გამო. სემიონ მიხაილოვიჩ ბიხოვი გადმოსახლებაშიც თავისი სპეციალობით მუშაობდა, ე.ი. როგორც ეკონომისტი. იმდენად სანდომიანი და ლამაზი გარეგნობის მამაკაცი გახლდათ, რომ ადამიანი თვალს ვერ მოაცილებდა. მას ჰყავდა ლამაზმანი და, რომელიც რუსეთში კინომსახიობად მუშაობდა. ახლაც მახსოვს ს. მ. ბიხოვის ელეგანტური, ევროპულ ყაიდაზე ჩაცმულობა. მეტად შვენოდა შავხავერდ გადაკრული საყელოიანი პიჯაკი, რომელიც მის ხავერდოვან ყავისფერ თვალებს ესიტყვებოდა. იგი ხშირად მოდიოდა ჩვენს ოჯახში ფანისთან.ყოველთვის თაიგულით ხელში, ღიმილით, ხელზე ამბორით შემოადგამდა ფეხს ჩვენს ბინაში. ფანიც მეტად თავაზიანად ხვდებოდა, თეთრსუფრა გადაფარებულ მაგიდაზე ჩაის დასალევად იწვევდა. დედა კერას უჯდა და არ ერეოდა მათ საუბარში. მე ძალიან მსურდა, რომ ფანის მასზე შეეჩერებინა არჩევანი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოხდა ასე.

ხშირად ქალიშვილები გადაჭარბებული წარმატებისაგან საქმროს რჩევაში ცდებიან და ვერ ამჩნევენ თავის ბედს. დედისგან ვიცოდი, რომ ბიხოვი ფანის ხელს სთხოვდა, მაგრამ ფანი უარს ეუბნებოდა. როგორც ჩანს, მოტრფიალე იმედს არ კარგავდა და განაგრძობდა ჩვენთან მოსვლას. მე ძალიან მწყინდა. დიდი სურვილი მქონდა, რომ ბიხოვი ჩვენი სიძე გამხდარიყო. ხანდისხან ფანის შევაპარებდი კითხვას:

—რატომ, ფანი, რატომ უარყოფ ბიხოვს?

ჩემს კითხვაზე ფანის არასდროს უპასუხია პირდაპირ. მხოლოდ ჩაიცინებ-

და ხოლმე და მეტყოდა:

–შენ ჯერ პატარა ხარ. როცა გაიზრდები, მაშინ მიხვდები ბევრ რამეს.

რა იყო ის მიზეზი, რომელიც მე მაშინ არ მესმოდა? შემდგომ პერიოდში, როცა წამოვიზარდე, ფანიმ ამიხსნა:

–მამაკაცში სილამაზე არ უნდა სჭარბობდეს ჭკუას...

დიახ, ჩვენი ფანისთვის ადამიანის შესაფასებლად მთავარ კრიტერიუმს მისი ჭკუა-გონება წარმოადგენდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მის ცხოვრებაში პირადმა ბედმა ცოტა დაიგვიანა. საბოლოოდ თავისი არჩევანით ის კმაყოფილი იყო, მაგრამ, ვაგლახ, რომ ბოლომდის არ შერჩა, რამეთუ გერცელის დაღუპვის მომენტიდან მისი პირადი ცხოვრებაც დაინგრა. მთელი ოჯახისთვის ყველაფერი დაიღუპა და ფანის ბედის ჩარხიც უკან გადმოტრიალდა.

სურათზე – მარჯვნიდან მარცხნივ:
ფანის მეუღლე აბრამ ეჰელბაუმი, ირა – აბრამის და, ფანი, ჰოლინა.
რიწის ტბასთან, 1937 წ.

# უდღეური მემუარები

ჩემი უფროსი და-ძმა მამას ხშირად სთხოვდა: დაგვიწერე შენი წარსული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბავი, რა ვუთხრათ მომავალ თაობას, ჩვენ ხომ ყველაფერი არ ვიცით შენს შესახებ? მამას უჭირდა შვილების თხოვნის შესრულება. მაგრამ ჩემი და-ძმანი არ ეშვებოდნენ, განსაკუთრებით გერცელი და ფანია.

—მიჭირს, შვილებო, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთს მადებთ მხარზე, —პასუხობდა მამა.

—წერას რომ დაიწყებ, სიმსუბუქეს იგრძნობ. ოღონდ შენ დაიწყე, ჩვენ რედაქტირებაში, გადაწერაში დაგეხმარებით, ოღონდ კი დაგვიწერე!

ბოლოს მამა დაიყოლიეს.

მამას სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხშირად უხდებოდა მივლინებაში მგზავრობა, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე რუსეთის ქალაქებში. მამამ მგზავრობის დრო, როცა მატარებელში იჯდა, წერისათვის გამოიყენა. მგზავრობის დროს წერდა მოგონებებს წარსული ცხოვრების შესახებ. გერცელი და ფანი თვალს აყოლებდნენ მის პორთფელს, რომელიც სულ უფრო და უფრო სქელდებოდა შავად ნაწერი ქაღალდებისაგან; ბოლოს პორთფელი ძლივს იკეტებოდა, პორტფელიდან მოსჩანდა ნაწერები; გერცელს, ფანის და ოჯახის დანარჩენ წევრებს სიხარულით თვალები უბრწყინავდათ და ერთმანეთს პორთფელზე მიუთითებდნენ.

ერთ დღეს მამა დაბრუნდა მივლინებიდან, შემოვიდა დიდ ოთახში, სადაც ჩვეულებრივად ვიკრიბებოდით. როგორც კი ფეხი შემოდგა, შევნიშნეთ, რომ დაღონებული იყო. თავჩაქინდრული, ხელებჩაშვებული და ხელცარიელი. აღარ ეჭირა თავისი პორთფელი. თავს მაღლა ვერ სწევდა და ასე დამნაშავესავით გარინდებული იდგა.

—რაშია საქმე, მამა! რა მოხდა... ხომ კარგად ხართ? —ეკითხება ფანი.

—მატარებელში მომპარეს პორთფელი, რომელშიც თავმოყრილი მქონდა ნაწერები... მაპატიეთ, შვილებო, მე ძალა აღარ შემწევს, რომ ყველაფერი თავიდან დავიწყო. ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში ვერ შეგპირდებით, ვნახოთ მერე...

მერე კი სხვა მოვლენები დატრიალდა... იმედები და მოლოდინი თავდაყირა დადგა...

განა ქურდმა არ იცოდა, რომ მამას პორთფელში ნაწერების გარდა არა-

ფერი ჰქონდა!

არა! – ეს ყველას კარგად ესმოდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ქურდის მოქმედება...

იცოდნენ, რომ მამა მგზავრობის დროს იყენებდა – დაუმალავად და დაუფარავად წერდა. ეს ორგანოებს შეუმჩნეველი როდი დარჩებოდა, რადგან მამას ყოველწუთს, ყველგან და ყოველთვის თვალყურს ადევნებდნენ. ოჯახში არავის ეპარებოდა ეჭვი, ვინ იყო ის „ქურდი“, რომელმაც მამას მემუარები მოპარა.

ასე და ამგვარად, მამას მემუარები უდღეურნი აღმოჩნდნენ.

# შავადმოსაგონარი 40-იანი წლები

30-იანი წლების პირველი ნახევარი, უფრო სწორად 1936-37 წლამდე, გერცელის მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე გაფურჩქვნის პერიოდით ხასიათდება. რამდენადაც გერცელის წარმატებებით თავს ვგრძნობდით ბედნიერად, ლაღად და ოპტიმისტურად, იმდენად შემდგომში სულმთლიანად საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარდა მოვლენები. 1934 წლიდან, კიროვის მკვლელობის შემდეგ ჩამოწვა ბურუსი, დაიწყო დაჭერები ზემდგომ პარტიულ მუშაკებს შორის. იმ დროს ყველაფერი, რაც „ზემოთ" ხდებოდა, საიდუმლოებით იყო მოცული. რიგითი ადამიანები ვერ ერკვეოდნენ სინამდვილეში. ცხოვრება გრძელდებოდა, მაგრამ პოლიტიკურ ცაზე შავი ღრუბლები გროვდებოდა. მიმდინარეობდა ურთიერთ მოსპობა. თანდათანობით ხელი მიჰყვეს უპარტიო ადამიანებსაც. გახშირდა დაპატიმრებები, ტერორი და ადამიანთა გაუჩინარება. არავის ესმოდა ვინ იყო მართალი თუ მტყუანი. თავდაპირველად ყოველგვარი გასამართლების გარეშე ე.წ. „ოსოზე" ან „ტროიკაზე" გასული ადამიანი უჩინარდებოდა და აღარ ბრუნდებოდა. ეს მოვლენები უფრო ანგარიშის გასწორებას თუ შურისძიებას წააგავდა, ვიდრე დამნაშავის გასამართლებას. ასეთ ვითარებაში სარგებლობდნენ საზოგადოების ნაძირალებიც — ვის ვინმეს თანამდებობა სწადდა ან ბინა შურდა მეზობლისა თუ ცნობილი პიროვნების. ასეთები აღწევდნენ სასურველს. არ იყო მაშინ ძნელი. მე მოგახსენებთ იმას, რაც ჩემს თვალწინ ხდებოდა.

ერთ-ერთი მაგალითი. თბილისში თვალის ექიმად მუშაობდა ერთი მეტად პატიოსანი ადამიანი საშა რიჟინაშვილი. მალე თავისი დამსახურებით მიაღწია განყოფილების გამგის ადგილს. მაგრამ ერთ დღეს — 1937 წელს (არ მახსოვს თვე) იგი დაიჭირეს და ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

1937 წლის სექტემბრის ბოლოს ცხინვალში 7 ღრმა მოხუცი ხახამი დააპატიმრეს. ექვსი სალოცავი დაარბიეს და დაკეტეს. დღემდე არავინ იცის ამ წამებულთა ბედი და ბოლო.

1937 წელს საქართველოში ხელი მიჰყვეს მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების დაპატიმრებებს და მათ განადგურებას. ადამიანებს გვერდიდან აცლიდნენ მეგობარ-ამხანაგებს.

მახსოვს ერთი ეპიზოდი. სახლში შემოვიდა გერცელი. ეცვა საყელოზე ბეწვშემოვლებული საზამთრო პალტო. აპირებდა მოსკოვში გამგზავრებას თავისი სალიტერატურო მოღვაწეობის თაობაზე. როგორც ყოველთვის სჩვეოდა, ახლაც პირველ რიგში დედასთან და ჩვენთანაც მოვიდა დასამშვიდობებლად. გერცელი რომ შემოგვდიოდა, თითქოს რაღაც მაგნიტური ძალა ჰქონდა, ყველას გვიზიდავდა, მეტადრე მე. არ ვცილდებოდი, პირდაპირ ფეხებში ვებლანდებოდი, ის კი ცალი ხელით მეფერებოდა. ახლაც ჩამოვეკიდე მკლავზე. მაგრამ დედამ გერცელს ხელი მოჰკიდა და შეიყვანა პატარა ოთახში. იქვე კარიც მიიხურა, მაგრამ არ ჩაუკეტია, ოდნავ ღიაც დარჩა. მე შევჩერდი ოდნავ შეღებულ კარებთან. მომესმა დედის შეშფოთებული სიტყვები:

–Гершель дорогой, ты видишь, что происходит вокруг. Я очень боюсь, беспокоюсь за тебя. Прошу быть подальше от всех. Никто не знает что будет и кто кем окажется. Отстранись от людей...

–Мама дорогая, напрасно беспокоишься. Я ведь чувствую, что я чист, у меня нет никаких грехов, я никогда ничего не сделал против правительства, не совершил ничего антигосударственного. Я чист, чувствую себе вполне спокойно, так что не волнуйся, меня никто не тронет.

ვინ იფიქრებდა, რომ მაშინ ეს იყო ჩვენს მიერ გერცელის უკანასკნელი ხილვა. წავიდა ჩვენგან გერცელი, გაგვეცალა, და იგი შთანთქა წყვდიადმა. ადამიანების სახიერების უბოროტესმა შავმა ძალებმა წაგვართვა გერცელი. ასე იყო დარწმუნებული გერცელი თავის სიმართლეში და მის ახლო ამხანაგ-მეგობრებსაც იგი ხელშეუხებელი ეგონათ. მაგრამ დადგა ის ავადმოსაგონარი წელი, 1938 წელი და გერცელის სიმშვიდეც დაირღვა. აი, რას წერს გერშონ მეგრელიშვილი:

„1938 წ. მარტი. გერცელს მევხედი სოლოლაკზე. იყო შეშინებული. საიდუმლოდ მითხრა, რომ ვიღაცას მასსე შეუტანია განცხადება, რომ იგი სიონისტია. ეს გაუნდვია მისთვის ვიღაც მუშაკს. თბილისში დარჩენა საშიში იყო. მე ბაქოში მივდიოდი. გერცელი კი მოსკოვში.“

მაგრამ გერცელი როდი შიშობდა თავის გამო. იგი შეშინებული და შეშფოთებული იყო მამაჩვენის გამო. ასე აღვიზარდეთ ყველა შვილი ოჯახში, რომ ერთს მეორისათვის სტკიოდა გული და ერთი მეორეზე უფრო მეტს შიშობდა, ვიდრე თავის თავზე.

ახალგათხოვილ ფანის არ ეწერა ქალის ბედნიერება. როგორც კი შეიტყო გერცელის დაპატიმრება, მან იქვე მიატოვა მეუღლის მყუდრო და თბილი კერა. ჩამოვიდა თბილისში. როგორც კი მამამ ფანი დაინახა ლენინგრადიდან ჩამოსული, იგი სასტიკად შეშინდა ფანის გამო. არ იყო გარანტირებული, რომ ფანისაც არ წაიყვანდნენ. ფანიმ ხომ თავისი ახალგაზრდობა ძმის გვერდით

გაატარა, აღიზარდა და შეისისხლხორცა მისი იდეები, იყო არა მარტო მისი თანამედროვე, არამედ ეხმარებოდა მამასაც და ძმასაც ყოველივე ეროვნული ხასიათის ღონისძიებებში. მამამ, რომელიც საშინლად ღელავდა, კატეგორიულად მოსთხოვა ფანის გაბრუნებულიყო ქმართან და მეც თან წავეყვანე. ფანი ფიქრობდა, რომ გერცელის პატიმრობა იყო შეცდომა, გაუგებრობის შედეგი, რომელსაც მალე გამოარკვევდნენ და გამოუშვებდნენ. მისივე მონაწოდი ცნობის მიხედვით („კეთროვანნი", გვ. 27), არავის სჯეროდა გერცელის დაპატიმრება, არც შინაურსა და არც გარეშეს. „როდესაც მწერალთა კავშირის სამმართველოს თავმჯდომარეს კანდიდ ჩარკვიანს მოახსენეს, რომ ქალაქში ხმები დადის გერცელის მოსკოვში დაპატიმრების შესახებ, ამაზე მას ასეთი რეაგირება მოუხდენია: რომ მას ეს ხმები მიაჩნია ჰროვოკაციად, რამეთუ იგი ვერ დაუშვებს მსგავს ფიქრსაც." როდესაც დადასტურდა გერცელის დაჭერა, ფანი აღნიშნავს თავის წიგნში: „ამიერიდან ბევრმა აშკარად გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაწვება დასაძინებლად გახდილი."

ამავე პერიოდს ემთხვევა, როცა ყველასათვის საოცრად ქალაქის სარეკლამო ადგილებზე გამოჩნდა აფიშა, რომელიც ამცნობდა გამვლელს, რომ 2 ივნისს კ. მარჯანიშვილის თეატრში ნაჩვენები იქნება „იცკა რიჟინაშვილი". ფანი — თბილისში მობრუნებული — იმედს არ კარგავდა. მე დედას ხელი მოვკიდე და ორივენი გავეშურეთ სპექტაკლზე. თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ სპექტაკლის დამთავრებისთანავე გამოჩნდებოდა გერცელი. დამთავრდა სპექტაკლი. ხალხი სულგანაბული ადგილიდან არ იძროდა, მოელოდა გერცელს, რომელსაც სცენაზე გამოიყვანდნენ. მეც და დედაც ვიდექით ფეხზე. თვალები მიპყრობილი გვქონდა კულისებიდან სცენაზე გამოსასვლელისაკენ. აგერ... აგერ... გამოჩნდება გერცელი. ასეთივე განცდებით კარებში გაჩერებული იდგა ფანიც. მაგრამ ეს საწაული არ მოხდა. სატანამ სძლია ანგელოზს...

არა, რა საჭირო იყო ასეთი გათამაშება, ახლობლებისა თუ ხალხის აბუჩად აგდება?! რა იდგა ასეთი ინსცენირების უკან? ეს დღემდის ჩემთვის გამოუცნობი დარჩა. ლავრენტი ბერია, რომელსაც თაყვანისმცემი მგოსნები უმღერდნენ და ქება-დიდებას ასხამდნენ, აღმოჩნდა ტარტაროზი, რომელიც თავის ბოროტეული სათვალეებიდან ადამიანებს მომაკვდინებელ შავ სხივებს აფრქვევდა. და ეს ყოფილა მისი სტიქია. სანამ ფანი, მამის დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად, უკან გაბრუნდებოდა ლენინგრადში, მოახერხა თავის ყოფილ მასწავლებელთან და იმჟამად ცაკის მდივანთან ვასო ეგნატაშვილთან შესვლა. ამ უკანასკნელმა ფანის გადასცა თხოვნითი ხასიათის წერილი თავის ძმაზე კონსტანტინე ეგნატაშვილზე გადასაცემად, რომელიც იმ დროს კრემლის ფარგლებში მუშაობდა. ფანი აღნიშნავს, რომ იგი და მეირი მოსკოვში, კუზნეცკის ხიდთან შეხვდნენ კონსტანტინეს და გადასცეს წერილი. ფანი დარწმუნებული იყო, რომ ამით შესძლებდა ძმის დახსნას. იქნებ იმი-

ტომაც იყო დარწმუნებული, რომ ახსოვდა გერცელის მიერ მოყოლილი ერთი ეპიზოდი (ეს ჩემთვის ცნობილი გახდა, როცა წავიკითხე ფანის წიგნი):

„ჯერ კიდევ 1935 წელს გერცელმა („იცკა რიკინაშვილზე“ მუშაობის პროცესში) მოსკოვის გარეთ აგარაკზე ინახულა სტალინის პირველი მეუღლის ძმა ალიოშა სვანიძე, რომელიც იცკას ახლო მეგობარი იყო. ისინი ერთად სწავლობდნენ და ერთად მონაწილეობდნენ 1905 წელს რევოლუციაში. სვანიძემ გერცელი თბილად მიიღო და იყო მოხარული იმით, რომ გერცელს სურს გააცოცხლოს მისი მეგობრის სახე. ამასთან დაკავშირებით მისცა ბევრი მნიშვნელოვანი მასალა. გერცელმა მას მიართვა თავისი რომანი „ფეთხაინი“. სვანიძემ უთხრა გერცელს, რომ ამ წიგნის შესახებ მისთვის ცნობილია იოსებ ბესარიონის ძისგან, რომელმაც წაიკითხა ეს წიგნი და ურჩია მასაც წაეკითხა.“

როგორც აღვნიშნე, იგი ოპტიმისტურად იყო განწყობილი, მაგრამ წინ მოელოდა კოშმარი, რომელიც სულ რთულდებოდა და ღრმავდებოდა.

ლენინგრადში ყოფნისას ჩემი სიძე აბრაშა, ფანის მეუღლე, ყოველნაირად ცდილობდა გაეფანტა ჩვენთვის კაეშანი. მე მაქსიმალურად მცემდა პატივს. დავყავდი ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში დასათვალიერებლად. სიძე მაყრიდა საჩუქრებს — ჩასაცმელსა თუ დასახურავს. მაგრამ სატანა წინ უფრო მეტ ტრაგედიას გვიმზადებდა. 10 ივლისს თბილისიდან გვატყობინებდნენ, რომ დააპატიმრეს მამაჩვენი და ხაიმი. გაგვეყინა სისხლი, გაგვიშრა ცრემლი. ტვინი და გული ვეღარ იტევდა ამოდენა უბედურებას. წამოვედით თბილისში. მოგვეღოდა ეკლიანი გზა. საჭირო იყო ვყოფილიყავი დედის გვერდით. ფანის ხვედრი კი გაკაჟება იყო. არ იყო ტირილის დრო. მას უნდა რაიმე ეღონა. ამიტომაც იყო, რომ დაიწყო პაპიროსის წევა (რაც მომავალში მისი ჯანმრთელობისათვის დამღუპველი აღმოჩნდა). რა შეგვეძლო მე და დედას? დედა, რომელიც თავის სახლის კერას არ გასცილებია, განებივრებული და უდარდელი იყო თავის ქმარ-შვილში. მე ჯერ ბავშვი გოგო — ცოდნისა და გამოცდილების გარეშე. მსგავსი მდგომარეობა იყო ჩვენს რძალთანაც, სარასთან — ხაიმის მეუღლესაც არ შესწევდა რაიმე ბრძოლის უნარი. ფანის მთელი თავისი ცოდნა იურიდიულ დარგში და ამხანაგ-მეგობრების დახმარება უნდა გამოეყენებინა მამისა და ძმების გამოსახსნელად. ფანის გადმოცემით, ჩვენს მესამე ძმას, მეირს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა, იმის გამო, რომ მასაც არ შესწევდა ბრძოლის უნარი, ერთთავად თავი ჰქონდა ჩაყოფილი თორაში.

პირველყოვლისა საჭირო იყო ჩვენი პატიმრებისათვის მიგვეწოდებინა პროდუქტი და ფული. ცარიელდებოდა ჩვენი სახლი. -რომ იტყვიან, „ჩალის ფასად“, მაინც ვყიდდით ყველაფერს. ამავე მიზნით გაიყიდა მაშინ პიანინოც.

იმის შემდეგ, რაც ფანის საიდუმლოდ აცნობეს, რომ თბილისში საშინი იყო მისი დარჩენა, ერთ ადგილას ორ ღამეს არ ათევდა, იცვლიდა ადგილსამყოფელს. ამასობაში ერთხელ შუაღამისას მოგვადგნენ უშიშროების მუშაკები. დაიწყეს ჩხრეკა, მთელი სახლ-კარი თავდაყირა დააყენეს.

საოცარი იყო, რომ მამაჩემის კუთვნილ ებრაულ ბიბლიოთეკას ხელი არ ახლეს (ან რას გაიგებდნენ), სამაგიეროდ თეთრეული და საცვალი სათითაოდ დაშალეს და შეამოწმეს. ჩემს კითხვაზე, თუ რას ეძებენ საცვლებში, მიპასუხეს, რომ ეძებენ იარაღს. შემდეგ მათ იკითხეს: სად არის დავით ბააზოვის ცნობილი ცხრა გაბარდინის კოსტუმიო. მამაჩემს არასოდეს ჰქონია ცხრა გაბარდინის კოსტუმი. მას ჰქონდა — საგარეოდ — ერთი შავი გრძელი სურთუკი და მეორე ლურჯი, უფრო უხეში შალის კოსტუმი — სამუშაო. მათ დაფურცლეს რუსული და ქართულენოვანი წიგნები. ეძებდნენ ფანის მისამართს. ამასთან დაკავშირებით დედამ უპასუხა, რომ არ ვიცით სად არის ახლა იგი. და მართლაც იმჟამად არ ვიცოდით, რამეთუ ფანი არ გვწერდა წერილს. საბოლოოდ მათ თავიანთ საქაღალდეში ჩადეს უმნიშვნელო ქაღალდები, ღია ბარათზე დაბეჭდილი ლ. გუდიაშვილის „ჩერქეზი ქალები“ და გაუჩინარდნენ ღამის წყვდიადში.

ჩვენი კარის მეზობლებმა გვიხსნეს ავი მოენებისაგან, რამეთუ მეორე დღეს გაევრცელებინათ ხმა, დავით ბააზოვის სახლში ჩხრეკის დროს „იატაკი ახადეს და ტომრებით ოქრო გაზიდესო“. ენას ძვალი არა აქვს. ტყუილის მთქმელს ენა არ ასტკივდება, სამწუხაროდ. და აქ ჩვენმა კარის მეზობლებმა, შამაში მოშეს ქალიშვილმა თამარამ და რძალმა თამარმა ყველა გააჩუმეს. მათ ხომ მთელი ღამე, სანამ ნკვდ-ეს მუშაკები ჩვენსას იყვნენ, არ დაუძინიათ. ეზოში მიმალულნი ელოდებოდნენ რით დამთავრდებოდა ეს ამბავი. და ისინი აღმოჩნდნენ მოწმენი იმისა, რითაც გავიდნენ ჩვენი ბინიდან და რაც წაიღეს. და მათ ყველას გაუბათილეს ჩვენს შესახებ შეთხზული ჭორი.

საცოდავი დედაჩვენი. მანამდე დედებს შორის ერთ-ერთი ბედნიერი, ახლა ყველაზე უბედური აღმოჩნდა. ჯერ გერცელი, მერე მამა და ხაიმი და ახლა ფანიც საფრთხის წინაშე. რით დამთავრდებოდა ეს ყოველივე, არავინ იცოდა. რა იცოდა დედამ, რომ მისი უფროსი ვაჟი, რომელიც თავისთავს ერჩია, წამებით და ტანჯვით მოკლული იქნებოდა...

8 თვის განმავლობაში მე და დედა ნკვდ-ს კომენდატურაში შუაღამიდან რიგში ვიდექით, რათა დილის 9 საათისათვის მიგვეღწია იმ სარკმელისათვის, რომლის მიღმა იჯდა „რკინის კაცი“. ოდნავ აწეული სარკმელიდან ძლივს მოჩანდა მისი ცხვირ-პირი. დედის კითხვაზე: „სად არის ჩემი შვილი?“ —იყო ყოველთვის ერთი პასუხი: „გადასახლებულია წერილის მოწერის ნებართვის აკრძალვით.“ 75 მანეთს კი ართმევდნენ, ვითომ პატიმრებზე გადასაცემად. გადასაცემად იმაზე, ვინც ცოცხალი აღარ ჰყავდათ. მაგრამ ისინი ხომ მხდალნი იყვნენ, ეშინოდათ საკუთარი არაადამიანური საქციელის გამჟღავნებისა უბედური დედისათვის.

მსგავსი მდგომარეობა იყო ორთაჭალის ციხესთანაც, სადაც მამა და ხაიმი გვეგულებოდა. მივდიოდით შუაღამისას, მიგვქონდა ძველი გაზეთები და ცივ ღამეებში ვანთებდით ცეცხლს, რათა გაცივებული ხელ-ფეხი გაგვეთბო. იქ,

ციხე პოლიტპატიმრებით იყო სავსე. ამიტომ, თუ ბედი გვწყალობდა, დილის 9 საათისათვის ვაღწევდით სარკმელს, სადაც ჩვენი პატიმრებისათვის, მამას და ხაიმისათვის ვაწვდიდით პურს ან სხვა საჭმელს.

ფანი იმ ხანად მოსკოვის გარეუბნებში იმალებოდა, მაგრამ მაინც ახერხებდა ჩვენთვის მოეწოდებინა პროდუქტები. მან ნამზითვი ძვირფასი ტანსაცმელი დაყიდა, რათა ჩვენთვის და პატიმრებისათვის ეზრუნა. ასეთი იყო ჩვენი ყოფა იმ ხანად. გაფრინდა და აორთქლდა, როგორც ზმანება, ჩემი ბავშვობის ოქროს ხანა. ამიერიდან იგი შეცვლილი იყო მხოლოდ დუხჭირითა და კაეშნით.

თუ სურს მკითხველს იქონიოს ჭეშმარიტი წარმოდგენა იმ შავბნელი პერიოდის შესახებ და ის, რაც იმ დროს გადახდა ჩვენს, მამისეულ ოჯახს, ვურჩევ წაიკითხოს ჩემი უფროსი დის, ნეტარხსენებული ფანის წიგნი «Прокаженные». მან ეს ყველაფერი აგვიწერა შეუდარებლად ნიჭიერი კალმით და დაგვიტოვა, როგორც უტყუარი ძეგლი. პირველყოვლისა, ფანი იყო ჩვენი ოჯახის მთავარი მამოძრავებელი წევრი და იმედი, რომელმაც თავის თავზე აიღო მეურვეობა პატიმრებზე და გარეთ დარჩენილთათვის. მაგრამ ეს უდრიდა იმას, როგორც მისი წიგნის ერთმა კომენტატორმა აღნიშნა, რომ მან თავი შეჰყო ცეცხლმოდებულ მილში, რათა იქიდან გამოსულიყო სამშვიდობოზე. მეორემ ფანი შეადარა თავზე ხელაღებულს, რომელმაც თავი შეჰყო პირდაღებული ვეფხვის ხახაში. და მართლაც, ფანი ანგარიშმიუცემლად, საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდების ფასად ეხეთქებოდა თბილისისა თუ მოსკოვის საგანგებო ორგანოებს შორის, რათა ეხსნა მისთვის ძვირფასი ადამიანები — მამა და ძმები. თვეების მანძილზე იდგა კომენდანტურის ფანჯარასთან, რათა გადაეცა წერილობითი საჩივრები.

1939 წლის 22 მარტს დაინიშნა მამისა და ხაიმის საქმის განხილვა. მასთან ერთად საქმეში გადიოდნენ რაფო ელიგულაშვილი, გერცელ ჩაჩაშვილი და თბილისში მცხოვრები აშქენაზი სიონისტები. ყველას მიაჩნდა, რომ პოლიტპატიმართა საქმე უკეთესობისაკენ მიდიოდა, რამეთუ ეჟოვის დროს „ხალხის მტრები“, როგორც მათ ეძახდნენ, ყოველგვარი გასამართლების გარეშე ე.წ. „ტროიკაზე“ გადიოდნენ და იქიდან გამოსული ცოცხალი ადამიანი არავის უნახავს. იმჟამად, როცა დ. ბააზოვისა და მისი ჯგუფის საქმის განხილვა დაინიშნა, ეჟოვი შეცვალა ლ. ბერიამ. და ყველას ეგონა, რომ ამიერიდან, ვისაც საქართველოში ცეცხლოვან ჰიმნს უმღერდნენ და ქება-დიდებას ასხამდნენ, უფრო ჰუმანურად მოეპყრობოდა წაყვანილებს...

ფანიმ მამას და ხაიმს აუყვანა ადვოკატები: ალექსი ჭიჭინაძე და დიმიტრი კანდელაკი. ამათ პატიმრების მონახულების უფლება ჰქონდათ და თავის მხრივ ისინი ფანის საქმის კურსში აყენებდნენ.

მე, დედა, სარა, პატარა ლილი და სხვა ნათესავები ადრევე დილიდანვე ვდარაჯობდით უმაღლეს სასამართლოსთან, რათა როგორმე თვალი მოგვე-

კრა ჩვენი პატიმრებისათვის. მაგრამ მცველები არსად გვაჩერებდნენ, გვერეკებოდნენ. ეზოდან ავდიოდით კიბეებზე, კიბისთავზე, კორიდორებში და ა.შ. სასამართლო მიმდინარეობდა დახურულ კარებში — არც პატრონებს გვასწრებდნენ. ფანი თავის კოლეგა-ამხანაგებისაგან იყო ინფორმირებული. მე თვითონ ბევრი რამ შევიტყვე ფანის წიგნის გაცნობის შემდეგ.

მამის დაკითხვა მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში.

აქ მინდა ხაზი გავუსვა შემდეგ ფაქტს. მამის გასამართლებიდან დღემდე გავიდა 61 წელი და კიდევ არ ცხრება ზოგი პროვოკატორის გულსა და სულში ღრმად ჩამჯდარი გესლი, შური და მტრობა დავიდ ბააზოვის წინააღმდეგ. „ჩვენი დროის გმირებმა“ გამოაქვეყნეს ცილისმწამებლური წერილი დავიდ ბააზოვის წინააღმდეგ. მათ დავიდ ბააზოვის სიონისტური მოღვაწეობა წახნაგოვან სარკეში წარმოადგინეს. რატომ? როცა დავიდ ბააზოვს ებრძოდნენ ფანატიკოსები და ასიმილიანტები, ეს იყო გასაგები, რამეთუ თვითეულ მათგანს თავისი რწმენა გააჩნდა და აქედან გამომდინარე ებრძოდნენ დავიდ ბააზოვს. ვინ ვისზე გაიმარჯვა ეს ისტორიამ დაგვანახა. მაგრამ დღევანდელ გამოხტომებს გამართლება არა აქვს. რა პრინციპი გააჩნიათ „ჩვენი დროის გმირებს“? რისთვის და ვისთვის იბრძვიან? აქ რაღაც შავი ურჩხულია ჩამალული ბნელ ლაბირინთში. ვისაც საკმაო ცნობა არ გააჩნია დავიდ ბააზოვის მოღვაწეობის შესახებ, კვლავ ვურჩევ წაიკითხოს ფანი ბააზოვის წიგნი რუსულად («Прокаженные» ) ან ივრითზე (״מוצרעים״ ).ამ წიგნში ნათლად არის წარმოდგენილი სასამართლო პროცესი რაბინ დავიდ ბააზოვის წინააღმდეგ. თუმცა მასთან ერთად გადიოდნენ სხვებიც — თბილისელი აშქენაზი სიონისტები, რაფო ელიგულაშვილი, გერცელ ჩაჩაშვილი და ხაიმ ბააზოვი, მაგრამ არსებითად ეს იყო ინსცენირებული ფრონტი დავიდ ბააზოვის მოსასპობად.

„...დავიდ ბააზოვი 1904 წელს დაბრუნდა რუსეთიდან, — ეწერა საბრალდებო დასკვნაში, —იქედან ჩამოიტანა სიონიზმის უცხო იდეა ქართველი ებრაელებისათვის. შექმნა ფართო სიონისტური ორგანიზაციები საქართველოსა და ამიერკავკასიის ფარგლებში. ეწეოდა შოვინისტურ პროპაგანდას... დანაშაულებრივ კავშირში იყო მსოფლიო სიონიზმთან და არაერთხელ მონაწილეობდა ამიერკავკასიის სიონისტურ კონფერენციებზე და რუსეთისა და მსოფლიო სიონიზმის კონგრესებზე.“ (გვ.97). „1925 წელს საქართველოს მთავრობა შეაცდინა და მოაწყო ქართველი ებრაელების ემიგრაცია პალესტინაში. მაგრამ უშიშროების ორგანოებმა აუკრძალეს გაეგრძელებინა ებრაელების წაყვანა პალესტინაში. (იქვე). იყო მოსკოვის იატაკქვეშეთის ცენტრალური კომიტეტის აქტიური წევრი მანამდე, სანამ საბჭოთა ხელისუფლებამ არ გაანადგურა ეს ცენტრი. დაიჭირეს კუბელი, კამინსკი, ბერშტეინი და სხვები... მან გადაიბირა ელიგულაშვილი, ჩაჩაშვილი.“

ხაიმ ბააზოვს, როგორც „ცეირეი ციონის“ წევრს, მიესაჯა 5 წელი.

საქართველოს უმაღლესი სასამართლო კოლეგიის დადგენილებით დ.

ბააზოვს მიუყენეს მუხლი 58-10, 58-10-2-11 და ამ მუხლების მიხედვით, როგორც საბჭოთა კავშირის საშიშ მტერს გამოუტანეს განაჩენი – დახვრეტა.

განაჩენის გამოცხადების დროს გახსნეს მანამდე ჩაკეტილი კარები და დაასწრეს ბრალდებულთა პატრონები. ეს იყო 2 აპრილს, ფესახის წინა დღეს. მე ხელი ჩავჭიდე დედას. ახლომხედველმა დედამ ვერც დაინახა იმ ხალხმრავალ დარბაზში სად იდგა მისი მეუღლე. განაჩენის გამოცხადებისას მან ვერც გაიგო ქართულ ენაზე წარმოთქმული იურიდიული ტერმინები. მე, მგონია გავიგე, მაგრამ თითქოს ვერც გავიგე. თუ არ მჯეროდა ის, რაც მოვისმინე. ვიყურებოდი პირდაპირ, შევცქეროდი მამას... სიკვდილამდე არ დამავიწყდება მაშინდელი ნანახი. მამა დგას როგორც ქანდაკება – გამართული, თავი მაღლა აწეული. წარბიც არ შეურხევია. მარცხენა ხელი დაედო, მგონია, პატიმრებისათვის სპეციალური შემოღობილისათვის. თითები აათამაშა. მერე რა იყო, ბუნდოვნად მახსოვს. ცხვრებივით გარეთ გამოგვყარეს. მესმოდა ხაიმის ტირილი. ტიროდნენ სხვებიც. ყვიროდნენ კიდეც. მცველებმა გაგვფანტეს... ამის შემდეგ როგორ აღმოვჩნდით სახლში, აღარც მახსოვს.

ეს იყო უსასტიკესი ანგარიშის გასწორება დავით ბააზოვთან. მიიღო კი დაკმაყოფილება იმ ქართველმა ებრაელმა, რომელიც სასამართლო პროცესის დროს დაიბარეს როგორც მოწმე და დაჰკითხეს. იგი მუშაობდა ღვინის წარმოებაში მამასთან. მოსამართლის შეკითხვაზე თუ რას გვეტყოდი შენი უფროსის შესახებო, იმ მოწმეს (კუზიანი იყო, სახელად მ. ბ-ლი) უთქვამს: შაბათობით საბუთებს ხელს არ აწერდაო.

ფანიმ, ჩემმა დამ, შეადგინა საჩივარი საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის უსაფუძვლობის შესახებ. იგი თავის საჩივარში ასაბუთებდა კანონის დარღვევას. ფანი ისევ მოსკოვშია. ჩვენს ძმა მეირს ერთთავად სულ თორაში აქვს ჩაყოფილი თავი და ღამით დასაძინებლად ლოგინში არ წვება.

მამამ 48 დღე დაჰყო სასიკვდილო საკანში. ამ ხნის განმავლობაში, ბევრი მცდელობის შედეგად, ფანიმ მიაღწია სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე გოლიაკოვთან შესვლას. 18 მაისს გოლიაკოვმა მიიღო პროტესტი და იმავე დროს მის სახელზე მისულა დავიდ ბააზოვის 200 სიტყვიანი დეპეშა, რომელიც სასიკვდილო საკანში შეუდგენია. 1939 წლის 18 მაისს გოლიაკოვის ხელმოწერით საქართველოს უმაღლესი სასამართლოს განაჩენი იქნა გაუქმებული და საქმე გადაგზავნილი იქნა დამატებით გამოძიებაზე.

სანამ ფანი მოსკოვში ყოფნისას ეწეოდა გაფორებულ იურიდიული ხასიათის ბრძოლას მამის დახსნისათვის, მე და დედა თბილისში დავემგვანეთ უმწეო აჩრდილებს. არავინ გვეკარებოდა. ნუგეშს არავინ გვაძლევდა. რომ იტყვიან, დანა რომ დაერტყათ ჩვენთვის, სისხლი არ გამოგვივიდოდა, ისე

გვქონდა გაყინული გრძნობა. ამასობაში გამოჩნდნენ მსურველები, რომელთაც მიიჩნიეს, რომ ჩვენი ბინა ჩვენთვის, ე.ი. ჩემთვის, დედაჩემისა და ბებიისათვის ზედმეტი იყო. პირდაპირ ქუჩაშიც რომ გავეყარეთ ვინმეს, არაფრად ჩავაგდებდით. ჩვენი ბინის ხელში ჩაგდების მსურველებს საჩივრები შეჰქონდათ ქალაქის სამმართველოში, რომ ისინი განიცდიან სივიწროვეს და უთითებდნენ ჩვენს ბინაზე, რათა მათთვის დაენაწილებინათ.

მოვიდა კომისია. მე და დედა ვიდექით კუთხეში. არაფრად ჩავაგდეთ მათი მოსვლა. წყენის გრძნობაც არ გაგვაჩნდა. კომისიის წევრებმა დაათვალიერეს ბინა, თანაც იდუმალად ჩვენც გვიცქეროდნენ. ბოლოს წავიდნენ.

გავიდა დრო, მაგრამ არავინ მოვიდა ბინიდან ჩვენს გასაყვანად... კიდევ გავიდა დრო და ბოლოს კიდეც დაგვავიწყდა ამის შესახებ. დიდი ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ იმ კომისიას ჩვენება მიუცია არა „მსურველების“ სასარგებლოდ... ე.ი. კიდევ იყვნენ ცადიკი ადამიანები!

როგორც კი განაჩენი იქნა გაუქმებული, ფანი მობრუნდა თბილისში. საქმის ხელახალი გადასინჯვის შედეგად გაათავისუფლეს ხაიმი, გ. ჩაჩაშვილი, ექიმი რამენდიკი, გოლდბერგი, პაიკინი. ხოლო მამამ და რაფო ელიგულაშვილმა მიიღეს 5 წელი ციმბირში გადასახლებით.

დაგვრთეს ნება მოგვენახულებინა მამა. რკინის ბადესთან იდგა მამა, ეცვა ზამთრის პალტო და ეყრდნობოდა ჯოხს. თეთრი წვერი გაეზარდა. მე თითქოს ენა გადავყლაპე, სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი. ფანის ეხვეწებოდა, რათა დაბრუნებულიყო თავის ქმართან ლენინგრადში. დედას და პოლინას ახლა განთავისუფლებული ხაიმი მიხედავსო. 10 წუთის შემდეგ გუშაგები მამის წასაყვანად მოვიდნენ. მიმავალ მამას დედამ მიაძახა: —დავიდ, მე ჩამოვალ შენთან, არ მიგატოვებო... ფანი ჩქარი მატარებლით გაემგზავრა ლენინგრადს. იქ გახდა ავად და თითქმის თვენახევარი ჩაწვა ლოგინად. ამ ხნის განმავლობაში — აპრილის ბოლოს — მამაჩვენი ეტაპით გაგზავნეს გადასახლებაში, მაგრამ ხაიმმა ვერ დაადგინა, რომელ მხარეს იქნა ის ეშელონი გაგზავნილი, სადაც მამა იყო მოთავსებული. როგორც შემდეგ გაირკვა, მამა, გულით დაავადებული, მწოლიარე, საკაცით გაუმგზავრებიათ. გავიდა თვეები და არავინ ვიცოდით სად იმყოფებოდა მამა. ბოლოს ფანის სახელზე ლენინგრადში მამას გაუგზავნია დეპეშა. იტყობინებოდა თავის სამყოფელს. ეს იყო კრასნოიარსკის მხარე, დასახლება ბოლშაია მურტა. ფანის მეუღლეს იმ წამსვე 500 მანეთი გადაუგზავნია.

როცა ფანიმ მამა სიკვდილს გამოსტაცა და ამ მხრივ დამშვიდებული იყო, მაშინ მიზნად დაისახა დაეწყო ბრძოლის შემდგომი ეტაპი გერცელის ბედიღბლის გამოსარკვევად. იმ პერიოდში ყველას ეგონა, რომ პოლიტპატიმრების მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, ამიტომ ფანიმ უფრო გაბედულად იწყო მოქმედება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისევ ეკლიანი გზა უნდა გაევლო დაბლიდან მაღალ ინსტანციამდე. ფანის გაბედულ საჩივრებზე უპასუხეს,

სურათი მამისაგან – ჰოლინას (ბაშას), ციმბირი, ბოლშაია მურტა. მარჯვნივ – წარწერა სურათზე (დავიდ ბაზოვის მოკითხვა ჰოლინას).

ღამეს. გერცელის წაყვანიდან, 1938 წლის 25 აპრილიდან გავიდა 2 წელი და 10 თვე. ფანი ელოდება ლუბიანკაზე მთელ ღამეს, რათა სათვალეებიანმა მიიღოს იგი. მთელი ღამე შეუჩერებლივ ეწევა პაპიროსს და როცა გამოელია, ბერიას მცველმა გაუხსნელი ახალი „ყაზბეგი" მიართვა. ბოლოს მცველები ბოდიშს უხდიან, რომ აი, უფროსი გადატვირთულია და ველარ ასწრებს მის მიღებას. სჯობს დაწეროს იქვე წერილობითი თხოვნა და გადასცემენ. „...მე ისეთი შეგრძნება მქონდა, –აღნიშნავს ფანი თავის მოგონებებში, –რომ თითქოს დიდხანს ვცოცავდი



რომ გერცელი იმყოფება ნორილსკის ოლქში. მაგრამ მას საიდუმლოდ აცნობეს, რომ ეს ცნობა იყო ყალბი.

ფანი მიმართავს პეტრე შარიას – ბერიას უახლოეს მეგობარს. მაგრამ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა. უბრალოდ, მას არც უპასუხეს. შემდეგ წერილობით მიმართავს პირდაპირ ბერიას ბინის მისამართზე. ამაზე მას გამოეხმაურნენ. დაუნიშნეს მიღება ლუბიანკაზე, ღამის 12 საათზე. შეშინებულმა მეირმა იმ წყეულ ადგილამდე მიაცილა ფანი. არ ეგონა, რომ იქიდან ფანი მობრუნდებოდა. იგი დარჩა ღამის მოსკოვის 25 გრადუსიან ყინვაში გარეთ ქუჩაში და ელოდებოდა. ეს ლოდინი გაგრძელდა მთელ

უფსკრულის პირიდან და ბოლოს, როცა მივაღწიე მწვერვალის ჰირს, მე ხელი მკრეს და ისევ ნაკუწვი დაბლა უფსკრულში.“ (გვ. 157). დილის 7 საათამდე ფანი წერდა, რის შედეგადაც გუშაგს გადასცა წერილობითი თხოვნა. გათენებისას გარეთ მას შეხვდა შეშინებული და გაყინული მეირი. მათ გადაიტანეს შიშის და იმედის კიდევ ერთი ღამე.

კიდევ ბევრი ნერვების წყვეტა გადაიტანა ფანიმ, სანამ მიაღწევდა სსრკ გენერალური პროკურორის ერთ-ერთ მოადგილეს, პროკურორ ტარასოვს. ჩემთვის იმდენად ძნელია იმ ნაწილის ციტირება, სადაც ფანი მოგვითხრობს ტარასოვთან შეხვედრას. იგი ამ უკანასკნელისაგან იღებს უტყუარ ცნობას გერცელის შესახებ. მე ვამჯობინებ თავი დავზოგო და არ გავიმეორო. გული და გონება ვეღარ იტანს იმ ჭრილობების გახსნას, რაც მაშინ მიიღო ფანიმ.

1938 წლის 10 ოქტომბერს თბილისში საქართველოს უშიშროების მუშაკებმა ორთაჭალის ციხეში საშინელი წამებით მოკლეს გერცელი.

მე, უბედურმა დამ, არც ვიცოდი ამ საშინელი სიმართლის შესახებ სანამ არ წავიკითხე აქ, ისრაელში დაწერილი ფანის წიგნი „კეთროვანნი“ და იქვე დართული პროფ. მიხეილ ზანდის წერილიც.

ფანიმ წერის დროს ხელახლა განიცადა ეს ყველაფერი და ამის შედეგად იგი გადაიწვა და გარდაიცვალა. ახლა მაგონდება, როცა მამაჩემი გადასახლებამდე მოვინახულეთ ციხეში, მას ძალიან გრძლად ჰქონდა თეთრი წვერი გაზრდილი. ეს იყო მისი აბელობა თავისი უფროსი შვილის დაღუპვის



დავიდ ბაასოვი ციმბირში, ქარხილზე

გამო, მაგრამ ჩვენ არ გაგვიმხილა.

განთავისუფლებულ ხაიმს უთქვამს ფანიასათვის, რომ „...მისი ჰატიმრობამი ეოფნის დროს ჩემს ეურებამდის მოაღწიეს ხმებმა, თითქოს 1938 წელს, ოქტომბრის დასაწყისში ბერიამ თავის კაბინეტში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ვოვლიძეს მოაყვანინა ვერცელი. ამ უკანასკნელთან ბერიას ჰქონია გრძელი საუბარი. თითქოს ბერია ვერცელს ჰირდებოდა განთავისუფლებას და მთლიან რეაბილიტაციას, მაგრამ ამისათვის დაუყენებია ისეთი ჰირობები, რომლის შესრულებაზეც ვერცელს უარი უთქვამს.“ რა სატანისეური ჰირობა შესთავაზა მან ვერცელს, თუ მან არ მიიღო თავისი ასალვაზრდა სიცოცხლის ვადარჩენის ნაცვლად?“ (იქვე. გვ. 163).

და როცა მამაჩვენმა, რაბი დავიდ ბაზოვმა თვენახევარი დაჰყო სასიკვდილო საკანში, ის ტიროდა და ლოცულობდა თავისი დაღუპული შვილის გამო, რამეთუ მან უკვე შეიტყო ამის შესახებ გამომძიებლებისაგან დაკითხვის დროს. მაგრამ ჩვენ ამის შესახებ არ გაგვიმხილა ჩვენი შეხვედრისას, როცა აპირებდნენ მის გადასახლებას. და ამიტომაც იყო, რომ იგი საკაცეზე მწოლიარე გულით დაავადებული გაამწესეს საეტაპოდ.

როგორ უნდოდა მამაჩემს, რომ ფანი დაბრუნებულიყო თავის ქმართან. მაგრამ მამისეული ოჯახის თავზე დატეხილმა ტრაგედიამ ორნახევარი წლის განმავლობაში ახალგათხოვილი ფანის ცხოვრებაზეც მოახდინა გავლენა. დაინგრა მისი პირადი ბედნიერებაც. ფანის არ სურდა ქმრის ოჯახში შეეტანა ცრემლი და დარდი... ქმრის ოჯახში აპირებდნენ მათი ქორწინების წლისთავის აღნიშვნას, ფანის კი ბედმა არ არგუნა სიხარული. ფანის სიტყვებით რომ აღვნიშნო, მისი მეუღლე იყო ცოცხალი ადამიანი, ფანის სიცოცხლე კი ჩაკვდა და ფანიმ საბოლოოდ მიატოვა ქმრის კერა. მიუხედავად იმისა, რომ ქმრის მთელი ოჯახი წინააღმდეგი იყო ფანის წასვლისა, ამ უკანასკნელს არ სურდა თავისი ქმარი მსხვერპლად მიეტანა თავისი ტრაგედიისათვის.

ფანი ჩავიდა მოსკოვში. საცხოვრებლად შეჩერდა ერთი ხანში შესული რუსი ქალის ბინაზე. მიღებული იქნა მოსკოვის ადვოკატურაში.

მეირის და ხაიმის ხელფასები ძლივს აკმაყოფილებდა მათ ოჯახებს. ამიტომ ფანის ესმოდა, რომ გადასახლებაში მყოფი მამაჩვენი შეიძლება მომკვდარიყო შიმშილით. ამიტომ ფანი ზრუნავდა და უგზავნიდა პროდუქტებს: შაქარს, ფქვილს, ორცხობილას და სხვ. ფანი პროდუქტების მისაღებ გრძელ რიგებში იდგა. მასაც არ გააჩნდა საკმაო ფული. დაიწყო თანდათან ნამზითვის გაყიდვა. საქორწინოდ შეკერილი ძვირფასი კაბები, საბნები და ქურქიც. ამ, საკუთარ ნივთებს აქცევდა შაქრად და ფქვილად, რომლებსაც შემდეგ დედას თან გაატანს ციმბირში.

ოჯახურ თათბირზე გადაწყდა დედაჩემის გამგზავრება მამასთან ციმბირში, რათა მამა იქ, ციმბირის ტრამალებზე არ დაღუპულიყო.

14 ივნისს – 1941 წელს ფანიმ და მეირმა დედა გაისტუმრეს მამასთან მოსკოვ-ხაბაროვსკის მატარებლით. ამიერიდან ჩვენი მამა იქ მარტო აღარ

იქნება და შიმშილით სიკვდილი აღარ დაემუქრება, პირველ ხანებში მაინც.

21 ივნისს მამამ თავის შვილებს – ფანის და მეირს ტელეფონით შეატყობინა მოსკოვში, რომ დედა მშვიდობიანად ჩავიდა მათთან.

22 ივნისს დაიწყო ომი.

დედა ციმბირში მამასთან

●

1941 წლის 22 ივნისს დილით ადრე ფაშისტური გერმანია მოულოდნელად და ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. თავდასხმიდან მხოლოდ საათნახევრის შემდეგ გერმანელთა ელჩმა საბჭოთა მთავრობას განუცხადა, რომ გერმანია ომს ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანელმა ფაშისტებმა ადრევე დაპყრობილი მთელი რიგი ქვეყნებიდან – იტალიიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან – მობილიზება გაუკეთეს სამხედრო ძალებს, რის გამოც პირველ ხანებში ძლიერი სამხედრო ტექნიკით და ურიცხვ ძალთა უპირატესობით შესძლეს გარკვეული ტერიტორიების დაპყრობა. წითელი არმიის ნაწილი იმყოფებოდა შორეულ აღმოსავლეთში იმპერიალისტური იაპონიის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში თავდასაცავად. სამხედრო ძალების მეორე ნაწილი იმყოფებოდა კავკასიაში – ფაშისტური გერმანიის მოკავშირის – თურქეთის წინააღმდეგ. საბჭოთა ძალები ყველა ფრონტზე გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ თავდამსხმელებს. სამხედრო ფრონტი გაიჭიმა შავი ზღვიდან – ჩრდილოეთის მიმართულებით – ბარენცის ზღვამდე. იმავე წლის სექტემბერში ფაშისტებმა მოახდინეს გენერალური შეტევა მოსკოვის მიმართულებით. მიუხედავად გერმანელების მხრიდან დიდი დანაკლისისა, მტერმა მეორედ სცადა გენერალური შეტევა მოსკოვზე. ისინი ძალიან ახლოს – მოსკოვის არხთან გაიჭრნენ. ზოგიერთ რაიონში მტერი მოსკოვს 25-30 კილომეტრით მიუახლოვდა. შეუჩერებლად ახდენდნენ მოსკოვის დაბომბვას.

ეს იყო დიდი სახალხო ტრაგედია. მსხვერპლი დიდი იყო ორივე მხრიდან. დაიღუპნენ და დასახიჩრდნენ ადამიანები. მათ შორის ცოტა როდი იყვნენ

ახლობლები, ნათესავები, მეგობრები. ჩვენი დეიდები ხასია და ნეხამა თავიანთი ქმარშვილით ბელორუსიის საზღვართან ახლოს ცხოვრობდნენ, დაბა უზდაში. ისინი ფაშისტების მხრიდან პირველი დარტყმის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ; ჩაიმარხნენ განწირულთა საერთო ორმოში.

ასეთ კრიტიკულ ვითარებაში საჭირო გახდა ავადმყოფებისა, მოხუცებისა და ბავშვების ევაკუირება. ბევრმა შუა აზიას მიაშურა. ზოგმაც საქართველოსკენ გამოსწია. პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ძალიან ბევრმა დევნილმა ებრაელმა თავშესაფარი ჰპოვა საქართველოში.

მოსკოვიდან ევაკუირებულებს შორის იყვნენ ჩემი ძმა მეირი, მეუღლითურთ და სიდედრით. და აგრეთვე ჩემი უფროსი და ფანიც. (მეირი ქ. თბილისის რკ/გზის ინსტიტუტის – ტბიშტის – დამთავრების შემდეგ ცხოვრობდა მოსკოვში, ხოლო ფანი სტალინური რეჟიმის დროს გერცელის დაღუპვის შემდეგ იმყოფებოდა მოსკოვში).

მეირი ფეხმძიმე მეუღლით და სიდედრით დასახლდნენ ჩვენს, მამისეულ ბინაში (იერუსალიმის შესახვევისა და ლესელიძის ქუჩის კუთხეში). მკითხველს შევახსენებ, რომ მამაჩემი დავითი იმ დროს იმყოფებოდა გადასახლებაში ციმბირში და ომის დაწყებამდე მასთან ჩავიდა დედაჩვენი რახელიც, რომელმაც გაიზიარა მეუღლის ხვედრი.

მეირის ჩამოსვლისას ბინაში ვიმყოფებოდით მე და ბებია სიფორა. ფანიმ, რომ არ შეევიწროებინა ძმა, თავის ადგილსამყოფელად და საცხოვრებლად აირჩია ხაშური. ფანი თბილისში ჩამოსვლისთანავე აღდგენილი იქნა საქართველოს ადვოკატურაში. ხაშურში ფანი დაინიშნა ხაშურის სარაიონო ადვოკატთა კოლეგიის გამგედ.

აქ მსურს აღვნიშნო ერთი დეტალი ფანის შესახებ. ვისაც ფანი ერთხელ მაინც უნახავს ახალგაზრდობის დროს, ეხსომება, რომ ეს იყო მეტად მომხიბვლელი გარეგნობისა და სიცოცხლით სავსე ქალი. როდესაც თბილისში ჩამოსვლისას ვიხილე, მე გაოცებული შევყურებდი მას. ნუთუ ეს ის ფანი იყო?! არა, ეს იყო იმ ფანის აჩრდილი, თუ შეიძლება ასე ითქვას. ნამდვილად. გამქრალი, გამხდარი, გაუფერებული. მას დაწყებული ჰქონდა ფილტვებისა და თირკმელების დაავადება. პაპიროსს პაპიროსზე უკიდებდა. ეს შედეგი იყო იმის, რაც მას გადახდა, გადაიტანა და გაიარა – გერცელის ტრაგიკულად დაღუპვისა, მამის სიკვდილიდან გამოხსნისა და სხვა საშინელი მოვლენებისა, რომლებიც დაკავშირებული იყო მომხდარ ტრაგედიებთან.

ხაშურში იგი ჩაება ყოველდღიურ სამსახურებრივ მუშაობაში. შესაძლებელია, რომ ხაშურის მიდამოს მკაცრმა კლიმატმა, ფიჭვნარის გარემომ და მუშაობამ ის მაშინ ნაადრევ სიკვდილს გადაარჩინა.

ომით გამოწვეული სიძნელეების გამო სამუშაო არ იყო. მეირი სპეციალობით ხიდების მშენებელი ინჟინერი იყო, მაგრამ იმ პერიოდში ხიდები უფრო ინგრეოდა, ვიდრე შენდებოდა. დროგამოშვებით გამოუჩნდებოდა

პატარ-პატარა და მცირეშემოსავლიანი სამუშაო. ასე, მაგალითად, იგი ივრითის გაკვეთილებს აძლევდა ხელოვნებათმცოდნე ქართველ პროფესორ შალვა ამირანაშვილს. მალე ამ მძიმე ვითარებაში ღმერთმა სიხარულიც მოგვავლინა — მეირს შეეძინა პირმშო, ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად გერშონი დაარქვეს (დედაჩვენს არ უმხელდნენ თავისი უფროსი ვაჟიშვილის გერცელის დაღუპვის შესახებ, ამის გამო მეირის ვაჟს ვერ დაუბრუნეს გერცელის სახელი).

ფანი ხაშურიდან კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა, დატვირთული სოფლის პროდუქტებით: ყველით, ჭადით, ლობიოთი, ხილით და გვინაწილებდა ყველას. სახლში დედის მიერ დანატოვარი ნივთები: საბანი, ბალიში, ქვაბი და სხვა საოჯახო ნივთი იცვლებოდა პროდუქტებზე. მაგრამ სწორედ იმ სიძნელეების დროს იყვნენ ისეთნიც, რომლებმაც ხელი მოითბეს და აქეთ გამდიდრდნენ კიდეც.

მეირი თბილისში ყოფნის დროს დაუახლოვდა ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს არონ კრიხელს. მეირის მსგავსად, მასაც არ ულხინდა იმ დროს მატერიალურად. მათ ბევრში საერთო ენა გამონახეს და მათი ურთიერთობა მალე მეგობრობაშიც გადაიზარდა.

იმ პერიოდში ბევრი ლტოლვილი ებრაელი პოლონეთიდან თუ ბალტიისპირეთიდან აფარებდა თავს ჩვენი სახლის ჭერქვეშ. პოლონელ ებრაელთა უმრავლესობა უფრო კომპაქტურად ცხოვრობდა რაიონებში. მაგალითად, ბევრი ცხოვრობდა ხაშურში. მე შევჩერდები ერთ საინტერესო ახალგაზრდა ქალიშვილზე, რიგელ ხანა ცეიტლინზე. როდესაც ფაშისტები ქალაქ რიგას მიუახლოვდნენ, მეტწილად ებრაელმა მოსახლეობამ მიატოვა მკვიდრი ადგილები და სატვირთო მანქანების საშუალებით სცადა გაქცევა მტარვალი მტრისაგან თავის დასაღწევად. მაგრამ ფაშისტების მიერ ინტენსიური დაბომბვის შედეგად ხანას მშობლები, რომლებიც ერთ-ერთ მანქანაში ისხდნენ, დაიღუპნენ. ხანა შემთხვევით გადარჩა. ლტოლვილმა ხანამ მოაღწია თბილისამდე. იგი ესტუმრა არონს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ჩვენმა ოჯახმაც ფართოდ გაუღო კარი. უვაღო და დაუმადლებელი იყოს ის დაპურება და თავშესაფარი, რომელიც მან მიიღო ჩვენი მხრიდან. მალე მას მეირმა აღმოუჩინა მუსიკის გაკვეთილები, რომლებიც ამ ძნელ ვითარებაში მისთვის ერთ-ერთ საარსებო საშუალებას წარმოადგენდა. რიგაში, 1940 წლამდე ებრაელი ბავშვებისათვის არსებობდა სკოლები, სადაც სწავლება მიმდინარეობდა ებრაულ ენაზე. ხანას ასეთი სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ამიტომაც შესანიშნავად იცოდა ივრითი. მე და ჩემმა ამხანაგმა რივა წითლიშვილმა დავიწყეთ მასთან ივრითის შესწავლა. მაგრამ ეს საინტერესო წამოწყება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რამეთუ ჩემი და რივას მატერიალური მდგომარეობა ამის საშუალებას არ გვაძლევდა.

# ხაშურში

ხაშური ეს არის რკინგზის დიდი საკვანძო ცენტრი. მას ადრე მიხაილოვკის დასახლება ერქვა. მეორე მსოფლიო ომის დროს ფანიმ თავის საცხოვრებელ ადგილად აირჩია ხაშური. რატომ მაინცდამაინც ხაშური? იქნებ იმიტომ, რომ ეს რაიონი ახლოს იყო იმ ადგილებთან, სადაც თავისი ახალგაზრდობის წლები ძმებთან და თანატოლებთან ერთად გაატარა. ალბათ მან მეხსიერებაში აღიდგინა დაღუპული გერცელის სახე, რომელსაც ასე ძალიან უყვარდა ბორჯომი, წაღვერი, სურამი და მთელი ეს გარემო. მისივე ნაამბობიდან მახსოვს, რომ გერცელი, ხაიმი, მეირი, ფანია და მათი ახლო მეგობრები (შემდეგში ცნობილი გახდა, რომ ეს იყო „ცეყირეი ციონის" ჯგუფი, რომლებიც მეტწილად აგარაკებზე იკრიბებოდნენ), ერთად ადიოდნენ სურამის

რასელ ბაზოვი შვილებთან ერთად
წაღვერის აგარაკზე

ციხის ნანგრევებზე, მაგრამ გერცელს მარტოც ჰყვარებია ნაციხარის სიმაღლეზე ასვლა, სადაც იგი იდუმალ ოცნებას ეძლეოდა.

სურამის ციხე. ეს ხომ ისტორიული ადგილია. აქ, ქვემოშხეთისა და სურამის მიდამოებში 1609 წელს გიორგი სააკაძემ დაამარცხა საქართველოში შემოსული უცხო დამპყრობლები, ყიზილბაშები.

სწორედ ამ სურამის ციხეზე არის ხალხში შემონახული გულშემზარავი თქმულება. გადმოცემით, ხალხი უცხო დამპყრობლებისაგან დასაცავად აშენებდა ციხე-სიმაგრეს, მაგრამ იგი აგებისთანავე ინგრეოდა. ხალხში გამორჩეულ მრჩევლებს უთქვამთ, რომ ციხე არ აშენდება მანამდე, ვიდრე კედელში არ ჩაატანთ დედის პირმშო შვილსო (ვაჟს). წილისყრის შემდეგ აღმოჩნდა შავბედიანი დედის ვაჟი, რომელსაც სახელად ზურაბი ერქვა. როგორც კი ზურაბი ასაშენებელ კედელს ჩააყოლეს, კედელი გამაგრებულა და ციხეც აშენდაო. ეს ხალხური თქმულება სიუჟეტად დაუდო თავის რომანს გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა დანიელ ჭონქაძემ. დღემდე ხალხში შემონახულია უბედური ზურაბის დედის გოდება:

სურამისა ციხეო, სურვილითა ვნახეო.
ჩემი შვილი ზურაბი კარგად შემინახეო...
ვაიმე, შვილო ზურაბი!
ვაიმე, შვილო ზურაბი...

და სხვ.

როდის მოვიდნენ ამ ადგილებში საქართველოს ებრაელები? შემთხვევითია მათი დასახლება სურამის ციხის გარშემო თუ რაიმე ისტორიული კავშირი არსებობს აღნიშნულ ციხესა და ებრაელებს შორის? სადღეისოდ ამ საკითხის შესახებ მე პირადად ცნობა არ გამაჩნია. თავად მხცოვანი ებრაელები იტყოდნენ ხოლმე, რომ ისინი 300 წლის წინათ გადმოსახლდნენ მცხეთიდან.

რა იზიდავდა გერცელს, როცა ამ ციხის ნანგრევებზე ადიოდა? სურამის ციხის მწვერვალიდან, თუ კაცი შორისკენ გაიხედავდა, მის თვალწინ იშლებოდა წარმტაცი ბუნების სილამაზე. მაგრამ თუ ნანგრევების ძირში, მის მიდამოს გადახედავდა, მაშინ ის დაინახავდა მეტად დამაღონებელ სურათს — იქ იყო ქართველ ებრაელთა დასახლება. იმ პერიოდში, როცა გერცელი ამ ადგილებს ესტუმრებოდა ხოლმე, იქ მცხოვრები ებრაელები არასახარბიელო პირობებში ცხოვრობდნენ. მეტწილად ღარიბნი, ცხოვრობდნენ მეტად შემჭიდროებულად. არ გააჩნდათ სანიტარული პირობები; წყალს ეზიდებოდნენ შორი გზიდან; სარეცხს რეცხდნენ წყაროზე, სადაც ზაფხულობით გასაგრილებლად საათობით იწვნენ შავი კამეჩები. ღარიბი ებრაელობა — მეტწილად — ერთსართულიან უსარკმელო და უჰაერო სადგომში ცხოვრობდა. მათ მთავარ ქუჩას ერქვა ინტერნაციონალის ქუჩა. ეს იყო ორღობეს შორის

ლოდებიანი, ოღრო-ჩოღრო, ვიწრო გასავლელი. ებრაელთა შორის იყვნენ შედარებით შეძლებულებიც, რომლებიც ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდნენ. მაგრამ ასეთნი მცირერიცხოვანი იყვნენ. მათ მთავარ საქმიანობას აღებ-მიცემა წარმოადგენდა.

აი, რა აფიქრებდა და აწუხებდა მაშინ გერცელს: რით ეშველა? საიდან დაეწყო? ალბათ ეს იყო მისი დაღონების მიზეზი. საჭირო იყო ქართველ ებრაელთა მომავლისათვის ზრუნვა და პირველ ყოვლისა, მათი ეკონომიკური და კულტურული დონის ამაღლება.

ებრაელთა უბანს თუ გასცილდებოდით, იწყებოდა ქართველ მოსახლეთა შედარებით კეთილმოწყობილი, ორსართულიანი, ბაღ-ბოსტნიანი სახლები. სურამის მთავარი მაგისტრალური გზის ჩრდილოეთით მიმავალი ქუჩის პირას იდგა სახლი, სადაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა. აქედან იწყებოდა ფიჭვნარის ხშირი ტყეებით გარემოცული შესანიშნავი აგარაკები: ზინდისი, შინდისი, იტრია და სხვ.

სურამში სახლის კერძო მეპატრონეები ზაფხულობით ოთახებს აქირავებდნენ მოაგარაკეებზე. ხანდისხან მათ შორის ერთ-ერთნი ვიყავით მე და დედა. გერცელის ზრუნვითა და წყალობით ჩვენ ვისვენებდით იტრიაში. სურამის ცენტრიდან იტრიისკენ და კიდევ მის შემდგომ ადგილებში მიემართებოდა საზაფხულო ღია ვაგონები, რომლებსაც „კუკუშკას“ ეძახდნენ. რა სჯობდა, როცა კუკუშკით „მიექროდით“ ზღაპრული სილამაზის მიდამოებში — გაჩეხილ ტყეში და რაკრაკა წყლის პირას. მიმავალი ღია ვაგონიდან ხელით შეგვეძლო ფოთლოვანი ხეების ტოტების მოზიდვა და ნაყოფის მოწყვეტა. ქუჩისპირა წყალსადენში ჩქეფდა კუჭისთვის მარგებელი რკინის წყალი. და ყველა ის სიამოვნება, რომელიც მე და დედამ შევიგრძენით და შევსვით ჩემი ბავშვობის პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ



ფანია გერცელის ვაჟი სათანით, ბორჯომი, 1935

გერცელი დედასთან და
ჰოლინასთან ერთად წაღვერში

ბევრიც უგზოუკვლოდ გადიკარგა. შინ ბრუნდებოდნენ დასახიჩრებულნი და ინვალიდები. და ასეთებს შორის ბევრი იყვნენ ნათესავები, მეგობრები, მეზობლები. მარტო ჩვენი უბნიდან დაიღუპნენ: შალვა ბერიძე, მოშკა კაცობაშვილი, ფიმა ბათუაშვილი, რაგიმოვი, მიშა გურიელაშვილი. ონში ჩვენი ნათესავებიდან – მარტო ამშიკაშვილის ოჯახიდან დაიღუპა ხუთი ვაჟკაცი.

მეირს სამსახური უხმობდა. საჭირო იყო დანგრეული ქვეყნის აღდგენა. მეირი, როგორც რკინიგზის ინჟინერი და ხიდების მშენებელი, მოსკოვიდან მივლინებული იქნა ისეთ ადგილებში, სადაც მისი სპეციალობა და მოვალეობა უხმობ-

გერცელის წყალობით გვქონდა. ის სულმნათი გერცელი თავისი შრომით და გარჯით მუდამ ზრუნავდა დედაზე და ჩემზე, რითაც მშობელ მამას ოჯახზე ზრუნვას უმსუბუქებდა.

●

1945 წლის 30 აპრილს საბჭოთა არმიამ გაარღვია ფრონტი და შეიჭრა ბერლინის ცენტრში. იმავე დღის 14 საათსა და 30 წუთზე პოლკის მზვერავმა სერჟანტებმა მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ გამარჯვების დროშა ააფრიალეს რეიხსტაგის თავზე. გადაიქუხეს ქვემეხებმა. 9 მაისს საბჭოთა ხალხი გამარჯვების დღეს უქმობდა.

ფაშისტების დამარცხება ძვირად დაუჯდა საბჭოთა ხალხს. ატირდნენ და შავად შეიმოსნენ შინმოუსვლელთა პატრონები.

გერცელი და ჰატარა ჰოლინა
ბორჯომში

და.

ძნელი იყო მეირთან დაშორება. გაჭირვების ხუთი წელი ერთად გავატარეთ. მაგრამ სიხარულიც ხომ მოგვეელინა – მეირის ვაჟის გერშონის სახით, რომელიც სწორედ იმ ხანად დაიბადა ჩვენს, მამისეულ სახლში. ეს იყო 1942 წლის 5 მარტი. მეირის მეუღლე სოფიო (დოცია) მშობიარობის შემდეგ ხშირად ავადმყოფობდა და გერშონი მეტწილად ფანისთან ხაშურში იმყოფებოდა და მას კვებავდა დაქირავებული ძიძა-ქალი.

ისევ დაცარიელდა ჩვენი მამისეული სახლი. იმ დიდ, ცოცხალ-მკვდრების აჩრდილებიან სახლში დავრჩით ისევ მე და ბებია სიფორა.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, როდესაც სულშერჩენილი ნაომარი და გაჯახირებული დემობილიზებული ჯარი ბრუნდებოდა. იმ ნაწილს, რომელიც ქ. ხაშურში გადმოსხეს, ქალაქის მმართველებმა და მოსახლეობამ მოუწყეს საზეიმო მიღება. ეს იყო გამარჯვებულთა ტრიუმფი. რკინიგზის სადგურის ახლო მოედანთან დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. დიდი და პატარა მოსულიყვნენ იქ. თაიგულებით, მუსიკით და მხიარული შეძახილებით ეგებებოდნენ მათ. მისასალმებელი სიტყვებით ერთი მეორეს ცვლიდნენ ქალაქის თავკაცები. ფანისაც სთხოვეს გამოსვლა და იგიც თავისი დამახასიათებელი მჭერმეტყველებით მიესალმა დემობილიზებულებს. ყოველი სიტყვის შემდეგ უკრავდა ორკესტრი. მალე შეიქმნა რკალი. დამხვდურნი და დემობილიზებულნი ერთად ჩაერთვნენ საერთო ცეკვაში. ამაღელვებელი იყო და დაუვიწყარია ის წუთები. ერთმა ქართველმა დემობილიზებულმა ფანი ცეკ-ვაში გაიწვია. ფანიმ გაწვევა მიიღო და დაუარა ლეკური. მე ისეთი მოცეკვავე ფანი არასდროს მინახავს.

## მამაჩემის დაბრუნება გადასახლებიდან

როგორც მოულოდნელი უბედურება ადამიანს თავზარსა სცემს, ასევეა, როცა მოულოდნელ სასიხარულო ამბავს გაიგებ. ამ დროსაც განიცდის ადამიანი გარკვეულ ტრესს. ამჯერად ჩვენ გვამცნეს, რომ ციმბირიდან გვიბრუნდებიან მშობლები. მე ვიყავ ტრანსში. ნუთუ მშობლები დამიბრუნდებიან? ნუთუ მეც მეყოლება მშობლები? ნუთუ ეს ოცნება სინამდვილედ იქცევა?! გვეშინოდა ხმა ამოგვეღო – მეც და ფანისაც.

ომის დამთავრების შემდეგ ჩემი დედ-მამა ციმბირიდან დაბრუნდა. დედა – რახელი გზად ჯერ მოსკოვში, მეირის ბინაზე შეჩერდა, ხოლო მამა ბელორუსიისაკენ გაემგზავრა: მისი მიზანი იყო იქ, ადგილზევე გამოერკვია ჩვენი დეიდების – ნეხამიას და ხასიას ამბავი. დედის დები თავიანთი ქმარშვილებით დაბა უზდაში ცხოვრობდნენ; ამით იყო გამოწვეული მამის იქ ჩასვლა, რამეთუ პასუხი ერთთავად სამწუხარო იყო – „მხეცი ფაშისტების

მიერ ცოცხლად იქნენ ჩამარხულნი საერთო ორმოში". ეს მოხდა მაშინ, როდესაც საშინელ პერიოდში ბელორუსიის საზღვარზე ფაშისტებმა პირველი დარტყმა მოახდინეს. საფიქრებელია, რომ ფაშისტების სწრაფი მოქმედების გამო გაქცევას ან გადარჩენას ვერავინ მოასწრებდა. ძნელი იყო ამ საშინელი ფაქტის დაჯერება. ამ საერთო ტრაგედიას არც ჩვენი საგვარეულო გადაურჩა.

მამის დაბრუნებამდე ფანიმაც სცადა წერილობით მიემართა ქ. მინსკის საბჭოსადმი, რათა გამოერკვია დეიდების ბედი, მაგრამ პასუხი ყოველთვის სამგლოვიარო იყო.

1945 წლის ოქტომბერს ჩვენი მშობლები თბილისისაკენ გამოემართნენ.

ჩემი დედ-მამის დაბრუნება ჩემთვის სასწაულს წარმოადგენდა. თავი სიზმარში მეგონა; დავკარგე სინამდვილის აღქმის უნარი. არ შემეძლო გამომეხატა სიხარული — ნუთუ მეღირსებოდა ცოცხალი მშობლების ნახვა?! შევძლებდი ხელი შემეხო მათთვის, რათა დავრწმუნებულიყავი მათ არსებობაში? მე ხომ, როგორც ფანიმ თავის უკვდავ მემუარებში შეგვარქვა — „კეთროვანები" — შეშინებული, მიწისფრის მქონე სახიერებით დავიარებოდი და გავურბოდი ადამიანებს, თითქოს მე მათ რამე დავუშავე. და ასე გრძელდებოდა 1938 წლის აპრილიდან — გერცელის დაპატიმრების დღიდან.

სამაგიეროდ, ჩემს მაგივრად, ჩემი უნივერსიტეტის მეგობარ-ამხანაგები ხარობდნენ. მახსოვს, ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა: ჩვეულებისამებრ მივედი ლექციებზე. ვხედავ, ლექციის დაწყებამდე ჩემი ამხანაგი ნუნუ ყარალაშვილი ზის. მას გარს შემოხვეოდნენ სტუდენტები. ნუნუ ცრემლისღვრით ამბობდა: —ასე მგონია, პოლინას კი არა, ეს მე მიბრუნდებიან დაკარგული მშობლები. ო, რა ბედნიერებაა მშობლების დაბრუნება; თითქოს უკუნეთიდან აღდგნენ და პოლინაც აღარ იქნება ცოცხლად ობოლიო. მას სტუდენტები კვერს უკრავდნენ და თანაგრძნობას გამოხატავდნენ. ისინი ისე იყვნენ ამ საუბრით გართულნი, რომ როცა მივუახლოვდი, ვერც კი შემნიშნეს და თითქოს მათი ემოციური გამონათქვამები მე კი არ მეხებოდა, არამედ ვიღაც სხვა პიროვნებას.

ციმბირიდან დაბრუნებული მამა პირველ რიგში შეუდგა ჯერ კიდევ ციმბირში მიღებული ნედერის (აღთქმის) აღსრულებას: „თუ ცოცხალი დავრჩი და მეღირსა საქართველოში დაბრუნება, შემოვივლი ყოველ კუთხეს, სადაც ებრაელები სახლობენ; იქნებ ყველამდე ვერ მიაღწია ცნობამ იმ უბედურებისა და ტრაგედიის შესახებ, რომლებიც თავს დაატყდა რუსეთისა და ევროპის ებრაელებსო."

მე დავესწარი, როცა თბილისში, ცხინვალელ ებრაელთა საზოგადოების სალოცავში მამამ ჩაატარა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ფაშისტებისაგან დაღუპულ ხალხს და მათ რიცხვში ებრაელობას.

იმ დღეს ცხინვალელთა სალოცავი ხალხით იყო სავსე. მიტინგს, ებრაელობის გარდა, ესწრებოდნენ საგანგებოდ მოწვეული ხელისუფლების წარმომადგენლები. ესენი იყვნენ ქ. თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ქორიძე და კიდევ ორი სხვა საპატიო ქართველი სტუმარი (მაპატიოს მკითხველმა — ამ ორის გვარი აღარ მახსოვს). ხალხმრავალ სალოცავის აივანზე გაჭირვებით მივაღწიე „საქალებოს" მეორე სართულზე. ქალები გოდებდნენ და მოთქმით სტიროდნენ; აქაც დიდი გაჭირვებით მივუახლოვდი გადასახედ მოაჯირს; დაბლა, სალოცავის ცენტრში, თებაზე იდგა მამა — დავით ბააზოვი; იგი დიდი მგზნებარებით მოუთხრობდა იქ დამსწრეთ იმ საშინელების შესახებ, რომლებიც ფაშისტებმა თავს დაატეხეს დასავლეთ ევროპისა და დასავლეთ რუსეთის ხალხებს. მალე დ. ბააზოვი თებიდან ძირს ჩამოვიდა, მუხლი მოიკეცა და თავით იატაკს შეეხო. იგი ქვითინებდა. იქ დამსწრე საზოგადოებამ — ყველამ მამას მიბაძა, მათაც მოიმუხლეს, დაეშვნენ იატაკზე; ყველა ტიროდა და მათ შორის ხელისუფლების ქართველი წარმომადგენლებიც. უჩვეულო და შთამბეჭდავი სურათი იყო, რომლის მსგავსი მე არასოდეს მენახა.

თითქოს მე მამას ვიცნობდი, მაგრამ მისი ნამდვილი არსი, ბუნება არა მცოდნია. პირველ ყოვლისა, მე იგი მეხსიერებაში შემრჩა როგორც ბრწყინვალე ტრიბუნი. ამ მიმართებით მამის შემდგომი მოღვაწეობის მოწმე მე აღარ ვყოფილვარ; თავად არ უყვარდა თხრობა თავისი საქმიანობის შესახებ. სამაგიეროდ, მოგვითხრობენ სხვები.

თბილისიდან მამა გაემგზავრა იმ რაიონებში, სადაც ებრაელები სახლობდნენ.

1976 წელს ისრაელში გამომავალ ქართულენოვან გაზეთ „იმედში" (12 მარტი, № 173), იმ პერიოდში კირონის მცხოვრებმა რონი (არონ) მიხელაშვილმა გამოაქვეყნა თავისი მოგონება : „იჩქარეთ, იჩქარეთ სინაგოგაში". რონი აგვიწერს ცხაკაიაში მომხდარ ამბავს.*)

„ჩქარა, ჩქარა, ხალხნო, იჩქარეთ სინაგოგაში, —ეზოდანვე დაიძახა მამაჩემმა — წერს რონი მიხელაშვილი — და თითქოს შემოფრინდაო ოთახში, კვლავ იმავე სიტყვების განმეორებით, მამა უველას ცალ-ცალკე მიმართავ-და: „ჩქარა წადით, თბილისიდან ჩვენთან ჩამობრძანდა დიდი დავით ბააზოვი...

...მთელი ჩვენი ოჯახი აფორიაქდა. გარეთ დიდი, თავსხმა წვიმა მოდიოდა.

...სტალინური რისხვისგან გადარჩენილი, დიდი სიონისტი დ. ბააზოვი კიდევ გაუტეხავად გამოიყურებოდა. იდგა, როგორც ბებერი მუსა და ებრაელი ხალხის სასიკეთოდ იბრძოდა. იმ პერიოდში ხალხი შეშინებული იყო და ერიდებოდა ეოველგვარ თავშეყრილობას. მაგრამ ახლა ვერ შესძლეს. ისინი შეიკრიბნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ და მოესმინათ გატანჯული დავითისათვის. თეთრწვერიან, წარმოსადეგ, მოკრძალებით ჩაცმულ მხცოვანის სახეზე აღბეჭდილიყო მისი სიდიადე; ხა-

* სრულად ქვეყნდება აქვე, განყოფილებაში „დავიდ ბააზოვი"

ლხი გასუსული უცქერდა და უსმენდა.“

***

ციმბირიდან მობრუნებული ჩვენი დედ-მამა ცუდად არ გამოიყურებოდნენ. მომაკვდავი მამაჩემი, რომელიც საკაცეზე მწოლიარე ეტაპით გაასახლეს ციმბირში, დედამ თავისი ჩასვლითა და მზრუნველობით სიცოცხლისკენ მოაბრუნა. მამაც, თავის მხრივ, ცდილობდა არაფერი დაეკლო – შეძლებისდაგვარად – ერთგული მეუღლისათვის, რომელმაც გაიზიარა ქმრის ხვედრი. აქვე აღვნიშნავ, რომ უბედურ დედას (ასევე მეც) მამაჩვენმაც და მთელმა ოჯახმაც დაუმალეს უფროსი შვილის, ჩვენი ანგელოზი გერცელის დაღუპვა. მამა, დედაჩემის მასთან ჩასვლამდე, აბელად იყო. დედას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის ამ საშინელ ტრაგედიას არ უმხელდნენ. დედა, თბილისში ყოფნის დროს – მისი თხოვნით – ყოველთვის მიმყავდა ნკვდ-ს კომენდატურის სათანადო სარკმელთან, რომლის მილმა იჯდა რუსი სამხედრო მსახური. ოდნავ აწეული სარკმლიდან ძლივს მოსჩანდა მისი მკაცრი სახის მარტო ქვედა ნაწილი – ნახევარი ცხვირი და პირი. თვალებს არ გვიჩვენებდნენ. ამ გულქვა მსახურებს დედა მუდარით ეკითხებოდა: „სად არის ჩემი შვილი?“ –და იყო ყოველთვის, ერთთავად ავტომატური პასუხი: „თქვენი შვილი გადასახლებულია წერილის მოწერის ნებართვის გარეშე.“ ბრუნდებოდა დედა სახლში გაოგნებული, გარინდული და ეძლეოდა ფიქრებს...

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, მამა იქ საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა. უფროსებთან დაიმსახურა ნდობა, რის შედეგადაც გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლით სარგებლობდა. დედას, ბელორუსიაში დაბადებულს და გაზრდილს, ციმბირის სუსხიანი კლიმატი მოუხდა. დ. ბააზოვზე გათხოვების შემდეგ, რაჭაში ცხოვრების დროსაც, იქაურ მთის კლიმატს კარგად შეეგუა. მაგრამ თბილისში გადმოსვლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ცხინვალელ ებრაელთა სალოცავის პირველი სართული, სადაც მამისეულ ოჯახს მიუჩინეს ბინა, იყო საკმაოდ ფართო, მაგრამ უმზეო, უჰაერო და ნესტიანი. ამის შედეგი იყო, რომ დედაც და შვილებიც ხშირად ავად ვხდებოდით.

ციმბირიდან მობრუნებულმა მშობლებმა იმდენი პროდუქტი ჩამოიტანეს, რომ ამ ნაომარ ქვეყანაში დიდხანს ვიკვებებოდით ციმბირულ ღუმელებში გამომშრალი კარტოფილით, კარაქითა თუ სხვა პროდუქტებით. გარდა ამისა, მათ იმდენი რუსული „ტელეგრეიკები“ და „ვალინკები“ ჩამოიტანეს, რომ მე და ფანიმ არ ვიცოდით სად დაგველაგებინა ისინი. დედა მათ ვერ ელეოდა, როგორც სამახსოვრო ნივთებს, ჩვენთვის კი ვერაფერი მოსაწონი იყო „ტელეგრეიკები“ და „ვალინკები“.

ფანიმ იქვე წაიყვანა მშობლები თავისთან ხაშურში, მოასვენა და მოაშუშა. მამა ავად შეიქმნა, რის გამოც ფანის მოუხდა მისი ხაშურის საავადმყოფოში

მოთავსება. როგორც კი მამამ ცოტაოდნად თავი კარგად იგრძნო, — რა გააჩერებდა მას, მოქმედებასა და მოღვაწეობას მიჩვეულს — გამოსწია თბილისისკენ სამუშაოს საძებნელად. საქმე იმაში იყო, რომ მამას ხელისუფლებისაგან აკრძალული ჰქონდა 24 საათზე მეტ ხანს თბილისში გაჩერება. ამიტომ იყო, რომ მას მოუხდა თავის საარსებო საშუალების რაიონებში მოძებნა. ეს იყო მისი გასახლების ერთგვარი ფორმა. ხელისუფლებას სურდა, რომ დავით ბააზოვი თავისი ებრაელი საზოგადოებისაგან რაც შეიძლება მოშორებით ყოფილიყო. მას სამუშაო აღმოუჩინეს აზერბაიჯანის შორეულ და მიყრუებულ სოფელ ლიაქში. აღნიშნულ სოფელში სულაც არ იყო რაიმე მზა სამუშაო. ამიტომაც იყო, რომ დავით ბააზოვს უნდა ჩამოეყალიბებინა ხელოვნური ღვინის წარმოება ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენებით. მამას უნდა მოეძებნა მუშა-მოსამსახურენი. სულ მოკლე დროის მონაკვეთში მან დასძლია ეს ამოცანა. მისი უფროსები, რომლებიც ბაქოში იმყოფებოდნენ, გაოცებულნი იყვნენ მისი უნარით. მან შესძლო საწარმოო შრომას მიუჩვეველი, ზანტი სოფლელი აზერბაიჯანლები ჩაება შრომაში. უფრო მეტიც, მან მიიზიდა ტყე-ველად გაჭრილი ავაზაკები, რომლებსაც აზერბაიჯანის მილიცია დიდხანს დაეძებდა დასაჭერად. ახლა ისინი აღმოჩნდნენ მამის მიერ წამოწყებულ სამუშაოში ჩაბმულნი. მილიცია მათ შორიდან ადევნებდა თვალისყურს. მამამ ისინი თავისი მეურვეობის ქვეშ აიყვანა და არც არასდროს მათ მიერ არ მომხდარა შრომის კანონების დარღვევა. საქმის ასეთი დაბოლოება ყველასათვის სასურველი აღმოჩნდა, რის გამოც დავით ბააზოვი ბაქოში მყოფი თავისი უფროსებისაგან ხშირად მადლობებს იღებდა.

## „სტალინური მადლობა“

ლიაქში მამაჩემის ყოფნის დროს ჩვენთან სახლში მოულოდნელად მის სახელზე მოვიდა დეპეშა. ეს იყო „სტალინის მადლობა“. აღნიშნული დეპეშა შედეგი იყო მამაჩემის მიერ საქართველოს ებრაელთა შორის ჩატარებული ღონისძიებებისა. სათანადო ადამიანებზე დავალებით (ბენ-ციონ რიჟინაშვილი, ეფრემაშვილი და სხვ.) შეგროვილ იქნა თანხა და შემდეგ გაგზავნილი ზემდგომ სათანადო ორგანოებში ომის შედეგად დანგრეული ქალაქების, სოფლების, რკინიგზებისა და სხვა ობიექტების აღსადგენად და, განსაკუთრებით, დასახიჩრებულ და ობლად დარჩენილ ბავშვთა დასახმარებლად. ვინაიდან ეს ღონისძიება მამის ინიციატივით მოხდა, დეპეშა მოვიდა მამის სახელზე, სადაც მამას ეცხადებოდა მადლობა. ოჯახში ამ დეპეშას ყველა გულგრილად შევხვდით. არ ვიცოდით რა გვექნა ამ „მადლობისათვის“. დეპეშას ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდებდით ხოლმე და ვერ მოვუძებნეთ მას ადგილი. არავინ ზრუნავდა მის შესანახავად, მაგრამ მაინც დაველოდეთ

მამას, რომელიც საშაბათოდ სახლში ჩამოდიოდა. როცა გავუწოდეთ დეპეშა, მოიღუშა, სახე გაუმუქდა და დეპეშა შორს ისროლა სადღაც კუთხისაკენ, თან წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „მე ჯალათის მადლობისათვის არ მიზრუნია." ამიტომაც იყო, რომ არავის უზრუნია, რათა ეს საბუთი შემოენახა და გერცელის და ბევრი სხვა პატიოსანი ადამიანის მკვლელის „მადლობა" ნაგავთან ერთად გადაიკარგა.

## მამა ლიაქში

შური საშინელი მანკია, რომელიც სამწუხაროდ ადამიანთა მოდგმას ახასიათებს. მე მხედველობაში მაქვს შავი შური, რომელსაც შეუძლია ადამიანი დანაშაულამდისაც მიიყვანოს.

მე არ დავასახელებ არც დამნაშავეების და არც უდანაშაულო ადამიანთა სახელებს. შევეხები მარტო იმ ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომისშემდგომ პერიოდში, როცა მამა იმყოფებოდა ლიაქში.

ერთ შოხეტს (მ. ჯ.) სხვებთან შედარებით საკმაოდ კარგი შემოსავალი ჰქონდა, საზოგადოების გარკვეულმა ჯგუფმა მოინდომა მისთვის ფულის საშოვნი წყარო წაერთმია.

ომის შემდგომ პერიოდში ევაკუაციაში მოხვედრილ მარტოხელა ადამიანებს ცხოვრების გზა-კვალი აერიათ. ბევრი მათგანი დარჩა უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ და ახლობელი ადამიანებისაგან განმარტოებული. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო რუსეთიდან თბილისში მოხვედრილ ებრაელი ხანშიშესული ქალი. მას თავშესაფარი მისცა თავის ოჯახში ამ შოხეტმა. ისევე, როგორც ოჯახის ყოველ წევრს, ამ ქალსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ოჯახის მეურნეობაში, ე.ი. უნდა მიხმარებოდა შოხეტის მეუღლეს დიასახლისის საქმიანობაში. ამ ადამიანმა იმ კეთილ ოჯახში თავშესაფარიც ნახა, ლუკმა პურიც და ცოტაოდენი ფულიც. ცოტა ხნის გავლის შემდეგ შოხეტის მოშურნე ადამიანებმა ამ ევაკუირებულ ებრაელ ქალთან გამონახეს გზა, გაუბეს მას მზაკვრული საუბარი, გადაიბირეს და დააყენეს ცდუნების გზაზე. ეს ქალი გამოიყენეს როგორც ცრუ მოწმე მისი მფარველი შოხეტის წინააღმდეგ: გამაუპატიურაო. დაინტერესებული ჯგუფი შოხეტს ბრალს სდებდა ოფიციალურად საზოგადოების წინაშე, რის გამოც ებრაული კანონის ძალით შოხეტს მოელოდა გახერემება და ფულადი ჯარიმა.

დღემდის მახსოვს იმ ნეტარცხონებული შოხეტის სახე. არასდროს მინახავს ადამიანი, თუ ის ზანგად არ იყო დაბადებული, ისე გაშავებოდეს სახე, რომ ზანგის ფერზე დამდგარიყოს. ბრალდებული შოხეტი, გაშავებული სახით, გაოგნებული დაიარებოდა ჩვენთან და დედას ეკითხებოდა: „რახელ, როდის ჩამოვა დავითი ლიაქიდან?.. როდის ჩამოვა?" იმ განსაცდელის ჟამს საცოდ-

ავ ადამიანს თითქოს ყველა განუდგა, რამეთუ ვინც არ იცოდა სინამდვილე, ადვილად ჰყვებოდა მონაჟორს.

მე და დედა შევყურებდით ამ ადამიანს, გვეცოდებოდა. ბოლოს შოხეტმა სთხოვა დედას: „რახელ, გთხოვ დავითს გაუგზავნო სასწრაფო დეპეშა. სასწრაფოდ ჩამოვიდეს ჩემთვის. დრო აღარ ითმენს." დედამ გადაუდებლად შეუსრულა თხოვნა და გააგზავნა სასწრაფო დეპეშა ლიაქში. მამაჩემმა არ დააყოვნა, ჩამოვიდა დროზე, გაეცნო საქმეს, რის შედეგადაც მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. სხდომაზე დასაკითხავად გამოიძახა ის პროვოკატორი ქალი. დავით ბაასოვი მას დიდხანს ჰკითხავდა. დაბოლოს იმ ქალს ვერ გაუძლია მამის მიერ დასმული კითხვებისათვის, ერთბაშად ატირდა და გატყდა. მან აღიარა თავისი წაცდომა, რომ იგი წავიდა ამ ავანტურაზე, რამეთუ ამაზე უბიძგეს გარკვეულმა ადამიანებმა (არ ვასახელებ მათ), ფულით დაინტერესეს და ამიტომაც ცილი დასწამა უდანაშაულო ადამიანს, რომელმაც იმდენი სიკეთე გაუკეთა, არა მარტო მან, არამედ მთელმა მისმა ოჯახმა და, განსაკუთრებით მისმა მეუღლემ. წასცდა, თქვა ტყუილი და ახლა ითხოვს პატიებას. ასეთი აღიარების შემდეგ ახალციხელთა სალოცავის დიდ დარბაზში, სადაც უნდა განხორციელებულიყო იმ ბედკრული შოხეტის გახერემება, ახლა დავით ბაასოვმა მოიწვია საგანგებო სახალხო კრება. დავით ბაასოვს მიუმართავს იქ დამსწრე საზოგადოებისათვის და კონკრეტულად იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ასე უსინდისოდ შეთითხნეს ცილისწამება მარტო იმისათვის, რომ იმ შოხეტის ადგილზე თავისი კაცის დანიშვნა სურდათ.

„თქვენ ღმერთს ემსახურებით, –მიუმართავს მას ცილისმწამებლებისათვის, –და ამავე დროს ჰკლავთ ადამიანს! თქვენ უკვე მოჰკალით იგი. აბა, შეხედეთ მის სახეს. ის ჰგავს ადამიანს, რომელსაც წაართვეს სულიერი სიწმინდე. ვინ მოგცათ კაცის კვლის უფლება?.." –ასეთი სიტყვებით ბრალმდებლები ბრალდებულებად უქცევია მამას.

ამის შემდეგ იმ ქალს ჯამაათმა მისცა გზის ფული და მიუთითეს, რომ 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინა არა მარტო თბილისი, არამედ მთელი საქართველოს საზღვრები.

ასე დამთავრდა ეს სამარცხვინო საქმე. დავით ბაასოვის ჩარევით, მისი ლოგიკური და გამჭრიახი დაკითხვის შემდეგ გახსნილი იქნა სიმართლე და უდანაშაულო კაცი დახსნილი და რეაბილიტირებული.

საქმის დადებითად დამთავრების შემდეგ მამა კვლავ დაბრუნდა ლიაქში.

•

როდემდის შეეძლო ჯანგატეხილ მამას ოჯახისაგან მოშორებული, მარტოდ ცხოვრება? მას იქ, ლიაქში არ ჰქონდა საცხოვრებლად ელემენტარული პირობები. ფანი ისევ ხაშურში იმყოფებოდა და იქიდან შეძლებისდაგვარად ყველას გვეხმარებოდა. ხაიმმა ხელი მოჰკიდა მძიმე ოპერაციის განხორციე-

ლებას: განიზრახა მამისეული ძველი, ნესტიანი და დიდი ხნის ურემონტო, მოშვებული სახლი გადაეცვალა შედარებით ნაკლებფართობიან, მაგრამ უფრო ხარისხიან ბინაზე. სანამ ამ საქმიანობაში იყო, მოგვივიდა ამბავი, რომ მამა ლიაქში მძიმე ავად გამხდარიყო. მე და ხაიმი გავემგზავრეთ ავადმყოფი მამის სანახავად ლიაქში. თვალები და გული გვეტკინა, რა ვნახეთ?! საქმე კი კარგად აეწყო მამას, მაგრამ თვითონ საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სათანადო დახმარების შემდეგ ხაიმი თბილისში დაბრუნდა, რათა სასწრაფოდ ეზრუნა მამის ლიაქიდან წამოყვანისა და საქართველოს რომელიმე, უკეთეს ადგილზე მოწყობისათვის. მამასთან მე დავრჩი. იმდენად მენატრებოდა მამის ნახვა, მასთან ახლოს ყოფნა, რომ ავადმყოფ მამას რომ ვუვლიდი და წამალს ვაწვდიდი, ესეც სიამოვნებას მგვრიდა. მამა მალე წამოდგა და კვლავინდებურად განაგრძო მუშაობა. საშინელი პირობები იყო იქ, მაგრამ მე ყველაფერს ადვილად ვეგუებოდი, რამეთუ მამის გვერდით ვიყავი. მის ერთოთახიან სადგომში იკრიბებოდნენ სამსახურის თაობაზე აზერბაიჯანელი მუშა-მოსამსახურეები. სკამების უქონლობის გამო პირდაპირ ჩემს საწოლზე ჩამოსხდებოდნენ, თანაც... ჩუმ-ჩუმად მიმზერდნენ მე. ეს მათი უსინდისო მზერა მამას არ ეპარებოდა. მამასაც უხაროდა თავისი სულ პატარა შვილის გვერდში ყოლა. მალამოს მეძახდა. მართლაც და თითქოს ვუშუშებდი ტკივილებს, მაგრამ ნერვიულობდა ჩემს გამო. მას ეშინოდა ჩემს გამო, მაგრამ არ მიმხელდა.

ერთხელ, ლიაქის მცხოვრებლებმა მამა ქორწილში დაპატიჟეს. მამა, საერთოდ, როდესაც არაებრაელთა საზოგადოებაში ხვდებოდა, აღნიშნავდა, რომ მას ექიმებისაგან დანიშნული აქვს მხოლოდ ვეგეტარიანული საჭმელის მიღება. ეს თითქმის ნამდვილიც იყო. მხოლოდ როცა შაბათისთვის თავის სახლში ბრუნდებოდა (ისიც არა ხშირად), არღვევდა ამ წესს. და ახლაც, მისი თხოვნით, იმ თათრების ქორწილში მას მიუტანეს ერთი მოხარშული კვერცხი და ჩაი. საინტერესო იყო, რომ ყველა – სტუმარი თუ მასპინძლები – ვისხედით მუხლმოკეცილნი იატაკზე, სადაც გაფენილი იყო ნოხი და აქაიქ ელაგა მუთაქებიც. მამამ ვერ შეძლო მუხლის მოკეცვა და დაბლა იატაკზე დაჯდომა. მასპინძლებმა სადღაც აღმოაჩინეს ერთი სკამი, მოიტანეს და დასვეს მამა. საერთოდ, სუფრა იყო თავისებური. შუაგულს ჩადგეს ცხვრის ქონში გაჟღენთილი ფლავი. ყველას თითებით მიჰქონდა პირდაპირ პირში. მე მათ შორის აღმოვჩნდი უნიჭო, რამეთუ ასეთი ფორმით საჭმლის მიღება მიჭირდა.

დესერტად იყო ჩაის სმა. ჭერიდან ჩამოშვებული იყო ვიწრო ბაწარი, რომლის ბოლოზეც დამაგრებული იყო რუხ ფერზე სახლში გამომწვარი შაქრის ნაჭერი. ვინც დაიჭერდა ამ შაქრიან ძაფს, მოწუწნიდა ან მოკბეჩდა შაქარს და შემდეგ გააქანებდა სხვისკენ. ჩაი მოჰქონდათ ფიალებით. მამას მიართვეს ჭიქით.

აღვნიშნავ კიდევ ერთ ეპიზოდს. იმ დროს ლიაქში ცხოვრობდა ერთი რუსი ქალი, მანიას ეძახდნენ. იგი დამლაგებლად მუშაობდა წარმოების ადმინისტრაციაში და სხვაგან. მანიას ჰყავდა ერთი მცირეწლოვანი ბიჭი, რომელსაც ვასიას ეძახდა. ეს ბავშვი, როგორც იქ აღნიშნავდნენ, გაჩენილი ჰყავდა ქორწინების გარეშე. ვასია ცელქი ბავშვი იყო. როდესაც მანია სამუშაოზე იმყოფებოდა, ნერვიულობდა სახლში დატოვებული ბავშვის გამო. ხშირად გვესმოდა, როცა ის ბავშვს ტუქსავდა და ეტყოდა ხოლმე: „არ გახვიდე გარეთ, ჟიდი მოვა და ყელს გამოგჭრისო." იგი ყოველგვარი დარიდების გარეშე გაიძახოდა ამ სიტყვებს. არავინ იყო მოპასუხე. იქ მყოფნი – თათარი, სომეხი თუ რუსი – ერთთავად შუასაუკუნეობრივ უმეცრებაში იმყოფებოდნენ.

ლიაქში მცხოვრები თათრის ქალები სახლის ტყვეებს ჰგავდნენ. ეზო დიდი ჰქონდათ, მაგრამ თიხით შელესილი გალავნით შემოფარგლული. გარეშე პირი ვერ დაინახავდა შიგ მცხოვრებ ქალებს და ვერც ქალები ისე ადვილად ვერ გავიდოდნენ გალავნის გარეთ.

სოფელი ძალიან ღარიბი იყო. კვირაში ერთხელ ეწყობოდა ბაზრობა. ერთხელ გავედი ლიაქის ბაზარზე. გასაყიდად გამოეტანათ გამხმარი თევზი, მაწონი, ცოტაოდენი – დაჭიანებული ვაშლის პატარა გროვა და ძველმანი ტანსაცმელი გადასაცვლელად. მე იქ მწვანილი, ისეთი, როგორიც საქართველოში იცის – უხვი და ცოცხალი – არ მინახავს.

ადგილობრივი მოსახლეობის მეტი ნაწილი თათრები იყვნენ. უმცირესობას შეადგენდენ რუსები და სომხები. ლიაქის მცხოვრებლებმა არც იცოდნენ მამა რა ეროვნების იყო. ერთხელ ერთმა ლიაქის მკვიდრმა მამას რჩევისათვის მიმართა. მამამ მას თანახიდან მისცა განმარტება. მან მიიჩნია, რომ მამა მათი ყურანის მცოდნე იყო. ამის შემდეგ სხვა თათრებმაც უხშირეს მასთან სიარული. მამა გახდა მეტად პოპულარული. მასზე ლოცულობდნენ. მათი ხშირი მოსვლით მამასთან ყველაზე მეტად მე ვიყავი შეწუხებული. ამიტომაც მამამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ჩემი თბილისში დაბრუნება. რამდენადაც საამო იყო ჩემი მამასთან ყოფნა, იმდენად მას შიში იპყრობდა ჩემს გამო თათრების მხრიდან.

ბაქოდან მომავალი მატარებელი ლიაქში სულ რაღაც 2-3 წუთს ჩერდება. მამამ ამიღო ბილეთი და თბილისისკენ წამოსასვლელად მომამზადა. თვითონ მამა, როგორც გამცილებელი, ვაგონში არ ამოუშვეს. მას ხომ სურდა ენახა, თუ როგორ პირობებში მოვეწყვე მგზავრობისათვის. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, არ ამოუშვეს. როგორც კი ვაგონის ასასვლელ რამდენიმე საფეხურზე ავედი, იქვე გადავძახე ქართულად ბაქანზე მდგარ მამას: „მამა, არ შეწუხდე, მე კარგად მოვეწყვე..." და ა.შ. მაგრამ კიდევ კარგი, რომ მამა არ ამოუშვეს. მას რომ ის სურათი ენახა, რომელიც მე იქ დამხვდა, საშინლად ინერვიულებდა. საპლაცკარტო ვაგონი გაჭედილი იყო დემობილიზებული

ჯარით. რომ იტყვიან, ნემსის ყუნწი არ ჩავარდებაო, ისეთი გაჭედილი იყო მგზავრებით. დასაჯდომი ადგილი კი არა, ფეხის დასადგმელიც არ მოსჩანდა. ჰაერი გაჟღენთილი იყო პაპიროსის ნამწვის ბოლით და არყის სუნით. მე ისევ გასასვლელში ვიდექი. როგორც კი მატარებელი დაიძრა, დაბლა, ბაქანზე მდგომ მამას ერთხელ კიდევ დასამშვიდებლად გადავძახე: ნუ იდარდებ, მე კარგად მოვეწყვე და ა.შ. იმ შემთხვევაში მამის დასამშვიდებლად ეს სიცრუე გამართლებული იყო. წარმოდგენა არ მქონდა როგორ მოვეწყობოდი. მამამ იქაურობას მომაშორა და ახლა აღმოვჩნდი მარტო, გამოუცდელი გოგონა პირისპირ ომგადახდილ და ცოცხლად გადარჩენილ ჯარისკაცებს შორის. მაგრამ ჩემმა დიდმა მეგობარმა – ღმერთმა გამიწია მფარველობა. ჯარისკაცებს შორის აღმოჩნდა ერთი ქართველი. როდესაც მამას გადავძახე ქართულად დასამშვიდებლი სიტყვები, მას გაუგონია და იქვე ჩემსკენ წამოვიდა. მეც იქვე შევნიშნე ჩემსკენ მომავალი ვიღაც კაპიტნის ჩინში. მან სანდომიანი სახით გამიღიმა და მომმართა ქართულად:

–ო, რას ვეღირსე. ხუთი წლის განმავლობაში მე სიტყვა ქართული არ მსმენია. ახლა ვეღირსე ჩემი მშობლიური ქართულის გაგონებას! –შემოძღვა შიგ ვაგონში, დაბლა საწოლიდან წამოაყენა ვიღაც ახმახი ჯარისკაცი და დამსვა მე. ყველას აუკრძალა, რათა ჩემს გვერდით არავინ ჩამომჯდარიყო. თვითონ ჩემს მოპირდაპირე საწოლზე ჩამოჯდა. როცა გადავხედე იქაურობას, დავინახე, რომ თითო საწოლზე თითქმის ორ-ორი იწვა. მეტწილად სამხედრო – მამაკაცი და მის გვერდით სამხედრო ქალი.

ჩემს პირდაპირ მჯდომი ქართველი კაპიტანი – ვახტანგ გოგოლაძე, როგორც თვითონ გამეცნო, მთხოვდა მხოლოდ ერთს, ქართულად გამომელაპარაკეო. მითხარი და მიამბე რაც გინდა, ოღონდ ჩემი ქართული გამაგონეო. ხუთი წელი არ მსმენია. სოფლად მე დედა მელოდება, ხოლო საცოლემ მიღალატაო. შევიტყვე, რომ გამცვალაო. მე ამისთვის თავს არ მოვიკლავ: ჩემს თავს მე პირობა მივეცი, რომ თუ ცოცხალი დავბრუნდი ჩემს საქართველოში, ვინც პირველი ქალი შემხვდება, მას შევირთავო. ამ სიტყვებმა დამაფიქრა. აშკარად ვატყობდი, რომ ჩემდამი სიმპატიით განეწყო. ან შეიძლება ეს მისი ილუზიაც იყო: გრძნობებს აყოლილი ნაჩქარევი ჩანაფიქრი. ჩემს წინ იჯდა ადამიანი, რომელმაც ომი გამოიარა და სასწაულით გადარჩა ცოცხალი. მისი და მისთანების წყალობით ჩვენ, რომლებსაც ფრონტი არ გვინახავს, ფიზიკურად გადავურჩით ფაშისტებს. ასეთი ვალმოხდილი ადამიანი ნამდვილად არ იმსახურებდა, რომ მისთვის ტყუილი მეთქვა და ახლა მე აღმოვჩნდი დილემის წინაშე. სინდისი მქეჯნიდა: როგორი პატივისცემით მიმიღო. ყველას აუკრძალა ჩემთან ახლოს დაჯდომაც კი, რის გამოც საკმაოდ დიდი საყვედურებიც კი მიიღო თავისი თანაფრონტელებისაგან, რომელთა გვერდით იწვნენ ფრონტის ამხანაგი ქალები. კინაღამ ჩხუბი ატყდა. მას ასე მიმართეს:

–Как. ты что. свою землячку бережёшь от нас. Она что. недотрога?.. –და ა.შ. მან უპასუხა, რომ იგი შემთხვევით წააწყდა თავის დეიდაშვილს. მისმა ასეთმა ტყუილმა საქმე აშკარა= დებოშიდან იხსნა. და ასეთი პატიოსანი ადამიანისათვის ახლა მე უნდა მეთქვა ტყუილი. ვფიქრობ, რომ მკითხველი გამიგებს, რომ ჩემს ახლად გაცნობილ კაპიტანსა და ჩემს მხსნელს არ გავუმხილე ჩემი ნამდვილი ვინაობა, სახელი და გვარი. არც მისამართი ვუთხარი ნამდვილი. სინდისი მქეჯნიდა, მაგრამ მე არ შემეძლო მოვქცეულიყავი სხვანაირად.

ასე და ამგვარად, ამ ღვთისნიერი ადამიანის წყალობით მშვიდობით დავბრუნდი ჩემს სახლში. გამოგიტყდებით, რომ დიდ ხანს ვერ ვივიწყებდი. ხშირად გრძნობები ჩვენს აზროვნებაზე უფრო ძლიერია. ახლა, როცა ამ ეპიზოდს ვიგონებ და ქაღალდს ვანდობ ჩემს გულისნადებს, აღვნიშნავ, რომ დავკარგე სიმპათიური და კარგი ადამიანი, მხოლოდ იმისათვის, რომ არ მეღალატა ჩემი ერისათვის.

იმ პერიოდში, როცა მამა ლიაქში იმყოფებოდა, გარდაგვეცვალა ჩვენი საყვარელი ბებია სიფორა – მამაჩემის დედა, რაბი მენახემ ბააზოვის მეუღლე. ლიაქიდან საგანგებოდ ჩამოსულმა დავით ბააზოვმა ჯამაათის, მინიანის თანხლებით „შვიდი" შეუსრულა თავის დედას... შვიდის მერე მამა დაბრუნდა სამუშაო ადგილზე – ლიაქში.

ვიდრე ხაიმი მამას ლიაქიდან წამოიყვანდა, მან მოახერხა და მამისეული ბინა, სადაც თითქმის ყველა შვილი დავიზარდეთ, გადაგვიცვალა შედარებით ნაკლებფართობიან, მაგრამ ხარისხით უკეთეს ბინაზე. რაც მთავარია, ბინა იყო მეორე სართულზე, მზიანი და ჰაერიანი. ჰქონდა სათავსოები და ქუჩისპირა აივანი. ეს აივანი ჩვენი დედისთვის მისწრება იყო. იჯდა იქ საათობით ხელით თვალის მოჩრდილვით (ძალზედ ახლომხედველი იყო), გასცქეროდა ქუჩას, ელოდა ქუჩაზე მიმავალ ან მომავალ ხაიმს. ხაიმსაც ხომ ის უხაროდა, რომ დედის ბინა მისი საცხოვრებლისგან შორს არ იყო. სამსახურში მიმავალ ხაიმს ჩვენი სახლის წინ უნდა გაევლო. აივანზე მჯდომ დედას ხაიმი ყოველ დილით ამოსძახებდა: „დედიკო, დილა მშვიდობისა. როგორ ხარ..." – და ა.შ. ასევე ხდებოდა სამსახურიდან დაბრუნებისას. სულაც სახლში მოაკითხავდა რაიმე მოსაკითხით. დედა ხაიმის ხილვით სულდგმულობდა. მეირი ხომ შორს ჰყავდა, მოსკოვში. ხოლო გერცელზე ჯავრით და ფიქრით ერთთავად მოტყდა და თვალთ სინათლეც მკვეთრად დააკლდა. არავინ ვეკითხებოდით თუ რას ფიქრობდა: ხვდებოდა, რომ თავისი სული და თვალის სინათლე გერცელი ცოცხალი აღარ არის... თუ ერთთავად მის მოლოდინში იყო? იმას კი გვეეედრებოდა, თუ გერცელი მოულოდნელად გამოჩნდა, უცაბედად არ მომახალოთ, შეიძლება სიხარულისაგან გული გამისკდეს, როგორც ეს დაემართა ჩემს ბებიას. მე კი მინდა ის მოვასწრო, თვალით ვიხილოო. (იგი იგონებდა თავისი ნეტარცხონებული ბებიის ბათ–შევას მაგა-

ლითს, რომელსაც პირველ მსოფლიო ომში გაწვეული შვილის შესახებ მოუვიდა დაღუპვის ოფიციალური ცნობა. მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა ცოცხალი და დაბრუნდა სახლში. როდესაც მის დედას — ბათ-შევას ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ახალეს ეს სიხარული, ვერ გაუძლო მოზღვავებული სიხარულის გრძნობათა ტალღას და იქვე გაუსკდა გული.

მეც დამაჩნდა წარსულისა და გადატანილი ტრაგედიის კვალი. ხშირად ავადმყოფობდი. მამა ხანდისხან ახერხებდა საშაბათოდ სახლში ჩამოსვლას. მძიმე ამოცანა იდგა შვილების წინაშე, რათა მამა ლიაქიდან სასწრაფოდ წამოეყვანათ. დავით ბააზოვს ისევ არ აძლევდნენ ქალაქ თბილისში ცხოვრების უფლებას.

●●●

ერთხელ მამა ჩვეულებრივად საშაბათოდ ჩვენთან სახლში იმყოფებოდა. შუაღამისას, როცა ყველა ღრმა ძილში იყო წასული, საშინელმა კივილ-წივილმა გამოგვაღვიძა და დაგვაფრთხო. კივილი ჩვენი სახლის ეზოდან ისმოდა. მე იქვე წამოვვარდი და სანამ დედა დამიშლიდა გარეთ გასვლას, მე უკვე ეზოს შიგა მხარეს აივანზე გავედი. კივილი ძლიერდებოდა. ისმოდა ადამიანთა ძახილი. ითხოვდნენ შველას, თითქოს ვიღაც უნდა მოეკლათ. სინათლის ანთების ყველას ეშინოდა. მთვარის შუქზე შევნიშნე, რომ მეზობლებმა (მეტწილად სომხობა ცხოვრობდა იქ) დარაბები ოდნავ გამოაღეს და ისევ სასწრაფოდ ჩაკეტეს. გარეთ გამოსვლას ვერავინ ბედავდა; სასოწარკვეთილთა კივილზე რეაგირებას არავინ ახდენდა. ერთ წუთში ჩვენი ეზოს შიგა აივანზე ჩრდილივით ამოვარდა ფეხშიშველი გუკასიანების ქალიშვილი შუშანიკა. თავშესაფარს ითხოვდა. სწრაფად შევაღე ჩვენი სამზარეულოს კარი, შევუშვი შიგ და გაუჩინარდა. წამსვე გარედან დავადე ბოქლომი და მეც იქვე შევბრუნდი სახლში. კივილი ძლიერდებოდა. დედაჩვენი რახელი შიშისგან ხელებს იქნევდა. ვხედავ, მამაჩემი კივილის ხმაზე საწოლიდან წამომდგარა და საცვლების ამარა მიეშურება გასასვლელ კარისკენ. დედა დაედევნა შიშნარევი ძახილით:

—Давид, какой ты неисправимый, куда ты идешь, прямо к бандитам... — მაგრამ მამა შეუპოვრად წინ მიიწევდა, იქით, საიდანაც ძახილი ისმოდა. მამაჩემი არც იცნობდა მეზობლებს, რადგანაც ცხოვრობდა ლიაქში და თავის საკუთარ სახლში სტუმარივით ჩამოდიოდა.

მამას ესმოდა ადამიანთა ძახილი, ითხოვდნენ შველას და ისიც ამ ძახილს გამოეხმაურა. საით — თვითონაც არ იცოდა. ინერციით ალღო აიღო და კიბეებით ჩავიდა ეზოში. სიბნელე იყო, მაგრამ მამას კარგი მხედველობა ჰქონდა და მთვარის შუქზე მიაგნო იმ ბინას, საიდანაც განწირულთა ხმა ისმოდა. შემდეგ რაც მოხდა, უკვე იქ დამსწრეთა მონაყოლის მიხედვით გახდა ცნობილი.

როდესაც მამას გუკასიანების ბინის შესასვლელში შეუდგამს ფეხი, შეუნიშნავს, რომ ვიღაც უცნობი ადამიანები დანით ყელზე ადგანან მოხუც ცოლქმარს. ერთი ხელნათურით ადგა თავს და მეორე დანით ემუქრებოდა. ისინი ითხოვდნენ მიეცათ მათთვის ქალიშვილი — შუშანიკი (რომელიც მე ჩვენს სამზარეულოში ჩავკეტე): ან მოგვეცით ქალიშვილი, ან გამოგჭრით ყელსო. მათ უცებ შენიშნეს კარებში გაჩერებული თეთრწვერა და ღამის ქვედა საცვლის ამარა მოხუცი. ამ შეზარხოშებულებს მამა ღმერთის მოციქულად მიუჩნევიათ. სიტყვის თქმაც კი ვერ მოასწრო მამაჩემმა, შედრკა ის ხელი, რომლითაც დანა ედო ყელზე. დანიანი ხელი დაეშვა დაბლა. ვერ მოასწრო მამამ რაიმეს კითხვა, რომ იმ სიბნელეში თავად თავდამსხმელებისაგან მოისმინა შემდეგი:

„ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ეს ადამიანი, ალბათ ღმერთის გამოგზავნილია. თქვენც ამ ადამიანს უნდა უმადლოდეთ თუ ამაღამ სული შეგრჩათ და გადაგვირჩით ცოცხალი", —და ამ სიტყვებთან ერთად სწრაფად გაუჩინარდნენ კარში.

სანამ მამაჩემი სახლში მობრუნდებოდა მე და დედა საშინელ ნერვულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით.

როგორც შემდეგ გაირკვა, მათ ქალიშვილს ერთ-ერთი თავდამსხმელისათვის ცოლად გაყოლის პირობა მიუცია, მაგრამ შემდეგ მშობლებს სხვა ახალგაზრდაზე დაუნიშნავთ. უარყოფილმა ახალგაზრდამ, ძველებური წესით — შურისძიების მიზნით თავის ძმაკაცთან ერთად მოახდინა გუკასიანების ოჯახზე თავდასხმა.

ეს ინციდენტი, როგორც ზემოთ აღვწერე, მამაჩემის გამოჩენით და უნებლიე ჩარევით უსისხლოდ დამთავრდა. და შეიძლება მომხდარიყო პირიქითაც, მამაჩემისთვისაც დაერტყათ, როგორც გარეშე პირისათვის, რომელმაც მათ საქმიანობაში სცადა ჩარევა. მაგრამ, ყველას საბედნიეროდ, საქმე მშვიდობიანად დამთავრდა. პირიქით, ---რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ბინის ახლოს ტროტუარზე მიმავალი მამაჩემი ვიღაც ორ სომეხ ახალგაზრდას შეუჩერებია, ხელი ჩამოურთმევიათ და მიუმართავთ:

—ჩვენ თქვენი მადლობელი ვართ. თქვენ რომ არა, დღეს ჩვენ ციხეში ვიქნებოდით. ქალიშვილების მეტი რა არის ამ ქვეყნად და არ ღირდა იმად, რომ თავი წაგვეგო და დღეს ჩვენ კაცის მკვლელები ვყოფილიყავით. ასე, რომ დღეს და ყოველთვის ჩვენ თქვენი მადლიერი ვიქნებით...

მამას მალე დაავიწყდა იმ ღამის ეპიზოდი, რამეთუ მას საკუთარი პრობლემები ჰქონდა, თავად გუკასიანებმა კი არ იცოდნენ რა ფორმით და როგორ გამოეხატათ მადლიერება მამისადმი. ყოველ შემთხვევაში, ისინი დარჩნენ მამაჩემის თაყვანისმცემლები მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის და თავიანთი ერთგულება დაამტკიცეს მამაჩემის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში (ამის შესახებ კიდევ აღვნიშნავ).

# რივა და მე

რივა და მე ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან კარგი ამხანაგები ვიყავით. რივა თავის სახლში მცირე ფართობის გამო დიდ სივიწროვეში იმყოფებოდა. ჩვენმა ოჯახმა ის შეიყვარა და შეიკედლა კიდეც. ჩვენი ოჯახური ცხოვრების არამარტო ხშირი მოწმე იყო, არამედ მონაწილეც. ფანისთან ხაშურში მე რივას გარეშე არ ჩავდიოდი. მალე ახალი ბინების მშენებლების სიაშიც შეიყვანეს, მაგრამ სიაში მეტად შორს იმყოფებოდა.

მეც და რივაც, როგორც მოხალისენი, ხშირად დავიარებოდით საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ივანიძის ქუჩაზე). გავშინაურდით, ზეპირად ვიცოდით სად რა ექსპონატი ეკიდა და სად რა მასალა იმყოფებოდა. მუზეუმის დირექტორი არონ კრიხელი თავის მხრივ წასახალისებლად რაიმე დავალებას გვაძლევდა. ეს იყო ძველი გაზეთების სისტემაში მოყვანა ან რაიმე მასალების აღწერა და სხვ. მეგობრულ ურთიერთობაში ვიმყოფებოდით მუზეუმის სხვა დანარჩენ მუშაკებთანაც. ესენი იყვნენ მეცნიერ-თანამშრომლები მოტკე (მორდეხ) მამისთვალოვი, ილია პაპისმედოვი და კიდევ ამ უკანასკნელთა ამხანაგი ჩიკი ნამთალაშვილი. იქ იყო აგრეთვე მუზეუმის დარაჯი შოლომ კობოშვილი, რომელმაც გამოამჟღავნა უნიკალური ნიჭი მხატვრობაში. ფერწერულად შექმნა ქართველ ებრაელთა ისტორიის საფუძველზე მეტად საინტერესო ტილოები. მას მოუწყეს სპეციალური გამოფენა. მისი ტილოები კედლიდან არ იხსნებოდა. გარდა ზემოაღნიშნული – მუზეუმის შტატში შემავალი ადამიანებისა იყვნენ უშტატო მუშაკებიც. მათ შორის გამოირჩეოდნენ დავით შაფთოშვილი, ფანია ბააზოვი, იოსკა ქურჩიშვილი (ექიმი), ეთნოგრაფი გერცელ ჩაჩაშვილი, მორდეხ დანიელოვი, შუკიანი და სხვები. დავით შაფთოშვილი, ფანია ბააზოვი, მორდეხ დანიელოვი მუშაობდნენ ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, ნებაყოფლობით საწყისებზე. ჩვენც, ე.ი. მედა რივაც ვითვლებოდით მოხალისეებად. ერთხელ, იმავე მიზნით, წახალისებისათვის და კიდევ ჩვენი გამოცდისათვის (მე და რივას აღნიშნულ მუზეუმში სიარული ემთხვეოდა ჩვენი სტუდენტობის პერიოდს უტივერსიტეტში), ორივეს მოგვცა თემები დასამუშავებლად.

–აი, ეს თემები თქვენ. დაამუშავეთ, – მოგვმართა პატ-მა არონმა, – შენ, რივა, – „ქართველ ებრაელთა წეს-ჩვეულებანი ბავშვის დაბადებისა და აღზრდის პერიოდში“, ხოლო შენ, პოლინა, – „საქართველოს ებრაელთა კულტურული აღმავლობა საბჭოთა ხელისუფლების დროს“. ვნახოთ, რის მაქნისები ხართ, – დააყოლა ბოლოს პატ-მა არონმა. დიდი ხალისით შევუდექით თემების დამუშავებას. ორივემ თითქმის ერთდროულად დავამთავრეთ. რივამ მომმართა მე:

—იცი რას გირჩევ? სანამ არონს წარუდგენთ ჩვენს დამუშავებულ თემებს, მოდი და მამაშენს წავუკითხოთ. ვნახოთ რას გვეტყვის.

მეც მომეწონა მისი აზრი. მამაც სიამოვნებით დაგვთანხმდა. ერთ მშვენიერ დღეს დავსხედით და მან მეტად გულდასმით მოგვისმინა. ჯერ რივამ წაუკითხა და შემდეგ მე. მოსმენის შემდეგ მამა გაოცებული შემომცქეროდა. მე ჩემს თემაში ქება-დიდებას ვასხამდი საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც ესოდენ გააბედნიერა საქართველოს ებრაელობა. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ რივას მოუწონა ნამუშევარი: „შენი თემა საინტერესოა და კარგადაც გაქვს დამუშავებული, —აღნიშნა მამამ, —თავისუფლად შეგიძლია წარუდგინო არონ კრიხელს.“ ამის შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა: „შენი თემა არაფრად ვარგა. გირჩევ დახიე და გადაყარე.“ სახტად დავრჩი. ვიჯექი ნირწამხდარი. ვიცოდი, რომ მამა მკაცრი მსაჯი იყო და მოუსყიდველი. შემეცოდა ჩემი თავი. შემრცხვა იმის გამო, რომ მაკლდა მიხვედრილობა. ნუთუ განგებამ ასე სულელი გამაჩინა? რაღა მაინცდამაინც მე მომცა არონმა ეს პროვოკაციული თემა? განზრახ თუ ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, რამე-

**სურათზე:**

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სხდომა.

მარცხნიდან: პროფ. ჰულნერი, გერცელ ჩაჩაშვილი, შუკიანი, არონ კრიხელი (მუზეუმის დირექტორი), ფანია ბაზოვი

თუ მაშინ ასე იყო მიღებული, რომ გვექო და გვექო საბჭოთა ხელისუფლება. რატომ მეც უნდა მეხადა ეს ხარკი? გერცელის დაღუპვისა და მამისა და ძმების მძიმე ხვედრის გადატანის შემდეგ? თუ იმიტომ, რომ ქართველ ებრაელებს წაართვეს ეროვნული თვითგამოღვიძების საშუალება? თუ იმას გვამადლიდნენ, რომ ქართველი ებრაელობა საბჭოთა ხელისუფლების დროს დაეუფლა უმაღლეს განათლებას – გახდნენ ექიმები, ვექილები, ინჟინრები და სხვ. ამაზე მე ასე ვუპასუხებდი, რომ საერთოდ დადგა ახალი ერა, ცხოვრება წინ მიიწევდა, ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში არც ქართველი ებრაელობა ჩამორჩებოდა ახალი ცხოვრების ფერხულს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ქართველ ებრაელობას წაართვეს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება. მოძრაობას, რომელსაც სათავეში უდგნენ ბააზოვები და რომლის გამოც ისინი სასტიკად დაისაჯნენ ხელისუფლების მხრიდან, ამ პერიოდში გაგრძელება არ ეწერა. ჩვენი ოჯახის ტრაგედია შავი ზოლივით გადის იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში. ახლა კი მე, ეს უმცროსი შვილი ასე სულელურად ქება-დიდებას ვასხამდი საბჭოთა ხელისუფლებას. ეს იყო სტანდარტული და შაბლონური გადამღერება მრავალჯერ ნათქვამისა. მე კმაყოფილი დავრჩი მამაჩემის ობიექტური მიდგომით საკითხისადმი, წელში გავსწორდი, რივას სიხარულით გავუწოდე ხელი და მივულოცე გამარჯვება.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ამზადებდა გამოსაცემად სამეცნიერო შრომების მეოთხე ტომს, სადაც განზრახული ჰქონდათ შეეტანათ რივას თემაც. მაგრამ შემდეგში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, დადგა, როგორც ივრითულად იტყვიან, „იამიმ ნორაიმ“ – საშინელი დღენი. ეს შეეხო მუზეუმსაც და მეოთხე ტომი აღარ გამოსულა.*) ამის შესახებ ვიტყვი შემდეგ.

არ გაუვლია დიდ დროს მას შემდეგ, რაც რივას მამაჩემმა მოუწონა თემა. ამ ამბის შემდეგ რივამ ჯერ შეანელა და შემდეგ მთლად შეწყვიტა ჩვენს ოჯახში სიარული. არ მესმოდა მიზეზი. ჩვენ არასდროს გვქონია კონფლიქტი. რაში იყო საქმე? ბუნებრივია, მწყინდა. მრცხვენოდა ოჯახის. მე შემოვიყვანე ჩვენს ოჯახში. იგი ჩვენებმა შეიყვარეს, შეიკედლეს, თვლიდნენ კიდევ ერთ შვილად და აი, ახლა აღმოვჩნდი მისგან წილხნაკრავი. გადიოდა დრო და არაფერი იცვლებოდა. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ, ვერ ვიღებდი გარკვეულ პასუხს. დუმილი მხვდებოდა. თითქოს შევურიგდი რივას გაუჩინარების ფაქტს. ძალიან გვიან მისგანვე შევიტყვე მიზეზი.

ვიდრე რივას ჩემგან დაცილების მიზეზს შევიტყობდი, მანამდე რივა გა-

---

* რივას თეძა „ბავშვის აღზრდა საქართველოს ებრაელებში“ ჩამოვიტანე ისრაელში. გადავეცი იცხაკ დაყიდს, რომელმაც გამოაქვეყნა თავის ჟურნალ „კავკასიონში“ (№ 10).

მოჩნდა გერცელის საიუბილეო დღეებში. ისე ძალიან გამიხარდა მისი ნახვა, ვითომც არაფერი მომხდარა, ისე მივიღე და არავითარი კითხვა არ მიმიცია. მესმოდა, რომ სურდა გერცელის საიუბილეო საღამოებზე დასწრება. იგი წამოგვყვა რაჭაში და შემდეგ ქუთაისშიც. თუმცა არაფრით ვაწუხებდი, მაგრამ ემჩნეოდა, რომ მე გამირბოდა, თავს მარიდებდა, სურდა უფრო სხვა დამსწრე ამხანაგებს შორის გარეულიყო. ჩვენ ყველა ერთად დავიარებოდით ონში და ვათვალიერებდით არემარეს. გადავიღეთ ფოტოსურათებიც. დაბლა ვარდგენ ამ სამახსოვრო სურათებს მდინარე რიონის პირას. შევიტყვე, რომ რივას მიუღია ბინაც და სამსახურიც (ბინა ქ. თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ საშუალო სკოლაში ჯაფარიძის ქუჩაზე, ხოლო ბინა მესამე მასივში).

იუბილეს დამთავრების შემდეგ გავიდა დრო და რივამ მე დამიბარა თავის ახლადმიღებულ ბინაზე. ნეტავ ყველაფერი ისე დარჩენილიყო, ე.ი. ჩემგან დაცილებული და განდგომილი ამხანაგი, ოღონდ არ გამეგო, რომ იგი დაავადებული იყო გულის მანკით. ეს ავადმყოფობა თანდათანობით გაურთულდა, სამსახურში ვეღარ დადიოდა. მეგობრები სკოლიდან ხშირად დაიარებოდნენ მასთან. მე მათთან ერთად ყურადღებას არ ვაკლებდი.

ერთხელ, როცა მე და რივა მარტონი დავრჩით მისსავე ბინაში, მან მოინდომა ჩემთან გულახდილი საუბარი და მითხრა შემდეგი:

„შენ არაფერს მეკითხები და მე კი არ მსურს გამყვეს დარდი იმის შესახებ, რომ უმიზეზოდ მოგაყენე წყენა... გაგირბოდი... მამაშენის დაკრძალვასაც ვერ დავესწარი. და რატომ?.. იმიტომ, რომ მე მოულოდნელად გამომიძახეს ორგანოებში და შემომთავაზეს დახმარება – ბინით და სამსახურით უზრუნველყოფა, ამის საფასურად ისინი ჩემგან მოითხოვდნენ, როგორც მათ აღნიშნეს, მხოლოდ „პატარა" სამსახურს, რომელსაც ჩემს სიცოცხლეში ვერ ვიკისრებდი. ეს იყო ის, რომ მე, როგორც თქვენს სახლში მოშინაურებულს, უნდა ყოველდღე მიმეწოდებინა ყველანაირი ინფორმაცია. განსაკუთრებით მამაშენზე და ფანიაზეც... ამაზე მათ ასე ვუპასუხე, რომ ჩემმა ამხანაგმა პოლინამ ისე ძალიან მაწყენინა, რომ ჩვენ ვიჩხუბეთ მაგრად. მე მას აღარ ვეკარები და მათ სახლში აღარ დავიარები. ამიტომ მე თქვენს დავალებას ვერ შევასრულებ-მეთქი. მე მირჩევნოდა შენ მყოლოდი ჩემზე ნაწყენი, ვიდრე მეკისრა ვერაგობა თქვენი ოჯახის წინაშე... აი, ეს იყო მიზეზი ჩემი გაუჩინარებისა თქვენგან..."

ორთავეს თვალზე მოგვადგა ცრემლი.

ჩვენდა სავალალოდ მას სიცოცხლე არ ეწერა. ასე ახალგაზრდა, ლამაზი და ნიჭიერი დაუნდობელმა სიკვდილმა წაგვართვა. ეს იყო უბედურება, ტრავმა არა მარტო მისი ახლობლებისათვის, არამედ არანაკლებ ჩემთვისაც.

●●●

დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ ხაიმმა წამოიყვანა მამა ლიაქიდან.

მაგრამ თბილისში ცხოვრების უფლება მაინც არ მისცეს. მას უფლება დართეს 24 საათის მაგივრად ორ დღესაც გაჩერებულიყო თავის ცოლ-შვილში — ჩვენთან თბილისში. ო, მამას, ოჯახს მოშორებულს ისევ მისგან მოშორებით უნდა ეცხოვრა. ბოლოს ხაიმმა ზესტაფონში აღმოუჩინა სამუშაო. აქაც ღვინის წარმოებას უნდა გაძღოლოდა, მაგრამ ხელახლა არ იყო ჩამოსაყალიბებელი. იგი დანიშნეს უკვე არსებული წარმოების ხელმძღვანელად. ყველამ დიდი პატივით მიიღო და მამაც ზესტაფონში ბევრად უკეთესად გრძნობდა თავს, ვიდრე ლიაქში. ქართველი ხალხი ბუნებით თავაზიანი, ზრდილობიანი, კეთილი და სანდომიანია. მაგრამ აქაც მალე აღმოჩნდა არასასიამოვნო მოვლენები. საქმე იმაში იყო, რომ თანამშრომლებს გაბმული ჰქონდათ სახელმწიფო ქონების მითვისების მთელი ქსელი. პროდუქციის მოპარვა, ღვინოში წყლის გარევა და კერძოდ, განზე გაყიდვა იქ ადრევე დაუკანონებიათ და ჩვეულ საქმედ იყო ქცეული. ახლა დ. ბააზოვის მისვლით მათ ყელი ეჭრებოდათ. ეს იყო წარმოების მუშა თუ ტრესტის უფროსი, სულ ერთია, მათ შორის დაუწერავი კავშირი არსებობდა. ე.წ. „ლევი საქონელი", მხოლოდ იატაკქვეშეთელთა, „ნიჭიერ ქურდთა" მიერ შექმნილი ქსელი. ეს იყო არალეგალური ბიზნესი, დაფარული კაპიტალისტური წარმოება საბჭოთა ეკონომიკისა და წარმოების საფარველ ქვეშ. ახლა, ჩვენი მამა დავით ბააზოვი მათთვის ნამდვილ შემაბრკოლებელ ობიექტს წარმოადგენდა. არ მოელოდნენ ასეთ ხელმძღვანელს. ამ საკითხში მამასთან ვერ ნახეს საერთო ენა. და მათ იწყეს აშკარად თუ მალულად აზრის გამოთქმა: „როგორ შეიძლება ბატონი დავითი მისთვის შეუფერებელ საქმეზე იმყოფებოდეს. ცოდვაა, გატანჯულია, ის ახლა უნდა ისვენებდეს ან იმყოფებოდეს შედარებით უფრო მეტად საკადრის საქმეზეო," — და ა.შ. მამა მიუხვდა, გრძნობდა თუ რა იმალებოდა მათი სიტყვების უკან. ჩავარდა საგონებელში. გამოსავალს ეძებდა. არ აძლევდნენ მას პატიოსნად მუშაობის საშუალებას. ჯერ კიდევ ციმბირში ყოფნის დროს ის ადგილობრივ „სოვხოზს" ემსახურებოდა. ადგილობრივი ხელისუფლება მეტად კმაყოფილი იყო მისი მუშაობით და კიდეც აფასებდნენ. ამ ფაქტორმა დ. ბააზოვს ხელი შეუწყო, რის შედეგადაც ომის დამთავრების შემდეგ ის საქართველოსკენ გამოუშვეს. საქართველოში დაბრუნებული დ. ბააზოვი ისევ ნკვდ-ს ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, რაც ამიერკავკასიის ფარგლებში ისევ თავისუფალ გადასახლებაში ითვლებოდა.

ეპიზოდი, რომელსაც მოგითხრობთ — დავით ბააზოვის ზესტაფონში მოღვაწეობის პერიოდიდან, მამისგან არასდროს მომისმენია. ჩემთვის ეს ცნობილი გახდა, როცა ჩვენმა ერთმა თანამემამულემ (სახელს არ ვასახელებ), უკვე ისრაელში მცხოვრებმა, გამოსცა წიგნი თავის თავგადასავალზე, თუ როგორ მიაღწია თავისი უნარით და ნიჭით მაღალ თანამდებობას — სავაჭრო ხაზით. ნეტარცხონებული, როცა ის ტრესტის უფროსი იყო, მიღების საათ-

ებში საქმესთან დაკავშირებით მასთან მისულა დავიდ ბააზოვი. ეს უკანასკ-ნელი საათობით იჯდა მოსაცდელში და ელოდა უფროსისგან მიღებას. იყო შემთხვევა, როცა დიდი ხნის ლოდინის შემდეგ დავიდ ბააზოვს უცხადებდ-ნენ, რომ უფროსმა მუშაობა დაამთავრა და დღეს ვერ მიგიღებსო... თითქოს აქ არაფერია ისეთი უჩვეულო. ხდება ხოლმე, როცა ხელქვეითი მუშაკი დიდხანს ელოდება თავი უფროსს და თუ ბედი გაუღიმებს, ბოლოს მიიღებს და იქნებ... სულაც რაიმე „მიზეზის" გამო შეწყვეტს მიღებას. მაგრამ ზემოთმოყვანილ სტრიქონებს ავტორი ისეთი აქცენტით აღწერს, რომლის შედეგადაც მკითხველს ეჭვი არ ეპარება, რომ ამის დამწერი თავის ავადმყოფურ ფუჭე თავმოყვარეობას იკმაყოფილებს. მაგრამ დავით ბააზოვმა თავის ცხოვრებაში რას არ გაუძლო. უფროსისგან ასეთ უგულო მოპყრობას — მისივე თემიდან გამოსული კაცისაგან — სულაც არ მიაქცევდა ყურად-ღებას. ფაქტია, რომ ჩვენთვის არასდროს უამბია ამის შესახებ. ჩემთვის ეს ცნობილი გახდა, როგორც აღვნიშნე, ისრაელში, როცა ამ ადამიანმა დასაბეჭდად გამზადებული თავისი ხელნაწერი გამომიწოდა გასაცნობად. ხელნაწერის გაცნობის შემდეგ მომიბრუნდა და მკითხა აზრი მის მიერ დაწერი-ლი მასალის შესახებ. მე ვუპასუხე:

—მე არ მომწონს ამ ნაწერში ზოგიერთი ასპექტი.

მან გაიცინა და შემდეგ დასძინა:

—ალბათ თქვენ იმიტომ არ მოგწონთ, რომ მე ვიყავი თქვენი მამის უფრო-სი და როცა თხოვნით მომმართავდა, ხშირად არ ვიღებდი! —თავმომწონედ მიპასუხა მან.

—და თქვენ ამის აღიარებას არც უნდა კადრულობდეთ, —ვუპასუხე მე.

ამის შემდეგ ეს პიროვნება აღარ შემხვედრია. გავიდა დრო და გავიგე, რომ მან გამოსცა წიგნი თავისი თავგადასავლების შესახებ.

ო, მამა, მამა! გერცელის ტრაგიკულად დაღუპვით განადგურებული, სას-იკვდილო საკანში ყოფნით გატანჯული, შემდეგ ციმბირმოვლილი, თითქოს და მობრუნებული, მაგრამ მაინც სანატრელი იყო თავის ოჯახში. ჯერ ლიაქში და შემდეგ ზესტაფონში ყოფნით ნაკლებად ეძლეოდა საშუალება დაკმაყოფილებულიყო თავისი ოჯახის ხილვით.

თუ მე მედიდურებზე აღვნიშნე, როგორ არ მოვიხსენიო კარგი ადამიან-ებიც.

როცა ციმბირიდან მობრუნებული, ჯანგატეხილი მამა აქეთ-იქით ეძებდა საყუდელს, გამოჩნდნენ გონიერი ადამიანებიც. ცხინვალელ საზოგადოების ერთ-ერთმა გაბაიმ, ნეტარსახსენებელმა არონ ჯინჯიხაშვილმა გაბაების ერთ-ერთ თავყრილობაზე დააყენა საკითხი დავიდ ბააზოვის შესახებ. აღნიშნულ საკრებულოზე მან აღნიშნა:

—ჩვენ, აქ მყოფ ებრაელებს უნდა გვესმოდეს დავით ბააზოვის საქართვე-ლოში მობრუნების მნიშვნელობა. ნუთუ ჩვენ არ გვმართებს მივაქციოთ მას

ყურადღება, რათა შევუმსუბუქოთ ცხოვრების სიძნელეები... — და ა.შ. მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ, გადმოცემით, ასეთი, მსგავსი სიტყვებით მიუმართავს გაბაების გამგეობისათვის. სამაგიეროდ, ცნობილი გახდა ისიც, რომ იქ დამსწრეთა უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი. მათი პასუხები ზუსტად იქნა გადმოცემული:

—ჩვენ არაფერი გვესაქმება დავიდ ბააზოვთან. ის სიონისტია და სიონისტობისათვის დასაჯეს და გადაასახლეს კიდეც. დავით ბააზოვი ჩვენი საქმისათვის არ დაუჭერიათ, ამიტომ ჩვენ სულაც არ გვმართებს მას რაიმე დახმარება აღმოვუჩინოთ. —ამ სიტყვების მთქმელი გაბაების თავკაცი იყო და ძალაში შევიდა მისი ნათქვამი. მე ვახდენ დავიდ ბააზოვის წინააღმდეგ თავისივე თემში გამოლაშქრების ფიქსირებას. მაგრამ მე არ მოვიხსენიებ ამ პიროვნების სახელს — ღ-მა აპატიოს მას. დღეს იგი ცოცხალი არ არის, სამაგიეროდ მისი შთამომავლობა — ოჯახი და ნათესაობა დღეს ყველა ისრაელში იმყოფება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. ნუ ეწყინებათ ზოგიერთებს, მე წინასწარ ბოდიშს ვიხდი, თუ ჩემი სიცოცხლის მანძილზე გამოვიტანე ასეთი დასკვნა. მე ვიტყოდი, რომ ჩვენი თემი მეტწილად ამპარტავანი ადამიანებისაგან შედგება. ამპარტავნობა ჩვენი თემის დამახასიათებელია. ასეთნი ქვეშეცნეურად უწევენ წინააღმდეგობას იმათ, რომლებიც წმინდა მიზნისათვის არ ზოგავენ თავს და ეწირებიან მსხვერპლად ხალხის სასიკეთოდ. ეს არ სურთ აღიარონ. ახასიათებთ ჯიუტი წინააღმდეგობა. მათ სძულთ მათზე მზრუნავი ადამიანი. ერთი ჟურნალისტი აღნიშნავდა შემდეგს: „ხალხს ახასიათებს ესროლოს ქვები იმ ხეს, რომელიც ნაყოფს ისხამსო.“



# იცხაკა

ებრაელების უბანი ხმაურიანი იყო. როცა ჩვენ ვცხოვრობდით ძველ ბინაზე (ლესელიძის ქუჩისა დ იერუსალიმის შესახვევის კუთხეში), ხშირად ადგილი ჰქონდა შეხლა-შემოხლას მეზობლებს შორისაც და თავად შიგ ოჯახებშიც. როგორი ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო ჩხუბი, არასდროს არავინ შეკეტილა სახლში და არ დამალულა. პირიქით, თუ ვინმეს რაიმე გასაჭირი ადგა, მზად იყვნენ გამოხმაურებოდნენ და დახმარებაც აღმოეჩინათ.

ერთ ზაფხულს ჩვენთან ჩამოვიდა შორეული ნათესავი გორიდან. მას საბუღალტრო კურსები უნდა გაევლო. გვიან ბრუნდებოდა სახლში და იქვე წვებოდა.

უკვე დაღამებული იყო. გაისმა ქალის საშინელი წივილ-კივილი. მიჩვეული ვიყავით, როცა ჩვენი მეზობელი სიმანა გვიან ღამით ნასვამი ბრუნდებოდა, იწყებდა ცოლის ცემას. ეს უკვე მას ჩვეულებად გადაქცეოდა. ეტყობა ამჯერად მთლად დაკარგა თავი. გააძლიერა დარტყმები და ლეწდა ჭურჭელს. ცოლმაც უმატა კივილს. სხვა მეზობლის ქალი — ესთერკა დარბოდა შუკაში და გაჰკიოდა:

—ხალხო, უშველეთ! ცოლს კლავს, კლავს!..

მივედი მწოლიარე იცხაკთან. ის უკვე ღრმა ძილში იყო წასული. დავუწყე მოქაჩვა:

—იცხაკ, უშველე, იქ კლავენ.

იცხაკამ თვალები მოიფშვნიტა. როგორ ეტყვის თავის „პატარა ქალბატონს“ უარს?! წამოდგა და გაეშურა ეზოსკენ, შევიდა იმ სახლში, საიდანაც კივილი ისმოდა. გაჭვარტლული ლამფის შუქი ოდნავ ანათებდა. მოულოდნელად მას სახეში ჩასცხეს ძლიერად მუშტი. როგორც ჩანს ცოლზე მოქნეული ხელი მოხვდა მას. დაბარბაცებული იცხაკა გამოვიდა გარეთ, დაბრუნდა ჩვენს სახლში და უსიტყვოდ ჩაწვა თავის ლოგინში. დილამდის არც წამომდგარა.

სამაგიეროდ მე ჩავვარდი განსაცდელში. მე ვიყავ მის მიმართ დამნაშავე. გავისტუმრე მშვიდობის ჩამოსაგდებად და თვითონ დაბრუნდა ნაცემი.

დილით ადრე ადგა. სახის მარცხენა მხარეზე ლურჯ-წითელი ფერის სიმსივნიდან პრიალა შავი თვალი ანათებდა. გავიდა ეზოში და ონკანის წყლით სახეს იგრილებდა. ამ დროს თავს წამოადგა ჩვენი სიმანა, ღამის მთავარი გმირი. ხელი ჩამოართვა იცხაკას და ბოდიშს უხდიდა:

—ძმაო, არ მიცნობ და არც გიცნობ, მაგრამ გირჩევ არასდროს გაეკარო მთვრალ კაცს. არ იცი რას მოიმოქმედებს.

დიდი ხვეწნის შემდეგ ძალით წაიყვანა იცხაკა დუქანში და დაპატიჟა დილის ხაშზე.

# ჩემი მამიდები

მამის მხრიდან ბაბუა მენახემის ფოტოსურათი ოჯახში იყო დაცული, მაგრამ ჟამთა სიავის დროს გამოიკარგა. ჩემს დაბადებამდე, საოჯახო ფოტოსურათში ფანის ხელზე ჩამოკიდებული აქვს ბაბუა მენახემის სურათი. რა თქმა უნდა, რომ ძნელია სურათის ფოტოსურათში გამოხატული სახიერების დადგენა. მაგრამ ერთი კი ნათლად სჩანს, რომ ზის მოსული გარეგნობის თეთრწვერა მოხუცი. თავზე ახურავს ქურქის მაღალი ქუდი. ხელები დალაგებული აქვს მუხლებზე. სჩანს კეთილსახიერების მოხუცი. ეს არის და ეს, რისი ამოცნობაც შეიძლება ბუნდოვან ფოტოსურათში – ე.ი. სურათი სურათის მიხედვით.

მყავდა ერთი ბიძა და სამი მამიდა. შელომო ბიძიას შესახებ მე უკვე მოგახსენეთ. როცა შევეხე ჩემი ივრითის პირველ მასწავლებლებს. რაც შეეხება ჩემს მამიდებს  რიბკას, ესთერსა და ხანას, ორი მათგანი – ესთერი და

ფანი თავისი დედოფალათი და სულზე ჩამოკიდებული ბაბუა მენახემის სურათით.
მარჯვნივ  ბაბუა მენახემის სურათი



მამიდა ხანა
თავისი ძმის დაუდის საფლავთან

რიბკა ძალიან ახალგაზრდა ასაკში დაქვრივდნენ. ესთერ ბინიაშვილის (უფროსი მამიდებში) მეუღლე თავისი შვილმამავლობით ცხოვრობდა ქარელში, ხოლო რიბკა ჯანაშვილი სურამში. რიბკაც და ესთერიც – ორივენი მეტად სათნო, ცისფერთვალება, დინჯნი, გონიერნი და კეთილი ადამიანები იყვნენ. ძალზე ადრე ასაკში დაქვრივებულებს უჭირდათ შვილების შენახვა, დაზრდა და მათი ფეხზე დაყენება. მათ, თავის მხრივ, თავიანთი ქალიშვილები – იმდროინდელი მენტალობის მიხედვით – ადრევე დაათხოვეს, რომ იტყვიან, „პატრონებს ჩააბარეს". ხოლო მათი ვაჟიშვილები – ესთერის ვაჟი მიშა (პაპაშა) და რიბკას ვაჟი მოშე – ჩვენი მამის მზრუნველობის ქვეშ ქ. თბილისში გადმოსახლდნენ, რათა მათ თბილისში გამოენახათ ცხოვრების გზა თავ-თავიანთი უნარის მიხედვით.

რაც შეეხება მამიდა ხანას, იგი რაჭაში იყო გათხოვილი ისრაელ ტატიკიშვილზე და იქ მოაშენა ოჯახი ბიძია ისრაელს ეძახდნენ „ოქროს ხელს", რამეთუ საუცხოო ბინების მშენებელი იყო, თუმცა თავად არასახარბიელო ბინაში ცხოვრობდა. ჩვენმა მამამ თავისი დის ხანას შვილმამავლებიდან შეარჩია ერთი ვაჟი – იოსკა – და ისიც თბილისში ჩამოიყვანა და თავისი მეურვეობის ქვეშ აიყვანა. ჩვენი მამიდაშვილები რიგრიგობით ცხოვრობდნენ ჩვენს ბინაზე. თვითეულ მათგანს უნდა გამოეჩინა თავისი ნიჭი და უნარი, რათა ზიარებოდნენ ქალაქში ცხოვრებას. მაგრამ ჩვენს ოჯახს 1938 წელს თავს დაატყდა ტრაგედია. აღარავინ ვიცოდით სად ვიყავით და რა მოგვეღოდა ჩვენს მამისეულ ოჯახში. მამის პატრონაჟის ქვეშ აყვანილი ჩვენი მამიდაშვილები აღმოჩნდნენ მეთვალყურეობის გარეშე. თვითეულ მათგანს უნდა ევლო თავისი გზით. მალე მათ მოუხდათ მონაწილეობის მიღება სამამულო ომში. მოშე – რიბკას შვილი – დაბრუნდა ინვალიდი (მარჯვენა მაჯის გარეშე). ფილხაზი – მამიდა ხანას ვაჟი, ტყვედ ჩავარდნილი სასწაულით

გადაურჩა სიკვდილს. ომის დამთავრების შემდეგ ცალხელა მოშემ სამსახური დაიწყო ქართველ ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებაში ხაზნად, ხოლო ესთერის ვაჟმა სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო საკვებწარმოების ხაზით. დაცოლშვილდნენ და მოეკიდნენ ქალაქურ ცხოვრებას. უმრავლესობა მათი შვილმამავლებიდან დღეს ისრაელის მოქალაქეები არიან.

მამიდა რიბკა გამოირჩეოდა თავისი საქველმოქმედო საქმიანობით. უყურადღებოდ არ ტოვებდა ქვრივ-ობლებსა და სხვა სახის გაჭირვებულ ადამიანებს. სამწუხაროდ, ჩვენი ისრაელში ამოსვლის წინ ორივე მამიდა – ესთერი და რიბკაც დაგვაკლდნენ. რაც შეეხება რაჭაში მცხოვრებ მამიდა ხანას, უფრო დღეგრძელი აღმოჩნდა. არ შემიძლია დავივიწყო მისი გულუხვი მასპინძლობა გერცელის ხსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში. ონში საგანგებოდ ჩასულ სტუმრებს, ქრისტიანებს თუ ებრაელებს, ძვირფას სუფრას უშლიდა. კარგი რაჭული ღვინო, ოჯახში ნაწური, უწერის წყალი და საუკეთესო ხელნაკეთი კერძებით ყველა ნასიამოვნები რჩებოდა.

როდესაც ისრაელში მოვდიოდით მამიდა ხანა სპეციალურად ჩამოვიდა ონიდან თბილისში ჩვენთან გამოსამშვიდობებლად.

სამწუხაროდ, ადამიანთა მოდგმას ახასიათებს სიკვდილი, როგორც ყოველ ორგანულ ქმნილებას. ჩვენი წამოსვლის შემდეგ მამიდა ხანაც დაგვაკლდა.

ჩვენი ისრაელში ყოფნის პერიოდში ნაადრევად დაგვაკლდა ძია შელომოს თანამეცხედრე ბიცოლა ნინა და მათი ულამაზესი ქალიშვილი მარგო, პროფესიით პროვიზორი.

# ბიძაჩემი შელომო

ბიძაჩემი შელომო, მამაჩემის მომდევნო ძმა, როგორც ჩემი ბავშვობის ადრინდელი პერიოდიდან მახსოვს, ხელმოკლეობას განიცდიდა. თავისი ცოლ-შვილით ცხოვრობდა მეტად უხარისხო ბინაში.

ბუნებით ნიჭიერი იყო. მას რომ განათლება მიეღო, უთუოდ ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებდა ცხოვრებაში. ახლა კი, ხედერდამთავრებულსა და მარტო თორის მცოდნეს, უჭირდა ცოლ-შვილის შენახვა. თუმცა ზოგიერთი სახის ხელოსნობა ეხერხებოდა, მაგრამ იმ პერიოდში ძნელი იყო სადმე ფეხის მოკიდება შესაფერის სამუშაოზე. ერთ დროს თავის უფროს ძმასთან, დავითთან ღვინის წარმოებაში „ახალ გზაშიც" დაიწყო მუშაობა, მაგრამ აქაც ვერ გაჩერდა დიდხანს, რამეთუ წარმოების მუშაკებს შორის ცოტა როდი იყვნენ ღვინის ქურდები. ბიძაჩემ შელომოს არ სურდა მათი დასმენა თავის უფროს ძმასთან, ამის გამო ამჯობინა ღვინის წარმოებიდან წასვლა.

გამჩენმა ბევრი შვილი უბოძა, მაგრამ ცხოვრების მძიმე პირობების გამო ყველა როდი შერჩა ცოცხალი. განსაკუთრებით დიდად სამწუხარო იყო უკვე ბარ-მიცვას მიღწეული არიელის სიკვდილი. საბოლოოდ მას შერჩა ოთხი შვილი — სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. თითოეული მათგანი სილამაზის განსახიერება იყო. რაჭაში დაბადებულებს გამოჰყოლოდათ მთიური ელფერი. თვალ-ტანადნი და ხელმწიფისებური წარმოსადეგობით. უფროსმა ქალიშვილმა თამარიმ იქორწინა მოსკოვში, მარგომ და ლილიმ — თბილისში. ვაჟიშვილი იოსკა და იოსკას ცოლი და სამი ვაჟიშვილი — დავითი, მიხაელი და საშა, სამივე უმაღლესი განათლებით, ცხოვრობენ ისრაელში.

შეუცნობადია განგების ძალა და ნება. მარგო, ულამაზესი, წელ-ტანადი, ქერათმიანი და ცისფერთვალება, პროფესიით პროვიზორი და ქმარ-შვილიანი, თავისი სიცოცხლის გაფურჩქვნის პერიოდში გამოაკლდა ჩვენს ბიძაშვილებს.

ბიძაჩემი შელომო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მეტად საშიში იყო, ბავშვებს ასწავლიდა ებრაულ ენასა და თორას, რა თქმა უნდა, კონსპირაციულ ფორმაში. მაგრამ ხელისუფლებას როდი რჩებოდა ეს შეუმჩნეველი, მით უმეტეს, რომ ისიც ბააზოვი იყო! ყოველთვის მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. მას ხშირად აკავებდნენ, შემდეგ უკანასკნელი გაფრთხილებით ათავისუფლებდნენ. შეუპოვარი იყო ბიძაჩემი. ის მაინც ჩუმად აგრძელებდა ბავშვებთან მუშაობას თორის დაუფლებაში.

მე ებრაული ბეჭდვითი ასოები ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში შემასწავლა ჩემმა ძმამ მეირმა. შემდეგ იგი საცხოვრებლად დამკვიდრდა მოსკოვში. როცა 1938 წელს, ავბედობის დროს, ჩვენს ოჯახში შავი ნისლი ჩამოწვა, ებრაული ენის შესწავლა კი არა, ყოველივე ებრაულის დასამარება დაგვჭირდა.

იმ დროს, როცა მამაჩემი გაციმბირებული იყო და დედაც მასთან იმყოფებოდა, ჩემთან მოდიოდა ბიძაჩემი და ჩვენ ორივენი ებრაულ სულს ვაცოცხლებდით. მე მეხერხებოდა ებრაული ბეჭდვითი შრიფტის მოხაზულობის გადმოხატვა. ბიძაჩემი უკითხავდა ახალდაქორწინებულებს ქეთუბას. ტექსტს თვითონ ადგენდა, ხოლო მე გადამქონდა სქელ, თეთრ სახატავ ქაღალდზე. ტექსტის გარშემო ვურთავდი ებრაულ ორნამენტებს. შემიყვარდა მე ეს საქმე.



ბიძაჩემი შელომო

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბიძაჩემმა პარალელურად მუშაობა დაიწყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამშვებ-კონტროლიორად.

იმ პერიოდში, როცა რაბინებს ეშინოდათ ჩვენთან მოახლოებისა, თითქოს — როგორც ფანიმ აღნიშნა — ვიყავით კეთროვანნი, მაშინ ჩვენს მამისეულ ოჯახში უშიშრად მობრძანდებოდა აწ განსვ. რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილი. პირველ რიგში იგი მეხმარებოდა ივრითის დაწყებითი საფეხურის ათვისებაში. და მისი ასეთი ყურადღება არ შემიძლია დავივიწყო და არ მოვიხსენიო ჩემს მოგონებებში.

# რაბინი კუპჩანი

გამოჩენილი რაბინი კუპჩანი კულტის მსახური იყო თბილისში მცხოვრებ აშქენაზებს შორის. თავის მრევლში დიდი პოპულარობითა და პატივისცემ-ით სარგებლობდა. კარგად მახსოვს მისი ახოვანი გარეგნობა, გრძელი თეთ-რი წვერით და მსხვილი ჯოხით ხელში. მისი ოჯახური მდგომარეობა ძნელი გამოსაცნობი იყო. დიდი სტუმარ-მასპინძლობით არ გამოირჩეოდა. ამბობ-დნენ, რომ მისი ქალ-ვაჟი მამის გზას არ გაყვნენ. ქალი სომხის მეუღლე გახდა, ხოლო ვაჟმა ცოლად შეირთო ეროვნებით რუსი ქალი. მაგრამ არც ერთი არ აღმოჩნდა ქუდბედიანი. ქალიშვილი მალე მამას დაუბრუნდა და აღარც მოშორებია მას სიკვდილამდე. ვაჟიშვილმაც ბედი კიდევ ერთხელ სცადა და შემდეგ მე აღარ მსმენია მის შესახებ რამე.

როცა კუპჩანი ლოცვანს ასრულებდა, სალოცავში ტევა არ იყო. მეტადრე ის პოპულარული იყო ქიფურის დღეს. მის მიერ შესრულებული ქოლ-ნიდრე რაღაც შეუდარებელი მოვლენა იყო. ხმაც ძლიერი და მომაჯადოებელი ჰქონდა. ჩვენს დედა რახელს წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი ადგილი აშქენაზების სალოცავის საქალებო განყოფილებაში. დედას ყოველთვის მივყვებოდით მე ან ფანია. საქალებო განყოფილებას (ლოცვის შენობის მეორე სართულში) დატანებული ჰქონდა წრისებური ფორმის სარკმელები. კედლები საკმაოდ სქელი იყო. ფანჯრების ფართო წინაობა შესაძლებლობას მაძლევდა იქ ჩამოვმჯდარიყავი. მე ყველაზე მოგებული ვიყავი, რამეთუ ხალხით სავსე სალოცავში იგრძნობოდა ჰაერის უკმარობა. მე კი ჰაერიან ადგილზე ვიმყოფებოდი. კუპჩანის ლოცვაც დაბლა ნაწილიდან კარგად ისმოდა. ვინ არ მოდიოდა ამ დღეს სალოცავში. კომუნისტი და გადარჯულებული ებრაე-ლი. ქოლ-ნიდრეს შესრულების დროს სალოცავის ეზო და ჩიხიც ხალხით იყო სავსე. ჩემსობას აშქენაზები სარგებლობდნენ სალოცავით, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ლახლუხებს – ე.ი. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გამოსულ ებრაელებს. იგი მდებარეობს ახლაც, ლესელიძის ქუჩიდან შესახვევ ერთ-ერთ ჩიხში. აშქენაზებს ადრე ჰქონდათ თავისი საკუთარი ორი სალოცავი; ერთი – დღევანდელი პირველი მაისის ქუჩაზე, რომელიც, გადმოცემით, მეფის რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ ევროპელ ებრაელ ჯარისკაც-ებს თავიანთ ხარჯზე აუგიათ.

მეორე სალოცავიც მდებარეობდა შორიახლოს - დღევანდელი ივანიძის ქუჩაძე. საბჭოთა მთავრობამ 30-იან წლებში ორივე სალოცავი აშქენაზებს ჩამოართვა და მიუთითა ლახლუხების ლოცვაზე: ღმერთი ერთი გყავთ და მანდ ილოცეთო. ერთი სალოცავი – პირველი მაისის ქუჩაზე – გადააკეთეს რაიონული კულტურის ცენტრად, რომელსაც მიანიჭეს ლ. ბერიას სახელი, ხოლო მეორე სალოცავი დაუთმეს ებრაელებს – ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მოსაწყობად.

მამაჩვენი დიდად აფასებდა კუპჩანს, როგორც რაბინს, თორის მცოდნესა და მლოცველს, მაგრამ იმავე დროს აღნიშნავდა, რომ რაბი კუპჩანი სიონიზმის იდეალებისაგან მეტად შორს არისო. ერთხელ მეც შევესწარი მათ კამათს. ეს იყო ჩვენს ბინაზე. მაშინ მამა დაბრუნებული იყო ციმბირის გადასახლებიდან. ვცხოვრობდით ბინაგამოცვლილ სახლში – პურის მოედანზე. კუპჩანი მოსულიყო მამაჩემის სანახავად. ეს იყო დღისით. მზიანი დღე იყო. ვხედავდი, რომ ისინი დიდხანს და ცხარედ კამათობდნენ ძველ ებრაულ ენაზე. გარეშე თვალი კარგად შეამჩნევდა კუპჩანის აგრესიულ განწყობილებას. სახეგაწითლებულს თვალებიც კი სისხლისფრად ჰქონდა გადაქცეული. ლაპარაკის დროს თავის მსხვილ და მასიურ ჯოხს წინ იწვდიდა მეტი დამაჯერებლობისათვის. მამა მექანიკურად უკან იხევდა, რომ უნებლიედ კომბალი არ მოხვედროდა. ისინი ფეხზე იდგნენ და ისე კამათობდნენ. რაბინი კუპჩანი მამას უმტკიცებდა, რომ ებრაელების ადგილი არის იქ, სადაც ისინი ბინადრობენ და, რომ იქვე უნდა დაელოდნენ მაშიახის მოსვლას და, რომ მამაჩემი დავითი შემცდარია თავისი პოლიტიკური სიონიზმისათვის ბრძოლის საკითხში. კუპჩანის წასვლის შემდეგ მამამ აღნიშნა:

–შეუძლებელია მასთან საუბარი. თვითონ შენ არ გისმენს და მხოლოდ თავისას ამბობს.

დროთა ვითარებაში ისტორიის მსვლელობამ დაგვანახა, რომ ჩვენი პატივცემული სულიერი მამები, კუპჩანიც და მისი თანამოაზრე საქართველოს რაბებიც, რომელთაც საქართველოში ხახმებს ეძახდნენ, როგორ ცდებოდნენ. ისინი ებრძოდნენ სიონიზმს და დავიდ ბაზოვს, რამეთუ, როგორც ყველა აგუდათ ისრაელის მიმდევარნი, სჯეროდათ, მაშიახის მოსვლამდე არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადაედგათ ისრაელის სახელმწიფოს აღსადგენად. ვაი, რომ დღეს სიონიზმისათვის მებრძოლი და ვაგლახგამოვლილი დავიდ ბაზოვი განისვენებს დიასპორის ცივ მიწაში, ხოლო მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი პატივცემული სულიერი მამების უმრავლესობა, ან მათი შთამომავლობა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ ეღირსნენ ისრაელში ამოსვლას.

რაც შეეხება რაბინ კუპჩანს, მსურს დავასრულო მის შესახებ ამბავი. როდი უშველა ამ მაშიახის მომლოდინე რაბინს მისმა ლოიალურმა მსოფლმხედველობამ. 1952 წელს, როდესაც კრემლში მორიგი პროვოკაცია შეთხზეს

ებრაელ ექიმთა წინააღმდეგ, მასაც მისწვდა ბნელეთის მოციქულთა ხელი. დამღუპველმა ძლიერმა ტალღებმა თბილისამდისაც მოაღწია. იმ პერიოდში მამა ცოცხალი აღარ გვყავდა, მაგრამ ჩამოწოლილიყო წყვდიადი და აღარ ინდობდნენ არავის. ამჯერად მისწვდნენ ჩვენს მშვიდობიან და თორის მცოდნე მამებს — ვინც გამოირჩეოდა და ავტორიტეტული იყო. ერთ-ერთი ასეთი მსხვერპლი გახდა ჩვენი რაბინი კუპჩანიც. წაიყვანეს, ურტყეს, სცემეს, დააგლიჯეს წვერი და როცა მას იქ, მათთან თავში სისხლის ჩაქცევით მოელოდა ბოლო, გამოუშვეს თავის სახლში, სადაც, დიდ ხანს აღარ გაუვლია და, გარდაიცვალა.

საქართველოს ებრაელთა სასულიერო მოძღვარი

## რაბი ყიმანუელ დავითაშვილი

რაბი ყიმანუელ დავითაშვილი 1937 წელს ახალციხიდან გადმოვიდა თბილისში. ჯერ კიდევ ახალგაზრდას, ახალციხეში ყოფნის დროს, თავისი ნიჭით და უნარით ახალციხელ ებრაელთა სამრევლოში მოუპოვებია აღიარება. თბილისში გადმოსვლის შემდეგ ებრაელთა საზოგადოების გამგეობამ იგი მთავარ რაბინად დანიშნა (1940-50 წ.წ.).

1942-44 წლებში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, ომის დამთავრების შემდეგ კვლავ უბრუნდება თბილისის ებრაულ ჯამაათს, მაგრამ 1953 წელს, 15 იანვარს დაპატიმრებული იქნა უშიშროების ორგანოების მიერ, ისეთივე ბრალდებით, როგორსაც იყენებდნენ იმ პერიოდში ჩვენი სულიერი მამების მიმართ. მის მიმართაც გამოყენებული იყო გამოძიების სასტიკი მეთოდები, მაგრამ რაბი ყიმანუელ დავითაშვილი მტკიცედ იდგა თავისი სარწმუნოების პრინციპებზე და ხელს არ აწერდა მის მიმართ შეთითხნილ პროვოკაციულ ბრალდებებს. საკუთარი ჯანმრთელობის ფასით, სულიერი სიწმინდით მან შეინარჩუნა თავისი მეობა.

1954 წელს რეაბილიტირებული და განთავისუფლებული იქნა. იგი კვლავ უბრუნდება თავის სამსახურს ებრაულ ჯამაათში.

აი, რას გვიყვება მისი დარაშების დამსწრე, იცხაკ დავიდი:

„შაბათობით, შუადღისას ტევა არ იყო თბილისის დიდ ლოცვაში. რაბი იმანუელ დავითაშვილი დარაშობდა. ჯერ ნელ-ნელა იწყებდა დინჯი, თანაბარი ხმით. მიჰყვებოდა მოცემული კვირის საკითხავს (ფარაშათ ჰაშავუა), მერე თანდართულ საწინასწარმეტყველო თავზე გადავიდოდა (ჰაფტარა), და სწორედ მაშინ იწყებოდა საოცარი გარდასახვა ადამიანისა. არა, თებაზე უბრალო მომაკვდავი როდი იდგა, იქ იდგა უჩვეულო ღვთაებრივი

სხვით ვაცისკროვნებული ახალი წინასწარმეტყველი, რომელმაც ყველაფერი იცოდა, წარსულისაც, აწმყოსაც და მომავლისაც, რომლისთვისაც არაფერი არ იყო ასალი მზიურ ცისქვეშეთში, რომლისთვისაც ყოველივე იყო უკვე მოცემული ღვთაებრივ სიტყვაში, ისრაელის ბედში, ერეც-ისრაელის სიწმინდეში."

იცხაკ დავიდი - „ქართულ-ებრაული აზროვნების სათავეებთან"

(იცხაკ ათანელოვის წიგნიდან „ებრაული სული", გვ. 33)

◆

1972 წელს, სექტემბერში, თავისი ცოლ-შვილით ამოვიდა ისრაელში. დასახლდა კირიათ ათაში. იქაც მთელი მონდომებითა და ენერგიით ეწევა სასულიერო მოღვაწეობას ქართველ ებრაელთა თემში.

მხცოვანი რაბი ყიმანუელ დავითაშვილი გარდაიცვალა 1982 წელს. მისი ხსოვნისა და მოღვაწეობის აღსანიშნავად კირიათ-ათის სალოცავს მიენიჭა მისი სახელი.

# თბილისის ებრაელობა და აკივა ბარ-მოშე

საქართველოში უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებული ებრაელობა. ეს ისტორიული ფაქტი უმთავრესად თავად ქართველი ხალხის რჯულთშემწყნარებლობით აიხსნება.

უდავოდ, ქართველი ხალხის ჰუმანურობის შესახებ ცნობილი იქნებოდა იმდროინდელ მახლობელ სამყაროში და სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ არაერთი ლტოლვილი თუ ხიზანი სწორედ საქართველოს მიწა-წყალს და, კერძოდ, თბილისს აფარებდა თავს.

რა აიძულებდათ მაჰმადიანურ ქვეყნებში საუკუნეობით მცხოვრებ ებრაელობას აყრილიყვნენ და საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ? ამის მიზეზად მათი დევნა-აწიოკება ჩაითვლება. იყო პერიოდებიც, როცა მათ მშვიდობიანი ცხოვრების პირობებიც ჰქონდათ. ცვალებადი მდგომარეობა დამოკიდებული იყო ქვეყნის მფლობელზე. თუ შაჰი ან სულთანი წყალობის თვალით გადახედავდა თავის ქვეშევრდომ ებრაელებს, მაშინ ეს უკანასკნელნი მშვიდად განაგრძობდნენ ცხოვრებას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფ-

ალი ებრაელი ერის მოძულე აღმოჩნდებოდა, მაშინ უმეცარ მასაში სწრაფად ღვივდებოდა ანტისემიტიზმი, რაც ხშირად დარბევებში გადაიზრდებოდა ხოლმე. შაჰ აბასმა მეჩვიდმეტე საუკუნეში დაპყრობილი კახეთიდან ასიათასი ქართველი მოსახლეობა აჰყარა და გადაასახლა სპარსეთის რაიონებში: ხორასანსა, ფერეიდანსა და მაზანდარანში და დაცარიელებულ კახეთში ჩაასახლა უცხოტომეულნი, უმთავრესად მაჰმადიანნი. რა თქმა უნდა, რომ ასეთი პროცესების დროს ებრაელობა მიტმასნებულ ელემენტს წარმოადგენდა. საქართველოში ებრაელების ძალით თუ ნებით მიგრაციასა და ემიგრაციას ჰქონდა ადგილი.

ჩვენმა ნებისმიერმა თანამედროვემ იცის, რომ თბილისში მრავლად ცხოვრობდა სპარსეთისა თუ თურქეთის ქვეშევრდომობაში ნამყოფი ებრაელობა. მათ ვიცნობდით „ლახლუხების" სახელწოდებით. სპარსეთისა და თურქეთის ებრაელობას ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, ამიტომაც ისინი ხშირად ურთიერთმეზობლურ დასახლებაში ცხოვრობდნენ.

ლახლუხები უმთავრესად თბილისის ძველ უბნებში იყვნენ დამკვიდრებულნი. მათშიც საგრძნობი იყო ქონებრივი დიფერენციაცია. შეძლებულნი, გასაბჭოებამდე, ისეთ საქმიანობას ეწეოდნენ, რომლის გამოც მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ სპარსეთისა და თურქეთის ქალაქებთან, არსებითად, თავრიზთან და სტამბოლთან. მათ სავაჭრო საგნებს წარმოადგნდნენ ოქრო, ქსოვილები, წაღები, ქალის მოსასხამი — ე. წ. „ქალაღაიები", აღმოსავლური ნუგბარები და სხვ. გასაბჭოების შემდეგ ოფიციალურად შეწყდა კერძო საქმოსანთა კავშირი უცხოეთთან, ფარულად კი, ვინც ახერხებდა, აგრძელებდა. მოგვიანებით ბევრმა ლახლუხა ებრაელმა შესძლო ჩამოეყალიბებინა ადგილობრივი წარმოება.

ლახლუხთა ფართო ფენა უმთავრესად გაჭირვებული იყო. ცხოვრობდა თითქმის ნახევარსარდაფულ სადგომებში. მათ არ შესწევდათ ძალა, რათა თავისი შვილებისათვის განათლება მიეცათ. იშვიათად ნახავდით მათ შორის მათხოვარს. არ თაკილობდნენ ნებისმიერ ფიზიკურ სამუშაოზე გასვლას.

სპარსეთისა და თურქეთის ებრაელობა ხასიათდებოდა თავის ქალის მრგვალი ფორმით, სახის ნაკვთების სწორი მოყვანილობით, შავგვრემანობით. მათგან გამიგონია, რომ მათი სალაპარაკო ენა ემსგავსება უმთავრესად არამეულ ენას. ტექნიკის განვითარებამ სწრაფად წასწია აღმოსავლეთის ებრაელობის ღარიბი ფენაც. მკვეთრად გაუმჯობესდა მათი ეკონომიკური ცხოვრება.

ლახლუხთა დიდი პროცენტი დღეს ისრაელის მოქალაქეა, შეძლებულად ცხოვრობს და ეწევა ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას.

1920–30-იან წლებში თბილისის ლახლუხებს შორის გამოირჩეოდა თვალსაჩინო თავკაცი აკივა მოშე-ოღლი (ბარ-მოშე). თანამედროვეთა გადმოცემით მას ბევრი ქველმოქმედება გაუწევია თავისი თემისათვის. ეკონომიკურად შეძლებულ აკივას დიდი სავაჭრო კავშირი ჰქონია სტამბოლთან.

თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, სამხედრო უწყების მოპირდაპირე მხარეს ერთ-ერთი ჩიხის ბოლოში აღმართულია დიდი, მაღალთაღიანი, აღმოსავლური ყაიდის ნაგებობა. აღნიშნული ნაგებობა აღმოსავლეთიდან გამოსულ ებრაელთა კონგრეგაციის საკუთრებას წარმოადგენდა და ეს იყო ლახლუხების სინაგოგა. მტკიცება მე არ გამაჩნია, მაგრამ ვარაუდით ვფიქრობ, რომ ზემოთ აღნიშნული სინაგოგა მეტად ხანდაზმული უნდა იყოს. და რაც საყურადღებოა, ლახლუხთა სინაგოგა ერეკლე მეორის ყოფილი რეზიდენციის მახლობელ ტერიტორიაზეა აგებული – სიონის ტაძრისა და ყოფილი სომხის ბაზრის (დღეს ლესელიძის ქუჩა) შუა. ყოვლად შეუძლებელია, რომ სომხურ დასახლებაში, ჩიხის ბოლოს, შეჭრილიყო ებრაელობა და იქ თავისი სინაგოგა აეგო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს სინაგოგა უფრო ძველია, ვიდრე აღნიშნული სომხური დასახლებანი მის გარშემო.

ზემოხსენებული სალოცავის გარდა ლახლუხებს თავის საკუთრებაში ჰქონიათ კიდევ ერთი სინაგოგა. იგი მდებარეობდა 26 კომისრის რაიონში, შაუმიანის მოედნის მახლობლად. 50-იან წლებში იგი ხელისუფლებამ საცხოვრებელ სახლად გადააკეთა.

20-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ახლო აღმოსავლეთის ებრაე-



ლახლუხების სინაგოგა თბილისში

ესკიზი (მეხსიერებით) პოლინა ბააზოვისა

ლობის კონგრეგაციას სათავეში ჩაუდგა აკივა მოშე ოღლი, ორივე სალოცავი გაფორმებული იქნა მის სახელზე და მასზე დაკისრებულ მოვალეობას ის ეწეოდა კეთილსინდისიერად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდამდე.

1930-იან წლებში თბილისის აშქენაზების ებრაელობას ხელისუფლებამ ჩამოართვა მათი კუთვნილი ორი სალოცავი. აშქენაზების მთავარმა რაბინმა კუფჩინმა სთხოვა აკივას, რათა მათ ნება დაერთოთ სინაგოგის გარეშე დარჩენილ ებრაელობას ელოცათ მათ სინაგოგაში. აკივამ თავისი მრევლის ნებართვით დადებითად უპასუხა აშქენაზების რაბინს კუფჩანს და მას შემდეგ ლახლუხთა სინაგოგაში ურთიერთგვერდით ორი სხვადასხვა კონგრეგაციის ებრაელობა – აშქენაზებისა და ლახლუხებისა – ლოცულობენ ერთ ღმერთზე. იქვე ჰქონდათ მაცის საცხობიც.

1941 წელს, მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა აკივას ორი ვაჟიშვილი – მოშე და მიხაელი. ამის შემდეგ აკივას დაემართა დამბლა, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა.

50-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოხდა სპარსეთისა და თურქეთის ყოფილ ქვეშევრდომთა მასობრივი გადასახლება. გადასახლებულთა შორის მოჰყვა აკივას ქვრივი, რახელი თავისი ორი ქალიშვილით: სარა და მირიამი. გადასახლებაში, ტომსკის ოლქში, დაჰყვეს 5 წელი. ამის შემდეგ აკივას განაწამები ოჯახი გადასახლებიდან თბილისში დაბრუნდა. უფროსი ქალიშვილი სარა მუშაობდა თბილისის ცენტრალურ აფთიაქში პროვიზორად. ხოლო მირიამმა დაამთავრა სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი და მიიღო თეატრმცოდნის წოდება.

70-იან წლებში ისინი ამოვიდნენ ისრაელში. მირიამ ბათ-მოშემ 25 წელი იმუშავა ისრაელის რადიოსადგურში ქართული გადაცემების განყოფილების დიქტორად.

# ახალციხელ ებრაელთა სალოცავი თბილისში

ცხინვალელ ებრაელთა სალოცავი, რომლის პირველ სართულზე, როგორც აღვნიშნე, ჩვენ და შამაში მოშეს ოჯახი ვცხოვრობდით, 50-იან წლებში საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა და საცხოვრებელ ბინებად გამოიყენა. ამ დროისათვის ჩვენმა ოჯახმა და მეზობლებმაც ბინები გამოვიცვალეთ, გადავედით სხვა ბინებში საცხოვრებლად.

ცხინვალელთა სალოცავის შორიახლოს იმყოფებოდა ახალციხელ ებრაელთა სალოცავი.

ახალციხელთა სალოცავი დღესაც მეტად მოქმედი და აქტუალურია.

მისი წინა და მთავარი ფასადი ერთ-ერთ მაგისტრალური – ლესელიძის ქუჩისკენ (№ 47) იყურება. სალოცავის უკანა ფასადი გადის ძველი თბილისის ქუჩაზე, რომელსაც ჩვენი იქ ყოფნის დროს ერქვა თუმანიანის ქუჩა. აღნიშნული უბნის უძველეს მკვიდრ მოსახლეობას მეტ წილად სომხები და საქართველოს ებრაელები წარმოადგენდნენ. მათ შორის გარეულნი იყვნენ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გამოსული ებრაელები (ლახლუხები) და აშქენაზები.

აღმოსავლური ყაიდით ნაშენი და ფერადი მინებით გაწყობილი სალოცავის ნაგებობა ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას. განსაკუთრებით ხშირ სტუმრებს წარმოადგენდნენ უცხოეთიდან ჩამოსულები. ვერც თავად თბილისის არაებრაელი მოქალაქე გაივლის გულგრილად. ის უთუოდ შეჩერდება და მიაპყრობს ყურადღებას.

ბათ-იამის მცხოვრებმა (ნეტარხსენებულმა) იაშა იოსებაშვილმა მამისაგან (მისი მამა ეკუთვნოდა ქოენის შთამომავლობას) მოისმინა და მომიყვა შემდეგი:

„როდესაც აღნიშნული სალოცავის მშენებლობა წამოუწყიათ, ახალციხელ ებრაელთა წარმომადგენლობის ერთი ჯგუფი გაემართა საბურთალოში, სადაც აგურის ქარხანა იყო. ქარხნის მეპატრონე აღმოჩნდა აშქენაზი, გვარად რაბინოვიჩი. როცა გაიგო, თუ რისთვის შეუკვეთეს ესოდენ დიდი რაოდენობის აგური, მთელი საამშენებლო მასალა მარტო აგურის თვითღირებულებით მიუცია.“

ახალციხელ ებრაელ თავკაცთა შორის, რომელნიც განსაკუთრებული ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ, იყვნენ დავიდ ბახანოვი, აბრამ გუჯიაშვილი,

ახალციხელთა სალოცავის შესახვევი

აბაჯანოვი, რუბენ ჩაჩანაშვილი და სხვ. ვინმე გორელაშვილს ლატარიაში მოუგია 100000 მანეთი ოქროთი და აქედან 10% სალოცავის მშენებლობისათვის შეუწირავს. გადმოცემით, სალოცავის საძირკველში დაუდვიათ ოქრო. ამ სინაგოგის კედლის სისქე 1 მეტრს უდრის. იქვე გაუხსნიათ თალმუდ-თორაც. მლოცველებიდან გამოირჩეოდნენ ხახამ იოსებ ნამთალოვი და ხახამ იაკობ ნამთალოვი.

◆◆◆

ახალციხელ ებრაელთა სალოცავის მშენებლობის შესახებ ისრაელის მოქალაქე აბრამ კეზერის ძე შალოლაშვილი თავის წერილში გადმოგვცემს შემდეგს:

თბილისში სალოცავის მშენებლობა დაუწყიათ 1903 წელს. მის საძირკველში ბევრი ოქრო ჩაუყრიათ. სალოცავის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ჩაჩანაშვილი რეუბენი. იგი, საერთოდ, საზოგადოებას ყოველთვის და ყოველ ჭირ-ვარამში სათავეში ედგა. მას პირადად საკუთარი ოქრო — ნიკოლოზის 10 მანეთიანი — 1600 ცალი გამოუტანია სახლიდან და დაუწყიათ მშენებლობა. როდესაც ნათესავებმა ჰკითხეს: რას შვრები, რას აკეთებ ამასო? —მას უპასუხნია: „მე შვილი არ მყავს და ჩემი ჯამაათი მომიგონებსო.“

მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის განსაკუთრებით ბაქოდან ჩამოსულ გორელიანთ შალომას, რომელიც ყოველ ჩამოსვლისას გორიდან დიდ საწირველს სწირავდა ლოცვის აშენებაში. თბილისიდან ასახელებს შათარაანთ იყობას, ხახამ იყობას და კიდევ სხვებს. ლოცვის მშენებლობა ჭიანურდებოდა ფულის უქონლობის გამო. სამი წელიწადი გაჩერებული იყო მშენებლობა. ბოლოს 1909 წელს დამთავრდა. მშენებლობის შემდეგაც რეუბენ ჩაჩანაშვილი ხელმძღვანელობდა ლოცვასა და ჯამაათს. მისი გადმოცემით, სხვა კუთხის ებრაელთა საზოგადოებებს კაპიკი არ გაუღიათ, სულ საკუთარი სახსრებით ააშენეს სალოცავი.

რეუბენ ჩაჩანაშვილი დაიბადა 1879 წელს, გარდაიცვალა 1967 წელს.

ბ-ნი რეუბენი იყო ბიძაჩემი — დედაჩემის მამის ძმა.“

ახალციხის ებრაელთა ეს სალოცავი დღესაც მოქმედია.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი ერის სხვადასხვა თემს ჩამოართვა და გააუქმა მათი სალოცავები — აშქენაზებს, ლახლუხებსა და თავად ცხინვალელ ებრაელებსაც, — ახალციხელთა ამ სალოცავს ხელი არ ახლო. თუმცა 1952 წელს, ე.წ. „ექიმთა საქმის“ პერიოდში ხელისუფალთა ორგანოებმა სცადეს დაეხურათ ბევრი სალოცავი საქართველოში და მათ შორის იყო ახალციხელთა სინაგოგა. ის იყო შეუდგნენ კიდეც ნგრევას, მაგრამ ვერ მოასწრეს. სტალინი მოკვდა და შეჩერებული იქნა ეს ბარბაროსული აქტი.

აღვნიშნავ კიდევ ერთ ფაქტს ჩემი ადრეული ბავშვობის პერიოდიდან. ცხინვალელთა და ახალციხელ ებრაელთა სალოცავებს შორის არსებობდა მცირე მანძილი, დაახლოებით კიდევ ერთი ნაგებობის საყოფი ტერიტორია. და სწორედ ამ ადგილას ხელისუფლებამ ძალიან სწრაფად წამოაშენა მაღალჭერიანი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ეს, ახალი აგურისაგან ნაშენი ნაგებობა დიდ კონტრასტს წარმოადგენდა ებრაელთა უბანში. ის ყველა იქ მყოფ შენობაზე უფრო მაღალი იყო და გადმოყურებდა მასზე დაბალ ებრაელთა სახლებს. ახალი სახლი მეტად კეთილმოწყობილი იყო და იმავე დროს ჩაკეტილი სადარბაზოთი. ებრაელთა სახლები კი მთელი დღის განმავლობაში თითქმის კარღია იყვნენ. აღნიშნული სახლის ბინადარნი თით-

ქმის უკლებლივ ნკვდ-ს მუშაკები იყვნენ. მეორე და მესამე სართულებზე ცხოვრობდნენ რუს-ქართველთა ნარევი ოჯახები, ხოლო პირველ სართულზე, სამწუხაროდ, მათ კატეგორიაში შემავალი ასიმილირებული აშქენაზები. აღნიშნული ბინის მკვიდრნი ნაკლებად იყვნენ მათ გარშემო მცხოვრებ ებრაელობასთან მეზობლურ ურთიერთობაში. ერთადერთი, რაც ამ სახლის ბინადართ აკავშირებდა ჩვენს ეზოსთან ის იყო, რომ ღამე გვიან შემოდიოდნენ ჩვენს ეზოში და თავის ნაგავს ჩვენს სანაგვეში ყრიდნენ. ერიდებოდნენ ყველას. არც მათ სადარბაზოში შედიოდა ადამიანიშვილი. ასეთი კარჩაკეტილობით ებრაელთა უბანში დისონანსი შეჰქონდათ. თავის მხრივ ებრაელობაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ და ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, თავისი ადათ-ჩვეულებითა და ებრაული წესებით.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემთვის დღემდე გაურკვეველი რჩება ერთი ფაქტი. შემთხვევით იყო გამოწვეული თუ საგანგებოდ მოწყობილი — მთელი მეზობლებიდან, რომლებსაც ამ „კოშკის" ბინადარნი არც იკარებდნენ და არც ეკარებოდნენ, მარტო მე მომენიჭა იქ შესვლის უფლება. კონკრეტულად, მესამე სართულზე მცხოვრები გერასიმენკოს — ნკვდ-ს თანამშრომლის ოჯახში (და ამის შესახებ უკვე გიამბეთ).

# ზოგი რამ რაბინ დავიდ ბააზოვის სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდიდან

ჯერ კიდევ ქ. თბილისის იერუსალიმის შესახვევში ცხოვრების ბოლო წელს, როცა მამა ლიაქიდან ჩამოდიოდა, მას მოუხდა მეტად არასასიამოვნო შეხვედრა თავისივე საზოგადოების გარკვეულ თავკაცებთან.

მე არ ვიცი კონკრეტულად რით და რა ფორმით — მას მიაყენეს წყენა თუ შეურაცხყოფა. მამას ამის შესახებ ჩვენთვის არ უთქვამს. შეიძლება გაანდო თავის მეცხედრეს — ჩვენს დედა რახელს. ერთს კი ვხედავდით, რომ მამამ შეწყვიტა სალოცავში სიარული. იგი თავის სახლში იდებდა თეფილინს, დადგებოდა კუთხეში სახით დასავლეთისაკენ მიბრუნებული და ყოველ ლოცვას — შახრითსა, ყარბითს თუ საშაბათოს თავის სახლში აღასრულებდა ხოლმე თითქმის მთელი წლის განმავლობაში სიკვდილამდე. ერთხელ კი მოვისმინე, როცა ფანის უხსნიდა თავისი ჯამაათისაგან განდგომილობის შესახებ: „მთავარია ახსენო ღმერთი და ილოცო მასზე! ეს იქნება მეორე სართულზე, სადაც სალოცავია მოთავსებული, თუ მის დაბლა, პირველ სართულზე. განა მე იგივეს არ ვუსრულებდი გამჩენს, როცა სიკვდილმისჯილის საკანში ვიმყოფებოდი?!"

ოჯახში ყველას გული გვტკიოდა მამის გამო, რომელსაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი გულქვად მოეპყრო.

მე არ შემეძლო ეს ფაქტორი არ აღმენიშნა, რამეთუ ყველას გვატკინა გული. მათგან ტყვიასავით გამოსროლილი უსამართლო სიტყვები ჩვენი გატანჯული მამისადმი მახინჯი მოვლენა იყო და ეს იმ თემში, რომელსაც მამამ უძღვნა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და რომლის გამოც მას ეწილადა მწარე ხვედრი. და ეს ყველაფერი ვერ დადიოდა თუ ვერ აღწევდა ზოგიერთი ადამიანის გონებამდე. მწარე იყო ეს ფაქტი.

## 1947 წელი. ზაფხული-შემოდგომა

ჩვენი მამა ისევ სანატრელი იყო თავის ოჯახში. როცა ის სახლში იყო, იარმოლკით თავზე უჯდა მაგიდას და კითხულობდა თავის საყვარელ ივრითულ წიგნებს — რამბამს, ფილოსოფიურ ნაწარმოებებს და ახალ-ახალ რუსულ-ქართულენოვან გაზეთებს. ჩუმად მივჩერებოდი, არ მინდოდა და-

მერღვია მისი მყუდროება. ხანდისხან რაღაც იდუმალი შიში მიპყრობდა. ვშიშობდი კიდევ არ დამეკარგა იგი. მიყვარდა მისი თბილი და ლამაზი ხელები. მეტად სათუთად უვლიდა ფრჩხილებს. ჰალახის წესდების მიხედვით მოჭრილ ფრჩხილებს ცეცხლში სწვავდა. წვერ-ულვაში მბზინავი თოვლივით დადებოდა სახე-პირზე. მის ლამაზ, თეთრ და სწორად ჩაწყობილ საღ კბილებს არასდროს დასჭირვებიათ კბილის ექიმის ხელი. არც ერთი არ აკლდა და არც დაპლომბირებული ჰქონდა რომელიმე. მისი მუყაოსფერი თვალები ერთთავად სიყვარულითა და სითბოთი აშუქებდნენ. მის ყურებას და მოსმენას არაფერი სჯობდა. ჩემთვის სულ ერთი იყო რას ამბობდა, ოღონდ ეთქვა რამე, ელაპარაკნა, მომესმინა, მეგრძნო, რომ ის სახლში იყო.

ხანდისხან უნებურად მაგონდებოდა შორეული ბავშვობის პერიოდი, როცა მამა მე პატარას კისერზე შემომსვავდა და ოთახში მაგიდის გარშემო სიმღერით შემომატარებდა. მამა-დავითი თავად ხასიდი არ იყო, მაგრამ ძალიან უყვარდა მათი „ნიგუნები"-სიმღერები. ხასიდური სიმღერებით, ოდნავ ხტუნვით, დაივლიდა ოთახში, მაგიდის ირგვლივ და ბოლოს შეჩერდებოდა, თითქოს „მატარებელი შეჩერდაო". თავის სვლას აბოლავებდა სიტყვებით: „ლეშანა ტობა, ლეშანა ჰაბა ბირუშალაიმ."

ჩვენი სახლი ხშირად სავსე იყო მამასთან მომსვლელებით. მათაც სურდათ მამასთან საუბრით მიეღოთ სიამოვნება. იმ ზაფხულს მაინც განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო. რატომ, არ ვიცი. სხვებიც აღნიშნავდნენ: „ბატონ დავითს შევხვდით ქუჩაში. ის შესანიშნავად გამოიყურებოდაო." ვინ იცოდა, რომ ეს იყო მის ცხოვრებაში უკანასკნელი ზაფხული. იმ პერიოდში იქმნებოდა ფილმი ქართველი გამოჩენილი პოეტის აკაკი წერეთლის შესახებ. მისი როლი უნდა შეესრულებინა ოპერის გამოჩენილ მომღერალს მიშა ყვარელაშვილს. ეს უკანასკნელი, როგორც კი დ. ბააზოვს შეხვდებოდა, სულ უკან დასდევდა და აკვირდებოდა — ქართველები ხომ დ. ბააზოვს გარეგნობით ძალიან ამგვანებდნენ ნეტარცხონებულ აკაკი წერეთელს. ზესტაფონში ყოფნის დროსაც მკვიდრნი გარეთ გამოდიოდნენ, რათა დ. ბააზოვისათვის შეეხედათ. ძველი ზესტაფონელები ისე ძალიან ამგვანებდნენ აკაკის, რომ ერთთავად გაიძახოდნენ: „აკაკი გამოგვეცხადაო." *)

---

* 1912 წელს, აკაკი რომ ონს ესტუმრა, სწორედ დავით ბააზოვს მოუწყვია მისი მიღება. ამის შესახებ მსატვარმა გველესიანმა შექმნა ფერწერული ტილო, რომელიც ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება და რომლის შავ-თეთრ ასლსაც აქვე - შემდეგ გვერდზე ვაქვეყნებთ.

## გრომიკო

ერთ დღეს სახლში მარტო მე და მამა ვიმყოფებოდით. მამას, ჩვეულებრივად, ახალი გაზეთი გაეშალა და მისი კითხვით იყო გართული. შორიახლოს ჩუმად ვფუსფუსებდი. არ მსურდა მისთვის ხელი შემეშალა, მაგრამ თვალს არ ვაცილებდი. ვხედავ, მამამ გაზეთის კითხვა დაასრულა. უცებ წამოდგა რაღაც შეუცნობადი სახით. ის მეტად აღელვებული სჩანდა. წელში გასწორდა, პირდაპირ იყურებოდა, თითქოს ვინმეს მიმართავდა და ასე გაიძახოდა:

—მაშ, რისთვის გამასამართლეს?!

თავდაპირველად ვერ მივუხვდი, რას უნდა გამოეწვია ესოდენ დიდი აღელვება. გაშლილი გაზეთით ხელში იგი გავიდა სახლიდან გარეთ. მიდიოდა გზაზე და იმეორებდა იგივე სიტყვებს: „მაშ, რისთვის დამიჭირეს, რისთვის გამასამართლეს თუ...“

ასეთი აღგზნებული და გაოცებული ძახილით მან აიარა კაშენის ქუჩა, და მე მას ფეხდაფეხ მივყვებოდი. შემეშინდა ხომ არაფერი დაემართა, რატომ იყო ასე აღგზნებული. შემხვედრნი და მიმავალნი მას თვალს აყოლებდნენ და ვერავინ უბედავდა შეჩერებას. ბოლოს, პირველი მაისის ქუჩაზე შემოხვდა არონ კრიხელი (მუზეუმის დირექტორი) და ახლა მას მიმართა:

—არონ, ჩემო შვილო, შენ გესმის? ნუთუ მოვესწრებით, რომ გვქონდეს ჩვენც, ისრაელებს სამშობლო? ერეც-ისრაელი? რისთვის გამასამართლეს, თუ დღეს თვითონ საბჭოთა ხელისუფლება სცნობს ერეც-ისრაელს?!

შემდეგ მე აღარ მახსოვს საუბარი როგორ წარიმართა, რამეთუ მალე მათ გარშემო შეიკრიბა ჯგუფი ადამიანებისა. ლაპარაკობდნენ ა. გრომიკოს გამოსვლის შესახებ გაერთიანებული ერების ასამბლეაზე. იმ დღეს, ე.ი. 1947 წლის მაისის თვეში გაზეთ „იზვესტიაში“ დაბეჭდილი იყო გრომიკოს სიტყვა, რომლითაც ის გამოვიდა 14 მაისს და სადაც ის აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირი სცნობს ისრაელის სახელმწიფოს შექმნას დე-ფაქტოდ. მამა დავკარგე მხედველობიდან. იგი საღამოს ძლივს მობრუნდა სახლში. ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას. მისი გული ძლივს იტევდა იმ დიდ სიხარულს, გამოწვეულს ისრაელის სახელმწიფოს აღორძინებითა და საბჭოთა კავშირის მიერ მისი ცნობით.

ბოლოს მამა ისევ ცხოვრებისეულმა პროზამ და სამსახურის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობამ გამოაფხიზლა. აუცილებელი იყო ზესტაფონში დაბრუნება და საქმისათვის მიხედვა. მაგრამ ზესტაფონში წასვლის წინ ჯერ

მე გამაგზავნა ბორჯომ-პარკში კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ, ხოლო ჩემი ჩამოსვლის შემდეგ მამამ ძლივს დაითანხმა ფანი და დედა, რათა ამჯერად ისინი წასულიყვნენ სამკურნალოდ წყალტუბოში.

მართლაც, 1938 წლიდან მოყოლებული გატანჯულ-დასნეულებული დედა და ფანი მამის თხოვნით პირველად გაემგზავრნენ წყალტუბოს. ეს იყო სექტემბრის თვის მეორე ნახევარში. სახლში დავრჩი მარტო მე. თავისუფალი დრო უნდა გამომეყენებინა სასწავლო პროგრამაში ხარვეზების შესავსებად. მოხდა ისე, რომ იმ პერიოდში ხაიმიც არ იმყოფებოდა თბილისში. სამსახურიდან იგი მივლინებული იყო ქ. რუსთავში.

მოულოდნელად მამა ზესტაფონიდან ჩამოიყვანეს ფილტვების ანთებით დაავადებული. თავზარი დამეცა. სახლში აღმოვჩნდი მარტო. ვგრძნობდი, რომ სერიოზულ მდგომარეობასთან მქონდა საქმე. ცხრა დღედაღამე არ გამიხდია და არ დავწოლილვარ საწოლში. მშველოდნენ ჩემი სომეხი მეზობლები. განსაკუთრებით სულ ჩემს გვერდით იყვნენ გუკასიანების ოჯახის წევრები, რომლებიც მამამ ერთ ღამეს გადაარჩინა სიკვდილს. დეპეშა გვიან მიდიოდა წყალტუბოში, ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა კარის მეზობელმა, სომეხმა მიშა ეგბაშიანმა არ დააყოვნა და თავად გაემგზავრა დედას და ფანის ჩამოსაყვანად წყალტუბოდან. სანამ დედა და ფანი ჩამოვიდოდნენ, შეუჩერებლად მოდიოდნენ მამის სანახავად მეგობარ-ნაცნობები. ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ შეშფოთებული მისი სიყრმის მეგობრები ხახამ მეირ ჯინჯიხაშვილი და შიმყონ დავარაშვილი. მე ვნერვიულობდი, რამეთუ ვშიშობდი, რათა მამის ხშირ მონახულებას ზიანი არ მიეყენებინა ავადმყოფისადმი. მაგრამ არ მეშვებოდნენ, განსაკუთრებით ზემოთხსენებული პირები. პირიქით, როცა მოვიდოდნენ, მე იმ ოთახიდან, სადაც მამა იწვა, გამომიყვანდნენ და კარს მიიხურავდნენ. ეს იყო თავად მამას სურვილიც. მაოცებდა, რა უნდა ყოფილიყო მათი ასეთი საიდუმლო საუბარი. იქნებ მათ არც კი შეეგნოთ, რარიგ სერიოზულად იყო მამა ავად!.. როგორც შემდეგ გაირკვა, უფრო სწორედ, მამამ მათი საიდუმლო საუბრის შესახებ გაანდო ფანის და შემდეგ მეც შევიტყვე... სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი — კგბ — თვალს და ყურს არ აცილებდა მამას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდისაც. ისინი ყოველგვარ მეთოდს იყენებდნენ დაინტერესებული პირის მიმართ. ამჯერადაც გამოყენებული ჰყავდათ მამის მეგობრები. ამათ დავალებული ჰქონდათ ყოველდღე მიეტანათ ანგარიში ორგანოებში დ. ბააზოვის საქმიანობისა და მსოფლმხედველობის შესახებ.

დიახ! საბჭოთა კავშირის მიერ ისრაელის დე-ფაქტოდ ცნობის შემდეგაც დავიდ ბააზოვს კვლავ პატიმრობა მოელოდა. ზემოთ დასახელებული ადამიანები, რომელთაც ევალებოდათ დ. ბააზოვის შესახებ ყოველგვარი ცნობები მიეწოდებინათ კგბ-სათვის, იმ ცხრა დღის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე დაიარებოდნენ ავადმყოფ მამასთან და უმხელდნენ, თუ რა

დღეში იმყოფებოდნენ ისინი; ეკითხებოდნენ: „დავით, რას გვეტყვი, რას გვირჩევ. რასაც გვეტყვი, როგორც დაგვარიგებ, ისე მოვიქცევითო.“

რამდენად სარისკო იყო მათთვის ასეთნაირად მოქცევა. რომ გაეგოთ, ხომ სასტიკად დასჯიდნენ. მაგრამ ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, აღარავინ არ არის ცოცხალი – არც დასასმენი და აღარც „დამსმენნი“.

და განა მარტო ზემოაღნიშნული პირები იყვნენ მსხვერპლნი, რომლებსაც ორგანოები თავის ბრჭყალებში იგდებდნენ და ითხოვდნენ ჩვენი მომაკვდავი მამის დასმენას?! ყველაზე რომ არ მოგახსენოთ, შემდეგში კიდევ ერთზე შევჩერდები.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენმა კარის მეზობელმა მიშა ეგბაშიანმა, რომელიც სპეციალურად გაემგზავრა წყალტუბოში, ჩამოიყვანა დედა და ფანია. მე რატომღაც მეგონა, რომ ფანის ხელში მამის მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. მაგრამ მამის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. სიცხის გამო მას ზმანებებიც ემართებოდა. ყველამ მოვისმინეთ მისი გულის სიღრმიდან წარმოთქმული სიტყვები:

„მე ვიმყოფები გემზე, რომელიც მიცურავს ერეც-ისრაელის ნაპირებისაკენ.... –ამბობდა სიცხიანი მამა, –წმინდა მიწაზე ფეხს ვდგამ... ხელს მიწვდის გენერალი მონტგომერი. იქ ბევრნი არიან, მოსულან ჩემს შესახვედრად.“

მე მაშინ არც ვიცოდი ვინ იყო მონტგომერი, არც იმის განწყობილებაში ვიყავი, რომ მეკითხა ფანისათვის, ვინ არის ის მონტგომერი. ფანიმ მოიწვია საუკეთესო ექიმები, მათ შორის პროფესორი ყიფშიძე. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ სახლის პირობებში შეუძლებელია სათანადო ზომების მიღება, ამიტომ საჭიროა ავადმყოფის წაყვანა საავადმყოფოში. იქ მე ფანიმ შემცვალა. მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, ექიმი ცდილობს ავადმყოფი გადაარჩინოს, მაგრამ ამ უკანასკნელის ბედი ღმერთის ხელში ყოფილა.

10 ხეშვანს, ოქტომბრის თვეში, 1947 წელს მამა საავადმყოფოში ფანის ხელში გარდაიცვალა. მამის გარდაცვალება მზის დაბნელებად მოგვეჩვენა. გადასახლებიდან მისი დაბრუნების შემდეგ ვერ მოვასწარით მისი ხილვით დატკბობა, რომ ისევ დავკარგეთ. სამუდამოდ.

მკითხველს არ შევაწუხებ ჩვენი განცდების გადმოცემით მამის სიკვდილის გამო; მე მაინც არ მჩვევია ხალხის წინაშე ცრემლის ღვრა, მაგრამ მსურს ცოტაოდნად მაინც ავსახო ხალხის რეაგირება დ. ბააზოვის გარდაცვალების გამო.

ბინიდან გამოსვენების დროს ხალხით გაივსო პურის მოედანი (სადაც მაშინ ვცხოვრობდით) და ახლომახლო ქუჩები. მამის კუბო შემოსეს შავი ნაჭრით და იმავე მატერიისაგან გააკეთეს ყულფი და ჩამოიცვეს მხარ-კისერზე. ასეთნაირად ასწიეს და გაასვენეს დ. ბააზოვის ცხედარი. ქუჩებში ხალხის ტევა არ იყო. ისმოდა ხმამაღალი ქვითინი. ტიროდნენ ებრაელები, სომხები,

ჩვენი მეზობლები და განსაკუთრებით გუკასიანების ოჯახი; ძველი სომხები, რომელთაც ახსოვდათ დავიდ ბაზოვის დამსახურება ახალციხეში მათი გადარჩენის საკითხში. მოდიოდნენ საქართველოს ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და მათ შორის იურისტები, მწერლები. შემდეგ ბესო ჟღენტი ჰყვებოდა, რომ „როდესაც მივდიოდი პროცესიისაკენ, გზაზე შემომხვდნენ ჩვენი ინტელიგენტები, რომლებიც უკან მორბოდნენ. როდესაც ვკითხე, საით მირბიხართ, ნუთუ დავაგვიანე პროცესიაზე? –მიპასუხეს, ქუდები უნდა ვიშოვოთ თავზე დასახურავადო.“

იმ დღეს, იმავე საათებში ხდებოდა პროფ. სიმონ ჯანაშიას დაკრძალვა. აღინიშნა იქ დამსწრეთა შორის, რომ იქ ვალდებულების მოხდის შემდეგ სწრაფად გამოვაშურეთ აქეთ, რათა დავით ბაზოვის წინაშე დაგვეხარა თავებიო. ო, ვინ არ გაიხსენა უდროოდ, ტრაგიკულად დაღუპული გერცელის მამა. მაშინ ქართველობამ ასე აღნიშნა დ. ბაზოვის დაკრძალვის შესახებ: „ასე მარხავენ მხოლოდ საყვარელ მეფესო.“

რაც შეეხება ჩვენს თემს – საქართველოს ებრაელობას, ამასთან დაკავშირებით რატომღაც მაგონდება „ბერეშითიდან“ ის ადგილი, სადაც მოთხრობილია ამბავი იოსების შესახებ, და რატომ იტირა იოსებმა, როცა იხილა მიცრაიმში თავისი ძმები; თავისი ძმები, რომლებმაც ის ჯერ კიდევ ყრმობისას გაყიდეს... მთელ თემს დავიდ ბაზოვი არ გაუყიდია. პირიქით, ბევრნი მას გაგებით შეხვდნენ, მხარში ამოუდგნენ წმინდა მიზნების განსახორციელებლად ხალხის სასიკეთოდ. მაგრამ გარკვეული ადამიანები თავისივე თემიდან მტრობდნენ არა მარტო მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე, არამედ არც სიკვდილის შემდეგ დაინდეს იგი.

შეიგნეს რა, რა განძიც დაკარგეს, ახლა სტიროდნენ მის კუბოსთან. მხარკისერზე შემოხვეული ყულფით რაბი დავიდ ბაზოვის კუბო შეასვენეს შიგ ცხინვალელების სალოცავში, იქ, სადაც ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე, გარკვეულმა, ერთეულმა თავკაცობამ ატკინა გული.

რაბინი დავიდ ბაზოვი, თავისი თემისათვის თავდადებული მებრძოლი, ციმბირდან – გადასახლებიდან დაბრუნების ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა 1947 წელს, 17 ხეშვანს, ოქტომბერში და დაკრძალული იქნა ქ. თბილისის სათვისტომო ძველ სასაფლაოზე – ნადიკვარის ქუჩაზე. მას ადევს შავი გრანიტის ქვა მაგენ დავიდის გამოსახულებით და ებრაულ-ქართული წარწერით. მის გვერდით შემდეგში დაკრძალული იქნენ მისი თანამეცხედრე – დედაჩვენი რახელი და უდროოდ გარდაცვლილი ჩვენი მეორე ძმა – ხაიმ ბაზოვი. მათი საფლავების გარშემო შრიალებენ და სდარაჯობენ თორმეტი კვიპაროსის ხე.

# სტომატოლოგი ხაცკევიჩი

თბილისის ერთ-ერთ შიდა უბანში ჩერქეზოვის სახ. ქუჩის პირას იყო პატარა ბაღი. ბაღის ხელმარცხნივ, ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა საკმაოდ ცნობილი და დამსახურებული სტომატოლოგი ხაცკევიჩი (სახელი არ მახსოვს). ამ ექიმთან კბილების სამკურნალოდ დამყავდა დედა. ხაცკევიჩი ის ებრაელი იყო, რომელსაც თავისი ებრაელობა დავიწყებული ჰქონდა. მისი ცოლი ეროვნებით იყო რუსი. მათი ოთხი ვაჟიშვილი — ყველა — რუსული ტრადიციებით იყვნენ აღზრდილნი. ექიმ ხაცკევიჩის ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ მის ვაჟიშვილებს ერცხვინებოდათ, რომ მამა წარმოშობით ებრაელი ჰყავდათ. ამისათვის გვარს დედისას, რუსულს ატარებდნენ. თვითონ ხაცკევიჩი საკუთარ ცოლ-შვილში თავს დამნაშავედ გრძნობდა თავისი ებრაელობის გამო. და ასე მიმდინარეობდა მისი ცხოვრება — გარეგნულად თითქოს მყუდროდ და ყოველგვარი შფოთის გარეშე. მაგრამ იმის შემდეგ, რაც დედაჩემმა იწყო სამკურნალოდ სიარული, ეს ჩუმი ადამიანი, რომელიც ძალიან გულჩახვეული სჩანდა, უცებ გალხვა. და ერთხელ, როცა ცოლი სახლში არ ეგულებოდა, იქვე, ჩემი დასწრებით დედაჩემის წინაშე წასკდა ტირილი. ცრემლებს ღვრიდა და ვერ ერეოდა თავის თავს. დედაჩემის კითხვაზე, რა აწუხებდა, ექიმმა უცებ ცრემლი შეიმშრალა და გული გაუხსნა.

—აგერ, მე მატერიალურად სხვებთან შედარებით კარგად ვცხოვრობ, —დასძინა ხაცკევიჩმა, —მაქვს კარგი სახლი, ცოლ-შვილი, მაგრამ სადღაცას გული მკვდარი მაქვს იმის გამო, რომ მე მიხდება ჩემი ებრაელობის ჩამარხვა. და ახლა, როცა თქვენ გიყურებთ, მე სინდისმა დამიწყო ქეჯნა.

მან, შეიტყო რა ჩვენი ოჯახის ტრაგედიის შესახებ, უფრო გულგახსნილი გახდა. დედის მიმართ განიმსჭვალა ნდობით და, აი, რა მოუყვა მას.

—ამდენ ხანს ვდუმდი და გულში ჩამარხული მქონდა დიდი დარდი. ჩემი ძმა ხაცკევიჩი ბერიას პირადი მდივანი იყო. ალბათ იმის გამო, რომ ჩემი ძმა ძალზე ბევრი მოვლენის მომსწრე იყო და იცოდა პარტიის შიდა სამზარეულოს შესახებ, ის თავისი გამგებლის თვალში იქცა არასასურველ ელემენტად. ბერიამ მოაწყო პროვოკაციული ინსცენირება. მსუბუქი ღია მანქანით ის, თავისი ახლო თანმხლებლებით, ჩემი ძმის ჩათვლით, საქართველოს სამხედრო გზით — დუშეთზე გავლით მიდიოდა. ბერიამ მძღოლს შეაჩერებინა მანქანა ტყის პირას, გადმოვიდა მანქანიდან, ვითომ საჭირო საქმის მოსასაქმებლად

და ტყეში გაუჩინარდა. უცებ და მოულოდნელად გაისმა სროლის ხმა. წამში, ვიდრე მანქანაში ბერიას დამლოდინე თანამხლებელნი თავებს მოაბრუნებდნენ, ჩემს ძმას უკვე ერთი ტყვია მოხვდა კეფაში. ბერია მორბოდა მაღლა აწეული რევოლვერით, სროლით და ყვირილით: „აბა, თავს ვუშველოთ, დაგვესხენ თუშებიო!“ ბერია სწრაფად ჩახტა მანქანაში და მძღოლს უბრძანა უკან მოუხედავად გაექანებინა მანქანა. შემდგომში არავისთვის არ დარჩენილა საიდუმლოდ ის ფაქტი, რომ იმ დროს არავითარ თავდასხმას არ ჰქონია ადგილი და, რომ ეს იყო ჩემი ძმის მოსაკლავად მოწყობილი ინსცენირება. მაგრამ ყველა სდუმდა და არავინ არაფერს არ ამბობდა. ამიტომ იყო, რომ გადარჩენის ინსტიქტით ჩავიკეტე ჩემში და მოვეკიდე ისეთ ცხოვრებას, რომელსაც ახლა ვეწევი. მაგრამ მე ჩემს გულში არასდროს მავიწყდება, რომ ვარ ებრაელი.

# ისევ ციხეში – ამჯერად ძმები

## მეირი

ჩვენს და-ძმანს შორის უფროსი იყო გერცელი, მისი მომდევნო – ხაიმი, შემდეგ ფანია, მისი მომდევნო – მეირი – ძმებში მესამე. შემდეგ იყო ფილხაზი, რომელიც 12 წლის გარდაიცვალა დიფტირიტით ქუთაისში. მე გახლავართ ყველაზე უმცროსი, დაბადებული ფილხაზის გარდაცვალების შემდეგ.

ამჯერად მე შევჩერდები მეირზე, რამეთუ ჩვენი ოჯახის სპირალისებურ ხაზზე შემდეგი მსხვერპლი აღმოჩნდა მეირი.

ფილხაზი

მამის გარდაცვალების გამო აბელობის შემდეგ მეირი მოსკოვს გაბრუნდა. სამსახური უხმობდა. პირველ ხანებში მისგან წერილები ხშირად მოდიოდა, მერე უკლო და შემდეგ მთლად შეწყდა.

წერილების შემცირების მიზეზი, როგორც შემდეგ გაირკვა, იყო ის, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ ის მოსკოვში მეტად აქტიურად ჩაბმულა სიონისტურ მოღვაწეობაში. მაშინ მე არც ვიცოდი, კონკრეტულად რას აკეთებდა. მეტად კონსპირატულად მოქმედებდა და, რომ, სიფრთხილის გამო, საყვედურები არ მიეღო ახლობლებისაგან, მეც ყველაფერს არ მიმხელდა. ერთხელ, მახსოვს, როცა მასთან ზაფხულზე მოსკოვში ვიყავი, ვხედავდი, რომ ერთთავად ებრაულ ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდა. სად შოულობდა არ ვიცოდი. ვიცოდი, რომ ყოველ კვირადღეს ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში იჯდა. იქ ვიღაც ეხმარებოდა, მისთვის საინტერესო ახალ ებრაულ ლიტერატურას აწვდიდა. ტელეფონით თავის თანამოაზრეებთან მხოლოდ ივრითზე ლაპარაკობდა. ესენი იყვნენ გრ. პრეიგერზონი, ცვი პლოტკინი, ზარეცკი და შემდეგ, მოგვიანებით გაცნობილი მიხაელ ზანდი და სხვ.

მეირს ერთხელ შენიშვნის სახით მივმართე:

–მეირ! რამდენი უბედურება გადაიარა ჩვენმა ოჯახმა. ახლა შენ

შემოგყურებთ, როგორც იმედის სანთელს. რატომ არ ხარ ფრთხილად?

ყოველთვის რბილი და ალერსიანი მეირი ამჯერად მოიღუშა, შუბლი შეიკრა და მეტად მკაცრად მიპასუხა:

—თუ ჩემი სიცოცხლის შეგნებული ნაწილი ჩემს იდეალებს შევწირე, ახლა შენ გინდა, ჩემი სიდედრივით, ხელი ავიღო ჩემს მრწამსზე, ჩემს ოცნებებზე? თუ მე შენ ასეთი ძმა არ მოგწონვარ, შეგიძლია დამთმო... ჩემთან ფანი დარჩება... და თუ ჩემს სიდედრსაც არ მოვწონვარ, მასაც შეუძლია ჩემზე უარი თქვას...

მეირმა კარგად იცოდა, რომ მე მხოლოდ შიში მალაპარაკებდა. შიში, რომელმაც დაისადგურა ჩვენს ოჯახში, როგორც შავბნელი წყვდიადი გერცელის დაკარგვისა, ხაიმის დაპატიმრებისა და შემდეგ მამის გარდაცვალების შედეგად. და ახლა თუ მეირსაც წაიყვანენ, მეგონა, რომ ამას ვეღარ გავუძლებდით.

ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენის მოლოდინში გათამამებულმა მეირმა და მისმა ჯგუფმა ოფიციალური მოთხოვნა გაუგზავნეს მთავრობის ზემდგომ ორგანოებს, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ებრაელებისათვის ნება დაერთოთ ესწავლათ თავიანთი ისტორიული ენა — ივრითული ენა — დედა-ენა, ისტორია და ლიტერატურა, ასეთი იყო მოთხოვნა. თუ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მაშინ თითო-ეული ებრაელი შეგნებულად მოძებნიდა თავის გზას — ყოველგვარი აგიტაციის გარეშე. თითოეულს უნდა შეეგნო, რომ თავისი სახლი თვითონვე აშენოს და არავითარი დაპირება, რომ მათ ისტორიულ სამშობლოში ვინმე „სამოთხეს“ დაახვედრებდა.

მეირი შეხვდა გოლდა მეირს, რომელიც სპეციალური მისიით იმყოფებოდა მოსკოვში. გოლდა მეირის ისრაელში დაბრუნების შემდეგ დაიწყო მთელ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით მოსკოვში, ებრაელთა მასიური დაპატიმრებები და მათ შორის მოჰყვა ჩვენი მეირიც. იმ პერიოდში არ ვიცოდით მოსკოვში მომხდარი ამბების შესახებ. მაგრამ ფაქტი იყო, რომ მეირისაგან შეწყდა წერილები. როგორ უნდა გვეთქვა ეს საშინელი სინამდვილე დედისთვის, რომელიც ძვირფასი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თავისი ვაჟიშვილებით სულდგმულობდა?! დიდხანს არ ვუმხელდით. ვსარგებლობდით იმით, რომ მხედველობა დაქვეითებული ჰქონდა და რამდენიმეჯერ შევქმენით მეირისაგან ცრუ წერილები. მაგრამ როდემდის? მანამდის, სანამ ერთმა დაუნდობელმა ნაცნობმა დაუნდობლად არ გააგებინა... ამასობაში თბილისელი მოენეები ათასნაირ ჭორს ავრცელებდნენ მეირის შესახებ. და მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დღეს ისრაელის მოქალაქეები არიან. ბევრი მათგანი მეირს კიცხავდა. ასე, მაგალითად — ერთხელ, როცა მე და დედას გზაზე შემოგვხვდა აწ განსვენებული შ. მ-ლი, სახის მკაცრი გამოხატულებით აღნიშნა:

—ო, როგორ გაბედა მეირმა და ემთხვია ხელზე გოლდა მეირს... როგორ

გაბედა ებრაული ენის სწავლების მოთხოვნა საბჭოთა კავშირში...

და ეს პიროვნება, რომელმაც მაშინ იკადრა მეირის გაკიცხვა, ისიც თავისი დედის თანდასწრებით, შემდგომ პერიოდში, როცა ისრაელის სახელმწიფო აღსდგა, არა მარტო თავად ჩამოვიდა ისრაელში, არამედ დედამისის ნეშტიც გადმოასვენა და დაკრძალა იერუშალაიმში, ზეთისხილის მთაზე. მაღალმა ღმერთმაც მაპატიოს და შემდეგ მკითხველმაც, თუ ვიხსენიებ ადამიანს, რომელიც ცოცხალი აღარ არის. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ცხოვრება პარადოქსებით სავსეა. იღუპებიან გმირები და ზოგჯერ ასპარეზი რჩებათ უღირსებს.

1948 წლიდან საბჭოთა კავშირში ებრაელების თავზე ჩამოწვა შავი ღრუბლები. რაღა არ მოხდა მაშინ. ყოველნაირი ტალღებით ებრაელები ბადეში ხვდებოდნენ — „კოსმოპოლიტები", „ინაკომისლიაშჩიე", პრიმკნუვშიე" და სხვ. საბჭოთა კავშირის იმდროინდელი შენიღბული ანტისემიტური პოლიტიკის შედეგად — ინსცერირებული ავარიით დაიღუპა დიდი ებრაელი მსახიობი და რეჟისორი, მსოფლიო ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე სოლომონ მიხოელსი. ამის შემდეგ ხელი მიჰყვეს ებრაელი ინტელიგენტების დაპატიმრებას. თბილისში დააპატიმრეს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი არონ კრიხელი. ცოტა ხნის შემდეგ თავად მუზეუმიც დახურეს და მისი კუთვნილი ძვირფასი ექსპონატებიც გააქრეს. მათ რიცხვში მოხვდა თვითნასწავლი მოხუცი მხატვრის შოლომ კობოშვილის შემოქმედებაც.

მეირ ბააზოვი მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურა ებრაელი ერის იდეალებს. ის ბავშვობიდანვე დაეწაფა თორის საფუძვლებს და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის მის ძირითად საკითხავს ებრაული ლიტერატურა წარმოადგენდა. ამავე დროს მეირს ძალიან უყვარდა ქართული ლიტერატურაც. მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ მისთვის საყვარელ მწერლებად რჩებოდნენ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვ. კიდევაც სცადა მათი ნაწარმოებების თარგმნა ივრითზე, ნაწილობრივ „ვეფხისტყაოსანიც" და თავისი უფროსი ძმის გერცელის „ფეთხაინი", მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ანტისიონისტურად განწყობილ ოჯახში — მოსკოვში — ყველაფერი დაიკარგა.

მეირის ივრითული ენა მისი დედა-ენა იყო. თავისუფლად წერდა, თარგმნიდა და ლაპარაკობდა ივრითზე. ერთხელ, 1966 წელს, მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შეხვდა ისრაელის წარმომადგენელს გიდეონ რაფაელს და მასთან გასაუბრების შემდეგ ისრაელის წარმომადგენელმა აღნიშნა, ჯერ არ შემხვედრია საბჭოთა კავშირში ასეთ კარგ ივრითზე მოლაპარაკეო.

## ხაიმი

მგზნებარე სიონისტი და მეოცნებე მეირი თავისი იდეალების განხორციელების გამო მეტწილად კონსპირაციულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე მისი საზოგადოება გარკვეული და სანდო ადამიანებისაგან შემოიფარგლებოდა, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევდა იმ პერიოდის დიქტატორული რეჟიმი.

მეირისგან განსხვავებით ხაიმს უფრო ფართო საზოგადოებაში უყვარდა ყოფნა. ოჯახური ტრადიციების მიხედვით ხაიმიც რჩებოდა გუნებაში სიონიზმის მომხრე, მაგრამ იგი ამას არ ამჟღავნებდა და არ იყო აქტიური მოღვაწე ამ სფეროში. ეს შეიძლება აიხსნას იმ მწარე სინამდვილით, რაც ოჯახს გადახდა – გერცელის დაღუპვა, მამის მძიმე ხვედრი, და თვითონაც ხომ მამასთან ერთად გასამართლებული იყო სიონიზმისათვის (ამის შესახებ მკითხველს ვურჩევ გაეცნოს ნეტარხსენებული ჩემი უფროსი დის ფანია ბაბოვის მემუარებს «Прокажённые» -ს სახელწოდებით) და ალბათ აღნიშნულისა გამო ის გახდა უფრო ფრთხილი და გაჰყვა ცხოვრებისეულ ტალღას.

ჩემი ბავშვობის პერიოდში ხაიმი უკვე სტუდენტი იყო. მახსოვს მისი ოპტიმისტური ხასიათი. სანდომიანი სახის, კეთილი და სიცოცხლის მოყვარული. რაჭიდან ახალ ჩამოსულს (ისევე, როგორც ჩვენი ოჯახის სხვა წევრებს) ჯერ კიდევ არ ეცვა ქალაქურ ყაიდაზე, მოდურად და ძვირფასად, მაგრამ მაინც დიდი მოწონებით სარგებლობდა, განსაკუთრებით თავის თანატოლ გოგონებს შორის. თავისი მოხდენილი ტანით, მგზნებარე ყავისფერი თვალებით და მოსწრებული სიტყვა-პასუხით ყველას ერთთავად ხიბლავდა. ახალჩამოსულს ნოსტალგია ჰქონდა რაჭის მიმართ, სადაც დაიბადა და გაიზარდა. როგორც უკვე ვთქვი, უყვარდა რაჭული სიმღერების წამღერება.

მე, ქალაქში გაზრდილი, რომელმაც აღვიქვი ქალაქური ბოჰემის სიმღერები, ვერ ვითვისებდი მის რაჭულ სიმღერებს.

როგორც აღვნიშნე, ხაიმს არაერთი ლამაზი ქალიშვილი ეტრფოდა და არც ჩემი ძმა იხევდა მათგან უკან. მაგრამ საბოლოოდ მან თავისი რომანტიული აღმაფრენა შეაჩერა ერთ ულამაზეს ქალიშვილზე. ეს იყო მწვანეთვალებიანი, ხორბლისფერთმიანი და ვარდისფერი, პირმშვენიერი ქალიშვილი, რომელსაც სახელად ერქვა სარა. წარმოშობით იყო ბათუაშვილების ოჯახიდან. მისი მამა, ბენო ბათუაშვილი – წარსულში ცნობილი, პირველი გილდის ვაჭარი ყოფილა. ოდესღაც დიდი სიმდიდრის მფლობელი, საბჭოთა ხელისუფლების დროს გაღატაკდა. იგი, თავის უფროს ვაჟიშვილთან ერთად, ვერ ეგუებოდა საბჭოთა სამსახურს და ისევ ძველ ჩვეულ საქმოსნობას მისდევდა,

რა თქმა უნდა, არალეგალურად. ასეთი ცხოვრება ყოველთვის არ უმართ-ლებდათ და ხშირად ეკონომიურ გაჭირვებასაც განიცდიდნენ. სწორედ ამ პერიოდში ხაიმსა და სარას შეუყვარდათ ერთმანეთი. აქვე აღვნიშნავ, რომ ხაიმს ძალიან ძლიერი კონკურენტები ჰყავდა. ლამაზმან სარას ცოლად თხოვა მისივე ნათესაობიდან ბევრმა ისურვა. ჰპირდებოდნენ „ოქროს მთებს“ — ლონდონში წაყვანას და იქ ქორწინებას. მაგრამ სარას რჩეული იყო ღარიბი სტუდენტი ხაიმი. ამიტომაც იყო, რომ სარას დედ-მამა და ნათესაობა სას-ტიკი წინააღმდეგნი იყვნენ სარას რჩეულისა.

—როგორ შეიძლება მისთხოვდე ვიღაც ღარიბ სტუდენტს, როცა ამდენი შეძლებული მთხოვნელი გყავს. შენ მოგელის მათ სახლში ოქროს მთები, — ესმოდა ხოლმე სარას მშობელი დედისგან. მაგრამ სარას გაგონებაც არ სურდა მშობლების. თავის მოკვლითაც იმუქრებოდა, თუ ხაიმს არ გააყოლებდნენ. მათი ამბავი კარგ სიუჟეტად გამოდგება რომანის დასაწერად. მე შემოვიფარგლები რამოდენიმე დეტალის აღნიშვნით.

თუმც ღარიბი იყო ხაიმი, მაგრამ ამაყი და თავმომწონე. იუკადრისა საცოლეს მშობლების მიერ დაწუნება და უარყოფა. ამიტომ თავის მხრივ განაცხადა:

—კარგი, თუ თქვენ არ გინდათ მომათხოვოთ თქვენი ქალიშვილი, გყავდეთ თქვენთვის, მე აღარ შეგაწუხებთ!

ამის მერე სარა თავის მშობლებს თავის მოკვლით დაემუქრა. მშობლებს



ხაიმის მეუღლე სარა

ისე შეეშინდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედამისმა მოჰკიდა ხელი სარას, მოიყვანა ჩვენს ოჯახში და განუცხადა მამაჩემს:

—თანახმა ვარ ჩვენმა შვილებმა იქორწინონ.

ამის შემდეგ მამაჩვენმა ჩვენსავე ბინაზე ახალგაზრდა წყვილს — ხაიმს და სარას წაუკითხა ქეთუბა. ასე დაოჯახდა ჩემი ძმა ხაიმი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში. მან შესანიშნავად შეათავსა უნივერსიტეტში სწავლა დროებით პატარა სამსახურს. ოჯახის აშენება დაიწყო მცირედით, შემდეგში კი თავისი პატიოსანი შრომით ააშენა და გააძლიერა ოჯახი. შეეძინა ორი ქალიშვილი. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს ადვოკატურაში. თავიდანვე ირიცხებოდა ქ. თბილისის ადვოკატთა კოლეგიაში. ალბათ სხვა, უცხო ადამიანი უფრო გაბედულად დაწერდა ხაიმის, როგორც ღირსშესანიშნავი ადვოკატის შესახებ. მაგრამ ფაქტი იყო, რომ ის აღიარებული იყო, როგორც საუკეთესო ადვოკატი. ის უყვარდათ უახლოეს კოლეგებსა და ამხანაგებს, რომელთა შორის იყვნენ ბენო ხომერიკი, ვანო მესარქიშვილი, შალვა მესხიშვილი, ბიძინა ბარათაშვილი, პროკოფი ნემსაძე და სხვები. ხაიმი მეტად პოპულარული იყო ფართო საზოგადოებაში. ბევრ ახალ დამწყებ იურისტს მფარველობდა, მეტადრე სოფლიდან ჩამოსულებს უწყობდა ხელს. უყვარდათ იგი, რამეთუ ყოველთვის მზად იყო დახმარების ხელი გაეწოდა ადამიანისათვის.

და მოხდა ისე, რომ როცა მეირი პოლიტიკურ პატიმრობაში იმყოფებოდა შორეული ყაზახეთის მკაცრი რეჟიმის ბანაკებში, აქ, საქართველოში მოულოდნელად დაიწყეს იურისტების დაპატიმრებები. დაპატიმრებულ ადვოკატთა შორის აღმოჩნდა ჩემი ძმა ხაიმიც. ეს პატიმრობა ხაიმის მიმართ უკანონო და უსაფუძვლო იყო, მაგრამ ამ ჯერად ეს მისთვის მეორე პატიმრობა იყო. (პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ ხაიმმა საქმე აღძრა — გაასაჩივრა საკავშირო სააპელაციო ინსტანციაში და აღიდგინა პატიოსანი მუშაკის სახელი. ამის შედეგად იგი აღადგინეს ადვოკატურაში). პირველად, როგორც ნეტარცხონებული ფანი თავის მემუარებში გვამცნობს, გაასამართლეს 1938 წელს თავის მამასთან რაბინ დავით ბააზოვთან ერთად სიონიზმის ბრალდებით. მეორე პატიმრობა არ იყო სიონიზმისათვის, მაგრამ ამ საქმეს მისცეს პოლიტიკური ხასიათი. მიუსაჯეს ხუთი წელი მკაცრი რეჟიმის ბანაკში გადასახლებით — ასტრახანის მხარეს.

ხაიმი ასტრახანში და მეირი ყარაღანდაში ერთდროულად. ო, რა საშინელი იყო ჩვენი ყოფა. თითქოსდა სპირალისებურად გრძელდებოდა საშინელებანის შემდეგი ხაზი. ფანი ისევ ერთთავად აქეთ-იქით ეხეთქებოდა. რა ეღონა, რით ეშველა ძმებისათვის. ეშრომა ლუკმა პურისათვის გარეთ დარჩენილებისათვის თუ პატიმრობაში მყოფი ძმებისათვის მიეწოდებინა რაიმე ულუფა. ჩვენი სავალი გზა გაიკაფა ბინიდან ა. წერეთლის (მაშინ განოვის) ქუჩისაკენ საფოსტო განყოფილებაში, საიდანაც ფანის მიერ გამზადებულ

ორ-ორ ამანათს რიგრიგობით ვუგზავნიდით გადასახლებაში მყოფ ძმებს. საშინელ დღეში ჩავარდა ხაიმის ოჯახი, ხაიმის მეუღლე სარა, რომელსაც არ გააჩნდა არავითარი გამოცდილება სამუშაოზე გასასვლელად; ორი ბავშვით ხელზე, არ იცოდა რა ეღონა, თუმცა მას თავისი ძმები ყურადღებას არ აკლებდნენ, განსაკუთრებით მოსკოვში მცხოვრები ძმა რომანი.

პატიმრობა, პატიმრობა და სულ პატიმრობა. და თითქოს ჩვენს ოჯახს ასე ეწერა, რომ სულ ციხესთან და გადასახლებასთან უნდა გვქონოდა საქმე. სახლიდან გარეთ რომ გავიდოდი, ფეხაკრეფით დავდიოდი, რომ გამვლელთა ყურადღება არ მიმეპყრო. მეშინოდა ადამიანების, ისეთებისაც, რომლებიც არაფერს მიშავებდნენ. მეგონა, ცოდვილიანი მარტო ჩვენ ვიყავით.

## ჩემი სტუდენტობის ბოლო პერიოდი

როგორც აღვნიშნე, თითქოს ჩვენს ოჯახს ბედად ეწერა ისევ ციხე და გადასახლება. ჩემი სტუდენტობის ბოლო და შემდგომი წლებიც ჩემი ძმების დაპატიმრება-ციხეებით დამძიმებული წლებია.

ო, როგორ მებრალებოდა დედა და ფანი. წამებულნი! დედა საერთოდ გარეთ არ გამოდიოდა, ჩაიკეტა სახლში. მეტწილად სდუმდა. ისევ ფანის დააწვა საყოფაცხოვრებო ტვირთი. მეც სწავლაზე გული ავიცრუე. ვაცდენდი ლექციებს. ვეძებდი რაიმე სამუშაოს. მაგრამ არც ეს აღმოჩნდა ადვილი. მე, რეპრესირებული ოჯახიდან — კარს არავინ მიღებდა. ცოდვა იყო ფანი. საჭირო იყო არსებობისათვის მეც მეზრუნა; ფეხსაცმელი ჩემი შრომით მეყიდა. ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტად ვითვლებოდი, მაგრამ დამამთავრებელ კურსზე მომიხდა ექსტერნატზე გადასვლა. უფრო სწორად, ჩემი ექსტერნატზე გადასვლა გამოწვეული იყო იმ დროს ჩვენი ფაკულტეტის დეკანისა და მარქსიზმის ლექტორის იასონ ხუციშვილის ჩემს მიმართ „კომუნისტური" მიდგომის შედეგად. მაშინ, როდესაც სხვა, დანარჩენი ლექტორებისაგან არ მიგრძვნია ანტისემიტიზმი და არც სხვა სახის ჩაგვრა, იასონ ხუციშვილი ანტისემიტიც იყო და ისეთი კომუნისტი, რომელსაც მიაჩნდა — თუ პოლინა ბააზოვს დაჩაგრავდა, ე.ი. იგი წმინდად ემსახურება კომუნიზმის იდეალებს. ერთხელ ჩემთან მოვიდა სტუდეტი ქალი, ნკვდ-ს ორგანოებში მომუშავე ლებანიძის ახალგაზრდა მეუღლე ზ. ლებანიძე. მან შემომჩივლა: მარქსიზმს ვკითხულობ და არაფერი მესმისო. ერთხელ შენ

მოგისმინე, როგორ უხსნიდი ერთ სტუდენტს ამ საგნიდან და შენი მოყოლილი მომეწონაო. მოდი, ერთად მოვემზადოთ გამოცდებისთვის. დავთანხმდი. ჯერ ის მოდიოდა ჩემთან სახლში, ხოლო შემდეგ მან მიმიწვია ბინაზე. კარგად მიღებდა. კმაყოფილი იყო ჩემი განმარტებებით აღნიშნული საგნიდან. ბოლოს, მოახლოვდა გამოცდის პერიოდი. ჩვენ ერთად გავედით გამოცდაზე. გამომცდელმა იასონ ხუციშვილმა ჯერ მას გამოჰკითხა, ჩაუწერა მაღალი ნიშანი „5“ და გაუშვა საგამოცდო ოთახიდან. ჯერი ჩემზე დადგა. ვუპასუხე საგამოცდო ბილეთში დასმულ ყველა კითხვაზე. მან მატრიკულში ჩამიწერა ნიშანი „4“ და გამომიშვა. გარეთ, კორიდორში მელოდებოდა ზ. ლებანიძე. როცა შეიტყო რა ნიშანიც დამიწერა, შერცხვა, არ დააყოვნა და თამამად შებრუნდა ლექტორთან.:

—პატივცემულო იასონ! თუ მე დავძლიე ეს საგანი, ეს მხოლოდ ბააზოვის დამსახურებაა. მე მასთან ერთად მოვამზადე საგანი. ერთად ვსწავლობდით. იგი ძალიან კარგად მიჰყვებოდა წაკითხულს, მიხსნიდა და ასე და ამგვარად ერთნაირად მომზადებულნი გამოვედით გამოცდის ჩასაბარებლად!

—შენ ნუ სწუხხარ, შენ მე დამსახურებულად შეგაფასე. ხოლო ბააზოვმა, როგორც არ უნდა მიპასუხოს, თუგინდ ათზეც, მისი ცოდნის არ მჯერა. იგი არაგულწრფელად ლაპარაკობს, ერთს ამბობს, გუნებაში სულ სხვას გულისხმობს. როგორ შეიძლება ადამიანს სჯეროდეს მარქსიზმი, როცა ის რეპრესირებული ოჯახიდან არის. მისი ოჯახის წევრები ხალხის მტრები არიან!

ასეთ „ლოგიკას“ წინ ვინღა დაუდგებოდა.

დავკარგე სტიპენდიის მიღების შესაძლებლობა. ამიტომაც იყო, რომ გადავედი ექსტერნატზე გულაცრუებული. ვაცდენდი ლექციებს. მაგრამ ბოლოს ექსტერნის წესით დავამთავრე კურსი.

მაგრამ ქვეყნად არიან კეთილი ადამიანებიც. ერთხელ ჩემი სკოლის ყოფილმა ისტორიის მასწავლებელმა მაიოლინა ცინცაძემ ორთაჭალის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში აღმომიჩინა სკოლის მდივნის ადგილი. მალე ცოტა საათებიც დამითმო თავისი განაკვეთიდან ისტორიის საგანში. მაგრამ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ღონისძიება — მასწავლებლებს აგზავნიდნენ ოსეთში, რათა ქართულ ენაზე ესწავლებინათ საგნები, ე.ი. ოსური სკოლები თანდათან გადაეყვანათ ქართულ ენაზე. აცხადებდნენ ნებაყოფლობით ოსეთში აღნიშნულ სამუშაოზე წამსვლელთა სიას. ერთ-ერთ ასეთ „ნებაყოფლობით“ სიაში ჩემს დაუკითხავად ჩამწერეს მეც. როდესაც „რონოში“ — რაიონის განათლების განყოფილებაში განვაცხადე, რომ არ მსურს ოსეთში გამგზავრება ცუდი ჯანმრთელობის გამო და, რომ ჯერ დიპლომიც არ ამიღია, ამაზე მიპასუხეს:

—თუ ოსეთში არ წახვალ, მაშინ არც თბილისში იმუშავებ. გაგანთავისუფლებთ საერთოდ სკოლაში სამსახურიდან!

ოსეთიდან მოდიოდა ხმები, რომ იქ ჩასულ მასწავლებლებს ქვებს ესროდნენ

და უტეხავდნენ თავებს. მათ სულაც არ სურდათ თავიანთ სკოლებში სწავლება წარმართულიყო ქართულ ენაზე.

უმუშევრად დარჩენილი და უნივერსიტეტიდანაც მოწყვეტილი ვეძებდი სხვა სახის სამუშაოს. არ ვარჩევდი რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო. თუგინდ ეს ფიზიკურიც ყოფილიყო.

## დიპლომით ხელში

ამ მძიმე პერიოდში მაინც მოვიკრიბე ძალა და 1951 წელს გავედი სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად. ავიღე დიპლომი „მსოფლიო ისტორიის" სპეციალობით. ამის შემდეგ, დიპლომით ხელში, დაიწყო ჩემი წამების შემდეგი ტური. დღე და ღამე ვიდექი რაიონისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილების კარებთან. ვითხოვდი მასწავლებლის ადგილს თბილისის რომელიმე სკოლაში, მაგრამ ვიღებდი უარს.

დიპლომის აღების შემდეგ უმუშევრობის პერიოდი ჩემი სპეციალობის მიხედვით გაგრძელდა ექვს წელს. პარალელურად ვაგრძელებდი სამუშაოს ძებნას სხვა მიმართებით.

ჩვენი ბინის მახლობლად, უფრო სწორად ლესელიძის ქუჩისა და ნახშირის შესახვევის კუთხეში იდგა ძველი სომხური ყოფილი ეკლესია (ამბობდნენ, რომ აშენებულა მე-17 საუკუნეში). თავისუფალ შენობაში მოთავსებული იყო საქალაქო ისტორიული ბიბლიოთეკა. მე ხშირი სტუმარი ვიყავი ამ ბიბლიოთეკაში. იქ, წიგნთსაცავში ჰქონდათ უნიკალური ისტორიული ხასიათის წიგნები, რომლებიც ხელზე არ გაიცემოდა, მაგრამ ადგილზე შეიძლებოდა მათი კითხვა. გარდა ამისა მიზიდავდა ეკლესიის მოხატულობა. განსხვავებით სხვა ქრისტიანული ეკლესიებისა, სადაც მეტწილად ქრისტიანი წმინდანებისა და მოციქულთა გამოსახულებებია, აქ უფრო მთელი მოხატულობა ასახავდა ბიბლიის შინაარსს, უფრო სწორად, მთავარ მომენტებს. ეკლესიაში შემსვლელს პირდაპირ, ცენტრალურ კედელზე თვალში მოხვდებოდა შელომო ჰამელეხის მიერ მოწყობილი სასამართლო — ორი მომჩივანი ქალისა — ბავშვის კუთვნილების გამო.

როდესაც ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი დახურეს (რომლის დირექტორი არონ კრიხელი დააპატიმრეს), მუზეუმის მთელი ლიტერატურა ძველ ებრაულ ენაზე — უამრავი რაოდენობით — გადმოუყარეს ზემოაღნიშნულ ბიბლიოთეკას, რომლის დირექტორი იმხანად იყო ვ. ჭანტურია. ეს პიროვნება მეტად პატიოსანი და კეთილი ადამიანი იყო, მაგრამ არ იცოდა რა ექნა ამოდენა ებრაული წიგნებისათვის. ებრაული არ იცოდა. ამისათვის მან მიიწვია ჯერ კოტე წერეთელი, შემდეგ მოტკე

მამისთვალოვი (იგი მუზეუმის ყოფილი მეცნიერ-მუშაკი გახლდათ და იმ წიგნებს კარგად იცნობდა. ამავე დროს იყო ივრითის კარგი მცოდნეც). მალე ჭანტურიამ მეც მიმიწვია, რათა მ. მამისთვალოვს მივხმარებოდი ტექნიკურად. მე ივრითი არ ვიცოდი, მაგრამ რასაც მ. მამისთვალოვი აკეთებდა (იგი თითოეულ წიგნზე ადგენდა ბიბლიოთეკურ ბარათს), მე უნდა მომეხდინა მათი დუბლირება, ე.ი. გამზადებულის გადაწერა. როგორც აღვნიშნე, სალაპარაკო ენა არ ვიცოდი, მაგრამ ივრითზე წერა შემეძლო.

სამუშაო დიდი იყო, ფულადი ანაზღაურება მეტად მცირე. მაგრამ ჩვენ პირველ ყოვლისა ის გვასულდგმულებდა, რომ უპატრონოდ დარჩენილ იმ ძვირფას ლიტერატურას ებრაულ ენაზე, რომლის ფასი იქ არავინ იცოდა, ახლა მოევლებოდა, იატაკიდან გადაინაცვლებდა და დალაგებული მოთავსდებოდა სათანადო ადგილას — თაროებზე.

როგორც აღვნიშნე, გვიხდიდნენ ძალიან მცირე ფულს, იტყოდნენ, კაპიკებს. მაგრამ უიმისობაც ძნელი იყო. სუსხიანი ზამთარი იყო. ეკლესიის შენობაში განსაკუთრებით ცივა. ჭანტურიამ ახლოს დაგვიდგა რკინის ღუმელი, რომელიც ჩვენვე უნდა გაგვეჩაღებინა ხის საწვით. თუ იმ ღუმელთან ახლოს იჯექი, ცალი გვერდი გითბებოდა, ხოლო მეორე ისევ გაციებული გრჩებოდა. მოხდა ისე, რომ გავხდი ავად, დამემართა წყლიანი პლევრიტი. მომათავსეს თბილისის პირველ საავადმყოფოში, რომელიც არამიანცის საავადმყოფოს სახელით იყო ცნობილი. ეს იყო 1953 წლის თებერვალში.

## „მოღალატე ექიმების“ საქმე

ჩემი საავადმყოფოში ყოფნის დროს გარეთ ისევ საშინელი ამბები დატრიალდა. დაიწყო ცნობილი „კრემლის მოღალატე ექიმების“ საქმე. ჯერ კიდევ მანამდე ხალხმა დევნა და აწიოკება ე.წ. „კოსმოპოლიტიზმის“ სახელწოდებით გადაიტანა. ამ უსირცხვილო და უსინდისო პროცესის შედეგად ისევ ებრაელები მოხვდნენ მტარვალთა ბადეში. ახლა ამ ახალმა საქმემ — „მავნებელი ექიმების“ წინააღმდეგ ატეხილმა საყოველთაო გაკიცხვამ და აჟიოტაჟმა საბჭოთა კავშირის ფართო მასშტაბით — ტალღისებურად გადმოინაცვლა საქართველოშიც. იწყეს ებრაელთა შორის ეჭვმიტანილთა დაპატიმრებანი; იწყეს — მთელი საქართველოს მასშტაბით — სალოცავების დახურვისა და ნგრევის მცდელობა. დაპატიმრებულ ებრაელთა შორის იყო ბევრი ჩვენი ნაცნობ-მეგობარი. ასე, მაგალითად, მათემატიკოსი დ. პაიკინი. იგი ჯერ კიდევ 1938 წელს — დ. ბააზოვის დაპატიმრების დროს — ჩემ ძმა ხაიმთან, რ. ელიგულაშვილთან და სხვებთან ერთად იქნა გასამართლებული. ახლა, 1953 წელს, „ექიმების საქმესთან“ დაკავშირებით დ. პაიკინი კვლავ იქნა დაპატიმრებული, როგორც „ეჭვმიტანილი“.

გავრცელდა ხმა, რომ განრისხებული ხალხის მიერ მზადდება ებრაელების დარბევები — „პოგრომები“ და, რომ სტალინის განზრახვაა იხსნას ებრაელები მათი შორს, ციმბირში გადასახლებით. ებრაელებმა იწყეს მოსალოდნელი გადასახლებისათვის მზადება. იძენდნენ ტილოს ტომრებს, თოკებს და სხვა საჭირო ნივთებს. დაირხა ხმა, რომ გამზადებულია გადასასახლებელთა სია და, რომ ამ სიაში პირველებად ეწერნენ დედაჩემი და ფანია. როგორც აღვნიშნე, ეს ამბები დაემთხვა ჩემი საავადმყოფოში ყოფნის დროს. ფანის ქართველი ამხანაგები ამშვიდებდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მართლა დედას და ფანის გადაასახლებდნენ, შეიძლება ჩემთვის, როგორც საავადმყოფოში მყოფისათვის, ხელი არ ეხლოთ. მაშინ ისინი მე მომცემდნენ თავიანთ ბინაში თავშესაფარს და შემინახავდნენ. ასე რომ, დედას და ფანის ჩემი ჯავრი არ უნდა ჰქონოდათ.

ასეთ დაძაბულ სიტუაციაში, როცა ადამიანები კარგავენ ელემენტარული შეგრძნების უნარს, როგორც ატროფირებულნი მიჰყვებოდნენ პოლიტიკურ დინებას, მოულოდნელად მოხდა სასწაული. მზისდარი ქვეყნის გამგებელი და ღვთაებად მიჩნეული გადატრიალდა და მოკვდა. 1953 წელს, 3 თუ 5 მარტს მოკვდა სტალინი. ქვეყანა მოიცვა შიშმა, რამეთუ ხალხებს ეჩვენათ, რომ ჩაესვენა მზე, დაბნელდა. მაგრამ, ნუ იტყვით, ამ სიბნელეში, შავი ღრუბლით მოცულ სამყაროში გამოჩნდა სხივი, ნელ-ნელა იფანტებოდა საშინელებათა ნისლი და ჩაგრულ ადამიანებს გამოუჩნდა იმედის გზა.

# ვითარება იცვლება

მე გამოვედი სააავადმყოფოდან გამოჯანმრთელებული. იმ საყოველთაო გლოვის პერიოდში ჩემმა გულმა და სულმა იდუმლად იგრძნო ზეიმი. თანდათანობით პოლიტპატიმრებსაც ეშველათ. ზოგს ვადაზე ადრეც უშვებდნენ. და საერთოდ იწყეს პატიმრების განთავისუფლება. ასეთების რიცხვში აღმოჩნდნენ ჩემი ძმები ხაიმი და მეირი. ხაიმმა არ მოინდომა, წყალობით რომ ყოფილიყო განთავისუფლებული, რამეთუ თავის პატიმრობას მიიჩნევდა უკანონოდ. ამისათვის ასტრახანის საპატიმრო ბანაკიდან დაბრუნებულმა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ინსტანციებში აღძრა საჩივარი. არ გასულა დიდი ხანი და მიიღო გამართლების დოკუმენტი. ხაიმი მორალურად დაკმაყოფილდა. ამის შედეგად იგი აღადგინეს თბილისის ადვოკატურაში და კვლავ განაგრძო მუშაობა როგორც სრულყოფილმა მოქალაქემ.

1956 წელს, კომპარტიის XX ყრილობაზე დაგმობილ იქნა მასიურად ხალხთა რეპრესირება პოლიტიკური სარჩულით. დაიწყო 1937-38 წლების პოლიტპატიმართა (ცოცხლებისა და უკვე არარსებულთა) საქმეების გადასინჯვა. ამის შედეგად 1955 წლის 26 ოქტომბერს ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გერცელი რეაბილიტირებული იქნა. აღნიშნულ ორგანოებში გამოიძახეს ხაიმი და ფანია და მათ ხელში ჩააბარეს დოკუმენტი გერცელის რეაბილიტაციის შესახებ. ხაიმს და ფანის სამხედრო ტრიბუნალის მუშაკებმა უჩვენეს გერცელის საბრალდებო „საქმე". აღნიშნულ „საქმეში" არაფერი არ ეწერა, ე.ი. არავითარი დასაბუთებული ბრალდება გერცელის წინააღმდეგ არ იდო „საქმეში". საქმე იყო ცარიელი, ე.ი. ვიღაცას სჭირდებოდა, რომ გერცელი ცოცხალი აღარ ყოფილიყო! ასეთად ჩვენს ოჯახში მიაჩნდათ იმა ქვეყნისა ძლიერი გამგებელი – სატანა – ლ. ბერია. ამ უკანასკნელს გამოუყენებია შეთითხნილი და ანონიმური წერილები გერცელის წინააღმდეგ, რომელთა ავტორებიც, ჩვენდა სავალალოდ, იყვნენ ქართველი ებრაელები. თითქმის ყველას სახელები ვიცი, მაგრამ... ახლა არ დავასახელებ – შეგნებულად.

გერშონ მეგრელიშვილი თავის მოგონებებში (გამოქვეყნებული ჟურნალ „ისრაელში", № 2) აღნიშნავს შემდეგს:

„...თბილისში დაბრუნებისას ვინახულე გერცელი. შეწუხებული იყო დაკ'ერებით.

1938 წ. მარტი. გერცელს შევხვდი სოლოლაკზე. იყო შეშინებული. საიდუმლოთ მითხრა, რომ ვიღაცას მასზე შეუტანია განცხადება, რომ ის სიონისტია. ეს გაუნდვია



С п р а в к а

Военная тройка [illegible] округа 2[illegible] октября 1938 [illegible] дело по обвинению БААСОВА Г[illegible].

Решение тройки [illegible] от [illegible] 1938 года в отношении БААСОВА Г.[illegible] дело о нем прекращено и БААСОВ полностью реабилитирован.

[illegible]

( Л А Т Ы Ш Е В )

გერცელ ბააზოვის სრული რეაბილიტაციის ოფიციალური ცნობა

მისთვის ვიღაც მუშაკს. თბილისში დარჩენა საშიში იყო. მე ბაქოში მივდიოდი, გერცელი კი მოსკოვში.“

ჩვენი მამის, დავიდ ბააზოვის მიმართ ჯერ კიდევ არ იყო იმ დროს მომზადებული სიტუაცია, მაგრამ ორგანოების თანამშრომლებმა ფანის და ხაიმს ზეპირად აღუნიშნეს: „...ან მოხუც ბააზოვს რისთვის მიუსაჯესო“ («И старика нечего было судить, за что-же его судили» . –ეს იყო მათ მიერ ნათქვამი სიტყვები.

ადამიანის ბედ-იღბალი დამოკიდებული ყოფილა იმაზე, ვინ მართავს ქვეყანას. მბრძანებელი ხან ძირს დაგცემს ან და სულაც ამოგათრევენ უფსკრულიდან და ლაქუცსაც დაგიწყებენ. ასე დამემართა მე პირადად.

დიპლომის აღების შემდეგ გერცელის რეაბილიტაციამდე მე გავიარე ტანჯვა-წამების პერიოდი.

თბილისის უნივერსიტეტის დიპლომში ჩამიწერეს, რომ მომენიჭა უმცროსი მეცნიერ-მუშაკის წოდება მსოფლიო ისტორიის სპეციალობით და პედაგოგის კვალიფიკაცია. მე ვითხოვდი ისტორიის მასწავლებლის ადგილს სკოლაში, მაგრამ ვიღებდი უარს. ვცადე სხვა სამუშაოს შოვნა ჩემი განათლების მიხედვით. აქაც ბედი არ მწყალობდა. საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, ცნობილმა მწერალ სანდრო ეულს არც შერცხვა, როცა ასე უპასუხა იმ პიროვნებას, ვინც რეკომენდაციას მიწევდა:

–ასი ადგილი რომ მქონდეს, ხალხის მტრის ოჯახის შვილს არც ერთ არ მივცემდი!..

ჩემს ასეთ დევნა-ჩაგვრას ნაწილობრივ დაფარული ანტისემიტიზმი თუ ნაციონალიზმიც ედო საფუძვლად. ასე გავსინჯოთ, ჩემს თანაკურსელებსა და თუნდაც მთელს ფაკულტეტზე ცოტა როდი იყვნენ რეპრესირებული ოჯახებიდან, მაგრამ მათ ყველას ჩუმად და უხმაუროდ ხელი შეუწყეს. არც ერთი მათგანი უმუშევარი არ დარჩენილა. არ დავასახელებ მათ ვინაობას, მაგრამ ბევრი მათგანი დღეს დოცენტია, ან პროფესორიც. სხვები ფაკულტეტზე დარჩნენ უმცროს მეცნიერ მუშაკებად. სკოლაში არც ერთმა მათგანმა არ იკადრა წასვლა.

ნაციონალიზმის მაღალ წერტილს წარმოადგენდა ენქ-ის მაგალითი. მას მე ვეხმარებოდი საგნის ათვისებაში. ჩემთან სახლში აღამებდა. მაინც ნიშნის მიღებაში მე ჩამომრჩებოდა. ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მას პირადად ბინაზე ეწვია პროფ. ნიკო ბერძენიშვილი:

–მე არ შემიძლია, რომ ქართველ ქალს არ დავეხმარო.

მისი ხელშეყობით მალე ამ ჩემმა თანაკურსელმა და ამხანაგმა თავი ამოჰყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში უფროსი მეცნიერი მუშაკის სტატუსით. და ეს უკანასკნელი იყო ძმისშვილი გამოჩენილი რევოლუციონერის, ბოლშევიკის, მაგრამ სტალინის რეჟიმის დროს დახვრეტილის – აბელ ენუქიძის. მე კი ამ პერიოდში აცრემლებული, – დიპლომით ხელში – დამცირებული წლობით დავიარებოდი უმუშევარი. მთლად უმუშევარიც არ ვიყავ, რამეთუ არსებობისთვის ვკადრულობდი ფიზიკურ სამუშაოსაც. ორი წელი უხელფასოდ, ნებაყოფლობით ვეხმარებოდი საბავშვო ოთახს.

გერცელის რეაბილიტაციის შემდეგ საბავშვო ოთახის გამგე, ვ. სარქისოვას ქალი წამოდგა თავისი სკამიდან და პირდაპირ გაემართა კიროვის სახ. რაიკომის მდივანთან ვიქტ. სირაძესთან:

–აგერ რამდენი წელია მე ნებაყოფლობით მეხმარება დიპლომიანი ქალი ბაბაზოვა. მას არსად სამუშაოზე არ იღებენ მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მას შეაქვს განცხადებები „რონოშიც“ და „ტონოშიც“, მაგრამ მას უარს ეუბნებიან.

როდესაც რაიკომის მდივანმა ქალმა ვ. სირაძემ ეს მოისმინა, გაიოცა და თავის მხრივ იქვე ჩაერია ჩემი სამუშაოზე მოწყობის საქმეში, დაურეკა „რონოს“ უფროსს ნ. მაჭარაშვილს, ჯერ საყვედურით მიმართა: რატომ ამდენ ხანს უგულებელჰყვეს ჩემი განცხადებები სამუშაოზე მიღების შესახებ და შემდეგ კატეგორიულად მოითხოვა, რათა სასწრაფოდ გამოენახა საათები სკოლაში.

ასე დავიწყე თბილისის სკოლებში მუშაობა როგორც ისტორიის მასწავლებელმა და დავყავი თბილისის საშუალო სკოლებში მანამდე, სანამ არ გადავწყვიტე ისრაელში წამოსვლა – 1973 წლამდე.

♦♦♦

გადასახლებიდან დაბრუნებული ხაიმი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რეაბი-

ლიტირებული იქნა და ადვოკატურაშიც აღდგენილი. მაგრამ იგი უკვე ჯანგატეხილი იყო. ხშირად ემართებოდა ჰიპერტონული კრიზი და ვერავითარი წამალი და მკურნალობა არ შველოდა. ბოლოს გადაწყდა, რომ დროებით ხელი შეეშვა მუშაობისათვის და ცოტა ხნით წასულიყო დასასვენებლად. შესაძლოა, რომ იმდროინდელი ექიმებიც არიან დამნაშავენი, რომლებ-

ათწლედის გამოშვების ხელოთა 23-ე სამუალო სკოლისა,
სადაც ჰოლინა ბალიოზი ასწავლიდა

მაც პაპანაქება სიცხეში ურჩიეს ქობულეთში დასვენება. ჩვენდა საუბედუროდ, ხაიმი იქ მოულოდნელად გარდაიცვალა. ეს მოხდა 1957 წელს, ზაფხულში.

როგორ გაგვემხილა დედისთვის ეს ახალი უბედურება... მე აქ შევჩერდები, რამეთუ არ ძალმიძს იმ უბედურების აღწერა, რაც მაშინ განვიცადეთ. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, რომ ჩვენ, დებს – ფანის და მე, გამწარებულებს ხაიმი გვეტირა თუ საცოდავ ჩვენი დედისთვის გაგვეძლებინებინა. დაობლდნენ მისი შვილები, დაქვრივდა მისი ახალგაზრდა მეუღლე. ხაიმი ერთგული მეუღლე იყო და კარგი მეოჯახე. დაუნდობელმა სიკვდილმა წაგვართვა ხაიმი, რომელიც ჯერ კიდევ 47 წლისაც არ იყო, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე სიცოცხლეს გამოასალმა. ეს იყო შედეგი რეპრესიებისა და საბჭოთა კანონების მის მიმართ უკანონოდ გამოყენებისა.

რატომღაც შევიძულეთ ის ბინა, სადაც იმდენი სიმწარე და დარდი ვნახეთ. მამის გარდაცვალება, ხაიმის გამოკლება ჩვენი მამისეული ოჯახიდან, მძიმე ლოდივით დაგვედო გულებზე. ხაიმი, რომელიც თითქმის ყოველ დილით თავისი სახლიდან სამსახურში მიმავალი და შემდეგ უკან მობრუნებული უთუოდ ჩვენი ბინის ქუჩისპირა აივნის წინ გაივლიდა, სადაც დედა ელოდებოდა... დედაჩემი მეუღლის დაკარგვისა და გერცელის ამბავის უცოდინარობისა (ხომ არავინ უმხელდა, რომ გერცელი აღარ იყო) და მეირის სიშორის გამო ხაიმის ხილვით სულდგმულობდა. აწი ხაიმი აღარ გაივლიდა აივნის წინ. დედა ჩაიკეტა სახლში. ხმაამოუღებლად, ლანდივით დაიარებოდა. საჭირო იყო ვინც დავრჩით – მე და ფანი – შევმჭიდროებულიყავით დედის გარშემო. ფანი ხაშურიდან წამოვიდა. ბინა გადავცვალეთ ქ. თბილისის 26 კომისრებში, შაუმიანის ქუჩაზე.

არც ეს ბინა აღმოჩნდა ბედ-იღბლიანი. წინ მოგველოდა ბედისაგან კიდევ ახალი დარტყმები.

• აივანი, რომელსაც ს

◆◆◆

მაგრამ მანამდე მე შევჩერდები რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენაზე, რომლებიც 60-იან წლებში ჩვენს იქ ყოფნის დროს აისახა ჩემს მეხსიერებაში.

ფანი აღადგინეს ქ. თბილისის ადვოკატურაში. ფანი, როგორც იურისტი, ეს ცალკე თემაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მაგრამ მე აქ არ შევჩერდები ამ თემაზე, რამეთუ ხელთ არ გამაჩნია საჭირო საბუთები. აღვნიშნავ მარტო იმ ფაქტს, რომ ფანი ითვლებოდა კარგ იურისტად. უყვარდათ ამხანაგ-მეგობრებს. მას ანგარიშს უწევდნენ და ხშირად მისგან იღებდნენ კონსულტაციებს კოლეგები. მისი, როგორც კარგი იურისტის შესახებ მკითხველს შევახსენებ, რათა გაეცნოს ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" 1970 წლის მე-2 ნომრის 77 გვერდზე ფანის პორტრეტის გვერდით გამოქვეყნებულ მასალას, სათაურით: „ადვოკატი". სადაც, სხვათაშორის, ვკითხულობთ შემდეგს:

„ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ჰროცესზე მისი გამოსვლა, არ შეიძლება არ განიმსჭვალოს ამ ქალისადმი განსაკუთრებული ჰატივისცემით.

საქართველოს ადვოკატურას ბევრი თვალსაჩინო იურისტი ჰყავს. მათ გვერდს უმშვენებს ფანია ბაზოვაც." *)

ყველა იმ ღირსშესანიშნავი საქმეებიდან, რომლებშიც ფანი მონაწილეობდა, მე შევჩერდები ერთზე. ეს იყო სავალუტო დანაშაულობათა პროცესი, რომელიც ირჩეოდა მოსკოვში 1961 წლის ზაფხულში, „როკოტოვის საქმის" სახელწოდებით. შემდგომში, უკვე ისრაელში ყოფნის დროს – 1976 წელს ვიქტორ პერელმანის რედაქტორობით გამომავალი რუსულენოვანი ჟურნალის «Время и мы» მე-4, მე-5 და მე-6 ნომრებში ამავე სახელწოდებით ამ პროცესის შესახებ ფანიმ გამოაქვეყნა ვრცელი მასალა. ფანის გარდაცვალების შემდეგ, 1981 წელს იგივე მასალა გადაბეჭდილ იქნა ამერიკის გაზეთ «Новый Американец» -ის ორ ნომერში.

ფანის უახლოესი მეგობრები – იურისტების მხრიდან, რომლებთანაც მას უხდებოდა პროცესებზე მონაწილეობა – იყვნენ მიშა ალხაზიშვილი, ირაკლი რაზმაძე, იონა ბოჭორიშვილი, ბიძინა და ლადო ბარათაშვილები და სხვები.

ძნელია ილაპარაკო საკუთარ დაზე, უთუოდ სუბიექტური ელფერი მიეცემა. ამიტომ მე მივმართავ სხვათა შთაბეჭდილებებს ფანის შესახებ. მოვიყვან ერთ მაგალითს.

თამარ ხიტიბაშვილი 60-იან წლებში მუშაობდა თბილისში, უმაღლეს სასამართლოში მბეჭდავ მდივნად (დღეს იგი ისრაელის მოქალაქეა). მას ადრე არასდროს ენახა ფანი. ერთხელ შემთხვევით თვალი მოჰკრა უმაღლე-

---

* წერილი სრულად ქვეყნდება განყოფილებაში „ფანია"

სი სასამართლოს ზემო სართულზე ამომავალ ქალს. იქ მყოფი ადამიანები მას მეტად გულთბილად და მოწიწებით ეგებებოდნენ.*)

◆◆◆

ფანიმ არ ჩააქრო მამისეული კერა. მორალურად განადგურებული და მატერიალურადაც დაქცეული ჩვენი სახლი ახლა ფანიმ თავისი შრომით და უნარით კვლავ აღადგინა. ჩვენს ახალ საყუდელს შაუმიანის ქუჩაზე (თბილისის 26 კომისრების უბანში) ერთგვარი ოჯახის სახე მისცა. სითბოს და ლაზათს არ გვაკლებდა. ადამიანებმა კვლავ იწყეს ნელ-ნელა ჩვენთან სიარული. თუ 1938 წლიდან ნაცნობ-მეგობრები ახლობლების ჩათვლითაც – არ გვეკარებოდნენ, გაგვირბოდნენ, როგორც „კეთროვნებს", ახლა კვლავ გამოჩნდნენ. მოდიოდნენ დედის სანახავად. ამ პერიოდისთვის დედას თვალთ სინათლე საგრძნობლად დაუქვეითდა. მარტო ერთ თვალში 25 % სინათლე ჰქონდა შერჩენილი. და რა საოცარი იყო, როცა კარზე მოსულ სტუმარს რაჭიდან იქვე ხმაზე სცნობდა და ყველას სახელები ახსოვდა. დე-დას მათი ნახვა ყველაზე მეტად ათბობდა და ახარებდა. მას ასულდგმულებდა იმ დროის მოგონება, როცა მისი რაჭაში ყოფნის დროს ქმარ-შვილიდან არავინ არ აკლდა.

მოდიოდნენ ფანის მეგობრები და კეთილმსურველი მეგობრები. მეც არ მაკლდა ამხანაგ-მეგობრები. განსაკუთრებით იმ სკოლებიდან, სადაც მე ვმუშაობდი.

ფანის ახასიათებდა ხელგაშლილობა. უყვარდა სტუმარი. მისი ხელით ნაკეთებ კერძებს განსაკუთრებული გემო ჰქონდა. დედა მას კულინარიის „პროფესორს" უწოდებდა. ყოველი საკაზმი ხელში მოზომილი ჰქონდა. კარგი სოფლელი ქალივით ამინდის გამოცნობაც იცოდა – ღამე ცაზე დაკვირვების შედეგად, მთვარისა და ვარსკვლავების მიხედვით.

ფანიმ ჩვენს ახალ ბინაში შემოიღო ჩემი დაბადების დღის აღნიშვნა. ჩვეულებრივად მესტუმრებოდნენ ხოლმე ჩემი მეგობარი მასწავლებლები სკოლიდან.

ჩვენი ოჯახთან მეტად ახლოს იყო გერცელის თანაძმობილი და თანამოღვაწე, საქართველოს გამოჩენილი კრიტიკოსი, ბესარიონ ჟღენტი. იგი სულიერ თანადგომას გვიწევდა. იყო მეტად ადამიანური. ყოველთვის მზად იყო ჩვენთვის დახმარება აღმოეჩინა.

ოჯახში შემოგვენახა დედისეული ორიგინალური, ძველი, თეთრეულის ჩასაწყობი „კომოდი". მის ზემო თავზე მთლიანად იდგმებოდა ბესოს მიერ ჩემი დაბადების დღეზე მოძღვნილი ცოცხალი ყვავილებით სავსე კალათა.

ამავე პერიოდს ემთხვევა, როცა რაჭიდან ჩამოსული ახალგაზრდა – უმაღ-

---

* **წერილი ქვეყნდება განყოფილებაში „ფანია"**

ლესი განათლების მისაღებად — დათო შიმშილაშვილი გვესტუმრა. იგი მეტად სანდომიანი ახალგაზრდა სჩანდა. ფანიმ გადაწყვიტა — გერცელის სახელზე — სწავლისათვის ჩამოსული ახალგაზრდისათვის ხელი შეეწყო. ამ საკითხში მას ბესო ჟღენტიც დაეხმარა. მან დათო შიმშილაშვილის მიმართ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა. ამის შემდეგ დ. შიმშილაშვილი ჩვენს ბინაში ხშირი სტუმარი კი არა, არამედ ახლობელ ადამიანად იქცა — თითქმის შვილობილად.



ბესარიონ ჟღენტი

## საუბილეო სამზადისი

გერცელის რეაბილიტაციის შემდეგ თითქოს ქვეყანა გამოფხიზლდა, შეიცვალა ჩვენს გარშემო სამყარო. გარეგნობით გავსწორდით წელში. მაგრამ ჩვენი შინაგანი გრძნობები გერცელის დაღუპვის გამო იგივე რჩებოდა. გულში ღია ჭრილობა ისევ შეუხორცებელი გვრჩებოდა, რამეთუ გერცელი ფიზიკურად ველარ აღსდგებოდა. მაგრამ მისი წმინდა სახელის აღსადგენად საქართველოს მთავრობისა და ფართო საზოგადოების სურვილს ჩვენც შევეგებეთ. ამ საქმის გამო საქართველოს მთავრობის ორგანოებთან პრაქტიკულად კავშირში ჩვენი ფანი იყო.

აი, რას ვკითულობთ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის წერილში გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისადმი (გთავაზობთ წერილის ასლს).

საქართველოს სსრ ГРУЗИНСКАЯ ССР

# კულტურის სამინისტრო
# МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ

თბილისი, რუსთაველის პრ. № 19
Тбилиси, пр. Руставели

ტელეფონები | 3-05-00
Телефоны | 3-43-64

3 - IX 1964 წ.

№ 02ш/1549-1

ბატონ "კომუნისტის" რედაქციას

მიმდინარე წლის ოქტომბრის დღეში სრულდება მწერალ ტერენტი ბაბალოვის დაბადების 60 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, მწერალთა კავშირმა და თეატრალურმა საზოგადოებამ შეადგინეს რესპუბლიკური საიუბილეო კომისია, რომელშიც შედიან: საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ფ. ბუაჩიძე /თავმჯდომარე/, ი. აბაშიძე, ბ. ლორთქიფანიძე, ს. ფილია, უ. ჯაფარიძე, დ. ანდღულაძე, ა. ვასაძე, გ. ციციშვილი, დ. ანდაძე, მ. ნრეულიშვილი, ი. ნინუშვილი, ი. ლეკაძე, გ. აბაშიძე, გ. ბუბნიკაშვილი, რ. მარკიანი, ი. ვაკელი, გ. ლორთქიფანიძე, ბ. ბიბილაშვილი, გ. ჯაფარიძე, დ. კვიცარიძე და ფ. ბაბაევი /მდივანი/.

საიუბილეო კომისიამ მიიღო დადგენილება ტერენტი ბაბალოვის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდეს საიუბილეო საღამოები ქ. თბილისში, ქუთაისში და მწერლის სამშობლოში-ონში, ნომზადდეს მონოგრაფია მის ცხოვრებისა და შემოქმედებაზე, ანთხრილიყოდეს მისი რჩეული პიესების დადგმა კოჯე მარჯანიშვილისა და ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრებში. გამოიცეს მისი რჩეული ნაწერები, რუსული და ქართული ენებზე და სხვ.

ამასთან დაკავშირებით ცოხოვ ტერენტი ბაბალოვის დაბადების 60 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში (3 ნოემბერს) გაგაცნოთ მისი ცხოვრება და შემოქმედება ქვემოთ გადმოცემული ფურცლებზე.

საიუბილეო კომისიის
თავმჯდომარე /ფ. ბუაჩიძე/

როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, საიუბილეო მომწყობი კომისიის მდივნად დანიშნული იყო ფანი, კომისიის თავმჯდომარედ თენგიზ ბუაჩიძე. იგი არაფერს აკეთებდა ფანისთან შეთანხმების გარეშე. მას უწევდა ანგარიშს და ყოველ საკითხზე ეთათბირებოდა მას. თავის მხრივ თ. ბუაჩიძემ ინტელიგენციის გარკვეულ ჯგუფს, სადაც ფანიც უნდა ყოფილიყო, დაავალა გამგზავრებულიყვნენ ონში, ადგილზე იუბილეს წინასწარ მოსამზადებლად, რომელიც დანიშნული იყო 1964 წლისათვის. მანამდე გ. ციციშვილს დაევალა მოემზადებინა გამოსაცემად მონოგრაფია გ. ბააზოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გამომცემლობას ხელმეორედ უნდა დაესტამბა გერცელის შემოქმედების ნიმუშები. გაზეთებში იწყეს მოგონებებისა და წერილების პუბლიკაცია. მეტად საინტერესო მოგონებებს ბეჭდავდნენ გერცელის თანამედროვენი უჩა ჯაფარიძე,*) დიმიტრი ჯანელიძე, ბესარიონ ჟღენტი და სხვ.

საქმიან ჯგუფს შევუერთდით ჩვენც — მე, ძმისშვილები — ნათანი, ლილი და მისი მეუღლე კარლო ტაბატაძე და ზოგიერთი ახლობლებიც.

●

1963 წლის გაზაფხულზე შესანიშნავი დღეები იდგა. გეზი ავიღეთ ცხინვალისკენ. მაშინ ასე გვირჩიეს, ცხინვალიდან ონისკენ გაყვანილი სამანქანო ახალი გზა გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე ქუთაისიდან ჭრებალოზე გავლითო.

ღამე გავათიეთ ცხინვალის სასტუმროში. ყველას დაგვამახსოვრდა ოსური, არაჩვეულებრივი გემოს ხაბიძგინები (ხაჭაპურები). ადრე დილით ავტომანქანით ყველა გავუდექით ონისკენ მიმავალ გზას. გარშემო არემარე ველური სილამაზისა იყო და მომხიბვლელი. ვტკბებოდით უჩვეულო ბუნების ხილვით. მეტადრე ჩემთვის, ქალაქში გაზრდილისათვის ეს იყო რაღაც ახალი, მანამდე არნახული ზღაპრული ბუნება. მთის ფერდობზე გაყვანილი სამანქანო გზის მარჯვნივ აღიმართებოდა მწვანე მოლურჯო ფერის უღრანი ტყით დაბურული, ცას მიბჯენილი კლდოვანი მთები. იმავე გზის ხელმარცხნივ იყო ღრმა ხევი. მიუჩვეველ ადამიანში იგი შიშს იწვევდა. ხევის გადაღმა ისევ კლდოვანი და ვარდისფერ-ცისფერ ფერებში გახვეული მთების რიგი მიემართებოდა. უჩვეულო სანახაობით მოხიბლული ჩვენი ჯგუფი შესანიშნავი გზატკეცილით მიჰქროდა ონისკენ. მაგრამ რამდენადაც ამ შესანიშნავმა ბუნებამ გვასიამოვნა, იმდენად მოულოდნელი სიურპრიზიც დაგვახვედრა. მაღალი ღმერთი რომ არ დაგვხმარებოდა, შეიძლებოდა ჩვენი მგზავრობა ცუდად დამთავრებულიყო. თითქმის გზის შუაგულს რომ მივუახლოვდით, წავაწყდით საშიშ მდგომარეობას. მთის მწვერვალზე მზის სხივების მოქმედებით დნებოდა თოვლი, იშლებოდა მთის ქანები და მორღვეული უშველებე-

*უჩა ჯაფარიძის მიერ დახატული გერცელის პორტრეტი ის. აქვე, განყოფილებაში „გერცელი“

ლი ლოდები ვარდებოდნენ ფერდობზე. ნაწილი ამ ლოდებისა პირდაპირ ხევის უფსკრულისკენ მიექანებოდნენ. მაგრამ მათი ნაწილი ჩვენი გასავლელი გზის ფერდობზე ეცემოდა. გზა აღმოჩნდა ჩახერგილი დაქანებული მთის ფერდობის მსგავსად. ადამიანს რომ ფეხი დაედგა რომელიმე ქვაზე, შეიძლება ესეც დაძრულიყო ადგილიდან, გადავარდნილიყო ხევში და თან ჩაეყოლა ადამიანი. შევჩერდით ჩახერგილი გზის წინ. რა გვექნა ან რა გვეღონა? არ იყო არავითარი კომუნიკაციის საშუალება. დრო გადიოდა. ონში მოგველოდნენ. ვინაიდან დროზე არ ჩავედით, იქ ივარაუდეს, ალბათ გზაზე რაიმე ხიფათს წააწყდნენო. არ დაუყოვნებიათ და იქვე ჩვენსკენ წამოსულან. თან დამხმარე ნივთებიც წამოეღოთ. ჩახერგილი გზის გადაღმა შევნიშნეთ ჩვენს შესახვედრად მოსული ონელები. საერთო ღონისძიებით, ღვედებითა და ქამრებით ერთმანეთზე გადაბმულებმა დიდი რისკით გადავიარეთ იმ ლოდებზე. ნებისმიერ წუთში შეიძლებოდა ისინი დაძრულიყვნენ ან ზემოდან ისევ ჩაერტყათ ბუნების ღმერთებს ჩვენთვის თავში ქვები ან ლოდები. მაგრამ გადავრჩით, გავედით სამშვიდობო გზაზე ცრემლგარეული სიცილით.

უკვე დაბინდებული იყო, როცა ონში ჩავედით. რაც შიში და ძრწოლა გავიარეთ გზაზე, კეთილმა ონელებმა მალე გაგვიქარწყლეს არაჩვეულებრივი თავიანთი დახვედრითა და მასპინძლობით. ყველა კარგად მიგვიღეს, მაგრამ უნდა გენახათ როგორ შეხვდნენ მოხუცებული ქალები ფანის. თურმე იქ დაბადებული ფანისადმი მათ წმინდა სიყვარული შემოუნახავთ. „ჩვენო ფანიკო,

შეხვედრა ონის ხალოცავის შესახვლელთან

საიუბილეო საშზადისის მონაწილეთა ერთი ჯგუფი
ონში, რიონის სანაპიროზე.
მარცხნიდან: ისაკ მეგრელიშვილი, დოცია ბაზოვი, მეირ ბაზოვი,
რივა წითლიშვილი, მიშა ჯანაშვილი, ლილი ტატიკიშვილი, ნათან ბაზოვი

შენ ჩვენს კალთაში ხარ გაზრდილი. ნუთუ კიდევ ველირსეთ შენს ნახვას.“ ამის მსგავსი სიტყვები ესმოდა ფანის მოხუცებული ქალებისაგან. ისინი სიხარულის ცრემლებით ეხვეოდნენ ფანის, კოცნიდნენ და ერთმანეთს არ უთმობდნენ. ფანისაც უხაროდა, რომ მისდამი ხსოვნა შემოუნახავთ ძველ ონელებს. ამ სანახაობას ყველა ჩვენთაგანი აღტაცებულნი შევყურებდით. იმ სამუშაო დღეებში ონელები არაჩვეულებრივად გვიმასპიძლდებოდნენ. იშლებოდა იშვიათი ნამზადი კერძებით მაგიდები. იქაურ ხახვსა და მწვანილსაც კი სულ სხვა გემო ჰქონდა, ვიდრე ეს ჩვენ გვქონდა ქალაქელებს. მათი ღვინო და უწერას წყლები სასწაულმოქმედნი იყვნენ. რომელი ერთი ჩამოვთვალო, და იქ გატარებული დღეები დაუვიწყარი იქნება ყოველთვის ჩემთვის. გული გვტკიოდა დედის გამო, რამეთუ ვერ ვირისკეთ ამ შორეულ გზაზე მისი წამოყვანა. თბილისში იგი საიმედო მზრუნველის, თამრიკოს ზედამხედვლობის ქვეშ დავტოვეთ. მაგრამ ონელი ქალები სულ დედის ხსენებაში იყვნენ. მათ შემორჩენილი ჰქონდათ საუკეთესო მოგონებანი დედის მიმართ. ჩვენი დედა რახელი, რომელიც სულ ახალგაზრდა ჩასულა იქ, ისე შეესისხლხორცა ონს, რომ თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევდა.

საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა ჯგუფი ონის ცენტრში –
მარცხნიდან: აბრამ მამისთვალოვი, ა. ფინსაძე, ისაკ მეგრელიძვილი,
მეირ ბაასოვი, მიშა ჯანაშვილი (ექიმი), დოცია ბაასოვი (მეირის მეუღლე),
რევა წითლიძვილი, ნათან ბაასოვი, ძალვა წიწუაშვილი,
მიშა ჯანაშვილი (მსატვარი), გერშონ წიწუაშვილი

ონელებმა ფანის საერთო შეხვედრა მოუწყეს ონის სალოცავის შესასვლელში. შეხვედრას ესწრებოდნენ საიუბილეო კომისიის წევრებიც: გიორგი ციციშვილი, დიმიტრი ჯანელიძე, იმ დროს ონში მცხოვრები დათო შიმშილაშვილი და სხვები. აქვე გთავაზობთ ამ შეხვედრის ამსახველ ფოტოსურათებს.

თბილისიდან ონში წარგზავნილმა ჯგუფმა, შეასრულა რა იუბილეს მომწყობი კომისიის დავალება, ახლა გეზი აიღო ქუთაისისაკენ. დავტოვეთ ონი თავისი შესანიშნავი ადამიანებითა და მისი მომხიბვლელი ბუნებით.

ქუთაისის ქალაქის მმართველობა და ფართო საზოგადოებაც დიდი სიხარულით მიეგებნენ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას საიუბილეო საღამოს ჩასატარებლად. სასტუმროს დიდ დარბაზში, სადაც 500-მდე კაცი თავსდებოდა, სტუმრების საპატივცემულოდ მოაწყეს დიდი ბანკეტი. მოწვეული იყვნენ ადგილობრივი თვალსაჩინო წარმომადგენლები, მწერლები, მომღერლები და ქორეოგრაფიული ანსამბლი; მთავარი სიტყვით გამოვიდა საქართველოს დამსახურებული და გამოჩენილი მსახიობი აკაკი ვასაძე. მან ითავა ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის მომზადება მწერალ გერცელ

ქუთაისში. სამადლობელი სიტყვას ამბობს ფანია ბააზოვი.
სუფრაზე მონაწილეთა შორის: არონ კრისელი,
ქუთაისის საქალაქო სბ-ს თავ-რე მეძველაია, ძოწენიძე,
ექიმი ღუცა მეგრელიშვილი და სხვ.

ბააზოვის ხსოვნის საღამოს მოსაწყობად.

დავბრუნდით თბილისში. განსაკუთრებით მე და ფანის მიგვეჩქაროდა ჩვენს მშობელ დედასთან. ფეხი შევდგით თუ არა ბინაში, შემოგვეგება დედაზე მზრუნველი - თამრიკო. დედა ლოგინზე წამომჯდარი დაგვხვდა. დაგვინახა თუ არა, იმ წამსვე ხელები მაღლა აღაპყრო და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ქალიშვილები ცოცხლები დაუბრუნდნენ. წნევა აწეოდა. თამრიკომ გვითხრა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში როცა ჩვენ სახლში არ ვიყავით, დედა სულ ღელავდა. არ ეძინა და სულ ასე ლოგინზე წამომჯდარი იყო. დედა შიშს შეეპყრო. ღელავდა – არ ვიცი ჩვენი დედა გულთმისანი იყო თუ თვალთხილულმა დაინახა ის, რაც რაჭაში მიმავალ გზაზე ზვავის გამო შეგვემთხვა. მან, რომელმაც ახალგაზრდობიდან რაჭაში ოჯახის ბუდე დაიდო, კარგად იცოდა იქაური ბუნების მოვლენები; ის, რომ გაზაფხულზე იქაურ გზებზე მიმავალ ადამიანს ხიფათი ელის. ახლა, მადლობა ღმერთს, სახლში დაგვიგულა და საჯავრელი არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ ერთი გარემოება, რომელსაც ის შინაგანად განიცდიდა და არ გვიმხელდა, იყო ის, რომ ხვდებოდა: თუ მისი შვილის, გერცელის რეაბილიტაცია მოაწყეს და ახლა ფართო

საზოგადოება უშიშრად ახსენებს მის სახელს, თუ ცოცხალი არის, რატომ თავად არ გამოჩნდა?! ახლა დაემსხვრა ის მცდარი სამყარო, ის იმედები გაუქარწყლდა, რომელშიდაც ის იმყოფებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. არაფერს გვეუბნებოდა, მაგრამ ჩვენ ამას ვამჩნევდით. ყოველმხრივ ვცდილობდით გამხნევებას, მაგრამ მისთვის უკვე ძნელი გახდა ამქვეყნიური არსებობა. მისი ამდაგვარი გულჩათხრობილობის შედეგად დაემართა ინსულტი. გულდამწვარი დავტრიალებდით თავზე ჩვენს ძვირფასს, უსაყვარლეს დედას, რომელსაც სიბერემდე ჰქონდა შერჩენილი თავისი მშვენიერება. მეირი შორს იყო – მოსკოვში. თითქოს არ ვაკლებდით იმდროინდელ სამედიცინო საშუალებებს. მაგრამ ვერავინ უშველა. ადამიანის ბედ-იღბალი ღმერთის ხელშია.

დედამ იავადმყოფა სულ ერთი-ორი კვირა. ამ ხნის განმავლობაში თვალს არ ხუჭავდა, თითქოს ელოდა ერთადერთი ვაჟიშვილის მეირის დანახვას. აგერ მეირიც გადმოფრინდა მოსკოვიდან, მიუახლოვდა დედის სარეცელს. დედამ მას მიაპყრო თვალი და გარდაგვეცვალა. ეს იყო 1963 წელს, ნოემბრის 26-ში. დავკარგეთ დედა; ჩვენი საყვარელი, ძვირფასი, ჭკვიანი, ბრძენი, ბურჯი – დედა. თავზარი დაგვეცა... იმის შეგნება, რომ დედა აღარ გვყავს... ძნელია! ვისაც კი ასეთი განუცდია, გაგვიგებს.

დედა დაკრძალულ იქნა ჩვენი მამა დავიდის გვერდით, ორთაჭალის ებრაელთა ძველ სასაფლაოზე.

მე ჩავვარდი დეპრესიაში. ფანი ძალისძალით უმკლავდებოდა ცხოვრების დუხჭირს.

ისევ შემცირდა ჩვენი ოჯახი.

დავრჩით მე, ფანი და მეირი.

ფანი ახლომდგომ მეგობრებმა (განსაკუთრებით დასაფასებელია ბესარიონ ელენტის ზრუნვა ჩვენი ოჯახის ნაშთებზე) ძალით გამოაფხიზლეს იმ გარემოების ძალით, რომ ახლოვდებოდა გერცელის საიუბილეო დღეები და აუცილებელი იყო საიუბილეო სამზადისში და წიგნების გამოსაცემად მისი მონაწილეობა.

# გააძევეს სასიძო კაცი

სადაც მოყვარე გყავს, იქ მტერი და დუშმანიც გებადება. დიახ.

ეს ამბავი დაიწყო ასე. ერთი საკმაოდ ცნობილი პიროვნება, ს. ნ-ლი, ეროვნებით საქართველოს ებრაელი, თავისი განათლებითა და „დამსახურებით" ტრიალებდა ქართველ ინტელიგენციაში. აღნიშნული პიროვნება, გადმოცემით, დაახლოებული იყო როგორც პარტიულ მუშაკებთან, ასევე უშიშროების ზემდგომ პიროვნებასთან. ამ ცნობილმა ადამიანმა მიაღწია ისეთ ასაკს, როცა ბიოლოგიურად უკვე შვილიშვილიც კი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ დარჩენილი იყო უცოლოდ. ალბათ, თავის დროზე ბევრი ქალი დაიწუნა, თუმცა თავადაც არ ბრწყინავდა გარეგნობით. იყო ერთი აბურძგვნილი ტიპი, ჩია; სახიერებით მოგაგონებდათ დაქმუჭნულ, მოხარშულ მსხალს... რას ვიზამთ, გამჩენი ყველას ხომ არ აჯილდოებს სილამაზით. ყოველთვის არა, მაგრამ ასეთნი ხშირად გამოდიან შურიანნი, მტრობენ და მავნებლობენ იმათ, ვინც მათნაირები არ არიან.

ჩემი წერილის „გმირმა კაცმა", როცა უკვე შუახანს მიაღწია, გადაწყვიტა მოეძებნა საბედო. ასეთად მან ჩვენი ერთ-ერთი ნათესავის ცოლეულობაში მიიჩნია. გოგონა მას ასაკობრივად შვილად ეკუთვნოდა, იყო მცირე განათლებით; ხელობით ქალის ფრჩხილების მომვლელი, ე. ი. „მანიკურშას" რომ ეძახიან ხალხში. მაგრამ, როგორც ქალი მეტად მოხდენილი და მომხიბვლელი იყო. გოგონას პატრონებსაც ის ესახელებოდათ, რომ აი, მათ სახლის კარს შეუღებს განათლებული და სახელოვანი კაცი.

დათქვეს ნიშნობის დღე. ჩვენმა ნათესავმა თვითონ იკისრა ამ საქმესთან დაკავშირებით მთელი ხარჯები. შეიკრიბნენ, გაშალეს სუფრა — ისეთი, რომ იტყვიან სამეფო სუფრა იყოო, საუკეთესო ღვინო და ქართველი ებრაელი ქალის განთქმული ძვირფასი კერძებით — და შემოუსხდნენ სტუმარ-მასპინძლები.

მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ მსვლელობა, რომელიც იქ წარიმართა, ცნობილი გახდა დამსწრეთა მონაყოლით.

ყოველი მხრიდან იღვრებოდა დალოცვები. ითქვა ქათინაურები ახალი წყვილის სადიდებლად. ჯერი მიდგა თავად სასიძო კაცზე. წამოდგა სადღეგრძელოს წარმოსათქმელად. და აი, პირველივე სიტყვები, რომელიც მისგან გაისმა, ეს იყო აუგად ხსენება და გაკიცხვა უკვე ცოცხლებში აღარ

არსებული, დაღუპული, ჩვენი უფროსი ძმის – გერცელის მიმართ...

ამ დროს ჩამოეშვა „დამოკლეს ხმალი“... სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ ჩვენმა ნათესავმა, რომელმაც სასიძოს საპატივცემულოდ მოაწყო ის ძვირფასი მიღება, ელდანაცემივით, ჯერ თავისკენ დაითრია გაწყობილი სუფრა, შემდეგ წაავლო მაგიდას ხელი და პირქვე გადააყირავა თავისი საჭმელებით. გაშვერილი საჩვენებელი თითით სასიძოს მიუნიშნა გასასვლელი კარისკენ და მიაძახა: –გაეთრიე! –და რომ აღარასოდეს გამოჩენილიყო მათი კარის ზღურბლზე. იქ დამსწრე სტუმარ-მასპინძლები ჯერ გაქვავებულნი შესცქეროდნენ ამ მოულოდნელ და სწრაფ სცენას და შემდეგ თავადაც შეუერთდნენ ჩვენი ნათესავის მოთხოვნას.

და ჩვენმა სასიძო კაცმა, როგორც კუდამოძუებულმა, დასტოვა იქაობა და, მართლაც, იქ აღარასოდეს გამოჩენილა.

# ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება

## ახალგაზრდა ქართველ ებრაელთა შორის 60-70-იან წლებში

30-იანი წლების რეპრესიების შედეგად ჩამკვდარი იყო ყოველგვარი ეროვნული ხასიათის მოძრაობა. გერცელის დაღუპვამ, რაბი დავით ბააზოვის გასამართლებამ და სხვა სიონისტების დასჯამ ადამიანებს წაართვა აქტიური მოქმედების სტიმული. თუ ვინმე შემთხვევით გადაურჩა შავ პოლიტიკურ ტალღას, ისიც ისე მიიმალა, რომ დღის სინათლეზე ძლივს გამოდიოდა.

სურათზე: მარცხნიდან— დათო შიმშილაშვილი, ფანია ბააზოვი, გერშონ წიწუაშვილი, ჰოლინა ბააზოვი, მიშა ჯანაშვილი

დროს თავისი მიაქვს, ცხოვრება გრძელდება. დამნაშავენი და უდანაშაულონიც ოფიციალურად აღარ იხსენიებოდნენ. თითქოს ჩაბარდნენ ისტორიას. მხოლოდ შეუხორცებელი ჭრილობის სახით ისინი ჩაიმარხნენ ჭირისუფალთა და გულშემატკივართა გულებში.

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ისახება ახალი ტენდენციები. სამხედრო ტრიბუნალი ახდენს რეპრესირებულთა საქმის ხელახლა გადასინჯვას. საკითხისადმი ობიექტური მიდგომის შედეგად მილიონობით უდანაშა-

ულოდ დასჯილნი იქნენ რეაბილიტირებულნი. ახალმა თაობამ თამამად დაიწყო ზრუნვა უკეთესი მომავლის მოსაპოვებლად. სახავდნენ რეალურ გზებს.

60-იანი წლების ქართველ ებრაელთა შორისაც იწყება გამოფხიზლება. აშკარად შეიმჩნევა ეროვნული თვითშეგნების აღდგენა. ახალგაზრდები აწყობენ შეხვედრებს. ხდება ურთიერთგაცნობა.

აღმოსავლეთმცოდნე გერშონ ბენ-ორენის გადმოცემით, შეხვედრების აქტიურ ინიციატორებად გამოირჩეოდნენ: ნოდარ მანაშეროვი, მოშე ჯანაშვილი, მიხეილ მანაშეროვი (სამივე სურამიდან). აღნიშნულ შეხვედრებში გამოირჩეოდნენ მწერალი აბრამ მამისთვალოვი, გერშონ წიწუაშვილი, მიხეილ წიწუაშვილი (სპორტსმენი), მოსე ეფრემაშვილი, შალვა კაცობაშვილი (მოსკოვში შიმშილის გაფიცვის აქტიური მონაწილე), მიშა კრიხელი, შალვა წიწუაშვილი (ქარელიდან), მ. აჯიაშვილი (ფოტოგრაფი), ბორის ჩაჩანაშვილი (პედაგოგი, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, შალვა ბებერაშვილი (ავტომექანიკოსი, ინჟინერი) და სხვ.

ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში შევძელი შეხვედრა ზოგიერთ აქტივისტთან. გაგაცნობთ ჩვენი გასაუბრების მოკლე შინაარსს, რამეთუ ამ საკითხზე დავეყრდნობი მათ მიერ მონაყოლ ფაქტიურ მასალას.

## საუბარი შალვა ბებერაშვილთან

*კითხვა: —რამ იმოქმედა თქვენზე ეროვნული შეგნების გამოღვიძებაში?*

შალვა ბებერაშვილი: —ჯერ კიდევ ადრე ბავშვობაში ჩემზე გავლენა მოახდინა ჩემმა აღმზრდელმა ბიძამ, ხაიმ მორდეხაშვილმა ‘ᲮᲔ. იგი ახალციხიდან თბილისში გადმოსახლების შემდეგ ახალციხელთა სალოცავის გამგეობის (გაბაების) წევრი იყო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის. კარგად მახსოვს ჩემი ადრეული ბავშვობის პერიოდიდან, ჯერ კიდევ ახალციხეში ყოფნის დროს მინახავს მის საოჯახო ბიბლიოთეკაში შემონახული თეოდორ ჰერცელისა და დავიდ ბაზოვის ფოტოსურათები. შემდეგ, ჩემზე უდიდესი გავლენა იქონია ჩვენი ერის დიდი განმანათლებლის, დაუცხრომელი მებრძოლის, დაჩაგრული ქართველი ებრაელების ქომაგის გერცელ ბაზოვის შემოქმედებამ და მოღვაწეობამ. ჩემი ღრმა რწმენით, ქართველი ებრაელობის იმდროინდელი თაობა აღიზარდა მის შემოქმედებაზე. მთელმა ჩვენმა ოჯახმა წაიკითხა გ. ბაზოვის ყველა ნაწარმოები. პირადად დედაჩემზე მისი წიგნების წაკითხვამ მოახდინა უდიდესი გავლენა და იგი გერცელ ბაზოვის დიდი ქომაგი იყო ყოველთვის. ალბათ მე დედისგან მივიღე მემკვიდრეობით შეხედულებები გერცელ ბაზოვზე.

მოწინავე ახალგაზრდობა ხშირად ვიკრიბებოდით გერშონ წიწუაშვილის ბინაზე (აზირის ქ. № 4-ში). ჩვენმა ჯგუფმა თარგმნა იურისის „ექსოდუსი“. შემდეგ ვახდენდით მის გავრცელებას. აღნიშნული წიგნის თარგმნა დაასრუ-

ლა, ჩვენი დაკვეთით, რუსული ენის სპეციალისტმა თ. დათიკაშვილმა. პარალელურად დავიწყეთ ივრითის შესწავლა გერშონ წიწუაშვილთან*).

1967 წელს, ექვსდღიანი ომის შემდეგ ვუხშირეთ შეხვედრებს. ჩვენი ხშირი სტუმარი იყო აქტივისტი, მწერალი აბრამ მამისთვალოვი. იგი ყველას გვიყვარდა და პატივს ვცემდით, როგორც ებრაელ მწერალს.

ჩვენ გვყავდნენ მოკავშირენიც. ასე, მაგალითად, ხანა რაიკინა — ლენინგრადიდან; ლაზარ ლუბარსკი — როსტოვიდან, თამარ მამისთვალოვი — სოხუმიდან.

## საუბარი ბორის ჩაჩანაშვილთან

*კითხვა: — რა ვითარებამ გამოიწვია თქვენში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება?*

ბორის ჩაჩანაშვილი: — ჯერ კიდევ ადრე ჩვენს ქართველ ებრაელ ახალგაზრდებზე მეტად ცუდად მოქმედებდა გავრცელებული ანტისემიტური სიმღერა „ყივრი, ყივრი ბიქებზე“:

ყივრი, ყივრი ბიჭები სანადიროდ წასულიყვნენ,
კურდღელი რომ დაინახეს, შიშით ხეზე აცვივდნენ.
–ბიჭო, ხაიმ! ბიჭო, ხაიმ! მიდი, მიდი, ესროლე!
აბა, როგორ ვესროლო, შიგ თვალებში მიყურებს?!

60-იან წლებში, როცა გერცელ ბაზოვის წიგნები ხელახლა დაისტამბა და გამოიცა, ჩვენ, ახალგაზრდობამ ყველამ შევიძინეთ. ამ ახალმა ვითარებამ თითქოს ფრთები შეგვასხა. პირადად ჩემზე გავლენა მოახდინა დეიდაჩემმა ევამ. მას ყოველთვის უყვარდა გერცელ ბაზოვზე ჩვენთან საუბარი.

30-იან წლებში ბერიას სახ. კულტურის სახლში იდგმებოდა ქართველ ებრაელთა დრამკოლექტივის მიერ გერცელ ბაზოვის პიესები (რეჟისორი სულიაშვილი). მის პიესებში დეიდაჩემი ევა აკოშვილი იყო ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი. მაგალითად, პიესაში „მუნჯები ალაპარაკდნენ“ — მირიამის როლში.

ხშირად ვიკრიბებოდით მიშა წიწუაშვილის (ქარელიდან) ბინაზე. ყოველდღე ვუსმენდით „კოლ ისრაელს“. გვიყვარდა ისრაელის მომღერალი გეულა გილას მოსმენა. მე ჩემს პირველ გოგონას დავარქვი გილა.

ჩვენს მთავარ საქმიანობას შეადგენდა ვიზების ორგანიზაცია. ვაგროვებდით ცნობებს ისრაელში პოტენციალურ წამსვლელთა შესახებ და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით მათ.

ჩვენი ერთ-ერთი დიდი პატრიოტული ღონისძიება იყო 1969 წელს მხატვარ მიშა ჯანაშვილის იუბილეს ჩატარება თბილისის ხელოვნების სახლში.

---

*ივრითის შესწავლის მიზნით გერშონ წიწუაშვილმა ჩვენს ოჯახშიც მოგვიტანა ივრითის თვითშემასწავლებელი სახელმძღვანელო, რომლითაც სარგებლობდნენ ჩვენი ნათესავებიც. (პ. ბ.)

## საუბარი იცხაკ დავიდთან

მე პირველად ვიხილე იცხაკ დავითაშვილი, როდესაც რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილის ნეშტი მიაბრძანეს ახალციხელ ებრაელთა სალოცავის ეზოში. ხახმების შემდეგ, რომლებმაც მის ხსოვნას უძღვნეს დარაში და სიტყვები, გამოვიდა ახალგაზრდა, სტუდენტი იცხაკ დავითაშვილი. მან თავის სიტყვაში აღნიშნა: შენ იყავი თორისა და ებრაული ენის ჩემი პირველი მასწავლებელიო...

შემდეგ ჩვენ ბევრი გვესმოდა მისი ნიჭიერებისა და განსაკუთრებით მრავალი ენის დაუფლების შესახებ. ჩვენს ოჯახში იცხაკი პირველად შემოიყვანა დათო შიმშილაშვილმა. ამის შემდეგ იგი ხშირი და სასურველი სტუმარი გახდა ჩვენთვის.

ერთხელ, როცა ჩვენი ძმა მეირი თავისი შვებულების დროს იმყოფებოდა ჩვენთან თბილისში, შევახვედრეთ ეროვნულად განწყობილი ქართველი ებრაელების ერთ ნაწილს. მათ შორის იყვნენ იცხაკ დავითაშვილი, გერშონ წიწუაშვილი, დათო მირილაშვილი, იურა მირილაშვილი, დათო შიმშილაშვილი, თენგიზ იოსებაშვილი და სხვ.

*კითხვა:* უნივერსიტეტში, სადაც თქვენ ასპირანტიც გახდით, აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით, ჰედაგოგ-ლექტორები ყველა კეთილად იყო განწყობილი თქვენს მიმართ და მიუხედავად ამისა, მაინც ეროვნულმა გრძნობამ დაგძლიათ და ამოხვედით ერეცისრაელში. რამ განაპირობა თქვენი ეროვნული თვითცნობიერება?

*პასუხი:* დავასახელებ სხვადასხვა ფაქტორებს, რომლებმაც ჩემზე მოახდინეს გავლენა. პირველ რიგში ჩემს მშობლებს. მამაჩემი — ხაიმ იოსების ძე დავითაშვილი არა მარტო ახალციხის საზოგადოების თავმჯდომარე იყო, არამედ ფრიად განსწავლული ებრაულ საკითხებში. დედის მხრიდან ბევრი მსმენია მისი ბაბუის, დიდი რაბის იცხაკ მანაშერაშვილის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ი. ჩორნიმ მოიხსენია თავის შრომებში, როცა თავისი მოგზაურობის დროს გაეცნო ახალციხის ებრაელობას.

აღვიზარდე სრული ეროვნული სულისკვეთებით ჩემს დედმამისეულ ოჯახში.

დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, როცა თქვენს ოჯახში გავეცანი რაბი დავიდ ბააზოვის კუთვნილ ბიბლიოთეკას ივრითზე. თქვენი ძმა მეირის გაცნობამაც მოახდინა ჩემზე გავლენა.

დიდ ფაქტორად მიმაჩნია ბორის გაპონოვის გაცნობა და მასთან დაახლოება. მე მომეცა საშუალება გავცნობოდი მის უნიკალურ ეროვნულ ბიბლიოთეკას. ვიყავ მოზიარე მის მიმოწერაში აბრამ შლიონსკისთან, ლევინსკისთან, ბინსკისთან და სხვებთან.

როცა პიატიგორსკში ვიმგზავრე, წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა



Уважаемые Фаина Давыдовна и Таис Давыдовна!

Поздравляю Вас с наступающим Новым годом и от всей души желаю Вам всего наилучшего – крепкого здоровья, бодрости духа, душевного тепла и всего, что только можно пожелать от чистого сердца!

Ваш Б. Готоров.

26. 12. 69.

ბორის ვაჰონოვის საახალწლო მილოცვა
ფანია და ჰოლინა ბააზოვებისადმი

ჩემზე ტრუმპელდორის ისტორიის გაცნობამ. ბევრი მყავდა სიონისტურად განწყობილი მეგობრები ოდესაში და სხვა ქალაქებში.

ბევრი მქონდა შეხვედრები საქართველოს ახალგაზრდა ებრაელებთან. თუმცა ყოველი ასეთი შეხვედრების და საუბრების დროს ვიმყოფებოდით დიდი შიშის ქვეშ, რამეთუ გამორიცხული არ იყო თუ ჩვენს შორის აღმოჩნდებოდა დამსმენიც. ჩემს მეგობარ-ამხანაგებს შორის, რომლებთანაც ვიყავი დაკავშირებული, იყვნენ: ბორის ჩაჩანაშვილი (შემდეგში სპორტსმენი და ბიოლოგ-პედაგოგი), მიშა წიწუაშვილი, შალვა წიწუაშვილი (ახლა ქართველ ებრაელთა მუზეუმის დირექტორი თბილისში), მხატვარი მიშა ჯანაშვილი, მოსე დანიელოვი, მოშე ამშიკაშვილი, იცხაკ მეგრელიშვილი და სხვ.

სამწუხაროდ, ახალგაზრდებს შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც განწყობილნი იყვნენ ისრაელის საწინააღმდეგოდ. მათ სჯეროდათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის და ისრაელს უწოდებდნენ აგრესორს. ასეთი კატეგორიის ადამიანებისაგან, შემდგომ პერიოდში, ბევრმა მოიბრუნა პირი ისრაელისაკენ. ადრე თუ გვიან ბევრი გამოფხიზლდა და შეიცნო ეროვნულობა.

ასეთებზე, უთუოდ, რელიგიურმა აღზრდამაც იქონია გავლენა. ადრე თუ გვიან ბევრი მათგანი დაადგა ისრაელისაკენ მომავალ გზას. მაგრამ მანამდე, როგორც იცხაკ დავიდი აღნიშნავს, საშიშროების თავიდან ასაცილებლად, „ვცდილობდით ყველასთან არ გამოგვემჟღავნებინა ჩვენი მიზანდასახული არსი."

## „შლოშიმი“

1970 წლის იანვარში კიდევ ერთი საშინელი დარტყმა დაგვატყდა თავს: მოსკოვიდან შეგვატყობინეს მეირის უცაბედი გარდაცვალება.*)

თბილისში მობრუნების შემდეგ ჩვენს ბინაზე მოეწყო მეირის ხსოვნის საღამო — „შლოშიმი“. საღამოს ესწრებოდნენ მისი სიყრმისა და ჭაბუკობის მეგობრები: მოსე დანიელოვი, არონ კრიხელი, მორდეხ დანიელოვი, ოლია პაპისმედოვი, იოსკა მანაშეროვი, ისაკ მეგრელიშვილი და სხვ. გერშონ მეგრელიშვილი იმ პერიოდში უკვე გასული იყო საბჭოთა კავშირიდან და იმყოფებოდა პოლონეთში, საიდანაც შემდეგ ამოვიდა ისრაელში. გარდა ზემოთ აღნიშნულებისა ესწრებოდნენ ოჯახის სხვა მეგობრებიც: მიშა ჯანაშვილი, სიმონ ჯინჯიხაშვილი და სხვ.

მეირის საფლავი მოსკოვში

იმ საღამოს ესწრებოდა აგრეთვე შალვა მეგრელიშვილიც. ვინ იფიქრებდა, რომ ეს უკანასკნელი, რომელიც თავის გამოსვლაში ქება-დიდებას ასხამდა მეირს, იგივე ადამიანი, მოგვიანებით — უკვე

* ამ ამბების შესახებ ვრცლად იხ. ჩემი წერილი, „მეირის ხსოვნას“ აქვე, განყოფილებაში „მეირი“

ისრაელში ყოფნის დროს, როცა აღარც ფანი იყო ცოცხალი და აღარც თავისი ძმა გერშონ მეგრელიშვილი — ისრაელში გამომავალ ქართულენოვან გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნდა შხამით სავსე და სიძულვილის გამომხატველი პასკვილი მეირზე და საერთოდ მთელ ოჯახზე. მოენეები ამბობდნენ, რომ ამას სჩადის ჩვენი ყოფილი, პირველი სამშობლოს გარკვეული ორგანო-ების დავალებითო.

მეირის ხსოვნის საღამოზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პირველად იქნა წაკითხული წერილი, დაწერილი და გამოგზავნილი ჩვენს — დების სახელზე პროფ. მიხაელ ზანდის მიერ.*)

მეირის გარდაცვალებამ დაგვცა არა მარტო მორალურად, არამედ ფიზიკურადაც გაგვტეხა. ფანი მთელი გაზაფხული და ზაფხულიც ფეხზე ვერ დადგა. წელში დაარტყა ტკივილმა და დაემართა მწვავე რადიკულიტი. მე სკოლის მეგობრებმა ძალით გამიყვანეს სამსახურში. სკოლაში ახლოვდებოდა გამოსაშვები გამოცდები. ახალი მისული ვიყავი, როცა სკოლის შენობაში საფეხურზე ფეხი დამიცდა და კედელს მივარტყი თავი. ტრავმის შედეგად დიდხანს ვერ მოვედი ნორმალურ მდგომარეობაში. ფანი იწვა ჩვენი ბინის ერთ ოთახში, მე მეორეში, თითქმის ერთდროულად. მძიმე იყო ჩვენი ყოფა. იმ ხანად ბევრი მეგობარ-ნაცნობი მოდიოდა ჩვენს სანახავად. მნახველებს შორის იყვნენ ისეთნიც, რომელთაც ბედმა სასიხარულოდ გაუღიმა: ნელ-ნელა იწყეს ისრაელში გამგზავრება. მოდიოდნენ ჩვენთან გამოსამშვიდობებლად. მათ შორის იყვნენ: ხახამ რეფაელ ელაშვილი, გერშონ წიწუაშვილი, არონ კრიხელი, იცხაკ დავითაშვილი, თენგიზ იოსებაშვილი, ისაკ მეგრელიშვილი, რონი და ნელი მიხელაშვილები, ჩვენი აშქენაზი ნაცნობები და სხვ.

დაიძრა ხალხი. გვიხაროდა. გაიხსნა ცივი ქვეყნის რკინის ჭიშკარი და იაკობის შვილები გაემართნენ მზის ქვეყნისაკენ — ისრაელში. სადღაცას გულიც კი გვტკიოდა მათთან განშორების გამო. იმ პერიოდში მხოლოდ ნათესაური კავშირებით შეიძლებოდა ისრაელში ამოსვლა. ისრაელში ჩასული თავის მეორე ნათესავს იწვევდა. ვიწროვდებოდა ჩვენი მეგობარ-ნაცნობების წრე. აღთქმულ ქვეყანაში ჩვენ არავინ ნათესავი არ გვეგულებოდა და არც არავის ვაგონდებოდით. სწორედ იმ დროს, როცა თითქოს და ჯაჭვისებური რეაქციით ებრაელები მიემართებოდნენ ისრაელში, საბჭოთა საქართველოს ხელისუფალნი სერიოზულად შეშფოთდნენ... სად მიდიან? რატომ მიდიან?! ყველას როდი ესმოდა ამ პროცესის მნიშვნელობა. და მოხდა ისე, რომ საქართველოს გამგებელმა ვასილ მჟავანაძემ თავის კაბინეტში მიიხმო შვიდი გამოჩენილი ქართველი ებრაელი, უმთავრესად პარტიული მუშაკნი.

---

* ეს წერილი დართული აქვს ფანის მიერ ისრაელში გამოცემულ წიგნს «Прокажённые».

მან მათ პირდაპირ დაუყენა საკითხი:

—რატომ მიდიან ებრაელები საქართველოდან? ჩვენ ხომ მათ არაფერს ვუშავებთ?! განა ცუდად ცხოვრობენ ებრაელები საქართველოში?!.

მე არ დავასახელებ ამ შვიდი ებრაელის სახელს. მაგრამ მე მსურს, რომ ყველასათვის გახდეს ცნობილი მათი პასუხი:

—ამის მიზეზი გახლავთ, —მოუხსენებიათ იმ ებრაელ თავკაცებს, —ის თესლი, რომელიც თავის დროზე ქართველ ებრაელებში დათესა დავით ბააზოვმა. ახლა მოიმკა. ეს მხოლოდ დავით ბააზოვის ბრალია...

—ვინ ჰყავს დღეს ცოცხალი დავით ბააზოვს? —უკითხავს მჟავანაძეს. და იქ დამსწრე ქართველმა ებრაელებმა უპასუხეს ის, რაც იყო სინამდვილეში; რომ დავიდ ბააზოვს, სადღეისოდ, ცოცხალი ჰყავს ორი ქალიშვილი: ფანი და პოლინა. და მოახსენეს ჩვენი ვინაობაც.

მჟავანაძეს გაუცია განკარგულება, რათა მათ და აგრეთვე სხვებმაც, ერთგულმა პარტიულმა მუშაკებმა ყოველი ღონე იხმარონ — აგიტაციით და სხვა საშუალებებით, რათა შეაფერხონ ებრაელთა მსვლელობა ისრაელში.

მალე აღნიშნულმა ჯგუფმა თავის მხარდამჭერთა დახმარებით გააჩაღა ანტიისრაელური კამპანია: ისინი იყენებდნენ რადიოს, ტელევიზიას და სხვადასხვა სახის შეკრებებს, რათა დაეგმოთ „აგრესორი“ ისრაელი და ხელი შეეშალათ ისრაელში ამომავალ ებრაელთათვის. ყურმოჭრილი მონებივით (რომელთაგან შემდგომში ბევრი თავადაც გადუდგა ოფიციალურ პოლიტიკას) „ერთგული“ ებრაელები მალე მოჰყვნენ ანტიისრაელურ აგიტატორთა მახეში, მაგრამ ასეთებმა მცირე პროცენტი შეადგინა, რამეთუ ისრაელში წამომსვლელთა პროცესს ვერავითარი ღონისძინება ვერ აჩერებდა.

ჩვენს პირადულ ცხოვრებაშიც მოხდა მოულოდნელი საოცრება — ისრაელიდან ჩვენც მოგვივიდა „ვიზა“ („მოწვევა“). ხელს აწერდა ფსევდო-ნათესავი, ვინმე იაკობ ხაგაი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გვეჩვენებოდა, რომ მოხდა სასწაული. სათანადო ორგანოებში („ოვირში“) განვაცხადეთ: დედის მხრიდან ნათესავი ი. ხაგაი სამამულო ომის დროს იმყოფებოდა პარტიზანებში, მაგრამ შემდეგ პოლონეთის გზით წავიდა ისრაელში. ასე და ამგვარად, ჩვენც აღმოვჩნდით პოტენციალურ წამსვლელთა სიაში... ვინღა გვყავდა?.. დედ-მამა და სამივე ძმა მიწაში იწვნენ. მათ გამო გული გვეჩაგრებოდა... ვინღა ივლიდა სასაფლაოზე მათ მისაკითხად? ვინ დაიტირებდა მათ?! ვინ დაუნთებდა მათ სანთელს? მეორეს მხრივ, ვგრძნობდით, რომ ეს იყო ჩვენი მოწოდება — დარჩენილ ამ ორ დას უნდა გაგვეგრძელებინა მათ მიერ გაკაფული გზა...

მაგრამ ამ ამოცანის სისრულეში მოყვანა არც ისე იოლი იყო ჩვენთვის. იმჟამად ფანისაც და მეც, ორივეს გვქონდა სამსახური. ფანი მუშაობდა საქართველოს ადვოკატურაში და იქ საკმაოდ კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. მე სკოლაში, დატვირთული სრული განაკვეთით და არც მე

ვითვლებოდი ცუდ პედაგოგად. გვქონდა საარსებო საშუალება, გაგვაჩნდა ბინა, რომელიც ფანიმ თავისი შრომით და ზრუნვით ააგო. მაგრამ ისრაელში გამგზავრებისათვის არ გაგვაჩნდა არავითარი მატერიალური საშუალება. რა დამავიწყებს იმ მწარე დღეებს. მტკიოდა თვალები, როცა სახლში მობრუნებულს ფანის ვხედავდი, ჩუმად თავის ოთახში ატირებულს. სესხს არავინ გვაძლევდა, ხელს არავინ გვიმართავდა... ვაწყდებოდით მხოლოდ პირმოთნეობას. დამცირება და იმედის გაცრუება იყო ჩვენი ხვედრი იმხანად. აქედან გამომდინარე გავხდით თავზე ხელაღებულნი. საქმე იმაში იყო, რომ ფანი, როგორც იურისტი, თავისი კვალიფიკაციისა და სინდისის მიხედვით ყოველთვის კანონიერების დამცველად გამოდიოდა. ახლა თავად დაარღვია ოფიციალური კანონი. ჩვენი ბინა, რომელიც „ჟაკტის" კუთვნილებას წარმოადგენდა, ჯერ გავარემონტეთ, გავალამაზეთ და შემდეგ გადავცვალეთ უხარისხო, ერთოთახიან, ნახევრად სარდაფულ ბინაზე, რის შედეგად ავიღეთ განსხვავებული თანხა. ეს პროცესი იყო უკანონო, რაზედაც არსებობდა სათანადო სასჯელი, მაგრამ... შეგვრჩა.

ვიდრე იმ ნახევრად სარდაფში გადავიდოდით, ჩვენს ამოცანას შეადგენდა მამისეული ძვირფასი ბიბლიოთეკისათვის „ლაშონ ჰაკოდეშის" ენაზე, როგორც მაშინ ვამბობდით, მოგვეევლო. საქმეში ჩახედული ადამიანები გვარწმუნებდნენ, რომ დავით ბააზოვის კუთვნილ ბიბლიოთეკას ძველ ებრაულ ენაზე არ გაგვატანდნენ ისრაელში. მოვიწვიეთ სალოცავიდან წარმომად-



ჰოლინა ბააზოვის ხელმძღვანელობით მზადდება სკოლის კედლის გაზეთი

გენლები. მათ შეარჩიეს მხოლოდ სამლოცველო წიგნები. დანარჩენებს — ე.ი. ისტორიულ და ფილოსოფიურ უნიკალურ წიგნებს ებრაულზე მათ ხელი არ ახლეს, არ მოინდომეს. ასეთები კი ბევრი იყო — ათასამდე. გადავწყვიტეთ ჩაგვებარებინა საქართველოს აკადემიური ბილიოთეკისათვის. სხვა გამოსავალი იმ ხანად არ ჩანდა. მოხდა ისე, რომ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ ცნობილი გახდა პროფ. შალვა მარდახიაშვილისათვის. ერთ მშვენიერ დღეს, დათო შიმშილაშვილის წინამძღოლობით, გვესტუმრა პატივცემული პიროვნება, პროფ. შალვა მარდახიაშვილი. მან შემოგვთავაზა, რომ იგი მზად არის იკისროს დ. ბააზოვის წიგნები გადააგზავნოს ისრაელში. რას მოვინდომებდით ამაზე უკეთესს! პროფ. შალვა მარდახიაშვილი ჩანდა სანდომიანი და სერიოზული ადამიანი, ნიჭიერი და ცხოვრებისეული საკითხების მცოდნე. დავთანხმდით და მამისეული კუთვნილი უნიკალური წიგნები ძველ ებრაულ ენაზე გადავეცით მას. ეს მოხდა ჯერ კიდევ ძველ ბინაზე ყოფნის დროს. რა დაემართა შემდეგში აღნიშნულ ბიბლიოთეკას, დღესაც არის, რომ მე არ ვიცი. არ იცოდა ფანიმაც. ფაქტია, რომ ჩვენ ის წიგნები აღარ გვინახავს. როცა ერთმანეთს შევხვდით ისრაელში, ყოველ შეხვედრაზე იგი სხვადასხვა ვერსიას გვეტყოდა ხოლმე აღნიშნული წიგნების გაუჩინარების გამო.

შემდეგ, ჩვენს სერიოზულ ამოცანას წარმოადგენდა იმ მასალების ამოკრეფა საქართველოს საარქივო მასალებიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო დავიდ ბააზოვის მოღვაწეობასთან. ამ მიზნით ფანი ხშირად ჩადიოდა ქუთაისში. თბილისში მეც ვეხმარებოდი. იმ ხანად მეტად სახიფათო იყო ამ საკითხზე მუშაობა. თბილისის სპეცოთახებში ფანიმ აუხსნა, რომ ახლოვდება გერცელის 70 წლისთავი და ამასთან დაკავშირებით მას სურს შეაგროვოს მასალა. ხანდისხან თურმე სიცრუეც ყოფილა საჭირო. ასეთივე მეთოდით გამოვიტანეთ გაზეთ „მაკაველი"-ს ქსეროკოპიო. რა თქმა უნდა, რომ ამ კონსპირაციულ საქმიანობაში თითო-ოროლა ერთგული ადამიანები გვეხმარებოდნენ. როცა ეს საკითხიც მოვაგვარეთ, შეგროვილი მასალა გადაბეჭდილ იქნა რამდენიმე ეგზემპლარად და დაგზავნილი სხვადასხვა გზით. ამ საქმემ საკმაო სახსრები შთანთქა, რამაც შეამცირა გადაცვლილ ბინაში აღებული თანხის რაოდენობა.

◆◆◆

დავიწყეთ მზადება გასამგზავრებლად. ჩვენ — ფანიც და მეც დავეთხოვეთ ჩვენს სამსახურებს. ის რეაგირება, რომელიც მოახდინეს ჩვენმა მეგობრებმა სამსახურში, როცა შეიტყვეს ჩვენი განზრახვა, არასოდეს არ დაივიწყება. რა არ შესთავაზეს ფანის: დამსახურებული ადვოკატის წოდება, გამგეობა და პერსონალური პენსიის დანიშვნა. სიყვარული და სითბო, რომელსაც ის იღებდა თავისი კოლეგების მხრიდან, დაუფასებელი იყო. ჩემთანაც, სკოლაში თითქმის იგივე მდგომარეობა იყო. სკოლის დირექტორმა ეთერ ჯაფარიძემ

აღნიშნა, შენი წასვლა ჩვენგან სამუდამოდ, სიკვდილზე უარესიაო. როცა მოკვდება ადამიანი, მიხვალ საფლავზე და დაიტირებ. ამ შემთხვევაში შენ სულ დაკარგული იქნებიო ჩვენთვის. მასწავლებელი ეთერი მჭედლური მეტყოდა: სად მიდიხარ, იქ ჩვენისთანა მეგობრებს ვერასდროს იშოვიო. ვაი, რომ აქ ყოფნისას სინამდვილემ ბევრჯერ გამახსენა მისი სიტყვები. მაინც რა ჭკვიანი აღმოჩნდა ეთერ ჯაფარიძე, როცა დასძინა:

— ჯერ ნუ ითავისუფლებ თავს სამსახურიდან. ვინ იცის წასვლამდე რამდენ ხანს მოგიხდეთ შეჩერება ან შეფერხება. საარსებო საშუალება გამოგელევათ, მერე რას იზამთ... — ეს ადამიანი ჩვენზე უფრო წინდახედული აღმოჩნდა. როგორ მიხვდა, რომ მოგველოდა „იამიმ ნორაიმ“ — ძნელი დღეები. მართლაც, „ოვირიდან“ ნებართვის მიღების ლოდინში მოულოდნელად მივიღეთ უარი. უფრო სწორად, არ უშვებდნენ ფანის. რუსეთში ამას „ოტკაზნიკობას“ ეძახდნენ. საქართველოში არავის აკავებდნენ, რამეთუ ებრაელების ეს გამგზავრება გაფორმებული იყო როგორც მორწმუნე ებრაელების ამოსვლა წმინდა ქალაქ იერუშალაიმში. ასეთნაირად უართქმულნი შევრჩით იმ ნახევრადსარდაფულ ბინას. არ ვიყავით შეჩვეულნი უჰაერობასა და უსინათლო სადგომში ცხოვრებას. ასე გასტანა ზაფხულმა, შემოდგომამ, ზამთარმა, გაზაფხულმა. ხშირად ვხდებოდით ავად. ფანის ემართებოდა ჰიპერტონული კრიზი, მე — ბრონქიტი. არც სამსახური, აღარც ბინა და, რაც მთავარია, გამოგველია ფული.

მოდიოდნენ ჩვენთან გულშემატკივარნი. ფანი მაინც თავისი ჩვეული მასპინძლობით ყველას უძღვებოდა. გულს ვითბობდით, როცა გერცელის შვილიშვილები, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, ხშირად გვაკითხავდნენ. ფანიც მათ ჩვენს დროებით სადგომში დაბადების დღესაც კი უმართავდა. ხშირად გვესტუმრებოდა ხოლმე პროფ. შალვა მარდახიაშვილი. იგი საჭირო შემთხვევეაში წამალსაც არ გვიშურებდა.

ჩვენთან მომსვლელთა შორის ხშირად იყო აგრეთვე ადვოკატი მ. ნ-ლი. იგი ხშირად დაიარებოდა ჩვენსას თავისი ცოლ-შვილით ძველ ბინაზე — შაუმიანის ქუჩაზე. თითქოს ჩვენი მეგობარი სჩანდა იმ ხანად... მაგრამ რატომღაც ისრაელში მოხვედრილი ადამიანი, თითქოს და ცხარე მზის სხივების ზემოქმედების გამო, ან იქნებ მაღალი ღ-თის ძალით, შიშვლდება და ვეღარ ფარავს იმას, რაც მას შიგნით სულში უდევს. ამის შედეგად მას ყოველთვის, როგორც მედალს ჰქონია ორი მხარე, ასე მასაც ჰქონია. ასე აღმოაჩნდა მასაც. იქ კი, ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას ვინც გვიღიმოდა, ყველა ჩვენი კეთილის მსურველი გვეგონა. და ასეთადაც მიგვაჩნდა ადვოკატი მ. ნ-ლი. ისრაელში კი მან ნიღაბი მოიხსნა და გამოამჟღავნა ფანისადმი შური და მტრული დამოკიდებულება. მისი კარნახით არაერთი ცილისწამება დაიბეჭდა ქართულენოვან გაზეთში (ისრაელში).

შემდეგ, მოდიოდნენ ჩვენთან ე.წ. „აგიტატორები“, რომლებიც ცდილობ-

დნენ ისრაელის სინამდვილე შავ ჩარჩოებში წარმოესახათ. მათ შეგროვილი ჰქონდათ ისრაელიდან მიღებული წერილები, სადაც იწერებოდნენ ყოველივე ცუდს ისრაელის შესახებ. იწერებოდნენ, რომ ისრაელში არ არის წყალი, არც ხეები და ბალახი. მთელი ქვეყანა გადამშრალია და გადამწვარია. გარშემო სულ ქვიშაა. ითხოვდნენ სახეზე წასაცხებ მალამოს, ვინაიდან სახეზე მუწუკები უჩნდებათ, დადიან ნიღბებით მავნე მწერებისაგან დასაცავად...

მსგავსი წერილები ხანდისხან გაზ. „სოფლის ცხოვრებაშიც“ იბეჭდებოდა. მაგრამ ჩვენ რაც უფრო მეტად ცუდ წერილებს გვიკითხავდნენ, მით უფრო ვრწმუნდებოდით მათ სიყალბეში და, რომ ეს ყველაფერი გამიზნული იყო მხოლოდ იმისთვის, რომ ებრაელებს გული აცრუებოდათ და უარი ეთქვათ ისრაელში წასვლაზე.

პარადოქსალური, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ხასიდი-ქრისტიანი ბესო ჟღენტი გვამხნევებდა და თავისი ოპტიმისტური ხასიათით იმედს გვაძლევდა. მან თავისი სიყვარული გერცელისადმი გადმოიტანა ჩვენზე. როცა შემოვიდოდა ჩვენს ბინაში, გვეგონა გერცელისეულმა სხივმა შემოანათაო. უყვარდა ებრაული საზოგადოება, ყურადღებით ეპყრობოდა ვინც მას მიაკითხავდა. უყვარდა ებრაული უქმეები, განსაკუთრებით ფესახი და მაცა. ერთხელ გვიამბო ასეთი ეპიზოდი.

მივიდა მასთან სამსახურში, მწერალთა კავშირში ერთი ქართველი ახალგაზრდა. მას ადრე მიუცია თავისი ლექსები შესამოწმებლად. ამ ახალგაზრდას კაბინეტში შესვლისას შეუმჩნევია, რომ ბესო ჟღენტი შეექცეოდა მაცას. ამის დანახვისთანავე ახალგაზრდას, თვალის გუგები გაფართოებოდა და შეუძახია:

—ბატონო ბესო, შეჩერდით, არ გადაყლაპოთ. საშიშია. მაცაში სისხლია გარეული!

ბ-ნი ბ. ჟღენტი აღნიშნავდა: —ჩემს წინ იდგა ერთი უმეცარი ახალგაზრდა. მოვძებნე მისი რვეული ლექსებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ მქონდა გადასინჯული, გავუწოდე და ვუთხარი:

—იცი, რა გითხრა... აი, შენი ლექსები. წაიღე და წადი. რა ლექსები უნდა დამიწერო ამის შემდეგ. შენ ხარ უმეცარი... წადი, ჯერ გახდი ადამიანი და შემდეგ დაწერე ლექსი.

სამწუხაროდ, ბ. ჟღენტისთანა შესმენილი და გონიერი ადამიანი არც ისე ბევრი იყო. იყო შემთხვევები, როცა ებრაელებს აბრალებდნენ ამ საშინელ ცილისწამებას. თვითონ ჩვენს მეგობრებს შორისაც იყვნენ ისეთნი, რომელთაც ვერ დაარწმუნებდი, რომ არ არსებობს ასეთი არც წესი და არც ჩვევა ებრაელ ხალხში. სამწუხარო იყო, მაგრამ ეს იყო ფაქტი. ასეთი კარგი ხალხია ქართველობა, ჰუმანური, ნიჭიერი, დიდსულოვანი და კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას მათ დადებით თვისებებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ცილისწამება ებრაელების მიმართ აფუჭებდა მათ სახეს. თუმცა, როგორც აღ-

ვნიშნე, ყველა როდი იყო ასეთი უმეცარი.

და ბოლოს, ისევ ბ. ჟღენტი აღმოჩნდა ჩვენი მფარველი და მხსნელი. 1972 წელს, გაზაფხულზე საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელი მეავანაძე შესცვალა ედუარდ შევარდნაძემ. ეს პიროვნება მეტად გონიერი, განათლებული და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტია და ამავე დროს ებრაელების მეგობარი. მას არაერთხელ აღუნიშნავს ამის შესახებ ზეპირსიტყვიერად თუ წერილობით პუბლიკაციაში. ნ~ხ-ლი ბ. ჟღენტი შევიდა პირადად მასთან და მოახსენა შემდეგი:

–ჩვენ, ქართველები ცნობილი ვართ როგორც ჰუმანური ხალხი. არ შეგვეფერება, რომ ვაკავებთ და არ ვუშვებთ გერცელის დებს – ფანის და პოლინას ისრაელში, როგორც ამას სჩადიან რუსეთში. ფანი ბააზოვა იქ, ისრაელში არ დაიწყებს არაბების დახოცვას. იგი დაჯდება თავის სახლში და დაიწყებს მემუარების წერას.

ედ. შევარდნაძემ გაიზიარა ბ. ჟღენტის შეხედულება, დაეთანხმა და იქვე მიუცია განკარგულება უშიშროების ხელმძღვანელ ინაურისათვის, რათა ჩვენთვის დაუყოვნებლივ დაერთო ნება ისრაელში წამოსვლაზე. ასე და ამგვარად, თითქმის ერთი წლის ლოდინის შემდეგ ბ. ჟღენტისა და შემდეგ ედ. შევარდნაძის წყალობით უკვე შეგვეძლო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გამომგზავრება. და სწორედ ახლა წამოგვეწია მძიმე ქვა გზაზე. ბინაში აღებული ფული ერთი წლის მანძილზე, როცა უმუშევარნი დავრჩით, გამოგველია. სასწრაფოდ საჭირო იყო სახსრების შოვნა. მდგომარეობიდან გამოგვიყვანა პროფ. შ. მარდახიაშვილმა. მან მოგვიყვანა ქართველი ებრაელი საქმოსანი, ვინმე სარიშვილი. იგი საქმიანობდა ჩრდილოეთ კავკასიაში. იგი სერიოზული ადამიანი ჩანდა. ჩვენს შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება. სარიშვილი გვაძლევდა სესხს 6.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც უნდა დაგვებრუნებინა ისრაელში ერთი წლის თავზე.

გათავდა... დავიწყეთ ნამდვილი მზადება წამოსასვლელად. ნივთებიდან ზოგი გავყიდეთ და ზოგიც გავასაჩუქრეთ. ნაცნობ-ნათესავების დახმარებით შევიძინეთ ისრაელში გამოსადეგი ნივთები. ვინ არ მოდიოდა ჩვენს სანახავად – ახლობელი თუ შორეულნი, დიდი ხნის უნახავნი და კარის მეზობლები. ყველას ვენანებოდით დასაშორებლად, მაგრამ უმეტესობას ესმოდა, რომ ჩვენი ადგილი იყო ისრაელში. ყველაზე მეტად გახარებული იყო ღვთისნიერი კაცი ბეს. ჟღენტი, რამეთუ ჩვენი წამოსვლა მისი ღვაწლითა და გარჯით მოხდა. მას უხაროდა, მაგრამ გულიც წყდებოდა ჩვენთან დაშორების გამო. მას გულწრფელად ვუყვარდით. ის სულმნათი საერთოდ ადამიანის მოყვარული იყო. სწორედ იმ პერიოდში, მისი ინიციატივით, უკანასკნელად ავედით მთაწმინდაზე და შემდგომ მაღლა პლატოზე. გადავიღეთ სამახსოვრო სურათებიც...

ჩემთან მოდიოდნენ იმ სკოლის პედაგოგები, სადაც მე ვმუშაობდი. იმარ-

თებოდა გამოსასალმებელი საღამოები. გამიხსენეს აგრეთვე ძველმა მეგობრებმაც უნივერსიტეტიდან. თალიკო თაყაიშვილი მეტად საყვარელი პიროვნება იყო. მიყვარდა, თუმცა არ გვქონდა ხშირი კონტაქტი. როდესაც პირველად გამოჩნდა ჩვენს ნახევრადსარდაფულ ბინაში, მითხრა, რომ ჩემთან მოვიდა ისტორიის ფაკულტეტის ჩვენი საერთო ნაცნობი ლექტორების სახელით (ისინი უკვე დოცენტები იყვნენ იმ ხანად, შემდგომში მიიღეს პროფესორების წოდებაც):

—ისინი გითვლიან, რომ თავის დროზე არ მოგაქციეთ ყურადღება, დავუშვით შეცდომა. ახლაგვსურს გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომა, მოგიყვანთ აქ, უნივერსიტეტში, სადაც მოინდომებ, რომელი განხრითაც გინდა, დაგსვამთ ლაბორანტად. თუ მოინდომებ და თემას აიღებ, მაგაშიც მოგეხმარებით... ოღონდ შენ არ დასტოვო საქართველო...

ამ მისიით თალიკო რამდენიმეჯერ მოვიდა. და ასე რამდენიმეჯერ განმეორდა. გაოცებული ვუსმენდი. არ მსურდა თალიკოსთან გამება კამათი, მაგრამ შინაგანად ვგრძნობდი აღშფოთებას. წამიერად გამახსენდა ჩემი წამება დიპლომის აღების შემდეგ, ექვსი წლის განმავლობაში... სამუშაოზე არსად მიღებდნენ.

მე ჩემს მეგობარ თალიკოს არ ვაგრძნობინე ჩემი აღელვება, მაგრამ თავადაც მიხვდა, რომ მისი მისია ჩემთან ჩაიშალა და ვერაფერს მიაღწია.

ისრაელში წამოსვლამდე შევხვდი ისტორიკოსს, ქ-ნ მარიკა ლორთქიფანიძეს. მან მისახსოვრა წიგნი „ქართლის ცხოვრება“, I ნაწილი. ამაზედ მე მისი დიდად მადლობელი ვიყავი. იმავე დროს, საუბრისას მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ საერთოდ მიდიან ქართველი ებრაელები საქართველოდან.

—თქვენ ხომ, —დასძინა მან, —იგივე ქართველები ხართ, რომლებმაც მიიღეთ მოსეს სჯული.

ამაზედ მე ვუპასუხე:

—და იქნებ თქვენ ხართ ყოფილი ებრაელები, თქვენ, რომლებმაც ქრისტე ირწმუნეთ როგორც მესია, გაქრისტიანდით და ამით გადაურჩით გამაჰმადიანებას.

ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე შესანიშნავი მცოდნეა ქართული ისტორიოგრაფიისა, მაგრამ არა ებრაული ისტორიისა. დარწმუნებული ვარ, რომ ებრაელი ხალხის ისტორიას იცნობს მხოლოდ ზედაპირულად, მაგრამ ჩემი აზრი მაშინ მისთვის არ მითქვამს, რამეთუ არ მსურდა მასთან პოლემიკა.

# სოსო

ისრაელში გამომგზავრების წინ, როდესაც ჯერ კიდევ დროებით ბინაზე — თოდრიას ქუჩაზე (ვორონცოვის ხიდის გაღმა რაიონი) ვცხოვრობდით, შეუწყვეტლივ მოდიოდნენ ჩვენთან მეგობარ-ნაცნობები გამოსამშვიდობებლად. მათ შორის ბევრი დიდი ხნის უნახავი მეგობრებიც იყვნენ. ერთ დღეს ფანის ეახლა ძველი კოლეგა, თმაშეევერცხლილი, მაგრამ ჯერ კიდევ მაგარი და ქედმოუხრელი მოხუცი. ეს იყო იურისტი ჩ. ფანის მეგობრების უმრავლესობას მე კარგად ვიცნობდი, მაგრამ ეს მოხუცი რატომღაც არ მახსოვდა.

შევუდექი სტუმრის საპატივცემლოდ სუფრის გაშლას და იმავე დროს უნებლიეთ მოვისმინე სტუმრის გულახდილი საუბარი ფანისთან.

—ფანი ძვირფასო, —მიმართა ჩ-მ ფანის, —ჩვენ ყველას, ჩვენს მეგობრებს გვიმძიმს შენთან სამუდამოდ დაშორება. მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რომ შენი ადგილი იქ, ისრაელშია. შენ მიემგზავრები თავისუფალ სამყაროში. შენ გექნება შესაძლებლობა თავისუფლად გამოთქვა აზრი, გამოამჟღავნო ის გულისტკივილი, რომელსაც წლების მანძილზე ატარებ. მე მოგიყვები ერთ ეპიზოდს ჩემი შორეული ბავშვობის პერიოდიდან. მოხუცი ვარ და არ მინდა თან ჩავიტანო საფლავში დღემდე გულის სიღრმეში შემონახული ამბავი, რომლის უნებური მოწმე გახლდით. მსურს მოვუთხრო ადამიანებს ეს პატარა ეპიზოდი, რომელიც „დიდ ბელადს — ხალხთა მამას", სტალინს ეხება. საერთოდ მიკვირს როგორ გადავრჩი „პიროვნების კულტის" პერიოდში. შეიძლება შემთხვევით, და იქნებ იმიტომაც, რომ იმ ხანად თბილისი მივატოვე და გადავიხვეწე მიყრუებულ სოფლებში.

ქ. გორში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ბავშვები ვიკრიბებოდით ბუნების წიაღში. გვიყვარდა მდელოზე თამაში. ერთხელ, როცა ბიჭუნები მობიბინე ბალახზე ვიყავით ლაღად წამოწოლილნი მუცელზე — წრისებურად, წრის შუაგულს იდგა გაშლილი წიგნით ხელში სოსო (სოსო ჯუღაშვილი). ფეხზე ეცვა ახალთახალი წითელი პრიალა ჩექმები. თავაწეული ის რაღაცას გვიკითხავდა იმ წიგნიდან. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენი ყურადღება იმ წუთში სულ სხვა სურათმა მიიპყრო. ჩვენგან მოშორებით იდგა ძროხა და ახალფეხადგმული ხბო კუნტრუშით წინ და უკან ხტუნაობდა. დედა-ძროხა, თითქოს საპასუხოდ, კუდის ტყლაშუნით ეალერსებოდა მხტუნავ თავის პირმშოს. ბავშვები მოჯადოებულები შევყურებდით ამ სურათს. მაგრამ სოსო ამას ვერ ითმენდა. ის ითხოვდა ჩვენგან, რომ მთელი ყურად-

ღებით მისთვის გვესმინა, მაგრამ ჩვენდა უნებურად ყოველ ჩვენთაგანს ისევ მოხტუნავე ხბო იპყრობდა. ვუსრულებდით სოსოს თხოვნას, ვაბრუნებდით მისკენ თავებს, მაგრამ ქურდულად ჩვენი მზერა ისევ ხბოსკენ გარბოდა. და ასე მეორდებოდა მერამდენედ. საბოლოოდ ისევ ხბოსკენ გავიხედეთ...

მალე შევნიშნეთ, რომ სოსო უცებ მიყუჩდა. მკვეთრი მოძრაობით დახურა წიგნი. დაიხარა და მარჯვენა ჩექმიდან სწრაფად ამოიღო დაკეცილი ჯაყვა. „ახლა მე თქვენ გიჩვენებთ", –წარმოსთქვა სოსომ და იქვე სწრაფად მივარდა ხბოს. ჩქარი შემორბენით ხბოს ოთხივე ფეხზე გადაუსვა დანა. მუხლებმოკვეთილი ხბო მოცელილივით დაეცა მიწაზე. გაოგნებული, თმააბურძგნული წამოვიჩოქეთ. თავდაპირველად პირდაღებული, გაფართოებული თვალებით ვუცქერდით ამ სურათს. უნებურად მზერა გადაგვქონდა სოსოზე და შემდეგ სისხლში მობობღავ ხბოზე. შემდეგ სწრაფად წამოვვარდით და, როგორც ერთი კაცი, გავიქეცით. გავრბოდით უკან მოუხედავად. გვეჩვენებოდა, რომ ჩვენს უკან მოვიტოვეთ რაღაც საშინელებით სავსე ადგილი.

(მოვისმინე 1973 წელს.
მესსიერებაში აღდგენილი ეს ეპიზოდი
ჩავიწერე 30.8.82)

◆◆◆

იმ პერიოდში, როცა ისრაელში წამოსვლისათვის ვემზადებოდით, ჩატარდა საქართველოს სახალხო თეატრების დათვალიერება. რესპუბლიკის ყველა სახალხო თეატრის დათვალიერების შედეგად გამარჯვებული გამოვიდა ონის სახ. თეატრის რეჟისორი გიგა ჯაფარიძე გერცელ ბაზოვის „მუნჯების" დადგმის შედეგად. მას მიაკუთვნეს 1-ლი პრემია. რეჟისორმა აღნიშნული პიესის ონში მე-100-ე წარმოდგენაზე ჩვენც მიგვიწვია. ჩვენთან ერთად იყვნენ ბ. ჟღენტი, მოსე დანიელოვი, გ. ციციშვილი, დიმიტ. ჯანელიძე, ჩვენი ძმისშვილები. ამის შემდეგ გაიმართა სპეციალური ბანკეტი. ბანკეტს ესწრებოდა პროფ. შალვა მარდახიაშვილი და სხვა ჩვენი ახლობელი ნათესავები. ეს ბანკეტი უფრო წააგავდა ჩვენთან გამოსამშვიდობებელ საღამოს.

იმავე პერიოდში თბილისში, კ. მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა „ურიელ აკოსტა". ფანიმ შეიძინა 50 ბილეთი და დაპატიჟა მთელი ჩვენი ძმისშვილები, ნათესავები და ნაცნობები. ესეც სამახსოვრო და სიმბოლური იყო.

უკანასკნელ აკორდს – ჩვენი წამოსვლის საბოლოო ღონისძიებებიდან წარმოადგენდა ჩვენს მიცვალებულებთან გამოთხოვება – სასაფლაოზე. აქაც ჩვენი განუყრელი ნათესავებისა და მეგობრების თანხლებით მოვახდინეთ მშობლებთან და ხაიმთან საბოლოო განშორება. ეს ისეთი მძიმე იყო, რომ მიჭირს მისი დეტალურად აღწერა.

არასოდეს დამავიწყდება, ქ. თბილისის რკინიგზის სადგური გაივსო ჩვენი

გამცილებლებით. ვინ არ მოსულიყო, დიდი ხნის უნახავნი და შორეულნიც. მეზობლები, ფანის მეგობრები – იურისტები. ჩემი ორივე სკოლიდან, სადაც ვმუშაობდი – დირექტორი და მასწავლებლები სამახსოვრო საჩუქრებით.



სურათებზე: ზემოთ – გამოთხოვება მამის საფლავთან
ქვემოთ – ვერცელ ბაბუის მცირეანკოვანი ბოგინას საფლავთან.
ამ საფლავზე აღმართულია სიმბოლური სვეტი ვერცელის ხელოვნით



მეტად ხმაურიანი და ამაღელვებელი იყო ჩვენი გამოცილება. ვიღებდით თაიგულებს. ჩვენი ვაგონი გაივსო თაიგულებით. გადმოვიხედეთ ვაგონის ფანჯრიდან. ჩვენი ბავშვები – გერცელის შვილიშვილები ტიროდნენ. იქ იყვნენ ეთერ ჯაფარიძე და პედაგოგები ერთი სკოლიდან; მეორე დირექტორი, ეთერ გურაბანიძე თავისი პედაგოგებით – მეორე სკოლიდან. იურისტები და ფანის მეგობრები, მეზობლები, ძველი და ახალი საერთო მეგობრები, ნათესავები.

ვაგონცილება თბილისის სადგურზე

მარტო იდგა ბესო ჟღენტი და ტიროდა.

ვაგონი რომ დაიძრა, გაბედულ იურისტს ლადო ბიძინაშვილს ხელი ჩაევლო ვაგონის სახელურისათვის, მორბოდა და გაიძახოდა – ფანი... არასდროს დაგივიწყებთ!..

ასე დასრულდა ჩვენი ცხოვრება იმ ქვეყანაში, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ, ჩამოვყალიბდით და გავიარეთ ყოველივე ის – სიხარულიც და სიმწარეც, რაც ბედმა გვარგუნა იქ.

# ისტორიულ სამშობლოში

ჩვენს რძლებს –სარას და დოციას (ხაიმისა და მეირის ქვრივებს) დავემშვიდობეთ მოსკოვში. გერცელის ყოფილ მეუღლეს – თბილისის რკინიგზის სადგურზე. ბრესტის საზღვრამდე გამოგვაცილეს ძმისშვილებმა – ლილიმ, ერამ და გერამ. გარდა ძმისშვილებისა, ბრესტამდე გამოგვყვა ახლადშეძენილი მეგობარი ბორია კაპლუნოვიჩი (ამ უკანასკნელმა ჩვენი ბინა შეიძინა შაუმიანის ქუჩაზე თბილისში). ბორია მეტად კეთილი და ბრწყინვალე აზროვნების პატრონი იყო. იგი დიდ დახმარებას გვიწევდა პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში. მაგ., ჩვენს ბარგში იდო ჩემი ერთი ძველი პალტო, რომლის სახელურში ბორიამ ჩაჩხირა მთელი ის მასალა, რომელიც ფანიმ დიდი წვალებითა და შიშით შეაგროვა თბილისის და ქუთაისის არქივებში (ამ მასალის საფუძველზე შემდეგ, უკვე ისრაელში, ფანიმ შეადგინა კრებული „დავიდ და გერცელ ბააზოვები"). ეს იყო ერთ-ერთი საშუალება აღნიშნული მასალის გამოტანისა. ფანიმ ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს ინახულა იმ დროს აქტივისტი სიონისტები, ფიზიკოსები ვიქტორ პოლსკი და საშა ვორონელი. ამ პიროვნებებს დიდი კავშირები გააჩნდათ, რომლის საშუალებითაც ყოველ ებრაელს ეხმარებოდნენ მასალის კონსპირაციული გზით გამოსაგზავნად ისრაელში. მათ ითავეს ფანის მიერ მიტანილი მასალის გამოგზავნა. სამწუხაროდ, მასალა, რომელიც ს. ვორონელმა ჰოლანდიის საელჩოს საშუალებით გამოგზავნა, დაიკარგა. ვიქტ. პოლსკის გზითაც ნაწილი დაიკარგა, ხოლო გადარჩენილმა მასალამ მოაღწია მეტად გვიან. ბორია კაპლუნოვიჩის უბრალო ხერხით – ძველი პალტოს სახელურში ჩადებულმა მასალამ – ამანაც ცოტა გვიან, მაგრამ უკლებლივ მოაღწია. მესაზღვრეების მიერ ჩხრეკის დროს ბორიამ მოახერხა მათი ყურადღების მიპყრობა, რის შედეგადაც ძველი პალტო მათ აღარ გასინჯეს. სამაგიეროდ, ჩემოდანი, სადაც ჩაწყობილი გვქონდა ჩემი ახალი პალტო, მეგობრებისაგან მიღებული სამახსოვრო საჩუქრები და მნიშვნელოვანი ფოტოსურათები, საერთოდ აღარ მიგვიღია, დაიკარგა.

◆

მოვაღწიეთ ისტორიულ სამშობლოს. ფეხი დავდგით წმინდა მიწაზე. ეს იყო 1973 წლის ივლისში.- ძნელი იყო სინამდვილის აღქმა. თვალებზე ცრემლი მოგვადგა. თვალწინ გვედგნენ მშობლები და ძმები.

ლოდის აეროპორტში დაგვხვდნენ სოხნუთის ორი წარმომადგენელი და ერთი მოსკოველი ნაცნობი — მეირის იატაკქვეშეთის ერთ-ერთი სიონისტის ცვი პლოტკინის (იმჟამად აღარ იყო ცოცხალი) ვაჟი ური ანდერსი. და მეტი არავინ! ნათესავები არ გვეგულებოდნენ, მაგრამ სად იყვნენ ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც ჩვენზე ადრე წამოვიდნენ? რამდენადაც თბილისის სადგურზე გამოცილება ხმაურიანი იყო და ხალხსავსე გამომცილებლებით, იმდენად ლოდის სადგურზე დაგვხვდა სიჩუმე.

მოგვათავსეს კეთილმოწყობილ, ბროდეცკის სახელობის სახლში — თელ-ავივის ჩრდილო ნაწილში, რომელსაც რამათ-ავივს უწოდებენ.

თადათანობით გამოჩნდნენ ნაცნობებიც. მოვიდნენ რონი და ნელი მიხ-ელაშვილები, იცხაკ დავიდი, ისაკ მეგრელიშვილი; შემდეგ იერუშალაიმიდან ჩამოვიდნენ არონ კრიხელი, გერშონ ბენ-ორენი; ბათ-იამიდან — დანიელ შალელაშვილი, მიშა ჯანაშვილი. ფეთახ თიკვიდან ჩამობრძანდა გერშონ მეგრელიშვილი (ל"ז), ნაცერეთიდან — თენგიზ იოსებაშვილი. ხშირად გვაკი-თხავდნენ ყოფილი სიონის ტყვეები იეხისკიელ პოლიაროვიჩი, აბრ. იაფიტი და სხვ.

ჩვენმა თბილისელმა მეგობრებმა ცალ-ცალკე თავთავიანთ ოჯახებში მიგვი-პატიჟეს, მიგვიღეს ძალიან თბილად და ყურადღებით. როგორ დავივიწყებ გერშონ ბენ-ორენის ყურადღებას. მისი წინამძღოლობით დავათვალიერეთ დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. ვიყავით ქნესეთში. იმ დროს პირველად ვნახეთ ლეგენდარული ქალი, ისრაელის სახელმწიფოს მეთაური, ქ-ნი გოლდა მეირი, რომელიც იჯდა საგანგებო სხდომაზე ქნესეთის დარბაზში.

ცოტა მოგვიანებით იცხაკ დავიდის წყალობით ვინახულეთ ჯვრის მონა-სტერი, საქართველოს გენიალური მგოსნის შოთა რუსთაველის გამოსახულებით სვეტზე.

მე და ფანი ხშირად გამოვდიოდით „ბეით ბროდეცკის“ სახლიდან და დავიარებოდით მახლობელ არე-მარეში. ჩვენ ყველაფრის ხილვა გვახარებდა, თვითეული ბუჩქი თუ ბალახიც კი, რომელიც ასე სათუთად იყო მოვლილი ისრაელის გამწვანების მადლიანი მუშაკების ხელით.

სინამდვილე სიზმარს წააგავდა. სულ საზეიმო განწყობილებაში ვიყავით... მანამდე, სანამ არ მივიღეთ საშინელი ცნობა იმის შესახებ, რომ საშა ვორონე-ლის ხელით გამოგზავნილი — ჰოლანდიის საელჩოს გზით — მასალა იყო დაკარგული. ასევე ნაწილი მასალისა — ვიქტორ პოლსკის საშუალებით — ისიც არ სჩანდა. ეს იყო მძიმე დარტყმა. ფანიმ ამას ვერ გაუძლო და იქვე ჩაწვა ლოგინად, აეწია სისხლის წნევა.

სწორედ იმ დროს, როცა ფანი ჯერ არ იყო გამოჯანმრთელებული, კარზე მოგვადგა ერთი ახალგაზრდა. ჩვენს თვალში იგი გარეგნობით სტერეოტიპად გამოიყურებოდა. კასრივით მრგვალი და მსუქანი წითელლოყება, გამოხვე-ული უკანასკნელი მოდის ნარინჯისფერ „კურტკაში“ და მასტიკის ღეჭვით.

ფანის გაუწოდა წერილი. წერილის მომტანი ჩვენი მოვალის, სარიშვილის ვაჟი იყო. ჩვენი ისრაელში გამომგზავრების შემდეგ ის ნეტარსახსენებელი გარდაცვლილიყო, რაც მეტად დასანანი და საწყენი იყო. დაქვრივებული მისი მეუღლე თავის წერილში ითხოვდა ვალის დაბრუნებას. ხელშეკრულების ძალით ვალი ერთი წლის დასასრულს უნდა გადაგვეხადა. ახლა კი ექვსი თვეც არ იყო გასული. სარიშვილის ქვრივი თავის წერილში აღნიშნავდა შემდეგს: „მართალია, რომ ვადაზე ადრე ვითხოვ ვალს, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, ჩემი მეუღლის გარდაცვალების გამო. ჩემს ვაჟს [სახელი აღარ მახსოვს. –ჰ.ბ.] როგორც ეკადრებოდა, ისრაელი ისე არ დახვდა. ამიტომ იგი მიემგზავრება კანადას. ამის გამო საჭიროება მოითხოვს, რომ თქვენ ჩვენი კუთვნილი ვალი დაუბრუნოთ ჩვენს ვაჟიშვილს."

რა გაეწყობოდა, ვალი ვალია! ადრე თუ გვიან უნდა იქნეს დაბრუნებული. მაგრამ ფანი ხომ ვარაუდობდა, რომ ისრაელში მუშაობას დაიწყებდა და ერთი წლის მანძილზე შესძლებდა ვალის გადახდას. ექვს თვეზე სულაც არ ვიყავით მზად! გვქონდა მარტო სტიპენდია, როგორც ყოველ ახალამოსულს და მეტი არაფერი.

ავადმყოფი ფანი წამოდგა ლოგინიდან, გაიყოლია სარიშვილის ვაჟი თან და გაემართა საგარეო საქმეთა სამინისტროს „ოლე ხადაშების" განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცვი ოფერი. მოახსენა საქმის ვითარება. იქ მეტად გაგებით შეხვდნენ ჩვენს პრობლემას. ამის შედეგად მოვალე ახალგაზრდას, რომელმაც ისრაელში დარჩენას კანადაში დასახლება არჩია, იქვე გადაუხადეს (დღევანდელი კურსით დაახლოებით 6000 დოლარი) კუთვნილი ვალი.

## ქიფურის დღის ომი

რამდენადაც ჩვენი ცხოვრება ზღაპრულს წააგავდა, ამდენად გულსაკლავი იყო, როცა მოულოდნელად ქიფურში თავს დაგვესხნენ ჩვენი მეზობელი არაბული ქვეყნები. სირიამ და ეგვიპტემ ისრაელის წინააღმდეგ გააჩაღეს ომი. ამ შემთხვევაში ეს ომი არ წააგავდა „ექვსდღიანი" გამარჯვების მომტან ტრიუმფს. ასე ჩქარა არ დამთავრდა „ქიფურის" ომი. გახანგრძლივდა და მსხვერპლიც საგრძნობი აღმოჩნდა.

მე არ ვარ პოლიტიკოსი და არც სამხედრო საქმის ანალიტიკოსი, მაგრამ მგონია არ შევცდები, თუ აღვნიშნავ შემდეგს:

1967 წლის „ექვსდღიან ომში" „ბლიცკრიგმა" – სწრაფმა გამარჯვებამ

თავბრუ დაახვია ისრაელის ხელმძღვანელობასა და მმართველ ორგანოებს, რის გამოც შენელებულ იქნა სათანადო საგარეო დაზვერვა.

მტერი შემოიჭრა ისრაელის მოსაზღვრე ტერიტორიებზე – ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ისრაელის ჯარი და ავიაცია გმირულ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, მაგრამ მსხვერპლიც დიდი იყო.

საოცარი იყო ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა – საბრი თუ ვათიკი ამ ომს შეხვდა ყოველგვარი პანიკისა და დაბნეულობის გარეშე. მათთვის ეს არ იყო ახალი ამბავი. მალე ჩვენ, ახალამოსულებიც მოვექეცით მათი გავლენის ქვეშ, თუმცა მოგვყვა ბევრი უარყოფითი ჩვევები ჩვენი ყოფილი სამშობლოდან. დავიწყეთ პროდუქტებისა და სხვა საჭირო საყოფაცხოვრებო საგნებით მომარაგება. მაგრამ როცა ერთხელ სასურსათო მაღაზიის გამყიდველმა მითხრა: „რატომ ყიდულობ შაქარს თუ ასანთს დიდი რაოდენობით? არ არის საჭირო! მოდი ხვალ, თუ გინდა ზეგ და ყველაფერი ისევ იქნება.“ –მე შემრცხვა. ამის შემდეგ მე ვიქცეოდი მათი ყოფის მიხედვით.

რა დამავიწყებს ხალხის ერთსულოვნებას! მორწმუნე თუ ურწმუნო, აშქენაზი თუ სეფარადი ერთნაირი გაგებით შეხვდა ამ ომს. მახსოვს ქალების ვედრება ქუჩაში: „ოი, ღმერთო, შენ წიღე ჩემი თავი იმ ახალგაზრდების სანაცვლოდ, ვინც ახლა ომში იბრძვის. დაე, მე ვიყო მათი ქაფარა!“-ო.

ჩვენს ბეით ბროდეცკიში, სადაც იმ ხანად დროებით ვიყავით, უმთავრესად რუსეთიდან და ამერიკიდან ახლად ამოსული ებრაელები იყვნენ. ხანშიშესული მამაკაცები – პროფესორები და სხვა სახის უმაღლესი განათლების მქონე ებრაელები შუალამისას ნებით მიემართებოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ტომრებით უნდა გადმოეზიდათ ბოსტნეული თუ სხვა სახის პროდუქტები. აქედან მათ უნდა მიეტანათ სარეალიზაციო პუნქტებში. ერთიორჯერ მეც გავყევი მათ, მაგრამ მეტად მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის მძიმე ტომრების თრევა. მამაკაცებმა გამომაგდეს. ამის ნაცვლად ფანიმ ერთთვიური ჩვენთვის კუთვნილი სტიპენდია „ცაჰალის“ ფონდს შესწირა.

ამგვარად, ჩვენი ულფანში ივრითის სწავლების პერიოდი დაემთხვა ქიფურის ომს. საღამოობით შენიღბულ და დაბნელებულ ოთახებში ჯდომას ვარჩევდით გარეთ ყოფნას. ბეით-ბროდეცკის მცხოვრებნი ვიკრიბებოდით ეზოში. სახალხო დაცვაც აქტუალურად სრულდებოდა. იმ პერიოდში ებრაელი ხალხის პატრიოტიზმი – ისრაელში თუ გალუთში – მაღალ დონეზე იდგა. მახსოვს ერთი შემთხვევა.

ეზოში შეგროვილი ებრაელები წრისებური ფორმით იდგნენ და ერთმანეთს შორის ბჭობდნენ საჭირბოროტო აქტუალურ საკითხებზე. ახალი ამბებიდან ითქვა ერთი მეტად საოცარი ამბავი. როდესაც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი გემი სასაზღვრო ზღვის ზონას გასცილებია, მისი ბაქნიდან ერთ-ერთი ებრაელი ახალგაზრდა ვაჟკაცურად პირდაპირ ზღვაში გადამხტარა, ცურვით მიუღწევია ისრაელის სანაპიროსათვის და იქვე ისრაელის მოქალა-

ქეობა მოუთხოვიაო. ეს ამბავი თითქმის ყველამ არარეალობად მიიჩნია. ამ შეკრებულობის დროს ვერავინ შევამჩნიეთ რომ მოგვიახლოვდა ერთი უცნობი მაღალი ახალგაზრდა და იქ დამსწრეთ მოგვმართა რუსულ ენაზე:

—მიმიღებთ? მეც მინდა მოგისმინოთ თქვენ!

ბუნებრივია, რომ ჰკითხეს, როდის ჩამოვიდა და საიდან. განა ამ საომარი მდგომარეობის გამო დაბრკოლება არ ჰქონდა? ახალგაზრდა, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ეს ახალგაზრდა (მისი სახელი — ალექსანდრე, საშა) აღმოჩნდა, რომელიც გემიდან ზღვაში გადახტა და ცურვით მოაღწია ისრაელის ნაპირამდე. ეს მთლად საოცრად მოეჩვენა ყველას. მაგრამ მალე გაირკვა, რომ საშა მართალს ამბობდა. იგი „ოლე ხადაშის“ სტატუსით გახდა ისრაელის მოქალაქე.

## ფესახის დღესასწაული ბეით-ბროდეცკიში

არასდროს დამავიწყდება ბეით-ბროდეცკიში საზეიმო ვითარებაში ჩატარებული ფესახის დღესასწაული.

მე ყოველთვის მეგონა, რომ ჩვენს მამისეულ სახლში ჩატარებული ფესახის სედერი განსაკუთრებული იყო. როგორც შემდეგში მივუხვდი, მამას შეზავებული ჰქონდა სედერის ჩატარების დროს სეფარადული და აშქენაზური (ლიტვის) მანერა. თავად ხასიდიზმის მიმდევარი არ იყო, მაგრამ მოსწონდა მათი მუსიკა, სიმღერები და ცეკვებიც.

დედაჩვენი რახელი სედერის პირველ ღამეს მოგვართმევდა აშქენაზურ „გეფილტე ფიშს“ და „ქნეიდალახს“ (მაცის გუფთები). მეორე და შემდეგ დღეებში ახალციხეში შესწავლილ კერძებს. ასე, მაგალითად: კომშში და შავ ქლიავში ჩაშუშულ-ჩახრაკულ ბატის ან სხვა ფრინველის ხორცს. ეს კერძი მზადდებოდა კედლის ღუმელში. მაგიდის გაწყობა და ხაროზეთის შემზადება ფანის საქმე იყო. თეთრ გაქათქათებულ სუფრაზე განლაგებული იყო საფესახო, ძირითადად ღია ფერის სერვირებული თეფშები და უხმარი დანა-ჩანგალი.

ჩვენი ოჯახის წევრების გარდა, რომლებიც ათი სულისაგან შევდგებოდით — ბებია, მამა, დედა, გერცელი და მისი ცოლი სოფია, ხაიმი და მისი ცოლი სარა, მეირი ფანი და მე. როგორც წესი, ყოველთვის გვესწრებოდნენ უცხო სტუმრებიც. ესენი ძირითადად იყვნენ იმ დროისათვის ქალაქში შემორჩენილი მარტოხელა ებრაელები.

სედერი მიჰყავდა მამას. შემდეგ მის წარმოთქმულ ლოცვანებს თორიდან მთელი ოჯახის წევრები ბანს აძლევდნენ. სალოცავი რიგ-რიგობით გადადიოდა ვაჟიშვილების ხელში. ყოველ მათგანს საკუთარი გადაშლილი თორა

ეკავა. ხაიმის ჯერზე მოდიოდა მისი საყვარელი „ხად გადიას“ დამღერება. გერცელის დაღუპვისა და მამის (ხაიმთან ერთად) დაპატიმრების შემდეგ ეს საუცხოო დღესასწაული მხოლოდ აორთქლებულ ზმანებას წააგავდა. დედის სიცოცხლეში ფანი, როგორღაც, ასრულებდა ყოველგვარ საჭირო ატრიბუტებს და გარდა ამისა დამატებით, ზედმეტ მაცას უკვეთდა ღარიბებზე და გადარჯულებულ აშქენაზ ნათესავ ებრაელებზე დასარიგებლად, რათა ამ უკანასკნელებისათვის შეეხსენებინა ებრაელობა.

დედის გარდაცვალების შემდეგ ჩვენ, ორნი დანი, საცოდავად ავეკედლებოდით რომელიმე ნათესავს სედერის მოსასმენად. ჩვენი ნათესავების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მათ ღვინო საკუთარი ხელით ნაწური ჰქონდათ. მათგან განსხვავებით ჩვენს მამა დავითს – ის კი არ ვიცი როგორ შოულობდა, მაგრამ ყოველთვის ერეც-ისრაელიდან მიღებული ქაშერი საფესახო ღვინო ჰქონდა.

სიურპრიზივით მოგვეჩვენა ბეით-ბროდეცკიში ჩატარებული სედერი. ფესახის ტრაპეზის წამყვანი იყო ახალგაზრდა აშქენაზი რაბი. მას თან ახლდნენ გოგონა და ყმაწვილი ბიჭი, რომლებიც ასრულებდნენ მეორე ხმით მუსიკალურად დამუშავებულ ლოცვანებს თორიდან. მე მანამდე არც ვიცოდი თუ პოლონელ ებრაელობას მუსიკალურად ჰქონდათ დამუშავებული ლოცვები თორიდან – შეხმატკბილებულად. მათი მოსმენა მსმენელებს მხოლოდ სიამოვნებას ჰგვრიდა და ატკბობდა ყურთასმენას. ყველაფერი ამის შემყურეს სიამოვნებასთან ერთად გული გვეკუმშებოდა სევდით, რამეთუ განვიცდიდით იმის გამო, რომ ჩვენი მშობლები და ძმები ამას ვეღარ მოესწრნენ.

საერთოდ, ყოველი ებრაული დღესასწაულის აღნიშვნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთიდან ახალამოსულთათვის. ესენი უმთავრესად გადარჯულებული ებრაელები იყვნენ. მახსოვს, ერთი პროფესორის დედა იტყოდა ხოლმე: ქიფურის დღეს ვაცხობდით კულიჩებს და მივდიოდით ქრისტიანულ ეკლესიაშიო. ებრაულ წიგნს – არ ცოდნის გამო – ხელში წაღმა-უკუღმა ატრიალებდა. მაგრამ მათ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მალე დაეუფლნენ ებრაულ ენას და გაერკვივნენ ებრაულ წეს-ჩვეულებებში. დიდი ინტერესით სწავლობდნენ ებრაულ ტრადიციებს. ამისათვის საგანგებოდ მოწყობილი სადღესასწაულო საღამოებიც ამ საკითხში კარგად ეხმარებოდნენ.

ბეით-ბროდეცკის მდგმურნი ჩვენთან, საქართველოდან ამოსულებთან კარგ განწყობილებაში იმყოფებოდნენ. ერთმანეთთან კეთილი მისვლა-მოსვლა გვქონდა. ასე, მაგალითად: როცა ჩვენს შემდეგ ისრაელში ამოვიდა პროფ. შალვა მარდახიაშვილი თავილსი ცოლ-შვილით, მე და ფანი მიგვიღეს თავიანთ ოთახებში ღამის გასათევად იმისათვის, რომ შალვას თავისი მეუღლით მოესვენა ჩვენს კუთვნილ ოთახში. იმ ხანად ჩვენი მოკრძალებული მასპინძლობა ცოლ-ქმარს სულაც არ დაუწუნია. აქ თითქოს არაფერი არ არის უჩვეულო.

ჩვეულებრივი ადამიანური მასპინძლობა, რომელიც არც ერთი ჩვენთაგანისათვის, განსაკუთრებით საქართველოდან ამოსულთათვის – უცხო არ არის. მაგრამ ამის შემდეგ, როცა პატ. პროფ. შალვა მარდახიაშვილის სახელი გასცდა ისრაელის ფარგლებს და მსოფლიოში მოიპოვა აღიარება, ჩვენ, დები დავიწყებას მიგვცა. თუმცა, როგორც თავის მოგონებებში აღნიშნავს, მან განვლო ბევრი სიძნელეებით საფეხურები, სანამ მიაღწევდა იმ აღიარებას, რომელიც მან მოიპოვა განსაკუთრებით კანის მკურნალობის სფეროში. ასე, რომ ბუნებრივია, ჩვენთვის აღარ ეცალა.

ბეით-ბროდეეკიში ჩვენი ხშირი სტუმარი იყო ერთი ახალგაზრდა. ეს გახლდათ ბაბრი წიწუაშვილი, გერშონ ბენ-ორენის უმცროსი ძმა. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა ბორია არლოვის ოჯახის ახლო მეგობარი. ბორია თავად სპეციალობით სოვეტოლოგი იყო. ულფანის დამთავრების შემდეგ ჩარიცხეს თელ-ავივის უნივერსიტეტში თავისი სპეციალობის მიხედვით. ბაბრი თვალტანადი ახალგაზრდა იყო. განსაკუთრებით შვენოდა მექსიკური ჩაცმულობა, როცა ის ბეით-ბროდეეკიში ხანდისხან გამართულ გასართობ საღამოებზე გვესტუმრებოდა ხოლმე. ქართული ცეკვით იქ დამსწრეებს ყველას ერთთავად ხიბლავდა. ბაბრი ნიჭიერი იყო და ამიტომაც იგი სწავლასთან ერთად ათავსებდა პატიოსან შრომასაც. ნათელი იყო, რომ მას ბედნიერი მომავალი ელოდა.

## ალთქმა

ისრაელში წამოსვლის წინ, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას ფანიმ დასდო ალთქმა: ისრაელში ჩამოსვლისას პირველ ყოვლისა მოინახულებდა გამოჩენილი სიონისტის, დავიდის და გერცელის დიდი მეგობრის და თანამოაზროვნის ნათან ელიაშვილის საფლავს. ფანიმ საბჭოთა კავშირიდან ამოსულთა გაერთიანების ერთ-ერთ ხელმძღვანელს – რობერტ-ელიგულაშვილს სთხოვა მოეხდინა ორგანიზაცია მისი ალთქმის აღსასრულებლად.

1974 წელს, გაზაფხულზე, რობერტ ელიგულაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ჯგუფი ქართველი ებრაელების ფეთახ-თიკვაში, ნათან ელიაშვილის საფლავზე მისასვლელად. ჯგუფში შედიოდნენ: ნ. ელიაშვილის ქალიშვილი, ქ-ნი შოშანა თავისი ვაჟიშვილებით არონით და ნათანით, განსვენებული ნათანის ძმა მორდეხაი მეუღლით, ფეთახ-თიკველი მკვიდრი ქართველი ებრაელი, რობერტ ელიგულაშვილი, ფანია ბააზოვი და მე, რეჟისორი მოსე დანიელოვი, ჟურნალისტი დანიელ შალელაშვილი, მათემატიკოსი რიტა დავარაშვილი და სხვები.

დასრულდა ჩვენი ნებიერი ცხოვრება ბეით-ბროდეეკიში. სანამ მუდმივ

ბინას გამოგვინახავდნენ, საცხოვრებლად გადაგვიყვანეს, დროებით, თაგორ-ის ქუჩაზე (ისიც რამათ ავივის უბანში). ინდოელი მწერლის რაბინდრანათ თაგორის სახელობის კეთილმოწყობილი ქუჩა გადიოდა აინშტაინის სახ. გამზირზე, რომელიც სათავეს იღებს თელ-ავივის უნივერსიტეტიდან და მიემარ-თება ზღვისკენ. რა სჯობდა პაპანაქება სიცხის შემდეგ საღამოობით აინშტა-ინის გამზირზე გასეირნებას. გვეგონა, რომ მთელი ისრაელი იმდაგვარი იყო. როგორიც მაშინ ჩვენ, ახალამოსულებს გვესახებოდა. ჩვენთვის უფრო საინ-

**ნათან ელიაშვილის საფლავთან ფეთახ-თიკვაში.**

მარცხნიდან: მორდუსაი ელიაშვილი (ნათანის ძმა), მორდეხაის მეუღლე, ნათანი და არონი (ნათანის შვილიშვილები). შოშანა მიღერი (ნათანის ქალიშვილი), რიტა დაეარაშვილი; რობერტ ელიეზულაშვილი, აბრამ მამისთვალოვი, ფანია ბაასოკი, მოსე დანიელოვი, დანიელ შალელაშვილი და ფეთახ-თიკვის ურთ-ერთი მკვიდრი

ტერესო შეიქნა ის პერიოდი, როცა აღმოვაჩინეთ აინშტაინის გამზირზე მცხოვრები ქართველი ებრაელი ზური რიჟინაშვილი თავისი ცოლ-შვილით. მათ შეავსეს ჩვენი ერთგვარი ვაკუუმი. არ გვაკლდა ახალგაცნობილი მეგობ-რები, მაგრამ უფრო გიხარია, როცა შენი თემის წარმომადგენელს შეხვდები. ზური რიჟინაშვილი პატიოსანი პიროვნებაა და ხელოვნების მოყვარული. თვითონ სახასიათო ცეკვის ოსტატი. მისგან შევიტყვეთ, რომ, როცა 1964 წელს გერცელის ხსოვნის საღამო აღნიშნა ქუთაისის საზოგადოებამ, იქ,

სპეციალურად გამართულ ბანკეტზე გაიმართა ქართული ცეკვის ხელოვანთა გამოსვლა და მათ შორის მონაწილეობდა ზური რიჟინაშვილიც. მან შეასრულა სახუმარო ცეკვა „პაემანი". ეს მისი სა„ბისო" ცეკვა იყო ყოველთვის. ზურის მეუღლე ნათელა მუსიკის მასწავლებელი და მეტად ნიჭიერი ადამიანია. იგი ივრითს კარგად დაეუფლა და ისრაელის სინამდვილესაც ჩქარა შეეთვისა. რიჟინაშვილების ოჯახიც დროებით ბინაზე იყვნენ. ის პერიოდი ორივე ოჯახისათვის კეთილ მოსაგონებლად გვრჩება.

მალე მოგვივიდა ბარგი, სადაც იყო მასალები, რომელიც ფანიმ დიდი რისკით და შიშით შეაგროვა ჩვენს ყოფილ სამშობლოში. აღნიშნული მასალები, მე ზემოთ აღვნიშნე, რომ ბორია კაპლუნოვიჩმა ჩემი ძველი პალტოს სახელურში ჩაჩხირა, რითაც გადაურჩა სასაზღვრო მუშაკების მეთვალყურეობას, გამოეპარათ. ეს მაშინ, როცა სხვადასხვა გზით გამოგზავნილი იმავე მასალების ცალები გამოიკარგა. აღნიშნული მასალების ისრაელამდე მოღწევა ჩვენი ისრაელში ჩამოსვლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ ფანი იქვე აიყვანეს თელ-ავივის უნივერსიტეტში სამუშაოდ, დაუდეს სამი წლით ხელშეკრულება.

ფანიმ დაიწყო არა მარტო აღნიშნული მასალებით კრებულის შედგენა, არამედ პარალელურადდ აღწერდა ჩვენი ოჯახის ტრაგიკულ ბედს, კერძოდ გერცელის დაღუპვისა და დავიდ ბააზოვის წინააღმდეგ წარმოებულ სასამართლო პროცესს. ეს მან შესანიშნავი ოსტატობით შეასრულა. აქვე მინდა აღვნიშნო შემდეგი ფაქტი. კრებულზე მუშაობის დროს ფანიმ არაერთხელ მიმართა მხცოვან სიონისტს გერშონ მეგრელიშვილს, რათა იგი თავისი მოგონებებით შესულიყო აღნიშნულ კრებულში, მაგრამ მან ეს არ მოინდომა. ფანი იცხაკ დავიდის საშუალებითაც შეახსენებდა ხოლმე. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ნ~ხსენლი არ გამოეხმაურა. იქნებ იმიტომაც, რომ მას სურდა დამოუკიდებლად მუშაობა. ეს მისი უფლება იყო.

იცხაკ დავიდმა გარკვეული დახმარება გაუწია ფანის კრებულზე მუშაობის დროს. კერძოდ, მას ეკუთვნის თარგმანები გერმანულიდან, იდიშიდან და სხვ. რისთვისაც ფანი თავის შესავალ სიტყვაში მადლობას უცხადებს.

როცა ჩვენ ისრაელში ჩამოვედით, სახელმწიფოს მართავდა შრომის პარტია. გაოცებული ვიყავით, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მთელი შეგნებით მოვისწრაფოდით, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება დაქსაქსული აღმოჩნდა. ქვეყანაში, რომელიც შორიდან ლამაზი და მომხიბვლელი მოჩანდა, დაგვხვდა ებრაელთა ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობანი. თავისთავად ცხადია, ქვეყნის საბოლოო ჰარმონიული ერთიანობისაკენ ყველამ უნდა გავიაროთ გარკვეული გარდატეხისა და ბრძოლის პერიოდი. ნოსტალგიაც ჩვენი თაობის ხვედრია. შრომით და ბრძოლით უნდა გავუკაფოთ ნათელი გზა ჩვენს შვილებსა და შვილთაშვილებს, რომლებიც თავს იგრძნობენ ისრაელის სრულყოფილ მოქალაქეებად, ყოველგვარი ცდუნების გარეშე.

ჩვენთან ხშირად დაიარებოდნენ შრომისა და ლიქუდის პარტიების წარმომადგენლები. თითოეული მათგანი ცდილობდა ჩვენს მიკედლებას თავის პარტიაში. მაგრამ ფანიმ ყველას განუცხადა, რომ ჩვენ ისეთი სიმწარე გვაქვს მიღებული იმ ქვეყანაში კომუნისტური პარტიისაგან, რომ საერთოდ სიტყვა „პარტია"-ს გაგონებაც არ გვსურს. ჩვენ ჩამოვედით ისრაელში, ისრაელის ხალხთან, არ გვსურს დაქუცმაცება. მაგრამ ვინაიდან შრომის პარტია იდგა ქვეყნის სათავეში და მათ ბევრი გააკეთეს ჩვენი მამისა და გერცელის ხსოვნისათვის, ალბათ ეს მაინც გვავალდებულებდა მადლობის გამოსახატავად შევსულიყავით მათ პარტიაში.

ისრაელის გამოჩენილი პიროვნებები — მოშე დაიანი, იცხაკ რაბინი, გოლდა მეირი, მენახემ ბეგინი, არიკ შარონი, ვაიცმანი და სხვ. ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს ლეგენდარულ გმირებად გვესახებოდნენ. და როგორ წარმოვიდგენდით, რომ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება დაყოფილი დაგვხვდებოდა მათი პარტიებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და მიდგომის მიხედვით.

ახალჩამოსულები ვიყავით, როცა იცხაკ დავიდმა დაგვასწრო ხერუთის პარტიის სხდომას ჟაბოტინსკის სახ. სახლში. სხდომას ხელმძღვანელობდნენ მენახემ ბეგინი, არიკ შარონი, იაფიტი, იეხისკიელ პოლიაროვიჩი და სხვ. რა დამავიწყებს იმ მომენტებს, როცა ჩვენ შევედით სხდომის დარბაზში და იცხაკ დავიდმა იქ დამსწრეთ მოახსენა ჩვენს შესახებ: ეს ქალბატონები გახლავთ რაბინ დავიდ ბააზოვის ქალიშვილებიო. მენახემ ბეგინი, ის ნეტარხსენებული, წამოდგა, გამოვიდა თავისი ადგილსამყოფელიდან, წამოვიდა ჩვენსკენ, გადაგვეხვია და გვეამბორა ხელზე. ამის შემდეგ ჩვენ მიგვიწვია და თავის გვერდით დაგვსვა. ალბათ ამის შედეგი იყო, იმ მოენეებმა ხმა რომ გაავრცელეს, თითქოს ჩვენ, დები — ფანი და მე შევედით ლიქუდის პარტიაში. ცალ-ცალკე თითოეულ მათგანს ჩვენ პატივს ვცემდით — შრომისა და ლიქუდის პარტიაში შემავალ პიროვნებებს, ქედს ვიხრიდით მათი საგმირო მოქმედების გამო ქვეყნისადმი, მაგრამ ჩვენ საბოლოოდ დავრჩით უპარტიონი, არც ერთ პარტიაში არ შევედით. (დღეს მე ვარ მაფდალის პარტიაში). გარემოების გამო ვიყავით დამოკიდებულნი შრომის პარტიაზე, რამეთუ იგი იმ დროს ქვეყნის გამგებელი იყო.

ქ-ნი გოლდა მეირის — ყოფილი მთავრობის მეთაურის თაოსნობით მომზადდა და ჩატარდა რაბი დავიდ და გერცელ ბააზოვების ხსოვნის საღამო თელ-ავივის ჰეიხალ ჰათარბუთში.

## 1976 წელი. იუბილე

საღამო ჩატარდა ისრაელის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის ქ-ნ გოლდა მეირის თაოსნობით. აღნიშნული ღონისძიება არსებითად გამოხატავდა ჩვენი

თემის ღირსებასა და პოტენციალს. საღამოს ესწრებოდნენ არა მარტო ჩვენი თემის წარმომადგენლები, არამედ მკვიდრნიც, სხვადასხვა თემის ებრაელებიც.

ქ-ნმა გოლდა მეირმა საღამო გახსნა 18 ოჯახის წერილის მნიშვნელობის აღნიშვნით. შემდეგ ამისა მან ხაზი გაუსვა ქართველ ებრაელთა დამსახურებას ისრაელის წინაშე, თუნდაც იმით, რომ სხვა ქვეყნის ებრაელობასთან შედარებით პროცენტულად საკმაოდ დიდ რაოდენობას შეადგენდნენ. უფრო თვალნათლივი სურათი გვექნება თუ გავეცნობით მის სიტყვას, რომელიც დაიბეჭდა ქართულენოვან გაზეთ „იმედში" ( 5 მარტი, 1976 წ. № 170, გვ. 4-5). *)

ქ-ნ გოლდა მეირის შემდეგ სიტყვით გამოვიდა აბსორბციის მინისტრი შლომო როზენი, ხოლო ამ უკანასკნელის შემდეგ მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციისა და ებრაული სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარე იოსეფ ალმოგი.

დასასრულს, ფანიმ თავის გამოსვლაში პირველ ყოვლისა მოკლე მიმოხილვა გაუკეთა ქართველ ებრაელთა წარმომავლობასა და მათი ისრაელში ჩამოსვლის მნიშვნელობას და მხოლოდ შემდეგ ამისა მადლობა გადაუხადა აღნიშნული საღამოს მოწყობისათვის მთავრობის ყოფილ მეთაურს გოლდა მეირს, შლომო როზენს, იოსეფ ალმოგს და იქ დამსწრე საზოგადოებას. *)

იუბილეს საზეიმო, პირველი ნაწილის შემდეგ, მეორე განყოფილებაში ფანი გამოვიდა გერცელ ბააზოვის ლექსის „იუდეველის" დეკლამირებით.

გერშონ ბენ-ორენი თავის სანარკვევო სტატიაში „ებრაელთა სკოლა თბილისში" (გაზ. Наша Страна , 1982 წ. 29.1, გვ. 8) აღნიშნავს, რომ 20-იან წლებში 102-ე სკოლის მოსწავლეების ძალებით ტარდებოდა ეროვნული



საიუბილეო საღამოს პრეზიდიუმი თელ-ავივის ჰეისალ ჰათარბუთში.
მარცხნიდან: ჰოლინა ბააზოვი, შლომო როზენი, გოლდა მეირი,
ფანია ბააზოვი, იოსეფ ალმოგი

* გოლდა მეირის სიტყვა ქვეყნდება აქვე, განყოფილებაში „დავიდ ბააზოვი"

ხასიათის საღამოები. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე, 1924 წლის 3 თებერვალს ფანის წაუკითხავს გერცელის ლექსები „კაინი“ და „მარადი მგზავრის მონოლოგიდან“. იმ პერიოდში არა მარტო ფანი, არამედ სხვებიც გამოდიოდნენ გერცელის ლექსების დეკლამაციით. მაგრამ შემდეგ ასეთი ხასიათის საღამოები აკრძალულთა კატეგორიას მიეკუთვნა. მხოლოდ ერთხელ, გერცელის რეაბილიტაციის შემდეგ, 1964 წელს, როცა საქართველოს მთავრობამ დაღუპულ გერცელს გადაუხადა მარჯანიშვილის სახ. თეატრში იუბილე, მაშინ ფანიმ მსახიობ საკანდელიძეს წააკითხა ერთობ სიონისტური გრძნობით აღსავსე ლექსი „იუდეველი“. მაშინ ყველას უკვირდა ესოდენ გაბედული ნაბიჯი ფანის მხრიდან ჯერ კიდევ საშიშროებით მოცულ საბჭოურ სამყაროში. ახლა კი, 1976 წელს ისრაელში ფანიმ, ამოისუნთქა რა სრული იდეური და პოლიტიკური თავისუფლებით, თელ-ავივის კულტურის სახლში წაიკითხა ლექსი „იუდეველი“. ეს იყო უკვე მორალური ტრიუმფი.

ზემოხსენებულის შემდეგ, მეორე განყოფილება მთლიანად დაეთმო საკონცერტო ნაწილს. იქ წარმოდგენილი იქნა ქართული ცეკვის ანსამბლის მიერ — ილია ნამთალაშვილის ხელმძღვანელობით — ქართული ცეკვის სიდიადე და სილამაზე. დამსწრე საზოგადოება, მკვიდრი თუ ვათიკი მოხიბლული იყო ვაჟკაცობისა და ესთეტიკის გამომხატველი ქართული ცეკვის ხილვით.

ვოკალურ ნაწილში მონაწილეობა მიიღეს ისრაელის მკვიდმა მომღერლებმა. მათ შეასრულეს ისრაელური სიმღერები.

აღნიშნული საიუბილეო საღამოს დამსწრენი გამოთქვამდნენ აღფრთოვანებას ესოდენ მნიშვნელოვანი საღამოს გამო.

ჩვენი თემისთვის ეს გახლდათ პირველი თავმოყრა ისრაელში. ისინი მკვიდრი თუ ვათიკი საზოგადოების, იქ დამსწრეების წინაშე წარდგნენ მთელი ღირსებით. ამის შემდეგ საქართველოს ებრაელობამ თვითონაც არაერთხელ მოაწყო საგულისხმო საღამოები როგორც თელ-ავივის კულტურის სასახლეში, ასევე იერუშალაიმსა და ისრაელის სხვა ქალაქებში. და მე ამ საკითხს შემდეგ შევეხები.

იუბილეს პერიოდში გამოცემული იქნა ივრითზე ფანის წიგნი המצורעים („კეთროვანნი“). გარდა ამ წიგნისა იერუშალაიმის აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობის დოკუმენტაციის ცენტრისა და თელ-ავივის ებრაელთა ისტორიის კვლევითი საზოგადოების მიერ გამოცემული იქნა ფანის მიერ შედგენილი კრებული (ქართულ ენაზე) „დავიდ და გერცელ ბააზოვები“.

შემდეგ, ჩვენი ისრაელში ზენიტში ყოფნიდან საჭირო იყო პროზაულ ცხოვრებაში შესვლა. რამდენადაც იუბილეზე წარმოდგენილი ქართველი ებრაელობა ლამაზ ფორმებში გამოიყურებოდა, სინამდვილეში ეს სულაც ასე არ იყო. მათ გააჩნდათ ერთობ სერიოზული პრობლემები. ადრე ისრაელის მკვიდრნი ჩვენს თემს ცუდად იცნობდა ან საერთოდ არ იყვნენ გარკვე-

---

* ფ. ბააზოვის სიტყვა ქვეყნდება აქვე, განყოფილებაში „ფანია ბააზოვი“

ულნი მათ ვინაობაში. როგორც ყოველთვის ხდება, ტალღის ზედაპირზე მსუბუქი ნაფოტი და ღერო ტივტივებს. საზოგადოება ამჩნევს იმას, რაც ზედაპირზე მოჩანს. და ეს შესამჩნევი მეტ შემთხვევაში უარყოფითია. დადებითი ნაკლებად მოჩანს. უბინაობა, უმუშევრობა, ოჯახების დაქუცმაცება საკმაო მიზეზებს წარმოადგენდნენ, რათა ახლად ამოსული ებრაელები უკმაყოფილონი ყოფილიყვნენ. საჭირო იყო ძალთა გაერთიანება, ყოველივე დადებითის წინ წამოწევა და ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედება. ამ მიმართებით არაერთმა ნიჭიერმა და უნარიანმა სცადა გაეერთიანებინა თემი და ჩადგომოდა სათავეში, რათა ჩაეტარებინა მთელი რიგი ღონისძიება.

თავდაპირველად ქართველ ებრაელთა თემზე მზრუნველობდა ისრაელის მკვიდრი, საკმაოდ დამსახურებული ისრაელის სინამდვილეში, ქართველი ებრაელი — რაფი ბარ-ლავი (ბალუაშვილი). იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოდან ამოსულთა გაერთიანებას. მისი ხელმძღვანელობითა და თაოსნობით აღნიშნულ იქნა იერუშალაიმში გამოჩენილ მხატვარ მიშა ჯანაშვილის შემოქმედებითი საღამო. (აწ განსვენებული მიშა ჯანაშვილის შემოქმედების საღამოები შემდეგშიც იქნა აღნიშნული სხვა ხელმძღვანელების მიერ, როგორც მისი სიცოცხლის დროს, ასევე გარდაცვალების შემდეგაც).

რაფი ბარ-ლავის თაოსნობით იერუშალაიმში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა 18

ბააზოვების სსოვნის საღამო იერუშალაიმში.
სიტყვას ამბობს საღამოს ორგანიზატორი რაფი ბარ-ლავი

ოჯახის საპროტესტო წერილის ხელმძღვანელის შაბთაი ელაშვილის სახელი. სხვა ბევრი ღონისძიებაც განუხორციელებია რაფი ბარ-ლავის. იგი ეხმარებოდა სამსახურში მოწყობაში ან ბინის მიღებაში – უმთავრესად იერუშალაიმის ფარგლებში. შემდეგ ახალამოსულთაგან გამოვიდნენ ენერგიული და ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ ასპარეზზე. ასეთებს მიეკუთვნებიან: ეფრაიმ გური (1988-95 წლებში ქნესეთის წევრი), რობერტ ელიგულაშვილი – საბჭოთა კავშირიდან ამოსულ ებრაელთა გაერთიანების თავმჯდომარე, ჟურნალ „დროშის" დამაარსებელი ხაიმ ხუბელაშვილი (აწ განსვენებული) და სხვანი.

ფანი ისრაელში ჩამოვიდა ყოფილ სამშობლოში ტრაგიკული ცხოვრების განვლის შედეგად უკვე ჯანგატეხილი. მას არ შესწევდა ფიზიკურად იმდენი ძალა, რათა მთელი თემის მეურვეობა ეკისრა. მიუხედავად ამისა იგი მაინც ცდილობდა რაიმე სარგებლობა მოეტანა თავისი თანამემამულეებისათვის, გამოეყენებინა თავისი გამჭრიახი გონება, იურიდიული განათლება, ინტელექტი და, რაც მთავარია, ის ავტორიტეტი, რომლითაც ის სარგებლობდა ისრაელის ზემდგომ სფეროში. მას ენდობოდნენ და ანგარიშს უწევდნენ.

ახალჩამოსულთა ინტეგრაციამდე, გარდამავალ პერიოდში, როგორც ყოველ თემს სჭირდება თავის დედობრივ ენაზე პრესა, ასევე აუცილებელი იყო საქართველოდან ამოსულ ებრაელობისთვისაც. ფანის დაევალა შეერჩია შესაფერისი კადრი, რათა ჩამოეყალიბებინათ ქართულენოვანი გაზეთი. ეს ამოცანა შესრულებული იქნა. დაიბადა გაზეთი „იმედი". იგი დაკომპლექტებული იქნა შესანიშნავი და ნიჭიერი ახალგაზრდა ჟურნალისტებით: მთავარ რედაქტორად არჩეული იქნა ჟურნალისტი დანიელ შალელაშვილი, რედაქტორად მწერალი აბრამ მამისთვალოვი; შტატში შემავალ მუშაკებად ნიჭიერი ჟურნალისტი ეთერ ფიჩხაძე და ფილოსოფოსი იაკობ კრიხელი. გენერალურ დირექტორად დანიშნულ იქნა აბრამ სეფიაშვილი. გარდა ზემოთ მოხსენებული პიროვნებებისა, გაზეთს ეხმარებოდნენ შტატგარეშე ახალგაზრდა უმაღლესდამთავრებული მუშაკებიც. გაზეთის დაფინანსება ხდებოდა ძირითადად სახელმწიფოსა და ამხანაგობის ბაზაზე.

გაზეთი „იმედი" საიმედო მუშაკების ხელში იყო, ამიტომაც მან მალე გაამართლა იმედები და იქცა ნამდვილ საზოგადოებრივ ორგანოდ. მკითხველი იღებდა ნამდვილ სულიერ საზრდოს. სამწუხაროდ, ასეთ შესანიშნავ წამოწყებას არ ეწერა დიდხანს არსებობა. დაარსებიდან წელიწად ნახევრის შემდეგ გაზეთის გამოცემა შეწყდა.

ადამიანებს გაჩენის მომენტიდან ახასიათებს მანკიერებაც. ისე, როგორც კაენმა უმტრო აბელს, აქაც ასევე მოხდა. შეწყდა გაზეთ „იმედის" გამოცემა. უფრო სწორად, დღესაც გამოდის ქართულენოვანი გაზეთი, მაგრამ იგი კერძო მესაკუთრის ხელშია და თავისი არსებობის პირველ პერიოდში იგი ცილისწამებისა და ანგარიშსწორების ორგანოს წარმოადგენდა.

საერთოდ, ბევრი მტრული ითქვა და გაკეთდა ჩვენი ოჯახის მიმართ. იქ,

სადაც ფანი სიკეთეს სთესდა, ამოდიოდა სიმწარე. ბევრი ანონიმური წერილიც იქნა შეთხზული და დაგზავნილი ისრაელის სხვადასხვა ორგანოში. ყველას სახელები იქნა ამოხსნილი, მაგრამ მე შეგნებულად არ მოვიხსენიებ მათ ვინაობას. მაგალითს ვიღებ თავად ფანისგან, რომელმაც არ მოინდომა შებმა და შერკინება უსაფუძვლოდ მის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანებთან. ისიც კარგად ვიცოდით, რომ ზოგიერთი მათგანი ფანის პირადად არც იცნობდა. არც ენახათ არასოდეს, მაგრამ, მათი თქმით, ისინი ასრულებდნენ გარკვეულ დავალებებს...

მოვიყვან ერთ მაგალითს.

ბათ-იამის ჰისთადრუთის კლუბში ფანის თხოვნით შეკრებილ იქნენ ჩვენი თემის წარმომადგენლები. კრების მიზანი იყო ურთიერთ გაცნობა და საერთო ღონისძიებების დაგეგმვა. კრების თავმჯდომარედ დანიშნული იქნა პროფ. შალვა მარდახიაშვილი, საპატიო მსაჯულებად რაფი ბარ-ლავი, სიონისტი გერშონ მეგრელიშვილი და სხვ. კრებას ესწრებოდნენ მწერალი აბრამ მამისთვალოვი, აბრამ სეფიაშვილი, გერშონ ბენ-ორენი, ხაიმ ხუბელაშვილი და სხვ. თითოეული მათგანი გამოდიოდა სიტყვით. გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ დარბაზში დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებიც. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ იქ მოსულნი იყვნენ სპეციალურად ისეთნი, რომელთა განზრახვა იყო იმ შეყრილობის ჩაშლა. ჯერ ერთმა წამოიწყო ყვირილი და მუშტების ქნევა. უკანა რიგში მსხდომნი კარგად შეზარხოშებულნი გაიძახოდნენ:

—ვინ ხართ თქვენ! ვინ, ვინ აგირჩიათ ჩვენს ხელმძღვანელებად?! ძირს, თქვე თვითმარქვიებო! —და ა.შ.

ძლიერდებოდა ხულიგნური შეძახილები, ბოლოს, აზარტში შესულებმა იწყეს მაგიდების გადატრიალება. აღნიშნული კრება იქცა მოჩხუბარე და მყვირალა დებოშისტების თავყრილობად. აღნიშნული ჯანყის ერთი მოთავე — ნ~ცხ. გ. მ-ლი აშკარა წინააღმდეგობას აცხადებდა იქ, პრეზიდიუმში მსხდომი პირების მიმართ და პირველ რიგში ეს ეხებოდა ფანის.

გაოცებული შევყურებდი იმ გაცეცხლებულ ადამიანებს, იმ საღამოს „გმირებს“. მალე შევნიშნე დარბაზის გასასვლელ კარში თავისი დიდი პორტფელით ხელში პროფ. შალვა მარდახიაშვილი. იქვე ახლოს ვინც ვიყავით, მოგვიბრუნდა და გვითხრა:

—არა, მე აქ გამჩერებელი არა ვარ! — და შემდეგ წავიდა. მალე სხვებმაც მიატოვეს ის აფორიაქებული დარბაზი. ასე და ამგვარად, ის წამოწყება ჩაიშალა.

ფანის სურდა პირისპირ შეხვედროდა ჯანყის მოთავეს. ამისათვის ცალკე ოთახში სალაპარაკოდ მიიწვია გ. მ-ლი. ფანიმ მიმართა მას:

—რატომ?! მე თქვენ არ გიცნობთ. იქნებ თქვენ მიცნობთ? რა დავაშავე და რა გაწუხებთ? გთხოვთ ვიყოთ გულახდილი.

გ. მ-ლი: —მართალი ბრძანდებით. მე თქვენ არ გიცნობდით პირადად და

არც თქვენ – მე. გამოგიტყდებით, რომ ეს ჩხუბი წამოვიწყე ზოგიერთი ამხანაგის დავალებით. იქ მოსული იყვნენ სპეციალური დავალებით და მათ მხარი დამიჭირეს. რომ გითხრათ სიმართლე, ახლა მე ამას უკვე ვნანობ. ახლა რომ გიყურებთ თქვენ, ვფიქრობ, რომ თქვენს მიმართ მე შევცდი.

ფანი: –კეთილი და პატიოსანი. მე მომავალში აღარ შეგაწუხებთ, მაგრამ ერთსა გთხოვთ: თქვენი მოსაზრება ჩამოაყალიბეთ და დამიწერეთ.

გ. მ-ლი: თქვენთან საუბრის შემდეგ მე გავიმსჭვალე თქვენდამი პატივისცემით. რა იცით, იქნებ საჭირო შემთხვევაში მე უფრო გამოგადგეთ, ვიდრე ისინი, ვინც თქვენ მეგობრებად მიგაჩნია და პირში გიღიმიან.

ფანიმ ერთხელ კიდევ სცადა – უფრო პატარა მასშტაბით, ინტელიგენციის შეკრება. მისი მიზანი იყო ქართველ ებრაელთა კულტურის ცენტრის შექმნა, რომლის ხელმძღვანელადაც, მას მიაჩნდა, უნდა დაენიშნათ გერშონ ბენ-ორენი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც აღმოჩნდნენ ქვემდინარე უარყოფითი ძალები, რომელთაც არ დაუჭირეს მხარი, რის შედეგადაც ეს წამოწყებაც მარცხით დამთავრდა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ფანის აღარ უცდია მოეხდინა მსგავსი ექსპერიმენტები. იგი ჩაიკეტა თავის სახლში. აღარ უცდია მოეხდინა თავისი ინიციატივით ქართველ ებრაელთა შეკრება. მაგრამ ჩვენს ბინაზე როდი წყდებოდა მასთან მსვლელობა. როგორც არაბები მექაში, ისე დაიარებოდნენ ფანისთან სახლში – სამლოცველოდ თუ არა – ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის მაინც. მიუხედავად ფანის განდგომილობისა, მაინც არ წყდებოდა უსირცხვილო ცილისწამება ჩვენი მამისეული ოჯახისა და კონკრეტულად მის წინააღმდეგ. ცილისმწამებელთა გადმოსროლილ ბადეში ფანის მხარდამჭერებიც ხვდებოდნენ. „ფანი ბააზოვის ტერორისტული ჯგუფის“ სახელწოდებით იგზავნებოდა ანონიმური წერილები ისრაელის სხვადასხვა ორგანოებში.

ფანიმ გადაწყვიტა ხლებოდა ისრაელის პრეზიდენტს ეფრაიმ კაცირს.

## პრეზიდენტ ეფრაიმ კაცირთან

1978 წლის გაზაფხულზე ფანი წარსდგა ისრაელის პრეზიდენტის ეფრაიმ კაცირის წინაშე, რათა მისთვის გაეცნო თავისი შრომები, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩვენი წარსული ცხოვრების უტყუარ საბუთებს. აღნიშნული წიგნების (კრებული „დავიდ და გერცელ ბააზოვები“ და „კეთროვანნი“) გაცნობის შემდეგ პრეზიდენტმა განიზრახა ახლოს გაცნობოდა ქართველ ებრაელობას, მით უმეტეს, რომ იმ ხანად დაგეგმილი იყო საქართველოს ებრაელთა ისტორიის კვლევითი ცენტრის გახსნა.

1978 წელს, 2 მაისს ისრაელის პრეზიდენტის რეზიდენციაში თავი მოიყარა საქართველოს ებრაელთა წარმომადგენლობამ. მათ შორის იყვნენ: რაფი ბარ-ლავი (ისრაელის მკვიდრი ქართველი ებრაელი), აღმოსავლეთმცოდნე გერშონ ბენ-ორენი, დოქტ., ფიზიკოსი შალვა წიწუაშვილი, ინჟინერი მიშა კრიხელი, თინა კრიხელი, მწერალ აბრამ მამისთვალოვი, ინჟინერი ხაიმ ხუბელაშვილი, მწერალი და ჟურნალისტი თამარ კეზერაშვილ-მამისთვალოვი, საქმოსანი სიმონ ხიხინაშვილი, ეკონომისტი რობერტ ელიგულაშვილი, მათემატიკოსი რიტა დავარაშვილი, ჟურნალისტი დანიელ შალელაშვილი, დავიდ ზორელა – აბსორბციის მუშაკი (ხაიფიდან).

აღნიშნულ საღამოზე პრეზიდენტმა ილაპარაკა ისრაელის სახელმწიფოში საქართველოდან ამოსულთა მნიშვნელოვან როლზე. მისი გამოსვლის შემდეგ სიტყვით გამოვიდა პროფ. შაულ შაკედი – ბენ-ცვის ინსტიტუტის დირექტორი.

გაზეთ „ნერგში" (№ 17-19) გამოქვეყნებული იქნა პრეზიდენტთან შეხვედრის ანგარიში. იქვე დაბეჭდილია ფანის სამადლობელო სიტყვა (გთავაზობთ შემოკლებით):

....ჩვენი ხალხი,

**სურათზე:**
ისრაელის პრეზიდენტი ეფრაიმ კაცირი და ფანია ბაასოვი. პრეზიდენტს უკირაჭს ნათან ელიაშვილის წიგნი და ათვალიერებს კრებულს „დავიდ და ბერცელ ბაასოვები"

—აღნიშნა ფანიმ, —რაოდენობით არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ თვისობრიობის მიხედვით იგი ღირსია იმ დიდი ყურადღებისა, რომელიც მისდამი გამოიჩინა ჩვენმა საყვარელმა, პატივცემულმა პრეზიდენტმა. ჩვენი ძლიერი ხალხის ამ პატარა ტოტმა, რომელიც უძველესი დროიდან მოცილებული იყო ძირითად ხეს, მარტოდმარტომ, ებრაულ დიასპორასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე შეინარჩუნა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და მოაღწია ერეც-ისრაელამდე."

„ჩვენ, ქართველი ებრაელები, პირდაპირი შთამომავლები იერუშალაიმის იუდეველებისა, აქედან გამოვედით და აქვე ვბრუნდებით. ჩვენ არც აშქენაზები ვართ და არც სეფარადები. ჩვენ ჭეშმარიტი ებრაელები ვართ... ქართველმა ებრაელებმა, სხვა ებრაელებისაგან განსხვავებით, წმინდად შემოინახეს თავიანთი რელიგიური და ეროვნული სახე. ისინი სხვების მსგავსად არ გათქვეფილან ადგილობრივ მოსახლეობაში. თავიანთი სიმტკიცის და ერეც-ისრაელისადმი სიყვარულის წყალობით მათ თავიდან აიცილეს ასიმილაციის საფრთხე." „იგი ისწრაფვოდა თავისუფლებისაკენ, დაუოკებლად მოილტვოდა ისტორიული სამშობლოსაკენ..." „სწორედ აუღეთ ალღო და ითავეთ, რომ საძირკველი ჩაგეყარათ ქართველი ებრაელების ისტორიის შესწავლისათვის მაღალ მეცნიერულ დონეზე. ესაა დიდი ისტორიული მნიშვნელობის საქმე."

ბენ-ცვის ინსტიტუტის დირექტორი
პროფ. მაულ შაკედი, პრეზიდენტი ეფრაიმ კაცირი
და დოქტ. შალვა წიწუაშვილი

●●●

დემოკრატიული წყობილება ცივილიზებული სამყაროს უდიდესი მონაპოვარია. პიროვნება თავისუფალია, ის არავის საკუთრებას არ წარმოადგენს. მაგრამ არსებობს კანონი, დაუწერელი მორალური კოდექსი. რომე-

ლსაც ადამიანი უნდა იცავდეს. ვაი, რომ ზოგიერთმა ჩამორჩენილმა თუ გონებაშეზღუდულმა ადამიანმა დემოკრატიულობის არსი წახნაგოვან სარკეში დაინახა. აქედან გამომდინარე იგი პარადოქსალურად ქმედობს. მეღავნდება ადამიანის ქვეშეცნეური უარყოფითი თვისებები, ნორმიდან გადახრები, რომლებიც საზიანოა საზოგადოებისათვის. ასეთნი ერის ფასეულობასაც ხელყოფენ. რა გაეწყობა, ასეთნი ვყოფილვართ ადამიანები — აბელის და კაინის შთამომავალნი, პოზიტიურნიც და ნეგატიურნიც. იმისათვის, რომ იარსებო, უნდა მოკლა და შეჭამო სხვა — მაგრამ ეს მხეცთა სამყაროს კანონია. ადამიანი უნდა ამართლებდეს მოაზროვნე ბიოლოგიური არსების — ადამიანის სახელს!

ზემოთ აღვნიშნე, რომ ფანის ისრაელის სახელმწიფოს სათანადო ორგანოებში ჰქონდა ავტორიტეტი. მას სურდა ეს საზოგადოების სასარგებლოდ გამოეყენებინა. სამწუხაროდ, ზოგიერთებმა მას ვერ გაუგეს; დაიწყეს მის წინააღმდეგ გამოხდომები (სავარაუდოა, რომ ყოფილ სამშობლოში იმ დროს ჯერ კიდევ ქმედითი ორგანოები — კბბ-ს სახით ისრაელში პოულობდნენ „დამყოლ“ ელემენტებს, რომელთა დახმარებითაც ახორციელებდნენ ჩვენი ოჯახის, კერძოდ, რაბი დავიდის, გერცელ და ფანი ბაზოვების წინააღმდეგ დაფარულ თუ აშკარა მტრულ ქმედობას). მაგრამ ფანი ამაყი იყო. არაფრად მიიჩნევდა არაკეთილმსურველთა მხრიდან მტრულ გამოხდომებს — იგი კვლავ იდეალისტად რჩებოდა.

ისრაელის სახელმწიფომ ბევრი გააკეთა ბაზოვების ოჯახის სახელის უკვდავსაყოფად. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩატარებული იქნა დავიდ და გერცელ ბაზოვების ხსოვნის საღამოები; გამოსცეს ფანის მიერ შედგენილი კრებული „დავიდ და გერცელ ბაზოვები“; ფანის მემუარები „კეთროვანნი“ (ივრითზე და რუსულად).

ფანი აგრძელებდა მუშაობას, მაგრამ მას აღარ ეყო წლები ჩანაფიქრისა და მის მიერ დაგეგმილის ბოლომდე მისაყვანად.

●

ფანის ხშირად იწვევდნენ რუსულენოვან ებრაელთა საზოგადოებაში ლექციის ჩასატარებლად, ქართველ ებრაელთა უკეთესად გაცნობის მიზნით. იგი მოკლედ მოუთხრობდა, მაგრამ იმავე დროს ყურადღებას ამახვილებდა ჩვენი თემის წარმომავლობის მთავარ ასპექტზე. მსმენელნი მადლიერნი იყვნენ, რამეთუ მათ შორის ძალიან ბევრი იყო ნოვოსიბირსკიდან, იაკუტიიდან ან რუსეთის რომელიმე შორეული ადგილებიდან, სადაც არასდროს სმენიათ თუ არსებოდნენ საერთოდ საქართველოს ებრაელებიც. მათი ცოდნა ებრაელების შესახებ შემოიფარგლებოდა აშქენაზებით, რომლებიც ლაპარაკობენ იდიშზე, ან როგორც თვითონ ეძახიან „მამელოშნზე“. გასაგებია, რომ საერთო ინტეგრაციისათვის ასეთი ღონისძიება აუცილებელი იყო.

ზემოაღნიშნული ხასიათის შეხვედრები ეწყობოდა ხაიფაში (ორგანიზატორი

— დავიდ ზორელა), ნეთანიაში (თინა კრიხელის ინიციატივით), თელ-ავივში, ქფარ-საბაში და სხვ.

იმავე პერიოდში ეწყობოდა ჩვენი თემიდან გამოსულ ნიჭიერ მხატვართა ნამუშევართა გამოფენა. ამ მიმართებით რაფი ბარ-ლავის ხელმძღვანელობით არაერთი ღონისძიება ჩატარდა, რათა გამოეცალინა ნიჭიერი მხატვრები და გრაფიკოსები.

ასე მაგალითად, ფერწერის ოსტატის მიშა ჯანაშვილის ნახატების გამოფენა მოეწყო იერუშალაიმში (ბინიანეი ჰაუმას შენობაში), თელ-ავივში (ბეით ციონეი ამერიკაში), აშდოდში, ხაიფაში და ბევრი კიდევ ისრაელის სხვა ქალაქებში. მიშა ჯანაშვილმა საქართველოში, ჯერ კიდევ მთლად ახალდამწყებმა მხატვარმა ყურადღება მიიპყრო, როცა გერცელ ბააზოვისადმი მიძღვნილი იუბილეს დღეებში წარმოადგინა ფერწერული ნამუშევარი „გერცელი ებრაელთა უბანში". ამ სურათში წარმოისახა გერცელ ბააზოვის შემოქმედების მთელი ქმედითი უნარი და ნიჭი.

განსაკუთრებული და კოლორიტული ფერწერის ოსტატის რაფო მოშიაშვილის ნამუშევართა გამოფენა ეწყობოდა ბათ-იამის რიბაკის სახელობის მუზეუმში, თელ-ავივის და იაფოს სამხატვრო გალერეებში და სხვ.

1979 წელს ისრაელში ამოვიდა ჯერ კიდევ თბილისშივე ცნობილი ოპერის მომღერალი (ბარიტონი) იცხაკ ათანელოვი. ბუნებით დაჯილდოებული ძლიერი ხმით და ნიჭით, მან იქვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, რის შედეგადაც მიღებული იქნა თელ-ავივის ედით ფილიპის სახელობის სახელმწიფო ოპერაში. იცკას მე და ფანი ისრაელში პირველად შევხვდით ბეით ციონეი ამერიკაში — მიშა ჯანაშვილის დაბადებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე. მაშინ მან ჩვენ, სხვა მეგობრებთან ერთად, დაგვპატიჟა თელ-ავივის ოპერაში. მე არ მეყოფა სიტყვები, რათა აღვნიშნო იცკას — როგორც მომღერლის — სიდიადე. ვიტყვი მარტო იმას, რომ იგი შეუდარებელია. სცენაზე გამოირჩევა არა მარტო აღნაგობითა და ხმის ძლიერი დიაპაზონით, არამედ მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ტემბრით. მისი მიზანსცენები დამაჯერებელია. ჩვენ მას მოვუსმინეთ ოპერა „კარმენში", სადაც ასრულებდა ესკამილიოს პარტიას ელენე ჩერნეისთან ერთად (რუმინეთიდან ჩამოსული, კარმენის როლში). „ტრავიატაში" ასრულებდა ჟერმონის პარტიას, „ჯამბაზებში" — ტონიო, იტალიიდან ჩამოსულ ტონიო სერპიკოსთან ერთად. აგრეთვე ოპერა „სოფლის პატიოსნებაში" — ალჩინოს როლში. ბევრი კარგი მომღერლისათვის მოგვისმენია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიური წარმოშობის ხმებს და განსაკუთრებით საქართველოს მომღერლებს, რაღაც განსაკუთრებული ჟღერადობა და ტემბრი ახასიათებთ. და ჩვენი იცხაკ ათანელოვიც ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება.

თელ-ავივში ძველი უბნების რეკონსტრუქციის შედეგად აღნიშნული ოპერაც, როგორც მეტად ძველი და შეუფერებელ ადგილზე მყოფი, მოჰყვა ნგრევაში.

იცხაკ ათანელოვი ეწევა მრავალმხრივ მოღვაწეობას. მას შევხვედრივართ ცალკეულ კონცერტებზე, სოლო პარტიების შესრულების დროს. ჩემი და ფანის თხოვნით იცხაკს ყოველთვის შეუსრულებია ელყაზარის პარტია ოპერა „ჟიდოვკა რახილიდან". აღნიშნული ოპერის ფაბულა აგებულია ტრაგიკულ ისტორიაზე ებრაელთა ცხოვრებიდან.

1980 წელს იცხაკის თაოსნობით ჩამოყალიბებული იქნა ოთხთა ვოკალური ანსამბლი „კოლანი". იცხაკმა მალე თავისი ადგილი დაუთმო უფრო ახალგაზრდა შემსრულებლებს.

„კოლანის" მომღერლები — თითოეული მათგანი სანაქებოა აკომპანიმენტ-პიანისტის რუბენ ჩაჩაშვილის ჩათვლით. სოსო აჯიაშვილმა (თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერის თეატრის ყოფილი მომღერალი — ბარიტონი) ისრაელში იდიშური სიმღერების შემსრულებელთა კონკურსზე პირველი ადგილი მოიპოვა იდიშური სიმღერის „აიდიშე მამის" შესრულებაში.

„კოლანის" პირველი შემსრულებელი (ტენორი) ავთანდილ ქოსაშვილი, ეს რაღაც ჯადოქარი მომღერალია. იგი, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, დაჯილდოებულია უნიკალური ტენორით. ყველაფერს ერთნაირად საუცხოოდ ასრულებს. მაგრამ ფანის ყველაზე მეტად უყვარდა ავთანდილის მიერ ფანდურზე დაკვრით შესრულებული „სიმღერა ვეფხისა და მოყმისა", „დაიგვიანეს" და „ურმული". ეს ალბათ იმიტომ, რომ, როგორც ჩემი ბავშვობის პერიოდიდან მახსოვს, აღნიშნული სიმღერები ჩვენს მამისეულ სახლში უყვარდათ და მღეროდნენ. როგორი იდეალისტიც არ უდა იყოს ადამიანი, არ შეიძლება ნოსტალგიით არ იყოს შეპყრობილი. ამიტომ იყო, რომ როცა ფანი ავთ. ქოსაშვილის საკონცერტო გამოსვლებს შესწრებია, ყოველთვის უთხოვნია შეესრულებინა ეს სიმღერები.

განსაკუთრებული შთამბეჭდავი იყო როცა იცხაკ ათანელოვი და ავთანდილ ქოსაშვილი ასრულებდნენ ესოდენ ძნელ დუეტს ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან": იცხაკი — მურმანი, ხოლო ავთანდილი — აბესალომი.

●

დადგა ფანის სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი. 1979 წლის მიწურული. გატყდა მისი ჯანმრთელობა. ის მაინც არ ეპუებოდა თავის მდგომარეობას და სადაც კი სთხოვდნენ, მიდიოდა შეძლებისდაგვარად და მონაწილეობას იღებდა ქართველ ებრაელ მესვეურთა მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში. მწერალ აბრამ მამისთვალოვის დიდ იუბილეს, რომელიც თელ-ავივში გაიმართა, ფანი ვერ შეესწრო, მაგრამ ბათ-იამის ჰისთადრუთის შენობაში აბრამ მამისთვალოვის საპატივცემულოდ გამართულ საღამოზე (წამყვანი ეთერ ფიჩხაძე) ფანი შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა აბრამის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. ასევე, თელ-ავივის მუნიციპალიტეტში, ხაიმ ხუბელაშვილმა მოაწყო სპეციალური საღამო, რომელიც მიეძღვნა სიონისტ გერ-

შონ მეგრელიშვილის წიგნის «Я обвиняю» გამოცემას.

ჩვენს თემს შემოემატა ახალგაზრდა მწერალი და ჟურნალისტი ქალი თამარ კეზერაშვილ-მამისთვალოვი. ქ-ნმა თამარმა იქვე გამოამჟღავნა თავისი ნიჭი და უნარი როგორც ლიტერატურულ მოღვაწეობაში, ასევე საზოგადოებრივ სარბიელზეც. ინჟინერმა ხაიმ ხუბელაშვილმა იგი მიიწვია თავის თანაშემწედ ქართველ ებრაელთა აკადემაიმთა კავშირში. შემდეგ თამარ კეზერაშვილი მიწვეულ იქნა საბჭოთა კავშირის ოლიმთა გაერთიანებაში ქართველ ებრაელთა სექციის ხელმძღვანელად. შემდეგ იგი მუშაობდა წამყვან თანამშრომლად გაზ. „ნერგის" გამომცემელ დანიელ შალელაშვილთან.

ჩვენი თემის სასიქადულო შვილების შემდგომ წარმატებებს ფანი ვეღარ შეესწრო. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, როცა მას უკვე უჭირდა საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, მეგობრები არ ივიწყებდნენ და ბინაზე მოდიოდნენ მოსაკითხავად. მათ შორის იყვნენ ფიზიკოსი შალვა წიწუაშვილი, ინჟინერი მიშა კრიხელი და მისი მეუღლე თინა, მირიამ ბათ-მოშე; მხატვრები მიშა ჯანაშვილი, რაფო მოშიაშვილი; ჟურნალისტები ეთერ ფიჩხაძე, დანიელ შალელაშვილი; მათემატიკოსი რიტა დავარაშვილი, ფსიქიატრი თენგიზ იოსებაშვილი, პროფ. მიშა ზანდი; პავლე გოლდშტეინი, დავიდა კროლი, ვიქტორ პერელმანი, ცვი ოფერი და სხვ. კიდევ ბევრნი მოდიოდნენ ფანის მეგობრებიდან.

1979 წლის მიწურულში ფანის ჯანმრთელობა გაუარესდა. იგი ბევრჯერ იყო მძიმე ავად, მაგრამ ექიმების დახმარებით და ღმ-თის წყალობით გამოჯანმრთელებულა. ახლაც ასე მეგონა, რამეთუ სავსებით სრული აზროვნება ჰქონდა. 27 დეკემბერს, შუადღისასაც იგი წამოჯდა საწოლზე და ჩემთან დაიწყო საუბარი. რატომღაც ახსენა ხახამ რეფაელ ელაშვილი. „მას რომ განათლება მიეღო, —აღნიშნა ფანიმ, —იგი ისეთი ნიჭიერია, რომ უფრო თვალსაჩინო პიროვნება იქნებოდა." გავოცდი. თანაც შემეშინდა: რატომ გაიხსენა ხახამ რეფაელი?!. შემდეგ მე მომმართა და მითხრა: „იცოდე, შენს თავს უნდა გაუფრთხილდე..."

რა ვიცოდი, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. მეხსიერებაში ჩამრჩა მისი გონიერი, მეტყველი, ხავერდოვანი თვალები, რომლებითაც იგი მე შემომცქეროდა. რა ვიცოდი, რომ უკანასკნელად მიცქერდა და მარიგებდა.

28 დეკემბერს, პარასკევს, ქისლევის 20, ვოლფსონის საავადმყოფოში, ფანი გარდაიცვალა.

სულაც არ მსურს მკითხველი შევაწუხო ჩემი მწუხარების გამოთქმით ქაღალდზე, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა ორი სიტყვა.

ჯერ კიდევ ადრე, 1938 წლიდან მოყოლებული, ჩვენი დედა რახელის უფროს ვაჟიშვილზე გერცელზე დამწუხრების გამო მე უნებურად აღმოვჩნდი ფანის კალთის ქვეშ შეფარებული. ფანი ჩემთვის არა მარტო უფროსი და იყო, არამედ აღმზრდელიც, პედაგოგიც და მეგობარიც. მე მას შევყურებდი, როგორც ლამაზ ხავერდოვან ფარდას, რომლის უკან იმალებოდა საშინელი

წარსული. ფანის გარდაცვალებით თითქოს ის ჯადოქარი ფარდა ძირს დაეშვა და გაშიშვლდა სინამდვილე. პირისპირ აღმოვჩნდი სიმარტოვესთან. შეგრძნება მქონდა ისეთი, თითქოს ფანის გარდაცვალებით ჩემი სიცოცხლეც დასრულდა. იმ დამწუხრებულ დღეებში, ზამთრის წვიმიან დღეებში, მივრბოდი თელ-ავივის ხევრათ კადიშაში და ფანის საფლავის გვერდით ჩემთვის შევუკვეთე ადგილი. ფანი დაიტირეს მისმა მეგობრებმა და ჩვენი თემის შეგნებულმა ნაწილმა.

დაგინთებ სანთელს, ვილოცებ,
ვიმღერებ იავ-ნანასა,
შეგამკობ ია-ვარდებით
და დავღვრი ცრემლსა ცხარესა.

ამის დამწერიც აღარ ვიქნები,
როს გარდუვალი მეც მომადგება,
ვინ გაიხსენებს საფლავში გდებულს,
არვისგან ველი ცრემლსა გულწრფელსა.

# ჩემი ფესახობა ისრაელში

უღიმღამო მდგომარეობაზე, რომელშიც აღმოვჩნდი ეს მარტოხელა ქალი ფანის გარდაცვალების შემდეგ, უკვე ითქვა ჩემს წინა ნაწერებში. განსაკუთრებით მტკივნეული იყო ფესახის პირველი ღამე, რომლის დროსაც ტარდება „სედერი". ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიხსენიო კეთილი ნების ადამიანთა სახელები, რომლებმაც არ მაგრძნობინეს სიმარტოვე და დამასწრეს სასურველ „სედერს". ამ მხრივ ყველაზე მეტად გულისხმიერი აღმოჩნდა ქ-ნი მარო სეფიაშვილი (ბათ-იამის მცხოვრები). დაქვრივებული მანდილოსანი ქმრის კერას არ აცივებდა და მის საპატივცემულოდ ფესახისთვის შლიდა „შულხან არუხს". მისი მაგიდის გარშემო იკრიბებოდნენ შვილები, შვილიშვილები, ნათესავები, კარის მეზობლები – მაროკოული წარმოშობის ებრაელები და მე (ჯერ კიდევ ფანის სიცოცხლეში ორჯერ ვიყავით მასთან მიწვეული ფესახის სედერზე).

სედერს მართავდა მისი ძმა მიშა აჯიაშვილი, თორის შესანიშნავი მცოდნე, თავად პროფესიით ბუღალტერი.

შემდეგ გამოჩნდნენ სხვა ღვთისნიერი ებრაელებიც: ისრაელის ადგილობრივი მცხოვრებნი – მენაშე და ნურით დაიანები. მათი ოჯახი შეადგენს სპარსეთიდან და პოლონეთიდან გამოსულთა სინთეზს. მათ ჰყავთ ორი შვილი – ორენი და რუთი. სპარსეთის ყურის ომის დროს მათ შემიკედლეს, რათა ომით გამოწვეული შიში ერთად გადაგვეტანა.

სტუმრად ფესახის სედერზე დაიანების ოჯახში

# ჩვენი მეორე თაობა

როდესაც მამაჩემი ციმბირიდან დაბრუნდა, მას ხელახლა მოუხდა თავისი შვილიშვილების გაცნობა.

ცოცხალ მწვანეთვალება და ოქროსფერ კულულებიანი ლილი ბაბუა დავითმა მუხლებზე დაისვა. მოჯადოებული უსმენდა თავის შვილიშვილს. ლილი ემოციურად უყვებოდა ბაბუას ფანტასტურ ზღაპრებს, რომლებშიც ბევრი ერია საკუთარი ფანტაზიით სახელდახელოდ შეთხზული ამბები.

–ეს რა შვილიშვილი მყოლია! –გაგვიზიარა მამამ შთაბეჭდილება, –მას სახეზე აღბეჭდილი აქვს გონიერება. უთუოდ მისგან მომავალში სახელოვანი ადამიანი დადგება.

საიმი და ლილი

სამწუხაროდ, ველარ მოესწრო შვილიშვილის მომავალს. დღეს ლილი, ხაიმის უფროსი ქალიშვილი, საამაყო პიროვნებაა. სპეციალობით აღმოსავლეთ ქვეყნების ისტორიის მცოდნეა. დაცული აქვს სადოქტორო ავღანეთის ისტორიის დარგში. ეწევა კვლევით მუშაობას ქართველ ებრაელთა ისტორიის შესწავლის საკითხში. შესრულებული აქვს თარგმანები როგორც ქართულიდან რუსულზე, ასევე ივრითიდან რუსულზე. თავის ქალ-ვაჟთან ერთად ცხოვრობს ისრაელში. ქალიშვილი ანეტაც აღმოსავლეთმცოდნეა – არაბულის განხრით. ვაჟიშვილი გოგი – დოქტორი – მუსიკისმცოდნეა. მას თავის მხრივაც ჰყავს ნიჭიერი შვილები – ქალ-ვაჟი.

ლილის მომდევნო და – ერა (ეთერი) გაჰყვა თავისი მამის ხაიმის სპეციალობას. იგი იურისტია და მუშაობს როგორც ადვოკატი.

ხაიმის ქალიშვილების აღზრდის პერიოდი დაემთხვა მათი მამის ორჯერ პატიმრობას. მძიმე პირობებში მოუხდათ ცხოვრებაში გზის გაკაფვა.

გერცელის შვილი ნათანი სამი წლის იყო, როცა იგი მამით დაობლდა. მას

ლიდიის ქალ-ვაჟი ვოვი და ანუკა



ვერცელი და ნათანი

თავის მამა არც ახსოვს. ნათანის აღზრდის პერიოდი იყო მისი მსოფლმხედველობისა და ადამიანობის ჩამოყალიბების გამოცდა. ეს ის დრო იყო, როცა თვითშენარჩუნებისა და გადარჩენის ინსტიქტით ადამიანებს უხდებოდათ თავისთავში ჩაუხედავად

ერა უფრაიმ ვურთან ერთად
დავით ბააზოვის საფლავზე

დადგომოდნენ ისეთ გზას, რომელიც მათ გარდუვალად ესახებოდათ. ეს იყო იმდროინდელი საბჭოური სინამდვილე. ამით აიხსნება, თუ ნათანს არ მიუღია ჩვენს მამისეულ ოჯახში დამკვიდრებული ტრადიციული ებრაული სულისკვეთებით აღზრდა. პირიქით, მისი აღმზრდელი დედა ყოველნაირად ცდილობდა ჩვენი ოჯახისაგან შორს ჰყოლოდა, როგორც „საშიში კერისაგან". ნათანის აღზრდა განპირობებული იყო იმ-

დროინდელი გაბატონებული პოლიტიკური კურსით. რუსიფიკაცია საბჭოური ფორმით – ეს იყო მათი თავშესაფარი.

ნათანი და დედაჩემი

დრო გადის და იცვლება პოლიტიკური სიტუაცია. ცხოვრებამ წამოაყენა ახალი ამოცანები. ის, რაც ადრე იკრძალებოდა, დღეს ლეგალურია და დასაშვები. 30-იან წლებში რაბინ დ. ბაზოვის წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრალდებას წარმოადგენდა ებრაული ისტორიისა და ენის ცოდნა. „რომ იცი, რატომ იცი!" –ასე ცინიკურად მიმართავდნენ მას ბრალმდებელნი სასამართლო პროცესის დროს. დღეს აღარ იკრძალება ებრაელი ხალხის ისტორიისა და ენის ცოდნა. მაგრამ როცა ბაბუა დავითი ციმბირიდან დაბრუნდა 1945 წელს (ომის დამთავრების შემდეგ), მაშინ ჯერ კიდევ მძვინვარებდა ძველი პოლიტიკური კურსი. მიუხედავად ამისა ბაბუამ მაინც სცადა, რათა შვილიშვილი ნათანისათვის შეესწავლებინა ებრაული ენა. მაგრამ ნათანმა არ მოინდომა. რა გაეწყობოდა. ბავშვის ფსიქიკა ჯერ კიდევ შორს იყო ეროვნული თვითშეგნებისაგან. მას ებრაული ენა მიაჩნდა არქაულ მოვლენად, ცხოვრებისათვის არა საჭიროდ, გამოუდეგარად. ბაბუა მაინც არ კარგავდა იმედს, ფიქრობდა, რომ საამისოდ ჯერ არ დამდგარა დრო, მაგრამ აუცილებლად დადგებაო.

მსოფლიოში მომხდარ ძვრებს არ შეეძლო გვერდი აევლო ებრაელი ერისათვის... გამართლდა მისი ჩანაფიქრი. თვითონ აღარ იყო, მაგრამ ჰეშმარიტებამ გაიკვლია გზა და ებრაელ ერს მიაკუთვნა

•

მიშა კრისელი და ნათანი სახლთან, სადაც ცხოვრობდა დავიდ ბააზოვის ოჯახი 40-იან წლებში

•

ნათანის ქალიშვილები
ელა და ვეტა (ვიოლეტა)
ჰატარაობისას.

ქვემოთ – ვიოლეტა
ცაჰალის ფორმაში

საკუთარი სამშობლო.

ნათანიც შეიცვალა. დღეს იგი სულ სხვა პიროვნებაა, რადიკალურად შეცვლილი. თუ ერთ დროს ბააზოვების ოჯახს გაურბოდა, დღეს თბილისში შექმნილი ჰქონია ბააზოვების სახელობის კულტურის ცენტრი.

ნათანი საკუთარი აზროვნებით მივიდა განგების აღიარებამდე. ამ საკითხზე მან საქართველოს ქართულენოვან და რუსულენოვან პრესაში გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „გზა ჭეშმარიტებისაკენ“, სადაც ამტკიცებს გამგებლის უცილობელ არსებობას. თავად სპეციალობით ფიზიკოსია, მაგრამ უყვარს პოეზიაც. წერს საკუთარ ლექსებს და თარგმნის ქართველ პოეტებს. საქართველოს პრესა უხვად ბეჭდავს მის ლექსებს. ნათანის თარგმანებიდან ყველაზე მეტად გამოირჩევა ნ. ბარათაშვილის „მერანი“. ამ თარგმანმა მოიპოვა საყოველთაო აღიარება. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1998 წელს 18 აგვისტოს თარიღით გამოქვეყნებულია პრეზიდენტის განკარგულება ნ. ბააზოვის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ. ხელს აწერს ედუარდ შევარდნაძე.

ნათანის ერთი ქალიშვილი, ვიოლეტა თავის ქმარშვილთან ერთად ისრაელის მოქალაქეა. ისრაელში დაასრულა საშუალო სკოლა, მოიხადა სამხედრო სამსახური. შემდეგ თავის მომავალ მეუღლესთან – ამისთან (ტუნისიდან გამოსული ებრაელია) ერთად ამთავრებს ხაიფის ტეხნიონს. მათ შექმნეს შესანი-

•

სურათებზე:
მარცხნივ –
მეირის ვაჟი
გერშონი (გერა)
ბებია რასელთან.
ქვემოთ –
გერას და ჟანას
ქორწინება
მოსკოვში

•

შნავი ოჯახი. ჰყავთ ვაჟიშვილი – ლიორი.

◆

მეირის ვაჟიშვილი გერშონი სადღეისოდ ისრაელის მოქალაქეა. მაგრამ მანამდე მასაც წინ უსწრებდა პარადოქსალური მოვლენები. თუ მეირი დაბადებიდანვე შეყვარებული იყო ერეც-ისრაელზე და იყო ივრითის შესანიშნავი მცოდნე, ოცნებობდა ისრაელში ამოსვლაზე და სიონიზმის ბრალდებით დაჰყო 10 წელი ყარაღანდის დახურულ, მძიმე ბანაკებში, მისი ერთადერთი ვაჟიშვილი გერშონი გაიზარდა პროსაბჭოური ტენდენციებით აღჭურვილ ებრაული წარმოშობის გარემოცვაში. ბიძები – დედის მხრიდან – იყვნენ სიონიზმის მოწინააღმდეგენი; სიონისტი სიძე, მეირი მათ

სულაც არ ეჭაშნიკებოდათ. მარტო გერშონი კი არა, ებრაელი ბავშვები ებრაულ სკოლებში თუ სხვა სახის საწავლებლებში განიცდიდნენ ანტისემიტურ ჩაგვრას. ასეთი ბავშვები იჩაგრებოდნენ თანაკლასელებისაგანაც, ეძახდნენ აბრაშა-ჟიდს. ებრაელი ბავშვები ყოველნაირად ცდილობდნენ დამგვანებოდნენ მოკლეცხვირიან რუსის ბავშვებს. მაგრამ, მათ უნდოდათ თუ არა, მაინც გამოირჩეოდნენ სემიტური ანტროპოლოგიური გარეგნობით სწორ და თხელთმიან რუსის ბავშვებისაგან. მშობლები თავიანთ ბავშვებს არქმევდნენ რუსულ სახელებს, გვარებსაც რუსულზე იცვლიდნენ, მაგრამ მაინც არაფერი არ შველოდათ, მაინც ჟიდებად რჩებოდნენ. ასეთ გარემოში უხდებოდა ჩვენს გერშონს (გერას) გაზრდა, როცა მამა გადასახლებაში ჰყავდა. ძლიერი იყო ებრაელობიდან გაქცევა და რუსიფიკაციის დანერგვა, რათა გაადვილებოდათ ყოფა რუსებთან ურთიერთცხოვრების დროს. როცა მეირი ცოცხალი აღარ იყო და გერშონს შეეძინა ვაჟი, არ დააბრუნა მამის სახელი — მეირი, არამედ შეარქვეს მიშა.

◆

გარდატეხა მოახდინა ექვსდღიანმა ომმა. ებრაელებმა იწყეს ნელ-ნელა გამოფხიზლება, თუმცა საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული, გარუსებული ებრაელები ჯიუტად არ სცნობდნენ ისრაელის სახელმწიფოს.

გერას ქორწილზე

ჩვენს გერშონშიც მოხდა გარდატეხა. თუმცა პრაქტიკულად ჯერ არ იყო მზად ისრაელში ამოსვლისათვის, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი ცოლ-შვილითა და დედით (მეირის ქვრივით) დაიძრნენ ისრაელისაკენ.



გერშონ ვაჟი შიმა ცაჰალის ჯარისკაცი.

გერშონი სპეციალობით ფიზიკოსია, პროგრამისტი, მაგრამ მუშაობს არა-სპეციალობის მიხედვით. სამაგიეროდ მასში იფეთქა იუდაიზმის შესწავლის სურვილმა. დღეს იგი, როგორც ივრითულად იტყვიან בעל תשובה, დადის საღოცავში და ასრულებს ყველა ებრაულ მიცვებს. რომ ჰკითხოთ, იგი გიპასუხებთ, რომ ცხოვრობს ერეც-ისრაელში და არა ისრაელის სახელმწიფოში, რომ ჯერ კიდევ მაშიახი მოსასვლელია და როცა მოვა, მაშინ გვექნება სულიერი ებრაული სახელმწიფო.

გერშონის (გერას) ვაჟიშვილი მიჰყვება ცხოვრების უფრო რეალურ გზას, უფრო პრაქტიკოსია. მოიხადა ისრაელის სამხედრო ვალდებულება. მუშაობს თავისი სპეციალობით.

# ბოლოსიტყვა

დასრულდა ტრაგიზმით სავსე ბააზოვების ოჯახის საგა. ფანის გარდაცვალებამდე და შემდეგაც ისრაელის სათანადო სახელმწიფო ორგანოებისა და ქართველ ებრაელთა მიერ არაერთი ღონისძიება იქნა ჩატარებული დავიდ და გერცელ ბააზოვების ხსოვნის აღსანიშნავად. ჯერ კიდევ 1976 წელს, როცა ისრაელის მთავრობის ყოფილი მეთაურის ქ-ნ გოლდა მეირის თაოსნობით აღინიშნა ხსოვნის საღამოები, იქვე მითითებული იქნა, რათა იერუშალაიმში და სხვა ქალაქებშიც რომელიმე ქუჩისათვის დაერქმიათ რაბინ დ. ბააზოვის სახელი. გარდა ამისა საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამაში უნდა შეტანილიყო სპეციალური კურსი – საქართველოში სიონისტური მოძრაობის ისტორიის შესასწავლად. სამწუხაროდ, ეს საკითხი უგულვებილყოფილი იქნა და დღემდე არ შესრულებულა. რაც შეეხება ქუჩისათვის სახელის მინიჭებას, საბჭოთა კავშირიდან გამოსულთა გაერთიანების პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა იერუშალაიმის მერ ტედი კოლეკთან. ამასთან დაკავშირებით იერუშალაიმ-ში, რამოთის რაიონში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა რაბინ დ. ბააზოვის სახელი.

1990 წელს, 25 დეკემბერს, საბჭოთა კავშირიდან გამოსულ ებრაელთა გაერთიანების თავმჯდომარის რობერტ გოლანის (ელიგულაშვილის) ხელმძღვანელობითა და ქართული სექციის გამგის თამარ კეზერაშვილ-მამისთვალოვის ორგანიზაციით ხოლონიდან გეზი ავიღეთ იერუშალაიმისაკენ. იქ შემოგვიერთდნენ იერუშალაიმლებიც. ღია ცის ქვეშ გაიხსნა მიტინგი, მიძღვნილი ახალშენი ქუჩისადმი საქართველოში სიონიზმის ფუძემდებლისა და რუსეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო სიონისტის რაბინ დავიდ ბააზოვის სახელის მინიჭებისადმი. იმ საღამოს ბუნებაც გვწყალობდა. გვახალისებდა იერუშალაიმის საღამოს თბილი ნიავი. იშვიათი სილამაზის ქუჩა, იერუშალაიმის ქვით ნაშენი კოტეჯები ჩაფლული იყვნენ გამწვანებულ და ყვავილოვან შემოგარენში. იქვე შეამჩნევთ კედელზე მიკრულ აბრას, რომელიც გაუწყებთ რაბინ დავიდ ბააზოვის ვინაობას. აღნიშნული ქუჩის მცხოვრებნი ცდილობენ არ დაურღვიონ თავის ადგილსამყოფელს ესთეტიკური იერი, რის გამოც თავიანთ მანქანებს სახლების უკანა ფასადის მხარეს აჩერებენ. საკუთრივ დ. ბააზოვის სახ. ქუჩა მხოლოდ ფეხით გასავლელია.

სურათზე: იმ დღეს იერუშალაიმში, რაბი დავიდ ბააზოვის სახ. ქუჩაზე

მიტინგის საპატიო სტუმარმა ბ-ნმა რაფი ბარ ლავიმ მოიწვია იერუშალაიმის ბავშვთა ვოკალური გუნდი, რომელიც ასრულებდა ისრაელურ სიმღერებს. გვეწვია ცხინვალიდან ჩამოსული რაბი ხაიმ-აბრამ მანაშეროვი. საღამო გახსნა გაერთიანების თავმჯდომარემ რობერტ გოლანმა. სიტყვებში გამოვიდნენ რაფი ბარ-ლავი, ჟურნალისტი აბრამ ბინიაშვილი (ל"ז), მწერალი აბრამ მამისთვალოვი, ბენ-ცვის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი გერშონ ბენ-ორენი, იურისტი ისაკ ჯანაშვილი, აღნიშნული ქუჩის № 4-ში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, რეჟისორი მოსე დანიელოვი (ל"ז) და სხვ.

ცერემონიალის დასასრულს მოსე დანიელოვმა, თავის ბინაზე, სადაც იგი თავის ვაჟიშვილის, ვაჟას ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა, დამსწრე საზოგადოებას გაუმართა გულთბილი მასპინძლობა. სამახსოვრო სურათების გადაღებით დამთავრდა ჩვენი მსვლელობა.

ქ. ხოლონში ქალაქის მერის ფინხას ეილონის თაოსნობით კირიათ შარეთის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა რაბინ დავიდ ბააზოვის სახელი.

ბ-ნ ეილონის უშუალო თაოსნობით და გაერთიანების უფროსის რობერტ გოლანის-(ელიგულაშვილის) ხელმძღვანელობით ხოლონის კულტურის ცენტრში 1984 წელს ჩატარდა რაბინ დავიდ ბააზოვის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. საღამო გახსნა რობერტ გოლანმა. დ. ბააზოვის

ეს კი სიღონში, სახლზე ფირნიში:
„რაბი დავიდ ბააზოვის სახ. ქუჩა, № 4“

ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე ილაპარაკა ბენ-ცვის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა გერშონ ბენ-ორენმა. საგულისხმო სიტყვებით გამოვიდნენ ქალაქის მერი ფინხას ეილონი, თადარიგის გენერალი უზი ნარკისი, გედეონ ბენ-ისრაელი, პროფ. მიხაელ ზანდი (იერუშალაიმის უნივერსიტეტი), მწერალი აბრამ მამისთვალოვი და სამადლობელი სიტყვით დავიდ ბააზოვის უმცროსი ქალიშვილი, ამ სიტყვების დამწერი პოლინა ბააზოვი.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით გამოშვებულ იქნა დავიდ ბააზოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გაზეთი-ბიულეტენი (რედაქტორი დ. შალელაშვილი, რედაქციის წევრი შალვა წიწუაშვილი).

1984 წელს ქ. აშდოდში, იმ დროს ქალაქის მერის მოადგილის ეფრაიმ გურის მიერ, ჩატარებული იქნა მწერალ გერცელ ბააზოვის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, გამოცემული იქნა გერცელ ბააზოვის შემოქმედების ამსახველი ალბომი (ივრითზე), ფანი ბააზოვის ხსოვნისათვის დაისტამბა და გამოიცა წიგნები: «Памяти Фаины Баазовой» (რუსულ ენაზე) და שק המשאלות (ივრითზე).

♦

ვფიქრობ, რომ საკმარისი ღონისძიებები იქნა განხორციელებული ჩემი ტანჯული მამის, ხალხისათვის თავდადებული მებრძოლი სიონისტის რაბი დავიდ ბააზოვისა და ჩემი უფროსი ძმის, ტრაგიკულად დაღუპული, თავისი თემის – ქართველი ებრაელობის დიდი ქომაგის, მწერლისა და დრამატურ-

გის. გერცელ ბააზოვის ხსოვნისათვის.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მე დიდ მადლობას მოვახსენებ – პირველ რიგში ისრაელის სახელმწიფოს და შემდეგ ჩვენი თემის კეთილი ნების ადამიანებს, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებაში.

საქართველოდან მასობრივი ალიის 15 წლისთავის ზეიმზე
(თელ-ავივის ჰეიხალ ჰათარბუთი, 3.11.85 წ., ორგანიზატორი – ელი მიხაელი)
არიელ შარონი ჰოლინა ბააზოვს ულოცავს
სოხნუთის (მსოფლიო ებრაული საგენტოს) საპატიო სიგელის მიღებას.

დასასრულს, მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებ ჩვენს ყოფილ სამშობლოს – დღევანდელ საქართველოს რესპუბლიკას, რომელმაც კოლოსალურ ფარგლებში ჩაატარა ქართველი ხალხისა და ქართველი ებრაელების უნიკალური მეგობრობის ამსახველი საუქმო დღეები; მრავალფეროვან ღონისძიებათა შორის არ იყვნენ დავიწყებულნი საქართველოს მკვიდრი შვილები დავიდ და გერცელ ბააზოვები.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ (1998 წლის 11 სექტემბერი) გვაუწყებს, რომ იქ, სადაც დავიდ ბააზოვი ცხოვრობდა თავის უკანასკნელ წლებში, მოეწყო სპეციალურად მიძღვნილი მიტინგი და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად გახსნილი იქნა მემორიალური დაფა.

קרן קימת לישראל

עץ אחד

| | |
|---|---|
| עץ אחד | נטע ע"י |
| בחורשה לזכר הרוגי | אגודת יוצאי |
| באבי-יאר | קייב בישראל |
| לזכר | לזכרון עולם! |
| פאניה באזובה | |

№ 19420 /א

ისრაელის კერენ-კაიემეთის სიგელი იუწყება, რომ
ბაბი-იარში დახოცილთა ხსოვნის ჯალაში
ფანია ბააზოვის სახსოვრად დარგულია ხე

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1998 წ. 11-18 სექტემბერი) დაიბეჭდა ორი წერილი: „უკვდავყოფა“ და თამაზ წივწივაძის „თუ დაგივიწყო შენ, გერცელ ბააზოვ!..“ აღნიშნული წერილები გვამცნობენ, რომ ბარათაშვილის ქ. № 5-ში მოეწყო მიტინგი, რომლის დროსაც გაიხსნა მწერალ გერცელ ბააზოვის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფა.

აქვე აღვნიშნავ იმ ფაქტსაც, რომ ჯერ კიდევ 1992 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით ქ. თბილისში აღდგენილ იქნა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელსაც მიენიჭა ცნობილი ქართველი ებრაელი რაბინისა და საზოგადო მოღვაწის დავიდ ბააზოვის სახელი.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები – ზეპირსიტყვიერი გამონათქვამები თუ პუბლიკაცია – ეს ყველაფერი ფორმალური მხარეა. მე მიმაჩნია მოვლენების ძირითად ატრიბუტად, თუ მომავალი თაობა გააგრძელებს წინაპრების მიერ გაკაფულ გზას, მაშინ მათი სული ძლიერი გადავა მარადისობაში.

ძველი ლათინები აღნიშნავდნენ, რომ ისტორია მარტო იმას კი არ მოგვითხრობს, რაც მოხდა ჩვენამდე, არამედ იგი ცხოვრების მასწავლებელიც არის და გზის მაჩვენებელიც; გაკვეთილია და გამოცდაც, რათა კაცობრიობამ ააშენოს უკეთესი მომავალი.

და მე ჩემს თხრობას დავასრულებ დავიდ ბააზოვის სიტყვებით:

„ოხ, განგებავ, შენ შესწკვიტე ზარბაზნების გრიალი და მის ნაცვლად გაგვაგონე ყველა ერისა და მათ შორის ისრაელის განთავისუფლება.“ (გაზ. „სამშობლო“, კრებულში დავიდ და გერცელ ბააზოვები, გვ. 57).

## რაბინი

# დავიდ

# ბაზოკი



**დავიდ ბააზოვი**

# მენახემ უსიშკინს

წერილი დაწერილია 1901 წლის 8 ნოემბერს ბელორუსიის ქ. სლუცკის იეშიბოთში, სადაც მაშინ სწავლობდა ახალგაზრდა დავიდ ბააზოვი. წერილი წარმოადგენს დავიდ ბააზოვის მიერ იმ პერიოდის უკანასკნელ თვეებში კავკასიაში გაწეული სიონისტური მოღვაწეობის მოკლე ანგარიშს. წერილი გამოქვეყნდა 1981 წელს თელ-ავივის უნივერსიტეტის წელიწდეულში, დოქტ. ისრაელ კლაუზნერის სტატიაში „სიონისტური მოძრაობის დაწყებითი პერიოდი კავკასიაში". ამ წერილის რუსული თარგმანი შესულია ჰოლინა ბააზოვის მიერ შედგენილ კრებულში „ფანი ბააზოვის ხსოვნას". ქართულად ასლა ქვეყნდება პირველად ჩემს მიერ.

ჩემს გამოჩენილ მასწავლებელს, ღირსეულ და კეთილშობილ ადამიანს, ავტორიტეტულ მრჩეველს, კეთილგონიერს, ბრძენსა და განსწავლულს, თავის მოძმეებზე მზრუნველსა და თავისი ხალხისათვის სიკეთის მქმნელს რაბი მენახემ მენდელ უსიშკინს ღრმა პატივისცემით.

სიყვარულით გადმოგცემთ რა სალამს და საუკეთესო სურვილებს, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით თბილისში, მე, თქვენი სულგრძელი მითითებების მიხედვით განვაგრძობდი მუშაობასა და შუამდგომლობას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, სიონისტური იდეის დანერგვას, რომელიც ხალას ოქროზე ძვირფასია, და სიმართლის თესლის ჩაყრას კავკასიის ხმელსა და უნაყოფო კლდეებზე. ვისწრაფი გაცნობოთ, რომ მე მომიხდა შეუპოვარი და გააფთრებული ბრძოლის წარმოება, მაგრამ ღმერთის შეწევნით ყველა დაბრკოლება გადავლახე. არაფერი დამვიწყნია თქვენი მითითებებიდან, ვინაიდან თქვენთან დაშორებისთანავე ჩავედი ქუთაისში და გამჩენის დახმარებით ყველაფერი განვუმარტე და ავუხსენი ადგილობრივ ხელმძღვანელებს და ყველამ ერთსულოვნად წარმოთქვა: დავიდი სწორად ამბობს, ჩვენ ვალდებულები ვართ მონაწილეობა მივიღოთ ამ საქმეში და დავეხმაროთ ჩვენს დევნილ ხალხს, ისე რომ სხვებს არ ჩამოვრჩეთო, და შეიქმნა იქ სიონისტთა საზოგადოება. მათ თავმჯდომარეც აირჩიეს. მე გამჩენის იმედი მაქვს, რომ მალე კავკასიის სხვა ქალაქებიც მიბაძავენ ქუთაისის მაგალითს. იქაც გამოიღვიძებენ და გამოფხიზლდებიან ჩვენი ძმები ღრმა ძილისაგან, რომელიც რამდენიმე საუკუნეა გრძელდება.

დ. ბააზოვი სლუცკში სწავლის დროს

და აღსრულდება საღმრთო წიგნის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ცდომილები შეიცნობენ ჭეშ-მარიტებას“.

შემდეგ მე გავემგზავრე სლუცკში. მადლობა ღმერთს, მშვიდობით ჩავედი, და დამხვდა იქ ქუთაისიდან გამოგზავნილი წერილი, რომელიც შეიცავდა დაჟინებით თხოვნას იმის შესახებ, რომ მალე ვაცნობო მათ თუ როდის გაიმართება დიდი კონგრესი ლონდონში და მეორე კონგრესი ეკატერინოსლავში. ისინი მეკითხებიან აგრეთვე, შეგვიძლია თუ არა მივიღოთ მათგან საწევრო შესატანი „შეკელი“, რომელიც 40 კაპიკს აღემატება. გთხოვთ დაუყოვნებლივ მაცნობოთ ამის თაობაზე, ვინაიდან პასუხი უნდა გავცე რაც შეიძლება მალე.

და კიდევ მინდა გაცნობოთ თქვენ, რომ თუ აუცილებელია ჩემი ჩამოსვლა ქალაქ ეკატერინო-სლავში, შეგიძლიათ ამის შესახებ მომწეროთ სლუცკში და აუცილებლად ჩამოვალ.

თქვენი ახალი მეგობარი და თაყვანისმცემელი, თქვენთვის ყოველივე სიკეთისა და დიდი წარმატებების მსურველი

**დავიდი**

— რაბი მენახემ ბააზოვის ვაჟი.

ივრითიდან თარგმნა
**თამარ ბაბისთვალოვამ**





•

გადასახლებაში
მყოფი
დავიდ ბაგზოვი
ამ ხურათს უგზავნის
უმცროს ქალიშვილს
ბაშას (ჰოლინას)
წარწერით
(ხურათის უკანა მხარეს)

•

გერშონ მეგრელიშვილი

# სიონიზმის საწყისებთან საქართველოში

შაბათ დილით სალოცავში შემოვიდა ელიაჰუ ბნედიანი. სეფერ-თორას კითხულობდნენ და ყველა გასუსულიყო. მაგრამ ელიაჰუმ თავი ვერ შეიკავა და კარებში პირველსავე შემხვედრს ჩასჩურჩულა, ხელმწიფე ჩამოაგდესო. ეს ამბავი მყისვე მოედო მთელ ჩვენს, ლაილაშის სალოცავს.

საღამოს, გამოლოცვის შემდეგ გაბაიმ გამოაცხადა: ხელმწიფის ჩამოგდებასთან დაკავშირებით ხვალ ბაზრის მოედანზე მიტინგი შედგება და კარგი იქნება თუ ყველა დაესწრებითო. მიტინგზე ბევრმა წარმოთქვა სიტყვა და ლამაზ-ლამაზად შეამკეს თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. მიტინგს ხელმძღვანელობდა მთელ მაზრაში ცნობილი სოციალ-დემოკრატი ლევან დადეშქელიანი. სიტყვით გამოვიდა მღვდელი ვანო მუსერიძეც, ისიც სოციალ-დემოკრატი.

ცენტრიდან იგზავნებოდა გაზეთები, მოდიოდნენ სხვადასხვა პარტიების აგიტატორები და მოგვიწოდებდნენ დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის მოემზადეთ და ხმა ჩვენს წარმომადგენელს მიეცითო.

მე მაშინ პირველად გავიგე, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა არსებობენ სოციალ-რევოლუციონერთა, სოციალ-ფედერალისტთა, ეროვნულ-დემოკრატიული და, რაც ძალიან გამიკვირდა, აგუდათ-ისრაელისა და სიონისტთა პარტიებიც.

მენშევიკებმა ქუთაისიდან თავის აგიტატორად მოავლინეს იოსებ ელიგულაშვილი, ცნობილი მდიდრისა და ქველმოქმედის არონ ელიგულაშვილის ვაჟი.

იმავე საღამოს იგი სიტყვით გამოვიდა ჩვენს სალოცავში და ებრაელებს მოგვიწოდა ხმა მიეცით № 1 სიას, ე.ი. მენშევიკებსო. ჩვენ, ებრაელებს გვეამაყებოდა, რომ ჩვენს მიკარგულ სოფელს ეწვია ასეთი განათლებული ადამიანი და ისიც ასეთი ცნობილი ოჯახის შვილი.

რა გასაკვირია, რომ ყველა ებრაელი აღუთქვამდა მენშევიკებს მივცემთ ხმასო.

ძვირფასი სტუმარი სახლში ჯერაც არ დაბრუნებულიყო, რომ ლაილაშს მოევლინა კიდევ ერთი აგიტატორი: ქუთაისის რაბინის რეუბენ ელუაშვილის თანაშემწე შელომო ეფრემაშვილი. იგი პირდაპირ ჩვენთან, ებრაელებთან

იყო წარმოგზავნილი თვით რაბი რეუბენ ელუაშვილისაგან. ადგილობრივმა რაბინმა აჰარონ სეფიაშვილმა ჯამაათი სალოცავში მიიწვია კრებაზე. მოვლინებულმა ხალხს მოუწოდა ხმა მიეცათ „აგუდათ ისრაელისათვის", რწმენისა და თორისათვის და მიეღწიათ, რომ დამფუძნებელ კრებაში გასულიყო ამ პარტიის წარმომადგენელი.

ებრაელებმა რომ ამას წინათ საზეიმოდ აღუთქვეს ქუთაისელ ებრაელს იოსებ ელიგულაშვილს, მენშევიკებს მივცემთ ხმასო, უცბად შეიცვალეს აზრი და მათმა უმრავლესობამ შელომო ეფრემაშვილს დაუჭირა მხარი და აღუთქვა: ჩვენს, აგუდათ ისრაელის კანდიდატს ავირჩევთ, რაკი იგი ჩვენს ინტერესებს იცავსო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენთან ჩამოვიდა ონის რაბინი დავით ბააზოვი. ჩვენმა ებრაელებმა მაშინ გაიგეს, რომ არსებობს სიონისტური ორგანიზაცია, რომელიც აგრეთვე ცდილობს თავისი წარმომადგენელი შეიყვანოს დამფუძნებელ კრებაში და, რომ დავით ბააზოვი არის საქართველოს სიონისტთა ლიდერი. ითქვა, რომ იგი სიტყვით გამოვიდოდა მომავალ შაბათს. მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი და მიმზიდველი, გამოცდილი ორატორი წარდგა სავსე დარბაზის წინაშე. ბევრი ილაპარაკა ჰერცელზე, სიონისტურ კონგრესებზე, სახელმწიფო სათათბიროს წევრ სიონისტებზე, როგორც ებრაელი ხალხის ინტერესებისათვის ნამდვილ მებრძოლებზე, კიშინიოვისა და 1905 წლის პოგრომებზე, ბეილისის პროცესზე და სხვ. ორატორმა შესძლო მსმენელებისათვის გადმოეშალა ებრაელთა საჭირბოროტო საკითხები და ჩქარა დაიპყრო მათი ყურადღება.

როდესაც ლაპარაკი დაიწყო პოგრომებზე და მან მოიყვანა საზიზღარი მხეცობის მაგალითები, ხალხში გაისმა კვნესა, ქვითინი, მოთქმა. ბააზოვმა იქვე მოიყვანა ერეც-ისრაელის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ებრაული სამხედრო ნაწილების მამაცობისა და გმირობის მაგალითები, ერეც-ისრაელში ებრაელ ახალმოსახლეთა მიერ სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებები. მთელი დარბაზი საოცარმა მღელვარებამ მოიცვა. ბააზოვი შეგვპირდა: ხვალ გაჩვენებთ დოკუმენტალურ კინოფილმს, რომ იცოდეთ, როგორ შრომობენ და იბრძვიან ჩვენი ძმები აღთქმულ მიწაზეო. ეს უკვე რაღაც არაჩვეულებრივი რამ უნდა ყოფილიყო. არავითარი კინოფილმი ჩვენთაგანს არავის არ ენახა. და აი, ეს ჯადოქარი გვპირდება ერეც-ისრაელის ებრაელთა ცხოვრებაზე გვაჩვენოს კინო.

დავით ბააზოვი კი უკვე სხვა ებრაული დასახლებისაკენ, ბანძისაკენ მიიჩქაროდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან, ლაილაშსა და ბანძას დავით ბააზოვი მოვიდა ქუთაისში მომხდარი პოგრომის მერე. ამ პოგრომის დროს დაზიანდა ებრაელთა მაღაზიები, რომლებიც ქალაქის მაღაზიათა 80 პროცენტს შეადგენდა. ყაჩაღები ეცემოდნენ ებრაელთა მაღაზიებს და მიჰქონდათ ყვე-

ლაფერი, რაც ხელთ მოხვდებოდათ, ქართველებისას კი გვერდს უვლიდნენ. უნდა ითქვას, რომ ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. ამის შემდეგ ძნელი არ იყო დაგემტკიცებინა ებრაელებისათვის, რომ სადაც და როგორ კარგადაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენს სახლში — ჩვენს ქვეყანაში მაინც უკეთესად ვიქნებით.

ქუთაისის რაბი რეუბენ ელუაშვილი კი დაუშვებლად თვლიდა ეროვნული გრძნობები გაღვიძებოდათ ებრაელებს. და ამიტომაც ათასნაირი საბაბით უკრძალავდა დავით ბააზოვს გამოსულიყო ქუთაისის რომელიმე სალოცავზე, რომელთა რიცხვი შვიდამდე იყო.

პეტროგრადში რომ დროებითი მთავრობა დაემხო და ძალაუფლება ბოლშევიკებმა იგდეს ხელთ, ქართველმა მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

აგუდათ ისრაელმა დამფუძნებელ კრებაში გაიყვანა ქუთაისის რაბინის რეუბენ ელუაშვილის სიძე მოშე დავარაშვილი (მოშე ჰაკატანი). დამფუძნებელ კრებაში შევიდა კიდევ ერთი ებრაელი — იოსებ ელიგულაშვილი, ოღონდ მენშევიკების სიით.

1918 წლის დასაწყისში ჩემი მშობლები ქუთაისში გადავიდნენ. ამან საშუალება მომცა უფრო ახლოს გამეცნო საქართველოში ებრაელთა ყველაზე დიდი ცენტრი. იქ უკვე არსებობდა სიონისტური ორგანიზაციის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდათა მჭიდრო ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი შემარია (შლომო) ციციაშვილი. სიონისტური ორგანიზაციის ბიუროში ებრაულ დღესასწაულებში იმართებოდა საღამოები. 1919 წლიდან გამოდიოდა გაზეთი „ხმა ებრაელისა“, სადაც ქვეყნდებოდა კორესპონდენციები რუსეთიდან, ერეც-ისრაელიდან, ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან. გაზეთი აშუქებდა საქართველოში ებრაელთა ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს.

როცა დავით ბააზოვი ჩვენთან ჩამოდიოდა, ჩვენ ვიყენებდით კათოლიკურ ქუჩაზე არსებულ ისხაკ ციციაშვილის სალოცავს. სალოცავი პატარა იყო და მასში ძლივს ეტეოდა 150 კაცი, მაგრამ დავით ბააზოვის გამოსვლებისას იგი ხალხით იჭედებოდა — იქ თავს იყრიდა სულ ცოტა 500 კაცი. ხალხი იდგა გასავლელებში, აივანზე, ეზოში. ქუხდა ებრაული სიმღერები. მისი ყოველი გამოსვლა იწყებოდა „ჰათიკვით“ და მთავრდებოდა „ჰათიკვით“. ებრაელთა შორის ვრცელდებოდა სიონისტური ლიტერატურა რუსულ ენაზე. თუმცა რუსული ენის მცოდნე ებრაელები, გარდა მოსწავლე ახალგაზრდობისა და რუსი ებრაელობის ვიწრო წრისა, ძალიან ცოტანი იყვნენ.

მტრები მრავლად გვყავდა. პირველ რიგში აგუდათ ისრაელი. რაბი ელუაშვილი მორწმუნეებს ისეთ სიძულვილს უნერგავდა სიონისტებისადმი, რომ ხალხი ახლოსაც არ გვეკარებოდა. ძალიან ძნელი იყო ახალ წევრთა მოზიდვა.

ერთხელ. შაბათ საღამოს მან დიდ ლოცვაზე გამოაცხადა, რომ „სიონისტები არიან თორის მოღალატეები, ისინი არისხებენ ღმერთს, უნდა ძალით დაიპყრონ ერეც-ისრაელი, რითაც უარს ამბობენ მაშიახზე; რაც რუსეთის ებრაელობას უბედურება დაატყდა, სიონისტების ბრალი არისო."

მისმა აგიტაციამ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდო, რადგან ებრაელთა მასები ბრმად მისდევდნენ თავისი რაბინის ყოველ სიტყვას. და უნდა ითქვას, რომ რაბი ელუაშვილს უდიდესი ავტორიტეტი გააჩნდა ხალხში.

ჩვენი მტრები იყვნენ ასიმილატორებიც. მათი რიცხვი მეტად მცირე იყო. რაიმე ძალა, ყოველ შემთხვევაში ებრაელთა შორის, მათ არ გააჩნდათ. მაგრამ ძალიან დიდ ზიანს გვაყენებდნენ არაებრაელთა თვალში. მათი მეთაური, სტუდენტი მიხაკო ხანანაშვილი ხშირად აქვეყნებდა სტატიებს ადგილობრივ გაზეთებში და ამ სტატიებში ქართველებს უმტკიცებდა ერთგულებას; ამტკიცებდა, რომ ჩვენ არა ვართ ებრაელები, რომ ვართ ებრაული სარწმუნოების ქართველები, რომ არაფერი გვაქვს საერთო ებრაელებთან.

ისეთი დრო იდგა, რომ ქართველებს ძალიან სჭირდებოდათ ქართველი მოსახლეობის რიცხვის გაზრდა, თუნდაც ეს ხელოვნური ყოფილიყო. სურდათ დაემტკიცებინათ, რომ რაოდენობით საქართველოში მცხოვრებ ყველა სხვა ხალხზე მეტი არიან. თუ ამას ვერ მოახერხებდნენ, შეიძლებოდა საქართველოს სახელმწიფოს შექმნისათვის დაწყებული ბრძოლაც წაეგოთ.

საქართველოს მოსახლეობა კი 3 მილიონ სულს თუ შეადგენდა. მათ შორის სომხები 600.000, რუსები — 500.000, აზერბაიჯანელები — 300.00-მდე, ბერძნები, ქურთები, გერმანელები, ლეკები, ოსები, სპარსელები, ებრაელები და სხვ. შეადგენდნენ არა ნაკლებ 300.000.

ამრიგად, თვითონ ქართველები მილიონზე ცოტა მეტი გამოდიოდა. ხოლო თვით საქართველოს დედაქალაქში, ტფილისში, ისინი ძლივს აღწევდნენ მთელი მოსახლეობის 25 პროცენტს. ამიტომაც უღებდნენ ქართველები ასე ფართოდ კარს ასიმილატორებს. მათ ძალიან აწყობდათ 50.000 ებრაელის ჩარიცხვა ქართველთა მარქაფაში. და მიხაკო ხანანაშვილიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მათ შორის. ქუთაისელი სიონისტები, თავისდა უნებურად, მტრულ გარემოცვაში მოხვდნენ ქართველთა მხრიდანაც.

ამ დროს, 1918 წელს, სიონისტური მუშაობა წარმოებს მხოლოდ ქუთაისში. და საერთოდაც ეს მუშაობა, მხოლოდ საწყის სტადიაზე იყო. ძალები არ კმაროდა, მეტ-ნაკლებად ავტორიტეტული პირები ჩვენ არ გვიჭერდნენ მხარს. და, რაც მთავარია, არ ცდილობდნენ სხვა ადგილებსაც მისწვდომოდა სიონისტური მოძრაობა.

დავით ბააზოვი კი ქადაგებდა სიონიზმს, მაგრამ კმაყოფილდებოდა იმით, რომ ებრაელთა დასახლებებში ჩასვლისას წარმოთქვამდა სიტყვებს, რომლებითაც ხალხში ავრცელებდა სიონიზმის იდეებს, მაგრამ არჩევნების წინ

ამ დასახლებებს ეპატრონებოდნენ აგუდათ ისრაელის წარმომადგენლები და ებრაელთა ხმებსაც ისინი იღებდნენ.

სიონისტური ორგანიზაცია არ შექმნილა არსად, გარდა ქუთაისისა და ონისა, სადაც ბააზოვი ცხოვრობდა. ეს ორგანიზაცია ძალიან სუსტი იყო ტფილისშიც.

სოფელ ბანძის რაბინის, პროგრესული ადამიანისა და დავით ბააზოვის ახლო მეგობრის, დავით აჯიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბანძელი ებრაელების ხმები მთლიანად სიონისტებმა მიიღეს. ბანძაში კი ათასმდე კაცი ცხოვრობდა. სწორედ ასევე, რაბი ხვოლესის დახმარებით, ცხინვალის ებრაელებმა ხმა სიონისტებს მისცეს. ცხინვალის ებრაელობა – 2.000 სული – კი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო კულაშისა და ახალციხის შემდეგ. სიონისტებისათვის შეიძლებოდა ხმა მიეცათ ლაილაშელ ებრაელებსაც (1000), მაგრამ არჩევნების პერიოდში ამ რაიონში არეულობებმა იფეთქა და დიდი ხნით, თითქმის მთელ წელიწადს მოწყდა საზოგადოებრივ ცხოვრებას.

დამფუძნებელი კრება მოიწვიეს 26 მაისს. ამით დამთავრდა წინასაარჩევნო კამპანია.

დამფუძნებელი კრების სხდომები სამი წლის განმავლობაში იმართებოდა თითქმის უწყვეტად და მასზე განიხილებოდა მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომლებიც ეხებოდნენ ებრაელებსაც. ცნობილია ერთი ფაქტი: მიხაკო ხანანაშვილი ისე გაიტაცა თავისივე ასიმილატორულმა მოღვაწეობამ, რომ დაითანხმა თავისი პარტიის (იგი სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო) ხელმძღვანელობა ქართველი ებრაელები გამოეცხადებინათ ებრაული სარწმუნოების ქართველებად. ამ მდგომარეობის განსამტკიცებლად ღვთისმსახურება სინაგოგებში უნდა მომხდარიყო ქართულ ენაზე, რისთვისაც ყველა სალოცავი წიგნი და ბიბლიაც უნდა თარგმნილიყო ქართულად, ხოლო ებრაულ ენაზე არსებული ყველა სალოცავი კრებული უნდა გაუქმებულიყო. ამასთან დაისვა საკითხი თალმუდ-თორებისა და იეშიბების დაკეტვაზე. ყველა დეპუტატმა სიამოვნებთ დაუჭირა მხარი ამ წინადადებას.

ამ დროისათვის ქუთაისში უკვე შექმნილია ძლიერი სიონისტური ორგანიზაცია (1920 წ.), გამოდის ყოველთვიური გაზეთი „ხმა ებრაელისა". ჩვენ გამოვიყენეთ ეს შემთხვევა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვაჩვენეთ საით მივყავართ აგუდათ ისრაელის კავშირს ასიმილატორებთან. დეპუტატი დავარაშვილი მალე ანგარიშით უნდა წარმდგარიყო ამომრჩეველთა წინაშე.

ამისათვის ამომრჩევლები შეიკრიბნენ აგუდათ ისრაელის ციხე-სიმაგრეში – ქუთაისის დიდ სალოცავში. მაგრამ აქ მოვიდა სიონისტური ორგანიზაციის მთელი აქტივიც. დავით ბააზოვიც ჩამოვიდა ონიდან.

ახლა უკვე ბევრიც ვიყავით და ძალაც გაგვაჩნდა. ვაი-დეპუტატი ავიდა

თებაზე. დგას, არაფერს არ ამბობს. სტუდენტმა გაბრიელ კაკიტელაშვილმა ჰკითხა: „რას გაჩუმებულხარ? აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ შენი ანგარიში მოვისმინოთ, რა გააკეთე ამ ორ წელიწადს დამფუძნებელ კრებაში, როგორ იცავდი ჩვენს ინტერესებს...“

დეპუტატი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

—რა უნდა გამეკეთებინა? არაფერი არ იყო გასაკეთებელი.

ექიმმა კაკიტელაშვილმა დაახასიათა „დეპუტატის“ როლი და ისინი, ვინც ასეთი ვინმე წარგზავნეს იქ. გრცხვენოდესო, უთხრა და ურჩია გადადექი დეპუტატობიდან და ეს მანდატი უფრო ღირსეულ ვინმეს დაუთმეო.

მის შემდეგ გამოვიდნენ სოსო მოშიაშვილი, მიხაელ თავდიდიშვილი, შემარია ციციაშვილი. მაგრამ სიტყვა რომ დავით ბაზოვმა აიღო და ლაპარაკი დაიწყო საქართველოს ებრაელთა, უკრაინის ებრაელთა მდგომარეობაზე; როგორ ექცევიან თეთრგვარდიელი ბანდიტები ებრაელებს; დახატა მათი ჩაგვრის საშინელი სურათები, — დარბაზში არავინ დარჩენილა, რომ არ შეძრწუნებულიყო ამის მომსმენი და არ დატყვევებულიყო ორატორის ბრწყინვალე ტალანტით. ყველაზე მღელვარე მომენტში მან რაბი ელუაშვილს დაუსვა კითხვა:

—აი, ახლა აქ, საქართველოში იმყოფება ასობით ლტოლვილი რუსეთიდან. ათასობით ადამიანი გზაშია. ისინი მიდიან ერეც-ისრაელში, რადგან სხვა გზა არ გააჩნიათ. მათ საჭმელი პურიც არ გააჩნიათ. თქვენ იცით ამის შესახებ? რა გააკეთეთ მათთვის? თორაში გვიწერია თუ არა, რომ უნდა დავეხმაროთ მათ? ხომ მოგმართეს დაგვეხმარეთო, თქვენ კი უხეშად შეაქციეთ მათ ზურგი, რაკი გაიგეთ, რომ სიონისაკენ აუღიათ გეზი. რაღა უფლება გაქვთ რაბინის სკამზე იჯდეთ?

მან დაამთავრა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ მოულოდნელად ეს სიჩუმე დაარღვია დავით ბაზოვის 16 წლის ვაჟმა გერცელმა — მან წამოიწყო „ჰათიკვა“. ათობით კაცი აჰყვა მას.

თუ 1918 წლის დასაწყისში ჩვენ ერთეულები ვიყავით, 1920 წელს ჩვენს რიგებში უკვე ასობით აქტივისტი ირიცხებოდა. ხალხი თანდათან გვეგუებოდა, ანგარიშს გვიწევდა.

მაგრამ ასიმილატორები და მათი მეთაური მიხაკო ხანანაშვილი არ ცხრებოდნენ. მიხაკო დროდადრო აქვეყნებდა სტატიებს ადგილობრივ გაზეთებში და ერთდაიმავეს ამტკიცებდა. იგი ძალიან იყო გაავებული, რომ მისი პროვოკაცია ვერ გავიდა დამფუძნებელ კრებაში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მან კვლავ წამოჰყო თავი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მენშევიკების ხელისუფლების დროს სიონისტური ორგანიზაციები ქუთაისის შემდეგ შეიქმნა სხვა ადგილებშიც: ბანძაში, ფოთში, ცხინვალში.

ონში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დავით ბააზოვი, სიონისტური ორგანიზაცია აღმოცენდა ქუთაისზე ადრე. იგი საკმაოდ მძლავრი იყო და მოიცავდა ამ დასახლების მთელ მოსახლეობას, რომელიც 200 ოჯახისაგან შედგებოდა. დავით ბააზოვს ხალხში დიდი სახელი ჰქონდა და ყველა ონელის მხარდაჭერით სარგებლობდა. იქ მან მოაწყო თალმუდ-თორა, სადაც თვითონვე ასწავლიდა. ვინც ეს თალმუდ-თორა დაამთავრა დავითის ხელმძღვანელობით, ჩინებული ებრაელი დადგა. ყველა მათგანი კარგად ფლობდა ივრითს, ყველამ იცოდა თავისი ხალხის ისტორია და ისინი გამოკვეთილად ჩანდნენ საქართველოს სხვა ადგილების ებრაელთა ჩამორჩენილობის ფონზე. მათ შორის გამოირჩეოდნენ ძმები ჩაჩაშვილები, მოშე ქოსაშვილი, ძმები ბუზუკაშვილები, დავიდ ბააზოვის ვაჟები — გერცელი, ხაიმი და მეირი — და ქალიშვილები ფანია და პაშა; და სხვ. ყოველი მათგანი იმთავითვე ითვლებოდა ეროვნული სულისკვეთების ადამიანად და შესანიშნავად ფლობდა ივრითს.

ზოგი მათგანი შემდგომში გახდა ცნობილი პიროვნება, როგორც, მაგალითად: გერცელ ბააზოვი, მისი ძმები ხაიმი და მეირი, ფანია ბააზოვი, ილია ბუზუკაშვილი, გერცელ ჩაჩაშვილი, დავით ამშიკაშვილი (დათო), პოეტი ბენიამინ ბუზუკაშვილი („დარბ-ონი"ს ფსევდონიმით) და სხვ.

ბანძაში სიონისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელად ითვლებოდა რაბინი და საკმაოდ პროგრესული მოღვაწე, ორატორული ნიჭით დაჯილდოებული დავით აჯიაშვილი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი გააჩნდა არა მარტო ებრაელთა, არამედ ადგილობრივ ქართველთა შორისაც. მანაც გახსნა თალმუდ-თორა და თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი ებრაელი ახალგაზრდები, რომელთა შორისაც გამოირჩნოდნენ: ძმები — იაკობ და არონ აჯიაშვილები, მიხაელ აჯიაშვილი, მიხაელ სეფიაშვილი, მორდეხაი აჯიაშვილი და დავით აჯიაშვილის ვაჟიშვილები: რეფაელი, აბესალომი და სალმონი; ძმები — მიხაელ და შალვა სეფიაშვილები, ეფრაიმ აჯიაშვილი და სხვ. ისინი სწავლობდნენ ივრითს და ითვლებოდნენ ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ პიროვნებებად.

ცხინვალში (სტალინირი) სხვა ადგილებთან შედარებით ბევრად უწინ მოქმედებდა შესანიშნავი თალმუდ-თორა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ძალიან ერუდირებული და განათლებული პიროვნება — რაბი აბრამ ხვოლესი, რუსი ებრაელი. იმის წყალობით, რომ იგი დავით ბააზოვს პირადად მეგობრობდა, ცხინვალი იქცა სიონიზმის ციხე-სიმაგრედ აღმოსავლეთ საქართველოში. ხვოლესის შექმნილი თალმუდ-თორა ამკვიდრებდა იუდაიზმის ღრმა ცოდნას, და ყველამ, ვინც კი იქ დაამთავრა, კარგად იცოდა ბიბლია, თორა, ებრაელი ხალხის ისტორია, კარგად ფლობდა ივრითს, იყო სიონიზმის ერთგული. ზოგმა მათგანმა შემდეგში სახელი გაითქვა, როგორც გამოჩენი-

ლმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ. ბევრი მათგანი შემდგომში გადავიდა თბილისში და იქ ჩაერთო მჩქეფარე ეროვნული ცხოვრების მდინარებაში.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე სურამელი რაბი დავით ჯანაშვილი.

ისიც იდგა სიონიზმის პოზიციებზე, იყო პროგრესული საზოგადო მოღვაწე. მაგრამ სიონისტური ორგანიზაცია არ შეუქმნია, თუმცა მის გარშემო შემოკრებილი იყო ეროვნული განწყობის ახალგაზრდათა ერთგვარი ფენა.

მენშევიკების მმართველობის პერიოდში საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში თბილისი არ თამაშობდა დიდ როლს. ჯერ ერთი, ქართველ ებრაელთა რაოდენობა იყო იქ უმნიშვნელო და მეორეც — ყველა მათგანი, ყოველ შემთხვევაში 90 პროცენტი მაინც, წარმოშობით იყო ახალციხიდან, ყველაზე ჩამორჩენილი და თავისებური ადგილიდან. ისინი თბილისშიც ისეთივე პატრიარქალური წესით ცხოვრობდნენ, როგორც ახალციხეში. ადგილობრივი, თბილისელი ქართველი ებრაელები, როგორც ჩანს, ამ საუკუნის დასაწყისამდე ერთეულები თუ იყვნენ. პირველი ქართულ-ებრაული ჯამაათი იქ მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს დაფუძნდა — ახალციხელებისაგან. მაგრამ მენშევიკების დროს, განსაკუთრებით კი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ებრაული ჯამაათი სწრაფად იზრდებოდა ცხინვალიდან, ქუთაისიდან, სურამიდან, ბანძიდან, კულაშიდან და ყველა სხვა დასახლებიდან მოსულთა შედეგად. თუკი მენშევიკების დროს თბილისის ქართველ ებრაელთა რაოდენობა 2.500 არ აღემატებოდა, ახლა მათი რაოდენობა სულ 20.000 შეადგენს.

იმ ხანებში თბილისში სიონისტური ორგანიზაცია შედგებოდა მხოლოდ რუსი ებრაელებისაგან და მას ხელმძღვანელობდა დოქტორი მ. ლ. შტრეიხერი. იგი საერთოდ არ მოიცავდა ქართველ ებრაელებს.

თბილისის რაბი იაკობ ნამთალაშვილი მაშინ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი სიამოვნებით აძლევდა დავით ბააზოვს სალოცავზე სიტყვით გამოსვლის საშუალებას. შეიძლება ეს იყო რაბი იაკობის ვაჟის, ჰილელის გავლენით. ჰილელი განათლებული ადამიანი იყო. იგი სიონისტი გახდა რუსეთში, საიდანაც დაბრუნდა 1918 წელს. ძირეული თბილისელებისაგან სიონისტური მოძრაობისადმი თანაგრძნობას ამჟღავნებდნენ ექიმი ესთერ მოშიაშვილი, პედაგოგი ეფიმ კოკიელაშვილი, ნადეჟდა ჯინჯიხაშვილი (ექიმი) და მისი და ვერა.

ჯერ კიდევ მენშევიკების დროს გახდა შესამჩნევი, როგორ მიაშურეს თბილისს საქართველოს სხვადასხვა მხარეების ინტელიგენტმა ებრაელებმა, რომელთაგანაც თითქმის ყველა სიონისტურად იყო განწყობილი და როცა იქ არსებული სიონისტური ბირთვი გაიცნეს, შეუერთდნენ მას და საქართველოს გასაბჭოებისას უკვე გააჩნდათ გარკვეული ძალა.

ცხინვალიდან თბილისში გადავიდნენ ნათან ელიაშვილი — არაჩვეულებრი-

ვი პიროვნება, რომელმაც რამდენიმე პიესა თარგმნა ივრითიდან ქართულად და იყო ერთ-ერთი მოთავე ებრაული საშუალო სკოლის შექმნისა; დავით შაფთოშვილი და იეკუთიელ ჯინჯიხაშვილი — შემდგომში ცნობილი იურისტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოში სიონისტურ მოძრაობაში.

იქ გადავიდა აგრეთვე იეხიზკიელ ჯინჯიხაშვილი, ბიბლიისა და თალმუდის მცოდნე, შემდგომში ცნობილი იურისტი. მანაც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი საქართველოში სიონისტთა მოძრაობაში.

ქალაქ ფოთშიც არსებობდა სიონისტთა პატარა ბირთვი. იქ გამოირჩეოდა ილია თოფჩიაშვილი, ფოთის გიმნაზიის მოსწავლე, რომელიც 1921 წელს იძულებული გახდა მშობლებთან ერთად გადასახლებულიყო კონსტანტინეპოლში ისე, რომ გიმნაზიაც ვერ დაამთავრა. შემდეგ იგი ერეც-ისრაელში დასახლდა და 1948 წელს გარდაიცვალა იერუშალაიმში.

**ა**მრიგად, ქართველ ებრაელთა სიონისტურმა მოძრაობამ, რომელიც დაიწყო 1917 წელს ონის რაბინის, ბაზელში VI სიონისტური კონგრესის დელეგატის დავით ბააზოვის მეთაურობით, თანდათან მოიცვა ქართველ ებრაელთა დასახლებების თითქმის ნახევარი და საპატიო ადგილი დაიკავა რუსეთის სიონისტურ მოძრაობაში.

Наша Страна. № 1000, გვ. 16
1 სექტემბერი, 1974 წ.

**რაბი იცხაკ მამისთვალოვი**

# დავით ბააზოვი ცხინვალში

## (ნაწყვეტები ნაამბობიდან)

...1905 წელს ცხინვალში ჩამოვიდა დავით ბააზოვი. იგი საერთოდ ხშირად ჩამოდიოდა ონიდან ცხინვალში. როცა კი გამოცხადდებოდა, დავითმა უნდა იქადაგოსო, ყველანი — ქალი, კაცი თუ ბავშვი — იკრიბებოდნენ მის მოსასმენად. იმ პერიოდში დავითი თავის დარაშში, ძირითადად, ებრაელი ხალხის უუფლებობასა და გაჭირვებას ეხებოდა. მას სურდა ებრაელებში სწავლა-განათლება შეეტანა.

ერთხელ, — ეს იყო 1905 წელს, — მისი ერთ-ერთი ასეთი გამოსვლის დროს შემოგვესია ეგზეკუცია. ეს იყო პერიოდი რევოლუციის დამარცხებისა და ადგილობრივი მთავრობა არ აპატიებდა დავითს ასეთ აშკარა გამოსვლას მეფის მთავრობის წინააღმდეგ (ვინაიდან იგი ადანაშაულებდა ხელისუფლებას ხალხის გაჭირვების გამო). ამიტომ ხალხი დაეხმარა დავითს და, გადამალვის მიზნით, ჯავის გზით გადააპარეს.

...დავითი დიდი სიონისტი იყო. მისი და რაბი ხვოლესის ურთიერთდამოკიდებულება დადებითი იყო.

...ერთხელ კრებაზე, მენშევიკების დროს, ზოგიერთმა ქართველმა ებრაელმა განაცხადა, რომ „ჩვენ ქართველები ვართო". ამაზე დავითმა ღამურას მაგალითით უპასუხა:

—წინათ ღამურა დიდი როლს თამაშობდა: ღამე ფრთებს შლიდა, დღისით კი შეიკვეცამდაო. ფრინველებსა და ცხოველებს შორის მოხდა ომი. ხან ერთი მიიწევდა წინ, ხან მეორე. ბოლოს შერიგდნენ. ამის შემდეგ დააყენეს საკითხი, ვინ არის ჩვენს შორის მერყევი და ადვილად გადასაბირიებელიო. „ასეთი ღამურააო", —იყო პასუხი. სწორედ ამ ღამურას ჰგავს ის, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ, ებრაელები ქართველები ვართო.

...როდესაც მოინდომეს ქუთაისში მოეწვიათ საერთო სარაბინო კრება ებრაელთა საკითხის გადასაწყვეტად, ამ საქმეში დავითს ხვოლესმა დაუჭირა მხარი.

...არონ კრიხელის მამა — ხახამ მეირი ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იყო თორის დიდი მცოდნე. იგი სახალხო მლოცველი იყო და ხვოლესს ემორჩილებოდა.

1905-10 წლებში ხვოლესმა ჩამოიყვანა ხელობის ოსტატები — დურგლები, მკერავები, მეწაღეები და სხვები, რომლებიც ხალხს ხელობას ასწავლიდნენ. ამ საქმეში ხვოლესს ხელს უშლიდნენ მდიდრები.

...მოსახლეობის 50 პროცენტს ჰქონდათ ვენახები და ამით ირჩენდნენ თავს.

... ცხილნვალშიც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს დავითს სარაბინო კრების მოწვევის საკითხში.

როდესაც დავითი მოუწოდებით გამოვიდა გაზეთში, ხახმებმა მას წინააღმდეგობა გაუწიეს.

დავითი ეხმარებოდა ღარიბებს. პირადად მე არაერთხელ ვიყავი იმის მოწმე, თუ როგორ საქმიან დახმარებას უწევდა იგი გადასახადით დაბეგრილ ხელმოკლე ებრაელებს.

29. 4. 74, აშდოდი.

(ტექსტის სისწორეს ვადასტურებ

---

რაბი ი. მამისთვალოვის ქალიშვილი

**თამარ მამისთვალოვი.)**

## ჩვენი ისტორიის ერთი ფურცელი

იერუშალაიმის უნივერსიტეტთან არსებულ ბენ-ცვის ინსტიტუტში საქართველოს ებრაელთა ისტორიის კვლევის ჩარჩოებში მივაკვლიე 1908 წლის გაზეთ „ხავაცელეთს", რომელშიც სპეციალური ჰატარა სტატიაა მიძღვნილი რაბი დავიდ ბააზოვის ისრაელში პირველი ამოსვლისადმი.

სტატიაში ლაპარაკია მის დამსახურებაზე. ყველაზე საყურადღებო ფაქტი ისაა, რომ დ. ბააზოვი, რომელიც მაშინ მხოლოდ 25 წლისა იყო, მოხსენიებულია, როგორც „დიდი რაბი".

გერშონ წიწუაშვილი

•

ამ საკმაოდ მნიშვნელოვან და სასიამოვნო წერილთან ერთად იერუშალაიმის ებრაულ უნივერსიტეტთან არსებული ბენ-ცვის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა, აღმოსავლეთმცოდნე გერშონ წიწუაშვილმა გადმოგვცა „ხავაცელეთში" გამოქვეყნებული სტატიის ფოტოპირი, მის მიერვე შესრულებული ქართული თარგმანით, რომლებსაც გთავაზობთ „საინფორმაციო ფურცლის" მე-2 გვ-ზე.

საქართველოდან ამოსულ ოლიმ-აკადემაიმთა კავშირის

[illegible] „საინფორმაციო ფურცელი, № 3,

ნოემბერი, 1978 წ.

**შ. ხ. შლომო შვილი**

## წმიდა ქვეყანაში

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტებისაგან

ИЕРУШАЛАИМИ

შაბუყოთის დღესასწაულის გასატარებლად ევროპიდან იერუშალაიმში

ამოსულ სტუმართა შორის არიან პატივცემული ბატონები: იააკოვ მერცი ვენიდან, ელშტეინი და მისი ქალიშვილი ბეირუთიდან. კაპანი ვენიდან, ბილეري და მისი მეუღლე ვენიდან; ნ. მარკუსი ბუქარესტიდან, რაბი გოლდშტეინი და მისი ვაჟი კოლიმიდან, ვაისბარდი კალიფორნიიდან, გოლდენ შტეინი ბესარაბიიდან, დიდი რაბი ბააზოვი კავკასიიდან, ტიანა სალონიკიდან და ბატონები კაიროდან: ა. როზილიე, ა. მასუდი, მ. შაბაბო. მ. ბენ-შიმონი

N 47

שנת השלשים ושנה

מבשרת ציון

HABAZELET

הבצלת

מכתב עתי להדשות, לספרות ולמדע. לכל דבר הרצוי להפין לכב איש יהודי

JERUSALEM, 8 Juni 1908

ירושלם, יום השני, ט׳ סיון התרס״ח

בארץ הקדש

כאת מוסרינו הביחדות

ירושלם

בין המורים שלנו ירושלמה מתוסף להוב בה את הג המטוקה נכון:

האחונים הנכבדים יקב בעין מזון, לשמיים וכהו בחדה, קרן ווייס, בולמר ידעהו חיים, נ. מאקים ניקאריקים. הרב נאלרשטיין וכני קאיסקא, יוסכאוד קאליאנים, נאלרטן שמיין בעראבינק, הרה״ג דוד באוב קוק, כיאנא אלינק, האותים מיארא ש. ראולק, ש. בכקר, ם. שאבטו, קוזא כבאטו, פ. בן שמקן וקיהו, אפרים בן שמקן וקיהו, ראמ קוק, אדון מאיקר.

דוד באזב.

בא לשעבר תחת דוד באוב בחיים.

הם בחתי נוזל לגבים לה אמת, עוזר לחוות בחיים בחיבה בקחיר

הקייב — ושם הוסיפו בכאיו הרחוק.

מאיזו הגוזים הוא יליד עכשיו? בקבא, לכו בישיבות מיוחד הקוזם

עם הקנאים ומגיעים את שלל הדבר הרחוקי הוראה שאחו בני מדינתו שרדם

בו, ראה מי הלמים הם הנשמים הלבנים ומאמריהם בין הכוונים הנים

ראשי הוראות הדתים ומלאים ומלים, ובשעה הם הנוזים הנ. הולמת ומוקה

עליהם בשן לבם כי מכוונות יהודים, ובבנאמיל הם לרב . . . . . .

הכנות הם הוה. הם מוחים בחיבר לקבוה בהם בו, אם לא תקרה עליהם

הוה מתחרות נחוק, ומחוות את הבנאיים הרחוקים, ולהגיע בהם

אוה ומקה הוהות, ואת הבנייה הקיימת, ומקשה חוש בכל עליו דוד

באוב.

בחיוני מוזיות ומזו הוכנה, הנאה הבאיו לד ומאוחר לה בחכם

הבנאלי בקר אבו אל קוראים הקיים בקבוקים, ומזו הנאה הקודמי לדבר

מוזיה אבו הם ומזו, ומזו בחבר הבאלי הבנים הם ומזו בו בא על הוה

הבנו בה הבנאיר בהיה ומה מוזר בהמשוה הבאלה הבדיר מוזר בעיו

בקבו, תלוי הבשרה בהוה גם הוה מוזיה ולבות בה הבאולים הבנאיות

בזר הבכבדי הנחים הוזיה הראשונה לבי תלבית ומלי מוזים בהיה

הוזיה הלנה ומחאה אלבדה עוזרה לבת בקבוב. לוזין הוה

ומוזה מוזים בין מוזה.

ומוכו אבלה הבאנה הנה ארא הי הב מלים ומבאת הוד לבבה

מבנה הבאלי של הקראים. ומלים הוא בוהבו בתוך הבנים ומבאת הוא. ומבאר

הוא הבאלי לבנה בבהי הבי ישראל בהוד מבוב מוזבות הוזיה בהיבו

ומבלי מלבנבר בישראל מבסבה.

דוד באוב מוזה בבת בארץ הקדש

בוזב הבנאי הוה הבנין

ש. ה. מלבה שוה.

פתח הקדה.

ערב הג המבוקה!

יום ערב ומדקה, יום בבי ומבקר הוזבה, יום בל מבים

בבדי מאבוה, הוא הים הוה הוה, הבבי בבר הבי בני הבישבה

הבני בל בן בבים, בל בן מבה, בל בן בבוב ומבשבם, בל בי

לא אבא מלים אבחה הבחדיל המבן הבדה שבה את בלה.

אבבם בן אבן נבה, בי בה מלבי הבה״ד בבר בבה

הבבבה ומבן ובבי, בבר הבבר מבים, עבד הבבדה את בבבלה

ובבבל מבמבבבה הבו לבבם.

בבבר הבבם נבבבי קולה בבה בהבבבר, ובבאי בבי בבם

הבבה אבים דבים ובבבים בבם בבבבם, ובבאי אבי ובבי

და მისი მეუღლე, რაფაელ კაჰანი, აჰარონ საიეხი.

**დავიდ ბააზოვი.**

ჩვენს ქვეყანაში მოვიდა დიდი რაბი დავიდ ბააზოვი კავკასიიდან. იქ ამჟამად ბევრისთვის უცნობი, მოსალოდნელია გახდეს სახელგანთქმული ახლო მომავალში და ისტორიული პიროვნება შორეულ მომავალში.

იგი ჩვენი ძმათაგანია ქართველი ებრაელებიდან; დაბადებულია ცხინვალში — კავკასიაში. ისწავლა სლუცკისა და კოვნოს იეშიბებში. იქ დააკვირდა და იგრძნო საშინლად დაკნინებული სულიერი მდგომარეობა, რომელსაც განიცდიდნენ მის სახელმწიფოში მცხოვრები მისი ძმები...

ებრაული დაწესებულებები მათ არ გააჩნიათ, „ხახმები“ კი უმთავრესად... ისინი, ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთის სახელს მოწყდებიან, თუ გარედან არ გამოაღვიძებს მათ აღორძინების ქარი, რათა გამოაცოცხლოს მათი ისრაელური გრძნობები და დანერგოს მათში თორა და იუდაიზმის ცოდნა. ეს წმინდა და მძიმე სამუშაო იკისრა დავიდ ბააზოვმა.

ბუნებით ნაზი, სასიამოვნო მოსაუბრეა. ასეთად აღზარდეს იგი.

არჩეულ იქნა რა მთავრობის მიერ ცნობილ ოფიციალურ რაბად, მუშაობა დაიწყო ქალაქ ონში, ქუთაისის მაზრაში. მისი პირველი სამუშაო იყო საქვეყნოდ განეცხადებინა, რომ იგი რელიგიური მოძღვარი არაა. მან თვითონ იზრუნა იმაზე, რომ მოეყვანა რელიგიური მოძღვარი ლიტვიდან და ამ რაბის დააკისრა ყოფილიყო იეშიბის უფროსი პირველ და ახალ იეშიბაში, რომელიც დააარსა თავის ქალაქში, კავკასიაში. იეშიბასთან ფუნქციონირებს აგრეთვე კეთილმოწყობილი თალმუდ-თორა. მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა და დაბრკოლებისა საქართველოს „ხახმების“ მხრივ, რომლებიც შიშობენ, რომ იეშიბის თალმიდები გაასწრებენ მათ თორის ცოდნაში, იეშიბა თანდათან ვითარდება და მისი მოწაფეები ახლო მომავალში გავლენ თორისა და ღვთისმოშიშობის გასავრცელებლად თავიანთ ძმებს შორის.

გარდა საიეშიბო მოღვაწეობისა, იგი ცოცხალი, მრავალმხრივი და მუდმივი გავლენის მქონე პიროვნებაა. მკითხველთა სულიერი მდგომარეობის ამაღლებისათვლის ბრძოლაში იგი წარმატებებს აღწევს თავის გზაზე, მოაქვს ნაყოფი და მისი სახელი კურთხევად დარჩება ისრაელის მატიანეში, როგორც თორის კვალის გამვლები კავკასიაში და ისრაელის მნიშვნელოვანი ნაწილის ასიმილაციისაგან გადამრჩენი.

დავიდ ბააზოვი ამჟამად წმინდა ქვეყანაში იმყოფება!

კურთხეულ იყოს თქვენი მობრძანება!

გაძლიერდით და განმტკიცდით!

חבצלת

יום השני, ט' סיון, התרס"ח

8 ივნისი, 1908 წ.

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით. -პ. ბ.)

## მოგონება დავიდ ბააზოვზე

1) დ. ბააზოვის თაოსნობით ონში გაიხსნა თალმუდ-თორა. ეწოდა უსიშ-კინის სახლი. უსიშკინის სახელობის თალმუდ-თორა ონში.

2) 1925 წელს ერეც-ისრაელში დოქტ. კლაუზნერმა და ჩერნიხოვსკიმ მიიწვიეს დ. ბააზოვი და ნ. ელიაშვილი.

ორშაბათი დღე იყო. ყველა ბილეთი გაიყიდა ულამში. ძნელი იყო საღა-მოს მოწყობა, რადგან ვიცოდით, რომ იყვნენ ჯაშუშები. ერთი ცუდი სიტყვა რუსეთზე ვინმეს რომ ეთქვა, იქვე იქ გაიგებდნენ.

ნათანს გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ გარეთ გაკრულ აფიშებში ყველ-ას გვარები ეწერა [გაკრული იყო დიდი აფიშები]. საშიში იყო. [ეს გაუგება-რი არ დარჩებოდა რუსეთში. ნათანმა, სიფრთხილისათვის, ხერხი იხმარა]. დავითის ჩამოახსნევინა და შეაცვლევინა. ახალი აფიშები იუწყებოდნენ, რომ ერთ-ერთი მთავარი ლექტორი ავად გახდაო (გულისხმობდნენ დავითს). მაგრამ დავითი შეუპოვარი იყო და საღამოზე მოხსენებით გამოვიდა.

3) დავითმა იერუშალაიმში ლექცია წაიკითხა ბეით ქნესეთში — „გურჯების სალოცავში“.

ორჯერ წაიკითხა ლექცია გურჯების ებრაელობას შორის. ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თითქოს ზეციდან ჩამოსული ანგელოზი არი-სო.

1979 წ. ფეთახ თიკვა

ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲐ ᲞᲝᲚᲘᲜᲐ ᲑᲐᲐᲖᲝᲕᲛ Ა



## საუბარი
## მორდეხ ბინიაშვილთან

***ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:*** *რა იცით მიხაკო დავითიაშვილისა და მისი დავით ბააზოვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ?*

***ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:*** *მიხაკო დავითიაშვილი იყო ხახამი. ის სიონიზმის დიდი მტერი იყო და ებრძოდა დავით ბააზოვს.*

***ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:*** *როგორ იბრძოდნენ ხახმები იმისათვის, რომ ხალხს არ წაეკითხა გაზეთი „ხმა ებრაელისა“? თქვენ თვითონ თუ წაგიკითხავთ ეს გაზეთი?*

***ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:*** *გაზეთი „ხმა ებრაელისა“ გამოდიოდა ქუთაისში. მისი რედაქ-ტორები და იმავე დროს მონაწილენიც იყვნენ სოლომონ ციციაშვილი, დავით*

კვირა, 8 დეკემბერი 1918 წ. წელწ.

# ხმა ებრაელისა

სიონიზმი მი-
რაელ ერისა
უფლებით
ერთიანელი ს
ცხოველ-

ფასი

№ 6—7 უოველ კვირეული ორგანო ქუთაისის სიონისტია

## მიიღება ხელის მოწერა

ეოველ კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატერო გაზეთ

## „ხმა ებრაელისა"-ზე

მიძღვნილი ებრაელთა ინტერესებს საქართველოში

„ხმა ებრაელისა" იბრძვის ალბის თვითმოქმედებისა და აღორძინებისათ-
ვის, ეცდება მისცეს მკითხველებს სრული სურათი თანამედროვე მსოფ-
ლიო ებრაელობის ცხოვრებისა. „ხმა ებრაელისა" ყურადღებას მკითხველებს
საქართველოს ებრაელობის ცხოვრების ყველა მოვლენებთან, გამოეხ-
მაურება ყველაფერ მას, რაც ეხებოდეს ებრაელ ეპრსა და გრძნობას.

ერთ-ერთი ნომერი გაზ. „ხმა ებრაელისა"

ბააზოვი, ბენიამინ კაკიტელაშვილი, ისაკ მინოვიჩი (სოლომონ ციციაშვილის ძმა, ახლა ისრაელშია). ხახმები იბრძოდნენ ამ გაზეთის წაკითხვის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ, ე.ი. მე — მორდეხი, ჩემი ძმა ხაიმი, ფილხაზ ელიგულაშვილი, აბრამ ენუქაშვილი და სხვა თანამოაზრენი ვიკრიბებოდით ჩუმად. ჩვენ გვქონდა სპეციალური თავშესაფარი ადგილი, მაგრამ შემდეგ მოგვაგნეს და დაგვაპატიმრეს.

მე ვიჯექი ხახამ ხაიმ ელიაშვილთან ერთად. ხახამ ხაიმ ელიაშვილი სიონიზმის მომხრე იყო, თანამგრძნობი, მაგრამ დიდი მოღვაწე არ იყო. იგი იყო ისრაელ-

ში. შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში, მაგრამ ისრაელში დარჩა მისი შვილი დანიელი.

***კითხვა:*** რა იცით ბენ-ციონ რიჟინაშვილის მამის შესახებ?

***პასუხი:*** ბენ-ციონ რიჟინაშვილის მამა, მიხეილი იყო ვაჭარი, მაგრამ განათლებული კაცი. იგი ყოველთვის იცავდა დავით ბააზოვს. ის ერთხელ გადაეფარა დავით ბააზოვს, რათა დაეფარა მისკენ მოქნეული ხმლისაგან.

***კითხვა:*** რა იცით მენშევიკების დროს არჩევნების შესახებ და ამ ჰერიოდში სიონისტები რა როლს თამაშობდნენ?

***პასუხი:*** არჩევნების დროს მენშევიკების მთავრობაში გაიყვანეს მოშე აკატანი (დავარაშვილი). იგი ცნობილია როგორც ანტისიონისტი. ძმები — მოშე აკატანი და ხახამ იაკობი ერთად ჩამოვიდნენ ისრაელში.

ხახმები იბრძოდნენ, რათა ხალხს არ წაეკითხა „ხმა ებრაელისა". მე პირადად არჩევნების დროს ვეხმარებოდი დავით ბააზოვს.

***კითხვა:*** თქვენ ჰირადად რა მოღვაწეობას ეწეოდით და რა იცით სიონისტ გერშონ მეგრელიშვილის შესახებ.

***პასუხი:*** ჩამოყალიბებული იქნა ორგანიზაცია „ეზრახიმ იეჰუდიმ" — გერშონ მეგრელიშვილის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ორგანიზაციაში შედიოდა 15 კაცი. ჩვენ ვაკრავდით პროკლამაციებს, ვეწეოდით აგიტაციას. ეს იყო მენშევიკების დროს და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. ვეწეოდით არალეგალურ მუშაობას. მეტწილად ვიკრიბებოდით ბაღში.

ორგანიზაციას „ეზრახიმ იეჰუდიმ" დავალებებს აძლევდა დავით ბააზოვი. მას ჩამოჰქონდა სიონისტური ლიტერატურა. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ბიბლიოთეკა, რომლის ხელმძღვანელიც იყო გერშონ მეგრელიშვილი.

ჩაიწერა

პოლინა ბააზოვმა

მორდეხ ბინიაშვილის გადმოცემით, იგი დაჰატიმრებული იქნა ოთხჯერ. უკანასკნელად იჯდა 1952 წელს, როდესაც კრემლში დაიჭირეს ექიმები. იმავე ჰერიოდში დააჰატიმრეს მორდეხის და, ნინო, რომელსაც ბრალი დასდეს იმაში, რომ იგი თავის შვილებს არალეგალურად ასწავლიდა ებრაულ ენას. ჰატიმარ მორდეხ ბინიაშვილს დაკითხვის დროს სცემდნენ, აწვენდნენ შუშის ნამსხვრევებზე, რის შედეგადაც ის მთელი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის დარჩა დაინვალიდებული ადამიანი.

მორდეხ ბინიაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1887 წელს. გარდაიცვალა 1979 წელს ისრაელ

**შიმყონ ხახიაშვილი**

იერუშალაიმი

# მოგონება

რაბი დავიდ ბააზოვის (ל"ז) ხსოვნის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი ეპიზოდის შესახებ მინდა ვესაუბრო ჩვენს მკითხველებს. ეს გაგონილი მაქვს მამაჩემისგან, განსვენებული ხახამ ირმიაუ ხახიაშვილისაგან, რომელიც რაბი ბააზოვთან ერთად ემსახურებოდა ქ. ონის ჯამაათს.

ჩვენი ერის, კერძოდ, საქართველოს ებრაელთა ხელმძღვანელის, გამოჩენილი სიონისტის, ჩვენი რწმენის დიდი პროპაგანდისტისა და მქადაგებლის ნათელი ხსოვნა არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას. იგი ორ ათ ათეულ წელზე მეტს ემსახურებოდა ონის ჯამაათს.

მეფის რუსეთის ხელისუფლების პერიოდში ონის უფროსმა (მამასახლისმა) ბრძანება გამოსცა, რომ დღის 2 საათამდე ებრაელ მოსახლეობას ეკრძალება ყველა სახის პროდუქტების ყიდვა. ეს ნიშნავდა, რომ პარასკევს 2 საათის შემდეგ ყიდვა და მისი შაბათისათვის მომზადება დაგვიანებული იქნებოდა. ესე იგი, შაბათისთვის ჩვენს ხალხს საჭმელ-სასმელის უქონლობის გამო მარხულობა მოუწევდათ, რაც დიდ ცოდვად ჩაითვლებოდა (ონში ბაზრობა იყო კვირაში ერთხელ, პარასკეობით).

ეს ამბავი რაბის მოახსენა ჯამაათმა. რაბი ბააზოვი ძლიერ შეწუხდა და მოემზადა მამასახლისთან შესახვედრად, რათა უკანონო და გაუმართლებელი ბრძანება გაეუქმებინა. მაგრამ იგი ჯამაათის წინაშე უარით დაბრუნდა.

ამ დროისათვის ონში შემთხვევით მოვიდა ქუთაისის გუბერნიის უფროსი სამსახურეობრივ საქმეებზე (ონიც ქუთაისს ექვემდებარებოდა). რაბი დავით ბააზოვი თავისი ჩვეული მიდგომით და გამჭრიახი აზროვნებით, თანაც მოწიწებით ესაუბრა მომხდარი მდგომარეობის შესახებ და ხალხის სახელით თხოვა ბრძანების გაუქმება. გუბერნიის უფროსმა შეუსრულა თხოვნა და ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. რაბი გუბერნიის უფროსთან მკლავში ხელის გაყრით მისეირნობდა და ონის მამასახლისი, ვინმე კარაპეტიანი მათ უკან მისდევდა, როგორც უბრალო და უღირსი მოხელე.

რამდენიმე თვეში შეიქმნა დროებითი მთავრობა და რაბი დავით ბააზოვი

დანიშნულ იქნა ქ. ონის მამასახლისად (ეს უდრის დღევანდელი საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას), რადგან ქ. ონის მოსახლეობის 85 პროცენტს ებრაელები შეადგენდნენ (სხვათა შორის, 1938 წლის ენციკლოპედიაში მოხსენიებულია მსოფლიოში ერთადერთი ქალაქი ონი, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტი ებრაელები არიან). დროებითი მთავრობის გარეკვის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბების პერიოდში დავით ბააზოვმა ონის ჯამაათს მიმართა ლოზუნგით: „პატივცემულო ჯამაათო, ძმებო, მამებო და შვილებო! დადგა დრო თქვენს ოჯახებს მისცეთ განათლება და თქვენი დაჟანგული არშინები დაამტვრიოთ და გადაყაროთ." მართლაც, მისი შორსმჭვრეტელობა და წინასწარმეტყველება ახდა და ძირითადად მოისპო კერძო ვაჭრობა.

ჩვენი ერის სასიქადულო შვილის, რუსეთისა და მსოფლიო სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერის რაბი ბააზოვის დამსახურება ჩვენი ერისადმი საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მონათლეს და იგი გადაასახლეს. გადასახლებიდან განთავისუფლების შემდეგ, 1946 წელს ეწვია ონის ჯამაათს, როგორც სტუმარი და მოხსენებით გამოვიდა. ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა იგი გადასახლებაში და როგორ განთავისუფლდა. მის მოხსენებას ესწრებოდა რაიონის ხელმძღვანელობაც. იგი იყო დიდი პოლიტიკოსი და ორგანიზატორი, მოაზროვნე და საქართველოს ებრაელი ხალხის გამოჩენილი მესაიდუმლე. მას ისრაელში ამოსვლის დიდი სურვილიც ჰქონდა, მაგრამ მისი ოცნება არ განხორციელდა. სამაგიეროდ მისი ნათელი აზრები დღესაც მისი ერის საკეთილდღეო საქმეს ემსახურება.

გაზ. „იმედი",

№ 167; 27. 2. 76

არიე რ. ცინციპერი

# სიონიზმი კავკასიაში

(ნაწყვეტი სტატიიდან)

1917 წლის 21 აგვისტოს ბაქოში მოწვეულ იქნა კავკასიის სიონისტთა სპეციალური კონფერენცია 28 დელეგატისა და მრავალი სტუმრის მონაწილეობით. დელეგატებად იყვნენ წარგზავნილნი: ბაქოდან შმუელ იცკოვიჩი, იოსეფ იცკოვიჩი, შიმონ ბენ-მოშე ეპშტეინი, დ-რი ზევ ვაინშალი, მოშე ბენ-ზევ ქოენი, იეჰუდა ლეიბ ლევინი, დ-რი დავიდ მარგოლითი, ლუდვიგ სტერლინცი, დოვ პევზნერი, ურიელ ფრიდლანდი (შალონი), მოშე ციფინი, ემანუელ კომაროვსკი, მაქსიმ რაბინოვიჩი, როზენტალი, მორდეხაი შინერმანი; თბილისიდან: არიე ლეიბ ტანდიტი, მორიელ ლევინსონი კაჩალი; ბათუმიდან: ავრაჰამ პერცოვსკი; დერბენდიდან: იაკუბოვი; პეტროვსკიდან: ტილავიცი; ონიდან: რაბი დავით ბააზოვი; ტემირხან-შურადან: რაბი ჟელეზნიაკოვი; არმავირიდან: ფინხასოვი; თბილისის შემოგარენში მცხოვრები ქართველი ებრაელებიდან: მიზრახი; დაღესტნის მთიელი ებრაელებიდან: გერშომ მურადოვი; მთიელ ქალთა წარმომადგენელი: ქ-ნი ფინხასოვა.

კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: შმუელ იცკოვიჩი — თავმჯდომარე, რაბი ბააზოვი და ლუდვიგ სტერლინგი — თავმჯდომარის მოადგილეები, დავით მარგოლითი და ა. ლ. ტანდიტი — მდივნები.

კონფერენციაზე განხილულ იქნა ზოგადი ხასიათის საკითხები, რომლებიც იმ დროს მსოფლიო და რუს ებრაელთა სიონისტური ორგანიზაციების დღის წესრიგში იდგა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოახლოებულ არჩევნებს, ასევე რუსეთის ებრაელთა კონფერენციას. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კონფერენციაზე ადგილობრივი ებრაული საკითხების განხილვასაც, მაგ. ეროვნული საბჭოების ორგანიზაცია (საკონგრეგაციო კომიტეტები), ესოდენ მრავაფეროვან მოსახლეობაში ეროვნული აღზრდის საკითხებს და სხვ. გადაწყდა გამოცემულიყო სიონისტური გაზეთი ქართულად, ჩატარებულიყო საქართველოს ებრაელთა შეხვედრა და ჩაერთოთ ქართველი და მთიელი ებრაელების წარმომადგენლები სრულიად რუსეთის ებრაელთა კონფერენციის კანდიდატთა რიგებში. საზოგადოება „თარბუთს“ დაევალა კულტურულ-საგანმათლებლო ღონისძიებების ჩატარება საქართველოს ებრაელთა შორის, ადგილობრივი კონგრეგაციის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების გახსნა...

... კავკასიის ებრაელთა მეორე კონფერენცია გაიხსნა 1919 წლის 21 ივნისს ბაქოში. მონაწილეობას იღებდა 40 დელეგატი აზერბაიჯანიდან, დაღე-

სტნიდან და საქართველოდან. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: მოშე გუხმანი — თავმჯდომარე, მარკ აბეზგაუზი (მაშინ აზერბაიჯანის მთავრობის ფინანსთა მინისტრის მოადგილე), რაბი დ. ბააზოვი და იოსეფ იცკოვიჩი — მოადგილეები; ბ. ვაქსათი, ავრაჰამ ვაინშალი და ა. სკირტიმონსკი — მდივნები. საოლქო სიონისტური კომიტეტის სახელით კონფერენცია გახსნეს შიმონ ეფშტეინმა (ივრითზე) და დ-რმა ზეევ ვაინშალმა (რუსულად). ძირითად საკითხებზე ერეც-ისრაელში რეპატრიაციის მომზადების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს ავრაჰამ ვაინშალმა და ურიელ ფრიდლანდმა (შალონი). კულ-



ეურნალი „Разсвет“ (პეტროგრადი, 1917 წ.), რომელშიც გამოქვეყნებულია ბაქოს კონფერენციისა და დავიდ ბააზოვის გამოსვლის ანგარიში

ტურის საკითხებზე ისაუბრა ემანუელ კომაროვსკიმ.

ცხარე, ხანგრძლივი თათბირისა და კამათის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სხვადასხვა სიონისტური მიმდინარეობების ერთსულოვანი მხარდაჭერით. საოლქო კომიტეტში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარე მ. გლუხმანი, კომიტეტის წევრები: ლ. სტერლინგი, ა. ფრიდლანდი (შალონი), მ. ციფინი; მდივანი — ავრაჰამ გინზბურგი.

1919 წელს თბილისში სიონისტურმა კომიტეტმა თავი გამოაცხადა სრულიად საქართველოს სიონისტთა ცენტრალურ კომიტეტად და 1919 წლის 17 აგვისტოს საქართველოს სიონისტთა კონფერენცია მოიწვია. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: დ-რი მიხაელ შტრაიხერი — თავმჯდომარე, რაბი დ. ბააზოვი — თავმჯდომარის მოადგილე, ლიტმან ბატი და იოსეფ ციციაშვილი — მდივნები ...

იხ. „სიონისტური მოძრაობის ისტორიისათვის კავკასიაში“

במאבק הגאולה, תל־אביב, תשט"ז, 1956

გვ. 54-56

**იოსეფ ბენ-იონათანი**

## ჩემი მოგონებანი რაბი დავიდ ბააზოვზე

1920 წელს 25 ოჯახთან ერთად დავტოვეთ ჩვენი ქალაქი ბაქო (აზერბაიჯანის დედაქალაქი). მგზავრობა სატვირთო ვაგონებით («Теплушка») თბილისამდე, საქართველოს დედაქალაქამდე, ერთ თვეზე მეტს გაგრძელდა, თუმცა მანძილი სულ 830 კილომეტრია. ეს ოჯახები წარმოშობით ახალციხიდან იყვნენ და იქიდან გადასახლებულან ბაქოში.

ჩვენი, ბენ-იონათანის (უწინ იოსებაშვილის) ოჯახი ორ წელიწადს ხან სად ვიყავით და ხან სად: თბილისში, ბათუმში, კონსტანტინოპოლში და 1922 წელს გამოვემგზავრეთ ერეც-ისრაელში. იაფოს პორტს რომ მოვაღწიეთ, გადმოსვლის უფლება არ მოგვცეს: ვიზები არა გაქვთ წესრიგშიო. იმავე გემით გავაგრძელეთ გზა ალექსანდრიისაკენ და იქ, ეგვიპტეში დავყავით 1928 წლამდე, სანამ ისრაელში ამოვიდოდი ფეხით, სინაის უდაბნოს გადმოვლით (ჩემი დედ-მამა, ნათელი დაადგათ, ეგვიპტეში გარდაიცვალნენ და ალექსანდრიაში არიან დასაფლავებულნი).

მე კარგად მახსოვს რაბი დავიდ ბააზოვი ל"ז, რომელიც სახელგანთქმული პიროვნება იყო და მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ. და მეც მომისმენია მისთვის, როცა ბაქოში ჩამოვიდა და ქალაქის დიდ სალოცავში წარმოთქვა მგზნებარე სიონისტური სიტყვა. ამ პერიოდში ვიყავი „ცეირეი ციონის“ საქალაქო ორგანიზაციის სამდივნოს წევრი. ხშირად ლაპარაკობდნენ როგორ ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა რაბი დავიდ ბააზოვი, რომელიც ცნობილი იყო გაბედულ მებრძოლად და ხალხში სიონიზმის იდეების შთამნერგავად.

კეთილი იყოს მისი ხსოვნა!

სექტემბერი, 1978 წ. *)

(ხელნაწერი ივრითზე)

**იოსებ ყვითელაშვილი**

## მოგონება რაბი დავიდ ბააზოვზე

დაუვიწყარია ჩემთვის ის, რაც უთქვამს ჩემთვის ჩემს მშობელ დედას; ის, რაც გადახდენია თავს მის ბავშვობაში, როცა ის ყოფილა 7-8 წლისა. იგი დაიბადა საქართველოს ისტორიულ სოფელ აწყურში, რომელიც განთქ-

* **იოსეფ ბენ-იონათანი (იოსებაშვილი) იყო ხოლონის საქალაქო საბჭოს წევრი.**

მული ყოფილა თავის დროზე თავისი მიუვალი ციხე-სიმაგრით და მრავალჯერ გადასულა ხოლმე ხელიდან ხელში თურქებსა და ქართველებს შორის.

ასე, 1918 წლის ხანაში, როდესაც თურქების მიერ ახალციხე-აწყური ოკუპირებული ყოფილა, –ამ ბრძოლების დროს აწყურის ქართველ ებრაელებს ქართველი დაჭრილი ჯარისკაცებისათვის დახმარება აღმოუჩენიათ და მასთანვე მარლა გაუტანებიათ ჭრილობის შესახვევად, რაც გაუგიათ თათრებს და აწყურის ებრაელები – დიდი თუ პატარა – ყველანი გაურეკიათ აწყურის გარემო ერთ-ერთ ტყეში. და ცდილობდნენ მათ დახოცვას: როგორ თუ თქვენ ქართველებს ეხმარებითო?!

ამ ამბის გამო ებრაელებს ორი კაცი გამოუგზავნიათ ახალციხეში, რომ შეეტყობინებინათ ახალციხის ებრაელობისთვის. იმ დროს ახალციხეში რაბად ბრძანებულა რაბი დავიდ ბააზოვი. ამ ორი კაციდან ერთი მათგანი ყოფილა ის, ვინც დაწვრილებით მომითხრო ეს თავგადასავალი. ესაა მათათია აკოშვილი, რომელიც ამჟამად ბორჯომში ცხოვრობს. ისინი წამოსულან ახალციხისკენ, დილით ადრე, მტკვრის ნაპირ-ნაპირ აყოლებით. შაბათი დღე ყოფილა და ახალციხეში აუღწევიათ შაბათს მინხის ახლო დროს. და როცა შესულან ლოცვაში, ამ დროს რაბი დავიდი დარაშობდაო და როცა უთქვამთ, ასეთ განსაცდელში არიან აწყურის ებრაელებიო, მაშინათვე შეუწყვეტია დარაში და მაშინათვე გაუყოლებია ეს კაცები და გასულა ფაშის (გუბერნატორის) რეზიდენციაში და გაუცხადებია აწყურის ებრაელთა მდგომარეობა და დაჟინებით მოუთხოვია მათი ხელშეუხებლობა. გუბერნატორს მაშინათვე დაურეკია აწყურის უფროსისთვის: „ნასილ დურ მუსა მილათ!“ (ე.ი. მოშეს რჯული როგორ არიანო). უპასუხნია: კარგაო. მერე კი მრისხანედ უთქვამს: მითხარ, როგორ მდგომარეობაში არიანო, და მკაცრად დამუქრებია: იცოდეთ, არავინ არ შეეხოთ, თორემ მკაცრად დაგსჯიეო. ასე დაიმედებული პასუხი მოუცია რაბი დავიდისთვის: ნუ გეშინიათ, მათ ვერავინ ვერ შეეხებაო.

ასე, კვირა დილით ადრიან რაბი დავიდი და რამდენიმე კაცი გამგზავრებულან აწყურში. ფაიტვნებზე სეფერ-თორები დაუბრძანებიათ, ხალხი ბარგით ურმებზე მოუთავსებიათ და ისე ამოუყვანიათ ახალციხეში.

მინდა აღვნიშნო დედაჩემის მამა იოსეფი, მისი ძმები: ქოენ იეუშუაყი, ბინა, რეუბენი, რომელთა წინაპარი – ბაბუა – ერაყის დედაქალაქ ბაღდადიდან მოსულა და დამკვიდრებულა აწყურში. ესენი ქოენები იყვნენ და ბაღდადიშვილებად მიტომ იწერებოდნენ. მასთანვე მრავალი ისრაელი, რომლებიც ასე გამოიყვანა სამშვიდობოზე და დაღუპვისგან იხსნა რაბი დავიდ ბააზოვმა, ზიხრონო ლიბრახა.

ახალციხელი, ამჟამად ცურ-შალომში, ხაზანი

(1976 წ)

**იაკობ ჩიკვაშვილი**
**მზია მამისთვალოვი**

# ერთი საღამო გორელაშვილების ოჯახში

(საუბარი ლიზა გორელაშვილთან - ნაწყვეტი)

—...აღსანიშნავია, რომ მაშინ ისრაელში საქართველოდან ბევრნი იყვნენ ამოსულნი. აქ მაშინ ცხოვრობდა დიდი რაბის ხახამ ემანუელ დავითაშვილის ცხონებული მამა, რომელიც გარკვეულად ღერძს წარმოადგენდა აქაურ და საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს შორის. ეს დიდი ადამიანი აქვეა დასაფლავებული.

—ვისთან ჰქონდათ ამ „შალიახებს" საქართველოში უშუალო კავშირი?

—მათი სახელები კარგად არ მახსოვს, შვილო, მხოლოდ რამდენიმე პიროვნებას დაგისახელებთ: ქოენ რუბენი, ბათიათი იოსები, ლევიაშვილები. ძირითადად ამ სახელოვან ოჯახებში იკრიბებოდნენ. განსაკუთრებული კავშირი მაინც ბააზოვებთან ჰქონდათ.

—პირადად იცნობდით პატ. რაბი დავით ბააზოვს?

—რა თქმა უნდა, ყველას კარგად ვიცნობდი. იგი განუმეორებელი ადამიანი იყო — ყველა გაგებით. აუწონელია მისი როლი იმდროინდელი ქართველი ებრაელობის ცხოვრებაში. მისი გავლენა განსაკუთრებულად ძლიერი იყო. მას პატივს სცემდნენ არა მარტო ჩვენი ხალხი, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც. მოგიყვანთ ერთ მაგალითს: 1919 წელს დააპირეს აწყურელი ებრაელობის გადასახლება. ეს რომ დავით ბააზოვმა გაიგო, პირადად ეახლა ამირ ფაშას. მან იმდენად დიდი ზეგავლენა იქონია ფაშაზე, რომ ეს გადაწყვეტილება სასწრაფოდ შეაცვლევინა. მან სპეციალური ნებართვა ჩამოიტანა და ხალხიც დაამშვიდა. ბააზოვების დიდ ოჯახთან იმდენი სიკეთე და სათნოებაა დაკავშირებული, რომ უბრალო ენა ამას ვერ აღწერს. დავით ბააზოვის უშუალო დახმარებით მოგვიანებით ქართველი ებრაელობა აწყურიდან ახალციხეში გადავიდა და კარგადაც მოიკიდა იქ ფეხი. დავით ბააზოვის უშუალო მონაწილეობით ტარდებოდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ებრაელობაში. მანვე მიიღო მონაწილეობა პირველი კოოპერატივების ჩამოყალიბებაში. მამის კვალს შვილებიც გაჰყვნენ

— გერცელი, მეირი, ფანია, პოლინა. ეჰ, სადღა არიან ახლა ერის ასეთი ვარსკვლავები. არ დაივიწყოთ წარსული, შვილებო. არ დაივიწყოთ, პატივი და დიდება მათ, რადგან არ არსებობს არაფერი დიდი წარსულის გარეშე.

ქალბატონი ლიზა წამით შეჩერდა და ცრემლით მობინდული თვალები მოისრისა.

—ბედნიერია ერი — მშობელი დიდი ადამიანებისა და უფრო მეტად ბედნიერია ის ერი, რომელსაც სწადის მათი დანახვა, გაგება და ღირსეულად დაფასება. აი, თქვენ საუბრობთ დიდი ადამიანის რაბი დავით ბაზოვის დამსახურებაზე, მის დიდებულ ოჯახზე და რამდენად პარადოქსალურად მოისმის ის ფაქტი, რომ მას მტერიც ჰყავდა ჩვენს ხალხში. ამ თემაზე საუბარს მე გვერდს ავუვლი, რადგან ისტორია სამართლიანია, ის ამოატივტივებს მის ნათელ ზედაპირზე მზეთ ზიარს, ხოლო სამარადისო ქვესკნელს უწილადებს ჭეშმარიტებათა დამმარხველ უღირსთ.

—ასეა, შვილო, ასე, კარგად სთქვი, ღმერთმა გაგიმარჯოთ.

გაზ. „ალია“,

№ 726, 14. 8. 84

**იაკობ ჩიკვაშვილი,**
**მზია მაქისთვალოვი**

# აქოშვილების ოჯახში

(ნაწყვეტი)

**რიმა აქოშვილი:**

... საუბარს აწყურიდან დავიწყებ. ამ ლამაზი სოფლიდან, სადაც ძირითადად ცხოვრობდნენ ჩვენი თემის წარმომადგენლები, რომლიდანაც არიან წარმოშობილნი ჩემი მშობლებიც და საერთოდ ბევრი ქართველი ებრაელი, რომლებმაც მოგვიანებით საცხოვრებლად ახალციხე, ბორჯომი და საქართველოს სხვა ცნობილი კუთხეები აირჩიეს. საინტერესოა ამ ისტორიული მოკლე პერიოდის გახსენება. აწყურში ბევრი ქართველი ებრაელი ცხოვრობდა 1919 წლამდე. ...ჩემი მშობლები მათათიაუ და მაზო აქოშვილებიც აწყურში დაიბადნენ და გაიზარდნენ. ორთავენი მორწმუნენი იყვნენ და შრომის სიყვარულს მათ ოჯახში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მუდამ. ვიდრე აწყური თურქების ხელში გადავიდოდა, ყველაფერი ნორმალურად და კარგად მიმდინარეობდა თურმე. მაგრამ საქართველოს გასაბჭოებამდე აქ ერთი ისტორიული მოვლენა მოხდა, რომელზედაც სწორედ ეხლა მინდა გესაუბ-

როთ. 1919 წელს საქართველოში შემოვიდნენ თურქები. ებრაელობის მდგომარეობა ძალიან გაუარესდა. თურქები თავიდანვე ცნობილი იყვნენ, როგორც ანტისემიტები. საკმარისი იყო, რომ მათ შორის თუნდაც ერთ ანტისემიტს თავი წამოეწია და ჩვენი ერის წინააღმდეგ რაღაც ეთქვა, ამ ამბავს სწრაფად მიეცემოდა ინერცია და მთელი თემი საფრთხეში ვარდებოდა. სწორედ ამის მსგავს მაგალითს ჰქონდა შემთხვევა 1919 წელს. აწყურთან ახლოს მდებარეობდა ერთი ადგილი, რომელსაც ნაზავებს ეძახდნენ. ეს იყო გადატრუსული, გაპარტახებული ადგილი და სწორედ იქ მოგვინდომეს გადასახლება თურქებმა. ეს ხდებოდა ადგილობრივი მმართველის ნება-სურვილის მიხედვით. მას ძალიან სძულდა ებრაელობა. ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა. დაიბარეს სოფლის ებრაელობის გამოჩენილი ადამიანები და განუცხადეს, რომ ერთი დღის განმავლობაში ებრაელობას უნდა მიეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი, მამული, ყველაფერი და უნდა შეეხიზნათ თავი ნაბაკელისათვის. სოფელში ნამდვილი გლოვის ზარი იდგა. ეს იყო პარასკევ დღეს და იმის დროც კი არ რჩებოდა, რათა მოსალოდნელი საფრთხის მოახლოება ეცნობებინათ ქუთაისში ან თბილისში ან საქართველოს ებრაელთათვის. პარასკევს, როდესაც აწყურის ებრაელთა სალოცავში თავი შეიყარეს ებრაელობამ, რამდენიმე წუთით საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ ვიღაც უნდა ასულიყო შიკრიკის სახით ახალციხეში და აწყურის ებრაელთა გადასახლების შესახებ უნდა ეცნობათ დავით ბააზოვისათვის, რომელიც იმ დროისათვის ცნობილი იყო როგორც ჩვენი თემის ყველაზე ღირსშესანიშნავი პიროვნება, რომელსაც დიდ პატივს ცემდნენ როგორც ქართველები აგრეთვე თურქებიც. ეს უნდა მომხდარიყო ძალიან სწრაფად, რადგან მეორე დღეს უკვე უნდა დაწყებულიყო აწყურიდან ებრაელთა გადასახლება. სხვათა შორის, თურქებმა პატიმრობაში აიყვანეს რამდენიმე კაცი, მათ შორის ჩემი ბიძა, რომელთაც ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს, თუ მეორე დილით აწყურის ყველა ებრაელი გამოცხადდებოდა დანიშნულ ადგილას და გადასახლდებოდა, მაშინ ისინი თავისუფალნი იქნებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აუცილებლად სიკვდილით დასჯა ელოდათ. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, აწყურის მცხოვრებმა ყველა ებრაელმა მიიღო და სოფელში ნამდვილი გლოვის ზარი იდგა. რაბინებმა დაავალეს ქართველ ებრაელ ქალებს გამოეყვანათ პატარა ბავშვები და ეტირათ მათთან ერთად (შეიძლება ამით გული მოელბოთ უფროსებისათვის, რათა თავიანთი გადაწყვეტილება ნაწილობრივ მაინც შეეცვალათ). მამაჩემმა მათათიაუმ თავის თავზე იკისრა ამ ამბის შეტყობინება დავით ბააზოვისათვის. იგი ძალიან კარგად იცნობდა ბააზოვების ოჯახს და მათ შორის დიდი ურთიერთ მეგობრული კავშირი არსებობდა. აწყურიდან ახალციხემდე დიდი მანძილი როდია, მაგრამ ამ გზის გავლა მაშინ ძალიან საშიში იყო, რადგან ამ გზაზე რამდენიმე სათვალთვალო და საგუშაგო პუნქტი იყო განლაგებული და თითოეული გამვლელი იჩხრიკებოდა და იკი-

თხებოდა. მამამ გადაწყვიტა მტკვრის სანაპიროს გაჰყოლოდა ღამით, რათა შაბათ დილით ლოცვაში მიესწრო დავით ბააზოვისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო იგი დააკავეს. ჰკითხეს, „რა გინდა აქა ამ დილით? რას აკეთებო?“ მამას ტყუილი უთქვამს: „ვირი დავკარგე და ვეძებო!“ მართლაც დაუჯერეს და ასეთი ხერხით მან მიაღწია სოფელ წნისს, რომელიც ძალიან ახლოსაა ახალციხესთან. წნისთან უკვე აღარ იყო გზა მტკვრის სანაპიროდან. იგი ამოვიდა ზევით, რათა მისულიყო ახალციხეში. აქ მამა ისევ დააკავეს. მაგრამ მათ იგი მიიყვანეს ბინბაშთან (ბინ თურქულად ათასს ნიშნავს, ბაშ კი მეთაურს, ესე იგი ათასის მეთაურთან). იგი მიიყვანეს თვალშეხვეული. მამა თურმე ტიროდა, მაგრამ იმას კი არ ტიროდა, რომ თვითონ უნდა დაღუპულიყო, არამედ იმას, რომ განზრახვა ვერ შეასრულა და ხალხს ვერ დაეხმარა. ისევ შეეკითხეს თუ სად მიდიოდა. მამამ უთხრა, რომ ასკარების უფროსს ფაიტონი გაუტყდა და სოფელში შემკეთებელი არ გვყავსო, ამიტომ ახალციხეში გამომგზავნეს, რომ ფაიტონის შემკეთებელი წავიყვანოო. მართლაც დაუჯერეს და ასე მიაღწია მან ახალციხემდე. მას ისევ შეუხვიეს თვალები და ორი კაცის თანხლებით ასე თვალახვეული წაიყვანეს სადღაც. იარეს ბევრი. მამა ფიქრობდა, ალბათ სადღაც წამიყვანებენ და მომკლავენო, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ თვალებიდან სახვევი ჩამოაშორეს და უბრძანეს, „აბა, აქედან გაიქეცი და შენი აჩრდილიც არ იყოს აქო.“ მამამ მიმოხედა და დაინახა, რომ ახალციხეში იყო. იქვე გაეშურა სალოცავისაკენ, სადაც რაბი დავით ბააზოვი ლოცულობდა შაბათობით. იმ დროს მართლაც დავით ბააზოვი თებაზე იდგა და ლოცულობდა, რაბი დავით ბააზოვს ძალიან გაჰკვირვებია მამის დანახვა და უთქვამს „აქ რა გინდა შაბათსო.“ მამას იქვე უთქვია, რომ ჯამაათი იღუპება და სასწრაფოდ რაღაც უნდა ვიღონოთო. აუხსნა ყველაფერი ისე, როგორც იყო.

**კითხვა:** ე. ი. რაბი დავით ბააზოვი იმ დროისათვის ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ თუ ჩვენს თემში რაიმე მსგავს მოვლენას ექნებოდა ადგილი, ყოველთვის მას მიმართავდნენ მხოლოდ შველისათვის და იგიც, როგორც ყოველთვის, მზად იყო ქმედითი დახმარება გაეწია მისი თემისათვის?

**პასუხი:** დიახ, ეს სწორედ ასე იყო. რაბის უთქვამს მამაჩემისათვის, აბა სასწრაფოდ ფაშასაკენ გავემართოთო. იმ დროისათვის ახალციხეში ფაშა იჯდა, რომელსაც ექვემდებარებოდა ყველა ახლო რაიონები. ფაშასთან ახლო დამოკიდებულება ჰქონდა დავით ბააზოვს. მან მოახსენა ფაშას თუ რაშიც იყო საქმე. ფაშას ეს გაუკვირდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ებრაელთა გასახლების საკითხი აწყურიდან იყო მხოლოდ ადგილობრივ ანტისემიტთა მოგონილი საქმე და ბააზოვის კითხვაზე: „თუ რას ერჩიან ჩემს ხალხს, რომ გასახლებას უპირებენო“, ფაშა დაპირდა მას დახმარების გაწევას. ჯერ ფაშას არ ჯეროდა ეს ამბავი და უთქვამს დავითისათვის, თუ ვინ მოიტანა ეს

ამბავიო. მასაც უჩვენებია მამა, რომელიც თან ახლდა გვერდში. მამამ მათი ენა კარგად იცოდა და ყველაფერი უამბო ფაშას. ფაშამ ურჩია მამას, რომ აღარ დაბრუნებულიყო აწყურში, რადგან თათრები მას მოკლავდნენ, ხოლო დავით ბააზოვს ურჩია, რომ თუმცა მეორე დღეს შაბათი იყო, წასულიყო მასთან ერთად აწყურში რათა ებრაელებს დახმარებოდა. დავით ბააზოვს უთქვამს, შაბათს ვერ წამოვალ და ხალხსაც თხოვნით მიუმართავს აწყურში, რომ შაბათს ნუ გაგვასახლებთ და კვირიდან ჩვენ თვითონ დავტოვებთ აწყურსო. მართლაც, კვირას ძალიან ადრე რაბი ბააზოვი და ფაშა გაემართნენ აწყურისაკენ, სადაც ძირითადად გამოსულიყვნენ მოხუცები და ბავშვები. იყო ნამდვილი გლოვის ზარი. ყველანი ტიროდნენ და ითხოვდნენ შველას. ჩემი ბიძა უკვე გაყვანილი ჰყავდათ მოედანზე და თუ ნახევარ საათში მოედანზე არ შეიკრიბებოდნენ, მას მოკლავდნენ. ბიძამ დაარიგა ხალხი, რომ მათ არ მოესმინათ რჩევისათვის, რომ ისინი წასულიყვნენ წინააღმდეგი. ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ, რათა დრო გაეყვანათ როგორმე. თუმცა ბიძა საერთოდ და ხალხი არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ფაშამდე და დავით ბააზოვამდე თუ მიაღწია ვინმემ და რა ბედი ეწია მამას. მაშინ, რა თქმა უნდა, ტელეფონი არ იყო და ძნელი იყო ინფორმაციის გადაცემა. ამ ამბავში რომ იყვნენ, სწორედ ამ დროს ფაიტონით მოედნის შუაგულში შემოვიდნენ ფაშა და დავით ბააზოვი მამასთან ერთად. ფაშამ გამოიძია ადგილზევე თუ რა ხდებოდა და სასტიკი დღე დააყენა ყველა მას, ვინც ცდილობდა ებრაელების აწყურიდან გასახლებას. ფაშამ იქვე მოხსნა აწყურის უფროსი და ყველა მისი თანამოზიარე პასუხისგებაში მისცა. ეს გადაწყვეტილება ებრაელების გასახლებისა იყო სწორედ მათი მიზანი და არა თურქების საერთო პოლიტიკის შედეგი. ამის შემდეგ ძალიან დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა და ფაშამ ურჩია დავით ბააზოვს, რომ ებრაელებს სასწრაფოდ მიეტოვებინათ აწყური. მან პირადად ასე უთხრა ბააზოვს: „რაბი, მე უნდა დავტოვო აწყური და ამის შემდეგ პასუხისმგებელი არა ვარ თუ რას უზამენ შენს ხალხს. მდგომარეობა ძალიან ცუდია და ებრაელებმა უნდა მიატოვონ ეს სოფელი, თუ მათ უნდათ, რომ საერთოდ ცოცხალნი დარჩნენ. ვინ იცის, ჩვენ რომ აქედან გავალთ შეიძლება „პოგრომი“ მოუწყონ მათ, მაშინ კი ყველაფერი გვიან იქნება. ამიტომ ხალხს აუხსენი, რომ აწყური დასტოვონ და თავს უშველონ გაქცევითო.“

გაზ. „ალია“,

№ 818; -3. 6. 86

სიმონ ბათოშვილი

# როგორ გადაარჩინა რაბი დავით ბაიზოვმა აწყურის ებრაელობა დახვრეტისაგან

პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთმა დაიპყრო ახალციხის მაზრა და მის მმართველად თავისი წარმომადგენელი დანიშნა, რომელსაც ახალციხის ფაშა ეწოდებოდა. ახალციხის მაზრაში შედიოდა დაბა აწყური.

აწყური მდებარეობს მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე; ახალციხიდან 24 კილომეტრით დაშორებული ბორჯომის მიმართულებით. აწყურის შემდეგ ბორჯომისკენ იწყება მტკვრის ვიწრო, მაღალმთიანი ხეობა. ბორჯომიდან მესხეთ-ჯავახეთისაკენ გადის მთავარი შარაგზა აწყურის გავლით. ამიტომ აწყური ომის პერიოდში წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ობიექტს. ამიტომაც იყო, რომ 1918 წელს გააფთრებული ბრძოლა მიდიოდა აწყურის აღმოსავლეთით თურქეთსა და მენშევიკური საქართველოს მთავრობას შორის.

იმ პერიოდისთვის აწყურში ცხოვრობდნენ თათრები და ორმოცამდე ოჯახი ქართველი ებრაელებისა.

ომის პერიოდში აწყურის მკვიდრი — ამ წერილის ავტორის ბიძა — ეუშაყ (საშა) ბათოშვილი თბილისში იმყოფებოდა. მენშევიკურმა მთავრობამ საშა გაიწვია თავისი არმიის რიგებში. საშა მოხვდა არმიის იმ ნაწილში, რომელიც იბრძოდა აწყურის ფრონტზე.

შუაღამისას უშიშარი საშა გამოიპარებოდა ნაწილიდან, გადმოლახავდა ფრონტის ხაზს და მოდიოდა თავის სახლში, მოინახულებდა ოჯახის წევრებს და განთიადისას ისევ უბრუნდებოდა თავის ნაწილს.

შემთხვევით საშას თვალი მოჰკრეს აწყურელმა მეზობელმა თათრებმა, გაჰყვნენ მის კვალს და დაადგინეს თუ როგორ გადავიდა თავის ნაწილში.

მეზობელმა თათრებმა სასწრაფოდ აცნობეს საშას მოქმედება აწყურის ფრონტის თურქ მეთაურს, თანაც დასძინეს, რომ „ჩვენი ებრაელი მეზობლები სადაზვერვო მუშაობას ეწევიან მენშევიკური მთავრობის სასარგებლოდო!“ განრისხებულმა მეთაურმა ბრძანება გასცა, რომ აწყურის ებრაელთა ყველა ოჯახი ბავშვებიანად დაეტყვევებინათ, გაერეკათ აწყურთან არსებულ ნაბაკევის

ტყეში და დაეხვრიტათ. ეს მოხდა პარასკევ დღეს. ვინაიდან პარასკევი თათრებისათვის ლოცვისა და დასვენების დღედ ითვლებოდა, ბრძანება სისრულეში არ იქნა მოყვანილი და მათი დახვრეტა გადაიდო მეორე დღეს..

გაჭირვებაში ჩავარდნილ აწყურელ ებრაელობას გამოსავალი აღარ გააჩნდათ. ბევრი ფიქრისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ გადაწყვიტეს კაცი ეფრინათ ახალციხეში — საშველად. აწყურის ებრაელობამ შუაღამისას ახალციხისაკენ გაგზავნა აწყურის მცხოვრები, გულადი და მოხერხებული ვაქკაცი, მათათიაუ აკოშვილი. აწყურიდან ახალციხემდე სტრატეგიულ ადგილებში თურქეთს ჩაყენებული ჰყავდა ჯარის ნაწილები. მათათიაუს ძალიან გაუჭირდა ამ დაბრკოლებების გადალახვა. მთების გავლით გაეპარა ჯარის ნაწილებს და მაინც მიაღწია ახალციხეს. იგი ახალციხეში ავიდა შაბათს, დილით, შევარდა სალოცავში და ჯამაათს შეატყობინა აწყურის ებრაელთა გასაჭირი. ამ პერიოდში ახალციხის ჯამაათს ემსახურებოდა რაბი დავით ბააზოვი. ამავე შაბათს რაბი დავით ბააზოვი იყო თებაზე და კითხულობდა სეფერ-თორას.

თებაზე ავიდა გაბაი და დავით ბააზოვს გადასცა მათათიაუს მონაყოლი — აწყურის ებრაელთა გასაჭირი.

რაბი დავით ბააზოვმა იმ წუთშივე შეწყვიტა სეფერ-თორის კითხვა, მოიხსნა სისიტი და გაიქცა ახალციხის ფაშასთან. ფაშასთან დავით ბააზოვის დიდმა ხვეწნამ და მუდარამ გასჭრა. მან ფაშა აიძულა, რომ აწყურის ფრონტის მეთაურისათვის შეეცვლევინება თავისი ბრძანება. ფაშა დაუკავშირდა მეთაურს და უბრძანა აწყურის ებრაელთა დახვრეტა შეეცვალა მათი ახალციხეში გადმოსახლებით.

რაბი დავით ბააზოვმა აწყურის ებრაელობის ორმოცამდე ოჯახს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ყველა ისინი 1918 წელს გადმოასახლეს ახალციხეში.

25. I. 84

**როზა გორელაშვილი**

## მზადება ერეც-ისრაელისათვის

მოწმე გორელაშვილი როზა აღნიშნავს, რომ მათი ოჯახი — ყეზრა გორელაშვილის — მზად იყო ერეც-ისრაელში გასამგზავრებლად, რომელსაც ხელმძღვანელობდა დავით ბააზოვი. ბევრი წაიყვანა, აღნიშნავს გორელაშვილი როზა. ჩვენ კი მომზადებულნი დავრჩით. დავით ბააზოვმა ჩამოუარა ებრაელთა დასახლებებს, აწარმოებდა გამოკითხვას, ვის სურს იერუშალაიმში წამოსვლაო. გამოვიდა ჩემი მამამთილი ყეზრა და გამოაცხადა თანხმობა. ასევე სხვებმაც. ძაან ბევრმა გამოთქვა წასვლის სურვილი.

ჩაიწერა **პოლინა ბააზოვმა**



**დავით კაჟილოტი**

## დავით ბააზოვის დარიგებითა და კურთხევით

ებრაელებს „წიგნის ხალხად“ გვთვლიან. 3300 წლის წინათ მიღებულ თორას ყოველ თაობაში მასწავლებელი სჭირდება. პირველი ასეთი მასწავლებელი იყო მოშე რაბინუ, ხოლო მისი მოწაფეები არონ ჰაქოენის ოთხი ვაჟი. რაბი აკიბას 24 ათასი თალმიდი ჰყავდა, —ეს იყო დიდი უნივერსიტეტი... რამბამი, ბაალ შემ ტობი და ა. შ.

არც საქართველოს აკლდა რაბები, დიდი მასწავლებლები. მათ შორის ვარსკვლავივით ანათებს რაბი დავით ბააზოვი თავისი შესანიშნავი ოჯახით, რომელმაც განიცადა კომუნისტური რეჟიმის საშინელება. სწორედ ამ შესანიშნავ ოჯახში 6 წლის ასაკში დავიწყე თორის სწავლა რაბი დავითის ხელმძღვანელობით და მისი შვილების გერცელის, ხაიმის და მეირის დახმარებით. რაბიმ, თორასთან ერთად — რაც ყველაზე მეტად სჭირდება ადამიანს — მასწავლა ადამიანების სიყვარული. წარმოიდგინეთ 6 წლის ბავშვი მარტო, თორით ხელში ლოცულობს და ევედრება „ჰაშემს“, რომ მიეხმაროს

და განკურნოს მისი ამხანაგი. ეს ამხანაგი რაბის პატარა ბავშვია, ჩემსავით.

როდესაც გერცელ ბააზოვი მოსკოვში მიდიოდა, მამამ თავისი ახალი პალტო ჩააცვა და ისე გაისტუმრა. მამაჩემის ეს ღირსეული საქმე არასოდეს დამავიწყდება. ასეთი მეგობრები იყვნენ რაბი დავით ბააზოვი და ილია კაჟილოტი.

დავიბადე ქ. თბილისში 1917 წელს. მამა — ილია იაკობის ძე კაჟილოტი — წარმოშობით ახალციხელი ებრაელი, მორწმუნე. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა თავის ოჯახს, ახლობლებს და ქართველ ებრაელთა თემს. ის დიდი ხნის განმავლობაში იყო სალოცავის გამგეობის წევრი. დედა, რახელი, იეხისკიელ ფანიკაშვილის ასული, მორწმუნე ადამიანი ბრძანდებოდა. ის იყო ჩვენი ბიბლიური დედების: სარას, რიბკას, რახელის და ლეას ტრადიციების გამგრძელებელი.

1919 წელს ჩვენმა ოჯახმა გადაწყვიტა საცხოვრებლად წასულიყო ისრაელში. მამამ თავისი მეგობრისაგან, რაბი დავით ბააზოვისაგან მიიღო რჩევა-დარიგება და გადავედით საქართველოდან იერუშალაიმში, სადაც მაშინ ებრაელთა ცხოვრება ძალიან მძიმე და აუტანელი იყო. გარდაიცვალა ჩემი ძმა მორდეხი, რომლის საფლავსაც ახლაც ვეძებ. სოციალურ-ეკონომიური მძიმე პირობების გამო დავბრუნდით საქართველოში 1921 წელს. მამამ დაიწყო მუშაობა და პარალელურად რაბი დავით ბააზოვს ეხმარებოდა ებრაელთა თემის საკითხებში.

1925 წელს რაბი დავით ბააზოვის დახმარებით 40-50 ოჯახი ამოვიდა ისრაელში მუდმივ საცხოვრებლად. მამასაც უნდოდა ჩვენი ოჯახით მათთან ერთად გამგზავრებულიყო, მაგრამ დავითმა სთხოვა, რომ ცოტა დახმარებოდა და შემდეგ ერთად გაემგზავრებოდნენ ისრაელში. მაგრამ... მოვიდა კომუნისტური რეჟიმი, აიკრძალა ყოველგვარი ებრაული საქმე, დაიხურა იეშიბები.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 6 წლის ასაკში დავიწყე რაბი დავით ბააზოვთან სწავლა.

1925 წელს თბილისში გაიხსნა 102-ე სკოლასთან არსებული „ებრაელთა შრომის სკოლა". ებრაულს გვასწავლიდა დიდი ებრაელი მწერალი და სიონისტი რაბი დავით ბააზოვის შვილი (ღირსეული მამის ღირსეული შვილი) გერცელ ბააზოვი, რომელიც შემდეგ კომუნისტებმა სასტიკად — ფიზიკურად გაანადგურეს. მაგრამ დავითისა და გერცელ ბააზოვების სულს ვერასოდეს ვერავინ ვერ მოერევა. ეს გამჩენის „ნეშამის" ნაწილია.

გერცელის გაკვეთილებს ბავშვები სკოლაში სიხარულით ველოდით.

ახლა, როდესაც გავიხსენებ მას, მე – 83 წელს გადაცილებული ადამიანი, ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი, – ეს იყო ანთებული მუდმივი სანთელი. მან შეგვასწავლა ებრაული დღესასწაულები, მათი მნიშვნელობა და კანონები. სიმღერა „ხედერ კატან, ცარ ვე-ხამიმ...“ ახლაც ჩემი პირველი და საყვარელი მელოდიაა.

რაბი დავით ბააზოვის და მისი ოჯახის კურთხევით შევქმენი ოჯახი. ჩემი მეუღლე მირიამ რუბენის ასული კასპიშვილი, ქალი, რომელმაც შემინარჩუნა ქაშერი ოჯახი კომუნისტური რეჟიმის დროს და გამიზარდა სამი შვილი. სამივემ დაამთავრა თბილისის მუსიკალური აკადემია.

ქალიშვილი სარა ცხოვრობს ჩეხიაში. მუშაობს მეუღლესთან (კოტე ძენსკი) და შვილ რომასთან ერთად ოპერის თეატრში. ისინი ვიოლინოზე უკრავენ.

ლიანა კაჟილოტი-ქოენი – პიანისტი და ამავე დროს შესანიშნავი პედაგოგი, რომელმაც არაერთი ებრაელი ბავშვი გაზარდა იქ, საქართველოში და აქაც აგრძელებს თავის დიდებულ საქმეს.

რუბენ კაჟილოტი – კომპოზიტორი, პირველად საქართველოში, ცნობილია როგორც იქ, საქართველოში, ასევე აქაც, ისრაელში. 1999 წელს მან მიიღო ისრაელის მთავრობის მეთაურის სახელმწიფო პრემია.

დიახ, მე მინდა ერთხელ კიდევ გავიმეორო: დავით ბააზოვის ლოცვა-კურთხევით ჩემს ცხოვრებაში მივაღწიე იმას, რომ დავამთავრე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამხედრო აკადემია; მოხალისედ წავედი ფრონტზე 1941 წელს. ვიყავი ლენინგრადის ბლოკადაში და დავბრუნდი მშვიდობით, რის შემდეგ 30 წელი ვიმსახურე ჯარში – პოლკოვნიკის ჩინამდე. ვმუშაობდი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში განყოფილების გამგედ. შემდეგ მუშაობა გავაგრძელე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამხედრო კათედრის დოცენტად; შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო ცენტრის განყოფილების გამგედ. 1968წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია ქ. ლენინგრადში.

და ბოლოს ამისრულდა ჩემი ოცნება და ამჟამად ვცხოვრობ ისრაელში და მისი ღირსეული მოქალაქე ვარ.

**რონი მიხელაშვილი**

# იჩქარეთ, იჩქარეთ სალოცავში

„ჩქარა, ჩქარა, ხალხნო, იჩქარეთ სინაგოგაში, –ეზოდანვე დაიძახა მამა-ჩემმა – წერს რონი მიხელაშვილი – და თითქოს შემოფრინდაო ოთახში, კვლავ იმავე სიტყვების განმეორებით, მამა ყველას ცალ-ცალკე მიმართავ-და: „ჩქარა წადით, თბილისიდან ჩვენთან ჩამობრძანდა დიდი დავით ბააზოვი“. ჩვენ ადრეც გვქონდა გაგონილი მის შესახებ, ახლა კი პირადად მისი ნახვა და მოსმენა ჩემთვის სასიხარულო იყო.

მე ყოველთვის მიყვარდა მჭერმეტყველი ლექტორების მოსმენა (მაგალითად, ისტორიკოსი ნ. კანდელაკი). ხშირად ვესწრებოდი სასამართლო პროცესებს, სადაც დავით ბააზოვის შვილი – ადვოკატი ხაიმ ბააზოვი გამოდიოდა დაცვაში და სხვა. ამჯერად მთელი ჩვენი ოჯახი აფორიაქდა. გარეთ დიდი, თავსხმა წვიმა მოდიოდა. ჩვენმა ბაბუამ ყველას უპოვნა სხვადასხვა საგნები წვიმისგან თავის დასაცავად. მე ამოვათრიე სიმინდის ჩასაყრელი დიდი ტომარა, ჩავუბრუნე შიგ კუთხეები და ამით დავიცავი თავი (იმხანად ჩვენთან არ იყო ქოლგები და არც სხვა საწვიმრები).

სტალინური რისხვისგან გადარჩენილი, დიდი სიონისტი დ. ბააზოვი კიდევ გაუტეხავად გამოიყურებოდა. იდგა, როგორც ბებერი მუხა და ებრაელი ხალხის სასიკეთოდ იბრძოდა. იმ პერიოდში ხალხი შეშინებული იყო და ერიდებოდა ყოველგვარ თავშეყრილობას. მაგრამ ახლა ვერ შესძლეს. ისინი შეიკრიბნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ და მოესმინათ გატანჯული დავითისათვის. თეთრწვერიან, წარმოსადეგ, მოკრძალებით ჩაცმულ მხცოვანის სახეზე აღბეჭდილიყო მისი სიდიადე; ხალხი გასუსული უცქერდა და უსმენდა. დავიდ ბააზოვი ცხაკაიას საზოგადოებას ულოცავდა საშინელი ომის დამთავრებას და ფაშისტების დამარცხებას. მე პირადად შევიტყვე ბატონ დავითისაგან, რომ ამ წყეულ ომში დაიღუპა ექვსი მილიონი ებრაელი! რა დავაშავეთ?! ვეკითხებოდი ჩემს თავს. მე არც ერეც-ისრაელის შესახებ ვიცოდი რაიმე. საიდან უნდა მცოდნოდა! უფროსმა თაობამ თითქოსდა პირში წყალი დაიგუბა და სდუმდა. შიშისგან ხმას არ იღებდა. რამოდენა ებრაელობა დაიღუპა სტალინის რეჟიმის დროს – ვინ სიონიზმისათვის, ვინ ტროცკიზმისათვის თუ კოსმოპოლიტიზმისთვის და კიდევ სხვადასხვა მიზეზების გამო, ამიტომაც სდუმდნენ ჩვენი მოხუცები, რათა შეენარჩუნებინათ სიცოცხლე, და მათ შორის ერთ-ერთი ასეთი იყო რაბი ბენსიონ ეფრემაშვილი. მაგრამ ახლა, როცა ხალხის წინაშე წარსდგა ქედმოუხრელი ქურუმი

დავითი, მაშინ რაბი ბენსიონმაც მოიხარა თავისი მოხუცი თავი და არ აუკრძალა დავით ბააზოვს გამოსულიყო საზოგადოების წინაშე..

მამაჩემმა დავითს ბევრი სთხოვა, რათა დარჩენილიყო ჩვენთან ვახშმად, მაგრამ მან უარით უპასუხა იმ მიზეზით, რომ მას მოელის მგზავრობის გრძელი გზა – იმავე მიზნით – ფოთში, ქუთაისში, სოხუმში, ზუგდიდში და სხვა.

წვიმა გაძლიერდა. ალბათ, საქართველოს ბუნება, ჩვენთან ერთად სტიროდა მილიონობით დაღუპულ ხალხს, – მათ რიცხვში ექვს მილიონ ებრაელს, და კიდევ იქნებ ღვრიდა ცრემლს დავითის უფროსი ვაჟის – გერცელის დაღუპვის გამო. – გერცელი! – ეს სახელი მამა დავითმა შეარქვა თავის პირმშოს – მსოფლიო სიონიზმის მამამთავრის – თეოდორ ჰერცლის ხსოვნისათვის.

მე მომიხდა კიდევ ერთხელ, მაგრამ სამწუხაროდ, უკანასკნელად მენახა დავით ბააზოვი. ეს იყო 1947 წელს. ადრეული გაზაფხული იყო. მე მაშინ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. დავით ბააზოვი ვნახე სინაგოგის ეზოში, გარშემოხვეული მრავალრიცხოვანი ადამიანებით.

თბილისში, ებრაელთა ძველ სასაფლაოზე, დგას შავი გრანიტის ქვა. მასზე ებრაული ასოებით ამოკვეთილია დ. ბააზოვის სახელი და მაგენ-დავითი. საფლავის გარშემო, როგორც ანთებული სანთლები, შრიალებენ, საგანგებოდ ჩარგული 12 კიპაროსის ხე! ეს არის დავით ბააზოვის საფლავი.“

გაზ. „იმედი“, № 173

12.03..76

გერშონ წიწუაშვილი

# რაბი დავიდ ბააზოვი

(გარდაცვალებიდან 30 წლისთავის გამო)

ადამიანი რომ ამ ქვეყანას სტოვებს, აღარაფერი რჩება მისგან. არის მხოლოდ ტკივილები, მის უკანასკნელ გზას რომ ახლავს. არის მხოლოდ გახსენებანი და არის ხმები. ხმები არასოდეს არ იკარგებიან, ისინი რჩებიან. ყვირიან და ბღავიან, როგორც ადამიანები, ითუთქებიან მდუღარე ცხოვრებაში და იღვრებიან ჩვენს სულში, რათა ძარღვებში დაგვიარონ, მიაღწიონ ჩვენს გულს და გვაიძულონ ხელახლა ვიკივლოთ მთელი გულით, მთელი სულით და მთელი მონდომებით. განახლება, რომლისკენაც მუდამ მივისწრაფვით, მოითხოვს ტკივილების განუწყვეტლივ ცვლას. ტკივილებს თავს არ ვარიდებთ ასეთი მტკივნეული განახლების გამო. ღმერთთან მაინც ლოცვას აღვავლენთ: חדש ימינו כקדם — „განაახლე დღენი ჩვენი კვლავინდებურად“.

წინაპართა ხმები მნიშვნელოვანია იმდენად, რომ იუდაიზმში ხმა არა მარტო სმენის ფაქტორია, არამედ ხედვის ფაქტორიც. შემოთში (20,18) ვკითხულობთ: „და მთელი ხალხი ხედავდა ხმებს“. დაუკვირდი, რას ეძიებდა ებრაელი, როდესაც კმაყოფილი იყო ციდან გარდმოვლენილი ნიჭით: ხმის ხედვით. ეს კი მიგანიშნებს: დაუკვირდი, რას ეძიებდა ურჯულო, როდესაც იბრძოდა სალოცავებში ლოცვის აღვლენის დროს დანთებული ხმების ჩასაქრობად. ხმას ვერ ჩააქრობენ, იგი ინახება, ვითარცა ფერფლის ქვეშ შენახული ნაკვერჩხალი.

ორიოდე წლის წინ გამოიცა წიგნი — რაბი დავიდ ბააზოვისა და მისი ვაჟის, ცნობილი მწერლის გერცელ ბააზოვის ისტორიულ-ლიტერატურული კრებული. დავიდ ბააზოვის სტატიები დღეს გაისმის, როგორც ფერფლის ქვეშ შენახული ხმები; ხმები, რომლებიც გავიდნენ ერეც ისრაელიდან כי מציון תצא תורה („ქი მიციონ თეცე თორა“), ჩვენთან ერთად დაჰყვეს გალუთში, ვითარცა გამხნევებამ, სიმამაცემ და იმედმა და დაბრუნდნენ ჩვენთან ერთად თავიანთ წიაღში: ושבו בנים לגבולם („ვეშავუ ბანიმ ლიგვულამ“). რა სასიამოვნოა, რომ ხმები გვახლდნენ თან ტყვეობაში გასვლისას და ისინი

გვახლავან თან, როს ვუბრუნდებით თავისუფლებას.

♦

რაბი დავიდ ბააზოვი დაიბადა 1883 წელს ქ. ცხინვალში, რაბი მენახემ ბააზოვის ოჯახში. მაშინ ცხინვალში წელში გამართული, ღირსეული ჯამაათი იყო. ამ პატარა ქალაქში დაახლოებით 7 სალოცავი იყო. აქ მცხოვრებ ებრაელებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოს დანარჩენ ჯამაათებთან თამარაშენში, ბრეთში, ქარელში, გორში და ა. შ. ამ პერიოდში ცხინვალმა სახელი გაითქვა თორის პატრონებითა და სიონით გატაცებული ცნობილი ადამიანებით, მათ შორის: რაბი აბრამ ხვოლესი, რაბი მეირ კრიხელი, რაბი მოშე პაპისმედაშვილი, ნათან ელიაშვილი და ა. შ. მაშინ ცხინვალში თორისა და სიონიზმის დროშა იყო, როგორც დილის ლოცვაში ვამბობთ: רם ונישא גדול גבור ונורא („რამ ვენისა, გადოლ, გიბორ ვენორა“). აქ მიიღო დავიდმა პირველდაწყებითი განათლება, მაგრამ სჯულსა და თალმუდში უმაღლესი განათლების მიღების პირობები არ იყო და ამ მიზნით 1900 წელს იგი მიემგზავრება სლუცკს, შემდეგ კი ვილნას, იმ დროისათვის რომ უმაღლესი დონის ებრაულ სულიერ ცენტრს წარმოადგენდა მთელ მსოფლიოში. აქ დავიდ ბააზოვი არა მარტო სჯულში იქნა განსწავლული, არამედ ებრაულ ფილოსოფიასა და ისტორიაში. მან გაიცნო აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის სიონისტური ახალგაზრდობა, რომელთა ბევრი წარმომადგენელი შემდეგ იმ ეპოქის სიონისტი ლიდერები გახდნენ. მათთან ნაცნობობამ ახალგაზრდა რაბის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია და მის მომავალ ბრძოლაში შთაგონების წყაროდაც იქცა. ეს სამი წელი სავსე იყო იმედით და სიხარულით, მივიწყებული ხალხის წინაშე მდგარ პრობლემებთან მიმართებით და მათში ჩაღრმავებით. რაბი დავიდ ბააზოვის წინაშე ებრაული პრობლემა წამოიჭრა როგორც ერთი გლობალური პრობლემა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ქართველი ებრაელობა, რომელიც ცრემლს ღვრიდა სიონსა და იერუშალაიმზე წარმოთქმულ ლოცვებში. ევროპიდან რაბი დაბრუნდა თავისი ერის მომავალზე ფიქრით დატვირთული.

საქართველოში დაბრუნებისას მან მიიღო რაბინის თანამდებობა ქალაქ ონში, რაჭის მთებში, სადაც საკმაოდ დიდი ჯამაათი იყო, ამაყი და თორის მოყვარული. ამ ჯამაათმა სწორედ მაშინ, რამდენიმე წლით ადრე ააგო საუცხოო სალოცავი, რომელიც მთელ საქართველოში იყო ცნობილი. ონის ებრაელთა ჯამაათი, სიდიდის მიუხედავად, საკმაოდ პატარა ტრიბუნას წარმოადგენდა, მაგრამ ამ ტრიბუნიდან რაბი დავიდის ქადაგება, დარაში და ლოცვა სწვდებოდა მთელ საქართველოს ებრაელობის გულს. იგი გამოდიოდა საქართველოს სხვადასხვა სალოცავში, ხალხს ესაუბრებოდა აგრეთვე პრესის საშუალებით. ქართული პრესა გადაიქცა მძლავრ ასპარეზად, სადაც ერთი მხრივ განათლების მომხრენი და სიონიზმი, მეორე მხრივ კი ასიმილაციის მომხრენი და ორთოდოქსები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს.

რაბი დავიდ ბააზოვი არ ყოფილა ჩაკეტილი თავის თემში. ბედმა არგუნა მას ყოფილიყო მთელი რუსეთის სიონიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიდერი. 1907 წელს მან მონაწილეობა მიიღო მერვე მსოფლიო სიონისტურ კონგრესში, რომელიც ჰააგაში გაიმართა. ამის შესახებ წერდა გაზეთი „დი ველტი“ 1907 წლის აგვისტოს 1 და 2 ნომრებში. მან მონაწილეობა მიიღო



ონის სალოცავი, სადაც რაბინად იყო დავიდ ბააზოვი

აგრეთვე რუსეთში გამართულ რამდენიმე ლეგალურ და იატაკქვეშა სიონისტურ კონფერენციაში.

სიონისტური მოღვაწეობის გაშლა შეიძლებოდა მაშინ, თუ შესაძლებელი გახდებოდა ორგანიზება იმ ყველა სულიერი ძალისა, რომლებიც საქართველოს ებრაელებში არსებობდა. ძირითადი სულიერი ძალები ხომ სალოცავის კედლებს შორის იყო მოქცეული; ამიტომ რაბი დავიდმა მიმართა საქართვე-

הועד המרכזי
של הסתדרות הציונים
ברוסיא

# [illegible] הקונגרס השמיני

יהיה בהאג (האלאנד) ביום ד׳ אלול (1-טען אווגוסט) וימשך ששה ימים.

א. הבחירות אל הקונגרס צריכות להגמר לא יאוחר מן ביום תמח (28-טען יוני).

ב. הפרסקילים ע״ד הבחירות צריך להעריך בשתי עקזעמפלארים, האחד לשלוח להועד המרכזי ברוסיא לווילנא והשני להועד הפועל בקעלן Zionistisches Central-bureau, Köln a/Rh. Ubierring 23, (Германія).

ג. מחאות נגד בחירות שנעשו שלא כדין, צריכות להשלח כעת אחת אל המרכז ברוסיא ולהועד בקעלן לא יאוחר מן יום אב (15-טען יולי). אל מחאות שתבאנה אחרי יום זה לא יוכם לב.

מעיפים אחרים מחוקי ההסתדרות הנוגעים לבחירת צירים:

§ יב. כל משלם שקל רשאי לבחור אל הקונגרס כשמלאו לו שמנה עשר שנים ולהבחר, כשמלאו לו ארבע ועשרים שנה. כשהציר הנבחר נתעכב מנסיע, אז הרשות לנסיע למסלא מקסו (קאנדידאט) אשר גם הוא נבחר בעת הבחירות.

§ יג. מאתים משלמי שקל לא נגרע אחד מיחרים בציר אחר. העדים שאין להן מספר שוקלים כזה מתאחדות עם עדים הסמוכות להן לבחירת צירים.

§ יד. בחירת הצירים היא כלתי-אמצעית ונעלמה.

ההסתדרות שבמדינה חיבת לתת לכל ציר אשרתא מעידה שהוא נבחר.

§ טו. הציר איננו רשאי לפטר את זכותו לולתו.

[illegible]

Письмо къ Сіонистамъ. ВИЛЬНА. Типографія Ф. Гарбера, Запольная ул. д. № 25.

# פרוטוקול

עיד בחירת צירים אל הקונגרס הציוני השמיני.

החברה (אגודה הטודים) הביאה בשנה הקודמת א' תהלים תחלת (הרמז -חרמז) שקל 192

הבחורה נעשתה באספה שנקראה לטפרה זו לועידת הבוחרים

כדר תלוני ... ביום ע"ן לחודש תמוז שנת התרפ"ו

נפקסה וסוכנה לעשות את הבחירה בא"פן אחר. צריך לתן את אופן הבחירה הזה.

נבחרה לקד חלק 142 משלפי שקל כלל וכח נחרה.

בתור צירים נבחרו:

| | השם והמשפחה | מספר שרותי | משמש | הערות (לאיזה כיוון) |
|---|---|---|---|---|
| א' | דוד זן מנחם דאזון | 21 | רב העדה | לאוני פלך קובנה<br>רב העדה דוד דאזון |
| ב' | | | | Rabbi David Brazil |
| ג' | | | | " |
| ד' | | | | |
| ה' | | | | |

בתור טבלאי מקום (קאנדידאטען) נבחרו:

| | השם והמשפחה | מספר שרותי | משמש | הערות (לאיזה כיוון) |
|---|---|---|---|---|
| א' | | | | |
| ב' | | | | |
| ג' | | | | |
| ד' | | | | |
| ה' | | | | |

ראשי החברה ואגודה הבוחרים החתומים מטה פשרים בזה, שהבחירה נעשתה ע"י חוקי המספר הפחות לפי הערים הבוחרים שנתנו מאת הועד המרכזי

יום ע"ן חדש תמוז א' תהלים תרפ"ו

חתם הנבחר: Moses Rabinowitz

הקדמה – האוסקל צריך להיות חתום ע"י שני ראשי הבחירה או אגודת הבוחרים הנשרים לה.

הועד המרכזי של הסתדרות הציונים בארצות קשר נגד את נחות הצירים.

מעיד

יום חדש שנת

No.

מן-8 סיוניסטური კონგრესის დელეგატად
რაბი დავიდ ბაზოვის არჩევის ოქმი

რაბი დავიდ ბაზოი (№ 14)რუსეთის სიონისტთა მეოთხე კონფერენციის მონაწილეთა შორის
(კონფერენცია გაიმართა მე-8 კონგრესის მიმდინარეობის ჟერიოდში)

ლოს რაბინებს 1915 წლის შემოდგომაზე მოწოდებით: „მოვიაროთ თავი საქართველოს ებრაელების რაბინებმა. დავინახოთ ჩვენი ერის სულიერი ნაკლოვანება, მოვისმინოთ ერთმანეთისაგან აზრები, ვილაპარაკოთ რა არის ჩვენთვის აუცილებელი საჭიროება, შეკრათ ერთი ჯგუფი, დავაარსოთ ცენტრალური იუშიბა, ვაუმართოთ ყველა პროვინციაში სასწავლებლები (თალმუდ-თორები), დავაარსოთ ფონდი სასწავლებლების სასარგებლოდ და გამოვარკვიოთ სხვა სადღეისო საკითხებიც.“ (გაზეთი „სამშობლო“, № 176). რაბი დავიდმა ამ კრების თარიღიც დაასახელა: 1915 წლის 5 ოქტომბერი.

რატომღაც კრება გადაიდო 13 ოქტომბრისათვის. გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნდა მოწოდება საქართველოს რაბინებისადმი რაბი ხვოლესისა ცხინვალიდან. ფაქტიურად, ეს ღია წერილიც იგივე მიზანს ემსახურებოდა: ჩამოეყალიბებინათ რაბინთა პოზიცია სხვადასხვა პრობლემებზე, რომლებიც ხალხის წინაშე იდგა. რაბი ხვოლესი ხაზს უსვამდა, რომ ეხლანდელმა მდგომარეობამ წარმოშვა ბევრი ისეთი საკითხები, რომლებიც სულ სხვა ახსნას და განმარტებას მოითხოვს. ხაზგასმულ იქნა ებრაული სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსება და ხალხში სხვადასხვა პროფესიის გავრცელება.

რაბი ბააზოვისა და რაბი ხვოლესის ცდას ორმა ბანაკმა გაუწია წინააღმდეგობა, რომლებიც ერთმანეთის სასტიკი მოწინააღმდეგეები იყვნენ, მაგრამ სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რატომღაც საერთო ენას პოულობდნენ: ორთოდოქსი რაბინები ერთი მხრივ და ასიმილაციის მომხრეები მეორე მხრივ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ ასეთი კრების პრინციპებს, მაგრამ სხვადასხვა მოტივით არც ჩქარობდნენ მისთვის მხარის დაჭერას. აი, ერთი ასეთი გამოხმაურება: „რაბინების კრება ნაადრევად მიმაჩნია. საჭიროა ლექციების გაძართვა ყველა დაბაში, რათა მასას გააცნონ წარსული უმუშაობა და მომავლის საჭიროება, და მის შემდეგ მოეწყოს არჩევნები.“ რაბი დავიდი თავის პასუხში წერს, რომ „ლექციები უნდა ეკრდობოდნენ საერთო გადაწყვეტილებას და კრების ყოველი გადადება მსოლოდ ზიანს აყენებს საქმეს.“ („სახალხო ფურცელი“, 1915, 421).

რაბი დ. ბააზოვის ყველაზე მკვეთრი გამოხმაურება გამოიწვია ქუთაისის მაშინდელი რაბის ელუაშვილის სიტყვამ. გამოხმაურება იმდენად მწვავე იყო, რომ მთელ ჯამაათში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გამოხმაურება ასეთი იყო:

„წავიკითხე გაზეთში პასუხი, რომელიც წარმოუთქვამს ქუთაისის რაბინს პატივცემული დეპუტაციის წინაშე. უნდა ვთქვა სიმართლე, მაგს თეთრზე არ ვუყურებდე დაწერილს, არ დავიჯერებდი, თუ ებრაელ რაბინის პირიდან გამოვიდოდა სიტყვები, რომლებიც შეშვენის მხოლოდ მარკოვებს, ჰურიშკევიჩებს, ზამისლოვსკებს და არა, ათასჯერ არა, ებრაელ რაბინს, რომელიც თავისი წოდებით უნდა იყოს წყარო ყოველი სიმართლისა და ზნეობრიობისა. ბოროტება შეიძლება კაცმა ჩაიდინოს, მაგრამ ვერ უარყოფს, რომ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება ზნეობრიობასაც და სარწმუნოებასაც. მხოლოდ კაცმა რომ

ბოროტი მოიმოქმედოს და ისიც სარწმუნოების სახელით, ჩემთვის წარმოუდგენელია; ვიცით წინათ, როცა სიბნელე ბატონობდა, ინკვიზიტორები ცეცხლში სწვავდნენ ადამიანებს სარწმუნოების სახელით, მაგრამ ისინი ისტორიამ შეაჩვენა და დღეს მათი გახსენებაც კი ზიზღს იწვევს ყველას გულში. აი ამიტომ გაკვირვებული ვარ, როდესაც ვკითხულობ ქუთაისის რაბინის ჰასუხს. დევ წინააღმდეგი იყოს ხალხის სწავლა-განათლებისა, მაგრამ სარწმუნოება რა მოსატანია. მე მგონია, რომ ჩვენი წმინდა სარწმუნოება მხოლოდ სწავლაზედ არის დამყარებული. ჩვენი ძველი წინამძღოლები სწავლისა და სიბრძნისათვის არიან მოხსენიებულნი ისტორიაში. განათლების ძლიერების სიყვარულით აამაღლეს ჩვენმა რაბინებმა თალმუდის კულტურა. სად ნახავთ კუთხეს დედამიწაზე, რომ ებრაელებს თავიანთი დაწყებითი თალმუდ-თორები და იეშიბები არ ჰქონდეთ! მხოლოდ ჩვენი კუთხეა, რომ არც ერთი და არც მეორე არა გვაქვს. ბ. ქუთაისის რაბინი ელუაშვილი ოცდარვა წელიწადია ხალხში რაბინად ბრძანდება; რატომ არ მოიფიქრა, რომ ხალხის ყველაზე დიდი საჭიროება სწავლაა; თუ ჭრინციჰულად ფიქრობს, რომ სწავლა-განათლება რუსულს ეწინააღმდეგებაო, თალმუდის სწავლა – ეს ხომ თვით სარწმუნოების ჰირველი მოთხოვნილებაა. აბა მიჩვენოს, სად აქვს ამნაირი სასწავლებელი? იმასაც დავუმტკიცებ, რომ როდესაც ვინმე სწავლული მოვიდოდა, არ მოისვენებდა, სანამ არ გააგდებდა. 13 წლის წინათ ექიმმა ლანგემ თავისი მოღვაწეობით გახსნა ქალაქ ქუთაისში ჰირველდაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლობდნენ რუსულს, ქართულს და ებრაულს. იქ ხომ არ „უახლოვდებოდნენ ქალებს“, მაგრამ ისიც დაიკეტა. აი ახლაც, როცა შეხედა, რაბინთა კრება ხალხის გამოფხიზლებას იწვევსო, ეცადა და ჩააქრო და ისიც სარწმუნოების სახელით! იგი ეუბნება ჰატივცემულ დეჰუტაციას: „ბააზოვს სარწმუნოება ნებას არ აძლევდა ხმა ამოეღო, რადგანაც ჰირველი ადგილი არ უკავიაო“. ჰირადობასთან საქმე არა მაქვს და არ გამოვუდგები იმას, თუ რითი ბრძანდება იგი ჰირველი და მე ნაკლები. მხოლოდ ვიტყვი, რომ რომელ სარწმუნოების წიგნში წაიკითხა ასეთი დესპოტური კანონი, რომ ვინც ქუთაისის რაბინად არ არის, ხმის ამოღების უფლება არავის აქვსო და „უსამართლობა რომ ვინმემ ჩაიდინოს, გასწორება არ შეუძლიაო.“

მწვავე ფორმამ, რომლითაც დაიწერა ზემოხსენებული სტატია, დააფიქრა მკითხველიც და ქართველი ებრაელი საზოგადოებაც საერთოდ: ხომ არ მიაყენებდა იგი რაიმე ზიანს რაბინების ავტორიტეტს? ხომ არ შეიძლებოდა ასეთი ცხარე საჯარო კამათის თავიდან აცილება? ყველაფერი ეს მიგვითითებს ორ ძირითად მომენტზე: **ა.** ეს სიმწვავე მომდინარეობს თვით ებრაული პრობლემის სიმწვავისაგან; **ბ.** რაბი დავიდ ბააზოვის სიონისტური გამოსვლები წინააღმდეგობას წააწყდა არა მარტო სხვა ხალხებს შორის არსებული მტრული წრეების მხრიდან, არამედ ჩვენი ხალხის შიგნით არსებული მტრული ძალების მხრიდანაც. რაც შეეხება რაბინების ავტორიტეტს, ამით სრულიადაც არ მისდგომია რაიმე ჩრდილი. პირიქით, კამათმა დაამტკიცა, რომ საქართველოს ებრაული რელიგიური საზოგადოება წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც შეიძლება შეეკამათო, ანგარიში გაუწიო.

აქ ერთი სერიოზული პრობლემა იჩენს თავს: როგორ შეიძლება

განისაზღვროს ქართული პრესის როლი, რომელიც ფაქტიურად ძირითად ტრიბუნას წარმოადგენდა ეროვნული და სიონისტური მოღვაწეობისათვის? ფაქტია, რომ პრესა ეკუთვნოდა არაებრაელებს. იგი არაებრაელების მიერ უფრო იკითხებოდა, ვიდრე იმ ხალხის მიერ, ვისაც ხსენებული პოლემიკური სტატიები შეეხებოდა. აქ, ცხადია, მნიშვნელობა აქვს ებრაელთა და არა-ებრაელთა შორის რაოდენობრივ თანაფარდობასაც. რა დამოკიდებულებას იჩენდნენ არაებრაელები საქართველოს ებრაელ წარჩინებულთა შორის ატეხილი დავის მიმართ? ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რედაქტორის შენიშვნა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „სამშობლოში" (1916, 400):

„ვბეჭდავთ ბ-ნ ბააზოვის წერილს უცვლელად. ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით და ვართ, რომ თითოეულ ერს, თითოეულ ხალხს უფლება აქვს თვითგამორკვევისა, თავის ისტორიულ უფლებებისა და ეროვნულ ფსიქოლოგიის დაცვისა.

კამათი, რომელიც ატუდა ქართველ ებრაელთა მწერლებს შორის, მით უფრო საყურადღებოა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდება ჩვენი ებრაელების აზრი და გულისთქმა და ჩვენთვისაც თვალსაჩინო იქნება მათი ჩვენდამი დამოკიდებულება.

გარდა ამისა ქართველ ებრაელების წერილები გამოაფხიზლებენ ქართველ ებრაელთა ახალგაზრდობას და განათლება-თვითშეგნების გზაზე დააყენებენ.

შეგნება და შესმენა კი ისეთი განძია, რომ მისი მადლი გაათბობს ყველას. ამიტომ, ერთხელ კიდევ გიმეორებთ, სიამოვნებით დავუთმობთ ჩვენი გაზეთის ფურცლებს ქართველ ებრაელთა მწერლებს."

აქედან ჩანს, რომ ქართული პრესა გაგებით მოეკიდა „თავიანთი ებრაელების" პრობლემებს. ცხადია, ყოველთვის არ ყოფილა ეს დამოკიდებულება დადებითი, მაგრამ თუ სიონიზმის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაზე ვილაპარაკებთ, ეს ასიმილატორი და ორთოდოქსი ებრაელების მხრიდან უფრო იჩენდა თავს, ვიდრე არაებრაელთა მხრიდან.

ორთოდოქსი რაბინები ცდილობდნენ ჩრდილი მიეყენებინათ რაბი დავიდ ბააზოვისათვის საზოგადოების თვალში, მაგრამ მისი გავლენა ებრაელ საზოგადოებაზე მაინც დიდი იყო: არა მარტო ნაციონალურად განწყობილ მოსახლეობაზე, არამედ ეროვნული მოძრაობის მიმართ გულგრილად განწყობილ საზოგადოებაზეც. სარწმუნოებისაგან შორს მდგომმა ერთ-ერთმა პიროვნებამ მხარი დაუჭირა რაბი დავიდ ბააზოვის იდეებს, მაგრამ აღნიშნა: „დრო შეიცვალა და შეიცვალა რაბინების მოღვაწეობაც; მათგან არაფერი აღარ დარჩა სახელის გარდა." ამაზე დ. ბააზოვმა უპასუხა:

თუ ამას საქართველოს რაბინებზე ამბობენ – ეს სხვა საქმეა, მაგრამ თუ საერთოდ რაბინებს გულისხმობ – ეს არაა სწორი. როგორც სული არის სიცოცხლის ნიშანი სხეულში და უმისოდ იგი კვდება, ასევეა რაბინები ებრაელებისათვის. თუ ებრაელები გადაურჩნენ განადგურებას – ეს მხოლოდ მათი რაბინების წყალობით. მათ თავი შესწირეს თავიანთი ერის გულისათვის და ამასვე აკეთებენ დღევანდელი რაბინებიც. ჩვენს ისტორიაში ბევრი პიროვნება და გაონი იყო, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობა და ნიჭი მიუძღვნეს

ხალხს („სამშობლო“, 1915. 134).

რაკი რაბინებმა ვერ გაუგეს დ. ბააზოვის მოწოდებას და თავიანთ ნაჭუჭებში ჩაიკეტნენ, დ. ბააზოვს არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ თვითონ ემოქმედა. იგი შეხვდა ახალგაზრდობის ჯგუფებს და ახალგაზრდობამ იგი აღტაცებით მიიღო. ორგანიზებული ახალგაზრდული ჯგუფები დაარსდნენ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, ონში და ა. შ. ამ ჯგუფების მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ადგილობრივი თალმუდ-თორებისა და პროფესიული სასწავლებლების დაარსება ებრაელი ახალგაზრდობისათვის. სწავლა მიმდინარეობდა მაშინდელი პედაგოგიკისათვის შესაფერის დონეზე. რაბისა და ებრაელი ახალგაზრდობის ურთიერთ დამოკიდებულებაზე მიგვითითებს შემდეგი ნაწყვეტი:

„რაბი! ღმერთმა ქნას, რომ რაიმე გზას დაგვაყენო, თუ არა, დაკარგულები ვართ, არაფერი გაგვეგება ჩვენი ხალხისა და კაცობრიობის შესახებ. მოგვეც გზა და ვიმოქმედებთ მთელი გულით“ („სამშობლო“, 1916, 355). გაზეთის საშუალებით რაბიმ მიმართა ებრაელ ახალგაზრდობას: მოგიწოდებთ თქვენ, ახალგაზრდობავ, ძირს ნუ დაუშვებთ დროშას, რომელიც ააფრიალეთ. ამ დროშაზე დამოკიდებულია თქვენი ტანჯული ერის ბედი. (იქვე).

რაბი დავიდისთვის სულაც არ იყო მოულოდნელი ორთოდოქსი რაბინების წინააღმდეგობა სიონიზმის პრობლემების დაყენებისას. სიონიზმს ეწინააღმდეგებოდნენ უკიდურესი მიმართულების ებრაული რელიგიური წარმომადგენლები მაშინდელ ევროპაშიც, რადგან სთვლიდნენ, რომ საკუთარი ინიციატივით ერეც-ისრაელში დასახლება არ შეიძლებოდა, ეს მხოლოდ მაშიახის მობრძანების შემთხვევაში მოხდებაო. დ. ბააზოვი არ ამწვავებდა მის დამოკიდებულებას საქართველოს ებრაელთა რელიგიურ ხელმძღვანელობასთან, უფრო მიზანშეწონილად თვლიდა ხიდი გაედო მასა და ეროვნულად მოაზროვნე ახალგაზრდობას შორის და შეძლო კიდეც ამის გაკეთება მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო. სიონიზმს იმ პერიოდის საქართველოში არ ჰქონდა მყარი ბაზა. სიონისტური მოძრაობა შეიძლებოდა გაშლილიყო მხოლოდ ერთი პირობით: მოსახლეობაში ებრაული თვითშეგნების ამაღლებით. რაბი ბააზოვის მოღვაწეობა სწორედ აქეთ იყო მიმართული: დროდადრო ქართულ პრესაში აქვეყნებდა ამ მიზნისათვის დაწერილ სტატიებს და აწყობდა შეხვედრებს ახალგაზრდობასთან როგორც სალოცავებში, ისე კერძო შეხვედრების სახით. რაბის იდეებს და მის მოღვაწეობას ბევრი მიმდევარი ჰყავდა ებრაულ (და არა მარტო ებრაულ) საზოგადოებაში და ეს მხარდაჭერა დღითიდღე იზრდებოდა. მისი გავლენის გაძლიერება არ მოეწონათ ორთოდოქსებს, მაგრამ არც ებრაელ ასიმილატორებს ეძინათ.

ასიმილატორთა შორის აღსანიშნავია მიხაელ ხახანაშვილი, რომლის გარშემო დაირაზმა დანარჩენი ასიმილატორული ახალგაზრდობა. მაგრამ არაებრული ინტელიგენციის წრეებშიც კი იყვნენ ისეთი გამოჩენილი პირები,

რომლებიც მხარს უჭერდნენ რაბი დავიდის იდეებს. ერთ-ერთი საზოგადო მოღვაწე — ია ეკალაძე-ცინცაძე ერევა ებრაული პრობლემის გარშემო ატეხილ დავაში და წერს რაბი დავიდის შესახებ:

იგი საჭიროებს მხარდაჭერას, ყველა უნდა ამოუდგეს მას მხარში და ხელი არ უნდა შეუშალონ. ჩვენ უნდა მივცეთ მას მოქმედების გზა და არ უნდა დავუხშოთ მას ეს გზა. („სამშობლო", 1915, 40). იმავე სტატიაში იგი წერს: რაბი დავიდის მოწინააღმდეგეთა სტატიები იმდენად საცოდავნი და უვარგისნი იყვნენ, რომ თუ არა ებრაელი ხალხის მიმართ ჰატივისცემა, ჩვენს გაზეთში მათი გამოქვეყნების საშუალებას არ მივცემდით.

გავიდა წლები. რაბი დავიდის გულში დანთებული ცეცხლი არ ჩამქრალა, მრავალთა გულს მოედო და ნაყოფიც გამოიღო. 20-იან წლებში სიონისტური მოძრაობის ქსელი უკვე საკმაოდ გაფართოვდა საქართველოში, 1925 წელს კი რაბი დავიდმა და მისმა მეგობრებმა მოახერხეს საქართველოდან ოლიმების დიდი ჯგუფის ამოყვანა ისრაელში. სიონისტური იდეების გავრცელებაში საქართველოში დიდი როლი შეასრულა ორმა ებრაულმა გაზეთმა, რომლებიც ქართულ ენაზე გამოდიოდნენ:

„ხმა ებრაელისა"-მ, რომელიც 1918 წელს გამოდიოდა დ. ბააზოვისა და ცნობილი სიონისტის შ. ციციაშვილის მიერ. იმ დროს რაბი დავიდი ქ. ახალციხეში მოღვაწეობდა როგორც რაბი ამ ქალაქის ჯამაათისა. 20-იან წლებში მან ცნობილ სიონისტ ნათან ელიაშვილთან, თავის შვილ გერცელთან და სხვებთან ერთად დააარსა ებრაული სკოლები საქართველოში. ამ სკოლებში ებრაელი ბაშვები სხვა საგნებთან ერთად ებრაულ ენას, ებრაულ ისტორიას და სხვა ეროვნულ დისციპლინებს სწავლობდნენ, რის მიღწევაც ადვილი არ იყო საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ებრაული მოძრაობა კვლავ ცოცხლობდა: 1924 წელს გამოვიდა მეორე ებრაული გაზეთი ქართულ ენაზე: „მაკავეელი". გაზეთის ქართული სახელწოდების ქვეშ წარწერილი იყო ებრაულადაც: מכבי („მაქაბი"). სულ 3 ნომერი გამოვიდა. ამის შემდეგ მთავრობამ დახურა გაზთი. გაზეთმა მაინც შეასრულა თავისი მისია: ხელი შეუწყო საქართველოს ებრაელობის ეროვნული და სულიერი აღორძინების საქმეს.

1925 წელს, როცა საქართველოს ებრაელთა ალიის ნებართვები მიიღო, დ. ბააზოვი ერეც-ისრაელში შეხვდა უსიშკინს, ვაიცმანს, სოკოლოვს და ებრაელი ხალხის სხვა ლიდერებს. უსიშკინს იგი ადრეც იცნობდა: ერთ-ერთ სიონისტურ კონგრესზე დ. ბააზოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ უსიშკინმა თქვა: „სანამ რუსეთში ასეთი მეგობრები გვყავს, ებრაელი არ შეიძლება ქვრივად ჩაითვალოს."

რაბი დ. ბააზოვი უკან ბრუნდება საქართველოში ალიის ახალი ტალღის მოსამზადებლად, მაგრამ მოულოდნელად საბჭოთა მთავრობამ ისრაელისკენ მიმავალი ყველა გზა გადაკეტა.

1938 წელს, სტალინური ტერორის ეპოქაში, რაბი დ. ბააზოვი დაპატიმრებულ იქნა და დახვრეტა მიესაჯა, მაგრამ სასჯელი შეეცვალა და ციმბირში იქნა გადასახლებული. იგი ოჯახს დაუბრუნდა მხოლოდ 1945 წელს, მაგრამ მისი ჯანმრთელობა საკმაოდ შერყეულიყო გადასახლებაში და ამის შემდეგ მხოლოდ ორი წელიღა იცოცხლა: გარდაიცვალა ოქტომბრის თვეში, 1947 წელს, ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ასე დასრულდა დღეები ქართული სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი დიდი მოღვაწისა: ვერ ეღირსა „იარდენის გადასვლას" ანუ ერეც-ისრაელის სიცოცხლით ცხოვრებას. ეს ჩვენს ისტორიაში ბევრი მოღვაწის ხვედრი იყო. მისი ცხოვრების ასეთი დასასრული კი იმის მიმანიშნებელია, რომ

არ დაივიწყო! მუდამ გახსოვდეს სიცოცხლე ადამიანისა, რომელიც შენთვის და შენი ხალხისთვის დაიფერფლა, გახსოვდეს בכל לבבך ובכל נפשך ובכל מאדך („ბეხოლ ლევავეხა, უვხოლ ნაფშეხა უვხოლ მეოდეხა").

დედაქალაქი

გაზ. „ნერგი", № 1-2,

30 .12. 77, 06. 01. 78

მ. ქავთარაძე

# დავით და გერცელ ბააზოვები

კრებული თელ-ავივის უნივერსიტეტი, ებრაელთა ისტორიის კვლევითი საზოგადოება. 1976 წ.

კრებული შედგენილია ფანი ბააზოვის მიერ; (დავითის ასული და გერცელის და).

ქართულ ენაზე გამოცემული ეს 330 გვერდიანი წიგნი უხვად დასურათებულია: 35 ფოტოგრაფიის გარდა წიგნში დაბეჭდილია ფოტოპირები აფიშებისა, ჟურნალების თავფურცლებისა და სხვა დოკუმენტებისა.

რაბინი დავით ბააზოვი, მეთაური და სულისჩამდგმელი იყო სიონიზმისა საქართველოს ებრაელთა შორის. 1883 წელს ცხინვალში დაბადებული, ვილნოში ებრაულად განსწავლილი, 1903 წლიდან ონის ებრაელთა რაბინი... გარდაიცვალა 1947 წ. თბილისში.

მისი შვილი გერცელ ბააზოვი, საქართველოში საკმაოდ კარგად ცნობილი მწერალი და დრამატურგი, მამის კვალს მისდევდა. დახვრიტეს მოსკოვში*) 1938 წ.

ამ მამაშვილის მოღვაწეობას ასახავს ეს წიგნი — არასრულად, მასალისა და დოკუმენტების დაკარგვისა თუ მოსპობის გამო. ეს არ არის საქართველოს ებრაელთა შორის სიონიზმის ისტორია, მაგრამ მისს საკითხის სურათს იძლევა, რამდენადაც ამ მოძრაობის მთავარი პიროვნებები ჩვენში, სწორედ მამა და შვილი ბააზოვები ყოფილან.

ამ უკანასკნელ წლებში, როგორც ვიცით, საქართველოს ებრაელთა საკითხმა დიდი ყურადღება მიიპყრო, იზრაელში მათი მასსიური გადასახლების გამო. საქართველოს პრესაში ამ საკითხზე ბევრი დაიწერა. ემიგრაციაში ქართველთა შორის საუბრის დროს ამ საკითხზე ხშირად მსჯელობენ ხოლმე.

წიგნში მოყვანილი დოკუმენტები მკითხველს ინფორმაციას მისცემს თუ როგორი იყო თვით ებრაელთა მიდგომა ამ საკითხისადმი წარსულში, და ამგვარად დღევანდელ მდგომარეობის ახსნა-გაგებაშიც დიდათ დახმარება.

წიგნის გამოწერა შეიძლება: ფანი ბააზოვი.

ტელ-ავივის უნივერსიტეტი, ებრაელთა ისტორიის კვლევითი საზოგადოება.

თავისუფლების ტრიბუნა,

პარიზი, დეკემბერი, 1976. № 14-16

შალვა ბებერი (ბებერაშვილი)

# რუსეთის სიონისტთა წერილები დავით ბააზოვის მოღვაწეობის შესახებ

ებრაელმა ხალხმა დიასპორაში მრავალმხრივი გარდაქმნა განიცადა; ებრაელობის ნაწილი მოსწყდა თავის ხალხს და დაადგა ასიმილაციის გზას. ამ მიმართულებით ებრაელობას მოელოდა სრული გათქვეფა იმ ერებს შორის,

* იმ პერიოდში საზოგადოებისათვის უცნობი იყო გერცელის მოკვლის ზუსტი ადგილი. იგი დაიღუპა თბილისის ციხის კედლებს შორის. (ბ. ბ.)

რომელთა შორისაც მათ უხდებოდათ ცხოვრება.

მაგრამ პარალელურად უნდა ითქვას ებრაული რელიგიისა და ტრადიციების დამცველთა დამსახურების შესახებ, რამეთუ მათ შემოინახეს ებრაელი ერი.

ისტორიულმა ვითარებამ ებრაელობა სულ უფრო და უფრო კარჩაკეტილი გახადა და მოსწყვიტა საკაცობრიო პროგრესის გზას.

საჭირო იყო 2000-წლიან ისტორიულ თვლემაში მყოფი ებრაელი ხალხის გამოფხიზლება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რაც მოითხოვდა, ებრაელობის შენარჩუნებასთან ერთად, პროგრესის გზით სვლასაც. ასეთი მოთხოვნა რევოლუციური გარდაქმნის ტოლფასი იყო ებრაელი ხალხის ცხოვრებაში.

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ებრაელთა თემშიც ძირითადად გამოიკვეთა ორი ფრონტი: რელიგიის ფანატიკურად დამცველნი და ასიმილატორები. ე.ი. ადგილი ჰქონდა ორ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებას. საჭირო იყო რეალური გზის გამონახვა, რის წყალობითაც პროგრესულად მოაზროვნე ებრაელი, რელიგიისა და ტრადიციების დამცველი და შემნახველი, ეროვნული თვითშეგნებით ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდებოდა. ეს იყო ახალი მიმდინარეობის — სიონიზმის — ებრაელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანა.

დიახ, სიონიზმი მიზნად ისახავდა 2000-წლიან დიასპორაში მყოფი ებრაელი ხალხის თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას.

ამ მიზნის მისაღწევად სიონისტ მოღვაწეებს დასჭირდათ უაღრესად ძნელი, გაბედული და უმაგალითო ბრძოლა, რათა საღათას ძილისაგან გამოეღვიძებინათ ებრაელობა და შთაენერგათ ეროვნული თვითშეგნება.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქირურგიული ჩარევით არ ხდება მოვლენების შეცვლა, თუ არ სდევნიან, ძნელია მიჩვეულ ჩარჩოებში მყოფი ადამიანების ამოძრავება. და მაინც სწორედ ამ რთულ ამოცანას ისახავდნენ მიზნად რუსეთის სიონისტი მოღვაწეები. მოსკოვში მოქმედებდა სიონისტური ცენტრი ვიქტორ რაფაელის ძე კუგელის ხელმძღვანელობით. სიონისტი მოღვაწეები იკრიბებოდნენ, იწვევდნენ კონფერენციებს, სახავდნენ გეგმებს და გარკვეული დავალების შესასრულებლად მიემართებოდნენ დიასპორაში მცხოვრებ სხვადასხვა ქვეყნის ებრაელობასთან.

ერთ-ერთი ასეთი მგზნებარე და აქტიური სიონისტი მოღვაწე გახლდათ ჩვენი თემის ღირსეული შვილი რაბი დავიდ ბააზოვი.

რაბი დავიდ ბააზოვის სიონისტური მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ხელთა გვაქვს არა ერთი და ორი წერილობითი წყარო, გამონათქვამები სიონისტი მოღვაწეებისა, რომლებიც უშუალოდ იცნობდნენ მას და მოღვაწეობდნენ მასთან ერთად. მკითხველს გავაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

აი, რას იგონებს ოდესელი სიონისტი ბარუხ ბარ თიკვა (კაცენელბოგენი)

თავის წერილში „რაბი დავიდ ბააზოვის ხსოვნისადმი“ (ვიმეორებ ტექსტს, რომელიც დაბეჭდილია კრებულში „დავიდ-გერცელ ბააზოვები“, თელ-ავივი, 1976): „ვალდებულად ვთვლი თავს დაწვრილებით გადმოგცეთ მოგონება ჩემი საუკეთესო მეგობრისა და კოლეგის რაბი დავიდ ბააზოვის შესახებ, რათა ყველამ იცოდეს ისრაელში და მათ შორის საქართველოდან გამოსულმა რეპატრიანტებმა, თუ ვინ იყო ეს დიდი ადამიანი, მათი წიაღიდან გამოსული, რომლის მგზნებარე ებრაულ გულში სიონისა და იერუშალაიმის სიყვარული გიზგიზებდა.“

რაბი ბააზოვს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა იმ თეორიულ საუბრებში, რომლებიც ჩვენს სიონისტურ სამყაროს აღელვებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოდესური ჯგუფი საერთო საქმის სულისჩამდგმელად ითვლებოდა, რაბი ბააზოვი პირველივე წუთიდანვე წარმოდგა ჩვენს წინაშე ვითარცა არაჩვეულებრივი, საუცხოო პიროვნება, განსწავლული ბრძენი, რომელიც თავის ღრმა, მრავალმხრივ ცოდნას ებრაული სულის უძირო წიაღიდან იძენდა. როცა სიონსა და იერუშალაიმზე ლაპარაკობდა, რაღაც ღვთაებრივი, წმინდა ნაპერწკალი კრთოდა მის თვალებში. რაბი ბააზოვი რაღაც სასწაულებით ახერხებდა მიმოსვლას. მის პიროვნებასა და სულში ჩვენ ვხედავდით გამოწრთობილი გმირის სიმბოლოს, როგორნიც ჩვენც უნდა ვყოფილიყავით იატაკქვეშეთის პირობებში. ყოველთვის ებრაულად, გარკვეული სეფარადული აქცენტით ვსაუბრობდით, რომელსაც მეც ვფლობდი... აწუხებდა ასიმილაციის ნაკადში მოხვედრილი რუსეთის ებრაელობის ბედი, ასიმილაციისა, რომელიც ამ ებრაელობის საუკეთესო ნაწილს ნთქავდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას.

ბარუხ ბარ თიკვა აღნიშნავს პოეტ აბრაამ კარივთან შეხვედრის შესახებ, რომელსაც დავით ბააზოვიც ესწრებოდა. ამ უკანასკნელმა „თავის სიტყვაში მოიყვანა გაბედული ოპერაციის საინტერესო ეპიზოდი, რომლის მიხედვითაც „საქართველოს ებრაელების მთელი ჯგუფები უნდა ჩამოსულყვნენ ისრაელში, ამასთან ხელისუფლების თანხმობით იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ საქართველოს ებრაელები ლაპარაკობენ ებრაულად, რაც მათ ანიჭებს უფლებას ისრაელში რეპატრიაციისას.“

დავიდ ბააზოვმა მოახერხა პირველი ჯგუფის ჩამოყვანა ისრაელში, სადაც იგი შეხვდა უსიშკინს, ვაიცმანს, სოკოლოვს და იშუვის სხვა ხელმძღვანელებს.

ერთად დაგეგმეს საქართველოს ებრაელების რეპატრიაციიის გზები ერეცისრაელში. იმ შეხვედრაზე რაბი ლაპარაკობდა დიდი აღელვებითა და მგზნებარებით. თუმცა ეს არ იყო მაშინ აქტუალური. გეგმები ჩაიშალა ევსექციის წყალობით, რომელიც მიუხვდა რაბის ზრახვებს... ნაამბობმა მაინც დაგვატყვევა და აგვაღელვა.

ბევრი რამ ვისწავლე მისგან, განსაკუთრებით კონსპირაციის თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა მოვრიდებოდით დამსმენლებს.

ერთხელ, ოდესის სანაპიროზე სეირნობისას მან პატარა ნავი დაიქირავა. ჩავსხედით შიგ და პატარა თეთრ წვერში ჩამალული ღიმილით მითხრა: „მგონია აქ აღარ შეგვეშინდება ჩვენს საყვარელ თემაზე საუბარი“...

„დასანანია და სამწუხარო, რომ ეს დიდებული და ძვირფასი ადამიანი ვერ მოესწრო ხსნისა და აღორძინების ნათელ დღეებს.“

რაბი მორდეხაი ხაზინი გვამცნობს, თუ როგორ იკრიბებოდნენ იატაკ-ქვეშეთში რუსეთის გაერთიანებული სიონისტური მოძრაობის აქტივისტები. ეს ხდებოდა ტყეში, აგარაკზე და სხვა კონსპირაციულ ადგილებში. შეკრებებს ესწრებოდნენ ვიქტორ რაფაელის ძე კუგელი, რუსეთის გაერთიანებული სიონისტური მოძრაობის პრეზიდენტი, მარკ ბრონშტეინი და სხვები. მათი კონსპირაციული ბიურო ცხრა კაცისაგან შედგებოდა. მასში რაბი დავიდ ბააზოვიც შედიოდა. რაბი ხაზინს მოჰყავს ამ შეხვედრებზე მოხსენებით გამოსული ბააზოვის სიტყვები: „სიონიზმი აერთიანებს და ამჟიდროვებს ებრაელ ხალხს, ვისაც არ გააჩნია ძლიერი სურვილი ისრაელის ერთობის გზით მისი სიყვარულისა, მისი სიონიზმი ნაკლულია, უპერსპექტივო“.

„ერთხელ, მნიშვნელოვანი საქმის ჩატარების შემდეგ ბუხარაში, რომელიც მისი სიონისტური რუქის ფარგლებში შედიოდა, ვკითხეთ, დაიღალეთ ალ-ბათ. ასე ადვილად ხომ არ ხერხდება თავის არსებობისათვის გმირულად მებრძოლი ბუხარის ებრაელობაში სიონისტური მოსავლის მომკა?“ ამაზე რაბი ბააზოვმა მოკლედ გვიპასუხა: „დიახ, ჩვენი მუშაობა ასეთ პირობებში საბრძოლო ველზე წარმოებულ ბრძოლას ჰგავს, მაგრამ არ ვიღლები“. შემ-დეგ რ. ხაზინი ლაპარაკობს რაბი დავით ბააზოვის შესახებ და ასახელებს იმ ადგილებს, რომელიც მის სამუშაო რუქას მოიცავდა, ეს იყო: საქართველო, ბაქო (კასპიისპირეთი), ტაშკენტი, ბუხარა და სამარყანდი. „მას ძალას მატებდა ყოველთვის აღტკინებისა და შთაგონების უშრეტი წყარო, ჩაუქრობელი მოგიზგიზე ცეცხლი“. „მონაწილეობდა რა სიონისტურ კონგრესებზე, მან, რაბი ბააზოვმა, დ-რ ჰერცლის სიონისტური აზრი, მოძღვრება საქართვე-ლოში და ყველა იმ მხარეში შეიტანა, სადაც ეწეოდა სიონისტურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ხალხში აღვივებდა სიონისადმი სიყვარულს, ნერგავდა სიონისტური თვითშეგნების ფორმებს. თავისი ოჯახიც ასევე აღზარდა.“

აქვე ვიმოწმებ დავიდ მარგალითის წერილს ქალბატონ გოლდა მეირისად-მი.

„მედიცინის ისტორიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების საზოგადოება ისრაელში.“

შალომ-ჰალეიხემის ქ. 68, თელ-ავივი, 1976 წ. 8 იანვარი.

პატივცემულო ქალბატონო გოლდა მეირ!

მე წავიკითხე პრესაში გამოქვეყნებული თქვენი გამოსვლა აწ განსვენ-ებული რაბი დავით ბააზოვის შესახებ. ცნობამ ძვირფასი ადამიანისა და

მისი ვაჟიშვილის მწარე ხვედრის შესახებ ძალიან დამაღონა.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში მე მოვხვდი ბაქოში. ბოლშევიკურ რევოლუციამდე შმუელ იცკოვიჩთან ერთად (იგი დღეს ცხოვრობს ხაიფაში) ჩვენ სათავეში ვუდექით სიონისტურ მოძრაობას.

1917 წელს სრულიად რუსეთის ყრილობის (მიმდინარეობდა პეტროგრადში) შემდეგ ჩვენ მოვახდინეთ კავკასიის პირველი სიონისტური ყრილობის ორგანიზაცია, რომელიც შედგა ბაქოში.

ყველაზე მკვეთრი ფიგურა აღნიშნულ ყრილობაზე იყო რაბი დავიდ ბააზოვი. იგი ჩვენს წინადადებას დაეთანხმა, რათა გამხდარიყო აქტიური მონაწილე საორგანიზაციო კომიტეტისა ნებაყოფლობით საწყისებზე. არაჩვეულებრივი ენთუზიაზმითა და ენერგიით დაიწყო მან მოღვაწეობა, შემოიარა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ყველა დასახლება და თავისი ორატორული ტალანტითა და პირადი მომხიბვლელობით საქართველოს და ამიერკავკასიის ებრაელობის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

იგი ლაპარაკობდა მათთვის გასაგებ ენაზე და კარგად ესმოდა მათი სასოება. შედეგები ბევრად უკეთესი გამოდგა, ვიდრე მოველოდით. მთელი კავკასიის ებრაელობა ერთიან სიონისტურ-მესიანურ ლეგიონად იქცა.

კონფერენციამ ჩაიარა არაჩვეულებრივი წარმატებით. სიონისტური მოძრაობა ორგანიზებულ იქნა და მზად იყო ალიისათვის წმინდა ქვეყანაში, მაგრამ იფეთქა რევოლუციამ, რომელმაც ჩვენი გეგმები ჩაშალა.

ჩემი მოგონებების ნაწილი გამოქვეყნებულია „ჰეყავარის“ კრებულში. მე მოხარული ვიქნები, პატივცემულო ქალბატონო გოლდა მეირ, თუ გადასცემთ მის ქალიშვილებს დაუვიწყარი რაბი დავიდ ბააზოვის შესახებ, რათა მათ შეიტყონ, ვინ იყო მათი ძვირფასი მამა.

**დავიდ მარგალითი,**

„კროთის“ რედაქტორი

დ. მარგალითის ზემოხსენებული წერილის რუსული თარგმანი გამოქვეყნებულია კრებულში «Памяти Давида *) Баазова» 1983 წ.

შეიძლებოდა კიდევ ბევრი ხელნაწერისა და მოგონების გამოქვეყნება, მაგრამ ჟურნალის მოცულობა და მისი ფარგლები მეტს ვერ დაიტევდა.

ჟურნ. „დროშა“, № 101 (1999 წ.)

*) უნდა იყოს Памяти Файны Баазовой

# მამა ისეთი, როგორიც მე მახსოვს

## ანუ როგორ იბრძოდა დავით ბააზოვი ებრაული რელიგიის სიწმინდის შენარჩუნებისათვის

დავით ბააზოვის რელიგიური მსოფლმხედველობა მეტად ღრმა საკითხია. და მე სულაც არ ვარ კომპეტენტური, რათა გავაშიშვლო მთელი სიღრმით მისი მრწამსი. მე კი არა ბევრი სხვაც, ჩემზე მეტი ცოდნის პატრონნიც ვერ შეწვდებოდნენ მისი რელიგიური რწმენის არსს.

სამწუხაროდ, მისი ნათქვამი ან აზრი თავის დროზე არ ფიქსირებულა. ეს რომ დღეს ყოფილიყო, დღევანდელი ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით, შედეგად დღეს ჩვენ ხელთ გვექნებოდა მისი რელიგიური აზროვნების ფიქსირება. მთელი პუბლიკაცია, რომელიც მოცემულია კრებულში „დავიდ და გერცელ ბააზოვები", არსებითად ასახავს მის პოლიტიკურ ასპექტს — ე.ი. მის ბრძოლას ასიმილატორებთან და ფანატიკოსებთან პოლიტიკური სიონიზმის განმტკიცების ასპექტში. ყველაფერი, რაც ითქვა და დაიწერა, გადმოგვცემს მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას — კულტურულ-საგანმანათლებლო, პოლიტიკური სიონიზმის დაფუძნებისა  და იმ დროისათვის სხვა აქტუალურ სფეროში.

მე კი მსურს ამოვატივტივო მისი რელიგიური შეხედულებები. დავით ბააზოვი აქაც გამუდმებულ ბრძოლას ეწეოდა რელიგიური სიწმინდის განმტკიცებისათვის. სამწუხაროდ, ამ საკითხის გასაშუქებლად რამე ხელშესახები საბუთი არ გამაჩნია. მაგრამ ის, რისი მოწმეც ვიყავ და მომიხდა უნებლიეთ მოსმენა მისი გამონათქვამებისა, მსურს გავუზიარო მკითხველს.

ასე მაგალითად. დავით ბააზოვი ხშირად ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ჩვენს ადათ-წესებში ბევრი რამ არის დანერგილი ისეთი ჩვეები, რომლებიც ეწინააღმდეგება წმინდა თორის პრინციპებსო. ბევრი რამ არის უცხო, შემოტმასნილი სხვა რელიგიიდან, არაებრაელებიდანო. ავიღოთ, მაგალითად, <u>პურის კოცნა</u>. როდესაც ებრაელი ჭამის წინ კურთხევას წარმოთქვამს, რითაც ღმერთს მადლობას უხდის იმისათვის, რომ მან მისცა ის პური თუ საჭმელი, რომელიც მას წინ უდევს. ამის შემდეგ ხდება შემოტმასნილი, უცხო ელემენტის გამოყენება, რითაც ხდება თორის სიწმინდის დარღვევა: მლოცველი ხელს ადებს პურს და კოცნის. პურის კოცნა — ეს არის შემოსული წარმართული რელიგიიდან. ძველ ქანაანელებს ჰყავდათ მიწათმოქმედების ღმერთი,

ვაალი. პურის კოცნა მათში გამოხატავდა მადლობას ვაალისადმი. ძველს ქართველებში, როდესაც ჯერ კიდევ წარმართული რელიგია იყო მათში გაბატონებული, — მათაც ჰყავდათ მიწათმოქმედების ღმერთი — ჰარალე. წარმართი ქართველები მინდორში მუშაობის დროს საქმელს უდგამდნენ, კოცნიდნენ პურს და უმღერდნენ: „ჰარალე, ჰარალე"-ს. დღევანდლამდე შემორჩენილია ქართველების ხალხურ სიმღერებში მინამღერი „ჰარალე, ჰარალე", რომლის წარმოშობის ძირს, როგორც აღვნიშნე, ძალიან უძველეს დროში, წარმართობის პერიოდამდე მივყავართ. ამგვარად, ებრაელები, რომლებიც ჭამის დაწყების წინ წარმოთქმული ლოცვანის დროს პურს ხელს ადებენ და კოცნიან, ამით სჩადიან თორის საწინააღმდეგო საქციელს და არღვევენ ჩვენი რელიგიის სიწმინდესაო. —მე ამას მოგახსენებთ — მამას მიერ არაერთხელ თქმულს.

შელოცვანი, მკითხაობა, ყაბოდაზარა, ავგაროზი, ჯადოქრობა, „ქელეხი" და სხვა.

ბებიაჩვენი ციფორა — მამის დედა, წარმოშობით ზიზოვის გვარიდან, მეტად სათნო და ტკბილი მოხუცი იყო. იგი დაიბადა და გაიზარდა ცხინვალში. ძალიან ადრე ასაკის გაუთხოვებიათ ჩვენს ბაბუა მენახემზე. ცნობილია, რომ ქ. ცხინვალი მეტწილად ებრაელებით დასახლებული ქალაქი ყოფილა. მაგრამ განიცდის დიდ გავლენას მათ გარშემო მცხოვრებ ოსთა გარემოცვაში. მცხოვრებნი განიცდიდნენ მათი წეს-ჩვეულებების გავლენას, ხოლო ოსებში კიდევ დიდხანს იყო გამჯდარი წარმართული ჩვევები.

მე, ყველაზე უმცროსს და-ძმანში, უფროსი ძმა გერცელი მანებივრებდა და ხშირად მოჰქონდა ჩემთვის ლამაზი თოჯინები. როგორც ყველა პატარას, მეც მიყვარდა ჩემი თოჯინები. ვიხუტებდი მათ, მათთან ერთად ლოგინშიც ვწვებოდი. როდესაც ყველა წავიდ-წამოვიდოდა და მე მარტო ვრჩებოდი ჩემს თოჯინასთან ერთად, ამ დროს შემოვიდოდა ჩემთან ჩემი ბებია ციფორა და მეტად კატეგორიული ტონით მომმართავდა: „თუ გინდა, რომ მე შენთან შემოვიდე, ეგ თოჯინა გარეთ გაიტანე, ოთახში არ დაიტოვო." იგი იწყებდა კანკალს და შეშინებული თვალებზე ხელს იფარებდა. „რათა, ბებია, რატომ გავიტანო გარეთ?.. მომპარავენ!.." „არ ვიცი, როგორც გინდა, მაგრამ ღამე არ დავინახო იგი ოთახში." ჩემს კითხვაზე, თუ რატომ, იგი ასე მპასუხობდა: „იმისათვის, რომ ღამე ოთახში მას სული ჩაუდგება, იქცევა ყაბოდაზარად და ალაპარაკდება. და მე ძალიან მეშინია..." და მართლაც მე ვხედავდი მის შეშინებულ სახეს. არ ვიცოდი რა მექნა: გარეთ რომ გამეტანა, მომპარავდნენ. რატომღაც რაღაც მაკავებდა და მე არასდროს დამიჩივლია უფროსებთან ჩვენი ბებიის ასეთი მოთხოვნის გამო. მეც უნებურად გამქონდა გარეთ, რაღაცეებს ვაფარებდი და სულაც არ ჩანდა. არა თუ მე მჯეროდა ბებიის ნათქვამი, იმდენად საყვარელი იყო, რომ არ მინდოდა მეწყენინებინა მისთვის. მას ასეთი რწმენა ჰქონდა. თუმცა იგი დილიდან დაღამებამდე

„თეჰილიმს“ კითხულობდა და ეს მას სულაც ხელს არ უშლიდა ყოფილიყო ცრუმორწმუნე.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, —უთქვამთ ბრძენებს. დღეგრძელი ამყოფოს ჩვენი ხალხი, მაგრამ დღემდე მტკიცედ იცავენ გარდაცვალებულის სულის მოსახსენიებლად სუფრის გაწყობას, რომლის დროსაც უხვად არის გამოყენებული საქონლისა და ფრინველის ხორცისაგან ნამზადი კერძები. ქართველებში ამას ეძახიან ქელეხს, ხოლო რუსებში «поминки» . ქართველ ებრაელებში ქელეხს არ უწოდებენ, მაგრამ შინაარსობლივად არაფრით განსხვავდება, გარდა იმისა, რომ კერძები ებრაული წესით მზადდება. ხორცის კერძებით ნამზადი სუფრა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად რომ ებრაული წესი იყოს, მაშინ ამ წესს დაიცავდნენ სხვა ქვეყნების ებრაელებიც. მაგრამ ისინი აღნიშნავენ, რომ ეს არ არის ებრაული წესიო. სულის მოსახსენიებელი ხორცით ნამზადი სუფრა მე მხოლოდ ჩვენს თემში მინახავს და შეიძლება ამას ადგილი ჰქონდეს აღმოსავლეთის ქვეყნების ებრაელებს შორისაც.

საერთოდ, რომელიმე საქონლის შეწვა კოცონზე გამოყენებული იყო არა მარტო პრიმიტიულ ხალხებს შორის (წინასაკაცობრიო საზოგადოების ისტორიიდან), სადაც ტოტემიზმი ბატონობდა. ტოტემი — ეს იყო გარდაცვალებულის სულის გაღმერთება, რომლის თაყვანის საცემად კლავდნენ საქონელს, ყველას თანდასწრებით სწვავდნენ კოცონზე, ჭამდნენ და სვამდნენ თავისივე ხელით ნამზად შარბათს. აღნიშნული ჩვეულება სახეცვლილებით გადადის შემდგომ პერიოდში ქრისტიანულ საზოგადოებაშიც, როგორც „ქელეხი“.

მამა ამ ჩვევებს ებრძოდა. ებრაული წესით შეიძლება მხოლოდ მდარე კერძებით ჭირისუფლისა და დამსწრეთა დაკმაყოფილება. დაკრძალვის შემდეგ ჭირისუფლისათვის დაშვებულია თევზი, ლობიო, კვერცხი, ლეკეხი, ხილი. თუ შესწრებია მამა უხვ მაგიდას, მამას მოუთხოვია ჭიქა ჩაი, კვერცხი, მწვანილი და მეტი არაფერი. და ის იტყოდა დარაშს. ისიც გამიგონია, რომ მამის ასეთი მოქცევით ბევრი დამსწრენი უკმაყოფილონი ყოფილან.

დავით ბააზოვის ღაღადისი იკარგებოდა, როგორც დაძახილი ხმა უდაბნოში და წარმართებისაგან და ქრისტიანებისაგან გადმოღებულ ამ წესს ვერ ერეოდა.

მკითხაობას, შელოცვებსა და ჯადოქრობას მამა გადმონაშთად მიიჩნევდა წარმართობიდან, რამეთუ ერთღმერთიანობის ცნებას ეწინააღმდეგებაო. არ არსებობს სხვა სული და არც რამე არსებობს გარდა მხოლოდ ერთი ღმერთისაო. სამწუხაროდ, დღესაც ღრმად არის გამჯდარი ლათინური ამერიკის ხალხებში წარმართობა — მკითხაობა, შელოცვები, ჯადოქრობა, კუდიანობა, ავგაროზი და ისეთ საზოგადოებაშიც, სადაც საყოფაცხოვრებო კულტურა მაღალ დონეზე დგას. მილიონერებს, რომლებიც ცხოვრობენ ფუფუნებაში,

გააჩნიათ საკუთარი გემი, თვითმფრინავი და სიმდიდრის სხვა ატრიბუტები. ხშირად მინახავს ფილმებში ცრუმორწმუნეობის ამსახველი კადრები, სადაც გამოსახულია, რომ ჯადოქრობისა თუ შელოცვების მეშვეობით „ბატონობენ" ადამიანთა გონებაზე, ეს მაშინ, როდესაც პარალელურად მათ ქვეყნებში მრავლად არის ქრისტიანული ეკლესიები და ჰყავთ უამრავი მღვდლები და მისიონერები.

მე ვერ ვიტყოდი, რომ ჩვენს თემში დღეს ჯადოქრობა, შელოცვები, მკითხაობა ისე ღრმად იყოს გამჯდარი, როგორც ადგილი აქვს ლათინური ამერიკის ხალხებში, მაგრამ აქა-იქ გამონაკლისის სახით კიდევ ვხვდებით ისეთებს, ვისაც სჯერა ცრუმორწმუნეობის – მკითხაობის, შელოცვების, კუდიანობის.

ცრუმორწმუნეობის აღწერას რომ მივყვე, შორს წამიყვანს, მაგრამ ჯადოს გამოყენების ერთ მაგალითს მაინც მოვიყვან.

ამ შემთხვევას ადგილი ჰქონდა არა რომელიმე მიყრუებულ სოფელში, არამედ ქ. თბილისის ძველ უბანში – სომეხი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ ავლაბარში, რომელთა შორისაც ებრაელებიც ცხოვრობდნენ. ერთ კარგად მაცხოვრებელ ებრელის ოჯახში დიასახლისს ეჩვენებოდა, რომ იგი თავის მეუღლეს საკმარისად არ უყვარს. მრჩეველთა ჩასმენით მან ქმარს სასთუმლის ქვეშ ამოუდო შავტარიანი დანა და ქათმის უში თავი. ამ ამბავმა ჩემამდეც მოაღწია იმის გამო, რომ ქალებმა ერთმანეთს გადასცეს და ბოლოს მეც მიამბეს. ის კი არ ვიცი, იმ ჯადომ გამოიღო შედეგი თუ არა, ერთი კი ნათელია, რომ მსგავსი კუდიანობა-შელოცვები მიტმასნებული იყო იმ არაებრაელი ხალხებისაგან, რომელთა შორისაც ჩვენს თემს უხდებოდა ცხოვრება.

საერთოდ, წითელ-დიდბიბილოიანი და შავი მამალი გულთმისნად მიაჩნდათ არა მარტო კავკასიის ხალხებს, არამედ ლათინური ამერიკის ქვეყნებშიც. იქ, საერთოდ, მამალს „შეეძლო მოეხდინა სასწაულიც". მაგალითად, პატრონის თხოვნით ამა თუ იმ ვაჟს შეეძლო შეეყვარებინა ის გოგო, რომელიც მათ სურდათ. „არისტოკრატთა" წრეში გავრცელებულია მრგვალი მაგიდის გარშემო მსხდომი საზოგადოების მიერ ყავის გადაბრუნებული ფინჯნის საშუალებით სულის გამოძახება.

ეს საკითხი მოითხოვს კიდევ მეტ დახვეწას და შესწავლას.

მამის შეხედულებებს და მის ბრძოლას ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ არ შეიძლება რომ არ მოეხდინათ გავლენა. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნე, ჯერ კიდევ ბევრი ცრურწმენა რჩება ადამიანთა გონებაში.

**დასკვნა:** დავით ბააზოვის მრწამსი – ეროვნულერთიანობის პრინციპი გამორიცხავდა ცრურწმენას – ჯადოქრობას, მკითხაობას, შელოცვებს, სხვადასხვა სახის არაებრაული წესების შესრულებას.

# დავიდ და გერცელ ბააზოვებს

თუ ბნელში მჯდომმა თვალი მოჰკრა სადღაც სინათლეს,
უნდა მივიდეს, თუნდაც გზას შავ-ბნელს კვალიც არ აჩნდეს,
უნდა დასძლიოს, გზას ეკლიანს არ შეუშინდეს,
რომ ბნელში მჯდომი სამუდამოდ ბნელში არ დარჩეს.

მიაბიჯებდა, ნარ-ეკალში ჰკაფავდა ბილიკს,
სჯეროდა, სწამდა, იძახოდა ვით გულთმისანი.
ერს უმღეროდა, ლოცულობდა და უგალობდა,
სიონიზმს სთესდა და ეს იყო მისი მიზანი.

თუ კომუნიზმი დაისახა რუსეთმა მიზნად,
საკვირველია, სიონიზმის რადა აქვთ რიდი,
სიონიზმიც ხომ მიზანია ჩვენი ერისა
და ებრაელთა ყოველი გზა ამ ხიდზე მიდის.

მაშ, რას ერჩოდნენ? —იფიქრებდა მოხუცი გულში
და ჩაუვლიდა თვალწინ, ალბათ, გერცელის ჩრდილი.
ის ხომ ძმობას და მეგობრობას სთესავდა ხალხში,
იმ უკუნეთში ჰქონდა მხოლოდ იმედი დილის.

ეს იყო მაშინ კომუნისტთა დახშულ ბუნაგში,
როცა სიმართლე ბოროტებამ ფერფლად აქცია.
როცა სინათლე გახვეული იყო ბურანში
და მძვინვარებდა კომუნისტთა ინკვიზიცია.

იმ დროს გერცელი, გამსჭვალული მომავლის რწმენით
წარბშეუხრელად ჯალათის წინ იდგა კედელთან.
სწორედ სიცოცხლე, უკვდავება დაიწყო მაშინ,
როდესაც მისი გულისცემა შეწყდა, შეჩერდა.

გავარდა მეხი და ქუხილმა შესძრა მიდამო,
წვიმამ და თქეშმა გადატბორა მშრალი ქუჩები,
გაოცებული შეჰყურებდა ქართველი იცკას,
სდუმდა გელათი, ფეთხაინი, სდუმდნენ მუნჯებიც.

დედამიწაზე სიკეთესთან პარალელურად
წარმოშობილა ბოროტებაც დაუნდობელი.
დიდება იმათ, ვინც უთვალავ საუკუნეებს
უწოდა ცუდი, ცარიელი წუთისოფელი.

ო, დავიდ, დავიდ, შენმა ნერგმა მოისხა კვირტი,
ფესვი გაიდგა და კვირტები იქცა მტევნებად.
შენს გაჭრილ არხში ბობოქარი მდინარე გადის,
ამ აღთქმულ მიწას დაჰხარის და თავსა ევლება.

მე ამ ქუჩაზე სიამაყით როცა ჩავივლი,
დანისლულ გულში მზე ნათელი ამობრწყინდება...
და უკვდავება ბაადოვთა შთამომავალის
წარსულ ფურცელზე თვითნებურად ამობრწყინდება.

მაგრამ ღრუბელი თუ ჩამოწვა, დაჰფარავს მზესაც,
შავი ქუფრივით გამოჩნდება ელვარე ზეცაც.
ადამიანო, შენს ღირსებას თუ არ დაჰკარგავ,
თვითონ სტიქიაც შენს წინაშე მოიხრის ქედსაც.

გაზ. „იმედი“,

№ 168, 1. 3. 76

**თამარ კეზერაშვილი**

# უკვდავებაში გადასული სიცოცხლე

**რეპორტაჟი თელ-ავივის მუზეუმის რეკანტის დარბაზიდან**

იქნებ არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ დავიდ ბააზოვის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო თელ-ავივის მუზეუმში გაიმართა. მუზეუმი ხომ სულიერ ფასეულობათა საგანძურია! საკმარისია მიუახლოვდეთ მის ზღურბლს, რომ უნებლიეთ დაგეუფლებათ მორიდებული პატივისცემის სასიამოვნო თრთოლვა. სწორედ რომ ასეთი ადგილი ეკადრებოდა დიდი დავიდის უკვდავ სახელს.

ვისაც მკერდში ადამიანის გული უცემს, ვინც ერთხელ მაინც აუღელვებია ტკბილ-მწარე ფიქრს მშობელი ხალხის ბედ-იღბალზე, ვინც იცის ფასი მოძმეთა სამსახურში დაფერფლილი სიცოცხლისა, –არ შეიძლება მოწიწებულ თაყვანისცემას არ განიცდიდეს ამ წამებული ერისშვილის გახსენებაზე.

ალბათ ამიტომ იყო, რომ დიდი უამინდობის მიუხედავად რეკანტის დარბაზში მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი.

პირველი, ვინც მუზეუმის კარი შემოაღო (ეს იყო საღამოს დაწყებამდე ორი საათით ადრე), გახლდათ ხაიფის ოლქის ცურ-შალომის ქართველ ებრაელთა თემის ხაზანი იოსებ ყვითელაშვილი. ბატონი იოსები წარმოშობით თურმე ახალციხიდანაა. მისი მშობლები და ბიძა-დეიდები ახლოს იცნობდნენ დავიდ ბააზოვს.

–ახალციხეში ლეგენდასავით დადიოდა ამბავი ებრაელი რაბის ბრძნულსა და თავდადებულ საქმიანობაზე, იმ გავლენიანობაზე, რომელიც მას ადგილობრივ ხელისუფლებაზე ჰქონდა თავისი გამჭრიახობის წყალობით, –გვიყვება ი. ყვითელაშვილი, –რამდენი ებრაელის სიცოცხლე გადაურჩენია, რამდენჯერ უხსნია ისინი ფათერაკებისაგან. და არა მარტო ებრაელები, აწყურის ქართველობაც დიდად იყო დავალებული მისგან. ახლა მე ნათესავის ოცდაათი მქონდა, მაგრამ როგორ შემეძლო არ წამოვსულიყავი ამ საღამოზე.

ბ-ნ იოსებს სხვებიც მოჰყვნენ ფეხდაფეხ. ჯერ კანტიკუნტად იწყეს მსვლელობა, მერე მთელი დელეგაციები მოვიდნენ ხაიფიდან, აქოდან, იერუშალა-

იმიდან, აშდოდიდან, ბეერ-შევიდან...

საღამოზე მონაწილეობის მისაღებად მოვიდნენ აგრეთვე რუსული ალიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მცხოვრებნი.

ზოგიერთი ადგილებიდან ჩამოსულმა აქტივისტებმა საღამოს ორგანიზატორებს აცნობეს, რომ წამოსასვლელად გამზადებულ ხალხს სპეციალური ავტობუსები ელოდებოდა, მაგრამ უგზოობის გამო ვერ იკისრეს მგზავრების წამოყვანა. აქტივისტებმა თან ჩამოიტანეს შემთხვევით ჩამოუსვლელთა დანაბარები: „გთხოვთ ჩათვალოთ, რომ თქვენთან ერთად ვართ დავიდ ბააზოვის ხსოვნის ამ საღამოს."

...საღამოს 7 საათია. მანამდე ახმაურებულ დარბაზში სიჩუმე ისადგურებს. სცენის სიღრმეში მოჩანს დავიდ ბააზოვის დიდი პორტრეტი, რომლის ორივე მხარეს ისრაელის სახელმწიფო დროშებია ჩამოშვებული. პორტრეტის ქვემოთ მოთავსებულია მხატვარ მორდეხაი ჯანაშვილის მიერ შესრულებული წარწერა „1883-1947". ამ ორი თარიღის ფონზე მკვეთრად გამოირჩევა ციფრი „30". ისედაც ლამაზ სცენას კიდევ უფრო მომხიბლავს ხდის სამკუთხოვან სტილში გაფორმებული ცოცხალი ყვავილების თაიგულები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ დოქტ. შ. წიწუაშვილი, საბჭოთა კავშირიდან გამოსულთა გაერთიანების გენერალური მდივანი ნ. ოლშანსკი, მწერალი ა. მამისთვალოვი, რაბი მ. ხანზინი, საქართველოდან გამოსულ ოლიმ-აკადემიმთა კავშირის თავმჯდომარე ხ. ხუბელაშვილი, ისრაელის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში, პროფესორი არიე არელი, საბჭოთა კავშირიდან გამოსულთა გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე მ. კრიხელი, დავიდ ბააზოვის ქალიშვილები — ფანია და პოლინა ბააზოვები, ისრაელის რადიოს ქართულ გადაცემათა დიქტორი მ. ბათ-მოშე, სიონის ტყვე გ. მეგრელიშვილი, აღმოსავლეთმცოდნე გ. წიწუაშვილი, მხატვარი მ. ჯანაშვილი.

—აზქარა! (მოხსენიება), —გაისმის სცენიდან.

დამსწრენი ფეხზე დგებიან. უცებ სინათლე ქრება და დარბაზში გაისმის სულის შემძვრელი „ელ მალე რახამიმ", რომელსაც ასრულებს კანტორი ზისკინი.

საღამოს შესავალი სიტყვით ხსნის პროფესორი არიე არელი. იგი ლაპარაკობს იმ დიდსა და ფასდაუდებელ ღვაწლზე, რომელიც დავიდ ბააზოვს მიუძღვის სიონისტურ მოძრაობაში საერთოდ და კერძოდ საქართველოში სიონიზმის აღორძინებასა და განვითარებაში და განაგრძობს:

—საქართველოს ებრაელობას გააჩნია თავისი საკუთარი სახე, საკუთარი ხასიათი, საკუთარი მეობა, რაც მას განასხვავებს დიასპორის სხვა ებრაელებისაგან. სწორედ ამ ხასიათში იხსნება თვით დავიდ ბააზოვის ხასიათი. კავკასიის ზვიადმა მთებმა, თავნება ჩანჩქერებმა, თავისებურმა ბუნებამ გამოაწრთო ეს ხალხი და ასწავლა მათ სიძნელეებისადმი ქედმოუხრელობა, შეუპოვრობა, დაუმორჩილებლობა. ისინი არ გათქვეფილან ადგილობრივ

ხალხში და სათუთად შემოინახეს იმედი აღთქმულ მიწაზე დაბრუნებისა.

ორატორი იხსენებს ერთ საინტერესო დეტალს:

—60-იანი წლების დასაწყისში სოხუმში სტუმრად ვიყავი ქართველი ებრაელების ქორწილზე. ახალგაზრდა წყვილს უამრავი საჩუქარი მიართვეს — ოქროსა და ვერცხლის ნივთები და სხვა ძვირფასეულობა. ბოლოს ვიღაცამ ნეფე-პატარძალს მიუძღვნა ისრაელიდან ჩამოტანილი პატარა, იაფფასიანი სუვენირი. მთელ იმ სიმდიდრეს, რომელიც მანამდე მიართვეს, არავინ აქცევდა ყურადღებას, პატარა სუვენირი კი უცებ ყველაფერზე ძვირფასი შეიქნა. აქედან ცხადია, თუ რაოდენ ძლიერად გაუდგია ამ ხალხში ფესვები ნანატრ სამშობლოზე ფიქრს.

—დავიდ ბააზოვმა შეძლო სიონიზმის დროშის აფრიალება საქართველოში იმიტომ, რომ იქ ხალხი იყო ასეთი ძლიერი. მიუხედავად იმისა, რომ იგი მოწყვეტილი იყო ებრაულ ცენტრებს, ბოლომდე დარჩა ებრაელობის ერთგული.

ამიტომ იყო, რომ პოლიტიკური სიონიზმის პირველივე წლებში სიონიზმის ცენტრი საქართველოშიც შეიქმნა.

—ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ დავუმტკიცებთ ჩვენს არც თუ ისე შორეულ წინაპრებს, რომ სიონიზმი თეორია კი არა — პრაქტიკაა, ხოლო ებრაული სოლიდარობა ოცნება კი არ არის — სინამდვილეა.

—სწორედ ამ სულისკვეთებით ვხსნი დავიდ ბააზოვის ხსოვნის საღამოს და იმედი მაქვს, ვიქნებით ღირსნი იმ ადამიანისა, რომელიც პირველი დაადგა ებრაული ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის ძნელსა და მძიმე გზას.

...დავიდ ბააზოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოდის აღმოსავლეთმცოდნე გერშონ წიწუაშვილი.*)

დარბაზი სულგანაბული უსმენს ისრაელის რადიოს ქართულ გადაცემათა დიქტორს, ხელოვნებათმცოდნე მირიამ ბათ-მოშეს, რომელიც შთამაგონებლად კითხულობს დავიდ ბააზოვის ღრმად პატრიოტულსა და მაღალკვალიფიციურად დაწერილ სტატიას „ებრაელის ფიქრები".

საღამოზე მოგონებით გამოდის რაბი დავიდ ბააზოვის თანამებრძოლი, სიონის ტყვეთა ორგანიზაციის წარმომადგენელი რაბი მ. ხანზინი:

—სიონისტთა მე-3 მსოფლიო კონგრესზე, იმ მომენტში, როცა თეოდორ ჰერცლი ლაპარაკობდა ებრაელთა დევნა-შევიწროებაზე და ამბობდა, რომ მსოფლიოში არ არის კუთხე, სადაც ანტისემიტიზმი არ იყოს, წამოდგა ახალგაზრდა კაცი და თქვა: „ეს მართალია, მაგრამ არის ქვეყანა, სადაც ანტისემიტიზმი არ არის, სიონიზმი კი — არის. იმიტომ რომ ამ ქვეყანაში ებრაელები ისე არიან აღზრდილნი, რომ მათ ყოველთვის თან სდევთ სევდა თავიანთ საყვარელ სამშობლოზე — ერეც-ისრაელზე. ეს ქვეყანაა საქართვე-

---

* გ. წიწუაშვილის მოხსენება იხილეთ მე-5 გვერდზე. (გაზეთის შენიშვნა)

ლო.“ ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ეს სიტყვები წარმოთქვა, იყო სიონიზმის შესანიშნავი ბელადი დავიდ ბააზოვი. მე, როგორც სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთმა მონაწილემ, ვიცოდი ამის შესახებ. და აი, ერთხელ, 1929 წლის 2 მაისს, მე მივედი მარკ ეფიმის ძე ბრონშტეინთან (რომელიც შემდეგში არალეგალურად იქნა არჩეული სიონისტური მოძრაობის პრეზიდენტად), რათა სიონისტთა ყრილობაზე წასასვლელად მოვმზადებულიყავით. მარკ ეფიმის ძე მეუბნება: „ახლა ჩვენთან მოვა დიდი სტუმარი.“ ის კი არ თქვა, ის სტუმარი ვინ იქნებოდა. გადის რამდენიმე წუთი. კარები იღება და შემოდის ვიღაც უცხო კაცი, მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი აღნაგობის. აწ განსვენებული მარკ ეფიმის ძე ღიმილით მეუბნება: „აი, ეს არის ერთ-ერთი ჩვენი ხელმძღვანელი სიონიზმისა საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში და საქართველოს ებრაელთა ბელადი. აი, ეს არის რაბი დავიდ ბააზოვი.“ მას შემდეგ ჩვენ ერთად ვიბრძოდით სიონიზმის მთავარ ბიუროში, იატაკქვეშეთში. დავიდ ბააზოვი ჩემთვის არა მარტო თანამებრძოლი იყო, არამედ მასწავლებელიც. რამდენი რამ შემეძლო გამეხსენებინა, მაგრამ როგორ შემიძლია გადმოგცეთ ყველაფერი, რაც ჩემს გულშია დაგროვილი ამ მგზნებარე ბელადზე, —ცრემლმორეული განაგრძობს მ. ხანზინი, —ახლა, როცა თქვენ გიყურებთ ამ დარბაზში შეკრებილთ, მე მიხარია და მივესალმები, რომ თქვენ შეგიძლიათ ასეთი ორგანიზება იმისათვის, რომ იცოდეთ ჭეშმარიტი სიონიზმი, ბააზოვისეული სიონიზმი. დავიდ ბააზოვი ცოცხლობს ჩვენს შორის. ან როგორ შეიძლება ამ დაუღალავი, სულით უდრეკი ადამიანის დავიწყება. იგი ყველგან ასწრებდა თავისი ხალხისთვის სასრგებლო საქმის კეთებას. ქვეყანას უვლიდა. რომ ვკითხავდით, არ იღლებიო? —გვიპასუხებდა, ისეთი შვილები მყავს, სულ ამ საქმეზე ზრუნავენო. დიახ, ამ ოჯახმა მთლიანად შესწირა თავი სიონიზმის იდეებს.

ტრიბუნაზეა სიონის ტყვე გერშონ მეგრელიშვილი. მოგონებათა ექსტაზში შეჭრილი იგი დიდხანს, მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით მოუთხრობს დამსწრეთ დავიდ ბააზოვზე და მასთან შეხვედრებზე.

—პირველად დავიდს ამ 60 წლის წინათ შევხვდი, —ამბობს იგი, მე მაშინ 13 წლისა ვიყავი. ჩვენს პატარა დაბა ლაილაშში ერთ პარასკევს ჩამოვიდა ახალგაზრდა, წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი. ხალხში ხმა დაირხა, ონიდან რაბი ჩამოვიდაო. დადგა შაბათი. დავიდი სალოცავის თებაზე მიიპატიჟეს. არ შემიძლია გადმოგცეთ, როგორი ორატორული ნიჭით, როგორი დამაჯერებლობით ლაპარაკობდა სიონისტურ იდეებზე. მან იცოდა რა ეთქვა და როგორ ეთქვა ხალხისთვის. „თქვენ ხომ აქ ყველანი მონები ხართ, თქვენ აქ უცხონი ხართ. თქვენი ადგილი აქ არ არის. თქვენ გაქვთ სამშობლო. ამ სამშობლოს არავინ მოგცემთ ნებით. იგი თქვენ უნდა მოიპოვოთ. მეორე დილით სალოცავთან დიდი რიგი იდგა და ლაილაშის ებრაელთა წინამძღოლთან ილია მოძღვრიშვილთან ეწერებოდნენ სიონისტთა ორგანიზაციაში.

გ. მეგრელიშვილი იხსენებს დ. ბააზოვთან შეხვედრის სხვადასხვა ეპიზოდებს და განაგრძობს:

–უკანასკნელად დავიდი სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ვნახე. მაშინ ბაქოდან ერთი დღით ჩავედი თბილისში. დილის 11 საათზე დავიდთან ვიყავი. იგი ლოგინში დამხვდა. მაგრამ არ უთქვამს თუ ავად იყო. კარგად გამოიყურებოდა. რაღაცას წერდა. დავაკვირდი, რაზე წერდა და ეს იყო მაშინდელი პალესტინის რუკა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სწორედ მაშინ მიიღო გადაწყვეტილება ისრაელის სახელმწიფოს შექმნაზე და დავიდი რუკას იმიტომ დასცქეროდა. მაშინ მე მან მითხრა: –აი, ხედავ, გვექნება სახელმწიფო, მაგრამ ლუდს ვერ ვღებულობთ, რამლეს ვერ ვღებულობთ,

**სურათზე:**
რაბი დავიდ ბააზოვის
უფროსული
მეგობარი
ილია ფოლღრიშვილი
(მარცხნივ)
და მისი მეუღლე თამარი
(ზის მარცხნივ)
მასპინძლობენ
ბააზოვების ოჯახის
წევრებს: ვერცელს,
რახელს და
ჰიტარა ჰოლინას.

ნაღვური, 30-იანი წლები

ბეერ-შევა ჩვენი არ არის. იერუშალაიმი საერთოდ მოწყვეტილი იქნება ებრაული სახელმწიფოსგან. მაგრამ მთავარია, რომ სახელმწიფო გვაქვს.

...დაბოლოს სიტყვას ამბობს დავიდის ქალიშვილი ფანია ბააზოვი:

—საქართველოდან ამოსულო და აქ, ისრაელში დამკვიდრებულო დებო და ძმებო! პიროვნება, რომლის ხსოვნასაც მიეძღვნა ეს საღამო, თქვენი წიაღიდანაა გამოსული. იგი თქვენ გეკუთვნით, იგი მთელ ერს ეკუთვნის. მაგრამ ვინაიდან მე მისი შვილი ვარ, ალბათ ამ საღამოს მევალება, რომ გადაგიხადოთ უღრმესი მადლობა მისი ხსოვნის დაფასებისათვის და ასეთ მძიმე ამინდში აქ მობრძანებისათვის.

—ძვირფასო მეგობრებო, როცა ხალხი მომწიფებულია იმისათვის, რომ ყოველივე თავის საზოგადოებრივს, ყოველივე ღირსშესანიშნავს, რაც მის გარშემო ტრიალებდა, თავი მოუყაროს; როდესაც ეს ხალხი თავისი ერის მოღვაწე შვილებს გულში ჩაიკრავს და მათთვის საკუთარ მეხსიერებაში გამონახავს სათანადო ადგილს, მაშინ იტყვიან, რომ ამ ხალხს შეუძლია თანამედროვეობას თვალი გაუსწოროს, მხარი აუბას. ადამიანმა, რომლის პატივსაცემადაც ახლა ჩვენ აქ ვიმყოფებით, გაიარა ძნელი და ეკლიანი გზა. იგი წავიდა ამ ქვეყნიდან მძიმედ წამებული. მან თავის მაღალ და ნათელ იდეალებს შესწირა არა მარტო საკუთარი სიცოცხლე... მან ამ იდეალებს თავისი სამი ვაჟიშვილიც შესწირა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი მოკვდა. რამდენი დევნა და დამცირება გამოუვლია, მაგრამ თავისი იდეა-ლებისათვის არ უღალატნია. აქ მე მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან: ერთხელ, მატარებელში მგზავრობისას, სწორედ იმ დროს, როცა მამა მკლავზე თეფილინდადებული ლოცულობდა, მას შემთხვევით მოუსმენია საუბარი კუპეში მჯდომი ქართველი ებრაელებისა, რომლებიც მას პირადად არ იცნობდნენ: „გაიგე, რაბი დავიდ ბააზოვს რუსი ცოლი მოუყვანია, გაქრისტიანებულა და ხალხის გაქრისტიანებაც უნდაო.“ როცა ლოცვა დაუმთავრებია, მობრუნებულა და უკითხავს: „ვინ გითხრათ ასეთი ამბები იმ კაცის შესახებო?“ —„ჩვენმა რაბებმა გვითხრესო.“ —„გადაეცით იმ თქვენს რაბებს, რომ თუმცა მათ ყოლამაზეზე დამჩაგრეს, შეიძლება მძლიეს კიდეც, მაგრამ ყოლამაბა ჩემი იქნებაო, იქ მე გავიმარჯვებო.“

—„ვინ ხართ თქვენო?“ —„მე ვარ სწორედ ის „გაქრისტიანებული“ დავიდ ბააზოვიო.“ მისი წინასწარმეტყველური სიტყვები გამართლდა. ყოლამაბა ნიშნავს უკვდავებას, მარადისობას. ეს ნიშნავს, რომ მისი იდეები ებრაელი ერის შეკავშირებისა და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისა — უკვდა-ვია. მას ყოველთვის სწამდა მომავლისა და მისი უკვდავება ის იქნება, რომ თქვენს შორის, აქ, ისრაელის პირობებში წამოიზრდებიან მასზე უკეთესი ხალხის ხელმძღვანელნი.

◆

საღამოს ოფიციალური ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

დავიდ ბააზოვის ხსოვნის საღამო მოეწყო ებრაული სააგენტოს, აბსორბციის სამინისტროს, საქართველოდან გამოსულ ოლიმ-აკადემაიმთა კავშირის, საბჭოთა კავშირიდან გამოსულთა გაერთიანებისა და სიონის ტყვეთა ორგანიზაციის ინიციატივით.

გაზ. „ნერგი", № 1; 30. 12. 77

თემურ იოსებაშვილი

# ერის მოამაგენი

ძნელია დაწერო საგაზეთო წერილში ისეთ ადამიანებზე, როგორებიც რაბი დავიდ ბააზოვი და მისი ვაჟი გერცელ ბააზოვი იყვნენ. მისი ფურცლები ვერ დაიტევენ იმ სასახელო საქმეთა ჩამოთვლას, რასაც მამა-შვილი თავისი ერის უკეთესი მომავლისა და ბედნიერებისათვის აკეთებდა. მათთვის ცხოვრების მთავარი, ჭეშმარიტი მიზანი მხოლოდ ბრძოლა იყო — ბრძოლა სიონისათვის და ბრძოლა ისრაელის ერისათვის.

მამა-შვილი საერთო მიზნისაკენ სხვადასხვა გზით მიდიოდნენ. მამა, რაბი დავიდ ბააზოვი ცნობილი საზოგადო და სიონისტური მოღვაწე იყო, რომელიც ჯერ კიდევ სიონისტური მოძრაობის ალიონზე გამოვიდა ასპარეზზე. დავიდ ბააზოვს სურდა თორისა და სიონისტური იდეების შერწყმით გაერღვია ორთოდოქსალთა მჭიდრო რკალი, რათა ეჩვენებინა ხალხისათვის ერთადერთი ნამდვილი გზა სიონისაკენ.

დღეს ადვილია ამ თემაზე საუბარი, მაგრამ წარმოიდგინეთ მეოცე საუკუნის დასაწყისი, როცა სიბნელით მოცულ საქართველოს ებრაელობას იერუშალაიმში დაბრუნების ერთადერთი გზა მაშიახის მობრძანება ეგონა. ენერგიის რა დაძაბვა

მან იცის: არ შეიძლება იყო ებრაელი და არ იყო მორწმუნე, რადგანაც ჩვენი რელიგია და თორა ის ორი განუყოფელი ფაქტორია, რომლებმაც საუკუნეების ტანჯვა, ქარცეცხლი გამოიარეს და შემოინახეს მთელი მსოფლიოს ხალხებში გაფანტული ებრაელობა. ის თორის მონაა, მაგრამ იცის: აუცილებელია პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგას და საქართველოს ებრაელობა განთავისუფლდეს დოგმებიდან.

ყოველი დასაწყისი ძნელია. ორმაგი ძნელი იყო დავიდ ბააზოვის მოღვაწეობა. ის ორი დილემის წინაშე დგას: ერთი მხრივ, საჭიროა ბრძოლა; მეორე მხრივ, ეშინია ანტაგონიზმისა საქართველოს ებრაელებში, რადგანაც მოსალოდნელია ორთოდოქსებისა და სიონისტების შეჯახება. დავიდ ბააზოვი გრძნობს მის წინაშე წამოჭრილ პასუხისმგებლობის სიძნელეს, მაგრამ მან იცის ერთი რამ: „ან დღეს, ან არასოდეს". და ის იწყებს ძნელ ბრძოლას.

დავიდ ბააზოვი იწყებს გამოსვლას საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ლოცვებში. ჯერ-ჯერობით ის მარტოა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა თაობა გაჰყვება მას და საქართველოს ებრაელობაც ჩადგება სიონისტური მოძრაობის ავანგარდში.

ამ დროს ცნობილი ქართველი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე ცინცაძე წერდა: „რაბინი დავიდ ბააზოვი ერთადერთი ქართველი ებრაელია, რომელიც მთელი თავისი არსებით ემსახურება მრავალტანჯული და დევნილი ხალხის უფლებათა აღდგენას."

გამართლდა დავიდ ბააზოვის ოცნება. ახალგაზრდა თაობა გაჰყვა მას. ბააზოვის თანამოაზრე გახდნენ ახალგაზრდა სიონისტები: ციციაშვილი, თავდიდიშვილი, ელიაშვილი და ბევრი სხვა. ნათან ელიაშვილთან ერთად დავიდ ბააზოვი 1925 წელს ერეც-ისრაელში გამოემგზავრა, რათა მოემზადებინა საფუძველი პირველ ოლეთა მისაღებად საქართველოდან და აი, დგება მისი ცხოვრების ყველაზე ძვირფასი წუთები: პირველი 50 ოჯახი მოემგზავრება ერეც-ისრაელში. მისმა ოცნებამ ფრთები შეისხა, საქართველოს ებრაელობამ გაარღვია თავისი „ფანატიკური გეტოს" კედლები და პალესტინისკენ დაიძრა.

ჩემს წინ წარმომესახება დავიდ ბააზოვის სახე, რომელიც თვალცრემლიანი აცილებს 25 საუკუნის წინათ წამოსულთა შთამომავლობას, რომლებმაც უნდა ააშენონ ახალი „ბეით ჰამიკდაში" და რომელთა შვილები აღარ დატოვებენ შამა-პაპათა სამშობლოს. ეს სურათი იმდენად მკაფიოდა მაქვს წარმოსახული, რომ არ წარმომიდგენია რაბი ბააზოვი ამ წუთებში სხვანაირად მოაზროვნე ან სხვა განცდების პატრონი.

ბააზოვი ცნობილი იყო არა მარტო საქართველოს ებრაელების, არამედ ადგიობრივი ქართველების ფართო წრეებშიც. ის დიდად აფასებდა ქართველ ხალხს, რომელმაც 25 საუკუნის მანძილზე შეინახა ებრაელი ხალხი და ძმობა

გაუწია. ბააზოვმაც მადლით გადაუხადა ქართველ ხალხს თავის ერზე გაწეული ამაგი. ცნობილია ის ისტორია, თუ როგორ გადაარჩინა რაბი ბააზოვმა ახალციხის მაზრის ქართველობა თურქების შემოტევისაგან. ამის შემდეგ ასობით ადამიანი მიდიოდა ბააზოვის სახლისკენ, რათა მადლობა გადაეხადათ ებრაელი რაბინისთვის.

ასეთი იყო დავიდ ბააზოვი — თავისი ერისა და ხალხის თავდადებული შვილი.

•••

ცხოვრების სულ სხვა გზა აირჩია მისმა ვაჟმა გერცელმა. თუ მამა სიტყვით ემსახურებოდა თავის ერს, გერცელმა კალმით ამჯობინა. ძნელია მოიძებნოს საქართველოს ებრაელის ოჯახი, სადაც გერცელის ნაწარმოებები არ ჰქონდეთ. 19 წლის ჭაბუკმა მსოფლიო და ებრაული ლიტერატურის მარგალიტი „გალობათა-გალობა“ თარგმნა ძველ თარგმნა ძველებრაულიდან ქართულად.

9. ტახტრევანი გაიკეთა სოლომონ მეფემ
ლიბანის ხეებისაგან:
10. სვეტები გაუკეთა ვერცხლისა,
მკლავსაყრდნობი ოქროსი,
საჯდომი - მეწამული,
შიგ კი მოქარგულია სიყვარული
იერუსალიმის ასულთაგან.

გერცელ ბააზოვის გმირები ღარიბი ებრაელები არიან, რომელთა დუხჭირ ცხოვრებაში სიხარული და ბედნიერება იშვიათი სტუმარია. კითხულობ გერცელ ბააზოვის ნაწარმოებს და გტკივა გული შენს ხალხზე, რომელიც ცხოვრების უკუღმართობამ გარიყა და რომლისთვისაც აღარავითარი ალტერნატივა არ არსებობს უკეთესი მომავლისაკენ. საქართველოს ებრაელობამ შეიყვარა გერცელის ნაწარმოებთა გმირები, რადგან მათში ჩვენს თავს ვხედავდით ყოველდღიური განცდებით და მოულოდნელობებით.

სამწუხაროდ, საქართველოს ებრაელობისთვის უცნობი იყო მწერლის შემოქმედების მეორე მხარე, კერძოდ, ლექსები. სწორედ მის ლექსებში ჩანს გერცელი, როგორც თავისი ერის მოამაგე, რომელიც იძულებითაა თავის სამშობლოს მოწყვეტილი:

კრულვა მარადი და კედლებში ძებნა გამჩენის,
ამაყ ისრაელს აღარ ძალუძს სევდა დაჰკეტოს,
დიდი ხანია წაუკითხეს მას განაჩენი
და სამუდამოდ მიაკრეს ის ხავსიან გეტოს.

მისი განაჩენიც ხომ ისეთი იყო. მოყვარული თავისი ერისა იძულებული

იყო ეცხოვრა თავის სამშობლოსგან მოწყვეტით. მას ერთად-ერთი გზა ჰქონდა თავისი კალმით ებრძოლა საქართველოს ებრაელობის უკეთესი მომავლისაკენ.

გერცელ ბააზოვი არ შემოიფარგლა მხოლოდ მწერლის ვიწრო ჩარჩოებით. ის იყო დიდი საზოგადოებრივი მოღვაწე, რომელმაც განათლების „კერა დაანთო" საქართველოს ებრაელებში. მის მიერ შექმნილმა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფებმა განათლების სიო შეიტანა საქართველოს ებრაელთა ფართო მასებში. ამ ჯგუფებში ქართული წერა-კითხვის შესწავლის პარალელურად ინტენსიური მეცადინეობები მიმდინარეობდა ივრითული ენის შესასწავლად.

გერცელ ბააზოვის თაოსნობით 102-ე სკოლის ბაზაზე შეიქმნა დრამატურგიის წრე, რომელიც მთლიანად ებრაელი შემსრულებლებით იყო დაკომპლექტებული. თვით გერცელი კი, სულ ახალგაზრდა, 30 წლის ასაკში, საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატურგიის სექციას ხელმძღვანელობს.

აღსანიშნავია გერცელ ბააზოვის საგაზეთო სტატიები, რომლებიც ქართველ მკითხველებს ფართოდ აცნობს ებრაელი ერის კულტურას და ყოფა-ცხოვრებას. მისი თაოსნობით გამოდის პირველი ებრაული ქართული გაზეთი „მაკავეელი", რომლის თემატიკაც უმთავრესად საქართველოს ებრაელობის საჭირბოროტო საკითხებზეა აგებული.

ასეთი იყო ცხოვრება და მოღვაწეობა მამა-შვილისა, რომლებმაც ხალხის ბედნიერებას, ადმიანისთვის ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიმცოცხლე შესწირეს.

სამწუხაროა, რომ რაბი დავიდ ბააზოვი და გერცელ ბააზოვი ვერ მოესწრნენ იმ დღეს, როცა მათმა იდეებმა ფრთები შეისხეს და სინამდვილედ იქცნენ. მაგრამ ისინი არ მომკვდარან, რადგანაც ხალხისთვის თავდადებული ყოველთვის ცოცხლობს ხალხის გულში.

გაზ. „იმედი", № 168, 1. 3. 76

რუთ ელიეზერი

# ებრაელი ხალხი თავის გმირებს უნდა იცნობდეს

## გოლდა მეირი საქართველოს ებრაელთა სიონისტური მოძრაობის ცნობილ მოღვაწეთა – ბააზოვების ხსოვნის უკვდავყოფის საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარეა

არსებობს სახელები, რომელთაც დრო ვერ შლის, რომელთაც სანუკვარ ოცნებასავით ატარებს გულით ყოველი ადამიანი; სახელები, რომლებიც წინ უსწრებენ მოვლენებს, ცვლიან ადამიანთა ბედს.

ქართველ ებრაელობას სამართლიანად შეუძლია იამაყოს ცნობილი სიონისტების – ბააზოვების ოჯახით, რომელმაც თავისი ცხოვრება მიუძღვნა ქართველ ებრაელთა ამოსვლას სიონში. მათ მოამზადეს ის ნიადაგი, რომელმაც ახლა მოიტანა უხვი მოსავალი.

ამ სახელებს – რაბინ დავიდ ბააზოვისა, მისი ვაჟიშვილებისა გერცელისა და მეირისას მოწიწებით ინახავს არა მარტო ქართველი ებრაელობა. ისინი ჩაიწერა გალუთის ებრაელთა ისტორიაში, ისრაელის სახელმწიფოს ისტორიაში.

ორი წლის წინ ისრაელში ამოვიდა დავიდ ბააზოვის ორი ქალიშვილი. ფანი ბააზოვმა ქართულ ენაზე შეადგინა და მოამზადა კრებული „დავიდ და გერცელ ბააზოვები", რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა. კრებული გამოსცა იერუშალაიმის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობის დოკუმენტაციის ცენტრმა და თელ-ავივის უნივერსიტეტის ებრაელთა ისტორიის კვლევითმა საზოგადოებამ.

ამასთან დაკავშირებით „ბეით-სოკოლოვში" გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მოაწყო ბააზოვების ხსოვნის უკვდავყოფის საზოგადოებრივმა კომიტეტმა. საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარეა გოლდა მეირი.

კონფერენცია გახსნა ახსნა-განმარტებით სამუშაოთა კომიტეტის თავმჯდომარემ იეჰუდა ილანმა.

შემდეგ ისაუბრა ქ-ნმა გოლდა მეირმა, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო თუ როგორ მტკიცედ არიან ქართველი ებრაელები დაკავშირებულნი სიონთან. ქართველი ებრაელები არასდროს არ ივიწყებენ იერუშალაიმს. მათში ჯერ კიდევ ცოცხლობს ებრაული ტრადიციები. მათ გალუთის სხვა ებრაელებზე ნაკლებად განიცადეს ასიმილაცია.

გოლდა მეირმა გაიხსენა „19-ის წერილი"*), რომელიც გახდა მომასწავებელი დიდი ალიისა საბჭოთა კავშირიდან. ეს წერილი დაიწერა 1969 წელს. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების ჯგუფმა პირველად განაცხადა საჯაროდ: „გაუშვი ჩემი ხალხი!" ქ-ნ-მა მეირმა მოუთხრო ჟურნალისტებს რა გმირული და ტრაგიკული ბედი ეწია ბააზოვების ოჯახს, რომლის ბევრი წარმომადგენელი ვეღარ მოესწრო დიდ ალიას, რასაც უძღვნეს თავიანთი სიცოცხლე.

წიგნის შემდგენელმა, დავიდ ბააზოვის ქალიშვილმა ფანიმ სტალინის რეაქციის საშინელ წლებში შემოგვინახა მამამისის სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ძმის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ყველაფერი ეს მან ჩამოიტანა ისრაელში და გამოსცა წიგნი.

ფანი ბააზოვმა აღნიშნა, რომ მამამისისა და ძმების ხსოვნის უკვდავყოფა მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველი ებრაელებისათვის, არამედ მთელი ებრაელი ხალხისათვის.

საქართველოში ებრაელები ბევრად უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე რუსეთში და ქართველ ებრაელთა საუკუნეობრივი ლტოლვა სიონისაკენ რომ აქტიურად აემოქმედებინა, ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ ძლიერ პიროვნებას, მტკიცე სიონისტს. ასეთი იყო დავიდ ბააზოვი. მისი სტატიები შედეგია არა მარტო გალუთის ებრაელობის ტრაგიკულ ბედზე ფიქრისა; ისინი წარმოადგენენ გალუთიდან თავის დახსნის სურვილს.

შემთხვევითი არ იყო, რომ მან დიდი ბრძოლის შემდეგ, 1925 წლის ოქტომბერში მიაღწია, რომ ხელისუფლებამ ქართველ ებრაელთა ჯგუფს ემიგრაციის ნება დართო.

თვითონ გაემგზავრა პალესტინაში და იქ მიიღო ასობით სერტიფიკატი ებრაელთა ჩასასვლელად. საქართველოში დაბრუნებულმა გამოისტუმრა პირველი ჯგუფი — 50 ოჯახი. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ აკრძალა ებრაელთა ემიგრაცია ერეც-ისრაელში.

ფართოდაა ცნობილი ბააზოვისა და მისი ვაჟიშვილების განმანათლებლური მოღვაწეობა. ტრაგიკულია ბააზოვების — მამისა და მისი ვაჟიშვილების ბედი. მაგრამ მათ მუდამ იცოდნენ, რომ ხალხის 2000 წლიანი ოცნება აღსრულდება და — არა მარტო რუსეთის, არა მარტო საქართველოს ებრაელები — დაუბრუნდებიან სიონს.

*) უნდა იყოს „ 18-ის წერილი "

წიგნში მოთავსებულია დავიდ ბააზოვის სტატიები, მისი ვაჟიშვილის გერცელის ლექსები, თანამებრძოლთა მოგონებანი. და ძალიან საწყენი იქნება თუ ეს წიგნი მარტო ქართულად იქნება. თავის გმირებს უნდა იცნობდეს მთელი ებრაელი ხალხი.

საბჭოთა კავშირიდან 100.000 ამოსულს შორის 28.000 საქართველოს ებრაელია. ძირითადად ესენი არიან ისინი, ვისი ოცნებაც აღსრულდა. ქართველი ებრაელობა — ესენი არიან ცნობილი მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები, ესენი არიან ბააზოვთა ოჯახის წევრები და მათი თანამებრძოლები, ესენი არიან მუშები და ხელოსნები, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ისრაელის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

სენსაციური ამბები, აშდოდის გაფიცვის მსგავსნი, დავიწყებას ეძლევიან, ხოლო რჩება დიადი საქმეები, ყოველდღიური შრომა-გარჯა, არჩეული გზის, თავისი ქვეყნის რწმენა; რწმენა იმისა, რომ ჩვენი ადგილი სწორედ აქაა.

ბააზოვთა ოჯახის ხსოვნის უკვდავყოფის საზოგადოებრივმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მარტის თვისთვის დაგეგმილია რიგი ღონისძიებებისა. 2 მარტს „ჰეიხალ ჰათარბუთში" გაიმართება ისრაელის საზოგადოებრიობის შეკრება, მიძღვნილი რაბინ დავიდ ბააზოვისა და მისი ვაჟიშვილების ხსოვნისადმი. ორი დღეს შემდეგ მწერალთა კავშირში მოეწყობა ფანი ბააზოვის მიერ მომზადებული წიგნის გამოცემისადმი მიძღნილი საღამო. ასეთი შეკრებები მოეწყობა იერუშალაიმში, ბეერ-შევაში, აშდოდში. ისრაელის სკოლებში ჩატარდება გაკვეთილები საქართველოს ებრაელობის შესახებ. სოხნუთმა 12.000 ათასი ლირა გამოჰყო ქართველ ებრაელთა ისტორიის კვლევითი სამუშაოებისათვის.

პრეს-კონფერენციაზე დამსწრე ჟურნალისტებმა გამოთქვეს სურვილი მალე გამოიცეს კრებული ივრითზეც.

გაზ. «Наша страна» ,

№ 1423, 5. 2. 76

დ. შალელაშვილი
ა. მამისთვალოვი

# ბააზოვების ხსოვნის უკვდავსაყოფად

## გოლდა მეირის პრეს-კონფერენცია

რაბი დავიდ ბააზოვის ოცნებას და ბრძოლას დაგვირგვინება ეღირსა მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ – ექვსდღიანი ომის შემდეგ დაიწყო დიდი ალია საქართველოდან; ხოლო ცოტა მოგვიანებით უკრაინიდან, რუსეთიდან და შუა აზიიდან. ახლა კი, 1976 წელს დადგა დრო სამაგიერო პატივი მიეზღოს რაბი დავიდ ბააზოვს, ადამიანს, რომელმაც მაცოცხლებელი სული შთაბერა სიონიზმს საქართველოში, ბააზოვთა ოჯახს, რომელმაც ამდენი ტანჯვა-წამება განიცადა სიონიზმთან დაკავშირებით.

ისრაელის საზოგადოებრიობის წრეებში ადრევე მომწიფდა აზრი გაეცნოთ საქართველოს ებრაელობა, მისი სიონიზმი და საქართველოში სიონიზმის მამამთავრის რაბი დავიდ ბააზოვის და მისი ოჯახის წვლილი ამ საქმეში ისრაელის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, გაფანტულობის ქვეყნების ებრაელობისათვის. შეიქმნა ავტორიტეტული კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ისრაელის მთავრობის ყოფილი მეთაური ქ-ნი გოლდა მეირი.

კომისია კარგა ხანია შეუდგა საქმეს. 4 თებერვალს კი ისრაელის ჟურნალისტთა სახლში მოეწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც პრესის წარმომადგენლებს გაეცნო უკვე გაწეული მუშაობა და მომავალი გეგმები.

პრეს-კონფერენციის გახსნის შემდეგ პირველი სიტყვა წარმოთქვა ქ-ნმა გ. მეირმა.

–ჩვენ აქ მოგიწვიეთ, რათა ისრაელის პრესას და მისი საშუალებით მთელ საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენი ერის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილი – ქართველი ებრაელობა, მათი სიონიზმი, სიონისტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი რაბი დავიდ ბააზოვი და მისი ოჯახი, –მიმართავს გ. მეირი ჟურნალისტებს.

–თქვენ ალბათ გახსოვთ, –განაგრძობს იგი, –18 ოჯახის წერილი. მე პატივი მქონდა მთავრობისა და ქნესეთისათვის გამეცნო ეს წერილი. ამ

წერილში სრული გამოხატულება ჰპოვა სიონისტურმა სულისკვეთებამ. „ურიგო არ იქნებოდა ზოგჯერ შელეოდით ზოგ მასალას, რომელსაც არაფერი არ მოაქვს მკითხველისათვის და მიგეცათ ადგილები ამ წერილიდან“, –მიმართავს იგი ჟურნალისტებს.

ჩვენ დღესაც არ ვიცით, ვინ დაწერა ეს წერილი. იგი უფრო კოლექტიური აზრის გამოხატულებაა, მაგრამ როდესაც ეცნობი მას, როდესაც ეცნობი ქართველ ებრაელობას, იგებ, რომ ეს შემთხვევით არ მოსულა, რომ ამას ჰქონდა მტკიცე საფუძვლები, რომ გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში ცხოვრობდა ერთი ადამიანი, რომელმაც თავისი შვილი თორის ღრმად დასაუფლებლად გაგზავნა ლიტვაში. ყმაწვილმა იქ შეისწავლა თორა, ისწავლა ხაზნობა, მაგრამ, რაც მთავარია, იგრძნო, რომ იგი და მისი ხალხი – ქართველი ებრაელობა არის ერთი ერის – ებრაელი ერის ორგანული ნაწილი. ეს ყმაწვილი იყო დავიდ ბააზოვი, მისი ასეთი აღზრდის შედეგი კი ის, რომ ჰერცლის მოძღვრების გამოჩენის შემდეგ რაბი დავიდ ბააზოვი სათავეში ჩაუდგა მისი იდეების გავრცელებას. მთელი სიცოცხლეც ამ საქმეს შეალია.

–დავიდ ბააზოვს სწამდა, რომ არ კმარა მარტო გიყვარდეს შენი ერი, რომ საჭიროა პრაქტიკულადაც იბრძოდე შენი ერისათვის. იგი აყალიბებს სხვადასხვა წრეებს. თავის თანამებრძოლებთან და თავისი ოჯახის წევრებთან ერთად აქტიურად მუშაობს და ქმნის სკოლას ივრითზე, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა შეკრებებსა და ყრილობებზე.

–იგი სულითაც გამოხატავს თავის იდეებს – თავის ვაჟს „გერცელს“ არქმევს.

–სამწუხაროა, –განაგრძობს გ. მეირი, –რომ ვაჟები ვერ მოესწრნენ ამ დროს და სასიხარულოა, რომ რაბი დავიდ ბააზოვის ქალიშვილები მოესწრნენ ამ დროს – დიდ ალიას საბჭოთა კავშირიდან და ახლა ჩვენთან არიან.

გოლდა მეირი შემდეგ შეეხო კომისიის შექმნის მიზნებს, მისი მუშაობის ხასიათს, რაბი დავიდ ბააზოვისა და გერცელ ბააზოვის ნაწარმოებთა კრებულს. მან აღნიშნა ამ წიგნის ივრითზე და რუსულად თარგმნის დიდი მნიშვნელობა.

♦

შემდეგ ჟურნალისტებს ქართველი ებრაელობის, ბააზოვების მომავალი იუბილეს შესახებ მოუთხრეს კომისიის სხვა წევრებმა.

კერძოდ, ბ-ნმა ნეცერმა ისაუბრა ქართველ ებრაელთა შესახებ საქართველოში. მან მოიყვანა მაგალითი იმისა, თუ როგორ მოინდომეს ხელისუფლებმა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს დაეკეტათ ქართველ ებრაელთა ერთ-ერთი სალოცავი და როგორ გადაკეტეს ქუჩა ქართველმა ებრაელებმა. მან გააცნო დამსწრეებს ქართველ ებრაელთა ცხოვრება საქართველოში, რომ იქ შეძლებულად ცხოვრობდნენ, ნაკლებად გრძნობდნენ ანტისემიტზმს,

ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში.

♦

შემდეგ სიტყვა მიეცა ქ-ნ ფანია ბააზოვს.

ქალბატონო გოლდა!

ბატონებო და ქალბატონებო!

პირველ რიგში მინდა ბოდიში მოვიხადო და პატიება გთხოვოთ, რომ არ შემიძლია ივრითზე გელაპარაკოთ. არ იფიქროთ, ვითომ იმ ოჯახისათვის, საიდანაც მე გამოვედი, ივრითი შორეული რამ იყო. ისრაელშიც უკვე ორი წელია ვიმყოფები, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ძირითადად ჩვენი ოჯახის სიონისტური წარსულის ამსახველ მასალებზე ვმუშაობდი.

გამოვიდა წიგნი, რომელიც ახლა თქვენს წინაშეა. მზადდება ღონისძიება დავიდ და გერცელ ბააზოვების ხსოვნის აღსანიშნავად. ამ ღონისძიებას სათავეში უდგას ქალბატონი გოლდა მეირი. ამდენად მას მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოდან ამოსულთათვის, არამედ ისრაელის მთელი საზოგადოებისათვის.

თქვენ არ იცით ქართული და ამიტომ ამ წიგნს ვერ წაიკითხავთ. მაგრამ როცა მას ივრითზე გაიცნობთ, დარწმუნდებით, რომ ეს არა მარტო ჩვენი ოჯახის, არამედ საერთო საქმეა.

მე შემიძლია მოგითხროთ, რომ საქართველოდან ალიიისათვის ბრძოლა არა 60-იან, არამედ ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო. მამაჩემი დავიდ ბააზოვი ცნობილ საზოგადო მოღვაწე ნათან ელიაშვილთან ერთად 1925 წელს ამოვიდა ერეც-ისრაელში და ღონისძიებებს ატარებდა ალიიისათვის სერტიფიკატების შესაგროვებლად.

მამამ მოახერხა პირველი პარტიის — ათობით ოჯახის გამოგზავნა. ესენი იყვნენ სამი თაობის წარმომადგენლები. მაშინ იშვიათი იყო ეს მოვლენა და ამდენად ისრაელის ფართო საზოგადოებრიობამ უნდა გაიცნოს. აქ მინდა გაგაცნოთ ერთი დეტალი: ბენიამინაში დღესაც ცხოვრობს იმ დროს ამოსული იეხიელ დავარაშვილი, რომელიც მამაჩემისა და ნათან ელიაშვილის პირადი მეგობარი ყოფილა. 1939 წელს, როცა მამა გაასამართლეს სიონისტური მოღვაწეობისათვის, ბრალდების პირველი მუხლი იყო, რო მან 1925 წელს მოატყუა საქართველოს მთავრობა (პირადად სერგო ორჯონიკიძე) და მოაწყო საქართველოდან ებრაელების ემიგრაცია. მაშინ მამას დახვრეტა მიუსაჯეს (რაც შემდეგ ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს).

მე შემეძლო გამეცნო თქვენთვის ჩემი ძმის შესანიშნავი ლექსები. მან 19 წლისამ თარგმნა „გალობათა გალობა“ („შირ ჰაშირიმ“), რომელმაც საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გერცელის დაღუპვის შემდეგ მისი მასალების მხოლოდ ნაწილი გადავარჩინე.

ამ წიგნის ივრითზე თარგმნის შემდეგ მკითხველი გაიგებს, თუ რა კეთდ-

ებოდა საქართველოში ეროვნული ცხოვრების ხაზით იმ დროს, როცა რუსეთში თითქმის მთელმა ებრაელობამ პირი იბრუნა „რევოლუციისაკენ". მარტო აქ მოცემული მასალების სათაურებიც მეტყველებენ ამაზე.

ამ წიგნშივე მოთავსებულია ისრაელში მცხოვრები ძველი სიონისტების — რუსი ებრაელების მოგონებანი. ისინი ადასტურებენ, რომ დავიდ ბააზოვი მუშაობდა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთისა და შუა აზიის მასშტაბით. ამიტომ, დაე, ნურავის ეგონება, რომ ალია საქართველოდან შემთხვევითი ამბავი იყო.

ზოგიერთი სურათიც კი ამ წიგნიდან, თუნდაც სიონისტთა მსოფლიო კონგრესზე, სადაც მამა ჟაბოტინსკისთან და სხვებთან ერთად არის გადაღებული, ბევრ რამეზე მეტყველებს.

დასასრულს ქ-ნი ბააზოვა მადლობას უხდის ყველას, ვინც დაეხმარა ამ წიგნის გამოცემაში, რომელსაც ვიწრო მნიშვნელობა როდი აქვს. დაე, ყველამ იცოდეს, რომ საქართველოს ებრაელობა ჩვენი ერის ნაწილია. ბოლოსდაბოლოს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ვიყოთ ერთი ერი ერთი სხეულით.

♦

ინფორმაციის ცენტრის დირექტორმა იეჰუდა ეილანმა დამსწრეთ გააცნო ბააზოვების ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებანი, რომლებიც მარტში ჩატარდება, კერძოდ: ლექცია-საუბრები და გაკვეთილები სკოლებში, ზეიმი „ჰეიხალ ჰათარბუთში", საღამო მწერალთა კავშირში და სხვ.

აბსორბციის სამინისტროს საზოგადოებრივი აბსორბციის უფროსმა იოსებ მეირმა ხაზი გაუსვა დასახულ ღონისძიებათა მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ღონისძიებანი ბააზოვების სახელის უკვდავსაყოფად არის ნაწილი იმ გეგმისა, რომ ქართველი ებრაელობა უკეთ გაიცნოს საზოგადოებამ, რომელმაც სათანადოდ არ იცის არც მისი წარსული, არც აწმყო და იძულებულია დასჯერდეს სატელევიზიო სენსაციებს, ან ნაგლეჯ ცნობებს მათ შესახებ. ამ ფართო გეგმის განხორციელება დაიწყება მარტში და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თვით ბააზოვების სახელი უკვდავყოფილი იქნება მით, რომ მათი სახელი მიეკუთვნება ქუჩებსა და ბაღებს, ბიბლიოთეკებს და ა. შ. საქართველოდან ამოსულთა დასახლებებში და სხვა ადგილებზე.

♦

დასასრულს კომისიის წევრებმა უპასუხეს ჟურნალისტების დასმულ შეკითხვებს. პრეს-კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდათ ინფორმაციის ცენტრის მიერ გამოშვებული ბროშურა „საქართველოს ებრაელობა" (ივრითზე) და საიუბილეო კომისიის მიერ მომზადებული მასალები დავიდ ბააზოვისა და მწერალ გერცელ ბააზოვის შესახებ.

გაზ. „იმედი", № 158,

6. 2. 76

გაზ. „იმედი“

# დავიდ და გერცელ ბააზოვების ხსოვნის საღამო

ადამიანები იბადებიან, ცხოვრობენ და კვდებიან. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც იბადებიან, ცოცხლობენ და სიკვდილის შემდეგაც არ კვდებიან. ასეთი ადამიანები ცოცხლობენ თავიანთ მადლიერ თანამემამულეთა და სხვა თაყვანისმცემელთა გულებში.

რაბინი დავიდ ბააზოვი და მისი უფროსი ვაჟი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გერცელ ბააზოვი სწორედ ასეთ ადამიანთა პლეადას ეკუთვნიან. მათი ფიზიკური არსებობა დიდი ხანია შეწყვიტა მსახვრელმა ხელმა, მაგრამ დიდმა საქმემ, რომელსაც მამა-შვილი ემსახურებოდა, ყოველნაირ ქარიშხალს გაუძლო და გამოაბრწყინა მათი ნათელი სახე. უნდა ითქვას, რომ გერცელ ბააზოვს, როგორც ნიჭიერ სახალხო მწერალს, საბჭოთა საქართველოშიც აღიარებენ და დიდ პატივს სცემენ. ალბათ ბევრს ახსოვს მისი დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ჭეშმარიტად საზეიმო საღამოები ონში, ქუთაისში, თბილისში...

ახლა კი ისტორიული სამშობლო აღნიშნავს ამაგდარ მოღვაწეთა ღვაწლს.

2 მარტს თელ-ავივში, „ჰეიხალ ჰათარბუთის“ დიდებულ და მართლაც დიდ დარბაზში ჩატარდა საქართველოში სიონიზმის მამამთავრის რაბინ დავიდ ბააზოვისა და მწერალ გერცელ ბააზოვის ხსოვნის საღამო. ამ საღამოს (და საერთოდ ბააზოვების ხსოვნის აღსანიშნავი ღონისძიებების) ორგანიზატორია გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ისრაელის მთავრობის ყოფილი მეთაური ქ-ნი გოლდა მეირი.

ერთი შტრიხი: რაბი დავიდიც და მწერალი გერცელიც მთელი თავიანთი მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად აზრს ხალხის ერთიანობაში ჭვრეტდნენ. და იმ დღეს, მათი ხსოვნის საღამოს სწორედ ამ ტენდენციამ იჩინა თავი: საქართველოდან ამოსულ ებრაელებს არასოდეს არ ჰქონიათ ასეთი თავშეყრა. ათასობით კაცი ჩამოვიდა ქვეყნის ყველა კუთხიდან. თავიანთი სათაყვანებელი ადამიანების ხსოვნის პატივისცემის სიამაყესთან ერთად ისინი ხარობდნენ, რომ „მთელ ისრაელს“ ხედავდნენ. დიახ, ძნელად იქნება ისრაელში ისეთი კუთხე, საიდანაც არ მოსულიყვნენ აქ ქართველი ებრაელები.

•

საზეიმო საღამოს
პრეზიდიუმი ჰეიხალ
ჰათარბუთში.
მარცხნიდან:
იოსეფ ალმოგი,
გოლდა მეირი,
პოლინა ბააზოვი,
შლომო როზენი,
ფანია ბააზოვი

•

„ჰეიხალ ჰათარბუთის“ წინა მოედანზე, ფოიეში თუ დარბაზში საზეიმო განწყობილება სუფევდა. იერუშალაიმიდან, ხაიფიდან, ბეერ-შევიდან, აშდოდიდან და სხვა დასახლებული პუნქტებიდან სპეციალური ავტობუსებით მოსული ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ, საუბრობდნენ, კამათობდნენ. იქვე ყიდულობდნენ ახლახან გამოცემულ დავიდ და გერცელ ბააზოვების კრებულს, ქართულ გაზეთ „იმედის“ ახალ ნომერს, რომელშიც გამოქვეყნებულია ბააზოვების ხსოვნის დღეებისადმი მიძღვნილი მასალები.

საღამოს 7 საათია. იხსნება ფარდა. ცოცხალი ყვავილებით მორთული სცენის შუაში მაუდგადაფარებულ მაგიდას უსხდებიან ქ-ნი გოლდა მეირი, სოხნუთის გამგეობის თავმჯდომარე იოსეფ ალმოგი, აბსორბციის მინისტრი შლომო როზენი, ქ-ნები ფანია და პოლინა ბააზოვები. სცენის ერთ მხარეს მოჩანს დავიდ ბააზოვის პორტრეტი, მეორე მხარეს გერცელ ბააზოვისა.

ხალხმრავალი დარბაზი მქუხარე ოვაციას მართავს.

სიტყვა ეძლევა აბსორბციის მინისტრს შლომო როზენს...

...შემდეგ სიტყვას ამბობს მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციისა და ებრაული სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარე იოსეფ ალმოგი...

...სიტყვა ეძლევა დავიდ ბააზოვის უფროს ქალიშვილს ფანიას. თავის ამაღელვებელ, მგზნებარე სიტყვაში ქალბატონმა ფანია ბააზოვმა მადლობა გადაუხადა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ გოლდა მეირს, ებრაული სააგენტოს თავმჯდომარეს ბატონ იოსეფ ალმოგის და აბსორბციის მინისტრს შლომო როზენს. შემდეგ ქალბატონმა ფანია ბააზოვმა ილაპარაკა საქართველოს ებრაელობის ისტორიული ბედის თავისებურებებზე.

„I და II ბეით-ჰამიკდაშის დანგრევის შემდეგ ებრაელობის ნაწილმა კავკასიის მთებს მიაშურა, სადაც მან 2600 წელი დაჰყო. შორიდან მათ ყურებამდეც აღწევდა ებრაელი ერის უბედურებისა და ტრაგედიის ექო. საქართველოს ებრაელობა ამას მხოლოდ ლოცვებითა და მარხვებით ეხმაურებოდა და თხოვდა ღმერთს ბოლო მოეღო ერის ტანჯვისათვის.“ შემდეგ ქალბატონმა ფანია ბააზოვმა აღნიშნა, რომ მაშიახის მოლოდინში გადიოდა საუკუნეები, რომლის მანძილზე მშვენიერ, ლამაზ საქართველოში იშვიათი სულიერი თვისებების მქონე ხალხის გვერდით, სადაც მეფეები პოეტები იყვნენ, პოეტები კი მეომრები, ცხოვრობდა ებრაელობა და იზიარებდა ქართველი ხალხის ჭირ-ვარამს, რომელსაც მუსულმანთა გარემოცვაში დამოუკიდებლობისათვის განუწყვეტელი ომების წარმოება უხდებოდა; „ცხოვრობდა ეროვნული და რელიგიური დევნის გარეშე“, რაც იშვიათი მოვლენა იყო მსოფლიოში. მაგრამ, სოციალური ტანჯვის უღელი, აღნიშნავს ორატორი, –ისევე აწვა კისერზე ებრაელებს, როგორც ქართველებს, და შესაძლოა, უფრო მეტადაც.

„მე19 საკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ებრაელობა თავის ბუნებრივ გეტოზე იყო მიჯაჭვული. იგი ჩაიკეტა თავის თავში და მაშიახის მოლოდინში აგრძელებდა ლოცვას. მე-20 საუკუნის დასაწყისში, –აგრძელებს ქალბატონი ფანია ბააზოვი, –საქართველოს ებრაელობას ვილნოში სწავლის კურსის დამთავრების შემდეგ მოევლინა დავიდ ბააზოვი, რომელმაც ღრმად იცოდა ებრაელი ერის ისტორია, კულტურა, ფილოსოფია.“ დავიდი 1903 წელს ბაზელის სიონისტურ კონფერენციაზე შეხვდა ჰერცელს, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია მთელს მის ცხოვრებაზე. „მთიანი ონიდან იწყო დავიდ ბააზოვმა ბრძოლა ფანატიზმის, სიბნელის და სიდუხჭირის წინააღმდეგ.“ ფანატიკოსმა რაბინებმა, –აღნიშნავს ქალბატონი ფანია, –იგი ებრაელი ხალხის მტრად, ურწმუნოდ გამოაცხადეს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. უკვე ათიან წლებში არენაზე გამოვიდა ახალგაზრდა ინტელიგენციის პლეადა, რომელიც მხარში ამოუდგა დავიდს მის ძნელ, დაძაბულ ბრძოლაში. „ესენი იყვნენ რაბი დავიდ აჯიაშვილი, ნათან ელიაშვილი, ბენიამინ კაკიტელაშვილი და სხვები. მოგვიანებით ამ პლეადას შეუერთდა დავიდის უფროსი ვაჟი გერცელი, რომელსაც მამამ დიდი ჰერცელის პატივსაცემად დაარქვა ეს სახელი.“

დავიდი ფართო სიონისტურ მოღვაწეობას ეწევა მთელ კავკასიაში. ხშირად ჩადის ბაქოში, დერბენდში, გროზნოში, კავშირს ამყარებს ევროპის, რუსეთის, შუა აზიის ებრაელობასთან, მონაწილეობს რუსეთის და საერთაშორისო სიონისტურ კონგრესებზე.

„ოციან წლებში საქართველოში ძლიერად იფეთქა ეროვნულმა თვითშეგნებამ“, სიონისტური ორგანიზაციების ქსელი თითქმის ყველა ებრაულ დასახლებაში იქმნება, გამოდის ებრაული პერიოდიკაც. დავიდ ბააზოვმა მთავ-

რობისაგან მიაღწია ისრაელში ემიგრაციის უფლების მიღებას. ამ მიზნით დავიდი და ნათან ელიაშვილი ერეც-ისრაელში ჩამოდიან, იქიდან ასობით სერტიფიკატი ჩამოაქვთ და 1925 წელს 50 ოჯახს ისტუმრებენ ისტორიულ სამშობლოში. ამ ჯგუფს გამოჰყვა მგზნებარე პატრიოტი ნათან ელიაშვილიც, რომელიც აქ მთლად ახალგაზრდა დაიღუპა. „ამის შემდეგ, –ამბობს ქალბატონი ფანია, –მთავრობამ გადაკეტა გზა. ათასობით საქართველოს ებრაელს იმედი გაუცრუვდა. ეს იყო ყველაზე ტრაგიკული დღეები ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში. ვინ იცის, რომ მოგვესწრო, იქნებ ასე უკუღმართად არ დატრიალებულიყო ჩვენი ოჯახის ბედი.

ამ დღიდან დავიდ ბააზოვი და საქართველოს სხვა სიონისტები ღრმა იატაკქვეშეთის პირობებში აგრძელებენ მუშაობას.

მისმა შვილმა გერცელ ბააზოვმა ღრმა კვალი დატოვა საქართველოს ებრაელობის ახალგაზრდობაზე. „მის შესახებ კიდევ ბევრი ითქმევა და ბევრი დაიწერება. მან ქართულ ლიტერატურაში შეიტანა საქართველოს ებრაელობის თემა. „იგი იწვოდა თავისი ხალხის ტანჯვით, აღმერთებდა მას, ამაყობდა ებრაელობით“, ამიტომ უყვარდა გერცელი არა მარტო ებრაელობას, არამედ ქართველობასაც.

და აი, ამ დიდ ოჯახს ტერორის ქარმა გადაუქროლა. „გერცელი 34 წლისაც არ იყო, როცა სიცოცხლეს გამოასალმეს. შემდეგ დააპატიმრეს დავიდი და მისი მეორე შვილი ხაიმი. მამას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ განაჩენი გადასახლებით შეუცვალეს. ბრალდების ერთ-ერთ მთავარ პუნქტად მოყვანილი იყო ერეც-ისრაელში 50 ოჯახის ემიგრაციის ორგანიზება. 18 წელი გაგრძელდა ეს ტრაგედია, რომელმაც მამა და სამი ძმა შეიწირა“, –აღელვებით ამბობს ქალბატონი ფანია.

გადასახლებიდან დაბრუნებული ჯანგატეხილი დავიდი უბრუნდება თავის მოღვაწეობას. „ვერც დევნამ, ვერც გერცელის დახვრეტამ ვერ შეარყია ამ ადამიანის სული. იგი ბევრს მოგზაურობს და ეროვნული სულის, სიონიზმის ცეცხლს სთესს მსმენელებში. მაგრამ დავიდი ვერ მოესწრო ოცნებას – ისრაელის სახელმწიფოს დაარსებას. 1947 წელს იგი გარდაიცვალა.

თავისი გამოსვლა ქალბატონმა ფანია ბააზოვმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „დავიდ, გერცელ, მეირ, ხაიმ ბააზოვების საფლავები იქ დარჩა, საქართველოსა და რუსეთში, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მათი სახელები ისევე იცოცხლებენ ისრაელში, როგორც ცოცხლობს ებრაელი ერი! ამ ისრაელ ხაი!

## გოლდა მეირის სიტყვა

დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა ქალბატონ გოლდა მეირს, რომელიც

თავის სიტყვას იწყებს როზენისა და ალმოგისადმი მიმართვით:

—მე არ ვიცი, რა განწყობილება გაქვთ ამ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, მაგრამ მე მჯერა — როცა ვუყურებ ჩვენს ძმებს საქართველოდან: მათ იციან თუ სად ჩამოვიდნენ, რატომ ჩამოვიდნენ და როგორ იცხოვრონ. ამიტომ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ებრაელობა ძვირფასი შენაძენია ისრაელისათვის.

ჩვენი დღევანდელი შევსება*) მოწმობს, რომ რომ ჩვენ დიდი და მრავალრიცხოვანი ერის შვილები ვართ. და ხშირად მტკივა გული, როცა მესმის ისრაელში: ეს ცუდია, ეს ცუდია. ჩვენ ვიცით, რომ მრავალი რამ გასასწორებელია, მაგრამ ამას უნდა დრო და თქვენი და კიდევ მრავალი სხვა გალუთში მცხოვრები ებრაელის დახმარება.

ბრიუსელში გამოსვლისას მე აღვნიშნე, რომ ანტისემიტიზმი წარმოშვა ებრაელი ერის დიდმა მიზანსწრაფვამ და სურვილმა შეენახა თავისი რწმენა და ტრადიციები. შეიძლება თქვენი აქ ყოფნაც სწორედ ამ მიზანსწრაფვის შედეგია.

არ არსებობს მსოფლიოში სხვა ერი, რომელსაც ამდენი ტანჯვა და განადგურება გადაეტანოს, როგორც ებრაელმა ხალხმა. ჩვენ გავუძელით დარბევებსა და ინკვიზიციას, ჩვენ გვკლავდნენ და გვაოხრებდნენ და, მიუხედავად ამისა, მაინც გავძელით და ვარსებობთ.

დღეს ჩვენ უბრალოდ შეგვიძლია ვთქვათ: „ჩვენ აქა ვართ". თითქოსდა არ იყო ბრძოლა ალიისათვის ან თითქოსდა დღესაც ასეულ ათასობით ჩვენი ძმები არ იბრძოდნენ ისრაელში ამოსვლისათვის. მაგრამ მაინც ხომ მოხდა სასწაული და ათი ათასობით საბჭოთა ებრაელი ამოვიდა ისრაელში.

როგორც ვისმენ „ამ ისრაელ ხაი", მაგონდება მოსკოვის სალოცავი. როცა შაბათ დღეს ჩვენ, ისრაელის საელჩოს წევრები მივედით და ერთმა ებრაელმა სიხარულით სკამებზე დაიწყო სირბილი და ყვიროდა: „ამ ისრაელ ხაი". მას ერთხელ ხომ მაინც უნდა ეთქვა თავისუფლად და სიამაყით ეს ძვირფასი სიტყვები. ამის შემდეგ რა მოხდებოდა, მას უკვე აღარ აინტერესებდა — არც კაგებე და არც გულაგი.

ყველაზე დიდი უბედურებაა იერიდა. სამწუხაროდ, ეს მოხდა და უნდა ყოველი ღონე ვიხმაროთ იერიდის აღმოსაფხვრელად.

სიძნელეები, რა თქმა უნდა, არის. განა შეიძლება ომზე უარესი რამ არსებობდეს ამ ქვეყნად? განა ადვილია იარაღით აღჭურვილი კიბუცის წევრის მუშაობა? მაგრამ ჩვენ ვლახავთ ამ სიძნელეებს და იმედი გვაქვს, რომ მშვიდობა მოვა ისრაელში.

როგორი დიდიც არ უნდა იყოს სიძნელეები, ისრაელი მაინც ჩვენი სამშობლოა. აქ უნდა გავზარდოთ ჩვენი შვილები და შვილიშვილები. მხოლოდ

---

* უნდა იყოს შეკრება

ისრაელშია ებრაელების ადგილი და უნდა ვიბრძოლოთ ამ ადგილის შესანარჩუნებლად, ჩვენი შთამომავლობისათვის.

მე მჯერა, რომ სიძნელეებისა და ომების მიუხედავად, თქვენ მოესწრებით მშვიდობას ჩვენს სამშობლოში და მათ შორის, ვინც ეს სიძნელეები გადაიტანეს, ყოველთვის მოიგონებენ საქართველოდან ამოსულ ებრაელებს. მათ გმირული გზა გაიარეს ისრაელში ამოსვლამდე.

იყავით ბედნიერები!

გაზ. „იმედი“, № 170, 5. 3. 76

„საქართველოს რესპუბლიკა“

## იქ, სადაც დავით ბააზოვი ცხოვრობდა

გუშინ, თბილისში პურის მოედანზე უამრავი ხალხი შეიკრიბა, რომლებმაც პატივი მიაგეს ცნობილ ქართველ-ებრაელს, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეს დავით ბააზოვს. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, იქვე მდებარე სახლში, სადაც იგი 1945-1947 წლებში ცხოვრობდა, მემორიალური დაფა გაიხსნა. ცერემონიას ხელმძღვანელობდა დედაქალაქის მერიის კულტურის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოეტი ბადრი ქუთათელაძე.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე, აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე, პროფესორი აბონ ციციაშვილი, ისრაელიდან ჩამოსული სტუმარი მიხეილ კრიხელი და სხვები. მათ ისაუბრეს გამოჩენილი ქართველი-ებრაელის, დავით ბააზოვისა და მისი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

დავით ბააზოვი თერგდალეულების გზას გაჰყვა და განათლება რუსეთსა და ბელორუსიაში მიიღო, საქართველოში დაბრუნების შემდგ კი, ავადმოსაგონარი 37-ში რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ახლა კი ის სახლი, სადაც იგი ცხოვრობდა, ისტორიის კუთვნილებად იქცა. დავით ბააზოვის მემორიალური დაფის გახსნას ესწრებოდა მისი შვილიშვილი ნათან ბააზოვიც.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,

№233, 11. 9. 98

# ბეოცელი

## იუდეველი

თეთრ-ცისფერ ცაზე გაფრენა მინდა,
იქ სიცოცხლე და ცრემლის ღვარია,
ადამიანმა ხმა გაიკმინდა,
იგი დამუნჯდა და საზღვარია.

სიტყვა ცოცხალი მალე ნელდება,
სიტყვა ნაელვი დარჩა ისეთი,
ხელის განძრევა გაუმნელდება,
ამოივსება მთლად სანისლეთი.

უცხოა მისთვის თავის შექება,
გაირინდება ვით ტეის ნაფოტი,
მაგრამ სჩვევია მას აფეთქება,
შემდეგ წამება და ეშაფოტი.

მთელი მსოფლიო სურს გაახუროს
ტვინის წამებით და მოფერებით,
ამ იუდეველს ესვრიან უროს,
რომ შეიმოსოს ათას ფერებით.

მაგრამ სიკაჟე მისი ხვედრია
და სიამაყე დაიკოცნება,
ბევრი სიმნელე მას შეხვედრია
და შეუნახავს თეთრი ოცნება.

კრებული:
„დავიდ-გერცელ ბააზოვები“, გვ. 157
(ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“,
1924 წ.)

გერცელ ბააზოვი

# „მარადი მგზავრის“ მონოლოგიდან

და მე მივდივარ უსვენებლივ სულ ზევით, ზევით,
განვლილი გზები გადამექცნენ შხამის ენებად.
ოჰ, დავიღალე ღამეების ამდენი თევით
და არ მეღირსა ჯერჯერობით მე მოსვენება.

ძველი ეგვიპტე, ბაბილონი, რომი, ათინა
თითქოს ეკრანზე იცვლებოდა და მიდიოდა,
ჩემმა მძლე სულმა ელლინები მწარედ აცინა,
მაგრამ მომნათლეს მე ველურად და იდიოტად.

გაჩნდა კოცონი, ვეღარ შევძელ მის განელება,
ორჯერ ათასი წელიწადი – მის ნადირია,
ძალითა სურდათ მოვენათლეთ ესპანელებად
და ყრმა მსახური გოლგოთისა მთლად გადირია.

განა როდესმე დავისვენებ, ჩემო მესსია?
მტერმა წალეკა და ლამპარი აუნთო დაბებს,
ტორკვემადები იერიშით შემომესია
და საცეცხლური გაუღვივა აუტოდაფებს!

დაჰკარით საყვირს და აცნობეთ ყველას და ყველას,–
მაქვს გასავლელი სივრცე გრძელი და უდიერი,
მარადი მგზავრი გადაექცა ერებს ნაღველად –
გზა დამიცალეთ! მე მოვდივარ იუდეველი!

(ჟურნ. „თეატრალური ცხოვრება“,

1923, № 3; 23/X II)



ვერცელ ბაიჩოვის პორტრეტი. ნახ. უჩა ჯაფარიძისა

# გერცელის სურათთან

მსოფლიო ძველი და ახალი შემოვიარე,
ისევ მედგრად სცემს ურყეველი სულის კვეთება!

გერცელი

ვხედავ შენს სურათს და მაგონდება,
დღე შორეული, დღენი გვიანი,
მგოსნური სულით გზას გვიკვალავდი,
გულში დაჭრილი ერის იარით.

ვიწრო შუკებში ლამპრად აენთე,
მცირე ერს შორის ნათანის კვალზე,
და აღმობრწყინდი შარავანდედით
ოც საუკუნის ახალ მიჯნაზე.

მოხველი ჩვენთან სულით ნათელით,
თვალებში გედგა წინაპართ შუქი,
ბობოქარ სულის კორიანტელით
აამეტყველე ბეჩავი „მუნჯი“.

მეც მუნჯი ვიყავ, ვით მირიამი,
ეს მოგონება ცრემლებად წვეთავს,
შენგან ავიღე ხელში კალამი,
შენ კი ჩვენ შორის ვეღარა გხედავ!

თუ აბრამია იცკას უტევდა,
თუ შემარია ამბობდა სიტყვას,
შენ გონებაში განცდილი სევდა
შავი მარცვლებით თეთრ ხნულზე ითქვა.

მე ისტორიის მივსდევ ნაკვალევს,
ოცდაჩვიდმეტ წლის სისხლიან ხიშტებს,
და ობოლ ცრემლზე ფიქრი მაწვალებს,
ო, ჯალათები... არც შენ დაგინდეს.

ვინ ჩამოუშვა ავბედით კიბე,
აჰყევ ამაყად მზე ჭაბუკობა,
ო, მჯერა, მჯერა ბიბლიის სიბრძნე:
ხალხის შვილს ელის მარადისობა“.

ო, რატომ სდუმხარ, სურათო, ასე,
ვგრძნობ, რომ გეფრქვევა სისხლის შხეფები,
შენ კვლავაც ცოცხლობ, გრძნობით აღსავსევ,
შემოქმედების ნაირ ფერებით.

რად არ ეღირსა შორს გამჭვრეტ თვალებს
დიდი ზეიმი ჰერცელის მთაზე,
რომ სულით ძლიერს იქ გეღაღადა
შრომა, ზნეობა და სილამაზე.

თითქოს სურათი თვალებს ახელდეს,
იქნებ არ გაწყდა გულის ჯავარი,
ბესოს მადლობა... მადლი ქართველ ერს!
შემოქმედს დაგდეს ფასი და ზღვარი.

ვერ გაგაცილა ერმა ცრემლებით,
ვისთვის ესოდენ მარად იღვწოდი,
ვისთვის ესოდენ თავგამეტებით
დაუღალავად იღვაწ-იბრძოდი...

მიტომ გულები ერთად დაობლდა,
ერთად დაობლდა, ერთად იცრემლა,
და დაკარგული სასაფლაოდან
უკვდავებამდე მიგაცილებდა.

კვლავ ლამპრად ჰყევხარ ჩვენთა თაობას
მცირე ერს შორის ნათანის კვალზე.
და კვლავაც ბრწყინავ შარავანდედით
ოც საუკუნის ბოლო მიჯნაზეც.

ვხედავ შენს სურათს და მაგონდება
დღე შორეული, დღენი გვიანი,
წყეულიმც იყოს ჟამთა გოდება,
რომ არ გაღირსა დღე მადლიანი...

მიძღვნილია
გერცელის იუბილესადმი 1970 წელს
ჟურნ. „დროშა“ № 32 (1982 წ)

# გერცელ ბაასოვის ქუჩაზე თელ-ავივში

არა ალენბიზე,
        არც დიზენგოფზე...
მე შენს ქუჩაზე დავალ მლოცავი,
ფიქრი ორთქლდება გაბზარულ გულზე,
წინ მხვდები კაცი გასაოცარი!

  რა ვკითხო ციმბირს...
        სატუსაღოს ქვებს,
  ჯალათის რისხვით, ნაკლული ბედით.
  ზღვა შენს ლეგენდას აფორიაქებს,
  შენ სახეს ხატავს ზეცაში მტრედი.

წინ გზას მინათებს შუქი შენ სახის,
მე შორს მიტაცებს დროთა ჩანჩქერი...
გერცელ! შენი ხმა მიხმობს, მეძახის...
        და შენს ქუჩაზე
                შენს ძეგლს გავცქერი!

  ის ამართულა, როგორც დიდება,
  დღეს თელ-ავივი ამით მშვენდება...
  და ისრაელი შენით დიდდება.
  ღმერთს ბევრს არას ვთხოვთ,
                მხოლოდ მშვიდობას!

გელათის ქუჩა...
        ახალსაოლა,
ცეცხლსა და შავ ჟამს ვერ გადაურჩა,
ჩვენ თვით დრომ აქეთ გადმოგვისროლა,
საკუთარი გვაქვს გამზირი, ქუჩა.

  ვაშენებთ ახალს, ჩვენ საუკუნეს,
  ხედავთ, არ წყდება ამბავი ვრცელი...
  დავბრუნდით, ავცდით სიკვდილს, უკუნეთს,
        დღეს თელ-ავივში
                ცხოვრობს გერცელიც!

# გერცელ ბაბაზოვს

როცა ისვენებს კავკასიონი,
თეთრ ლანდად ნისლი გადეფინება,
ოხვრით და ხვნეშით მორბის რიონი,
მოიკლანკება ღამის ლანდებად.

ნისლი ჩრდილია დიდი გერცელის,
მჩქეფარე გული არ კარგავს უნარს,
მშობლიურ ონთან გამომვლელს ელის,
ვით მასპინძელი სასურველ სტუმარს.

ცივ, ბნელ სარდაფში ლუბიანკაზე,
მუხთალმა ტყვიამ მოუღო ბოლო,
მოკლეს სიცოცხლე, სპეტაკი ასე,
მოკლეს ტრიბუნი, ერის სიმბოლო.

ჩირაღდანივით ანთებულ სულით
ებრაელს, ქართველს იმედს მატებდა,
ამონაგლეჯი მკერდიდან გულით
ნათელ მომავლის გზას უნათებდა.

სწავლა და შრომა ერს დაუსახა,
კაცის ცხოვრება კალმით დახატა,
ჩარჩი და გულქვა გაამათრახა,
სოფლად „მუნჯებიც ალაპარაკა“.

აღსრულდა მისი ნატვრა-ოცნება,
აღდგა სამშობლო კვლავ ისრაელის,
რომ აღარ იყოს ტანჯვა-მონობა,
მარად ისმოდეს „ხმა ებრაელის“.

შეწყდა სიცოცხლე... დასანანია...
მაგრამ ცოცხლობენ მისი გმირები,
მისი იშაი და ხანანია,
დღეს აქ არიან მონაგარებით.

შენც ჩვენთანა ხარ, გერცელ, მარადის,
შენი ხსენება ცად იტრიალებს
სანამ ლურჯ-თეთრი დროშა მაცადის
მშობლიურ მიწას თავს დაფრიალებს.

ჟურნ „დროშა“
№ 55 (1990 წ.)

ფანია ბააზოვი

# გერცელ ბააზოვი

## (თეზისები ბიოგრაფიისათვის)

მე, მის უბედურ უმცროს დას, სამწუსაროდ, არ შემწევს ძალა რათა გერცელი წარმოვსახო ისეთად, როგორიც ის იყო სინამდვილეში. ამისათვის თავად გერცელის ნიჭით უნდა ვეოფილიყავი ღვთის მიერ დაჯილდოებული. მაგრამ, როგორც ჩანს, ერთხელ შექმნილი ქმნილება არ მეორდება.გერცელის შესახებ ჩემამდე ბევრი დაიწერა, იწერება და კვლავაც დაიწერება. გერცელი დარჩა გამოსაცნობ და დუმთავრებელ ლეგენდად. რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესად მაინც ფანიმ კადმოგვცა მის შესახებ თავის უკვდავ დოკუმენტურ წიგნში «Прокажённые» . და მეც ისევ ფანის მიერ ნაკარნახევ თეზისებს კავიმეორებ, რომელიც მან ჩამაწერინა ერთხელ, როცა ის მძიმე ავად იყო. ალბათ იფიქრა გერცელის შესახებ ცნობარი არ დაკარგულიყო და ამისათვის კადმომცა.

(პოლინა)

1). 1922 წელს გადმოვიდა თბილისში. სწავლობდა სათავადაზნაურო გიმნაზიის ბაზაზე შექმნილ ქალაქის XI ჰუმანიტარულ ტექნიკუმში (გ. ახვლედი-ანის ხელმძღვანელობით). დაამთავრა 1923-24 წ.წ.

2). 1927 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებას. დამთავრების შემდეგ მუშაობს მოსამართლედ, ხოლო შემდეგ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მდივნად.

3). 1935-37 წ.წ. – დრამსექციის თავმჯდომარე.

◆

13-14 წლის იყო, როდესაც ქუთაისის გაზეთში „ებრაელის ხმაში“ (სადაც დავითიც აქტიურად მოღვაწეობდა) დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები (მაშინ ონის გიმნაზიის მოსწავლე) – ფსევდონიმით „ჰერ-ბა“ (დაიკარგა).

1921-22 წ.წ. უჩა ჯაფარიძესთან და დიმიტრი ჯანელიძესთან ერთად გამოსცემდა ჟურნლს „ონი“ (ონში). ამ ჟურნალის ინიციატორი იყო გრიშა ჯაფარიძე.

1923 წ. — მონაწილეობდა „ტრიბუნა“-ში, „თეატრი და ცხოვრება“, „გალაქტიონის ჟურნალი“ და სხვ. (ლექსები, თარგმანები).

1923 წ. — „ტრიბუნაში“ დაიბეჭდა „გალობათა გალობა“, რომელიც 1927 წელს წიგნად გამოიცა.

1923–26 წ.წ. — ეროვნულ-კულტურული აღმავლობის ინიციატორი და სულისჩამდგმელია. ამ წლებშივე დ. ბააზოვის ხელმძღვანელობით გამოდის „მაკავეელი“, სადაც ბეჭდავს თავის ლექსებს —„იუდეველი“, „მაქაბი“; „ალვარ როდრიგო“ (ისტორიული მოთხრობა) და სხვ.

ებრაული სკოლის ძალებით აწყობს კონცერტებს, საღამოებს და დგამს დრამატულ სცენებს. მღერიან ებრაულ სიმღერებს. ამავე ბაზაზე ქმნის დრამატულ დასს „კადიმა“-ს სახელწოდებით, სადაც რეჟისორად მოწვეული იყო დ. ანთაძე. მისი ხელით 1925 წელს დაიდგა გერცელის პიესა „საიდუმლო ბინა“ (ტრაგედია; ესპანელ ებრაელთა ცხოვრება XV საუკ-ში). აქვე დადგეს ნათან ელიაშვილის თარგმანით მეკლერის „ხასა გივაში“.

ამავე პერიოდში იმავე სიონისტური ახალგაზრდობიდან დაარსდა სიონისტური კორპორაცია „ავოდა“, რომელიც არალეგალურ პირობებში ავრცელებდა ნაციონალურ იდეებს. ამყარებდნენ კავშირს ხალუციანელებთან.

1928 წ. — „დილეამარი“ (გადმოკეთებული პოლონელი ებრაელის ბენ-აბრამის „ძველი კოშკიდან“) — პიესა;

1930 წ. — „ნიკანორ ნიკანორიჩი“;

1931 წ. — „გელათის ქუჩის დასასრული“;

1931 წ. — „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“;

1931 წ. — ეპიური შემოქმედება „ფეთხაინი“ (1936 წელს ითარგმნა რუსულად);

1931 წ. — „მუნჯები ალაპარაკდნენ“; „როცა მუნჯები ალაპარაკდნენ“ (რეჟისორი დ. ანთაძე, ქუთაისში — სულიაშვილი);

1934 წ. — „განურჩევლად პიროვნებისა“;

1936 წ. — „იცკა რიჟინაშვილი“;

1937 წ. — „იცკა რიჟინაშვილი“ — სომხურ თეატრში;

1935-38 წ.წ. — დრამსექციის თავმჯდომარე.

იმყოფება პირად ურთიერთობაში რუს ებრაელ მწერლებთან — დ. მარკიში, კვიტკო, ბერგელსონი, მიხოელსი და სხვ.

1938 წელს, როცა მიხოელსთან ერთად მუშაობდა თავისი პიესის დადგმაზე (გალკინის თარგმანით), რეპრესირებულ იქნა.

მისი შემოქმედებითი წლები 15 წელს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში მან შექმნა 10-ზე მეტი პიესა, მოთხრობები, პოემები, ლექსები, ტრილოგიის რომანი, ბევრი პუბლიცისტური წერილი. მისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი არ იყო გამოქვეყნებული მათი ნაციონალურ-პატრიოტული შინაარსის გამო. ასე, მაგ. „ბარ-ქოხბა“ და სხვ. მისი დაპატიმრების შემდეგ ყველაფერი

განადგურდა.

1955 წ. – რეაბილიტირებულია.

1964 წ. – იუბილე. ხელმეორედ გამოსცეს მისი ნაწარმოებები – „ფეთხაინი“ და პიესები.

გ. ციციშვილმა დასწერა მონოგრაფია „გ. ბააზოვი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ფაქტები ჩამაწერინა ჩემმა უფროსმა დამ ფანიმ, როცა ის ავად იყო, უკვე ისრაელში ყოფნის დროს. შიშობდა ალბათ, რომ გერცელის წარსულის შესახებ არ ვიცოდი არაფერი და, რომ მისი არ ყოფნის შემდეგ, ეს ყველაფერი მცოდნოდა.

პოლინა



**პოლინა ბააზოვი**

# კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა 20-იან წლებში

მამისაგან მსმენია:
„ყოველმა ებრაელმა უნდა იცოდეს,
თუ რას ნიშნავს იყოს ებრაელი“.

20-იან წლებში მამა და გერცელი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ეროვნული აღორძინების სფეროში. გარდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა, არანაკლებ ქმედით ღონისძიებას ატარებდნენ ქართველ ებრაელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. აქვე აღვნიშნავ, რომ დავიდ და გერცელ ბააზოვების გარდა დანარჩენ აქტიურ მოღვაწეთა შორის გამოირჩეოდნენ: ცნობილი სიონისტი ნათან ელიაშვილი, ეკონომისტი დავით შაფთოშვილი, ექიმი სოსო მოშიაშვილი, ბანძის რაბინი დავით აჯიაშვილი, ექიმი მიხაკო თავდიდიშვილი, ექიმი ბენო გაგულაშვილი, იურისტი გერშონ მეგრელიშვილი და სხვ. ამ მიმართებით ქალაქ ქუთაისში მოღვაწეობდნენ ფილხაზ მეგრელიშვილი, იაკობ ბინიაშვილი თავის ძმებთან და დასთან – ნინოსთან ერთად, მიშა ფიჩხაძე და სხვ.

ხელოვნებათმცოდნე, პროფ. დიმიტრი ჯანელიძე თავის წერილში იგონებს

მამაჩემის შესახებ:

„ჯაღარაშერეული წვერით, სულიერი და გარეგნული ახოვანებით ის (დ. ბ-ვი) ბევრად უფრო ჩამოგავდა განმანათლებელ ხალხოსანს; მან ახალგაზრდობიდანვე უკუაგდო ფულის ტრიალით სიმდიდრის მოხვეჭის ცდუნება და არჩია თავის მომძე და ბეჩავ ხალხს მხარში ამოსდგომოდა. დავით ბააზოვი მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების ქართულ გაზეთებში თანამშრომლობდა. ის ძველი ებრაული მწერლობის, რუსული და ევროპული ლიტერატურის მცოდნე იყო. სიყვარულით წერდა და შთამბეჭდავად მეტყველებდა." („ლიტერატურული საქართველო", № 46, 1964 წ. 13 ნოემბერი. გ. ბააზოვის 60 წლისთავის გამო).

20-იან წლებში დედ-მამისეული ოჯახი საცხოვრებლად ონიდან თბილისში გადმოსახლებულა. აი, რას მწერს ამის შესახებ მორდეხ დანიელოვი:

„ონიდან ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე მამათქვენი მიიღეს ცხინვალელებმა და ბინაც ცხინვალელების სალოცავის დაბლა – პირველ სართულზე მიაკუთვნეს. დავითი მჭერმეტყველი და განათლებული ადამიანი ბრძანდებოდა. ისტორია კარგად იცოდა და განსაკუთრებით მიმზიდველად ატარებდა ხოლმე დარაშებს. საზოგადოებაში დიდ პატივისცემას იმსახურებდა. მის საუბარზე გაჭედილი იყო აუდიტორია. ამ აუდიტორიაში ახალციხელებიც მრავლად დაიარებოდნენ და ხარბად უსმენდნენ. მამას ძალიან უყვარდა ესპანეთის ებრაელთა ცხოვრების შესახებ ამბების და იმ მწარე ეპიზოდების მოყოლა, რომელთაც ადგილი ჰქონდა იქ. ამით დიდად ხიბლავდა მსმენელს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. ნათანი თუ იყო ძუნწი ლაპარაკში, მიუხედავად მისი ღრმა ცოდნისა, მამა უფრო კარგი ორატორიც იყო. მიუხედავად მათი დიდი სხვაობისა, ხასიათების და ყოფაქცევის სხვაობისა, მაინც კარგად მეგობრობდნენ. მამა დიდ პატივსა სცემდა ნათანს, როგორც დიდ მცოდნეს, სპეტაკ და კარგ ადამიანს. როცა ნათანმა ებრაელთა 102-ე სკოლა ჩამოაყალიბა, სადაც დირექტორობდა კიდეც, მაშინ ახალგაზრდა გერცელი სტუდენტობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი გამოირჩეოდა თქვენს ოჯახში თავისი ტემპერამენტით, ერუდიციით და მეტყველებით. გონებამახვილი, კარგი მწიგნობარი თავიდანვე, ჯერ კიდვ სტუდენტობის დროიდან ჩვენი ეროვნული მოძრაობის უაქტიურესი წევრი იყო და ამიტომაც მოხდა, რომ ნათანმა იგი მიიწვია კიდეც მასწავლებლად 102-ე სკოლაში. ყოველივე ამ მოვლენების საუკეთესო მოწმე და მაყურებელი იყო ფანია. იგი თავისი ძმის კვალს გაჰყვა."

მეც მსმენია ხანდაზმულ ადამიანებისგან და ოჯახშიც, რომ მამა სალოცავის თებას (სალოცავის ტრიბუნა ლოცვანების ჩასატარებლად) ფართოდ იყენებდა საგანმანათლებლო მიზნებისათვის. უდავოა, რომ იმდროინდელ საბჭოურ ხელისუფლების ორგანოებს ეს არ მოეწონებოდათ და ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1929 წელს მამისათვის აუკრძალიათ სალოცავში თებაზე ასვლა და ლოცვის ჩატარება. ცხინვალელთა საზოგადოება იძულებული გამხდარა

მოენახა ვინმე სხვა – კულტის მსახური, ხახამი. და აი, ასეთი მათ მალე გამონახეს. ეს გახლდათ ხახამ გაბრიელ ჯანაშვილი, სურამიდან. მის შესახებ მამას უთქვამს, რომ „ხახამ გაბრიელი სიონისტი არ არის, მაგრამ როგორც ადამიანი მეტად კეთილი და პატიოსანიაო, უანგარო და კარგი მლოცველიც.“ მიუხედავად მთავრობის მიერ აკრძალვისა, მამა მაინც ხანდისხან და ზოგიერთ უქმე დღეებში ადიოდა თებაზე. ხახამ გაბრიელიც მას გაგებით ხვდებოდა და სიამოვნებით უთმობდა ტრიბუნას. მამას განსაკუთრებით უყვარდა ქიფურის დღის ჩატარება. მეც, ჩემს ბავშვობაში, მომისმენია მის მიერ შესრულებული „ქოლ ნიდრე“. ჩემს აღქმაში ეს იყო რაღაც უჩვეულო და მაგიური მოვლენა. მეორე დილით, უთენია, უფეხსაცმლოდ, ტალითმოსხმულ-თავდაბურული, წინა დღის საღამოდან მოყოლებული მარხვის დამჭერი, მამა ისეთი გამომეტყველებით მიემართებოდა სალოცავისაკენ, რომ მე მას ვეღარ ვცნობდი. ის აღარ იყო ჩემთვის ჩვეული, ნაცნობი, მოალერსე მამა. მე იგი მესახებოდა გარდაქმნილ, მაგიურ არსებად. როცა ის სალოცავის საფეხურებით მაღლა სართულზე ადიოდა, მეგონა ზეციური ძალა იხმობდა თავისკენ. რატომღაც შიშიც მეუფლებოდა. ხელში მეკავა დასურათებული რუსულენოვანი ბიბლია. გადავშლიდი იმ გვერდს, სადაც სურათზე იყო გამოსახული ირმიაჰუ წინასწარმეტყველი, რომელიც იჯდა ბაბილონის მდინარის პირას და მწარედ ჰგოდებდა: „თუ დაგივიწყო შენ, იერუშალაიმ, გამიხმეს მარჯვენა ჩემი“. ჩემს ბავშვურ ფანტაზიაში უნებურად წარმომედგინა, რომ ირმიაჰუს სულმა გადმოინაცვლა მამაჩემის არსებაში. და როცა მამის მიერ შესრულებულ ლოცვას ვუსმენდი, მეჩვენებოდა, რომ ის – მამა – ირმიაჰუს ხმით ლოცულობდა. მეჩვენებოდა, რომ იქ, შორეულ იერუშალაიმში ოდესღაც არსებული ბეთ-ჰამიკდაშის ტაძარში საკურთხევლთან დარხეულმა ხმებმა ექოს გამოძახილით მოაღწიეს ჩვენი სალოცავის კედლებამდე, შეაღწიეს შიგ და ჩვენი მლოცველებიც ბანს აძლევდნენ. მას ხმა უჩვეულო ჰქონდა – არც თუ დაშაქრული, რომ იტყვიან, და არც ბოხი. მე ვერც შევძლებ მოვუძებნო შესაფერისი ტერმინი მისი შესანიშნავი ხმის აღსანიშნავად. ერთი კი ვიცი, რომ მას მომაჯადოებელი ტემბრი ჰქონდა.

მამის შესახებ თხრობას მე კიდევ დავუბრუნდები, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო შემდეგი: მეტწილად ვესწრებოდი სუქოთის დღესასწაულს, რომელსაც აღნიშნავდნენ ლოცვაში. მე იმ დროს ჩემი ძმა მეირისა და მის გვერდით მყოფ თანაკლასელ მოტკე მამისთვალოვის გვერდით ვიმყოფებოდი. მეც ისევე, როგორც სხვა ბავშვებს, ხელში მეჭირა „საბავშვო სეფერთორა“, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა ლამაზი ფერადი ხავერდი, ზემოდან ტარით შიგ ჩამაგრებული იყო ორი ჩანგალი და თითო ჩანგალზე წამოგებული იყო თითო ვაშლი და შუაგულ ვაშლში ჩამაგრებული ანთებული სანთელი. ლამაზი სანახაობა იყო. პატარა ბავშვებს, სეფერთორებით ხელში, უფროსები კისერზე შემოგვისხამდნენ და ფერხულით და სიმღერით შემოგვატარებდნენ თების

გარშემო. ცერემონიალის დასასრულს ასევე ანთებელი სანთლებით გავდიოდით ქუჩაში და ვბრუნდებოდით სახლში. წარუშლელი იყო ჩვენი შთაბეჭდილება. შიგ ლოცვაში ყოფნის დროს, საუქმო ცერემონიალის შესრულების დროს, მე კარგად მახსოვს ჩემი ძმა მეირის დინჯი ლოცვა და მისი ღრმა მოლურჯო -ცისფერი თვალების ციმციმი. მაგრამ მაინც ყველა მლოცველებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდა თავისი ლამაზი და კარგი შესრულებით მოტკე მამისთვალოვი. მას შესანიშნავი ტენორი ჰქონდა. შემდგომ პერიოდში, როცა დავაქაცდა ის მიიწვიეს თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებულ გუნდში მონაწილეობის მისაღებად. სამაგიეროდ, ვერ შევაქებ დანარჩენ მლოცველთა უმრავლესობას. ძალიან უშნოდ ლოცულობდნენ, არაშეხმატკბილებულად. თვითეული მლოცველი თავისი მოტივით ლოცულობდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, მამა მთავრობისაგან აკრძალვის მიუხედავად წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ მაინც ავიდოდა თებაზე – განსაკუთრებული უქმის გამო ან რაიმე საგანგებო ღონისძიების ჩასატარებლად. მამა როდი ჯერდებოდა მარტო ლოცვაში გამოსვლას, იგი მის კედლებს გარეთაც კრებდა ჯამაათს, აწყობდა საზოგადოებრივი ხასიათის მიტინგებს. აი, რას წერს ამის შესახებ 102-ე ებრაელთა სკოლის ყოფილი მოსწავლე (ისრაელში ამოსული და ნეთანიაში ნაცხოვრები, აწ განსვენებული) ესთერ თეთრუაშვილი:

„...მიტინგი სალოცავის წინ მოაწყო დავიდ ბაზოვმა. ამ მიტინგს დიდძალი ხალხი დაესწრო. მათ შორის ბევრი იყო ქართველებიც. ესენი მეტწილად მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი იქ თვითონ დავიდ ბაზოვმა მიიწვია. ორატორები ორატორებს ცვლიდნენ. ლაპარაკობდნენ ებრაელი ხალხის აწმყოზე და მომავალზე. დ. ბაზოვმა მგზნებარე სიტყვით ყველა აღტაცებაში მოიყვანა. რა აინტერესებდა მას?.. ახალციხელებს, ცხინვალელებს და ქუთაისელებს ძიძგიძიძგი მამალო ჰქონდათ გამართული ერთმანეთში, ვერა და ვერ რიგდებოდნენ. ყველა კი ერთი უბედური ბედისანი იყვნენ, მოკლებულნი საკუთარ კერასა და საკუთარ ენას. დავითიც ყველას სწორედ ამაზე მიუთითებდა. რა სარგებლობას მოგვიტანსო ეს კინკლაობა? -ეკითხებოდა ის ხალხს. ებრაელი ხალხის განხეთქილება გულს უწუხებდა დავითს.“ (გაზ. „იმედი“, № 185, 1976 წ. 9 აპრილი. ესთერ თეთრუაშვილი: „სკოლა ივრითზე თბილისში“).

საუბედუროდ, ჩემი დის – ფანის სიცოცხლე ისრაელში ხანმოკლე აღმოჩნდა. ალბათ გრძნობდა, რომ მას ცხოვრების დღენი არ ეყოფოდა, რათა მთელი იმდროინდელი ქართველი ებრაელობის ცხოვრების ტილო გადმოეშალა და მათთან დაკავშირებით მამისა და გერცელის მოღვაწეობა. მან მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო ამის გაკეთება და რაც კი მოასწრო, ის უტყუარ ძეგლად და დოკუმენტად იქცა. მე არ გამაჩნია დოკუმენტების საკმარისი რაოდენობა, რათა სრულყოფილად გადმოვცე მამის მოღვაწეობის შესახებ 20-იან წლებში და შემდგომი პერიოდისაც. ერთი კი ნათელია,

რომ გასაბჭოების შემდეგ ქართველ ებრაელთა ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მცირეოდენ შეძლებულთა ცხოვრება არ წარმოადგენდა მასიურ სურათს. დ. ბააზოვის, ნ. ელიაშვილის და სხვა მესვეურთა ღონისძიებითა და მოღვაწეობით სურდათ საკუთარი ძალების გამოყენებით და ახალი ხელისუფლებისაგან მიღებული დახმარებით მიეღწიათ ქართველ ებრაელთა ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ცდილობდნენ გამოეღვიძებინათ ეროვნული თვითშეგნება და შეეტანათ ხალხში შუქი.

ნათან ელიაშვილის წიგნში „საქართველოს ებრაელები საქართველოში", რომელიც მან დაწერა უკვე ერეც-ისრაელში ყოფნის დროს ივრითზე, ქვესათაურში: „თარბუთი", ვკითხულობთ შემდეგს:

„... იმ მძიმე წლებში (ლაპარაკია 20-იან წლებზე, -პ. ბ.) ონიდან თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდა რაბი დავიდ ბააზოვი. ის მოვიდა ჩვენთან და შემოგვთავაზა კვლავ გამოგვეფხიზლებინა ჩვენი ხალხი და შევუდექით საქმეს. ამ მიმართებით კვლავ გადავდგით ნაბიჯები, მაგრამ წავაწყდით წინააღმდეგობას ხელისუფლების მხრიდან. გვეცადა კიდევ რაიმე და მათ დამოუკიდებლად საქმე გაგვეკეთებინა, აზრი აღარ ჰქონდა, რამეთუ მეტად საშიში იყო.

დ. ბააზოვის ინიციატივით შევკრიბეთ სანდო ამხანაგები და გადავწყვიტეთ მთავრობის ნებართვით დაგვეარსებინა საზოგადოება „თარბუთი", რომლის მიზანიც იქნებოდა წმინდა კულტურული საკითხების განხორციელება. „თარბუთი" შორს იქნებოდა ყოველგვარი პოლიტიკისაგან, მხოლოდდამხოლოდ განათლებისა, კულტურის გავრცელება საქართველოს ებრაელთა შორის ექნებოდა ერთადერთი მიზანი. „თარბუთის" საზოგადოების კომისიამ შეადგინა წესდება. ამ წესდების მიხედვით უნდა შეგვედგინა დიდი საღამოების მოსაწყობი გეგმა, ლექციების ჩასატარებელი გეგმა, საღამო-მეჯლისების მოწყობა, თორის შემსწავლელი წრეების შექმნა და სხვ. ამ საზოგადოებას დაერქვა „თარბუთი".

ჩვენს მიერ შედგენილი წესდებით გავეშურეთ განათლების კომისართან ნებართვის მისაღწევად. განათლების კომისარმა დიდი ყურადღებით მოგვისმინა და ჩვენი წესდება გასაცნობად დაიტოვა. გამოგვიშვა დიდი იმედებით. გავიდა დრო - კვირეები, თვეები. მთელი ამ ხნის განმავლობაში დავიარებოდით კომისარიატში, თითქმის ყოველ დღე. არც ერთი კარი არ დაგვიტოვებია კომისარიატში, რომ არ შეგვეღო პასუხის მისაღებად, მაგრამ არსაიდან არაფერი არ ისმოდა. თვითონ კომისარი თავს გვარიდებდა. არც გვაძლევდა საშუალებას მას პირისპირ შევხვედროდით. ბოლოს მაინც წავაწყდით კომისარს კორიდორში. ის იძულებული შეიქნა გაგვჩერებოდა და პასუხი გაეცა ჩვენთვის. თვითონაც მიხვდა, რომ ტყუილუბრალოდ ჩვენს წინ და უკან სიარულს აზრი არ ჰქონდა. მიგვიღო ჩვენ ორნი - მე და რაბი დავიდ ბააზოვი. პირდაპირ გვითხრა: „თქვენი საზოგადოება „თარბუთი" კულტურულ საფარქვეშ იქნება სიონისტური. ბევრს

ᲚᲔᲥᲪᲘᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ "ᲛᲔᲠᲘᲡᲘ ᲛᲔᲠᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ"

ვეცადეთ დაგვერწმუნებინა საწინააღმდეგო აზრში, და, რომ მას ტყუილად ეშინია ჩვენი წამოწყებისა, მაგრამ მან გვითხრა, რომ თუ ამ საკითხში ორი კომუნისტი ჩაერევა, ნებას დაგრთავთო. ამის შესრულება ჩვენთვის ძნელი არ აღმოჩნდა, რამეთუ კომუნისტები ცოტა როდი იყვნენ ჩვენს ნაცნობებს შორის, რომლებიც დაგვეთანხმებოდნენ. ოთხი-ხუთი თვის შემდეგ მივიღეთ უწყება, რომელსაც კომისრის ხელით წარწერილი ჰქონდა „ნებას ვრთავ". ამდენი წვალების შემდეგ ჩვენ მეტად გახარებულნი ვიყავით საქმის ასეთი დაბოლოებით. აღნიშნულის საფუძველზე შეგვეძლო ხალხში ლეგალურად გავსულიყავით, აგვემაღლებინა ხმა და გაგვეშალა კულტურული მუშაობა. კომისარმა გვითხრა, რომ სანამ მუშაობას შევუდგებოდეთ, საჭიროა ჩვენი წესდება დასამტკიცებლად წარვადგინოთ შინაგან საქმეთა სამინისტროში. უკვე იმის შემდეგ, რაც განათლების სამინისტროში გამოვიარეთ, შინაგან საქმეთა სამინისტრო აღარ მიგვაჩნდა დამაბრკოლებელ ბარიერად. ჩვენც გადავეცით ეს წესდება, როგორც ამას მოითხოვდნენ ჩვენგან.

განვლო თვეზე მეტმა დრომ. დავიარებოდით თითქმის ყოველ დღე. ველოდებოდით, ვითხოვდით. გვაგზავნიდნენ ერთი ადმინისტრაციიდან მეორეში, ერთი ცენტრიდან მეორეში. და ბოლოს მივიღეთ პასუხი, რომ ჩვენი წესდება იმყოფება „ჩეკაში" გამოსაძიებლად და თქვენც იქ მიმართეთო. ვიცოდით რას წარმოადგენდა ჩეკა. სხვებმაც გვირჩიეს მიანებეთ ამ საქმეს თავიო და ჩვენც შევწყვიტეთ ამ საქმეზე სიარული. ასე და ამგვარად, ეს ჩვენი წამოწყება ჩაიმარხა და მასთან ერთად გაცრუვდა იმედებიც.

მოვითათბირეთ და ბოლოს გადავწყვიტეთ გვეცადა და მოგვეკიდა ხელი უფრო მცირე მასშტაბის საქმისათვის. ამ საქმეს არ უნდა ჰქონოდა დიდი რეზონანსის სახელი, როგორიც იყო „თარბუთი". გადავწყვიტეთ გამოგვეცა გაზეთი ქართულ ენაზე. დავით ბააზოვმა და მისმა უფროსმა ვაჟმა გერცელმა თავი მოუყარეს სიონისტურად განწყობილ სტუდენტებს. ესენი იყვნენ იოსებ მოშიაშვილი, მიხაკო თავდიდიშვილი და სხვ. გაზეთს ვუწოდეთ „მაქაბი". ორკვირეული გაზეთი „მაქაბი" დიდი ფორმატის იყო. გამოვიდა სულ სამი ნომერი, ვინაიდან მისი დღეებიც მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მაგრამ რაც გამოვიდა ისიც საკმარისი იყო, რათა გამოეფხიზლებინა ჩვენი, ქართველ ებრაელთა საზოგადოება. განსაკუთრებით დიდი გამოძახილი ჰპოვა ახალგაზრდობის წრეში. როგორც აღვნიშნე, ამ გაზეთის დღეებიც ხანმოკლე აღმოჩნდა. მზად გვქონდა გამოსაცემად მეოთხე ნომერიც, მაგრამ მას არ ეღირსა გამოსვლა დღის სინათლეზე. ჩვენს ამ მოღვაწეობასაც მთავრობა სხვანაირად შეხვდა. როგორც ჩანს, აღფრთოვანება, რომელიც გაზ. „მაქაბიმ" გამოიწვია საქართველოს ებრაელებში, არ იყო სასიამოვნო ზემდგომი ორგანოებისათვის.

მე და გერცელ ბააზოვს შესამოწმებლად უნდა მიგვეტანა გამოცემის წინ სახელმწიფო კონტროლიორისათვის, შემდეგ ჩეკასთვის. ყველა ინსტანციაში ესმებოდა შესწორების ნიშნები. მესამე ნომრის გამოცემისათვის წავაწყდით

მოულოდნელ სიძნელეებს. გვამცნეს, რომ ჩვენს გაზეთებში „კონტრაბანდით“ ვაქვეყნებდით ისეთ მასალას, რომელიც არ იყო მათთვის მისაღები. ამის გამო აღარ გვენდობოდნენ. მესამე ნომერი უმთავრესად მიძღვნილი იყო ფურიმისადმი. და როცა რეცენზენტმა გადახედა მასალას, უცებ შეხტა, თითქოს რაღაცამ შხამიანმა უკბინაო. „რა არის ეს? რა წერია აქ: ანტიოქოს ეპიფანე?“ „რა არის აქ ცუდი? – ვკითხე გაოცებულმა, –ასე წერია ისრაელის ისტორიაში.“ „მაგრამ, –მიპასუხა მან, –ეპიფანე ხომ ჩეკას უფროსის პირადი სახელია.“ გაოცებულმა დავსძინე: „მე ვიცი, რომ ჩეკას უფროსის გვარია კვანტალიანი, მაგრამ მას თუ ეპიფანე ერქვა, მე ეს არ ვიცოდი. აქ ლაპარაკია ისტორიულ პიროვნებაზე, რომელიც ისრაელის მოძულე იყო.“ „მაგრამ, –კვლავ შემეპასუხა რეცენზენტი, –ჩვენი ეპიფანე სულაც არ არის ებრაელთა მოძულე და არაფერს აკეთებს ცუდს მათთვის, და ყოველმა წამკითხველმა შეიძლება ეს ისე გაიგოს, თითქოს ჩვენს ეპიფანეზეა მინიშნებული. ამისათვის ეს სტრიქონი ამოიღეთო.“ მე ავუხსენი, რომ ამ სტრიქონის ამოღებით დაირღვევა მთელი ლექსი. ბოლოს ძლივს დავითანხმე და ასეთი წვალების შემდეგ გამოვიდა მესამე ნომერი. მაგრამ ამის შემდეგ პოლიტბიურომ გამოგვიძახა მთელი გაზეთის თანამშრომლები და გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი გაზეთი მათთვის არ არის მისაღები; რომ მათ არ მოსწონთ სახელწოდება „მაქაბი“, რამეთუ ეს სახელი არის საერთაშორისო შოვინისტური სახელი. მის მაგივრად დაარქვით, მაგალითად, „ებრაელი მუშა“. გარდა ამისა, თქვენს გამომცემლობაში პარტიის ერთი წევრი უნდა შედიოდეს. ჩვენ ავუხსენით, რომ სახელწოდება „ებრაელი მუშის“ არ ვართ წინააღმდეგი, მაგრამ ახლა არ არის სასურველი, და რომ სახელი „მაქაბი“ არ არის შოვინისტური სახელი. ავუხსენით, რომ ისტორიული პირი მაქაბის სახელით სათავეში ედგა აჯანყებას თავისი ხალხის დასაცავად ბერძენი დამპყრობლების წინააღმდეგ. მათ გვიპასუხეს, რომ ჩვენს აზრს მოახსენებენ მთავრობის თავმჯდომარეს მ. ორახელაშვილს. ამის თაობაზე მიგვიღო მე და დ. ბააზოვი. შეგვხვდა მეტად თავაზიანად, მოგვისმინა, მოგვცა ზოგიერთი მითითება და გამოგვისტუმრა დაიმედებულნი. მაგრამ როცა გაზეთის მეოთხე ნომერი მივიტანეთ, იქ უკვე მიღებული ჰქონდათ ბრძანება აღნიშნული გაზეთის დახურვის შესახებ. სადღა იყო მთავრობის დაპირებანი? მაგრამ დიქტატორულ რეჟიმში ყველაფერი მოსალოდნელია. მივხვდით, რომ ვეთამაშებოდით ცეცხლს. ასე და ამგვარად შეწყვეტილი იქნა გაზ. „მაქაბის“ გამოცემაც.“ (ნათან ელიაშვილი „ქართველი ებრაელები საქართველოში და ერეც ისრაელში“, თელ-ავივი, 1975 წ.)

გაზეთი „მაქაბი“, რომელიც გამოდიოდა 1924 წელს (და როგორც უკვე იქნა აღნიშნული – გამოვიდა სულ 3 ნომერი), მეტად ეროვნული ხასიათისა და აქტუალური იყო. მას ძირითადად ხელმძღვანელობდნენ დავით ბაზოვი, ნათან ელიაშვილი, გერცელ ბააზოვი. მათ გარდა აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვა ახალგაზრდა სიონისტებიც. ასე მაგალითად, ექიმი მიხაკო

თავდიდიშვილი, რომელიც წერდა უმთავრესად სამედიცინო თემაზე. აღსანიშნავნი იყვნენ ბანძის რაბინი, პროგრესისტი დავით აჯიაშვილი, სიმონ მეკინულოვი, იურისტი გერშონ მეგრელიშვილი, იოსებ მოშიაშვილი და სხვ. მაგრამ ამ მთელ რიგ ავტორიტეტულ პიროვნებათა წერილებს შორის გვხვდება ორი ლექსი: „ფურიმი“ და „ზეიმი“, რომელთაც ბოლოში მიწერილი აქვთ მარტო პირადი სახელი „ფანია“.

მე კარგად მახსოვს, რომ ნათან ელიაშვილის სახელს წარმოთქვამდნენ მოწიწებით, თითქოს ვიღაც მაგიური იყო ის. ჩვენი ბინის სასტუმრო ოთახში კედელზე ეკიდა დიდი ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახულნი იყვნენ ნათანი და გერცელი. მე მიხსნიდნენ ნათანის შესახებ, რომ ეს იყო დიდი პიროვნება, მასწავლებელი — და თავად გერცელიც მისი მოწაფე იყო — და, რომ დღეს ის ერეც-ისრაელში იმყოფებაო. ამ უკანასკნელ სიტყვებს მეტად ჩუმად, ჩურჩულით და დიდი საიდუმლოებით წარმოთქვამდნენ.

ორგანიზაცია „თარბუთის“ დამარცხებისა და გაზეთ „მაქაბის“ აკრძალვის შემდეგ დავით ბააზოვისა და გერცელ ბაზოვისათვის მეტად ძნელი აღმოჩნდა მოღვაწეობა და სასურველი მიზნების მიღწევა.

საქართველოს ებრაელთა პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა ისევ სავალალო დღეში იმყოფებოდა. პროცენტულობის მიხედვით და საბჭოური კრიტერიუმით ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი „შავ სიაში“ აღმოჩნდა, როგორც „არამშრომელი“ ელემენტი. ისტორიულ-სოციალური ვითარების გამო საქართველოს ებრაელობა მეტწილად ვაჭრობით იყო დასაქმებული. მათ შორის იყვნენ შეძლებულნიც — მდიდარი ვაჭრები, მაგრამ მასიურად წვრილი და ხელზე მოვაჭრენი იყვნენ. საჭირო იყო მათი „საღათას ძილისაგან“ გამოღვიძება, ე.ი. პირველყოვლისა მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისაგან გამოყვანა და ებრაული და საერო განათლების შეტანა. ამ მიზნით საქართველოს ებრაელთა მესვეურნი და გულშემატკივარნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა გამოეყვანათ ისინი ამ მდგომარეობისაგან. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ ნათან ელიაშვილი:

„... გადავწყვიტეთ მოგვეთხოვა საქართველოს მთავრობისაგან გამოეყოთ გარკვეული მიწის ნაწილი, რათა დაგვესახლებინა მასზე საქართველოს ებრაელები. ამ მიზნით მივედით მათ თათბირზე რაბი დავით ბააზოვი, მე და კიდევ ორი ამხანაგი, მოვითხოვეთ შეხვედრა მიწისა და სოფლის მეურნეობის უფროსთან. ამის შემდეგ შევედით საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთან ფილიპე მახარაძესთან. ვესაუბრეთ საქართველოს ებრაელთა მიწაზე მოწყობის თაობაზე. ჩვენ მასთან თითქმის მთელი წლის განმავლობაში დავიარებოდით, მაგრამ სულ მუდამ უშედეგოდ მთავრდებოდა ჩვენი სიარული,“ —აღნიშნავს ნ. ელიაშვილი.

ცნობილ სიონისტ გერშონ მეგრელიშვილისაგან (ნ. ცხ~ლი) და სხვა კომპეტენტური თანამედროვეებისაგან მსმენია, რომ დავით ბააზოვი აღნიშნ-

ული საკითხის თაობაზე შესულა სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან გეგეჭკორთან. დავით ბააზოვი ითხოვდა, რომ საქართველოს ებრაელობისათვის გამოეყოთ მიწა მათი სოფლის მეურნეობის მოსაწყობად, მაგრამ გეგეჭკორს გაუცია ასეთი პასუხი:

„ჩვენ, საქართველოში ქართველი გლეხებისათვის არ გვყოფნის მიწები და ებრაელებს საიდან გამოვუყოთო. როცა შავი ზღვა დაშრება, შეიძლება მაშინ გამოჩნდეს საუოფი მიწა თქვენი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლადო.“ ასეთი განცხადების შემდეგ დავით ბააზოვს წარუდგენია მოთხოვნა, რომელიც სანუკვარ ოცნებად ჰქონდა ქცეული და ახლა, როდესაც მომენტი შესაფერისად მომწიფდა, მიუმართავს შემდეგი სიტყვებით: „თუ თქვენ არ გაგაჩნიათ საქართველოს ებრაელებისათვის მიწა, მაშინ მე ვიცი სადაც არის მათთვის ასეთი ადგილი. ეს არის ერეც-ისრაელში. ახლა იქ სახლდებიან ებრაელები და ქართველ ებრაელებსაც, თქვენი ნებართვით, იქ დავასახლებ. მართალია, ჩვენთვის ძნელია საქართველოს მიტოვება, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ და ვცხოვრობდით, მაგრამ ვინაიდან აქ ჩვენი ცხოვრება ვერ აეწყობა, ამიტომ დაგვრთეთ ნება გასამგზავრებლადო.“ მთავრობას მოუთხოვია ერეც-ისრაელში წამსვლელთა სია. დავით ბააზოვს და მის მხარდამჭერლებს შემოუვლიათ ებრაელთა დასახლებანი, დაუკითხავთ, აბა, ვის გსურთ ერეც-ისრაელში წასვლაო და შეუდგენიათ მსურველთა სია. ამის მიხედვით მთავრობას ნება დაურთავს 100 ოჯახისათვის სერტიფიკატების გაცემაზე. თავდაპირველად 50 ოჯახი დავით ბააზოვისა და ნათან ელიაშვილის წინამძღოლობით გამგზავრებულან ერეც-ისრაელში.

●

Кавказский Еврейский Вестник. № 25 (34), 1919 წ.

კავკასიის სიონისტური ორგანიზაციის რაიონულ კომიტეტში წარდგენილია ციციაშვილის რედაქტორობით ქ. ქუთაისში სიონისტური ორგანოს გამოცემის ხარჯთაღრიცხვა. „ხმა ებრაელისას“ ყოველი ნომრის ხარჯმა შეადგინა 1525 მან. გავრცელება 500 ეკზემპლარი. დეფიციტი = 525 მანეთს. რაიონული კომიტეტისაგან აუცილებელი დახმარების ოდენობა = 12.000 მან.

რაბი ბააზოვმა რაიკომს მიმართა დეპეშით: „თუ თქვენთვის ძვირფასია საქართველოს ებრაელობა, დაუყოვნებლივ გაეცით განკარგულება გაზეთი გამოდიოდეს ციციაშვილის ინიციატივით და ჩემი ზედამხედველობით და შეუდგეს ენერგიულ პროპაგანდას.“ ბააზოვი.

Кавказский Еврейский Вестник. № 26, 1919 წ.

დიდი სიტყვით გამოვიდა სალოცავში რაბი ბააზოვი. ესწრებოდა 1000-

მდე კაცი. ქუთაისში სუფევდა ცოცხალი სიონისტური განწყობილება. მრავალი ჩაეწერა სიონისტური ორგანიზაციის წევრად. აუცილებელია განახლდეს „ხმა ებრაელისა“.

დავიდ ბააზოვის 15 წლის ყოჩაღი ვაჟი გერცელი 1920 წლის 28 იანვარს ონიდან ატყობინებდა გაზ. Кавказский Еврейский Вестник, რომ იქ შეიქმნა „ჰეხალუცის“ 30 კაციანი ახალგაზრდული ჯგუფი, რომლის წევრებიც მზად არიან პირველი შესაძლებლობისთანავე გადასახლდნენ ერეც-ისრაელში. „ჰეხალუცმა“ ონში გახსნა ებრაული ენის საღამოს კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობს რაბი ბააზოვი. იგივე ასწავლის ებრაელთა ისტორიას და სხვა საგნებს. რაბი ბააზოვი ყოველკვირეულად კითხულობს ლექციებს ებრაელი ხალხის მდგომარეობაზე. (იხ. Кавказский Еврейский Вестник. 28.1.1920 წ., № 3).

● [ნაწყვეტები ციტირებულია იცხაკ დავიდის ხელნაწერიდან «История Евреев Кавказа» ].



ფანია ბააზოვი

## „მაქაბი“ საქართველოში

ამ დღეებს, როდესაც ჯერ კიდევ ჟღერს აღორძინებულ ისრაელში ახლახან ჩატარებული X მაქაბიადის ექო, ნამდვილად შეეფერება გავიხსენოთ, რომ შორეულ საქართველოში 50 წლის წინათ წარმოშობილი – ქართველ ებრაელთა ისტორიაში უმაგალითო ეროვნულ-კულტურული მოძრაობაც მაქაბის (ქართულად „მაკავეელი“) სახელს ატარებდა.

ბედმა ასე ინება და ქართველ ებრაელთა შორის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების – თავისი მასშტაბებით ყველაზე ფართო და თავისი მნიშვნელობით ყველაზე ღრმა – მოძრაობა განვითარდა საქართველოში ბოლშევიკების მოსვლის შემდგომ პირველ წლებში, ანუ 1921-1925 წლებში.

საქართველოში სიონიზმის დამაარსებელი დავით ბააზოვი უწინ მრავალწლიან თავდადებულ ბრძოლას აწარმოებდა, რათა საღათას ძილისაგან გამოეფხიზლებინა ქართველი ებრაელები, რათა მათ შეეგნოთ თავიანთი ეროვნული არსი; და ამას აკეთებდა მაშინ, როდესაც განუწყვეტლივ იყო იძულებული მოეგერიებინა გააფთრებული თავდასხმები, ერთი მხრივ ფანატიკოსი რაბინებისა, რომლებიც დაუნდობლად სპობდნენ ეროვნული აღორძინების ყოველგვარ გამოვლინებას და ცდილობდნენ ძირშივე აღმოეფხვრათ ყოველგვარი მისწრაფება განათლებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ ასიმილატორებისა, ებრაული ბურჟუაზიის წარმომადგენლებისა, რომლებიც ემხრობოდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. დამოუკიდებელი საქართველოს დაცემის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. საქართველოში ბოლშევიკები რომ მოვიდნენ, ყოფილი თავისუფალი საქართველოს მთავრობასთან ერთად საქართველოდან წავიდნენ ებრაული ეროვნული მოძრაობის ყველაზე დაუძინებელი მტრები — მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი ასიმილატორებიც და ფანატიკოსი რაბინებიც, რომლებიც მესიის მოსვლის მოლოდინში თურქეთში დასახლდნენ.

ამავე დროს ბოლშევიკების მიერ ანკესად გადმოსროლილ ლოზუნგს ხალხთა თანასწორობასა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებაზე წამოეგო ყველა მცირე და დაჩაგრული ხალხი. ამ ლოზუნგს ჩაეჭიდნენ დავით ბააზოვიც, ნათან ელიაშვილიც და მათი თანამებრძოლებიც.

ამ ხანებში — სულ სხვა ისტორიულ ვითარებაში — ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდის დ. ბააზოვის ვაჟიშვილი, პოეტი გერცელ ბააზოვი, რომელიც მამამისთან და ნათან ელიაშვილთან ერთად სათავეში უდგება საქართველოში მანამდე არნახულ და წარმოუდგენელ ფართო ეროვნულ მოძრაობას — საუკუნეთა მანძილზე უკიდურეს გაჭირვებასა და წყვდიადში მყოფი ებრაელთა ფართო ფენების განათლებისათვის, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისათვის.

საქართველოს მრავალ ქალაქსა და რაიონში გაიხსნა სპეციალური სკოლები ებრაელი ბავშვებისათვის, დაარსდა ბიბლიოთეკები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებანი. 1921 წელს თბილისში დაარსებული 102-ე ებრაული სკოლა სწრაფად იქცა ეროვნული კულტურის მძლავრ კერად. ქართულ პრესაში მამა-შვილმა ბააზოვებმა წამოაყენეს მკვეთრი და გაბედული მოთხოვნები და მიაღწიეს, რომ მთავრობას ნება დაერთო ამ სკოლაში ესწავლებინათ ძველებრაული ენა, ებრაელთა ისტორია და ებრაული ლიტერატურა.

ეს სკოლა იქცა არნახული კულტურულ-ეროვნული საქმიანობის ცენტრად; ამ სკოლის მოსწავლეები აწყობდნენ მუსიკალურ-ლიტერატურულ საღამოებს: მღეროდნენ ებრაულ სიმღერებს, დგამდნენ პიესებს ებრაულ ენაზე ან ებრაელთა პიესებს ქართულად.

ამავე პერიოდში გ. ბააზოვმა ჩამოაყალიბა დრამატული წრე „კადიმა“, რომელმაც საქართველოში ცნობილი რეჟისორის დ. ანთაძის ხელმძღვანელობით თბილისის ერთ-ერთ თეატრში წარმოადგინა გერცელ ბააზოვის პიესები და, ასევე, სხვა ებრაელ ავტორთა რამდენიმე პიესა, რომლებიც ნათან ელიაშვილმა თარგმნა.

ამ საღამოებმა და „კადიმას“ სპექტაკლებმა უზარმაზარი საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა შეიძინეს. ამის დასტურად თუნდაც ის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საღამოებისა და სპეტაკლების დარბაზებსა და თეატრის ფოიეში ამაყად დააბიჯებდნენ ებრაული საზოგადოებრიობის ასობით წარმომადგენლები, რომლებსაც მკერდზე ებნიათ 102-ე ებრაული სკოლის მოსწავლეთა მიერ დარიგებული ნიშანი თეოდორ ჰერცლის გამოსახულებით.

საქართველოში ებრაელთა აღორძინების ამ პერიოდის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია გ. ბააზოვის ინიციატივით დაარსებული ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი, რომელსაც მისივე წინადადებით „მაკავეელი“ დაარქვეს.

ამ გაზეთის შემქმნელთა მიზნები, სურვილები და მისწრაფებანი აისახა მისი პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში:

„ჩვენი გაზეთი „მაკავეელი“ არის გამოძახილი ამ სულიერი მოძრაობისა, ამ გარდატეხისა ჩვენ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში. თვით სახელი „მაკავეელი“, სახელი ისტორიული ეროვნული გმირისა, სიმბოლოა ერის დაუშრეტელი გენიისა, მარადი ბრძოლის უნარისა და ეროვნულ-კულტურულ აღორძინებისა...

იგი იდგება ეროვნულ თვითგამორკვევის ჰრინციპზე, სასტიკად შეებრძოლება ასიმილაციის ტენდენციას, საქართველოს ებრაელთა ეროვნული სახეობის წარსოცის ცდას და იგი შეეცდება, რომ ეს ნაწილი მსოფლიო ებრაელი ერისა აამაღლოს კულტურულად, აიყვანოს იმ მაღალ ინტელექტუალურ დონემდე, რომლამდინაც მიღწეულნი არიან მისი მომმენი დედამიწის სხვა და სხვა კუთხეებში, რომ ისიც ჩადგეს საკაცობრიო ჰროგრესისათვის მებრძოლთა ჰირველ რიგებში.“

იმავე, პირველ ნომერში — სტატიაში „მაკავეელი“ — გერცელ ბააზოვი წერდა:

„მაკავეელი“ უნდა იყოს ის ორგანო, სადაც უნდა მოიხაზოს ტიპი და დაისატოს ჰორტრეტი მებრძოლი ებრაელის. რამდენად გაამართლებს „მაკავეელი“ დაკისრებულ მოვალეობას, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ მისი მიმართულება უნდა იყოს აქითკენ, მისი გეზი ასეთი უნდა იყოს.

როგორც ოდესღაც სირიელებთან ბრძოლის დროს მაკავეელთა გვარი ებრაელებისათვის წარმოადგენდა გამამხნევებელ იარაღს — შველის სიმბოლოს — ისე დღეს ჩვენი „მაკავეელიც“ საქართველოს ებრაელთათვის უნდა იქცეს სულიერი შველის სიმბოლოდ.

ეროვნული აღორძინების მაღალი და ნათელი იდეალებით შეიარაღებული გაზეთი „მაკავეელი“ ასახავდა ქართველ ებრაელთა ცხოვრებისეულ სიღრმეებს, მაგრამ, იმავე დროს, არ იზღუდებოდა ქართველ ებრაელთა მწვავე

№ 1. ორკვიჩეული ლიტერატურუ

## ჩვენი გაზეთი

## „მაკავე

გაზეთ „მაკავეელის“ I ნომერი

პრობლემებითა და საჭირბოროტო საკითხებით და ფართოდ წარმოადგენდა ებრაელი ხალხის წარსულსა და აწმყოს.

თავისი ხალხის უდიდესი სიყვარულითა და მაკავეელთა შთამომავლობისადმი კუთვნილების სიამაყითაა განმსჭვალული გაზეთ „მაკავეელში“ დაბეჭდილი ლექსები ნათან ელიაშვილისა („ებრაელ ხალხს“) და გერცელ ბააზოვისა („მაკავეელი“, „14 ადარი“); სტატიები დავით ბააზოვისა („ებრაული კულტურა და ებრაელი ხალხი“, „მორდეხაი-ამანი“) და ნათან ელიაშვილისა („ებრაელი ხალხი და ებრაული ენა“).

გაზეთი „მაკავეელი“ დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს ებრაელთა ცხოვრებას დიასპორაშიც და პალესტინაშიც. დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს იერუშალაიმის ებრაული უნივერსიტეტის წინსვლისა და განმტიცების შესახებ. გაზეთს ახარებს და აღელვებს პალესტინიდან მიღებული ცნობები.

ღრმა სულიერი ტკივილია ასახული ნათან ელიაშვილის სტატიაში, რომელიც მიუძღვნა იერუშალაიმში გარდაცვლილ გამოჩენილ მწერალს, ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს ელიეზერ ბენ-იეჰუდას. სტატიით მკითხველი ეცნობა ამ უდიდესი პატრიოტის — თანამედროვე სალაპარაკო ებრაული ენის შემქმნელის, იმ ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე, უზარმაზარი ნიჭი და დიდი ცოდნა მიუძღვნა თავისი ხალხის სამსახურს.

♦

მოკლე გამოდგა გაზეთ „მაკავეელის“ ცხოვრების გზა. გამოვიდა მხოლოდ სამი ნომერი, ხოლო მეოთხეს — დაბეჭდილსა და გამოსაცემად გამზადებულს — ხელისუფლებამ სტამბაშივე გაუკეთა კონფისკაცია მოულოდნელად. „დიადი ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ პრინციპებით აღჭურვილ კომუნისტებს არ მოეწონათ ეროვნული სულისკვეთება, რასაც გამოხატავდა გაზეთი „მაკავეელი“ და მოაშთეს გაზეთი.

მაგრამ „მაკავეელმა“ მაინც შეასრულა თავისი ისტორიული როლი და ხელისუფლებას არ ძალუძდა მოეშთო გაზეთის მიერ აღძრული გრძნობები და აზრები. და თუმცა „მაკავეელის“ დაკეტვის მერე ჩქარა აკრძალეს ებრაული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება და მოსპეს ეროვნული კულტურის სხვა კერებიც, აღარასოდეს ჩამქრალა „მაკავეელის“ მიერ 1924 წელს ნასროლი ნაპერწკლები. ისინი კვლავ აგიზგიზდნენ 70-იანი წლების დასაწყისში, რათა გზა გაენათებინათ თავიანთი ისტორიული სამშობლოსკენ დაძრულ ქართველ ებრაელთა დიდი ალიისათვის.

გაზ. «Наша страна»
15. VIII. 1977 წელი

ლატავრა შანშიაშვილი

# მეგობრების არდავიწყება
## (სანდრო შანშიაშვილის არქივიდან)

> მამაჩემი, პოეტი-დრამატურგი სანდრო შანშიაშვილი, ოთხმოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ხშირად ჩაფიქრებული იყო. ერთხელ შევეკითხე: მამა, რატომ ხარ ჩაფიქრებული, რაზე ფიქრობ-მეთქი. მამამ მიპასუხა: ჰე, შვილო, უდროოდ წასული მეგობრები მაგონდებიანო და ჩამოთვალა ადრე გარდაცვლილი მწერლები თუ საზოგადო მოღვაწენი და მათ შორის ბატონი გერცელ ბააზოვი. აი, რას წერს სანდრო შანშიაშვილი ბატონი გერცელის შესახებ:

მე და გერცელ ბააზოვს ახლო ურთიერთობა გვქონდა. იგი ჩემზე, თუ არა ვცდები, თექვსმეტი წლით უმცროსი იყო. ნიჭიერი და განათლებული გერცელი უმცროს ძმასავით მიყვარდა და მასთან შეხვედრა და მუსაიფი მუდამ მიხაროდა. ჩემთან ხშირად შემოივლიდა ხოლმე. ჩემს გოგონებს ცისიას და ლატავრას მოესიყვარულებოდა, მოეფერებოდა, ჩემი მეუღლე მარიამი კი ამასობაში სუფრას გაშლიდა და მე და გერცელი მაგიდასთან დიდხანს ვსაუბრობდით პოეზიაზე, დრამატურგიაზე, ვსმვამდით სადღეგრძელოებს და ვიგონებდით კეთილ ადამიანებს.

> სანდრო შანშიაშვილი იხსენებს ბატონ გერცელის პიესის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ დადგმას მარჯანიშვილის სახელობის თეატრში:

დარბაზი ხალხით იყო სავსე. გერცელი ცოტა ღელავდა, მაგრამ პრემიერამ შესანიშნავად ჩაიარა და დიდი მოწონება ხვდა. მე გერცელს გადავეხვიე, გამარჯვება მივულოცე და ვუთხარი: ამ პიესით ქართველ ხალხს გააცნო ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება, მათი ხასიათი, სიკეთე და ერთგულება. შენი შემოქმედება, ჩემო გერცელ, ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის სიყვარულის და მეგობრობის ხიდია და ეს ხიდი არასოდეს არ ჩაინგრევა.

> სანდრო შანშიაშვილი იხსენებს გერცელ ბააზოვის წაყვანას თავის სოფელ ჯუგაანში, საიდანაც გომბორის წვერზე გაშენებული ქალაქი სიღნაღი, თავისი ისტორიული გალავნებით, ჩიტის ბუდესავით მოჩანს. ჯუგაანი მამას

ძალიან უყვარდა და იქ ხშირად დაიარებოდა. უყვარდა მამა-ბაბური ორსართულიანი სახლი, იქაური ბარაქიანი მიწა, შრომისმოყვარე და ბატიოსანი გლეხობა და ზღაბრული ბუნება. ყველაფერი ეს თავის ბავშვობას ახსენებდა.

შემოდგომის ერთ დღეს, –აგრძელებს სანდრო შანშიაშვილი, –გერცელი ჯუგაანში წავიყვანე. ვენახებში გაცხარებული რთველი იყო. ჩვენმა ჩასვლამ მთელი ჯუგაანი ფეხზე დააყენა და რთველში წაგვიყვანეს. დაიკლა ციკანი, დაიკლა ბატკანი, აგუზგუზდა ცეცხლი მწვადებისათვის. გაიშალა სუფრა. სუფრას ამშვენებდა თონეში გამომცხვარი თონის პურები, გუდის ყველი, ცივად მოხარშული დედლები, ყაურმა და შამფურზე წამოცმული მწვადები. რქაწითელის ღვინო შარბათივით ისმებოდა. პირველი სადღეგრძელო სტუმარს მიუძღვნეს და თან კახური მრავალჟამიერი დააყოლეს. გერცელი ჯუგაანელების პატივისცემით აღფრთოვანებული იყო და მითხრა, რომ ეს დღე არასოდეს არ დაავიწყდებოდა. იმ ღამეს ჯუგაანში დავრჩით. დილა მზიანი და წყნარი გათენდა. ჩემი სახლის აივნიდან ხელისგულივით მოჩანდა ალაზნის ველი, მდინარე ალაზანი, ჭიაურის ტყე და მწვერვალებდათოვლილი კავკასიონის ქედი. გერცელი დიდხანს უყურებდა ამ სილამაზეს და ბოლოს მითხრა: იცი სანდრო, წერა რომ არ გინდოდეს, აქაური სილამაზე კალამს ხელში აგაღებინებსო.

საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ ქართველი მწერლების მეგობარი გამოჩენილი მწერლები: რუსები, უკრაინელები, ბალტიისპირელები თუ უცხოელები. ზოგიერთები უსათუოდ გუჯაანს უნდა სწვეოდნენ. ისინი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ოთახის კედელზე დარჩა მათი უნიკალური წარწერები: ტიხონოვის, ზაბოლოცკის, ფადეევის, ვენცლოვას, ანდრონიკოვის, ბაჟანის, ვურგუნის და სხვების. ზაბოლოცკიმ ჯუგაანში თარგმნა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და კედელზე ასეთი წარწერა გააკეთა: „თუ არა ჯუგაანში, სანდრო შანშიაშვილის თბილსა და სტუმართმოყვარე მამაბაბურ სახლში, „ბახტრიონს“ სხვაგან ვერა ვთარგნიდი და ვაჟა-ფშაველას რუსულად ვერ ავამღერებდი. აქაური ბუნების სილამაზემ ამაღებინა კალამი ხელში.“

ზაბოლოცკის სიტყვები დაემთხვა გერცელ ბააზოვის ადრე ნათქვამ სიტყვებს. სამწუხაროდ, ბატონი გერცელი ადრე გარდაიცვალა, თორემ კედელზე, სხვა მწერლების წარწერებთან ერთად, უთუოდ მისი წარწერაც დარჩებოდა.

დღეს ჯუგაანში, მამაჩემის მამაბაბურ სახლში, სანდრო შანშიაშვილის მუზეუმია, ხოლო წარწერებიან კედელს მეგობრობის კედელს უწოდებენ.

„სალიტერატურო გაზეთი“,
სექტემბერი, 1996. თბილისი

**იაკობ ჩიკვაშვილი,**
**მზია მამისთვალოვი**

## ინტერვიუ ისტორიკოს
# ილია პაპისმედოვთან

„თბილისში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ 1924 წ. 22 წლის ასაკში მეღირსა წ/კ მცირემცოდნეთა სალიკვიდაციო სკოლის მერხზე დაჯდომა. ჩემი პირველი მასწავლებელი გახლდათ აწ განსვენებული გერცელ ბააზოვი, რომელმაც მრავალ ჩვენთაგანს შთააგონა და გაუღვიძა სწავლის შეძენისა და მისი გაგრძელების წყურვილი."

„თბილისში, ებრაელთა უბანში გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც ჩამოყალიბდა სხვადასხვა წრეები, მათ შორის დრამატული წრე, რომელიც წარმოდგენებს მართავდა ნარიმანოვის სახელობის კლუბში და სხვ. 1932 წელს ღარიბკომთან დაარსდა კულტბაზა, რომელმაც 1933 წელს გახსნილ კულტსახლთან ერთად ჩაატარა უდიდესი მუშაობა თბილისსა და ებრაელთა კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში, სადაც გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, კლუბები, ჩამოყალიბდა ლიტერატურული, დრამატული (შემდგომ დრამსტუდია), მუსიკალური, მხატვრული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წრეები და სექციები. ამ გრანდიოზულ და მჩქეფარე კულტსაგანმანათლებლო საქმიანობას დროდადრო თავკაცობდნენ გ. ბააზოვი, რ. ელიგულაშვილი, მოსე და მორის დანიელოვები, ფ. ბააზოვი, რ. დავარაშვილი, მ. მამისთვალოვი, ა. კრიხელი, მ. (მენაშე) ეხისკელაშვილი, გ. ჩაჩაშვილი და სხვ. კულტბაზა მატერიალურ დახმარებას უწევდა ღარიბ მოსწავლეებს, სტუდენტებს და დამწყებ მწერლებს და ამრიგად სულ რაღაც 10 წლის მანძილზე მეწვრილმანე ხალხის უმრავლესობა თოხისა და დაზგის ხალხად იქცა. ხოლო მოზარდმა თაობამ კალამს მოკიდა ხელი."

„რაც შეეხება ინტლიგენტთა შორის შეხედულებათა სხვადასხვაობას, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ზოგიერთ საკითხზე უთანხმოებას და აზრთა სხვაობას, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხების მოგვარებაში შეთანხმებული მუშაობა მიმდინარეობდა."

კითხვაზე თუ ვინ მიაჩნია მას თავისი თაობის ქართველი ებრაელი ინტელიგენციის ყველაზე მნიშვნელოვან და ორიგინალური ღირსების მქონე ადამიანად, ამაზე ი. პაპისმედოვი პასუხობს, რომ „პირველყოვლისა, გერცელ ბააზოვი, რომელიც ბრწყინვალე შუქურად აენთო საქართველოს ებრაელთა მოღრუბლულ ცაზე. წინა და მისი თაობის ინტელიგენტთაგან ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობდნენ იოსებ (სოსო) მოშიაშვილი, მიხაკო თავდიდიშვილი, მიშა კაკიტელაშვილი, დავით შაფთოშვილი, რაფო ელიგულაშვი-

ლი, გერშონ მეგრელიშვილი, ბ. გაგულაშვილი და სხვ. ქალთა შორის გამოირჩეოდა ქ-ნი ფანი ბააზოვი, რომელიც, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ერის ქამთა სიავისას უყოყმანოდ შეასრულებდა ბიბლიური გმირი ქალების — დებორას, ესთერის ან თუ გნებავთ ივდითის როლს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ."

**გაზ. „ალია", № 483,**

29.10.80, გვ. 6

ესთერ თეთრუაშვილი

# სკოლა ივრითზე თბილისში

თითქოსდა მძლავრი ქარიშხალი ამოვარდაო, ყველაფერი როგორ შეირყა და აწრიალდა — თბილისში კაშენის ქუჩაზე შვიდწლიანი სკოლა დაარსდა „ღარიბ ებრაელთა 102 სკოლის" სახელწოდებით. ეს იყო 1921 წელს. თუ ადრე არ იცოდნენ სკოლა რა იყო, მერხი თვალით არ დაენახათ, დღეს ებრაელი ბავშვების უმრავლესობა სკოლის კედლებს შუა აღმოჩნდა, მერხებს მიუსხდა და სწავლას დაეწაფა მოწყურებული. სინამდვილეში ეს სკოლა ებრაელ ბავშვთა ავტონომია უფრო იყო — აქ მარტო ებრაელი ბავშვები სწავლობდნენ. სხვა საგნებთან ერთად ივრითულ ენასაც ასწავლიდნენ. დასვენებით ბავშვებს შაბათობით ასვენებდნენ. სკოლის დირექტორი ებრაელი იყო, იეხისკიელ გოკიელოვი — დიდად განსწავლული და განათლებული კაცი. პედაგოგები კი უმთავრესად ქართველები იყვნენ, მაგრამ რა? ჩვენ მათგან არც სითბო გვაკლდა და არც ზრუნვა. არც ერთი მათგანი არ ზოგავდა არც ძალას, არც ღონეს, რომ ჩვენ, ბავშვებს უკეთესად გვესწავლა და ნამდვილი ადამიანები გავმხდარიყავით. განა ამას არ ამტკიცებს პედაგოგ ნინო მაისურაძის საქციელი, პედაგოგიურ საბჭოზე ისტერიკა რომ დაემართა, როცა ერთ-ერთ უნიჭიერეს, მაგრამ გახულიგნებულ მოწაფეს სკოლიდან გაძევება დაუპირეს? საქმე ის არის ხულიგანი გამოვასწოროთო, წესიერი ბავშვი თავისთავადაც აღიზრდებაო, თვალცრემლიანი უმტკიცებდა ყველას. ამიტომაც იყო, რომ სკოლას ჩამორჩენილთა სკოლას უწოდებდნენ. სინამდვილეში კი იქ სწავლისა და აღზრდის საქმეს მაგარი საძირკველი გააჩნდა. უფრო მეტიც, ვიდრე სხვა სახელმოხვეჭილ სკოლებს. ამიტომაც შესძლო სკოლამ ბევრი სასახელო შვილი აღეზარდა. მეირ ბააზოვმაც ხომ ეს სკოლა დაამთავრა.

მეირისთანა კიდევ რამდენი ჩამოგითვალოთ.

ცოტა ეკონომიურად გვიჭირდა. ბავშვების უმრავლესობა მრავალშვილიანი ღარიბი ოჯახებიდან ვიყავით. ხანდახან უბრალო რვეულის ყიდვაც კი მთელი პრობლემა ხდებოდა. მაგრამ ფიზიკის კანონისა არ იყოს, დიდ დაწოლას თან დიდი წინააღმდეგობა ახლავს. გაჭირვება და დაბრკოლება თუ დიდი იყო, სწავლის სურვილი უფრო მეტად აჭარბებდა. უფრო მეტად ვცდილობდით, მეტად ვბეჯითობდით.

მოკლედ რომ ვთქვათ, პედაგოგები დარჩეულნი იყვნენ, მაგრამ ხომ უთქვამთ, მჯობზედ მჯობი არ დაილევაო. გერცელ ბააზოვი რომ იყო ჩვენთვის, ტყუილია, არ მოხდება. ის შუქი იყო ჩვენთვის, ნამდვილი ელექტრონი. ჯერ მარტო მისი გარეგნობა როგორ გვაამაყებდა ბავშვებს. რა ახალგაზრდა იყო, როგორი ვაჟკაცი, ლამაზი. ქერა სახის იყო, თვალები ცისფერი ჰქონდა, მეოცნებე. ვინც დაინახავდა, ყველას თვალი ზედ რჩებოდა. ამას ზედ დაუმატეთ მისი სიცოცხლისუნარიანობა, მისი სწრაფი, მოუსვენარი ხასიათი, მისი უაღრესი ერთგულება ბავშვებისადმი.

მოკლედ რომ ვთქვათ, მოვიდა გერცელი და სკოლის კედლებს სული ჩაუდგა. გამოცოცხლდა სკოლა. როგორი შთამბეჭდავი იყო მისი ყოველი გაკვეთილი, როგორ ახარებდა მოწაფის მიერ შესწავლილი თითოეული ივრითული სიტყვა. როგორ აღაფრთოვანებდა მას ჩვენს მიერ დაზეპირებული ყოველი ივრითული ლექსი. სულ გვარიგებდა, სულ შთაგვაგონებდა, სულ სწავლისაკენ მოგვიწოდებდა ბავშვებს. რამდენ სიხარულს გვანიჭებდა მის მიერ ჩამოყალიბებული დრამწრე, კედლის გაზეთი, ლიტერატურული წრე. მისი რეჟისორობით ბავშვები ისეთ აქტიორებად იქცნენ, რომ სცენის მაყურებელთა სიცილი დარბაზს აყრუებდა თუ ისინი კომედიას თამაშობდნენ, დრამის შემთხვევაში კი დუღდნენ და გადმოდიოდნენ ცრემლები. მაყურებლები გაოცებულნი იყვნენ მათი ოსტატობით. კედლის გაზეთშიც იწერებოდნენ და იწერებოდნენ პატარ-პატარა მოთხრობები, ლექსები, ფელეტონები, რომლებიც თანდათან უფრო იხვეწებოდნენ, უმჯობესდებოდნენ.

ვაწყობდით აგრეთვე ლიტერატურულ საღამოებსაც, ვარჩევდით ხოლმე სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებებს, მოქმედ პირებს ვასამართლებდით ხოლმე. აქაც არ გვაკლდა გერცელის არც დარიგება და არც დახმარება. რამდენჯერმე ლექციებზეც დაგვასწრო. ერთხელ კიდევ მისი ხელმძღვანელობით მიტინგსაც დავესწარით.

მიტინგი სალოცავის წინ დავით ბააზოვმა მოაწყო. მიტინგს დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის ქართველებიც ერივნენ. ესენი მთავრობის წარმომადგენლობიდან იყვნენ. ისინი აქ თვითონ დავით ბააზოვმა მოიწვია. ორატორები ორატორებს ცვლიდნენ, ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ ებრაელი ხალხის ხან აწმყოზე, ხან წარსულზე. დავით ბააზოვმა ხომ თავისი მგზნებარე სიტყვით ყველა აღტაცებაში მოიყვანა. რისი თქმა უნდოდა?

უფრო რა აინტერესებდა მას? როგორც მეგრელი გურულს ვერ იტანდა, გურული იმერელს, იმერელს კახელი დასანახავად სძულდა, ძირითადში კი ყველას ერთი სალოცავი ხატი გააჩნდათ — ეს ხატი კი საქართველო იყო, ასევე იქცეოდნენ ებრაელებიც. ახალციხელებს, ცხინვალელებს და ქუთაისლებს „ძიძგი, ძიძგი, მამალო!“ ჰქონდათ გამართული ერთმანეთში, ვერა და ვერ რიგდებოდნენ. ყველა კი ერთი უბედური ბედისანი იყვნენ, მოკლებულნი საკუთარ კერასა და საკუთარ ენას. დავითიც სწორედ მაგაზედ მიუთითებდა ყველას, რა სარგებლობას მოგიტანთო ეს კინკლაობა, ეკითხებოდა ის ხალხს. ებრაელი ხალხის სულელური განხეთქილება გულს უწუხებდა დავითს. სხვათა შორის, ერთი-ორჯერ წილად მხვდა ვახშამს შევსწრებოდი დავით ბააზოვის თანდასწრებით. სახელდობრ, ჩემი სიძის, ხახამ ისრაელის ოჯახში. ჩემი სიძე დავით ბააზოვს ძალიან დიდ პატივს სცემდა და მისი აზრების დიდი მოზიარეც იყო. აქაც პატივცემული დავითი მთავარ, მნიშვნელოვან ფაქტორს ებრაელთა ერთსულოვნებაში ხედავდა.

გადიოდნენ დღეები, წლები. სკოლაში სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. სიცოცხლე მეტად შინაარსიანი იყო. ვსწავლობდით, ვიზრდებოდით ფიზიკურადაც, ცოდნითაც და სულიერადაც. მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია? ჰოდა, ეს ერთი დრო ჩვენც არ შეგვრჩა. დაგვიდგა შავ-ბნელი, უბედური დღეც.

კლასში გერცელი შემოვიდა. მაგრამ არა ის გერცელი, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით, მუდამ მომღიმარს, მხიარულს. დღეს ის დაღონებული იყო, მდუმარე. ჩვენც დაგვაღონა ძალიან. გვამცნო, რომ დღეიდან ჩვენი დედაენის, ივრითის სწავლა გვეკრძალებოდა. თითქოს მეხი დაგვეცაო, ისე ვიგრძენით თავი ნორჩებმა. ღელავდა ჩვენი მასწავლებელი და ვღელავდით ჩვენც. „რატომ? რატომ უნდა იყოს ასე? —ვფიქრობდით ყველა, —საკუთარ ენაზე სწავლა ყველას შეეძლოს: რუსს, თათარს, ქართველს, სომეხს და ჩვენ რიღასთვის გაგვხადეს გამონაკლისი?“

ვიტანჯებოდით ყველა მორალურად. ტირილს აღარა უკლდა რა. გერცელი მაინც გვამხნევებდა. მისი აზრით არ უნდა გავჩუმებულიყავით, ხმა უნდა ამოგვეღო უსამართლობის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ბევრი დრო არ გასულა. გერცელმა შეარჩია უფრო მეტად მომზადებული, სანდო ბაშვები და ეს ბავშვები კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით ერთ-ერთი მოსწავლის ბინაზედ არალეგალურად, ჩუმად. ჩვენ რომ ოთახში ვისხედით, დიასახლისი აივანზედ გვიდარაჯებდა. მოკლედ, გერცელმა ნორჩების წრე ჩამოაყალიბა, რომელიც ციონის მიზანს ისახავდა. ამ წრეში შედიოდა თვითონ მეირ ბააზოვიც. წრეში ყველას გვევალებოდა რიგრიგობით დაგვეწერა მოხსენება-რეფერატი, გაგვეშუქებინა საკითხები ებრაელთა ყოფაცხოვრებაზე როგორც წარსულში, ისე აწმყოშიც. ცოტ-ცოტაობით ივრითსაც ვეუფლებოდით. ხანდახან თვითონ გერცელიც შემოგვხედავდა ხოლმე. ერთი-ორჯერ რუსეთიდან

ჩამოსული სიონისტიც კი დაასწრო ჩვენი წრის მეცადინეობას.

გავიდა დრო. ბევრმა მისმა მოწაფემ მოისურვა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში: ზოგმა სამედიცინოზე, ზოგმა ქიმიურზე და კიდევ ვინ მოსთვლის. გერცელს ღარიბკომში ვხვდებოდით ხოლმე. იქ მას საპასუხისმგებლო პოსტი ეჭირა. დაგვინახავდა თუ არა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გერცელს სასტიკად ახარებდა ჩვენი სწრაფვა ცოდნისაკენ.

ასეთი მახსოვს მამა-შვილი დავითი და გერცელი. მათ უმთავრეს მიზანს ებრაელი ერის კეთილდღეობა და მისი აღორძინება შეადგენდა. საბოლოოდ ხომ ორივე მათგანი ამ წმინდა მიზანს შეეწირა.

დადგა უკვე სანატრელი დღე. მკვდრეთით აღდგა ჩვენი დაქცეული სამშობლო, ერეც-ისრაელი. მას ათასობით მოაწყდა სამშობლოს მოწყურებული ალია საქართველოდან.

შეჰყურებენ ისინი აყვავებული სამშობლოს ველ-მინდვრებს და მისი ყურებით ვერა ძღებიან.

ესმით მათ პატარა ბავშვების ჟღურტული, ივრითულად ჩიტებივით რომ ჭიკჭიკობენ. საკუთარ ყურებს ვეღარ უჯერებ.

დავითისა და გერცელის დათესილმა მარცვალმა გაიხარა, ხორცი შეისხა მათმა ოცნებამ.

გაზ. „იმედი", № 185; 9. 4. 76



**სიმა გორელაშვილი**

## მოგონება

მე 102 შრომის სახელობის სკოლაში დავიწყე სწავლა. ჩემი მასწავლებელი იყო დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი თემის ამაგდარი, დიდი განათლებული და ჰუმანისტი გერცელ ბააზოვი. გერცელ ბააზოვის სახელი ყველა ჭეშმარიტი ადამიანისათვის იყო, არის და უნდა იქნეს მარად სანუკვარი.

გერცელი, როგორც პედაგოგი — რაღაცა განსაკუთრებული. მისი ინტელიგენტურობა, მისი სიბრძნით დახუნძლული საუბარი, სულიერი სითბო და სისპეტაკე, სიყვარული ერისა, რომელიც მის ყოველდღიურ მოქმედებაში მჟღავნდებოდა., იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენ — უპირველეს ყოვლისა, ვუ-

ცქეროდით მას როგორც საყვარელ ადამიანს, ხოლო ამის შემდეგ, როგორც მასწავლებელს.

საინტერესოა ერთი ფაქტი. მისი ყოველი გაკვეთილი აღსავსე იყო ებრაელი ერის ისტორიის გაცნობის სიყვარულით, ისრაელის ქვეყნის მოგონებით და ხალხში ჰუმანიზმის დანრგვის წყურვილით. ხშირად, როცა ეს ფართო მხარ-ბეჭიანი, უაღრესად სიმპატიური ახალგაზრდა შემოვიდოდა გაკვეთილზე, ბუნებრივად თავისთავად გაშლიდა ხოლმე მკლავებს და შესანიშნავი დუდუნა ხმით წამოიწყებდა ივრითულ სიმღერას, რომლის სიტყვებიც თვით მას ეკუთვნოდა, ხოლო მუსიკა მიბაძებული იყო ისრაელური ჰიმნის „ჰათიკვას" მოტივს:

ხედერ კატან, ცარ ვე-ხამიმ, ვე-ალ ჰაქირა ეშ,
შამ ჰარაბი ეთ თალმიდა — მორე ალეფ-ბეთ
სიმუ ხაიმ ათ უ აიზე ელ აქათუბო
მი შეიკრა ბაე ყიბრიმ დეგენ ეთ იალა...

ხანუქის სიმღერაც ვისწავლეთ:

/-/-/- ოი, ხანუქა, ოი ხანუქა ჰაიომ ტებაშეინე
/-/-/-/-/-/-/-

საინტერესოა ამ ეპიზოდის მოგონება.

გერცელ ბააზოვი მარად იქნება ყველა შემოქმედის საპატიო და საამაყო თემა.

ჩვენს ჯგუფში ძირითადად სწავლობდნენ ქართველი ებრაელები: კოკიელოვები, ბაგდადიშვილი, ცოცონაშვილი, ხასიდაშვილი. მასწავლებლად იყო მორდეხ დანიელოვი.

1929 წელს ლესელიძის ქ. № 16-ში გაიხსნა პირველი ღარიბ ებრაელთა კომიტეტი, ე. ი. ღარიბკომი. აქ მოწინავე ნაწილში ინიციატივით დავით ბააზოვიც იღებდა, ჩამოყალიბების იდეა პირველად ეკუთვნოდა: ლინეცკი, შაფთოშვილი, ბელატნიცკი, რეზნიკი, ლევიაშვილი. ღარიბკომის მიზანი იყო დახმარება გაეწიათ დაბალი, ხელვიწრო ფენებისათვის.

გერცელის ოჯახისგან ვიცნობდი ფანია ბააზოვას. წარმოუდგენელი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა საქართველოში. მეგობრული კავშირი ჰქონდა კრიტიკოს ბესო ჟღენტთან.

ამ დიდ სახელოვან ოჯახში იკრიბებოდნენ ისრაელიდან ჩამოსული შალიახები. განსაკუთრებით კავშირი მაინც ბააზოვებთან ჰქონდათ. პატ. დავით ბააზოვს ახლოს იცნობდა ქალბატონი ეშეთ-ხაინი დედაჩემი ლია გორელაშვილი. დავითი განუმეორებელი ადამიანი ბრძანდებოდა. ყველა გაგებით აუწონელია მისი როლი იმდროინდელ ქართველი ებრაელების ცხოვრებაში, მისი გავლენა განსაკუთრებულად ძლიერი იყო. მას პატივს ცემდნენ არა მარტო ჩვენხი ხალხი, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც. 1919 წელს დააპირეს აწყურელი ებრაელების გადასახლება. ეს რომ დავით ბააზოვმა

გაიგო, იგი პირადად ეახლა ამირ ფაშას. მან იმდენად დიდი ზეგავლენა იქონია ფაშაზე, რომ ეს გადაწყვეტილება სასწრაფოდ შეაცვლევინა. სპეციალური ნებართვა ჩამოიტანა და ხალხიც დაამშვიდა.

ბააზოვების დიდ ოჯახთან იმდენი სიკეთე და სათნოებაა დაკავშირებული, რომ უბრალო ენა ამას ვერ აღწერს. დავით ბააზოვის უშუალო დახმარებით მოგვიანებით ქართველი ებრაელობა აწყურიდან ახალციხეში გადავიდა და კარგადაც მოიკიდეს ფეხი.

მამის კვალს შვილებიც გაჰყვნენ. — გერცელი, მეირი, ფანია, პოლინა... ჰე, სადღა არიან ახლა ერის ასეთი ვარსკვლავები.

არ დაივიწყოთ წარსული.

პირველ, ფრიადოსან მოსწავლედ ვითვლებოდი გერცელ ბააზოვის ჯგუფში, საიდანაც დამაწინაურეს და თბილისის საბჭოს მე-9 მოწვევის დეპუტატად ამირჩიეს — გერცელ ბააზოვის დახასიათებით.



**მზია მამისთვალოვი,**
**იაკობ ჩიკვაშვილი**

## ჩვენი ესთერი

### (ინტერვიუ ესთერ თეთრუაშვილთან)

**ე. თ.** ...—დაახლოებით 1920 წლიდან ებრაელებმა ახალციხიდან მასობრივად დაიწყეს თბილისში გადასვლა და, ჩემის აზრით, ამის მთავარი მიზეზი იყო უპირველეს ყოვლისა ის ცუდი მატერიალური პირობები, რაც იმდროინდელ ახალციხეში მძვინვარებდა. ჩემმა მშობლებმაც მიატოვა ახალციხე და თბილისს მიაშურა. მაშინ პატარა ბავშვი ვიყავი. დაახლოებით თერთმეტი წლისა.

...ჩვენს თბილისში გადასვლას თან დაემთხვა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.. რევოლუციის შემდეგ ებრაელთა გადასვლას დიდ ქალაქებში უფრო ფართე ხასიათი მიეცა. ამ პერიოდში საქართველოში უკვე მოღვაწეობდა დიდი რაბი და სიონისტი დავით ბაზოვი, რომელთანაც დიდი მეგობრული კავშირი აკავშირებდა მამას. ეს კავშირი ჩვენი თბილისში გადასვლის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა.

**ი. ჩ.** —დავით ბააზოვს პირადად იცნობდით? როგორი დარჩა თქვენს მეხსიერებაში ეს დიდი ადამიანი?

**ე. თ.** —ასეთი პიროვნებები ერთეულები გვყავდნენ და გვყვანან. ეს უაღრესად

განათლებული და კულტურული ადამიანი მთელს საქართველოზე ახდენდა გავლენას. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, ყველგან მოუწოდებდა ხალხს სწავლა-განათლებისაკენ, ურთიერთ სიყვარულისაკენ. ასეთივე გზა აირჩიეს მისმა შვილებმაც. უპირველეს ყოვლისა კი — დიდმა გერცელ ბააზოვმა.

**ი. ჩ.** —ალბათ გერცელსაც იცნობდით და ბევრი რამ გექნებათ მოსაგონარი მისი ცხოვრებიდან.

**პასუხი:** როგორ არ ვიცნობდი, ის ხომ ჩემი მასწავლებელი იყო. ჰუმანიტარულ საგნებს მასწავლიდა, აგრეთვე ივრითს — გარკვეული დროის განმავლობაში. ამ თემაზე ბევრი რამ შემიძლია მოგითხროთ საუბრის მსვლელობაში.

**ი. ჩ.** —ეს საინტერესო საკითხია. დრო ბევრი გვაქვს და გთხოვთ მოიგონოთ შორეული წარსულის ეს პერიოდი.

**ე. ო.** —თბილისში იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, კლდის უბანს უწოდებდნენ. შემდეგ მას ფეთხაინის უბანი დაერქვა. რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საკითხს. ეს ამბავი განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა ებრაელთა შორის. რადგან, როგორც ცნობილია, ბევრი დიდი რაბი წინააღმდეგი წავიდა ჩვენი ბავშვები გაეშვათ სკოლებში. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით მომავალი თაობა თითქოსდა ჩამოშორდებოდა რწმენას, თორას, გამჩენის გზას. დავით ბააზოვმა დიდი დაბრკოლებები გამოიარა ამის გამო. იგი მუდამ მოუწოდებდა ხალხს სწავლა-განათლებისაკენ, კულტურისაკენ. პარალელურად თორისა და ტრადიციების დაცვით. ეს ბევრმა სწორად ვერ გაიგო თავის დროზე. ამ კუთხითაც გამოჩნდა დავით ბააზოვის განსაკუთრებულება.

**ი. ჩ.** —თქვენ ახსენეთ, რომ გერცელ ბააზოვი გასწავლიდათ. რას მოიგონებდით იმ წლებზე?

**ე. ო.** —1921 წელს თბილისში დაარსდა ღარიბ ებრაელთა სახელობის სკოლა, რომელსაც დიდი პიროვნება, უაღრესად განათლებული კაცი იეხიზკიელ გოკიელოვი ხელმძღვანელობდა. ეს იყო დიდი, ებრაელი ხალხის და სიმართლის მოყვარული ადამიანი. ამ სკოლაში მხოლოდ ებრაელი ბავშვები სწავლობდნენ. შაბათობით არ იყო სწავლება და, რაც მთავარია, ვსწავლობდით ივრითსაც. კერძოდ. გერცელ ბააზოვი გვასწავლიდა ივრითს. გერცელი იყო შესანიშნავი პედაგოგი, გულისხმიერი და კაცთმოყვარე, თავისი საქმის უაღრესად მოყვარული და მშრომელი. იგი უდიდესი მონდომებით გვაყვარებდა ქართულ ლიტერატურას და მშობლიურ ივრითულ ენას. გერცელი არასოდეს კმაყოფილდებოდა მხოლოდ პედაგოგიური მოღვაწეობით. მისი ხელმძღვანელობით სკოლაში ჩამოყალიბდა დრამატული წრე, გამოდიოდა ყოველკვირეული კედლის გაზეთი და, ერთი სიტყვით, ნამდვილად სჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება. ყოველ მის მოღვაწეობაში თუ მოქმედებაში ცდილობდა ჩვენში ჩაენერგა სიონის სიყვარული. ხშირად ვაწყობდით

ლიტერატურულ საღამოებს, შეხვედრებს, სადაც ძირითადად ვარჩევდით ცნობილ მწერალთა ნაწარმოებებს, მიმდინარე სპექტაკლებს. ეს შეხვედრები ძალიან საინტერესონი იყვნენ და ბევრს გვაძლევდნენ მოსწავლე-ახალგაზრდებს. 1926 წელს სახელმწიფომ აკრძალა ივრითის სწავლება, რომელიც ძალიან განიცადა თვით გერცელმა. აღნიშნულმა მდგომარეობამ იგი სულიერად როდი დასცა. პირიქით, მან უფრო მეტად გააძლიერა მოქმედება ამ მიმართულებით. ჩვენ, ბავშვებს იგი ყოველთვის მიგვითითებდა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გვებრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, დაგვეცვა სიმართლე და დაჩაგრული, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, განურჩევლად ეროვნებისა. ასეთი იყო გერცელი და ასეთად დარჩა იგი. იგი განუმეორებელი პიროვნება იყო.

**ი. ჩ.** —გეთანხმებით. თქვენი დრამატული წრიდან, სკოლიდან, აი, იმ ლიტერატურული წრიდან თუ მოიგონებდით იმ პიროვნებებს. თუმცა მას შემდეგ თითქმის სამოცი წელი გავიდა.

**ე. თ.** —რატომაც არა. კიდევ ბევრი მახსოვს და ზოგიერთი ისრაელში ცხოვრობს იმათთაგანი. გერცელ ბააზოვის ყოფილი მოსწავლეები, მაგალითად, თბილისის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, ქალბატონი გორელაშვილი, რომელზედაც თქვენ სწერდით ამავე რუბრიკაში რამდენიმე ხნის წინათ; შესანიშნავ მსახიობებად ითვლებოდნენ ამ დრამატულ წრეში (რომელსაც გერცელი ხელმძღვანელობდა), აგრეთვე შესანიშნავ მოსწავლეებად, განსაკუთრებით მაინც ივრითის შესწავლაში ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ მორდეხ დანიელოვი (მასზე წერდა ჩვენს გაზეთში დინა დავარაშვილი), გერცელ ჩაჩაშვილი და სხვა. გერცელმა ამ ნიჭიერი ბავშვებისაგან შეადგინა სიონისტური ჯგუფი და აგრძელებდა მათთან მუშაობას ერთ-ერთი ამხანაგის ბინაზე...

**ი. ჩ.** —იმ პერიოდისათვის უკვე იცნობდით გერცელ ბააზოვს, როგორც მწერალსა და დრამატურგს?

**ე. თ.** —გერცელ ბააზოვს ორმოცი წელიც კი არ უცხოვრია. მას ტრაგიკულად მოუსპეს სიცოცხლე. მან სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე მიიპყრო უდიდესი ყურადღება და მისი ღვაწლი ლიტერატურაში ფასდაუდებელია. მან მთელი საუკუნე შექმნა და მადლიერი ქართველი ებრაელობა არასოდეს დაივიწყებს მის გამორჩეულ შვილს ბააზოვების დიდი ოჯახიდან.

**ი. ჩ.** —კიდევ ვის მოიგონებდით გერცელის მოსწავლეებიდან? როგორც ჩემთვისაა ცნობილი, მან ბევრი სახელოვანი ადამიანი გაზარდა და დღესაც მოღვაწეობენ მისი აღზრდილნი აქ თუ საქართველოში.

**ე. თ.** —თვით მისი ძმა მეირ ბააზოვი გერცელის ჯგუფში სწავლობდა. შემიძლია დაგისახელოთ მორდეხ დანიელოვი, საქართველოს რკინიგზის მთავარი ინჟინერი. გერცელის ხელში ბევრი აქ საკმაოდ ცნობილი ადამიანი გაიზარდა და ყველას აქ ჩამოთვლა ძნელი საქმეა...

**ი. ჩ.** –ეს ტრადიციები (ლიტერატურული შეხვედრებისა), როგორც თქვენი საუბრიდან ჩანს, ჯერ კიდევ თქვენი ბავშობიდან დაწყებულა გერცელ ბააზოვის მხრიდან და ეს მისასალმებელია. კიდევ რა თემებზე საუბრობდით ამ შეხვედრებზე განსაკუთრებით.

**ე. ო.** –დავით ბააზოვს ვბაძავდით. ყველას მოვუწოდებდით სამშობლოსა და ერის სიყვარულს, ერთმანეთის დაფასებას, ერთობას, სიმართლეს და პატიოსნებას ვქადაგებდით. ასე, რომ ამ საღამოებზე ბევრი რამ ითქმოდა და ბევრსაც ვეცნობოდით. ადამიანებს ძალიან მოსწონდათ და უყვარდათ ასეთი შეხვედრები და მათზე ყოველთვის ხალხმრავლობა იყო.

გაზ. „ალია“, № 774; 23. 7. 85

(იბეჭდება ნაწყვეტები)



**დოდო ანთაძე**

## „კადიმა“

მაშინ თეატრში ვმუშაობდით რეჟისორის სამი თანაშემწე. თავისუფალ დროს, გარდა იმისა, რომ უმაღლეს სასწავლებელში ვმეცადინეობდით, აგრეთვე ვახერხებდით სხვადასხვა დრამატულ წრეების ხელმძღვანელობას. კერძოდ, ამ საქმიანობას კუკური პატარიძე და მე ვეწეოდით, ხოლო განსვენებული ალ. გველესიანი თეატრშიც აგრეთვე დირიჟორად მუშაობდა და კონსერვატორიაშიც სწავლობდა სადირიჟორო ფაკულტეტზე; თვითმოქმედ ჯგუფებში მუშაობისთვის მას დრო არ ჰქონდა. შემდეგში საშა გველესიანმა სადირიჟორო კლასი წარმატებით დაასრულა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან დირიჟორად.

...მე გახლდით მიწვეული რეჟისორად ქართველ ებრაელთა დრამატულ წრეში, რომელსაც „კადიმა“ („წინსვლა“) ეწოდებოდა.. ამ წრის სულისჩამდგმელი იყო მაშინ დამწყები მწერალი, შემდეგ ცნობილი დრამატურგი, გერცელ ბააზოვი. აქტიურად იყო ჩაბმული ამ წრის მუშაობაში მთელი მისი ოჯახი, –მამა და და-ძმა. წრის წევრები იყვნენ, ხაიმ და ფანია ბააზოვების გარდა, ხანან დავარაშვილი, იოსებ და დავით იოსებაშვილები, ილია დავითაშვილი, ფაშა ბახანოვი, იოსებ წიწუაშვილი, მ. დანიელოვი, სიმონ და ილია სიმონიშვილები, ისაკ ჯაჯანაშვილი, შალ. ათინელოვი, ცები კანზაველი, სიმონ ელიშაყოვი, ხაიმ გორელიშვილი, აბრამ მანაშეროვი და მენაშე იეგისკიელაშვილი.

ภาพที่ ๑๔ "ปฏิญญาฟอง" ๒๖ มีนาคม

ესენი, მეტწილად, № 102 შრომის სკოლასთან არსებული წ.კ. უცოდინართა სკოლის მოწაფეები გახლდნენ. მათ წრე ჩამოაყალიბეს და დგამდნენ პიესებს, უმთავრესად, ებრაელთა ცხოვრებიდან.

ძალზე უდისციპლინო მსახიობები მყვანდნენ. დღისით ისინი წვრილმან ვაჭრობას ეწეოდნენ. იყვნენ მათ შორის ფეხსაცმელის მწმენდელები, ტკბილეულობითა და ხილეულობით მოვაჭრენი. ქუჩაში ხშირად მომაძახებდნენ ხოლმე: „გამარჯობა, მასწავლებელო!" საღამოს კიდევ რეპეტიციებზე ვხვდებოდით ერთმანეთს. როლების სწავლება მიხდებოდა მოკარნახის მეშვეობით, რადგან წერა-კითხვას არ იყვნენ იმდენად დაუფლებულნი, რომ ტექსტი თვითონ ესწავლათ. ეს ძალზე ართულებდა მდგომარეობას, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიე: წრემ საკმაო ხანს იარსება და რამდენიმე სპექტაკლიც კი დაიდგა.

თემატიკა უფრო ებრაელების წარსული ცხოვრებიდან იყო ნასესხები. პირველ სპექტაკლად დავდგით მეკლერის დრამა „ხასა გივაში". ეს სპექტაკლი წარმატებით წავიდა, დაიდგა ახლანდელ ოფიცერთა სახლის შენობაში. მაყურებელთა შორის, გარდა ქართველი ებრაელებისა, ბევრი იყო ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელი. სპექტაკლმა საზეიმო ხასიათი მიიღო: წარმოთქვეს მისასალმებელი სიტყვები, შესრულებულ იქნა ძველ ებრაულ ენაზე „ინტერნაციონალი". წარმოდგენის შემდეგ წრის მონაწილეები მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს.

შემდეგში ჩვენ განვახორციელეთ გ. ბააზოვის პიესა „საიდუმლო ბინა", რომელიც ასახავდა ესპანელ ებრაელთა ცხოვრებას XVI საუკუნეში, მათ დევნას და ინკვიზიციის საშინელებებს. აქაც იგივე თვითმოქმედებითი წრის წევრები მონაწილეობდნენ, თამაშობდნენ მუდამ მონდომებით და თავდაუზოგავად.

დავდგით აგრეთვე ჩირიკოვის ცნობილი პიესა „ებრაელები", სადაც მთავარი როლის შემსრულებლად მოვიპატიჟეთ ახალგაზრდა მსახიობი პავლე კანდელაკი. შემდგომში ეს დრამწრე შეუერთდა მუშა-ახალგაზრდობის თეატრს, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ გრ. სულიაშვილი, საშა მიქელაძე და სხვ...

ნაწყვეტი წიგნიდან
„ფურცლები ახლო წარსულისა",
თბილისი, 1962, გვ. 241-243.

პროფ. ს. ჯორბენაძე

# გერცელ ბააზოვი – ადვოკატი

გერცელ ბააზოვს ცნობილ დრამატურგსა და ნიჭიერ ბელეტრისტს, სახელგანთქმულ მთარგმნელსა და გამოჩენილ პუბლიცისტს ყველა როდი იცნობს, როგორც იურისტს.

გერცელ ბააზოვმა ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (იგი დაიღუპა 34 წლის ასაკში) ინტენსიური შემოქმედებითი შრომის წყალობით მოასწრო შესამჩნევი კვალი დაეტოვებინა თავის სპეციალობაშიც – განათლებით ხომ იგი იურისტი იყო.

1927 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება. ამის შემდეგ ერთხანს მოსამართლედ მუშაობდა, შემდეგ კი ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მდივნად. 1928–1929 წლებში იგი ჟურნალ „საბჭოთა მშენებლობის“ პასუხისმგებელი მდივანია.

ისევე როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში თავის იურიდიულ შრომებშიც გერცელ ბააზოვი აქტიურად ეხმაურება დროის მწვავე სოციალურ პრობლემებს, კვალდაკვალ მისდევს ცხოვრების დინამიკას და ყოველთვის ახალისა და პროგრესულის მხარეზეა.

...საგნის ღრმა ცოდნითა და პოლიტიკური სიმახვილითაა დაწერილი გერცელ ბააზოვის წერილი „იუსტიციის ამოცანები ანტისემიტიზმთან ბრძოლაში“. იგი „საბჭოთა სამართლის“ 1929 წლის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა.

გერცელ ბააზოვი მეცნიერულ ანალიზს უკეთებს ანტისემიტიზმის ისტორიულ ფესვებს. აღნიშნავს რომ რუსეთის იმპერიამ განსაკუთრებით ისახელა თავი ანტისემიტიზმით – პოგრომების უწყვეტი სერიებით.

საინტერესოა გერცელ ბააზოვის თვალსაზრისი საქართველოში ებრაელებისადმი დამოკიდებულებაზე. იგი წერს „ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს და ხაზი გაგვისვია იმ გარემოებისათვის, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც არ იცის ანტისემიტიზმის ცნება, რომ საქართველოში ისტორიულადაც არ ყოფილა პირობები ანტისემიტიზმის განვითარებისათვის და ყოველთვის არსებობდა მეგობრული განწყობილება ებრაელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის; მით უმეტეს ეს მდგომარეობა განმტკიცდა დღეს, როდესაც ხელისუფლების მესაჭედ გახდა თვით მშრომელთა მთავრობა“.

და თუ იგი მაინც საჭიროდ თვლის ისაუბროს ანტისემიტიზმის შესახებ,

ეს იმიტომ, რომ ბოროტმა ძალებმა არ გამოიყენონ ჩამორჩენილი მასის შეგნებაში შემორჩენილი ცრურწმენანი, განსაკუთრებით კი რიტუალის ლეგენდა. გერცელ ბააზოვი შენიშნავს, რომ თუ სხვადასხვა ქვეყნებში შეხვდები შეგნებულ და შეუგნებელ ანტისემიტიზმს „ეს არ ითქმის საქართველოზე. შეგნებული ანტისემიტიზმი საქართველოში არასოდეს არ ყოფილა და არც არის“.

გერცელ ბააზოვი არ იზღუდებოდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ გვერდებზე მხოლოდ იურიდიული ხასიათის სტატიების გამოქვეყნებით. ამ ჟურნალის 1928 წლის მეხუთე ნომერში მან გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი — ქართული უნივერსიტეტის ათი წელი“.

ამ წერილში ნაჩვენებია ის თუ რას უქადდა ქართველ ხალხს და მის კულტურას ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკა. შემდეგ ნაჩვენებია ქართულ უნივერსიტეტის გახსნის ისტორიული მნიშვნელობა. გერცელ ბააზოვი წერს: „დასაწყისში იგი იყო მეტად ნაზი ქმნილება, მაგრამ მალე გაიშალა მისი სამოქმედო ასპარეზი და დღეს ათი წლის თავზე მას შეუძლია გვერდით ამოუდგეს სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებს და სრულიადაც არ გაწითლდეს. ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებს ორ გარემოებაზე: ქართველი ხალხის მიერ კულტურულ ღირებულებათა შეფასების უნარზე და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მეცნიერების დიდ სიყვარულზე და განსაკუთრებულ ზრუნვაზე“. ამასთან გერცელ ბააზოვი მიუთითებს, რომ გარდა მეცნიერების განვითარებისა უნივერსიტეტებს მეორე დანიშნულებაც აქვთ — ხალხთა ძმობისა და მეგობრობის განმტკიცება. ამასთან დაკავშირებით მას მოჰყავს ალბერტ აინშტაინის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა მან პალესტინის უნივერსიტეტის გახსნის დროს.

...ჩვენის მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული უნივერსიტეტის შექმნისათვის ფულად შემოწირულებათა შორის იყო შემოწირულებანი ქართველ ებრაელთა წარმომადგენლნებისაგან. უნივერსიტეტში მისი გახსნისთანავე სწავლობდნენ იქ ქართველი ებრაელები. მათი რიცხვი განუწყვეტლად გაიზარდა. უნივერსიტეტმა აღზარდა ქართველ ებრაელ მეცნიერთა ცნობილი წარმომადგენლები.

თავის პატრიოტულ სტატიას გერცელ ბააზოვი ასე ამთავრებდა:

„დღეს, ქართული უნივერსიტეტის ათი წლის თავზე, ჩვენ — გუშინდელი სტუდენტები ჩვენი ძვირფასი უნივერსიტეტისა, ვერ ავუვლით გულგრილად გვერდს ამ უდიდეს მოვლენას და უაღრესად გულწრფელი და თბილი გრძნობებით მივესალმებით ათწლიან მეცნიერების ტაძარს და ვუსურვებთ მარადიულ წინსვლას — ახალი შემოქმედებისა და მეცნიერების მწვერვალებისაკენ“.

ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1966, № 2
(იბეჭდება ნაწყვეტები)

**მორდეხ (მორის) დანიელოვი**

ნიუ-იორკი 14/X 1990 წელი

დიდი მუხისა შვილო

# ჩემო პაპა!

ამ ოკეანის მიღმიდან გისურვებ დაესწროთ მრავალ „როშ ჰაშანებს“ „ქიფურებს“, „სუქოთებს“ თქვენი ჯანმრთელად ყოფნით და თქვენი სურვილების აღსრულებით... რაც დრო გადის, უკან რომ ვიხედები ჩემს წინ იშლება ის დიდი პანორამა, რომელიც ჩემს ცხოვრებას აკავშირებდა თქვენი ოჯახის სამ მწვერვალთან, მამათქვენთან დავითთან, გერცელთან, მეირთან და იმ გმირ ქალთან, რომლის სახელიც არის ფანი. მართალია, ხაიმი თქვენი ოჯახის წევრი იყო, მაგრამ ჩემი ურთიერთობა მასთან ნაკლები იყო. საბედნიეროდ, თუ სამწუხაროთ ბედმა მე მარგუნა ატორტმანებულ ცხოვრების მოვლენებში ცენტრში ვყოფილიყავი, რომლის ცოცხალი ენციკლოპედიაც მე გავხდი. ახალი იდეების ზღვაში ცურვით, რომელიც შემოიტანა ჭეშმარიტად დიდმა მებრძოლმა და რომლის შუქურა ვარსკვლავის შუქმა ქართველ ებრაელობას გაუშუქა ახალი გზები და რომლის მგზნებარე სულითაც მთელი ჩვენი თაობა დაწყებული თავისი შვილებიდან, ქალიშვილებიდან ჩვენამდე, რაღაც იდუმალი, მანამდე არ სმენილი და არ გაგონილი იდეებით ვგიზგიზებდით. ჩემო დაო პაშა! ჯერ კიდევ ბევრი რამაა უცნობი ჩვენი თაობისათვის ის განვლილი ეკლიანი გზა, რაც ინახულეს დავითმა, გერცელმა და მეირმა და რაც დიდი გმირული, თავშეწირულობით განიცადა ფანიმ. ნუ თუ ყოველივე ის რაც ჩემს გულშია ჩამარხული და რაც ჩემს მემუარებშია ჩაქსოვილი, უნდა მოკვდეს?!

თქვენ უკვე კარგად იცით, რომ ჩემდა საუბედუროდ სად უნდა ვყოფილიყავი და სად ვარ! ავ ბედითმა ტალღამ თავისი გააკეთა და ამერიკაში უნდა დამამთავრებინოს ჩემი უკანასკნელი წუთები სიცოცხლისა. მე ჯერ კიდევ ვცდილობ არ დავემორჩილო ბედს და ჩემი ამბოხური სულით შევერკინო ცხოვრებას. ისტორიები არ უნდა მოკვდენ, არ უნდა ჩაქრეს დიდი სანთელის შუქი, რომელმაც თავისი მძლავრი სხივით შეიტანა ახალი სული და ახალი იდეები ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში, ისტორიაში. დიდი ხანა არაა, რომ ჩემი თანამემამულე, პროგრესიული მოაზროვნე და ჩემი იდეების მოზიარე გერშონ წიწუაშვილისაგან მივიღე წერილი, სადაც მწერს, რომ დღემდე ჩემი მდგომარეობის მიზეზით თუ არ შემეძლო ცხოვრების არენაზე გამოსვლა და

მელაპარაკა ქართველ ებრაელთა ბედ-იღბალზე, მის წარსულზე, რომელშიც მე ვტრიალებდი, ეხლა მაინც გავაცოცხლო ჩემი მემუარები, მოგონებები და ამით ფარდა ავხადო წარსულს. და განა წარსულზე ლაპარაკი შეიძლება დიდი დავითის, მგზნებარე გერცელის, მკვირცხლი ჩემი ძმათ-ნაფიცი მეირის და ივდითის სადარი ფანიას გარეშე! მეც ხომ იმ ცეცხლით ვიწოდი, მეც ხომ იმათი მზით ვიკვებებოდი, ჩემი ცხოვრებაც და სიცოცხლეც ხომ მაბთან იყო დაკავშირებული.

დავითი და გერცელი ამომავალი მზე იყვნენ, რომლებმაც ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში შეიტანეს რა პატრიოტული სული მთელი თაობა, ისტორიის ჩარხი ას ოთხმოცი გრადუსით შეატრიალეს. და განა ეს მგზნებარე სული უნდა ჩაიფერფლოს! განა ისტორიამ თავისი მგზნებარე სიტყვა არ უნდა სთქვას?! მე ეს არ მეპატიება. ისტორია არ მაპატიებს. უნდა დღეს არა, ხვალ გამომზეურდეს ის დიდი ამაგი, თავგანწირულობა, მსხვერპლი რომელიც განიცადა თქვენმა ოჯახმა, რომელიც მძიმე უღელად დაგადგათ ფანის და პირადათ შენ, რომელიც მუდამ განცდათა ბურუსში იყავი და შენი ქანც მორეული ენერგიით ზიდავდი წარსულის მრისხანე წუთებს. მეირი, შიმშონი, ფანი, მე უკვე სხვა გორიზონტზე, სხვა ვითარებაში აღმოვჩნდით. ჩემო პაშა! არც თქვენთვისაა ნაცნობი ჩემი წარსულიც. ამის ცოცხალი მოწმენი კი იყვნენ: მეირი, შიმშონი, მოტკე მამისთვალოვი, გერცელ ჩაჩაშვილი, დანიელოვი მოსე, იოსებ მამისთვალოვი, სონია ბაღდადლიშვილი, არონ კრიხელი, დინა დავარაშვილი, საშა სოლომონოვა და რაც მთავარია დიდი ცეცხლი, რომელმაც ჩემში დაანთო კოცონი **გერცელი**. მოწმენი, გარდა მოსე დანიელოვისა და დინა დავარაშვილისა აღარავინა მყავს. ყველაზედ

გერცელი და მოსე დანიელოვი

ცოცხალი მოწმე ჩემი დღიურებია და მემუარებია. ასეა, თუ ისე, მართალია მე მოწაფე ვიყავი დიდი რაბი დავითისა და ჩემი მასწავლებლები ნათან ელიაშვილისა და გერცელისა, ჩემი ხვედრი მაინც გამოირჩეოდა. ვტრიალებდი რა ამ დიდ ვარსკვლავთა შორის მათ მიერ გამოსულ სხივებს ხარბად ვიტაცებდი და ჩემებური ენერგიით მუდამ მათ გვერდით ვიყავი. ცხოვრებამ ისიც მარგუნა, რომ დამოუკიდებლად გამეშალა ბრძოლის ფრონტი. ასე, რომ ჩემო ძვირფასო პაშა! თქვენი ოჯახის მიერ ანთებული ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა, ბნელეთით მოსილი ქართველ ებრაელთა ცხოვრება მამათქვენის დიდი სანთლის შუქით გაჩირაღდნებულია. მათი თავშეწირვა — ამაოდ არ დაკარგულა. მართალია 81 წელი მალე შემისრულდება, მაგრამ ჩემი გონების ტალღები ჯერ კიდევ საღად აზროვნებენ და მე გადავწყვიტე, პატივცემული გერშონ წიწუაშვილის დახმარებით, თქვენი ჩარევით, ჩემი პირვანდელი მემუარები გადმოვგზავნო მანდ და ალბათ სათანადო შესწორებით იქნეს დაბეჭდილი.

ამ ერთ კვირაში სეროქსით გავამრავლებ და გაუგზავნი გერშონს. მოხდება ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა პერიოდების და მიხედვით. ძალიან ბევრი რამ არაა ცნობილი გერცელის ცხოვრებიდან და ჩემს დღიურებში რამდენი რამ ამოვიკითხე. ასე რომ ჩემო პაშა შეძლებისამებრ ის რაც ბნელეთით იყო მოსილი ვეცდები მთელი თავისი მოცულობით გამოვამზეურო. ძირითადი და რაც მთავარია მამათქვენიდან იწყება ახალი ერა ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში და ჯერ კიდევ ნორჩმა ახალგაზრდა გერცელმა დაადგვირგვინა იგი, რითიც იწყება ახალი ისტორია.

მე ალბათ უკვდავ ვყოფ ჩემს თანამოაზრეს, თანამებრძოლს, საყვარელ მეგობარს მეირს და თქვენსას ე.ი. ფანის და შენს თავშეწირულობას. მხოლოდ ფანის შეეძლო, მხოლოდ დავითის ქალიშვილს შეეძლო ყოველივე ეს დაეძლია და გაეკეთებინა. ნათელი შუქი ჩემს ფანის, თქვენ კი ხანგრძლივი სიცოცხლე. მე თქვენ გამოგიგზავნეთ ვრცელი წერილი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. გთხოვთ მაცნობოთ თუ რაიმე დავალება გექნებათ.

უღრმესი სიყვარულობით და პატივისცემით:

**მორისი**

**P.S !!!**

**ჩემო პაშა!**

მართალია წერილი დათარიღებულია 14/X, მაგრამ უცებ, დაკავშირებით არაბების ამბებთან, რომელიც მოხდა მანდ ქოთელ მაყარაბთან, ჩემთან მოვიდა სახლში ამერიკის რუსულ ენაზე მოლაპარაკეთა სიონისტური ორგანიზაციის პრეზიდენტი ვიტალი ლეხტერი და გადავწყვიტეთ 21/X მთელი ამერიკის კონტინენტზე ჩაგვეტარებინა დემონსტრაცია. ჩვენ თვითონ შევადგინეთ ტექსტი

და ორი-სამი ამხანაგის დახმარებით ასეულობით განცხადებები გავაკარით. დემონსტრაცია კარგად ჩატარდა. მეც გამოვედი სიტყვით. 22/X ვიტალი ლეხტერი და ერთ-ერთი წარმომადგენელი ისრაელიდან ლინა ნორიკი (ქალ-ბატონი) მოვიდენ ჩემთან სახლში, ერთი 5 საათი დავყავით ერთად და გადავწყვიტეთ (თუმცა ლაპარაკი მანამდეც გვქონდა) რომ ჩამოყალიბდეს ქართველ ებრაელთა სიონისტური სექცია და ბუხარელებისა, რომლის პრეზიდენტად უნდათ ამირჩიონ მე. ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ და იმ დასკვნა-მდე მივედით, რომ ბააზოვების სახელობის ჯგუფი შეიქმნას. ასეთი ჯგუფი შეიქმნება ქ. კვინსში. ვნახოთ რა შედეგს მოგვცემს. ყოველ შემთხვევაში ვეცდები გზადაგზა გაცნობოთ დაწვრილებით ყველაფერი. ჩემი და ეთერი ნიუიორკში ჩამოვა 17/XI-ში და იმ დღესვე ვატან ჩემს მემუარებს და მო-გონებებს თქვენზეც და საერთოდ 1923-1929 წლამდე ქართველ ებრაელთა მდგომარეობაზე.

ამის შემდეგ, თქვენ კარგად იცით ჩემი მოღვაწეობა მეირთან და ში-მშონთან ერთად სიონისტურ მოძრაობაში, ჩემი დამალვა ქ. ბაქოში და ჩემი დაპატიმრება 28/IV 1932 წელს და შემდეგ კულტბაზის და კულტ სახლის დაარსების და მუშაობის შესახებ. ეს იქნება მეორე ეტაპი. აქვე იქნება გერცელის დაღუპვა. ასე ჩემო პაშა! ისტორიები არ უნდა მოკვდეს.

ჩემი მისამართია:
Danielov Mordech 98-25, 65-th, Roud, Apt-5A,
Queens, Rego-Park. New-York. N.Y. 11374.
тел. (718) 459-84-99

პატივისცემით მ. დანიელოვი
23/X-90 წელი

**P.S. !**

როგორც იგრძნობთ წერილის გამოგზავნა დაყოვნდა, ჩემი და ეთერი ჩამოვა 17/XI და მე მას ვატან, ეს უფრო ჩქარა მოვა ვიდრე ფოსტით.

ჩემო პაშა! თქვენ კარგად იცით ჩემი სიყვარული, ერთგულება თქვენი ოჯახისადმი და განსაკუთრებით გერცელისადმი. ისიც იცით, რომ ჩემსა და გერცელს შორის გარკვეულ პერიოდში შეუთანხმლებლობა იყო, განსაკუთ-რებით კულტუბაზის და კულტურის სახლის დაარსებასთან. მე რასაკვირვე-ლია დამოუკიდებლად ვმოქმედობდი, მაგრამ ჩვენ ურთიერთ შორის მტრული განწყობილება არასოდეს არ გვქონია და ბოლოს, როგორც იცით უკანასკ-ნელ პერიოდში კვლავ 1935-36 წლებში კულტბაზაში ერთად ვთანამშრომ-ლობდით. რაც არ უნდა იყოს, მისი ავტორიტეტი, ღირსება და ღვაწლი ჩემს მიერ არასოდეს არ იქნება დაჩრდილული. ყველაზედ მწვავე პერიოდია 1929-37 წლები, რომელსაც სულ მოკლე ხანში გავუგზავნი კვლავ გერშონ წიწუა-შვილს. ვიმედოვნებ თქვენ ერთმანეთს ინახულებთ.

მეორე პერიოდში ჩემი ივდითი ფანიას და თქვენს ბრძოლაზე იქნება საუბარი და მამის უკანასკნელ დღეებზე. ვაი რომ წნევა, ჯანმრთელობა ხელს მიშლის. არა უშავს მე ყველაფერს დავძლევ და ჩემს დიდ ვალს გადავიხდი ერისა და თქვენს წინაშე. მე ვალდებული ვარ. როგორც მე ვიცი ისე არავინ იცის, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

აბა, ჯანმრთელად მეყოლეთ. იმედი მაქვს კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. ალბათ გერშონი მოგცემთ საშუალებას გაცნობისას, შეიძლება თუ ისეთი რამე შეამჩნიეთ შესწორებაც შეიტანოთ, რადგან ეს დაწერილი მაქვს ათეული წლების წინ.

**თქვენი ერთგული მორისი**
გთხოვთ მომწეროთ წერილი.

**მოტკე მამისთვალოვი**

# მართალი მხატვარი

პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“, შეიძლება ითქვას, რომ ნახევრად ალეგორიულ-სიმბოლური ნაწარმოებია. ავტორი მიზნად ისახავს ზოგადი შეფასება მისცეს ქართველ ებრაელთა მთელ ისტორიულ წარსულს და ხაზგასმით მიგვითითებს იმაზე, თუ რა იყო მთავარი მათ ცხოვრებაში წინათ და რა არის მთავარი ახლა. პირდაპირი სახით პიესა მიძღვნილია საკოლმეურნეო მოძრაობისადმი, რომელიც ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. არაპირდაპირი სახით კი ეს პიესა მიგვითითებს შემდეგ ფაქტზე: საზღვარი დაედოს მრავალსაუკუნოებრივ დუმილსა და ღარიბ ებრაელთა შერიგებას ბედუკუღმართ ცხოვრებასთან. ქართველი ებრაელები მუნჯები იყვნენ საუკუნეთა მანძილზე; ძალაუნებურად ურიგდებოდნენ თავიანთ უკუღმართ ბედს. სიღარიბე იყო მათი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანი.

აღსანიშნავია, რომ პიესას „მუნჯები ალაპარაკდნენ“ ავტორმა თავდაპირველად შემდეგი სათაური მისცა: „როცა მუნჯები ალაპარაკდებიან“. ნაწარმოების დასათაურება ბიბლიური ფრაზეოლოგიიდან არის შერჩეული და ამ გზით ავტორი პიესის პირდაპირ შინაარსზე მითითებასთან ერთად აყენებს მოთხოვნას შეუმჩნევლად დატოვებული და მივიწყებული არ იქნეს ნაწარმოებისათვის მის მიერ საფუძვლად დადებული ისტორიული თვალსაზრისი.

გ. ბააზოვის დრამატურგად ზრდასა და ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ ყურადღებას, რომელიც მისდამი გამოიჩინა ქართული თეატრის ფუძემდებელმა კოტე მარჯანიშვილმა.

ᲛᲔᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲓᲜᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘ

**ბეგლარ ხიტიბაშვილი**

# გახსენება

ძნელია გერცელზე საუბარი. ძნელია იმიტომ, რომ იგი მეტად გაურკვეველ პირობებში, საზიზღარი ცილისწამებისა და მაბეზღრობის შედეგად დაიღუპა. დაიღუპა მაშინ, როცა მისი სიცოცხლე და ალალი მხატვრული ნიჭი მეტად საჭირო იყო ებრაელი ხალხისათვის, და არა მარტო ებრაელი ხალხისათვის...

მიუხედავად მისი მაღალნიჭიერებისა, ჩემთვის მკრეხელობა იქნებოდა მისი შედარება ბუმბერაზ გოეთესთან, როგორც მწერალთან, მაგრამ ის კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გერცელი მეტად ჩამოგავდა თავისი ღვთაებრივი გარეგნობით და ოლიმპიური სიმშვიდით გერმანული მხატვრული სიტყვის ტიტანს.

გერცელი მეტისმეტად ადამიანური და ჰუმანური პიროვნება იყო. გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, თავმდაბლობით, სულიერი სიფაქიზით. მას არაჩვეულებრივი უნარი გააჩნდა ადამიანებთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარებისათვის.

გერცელი სანთელივით იწვოდა თავისი ხალხის უკეთესი მომავლისთვის. შეიძლება ითქვას, რომ იგი მისდევდა ძველი ელადის უბრწყინვალესი აზრის მფლობელის სოფოკლეს მცნებას: „არა არის–რა ამა ქვეყნად უფრო მაღალი, ვიდრე შეწევნა მოყვასისა, თუ ამას შესძლებ“.

ახალგაზრდა გერცელი თავის ცნობილ რომანებსა და პიესებში („მუნჯები ალაპარაკდნენ“, „იცკა რიჟინაშვილი“, „ფეთხაინი“, „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“, „გელათის ქუჩის დასასრული“ და სხვა) არა მარტო ასახავდა ებრაელი ხალხის ძნელბედობასა და სიდუხჭირეს, არამედ გაბედულად უჩვენებდა თავის თანამოძმეებს იმ ნათელ გზებს, რითაც მათ თავი უნდა დაეღწიათ საუკუნეობრივი, მემკვიდრეობით მიღებული უმეცრებისა და ჩამორჩენილობისათვის და გამოსულიყვნენ ცხოვრების ფართო, ნათელ გზაზე.

გერცელი მეტად პროდუქტიული მწერალი იყო. იგი ერთნაირად ძლიერი იყო როგორც ბელეტრისტი და დრამატურგი, პუბლიცისტი და იურისტი.

მსოფლიო მასშტაბის აღიარებული დიდი ქართველი რეჟისორი კოტე

მარჯანიშვილი, რომელიც მეტად მკაცრი იყო თავისი თეატრის რეპერტუარის შედგენაში, იმდენად დააინტერესა და გაიტაცა გერცელ ბააზოვის დრამატულმა შემოქმედებამ, რომ თავის რეპერტუარში კლასიკოსებთან — უილიამ შექსპირისა, ფრიდრიხ შილერის, კარლ გუცკოვისა და სხვათა ცნობილ პიესებთან — ერთად დასადგმელად მიიღო გერცელ ბააზოვის მეტად პოპულარული პიესები „მუნჯები ალაპარაკდნენ" და „იცკა რიჟინაშვილი", რომლებიც დიდხანს ამშვენებდნენ (და ახლაც ამშვენებენ) ქართული თეატრის სცენას. მარჯანიშვილმა და მისმა ცნობილმა მოწაფემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ ამ დადგმებში ჩააქსოვეს მთელი თავიანთი რეჟისორული გამომგონებლობა და სულის მგზნებარება. აღნიშნული პიესები დიდი წარმატებით იდგმებოდა საქართველოს ბევრ სხვა თეატრშიც.

თითქოს უხერხულია ჩემ მიერ ამის დაწერა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მე, სრულიად ახალგაზრდას, 20 წლის ასაკში ბედნიერება მხვდა წილად პირადად განმეხორციელებინა „მუნჯების" დადგმა ქალაქ ონის თეატრის სცენაზე 1933–34 წლების სეზონში და შემესრულებინა ერთ-ერთი გმირის იეხისკიელ ყვითელაშვილის როლი.

როცა გერცელმა გაიგო მის მშობლიურ ქალაქში მისი პიესის დადგმა, აღფრთოვანებული დარჩა. დასანანია, რომ მოუცლელობის გამო ვერ ნახა ჩვენი დადგმა, თუმცა ძალიან მოწადინებული იყო.

მინდა გავიხსენო ჩემი, თუმცა მცირე, კონტაქტები გერცელთან. იგი ერთ ხანს საქართველოს „ღარიბკომის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო და ამ ორგანიზაციაში განაგებდა კულტურის განყოფილებას. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგებდა, რომ რომელიმე ებრაელი უმაღლეს სასწავლებელში მოეწყობოდა, ვინაიდან იმ წლებში ეს იშვიათობას წარმოადგენდა. მით უმეტეს აღაფრთოვანებდა, თუ ვინმე მისი მშობლიური ქალაქის მკვიდრი შეაღებდა უმაღლესი სასწავლებლის კარებს. 1936 წელს მე მოვეწყე ახლად გახსნილ კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე. „ღარიბკომი" წარჩინებულ ებრაელ სტუდენტებს უნიშნავდა სტიპენდიას. ბატონ გერცელის ინიციატივით მეც დამენიშნა ასეთი სტიპენდია თვეში 125 მანეთის ოდენობით, რასაც რეგულარულად ვღებულობდი ინსტიტუტში სწავლის მთელ პერიოდში.

საყურადღებოა, რომ გერცელი დაინტერესებული იყო ჩემით — როგორ ვსწავლობდი, როგორი წარმატებები მქონდა ინსტიტუტში, როგორ ვცხოვრობდი, როგორი იყო საბინაო პირობები და სხვა. ხშირად ვხვდებოდი მას და ვიღებდი ჩემთვის მეტად საჭირო რჩევა-დარიგებას. ეს მე ძალიან მჭირდებოდა, ვინაიდან მაშინდელ პერიოდულ პრესაში და საბავშვო ჟურნალებში იბეჭდებოდა ჩემი პატარა ლექსები და მხატვრული ჩანახატები.

გერცელი თავისი შემოქმედების ზენიტში იმყოფებოდა, როცა იგი სრულიად ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან... ვინ მოსთვლის, რამდენი ძვირფასი და კეთი-

ლი ჩანაფიქრი წაიღო მან სამარეში, რამდენი ძვირფასი ოცნება დარჩა ფრთაშეუსხმელი და განუხორციელებელი.

დაუსრულებლივ შეიძლება ბატონ გერცელზე საუბარი, ეს ამოუწურავი თემაა. გერცელი მრავალჯერ გაგვახსენებს თავის უკვდავ, შარავანდედით მოსილ სახელს; მრავალჯერ მოვიგონებთ მას, როგორც ადამიანს, ადამიანების დიდ მოყვარულს, დიდებული გულის მქონეს, დიდ მწერალსა და მოქალაქეს.

ჩვენ, მისი უბადლო ნიჭის თაყვანისმცემელნი, ვერავითარი მაღალფარდოვანი სიტყვებით ვერ შევძლებთ მისი მაღალი შემოქმედების პირუთვნელ შეფასებას. ეს მომავალი თაობების საქმეა. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ერთი ვთქვათ: მარადი იქნება მისი ნათელი ხსოვნა ჩვენს ხალხში.

გაზ. „იმედი“,
№ 168, 1. 3. 76

„საქართველოს რესპუბლიკა“

## მწერლის სახელის უკვდავსაყოფად

**გერცელ ბააზოვი** — გამოჩენილი მწერალი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი კაცი, ძეი რაბინის დავით ბააზოვისა.

დღესასწაულის შთამბეჭდავ აკორდად იქცა მწერლის მემორიალური დაფის გახსნა ბარათაშვილის ქუჩის № 5-ში (აქ წინათ სახლი იდგა), სადაც 1933-დან ტრაგიკულ დაღუპვამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერცელ ბააზოვი.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით აქ შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სტუმრები.

მემორიალურ დაფას საბურველი ჩამოეხსნა. დაფაზე ამოტვიფრულია: „ამ კედლის წინ არსებულ სახლში 1933-1938 წლებში ცხოვრობდა მწერალი გერცელ ბააზოვი.“

გერცელ ბააზოვის წარუშლელ კვალზე, ორი ერის ღირსეული შვილის მდიდარ შემოქმედებაზე ილაპარაკეს ქალაქის ვიცე-პრემიერმა გიგი წერეთელმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა მინდია სალუქვაძემ, მწერალმა შალვა მჭედლიშვილმა.

მწერლის ვაჟმა, თავად მწერალმა და მთარგმნელმა ნათან ბააზოვმა მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას მამამისის სახელის უკვდავყოფისათვის.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
№230, 8. 9. 98



ხაზეიმო ცერემონია ფირნიმის მიკვრისა

„ლიტერატურული საქართველო“

## უკვდავყოფა

7 სექტემბერს, თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე, 5 ნომერში მდებარე სახლთან, სადაც ცხოვრების ბოლო წლები გაატარა ცნობილმა ებრაელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გერცელ ბააზოვმა, შეიკრიბნენ ქართველი მწერლები და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მემორიალური დაფის გახსნას.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერმა გიგი წერეთელმა. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვეს თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა მინდია სალუქვაძემ, პოეტმა შალვა მჭედლიშვილმა...

გამომსვლელებმა ისაუბრეს იმ ღვაწლზე, რომელიც გერცელ ბააზოვს მიუძღვის ქართული ლიტერატურის განვითარებაში, მის მრავალმხრივ შემოქმედებაზე, მწერლის ტრაგიკულ ბედზე...

დასასრულს მწერლის ვაჟიშვილმა – ცნობილმა პოეტმა და მთარგმნელმა ნათან ბააზოვმა მადლობა გადაუხადა საქართველოს მწერალთა კავშირს, თბილისის მერიას, დამსწრე საზოგადოებას გერცელ ბააზოვის დიდი დაფასებისათვის.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
11-18 სექტ. 1998

თამაზ წიკლიკაძე

## თუ დაგივიწყო შენ, გერცელ ბააზოვ!..

მემორიალური დაფა, რომელიც სულ ახლახან გამოჩენილი ებრაელი მწერლის, გერცელ ბააზოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად გაიხსნა, კიდევ ერთი დასტურია ქართველი და ებრაელი ხალხების 26-საუკუნოვანი ძმობისა!

მემორიალის გახსნა, თავისთავადაც, დიდებული საქმეა!

მაგრამ იმ დღით იქ, ქართველები და ებრაელები მარტო იმისთვის არ შეკრებილან, ამ დაფის მიკვრის ცერემონიალში რომ მიეღოთ მონაწილეობა!

ამას, ცხადია, ქალაქის შესაბამისი სამსახურები უკეთ მოახერხებდნენ!

ისინი იქ კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ, რათა ერთმანეთისთვის — ეს უკვე მერამდენედ! — მარადიული სიყვარული გამოეცხადებინათ!

არადა, სიყვარულის ახსნა, თუნდაც შეყვარებულისათვის, არც ისე იოლია!

მით უმეტეს, ძნელია სიყვარულის დამტკიცება, როცა საქმე სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს ეხებათ!

მეტი მაგალითი რად გვინდა! — ქართველებს რომ ებრაელი ხალხი გვიყვარს, ჩვენ ამის მტკიცებას 26 საუკუნე მოვანდომეთ!

თუ ძვირფას მეგობრებს მაინც მიაჩნიათ, რომ ეს დრო მარადიული სიყვარულის დასამტკიცებლად საკმარისი არაა, ჩვენ მზად ვართ ამ კუთხით მუშაობა კვლავ განვაგრძოთ, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი, ამასობაში, ჩვენზე მეტად სხვა ხალხებს არ შეიყვარებენ!

ძვირფასო ებრაელებო! აღთქმული ქვეყანა თქვენ უკვე ააშენეთ!

ჩვენ კი, აქამდე, ჩვენს ქვეყანას ლოზუნგებით ვაშენებდით და, ახლა მივხვდით, რომ ამ საქმისთვის, ლოზუნგების გარდა, შრომაც ყოფილა საჭირო!

ფარ-ხმალს მაინც არ ვყრით და, ღმერთთან ერთად, მეგობარი ქვეყნებიც თუ შეგვეწევიან, დარწმუნებული ვართ, ერთ პატარა დემოკრატიულ სახელმწიფოს ჩვენც ავაშენებთ!

ძალიან გვახარებს, რომ ამ საქმეში განსაკუთრებული წილი იმ ქვეყნისა იქნება, რომლის დიდი შვილის უკვდავსაყოფად, სულ ახლახან მემორიალი გავხსენით!

თქვენი შვილის, გერცელ ბააზოვის შემოქმედებას გაუმარჯოს, ძვირფასო ებრაელებო!

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
11-18 სექტ. 1998

# „გერცელ ბააზოვი“

ისრაელში გამოვიდა ორენოვანი (ივრითი, ქართული) ფოტოალბომი, რომელიც გერცელ ბააზოვის (1904-1938) ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს.

განათლებული და მრავალმხრივი პიროვნება იყო გერცელ ბააზოვი, შვილი საქართველოში სიონიზმის ფუძემდებლის, ებრაელთა უფლებებისათვის შეუპოვარი მებრძოლის რაბინ დავიდ ბააზოვისა. მისი პიესები („იცკა რიჟინაშვილი“, „როცა მუნჯები ალაპარაკდნენ“ და სხვ.) წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

1976 წლის 2 მარტს, ისრაელში ქ-ნ გოლდა მეიერის ხელმძღვანელობით გაიმართა დავიდ და გერცელ ბააზოვების ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო.

აი, რა ბრძანა ქ-ნმა გოლდამ, ისრაელის სახელმწიფოს მაშინდელმა პრემიერმა: „...ჩვენ ვვსურს ვუჩვენოთ, რომ ბაასოვების მოღვაწეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია ებრაელი ხალხისა და სიონიზმის ისტორიისა. ისრაელის საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ებრაელებს აქვთ ხანგრძლივი ისტორია და და მათ საპატიო წვლილი მეიტანეს სიონისტური იდეების გავრცელებაში. მათ ბევრი სიმწარე იგემეს ამ ბრძოლაში და საუკუნეებში გამოატარეს სიყვარული თავისი ისტორიული სამშობლოსადმი“.

ალბომი, რომლის შემდგენელია გერცელის და პალინა (შემდგენელი ალბომს უძღვნის თავის უფროს დას – ფანის), საქმის ცოდნით, გემოვნებით და დიდის სიყვარულითაა შესრულებული, სრულ წარმოდგენას იძლევა ამ თეატრალური მოღვაწის მიერ განვლილ გზაზე. ალბომში 200-ზე მეტი ფოტოა დაბეჭდილი. ვის და რას არ ნახავთ აქ – სცენებს საქართველოში და ისრაელში დადგმული სპექტაკლებიდან, სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა პორტრეტებს (ცხოვრებაში და როლებში) დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზებს (ალბომის მშვენებაა პეტრე ოცხელის მიერ შესრულებული კოსტიუმების ესკიზები: 38 ესკიზი და 3 დეკორაციის ჩანახატი), რეცენზიებისა და პირადი წერილების ფოტოპირებს, აფიშებს, პლაკატებს, გამოცემული წიგნების სუპერებსა და ფორზაცებს, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნეს ამ ცხოვრებიდან უდროოდ წასულის, რეპრესირებულისა და შემდეგ რეაბილიტირებულის (1955 წელს) გერცელ ბააზოვის პიროვნების ირგვლივ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ალბომი დაბეჭდილია ცარცის მაღალხარისხოვან ქაღალდზე, რაც ილუსტრაციების კარგ ხარისხს განაპირობებს.

ჟურნ. „ხელოვნება“-, 1990, № 10

# ხაიმი

ჩემს მოგონებებზე მუშაობის დროს არ მქონდა კონტაქტი იმ იურისტთა საზოგადოებასთან, რომელშიც ჩემს ძმა ხაიმს უხდებოდა ყოფნა და მოღვაწეობა. ჩემს ნაწერებში უკვე აღვნიშნე მისი პოპულარობის შესახებ, რაც მან მოიხვეჭა თავის ამხანაგებსა და კოლეგებს შორის.

სამწუხაროდ, ვერ შევძელი თბილისში ჩასვლა და იმ დოკუმენტებისა და მოგონებების მოგროვება, რომლებიც ნათლად წარმოსახავდნენ მის სახეს.

ბ. ბ.



# ხაიმ ბააზოვის შესახებ

მე, შალვა მიხეილის ძე ხანანაშვილი ხანგრძლივი წლების განმავლობაში ვმუშაობდი საქართველოს პროკურატურის ორგანოებში, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწის თანამდებობაზე და მონიჭებული მქონდა იუსტიციის უფროსი მრჩეველის წოდება.

ჩემი ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ახლო პროფესიული და მეგობრული ურთიერთობა მქონდა ბატონ ხაიმ დავითის ძე ბააზოვთან. იგი იყო ქართველ ებრაელ იურისტთა უფროსი თაობის წარმომადგენელი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საფუძვლებს, რის გამოც დიდი პატივისცემით სარგებლობდა იურისტთა საზოგადოებაში.

მე პირადად მქონდა ბედნიერება მასთან ერთად მონაწილეობა მიმეღო სასამართლოში არაერთი საქმის განხილვის დროს და აღფრთოვანებული ვიყავი იმ გარემოებით, თუ როგორი მონდომებით, საქმის მასალების და კანონის ღრმა ცოდნით ცდილობდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქის ინტერესების დაცვას.

ბატონი ხაიმ ბააზოვი იყო ძვირფასი წარმომადგენელი ბააზოვების ბრწყინვალე ოჯახისა, რომელმაც ესოდენ დიდი ამაგი დასდო ქართველ ებრაელობას. მან მისი გარდაცვალების შემდეგ დასტოვა კეთილ მოგონებასთან ერთად ორი ძვირფასი ქალიშვილი, რომლებიც სახელოვნად აგრძელებენ მათი წინაპრების დაწყებულ საქმეს.

9.XI.51 წ.

# სალამი ჩემო ფანია!

5/XI მივიღე პასილკა დროულად სრულად და შინაარსიანად, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ ყველა თქვენის. (ფული მიღებას უკვე გწერდი)

2/XI საავადმყოფოდან გამოვეწერე – გამოკვლევამ წინა დასკვნები დაადასტურა და ამით მასალა ჩემს მიმართ გამაგრდა.

/სკლეროზი-გიპერტონია/ ცუდათ თავს არა ვგრძნობ – ყოჩაღად ვარ და ვცდილობ ჩემი საქმისთვის. კომისიას თეორიულად გადაუწყვეტია ჩემი აქტიროვკა – 5/XI მითხრა უფ. ექიმმა. სან. ჩასტის უფროსი თანახმაა აქტის დაწერაზე – ეს დღეები უქმე იყო და ამ ჟამად ამ თვის ოცამდე მოლოდინში ვარ, რომ აქტი დაიწეროს და ჩაბარდეს სპეც. ჩასტს.

როცა აქტი სპეც. ჩასტს ჩაბარდება, I მოქმედება დამთავრებული იქნება. ოცის შემდეგ მოგწერ ამა I მოქ. დამთავრებას. თუ ყველაფერი კარგად წავიდა 2-3 თვე დამჭირდება – დაახლოვებით. მთავარია აქტი ჩააბარონ სპეც ჩასტს. ამ ჟამად ამის მოლოდინში ვარ დღე დღეზე. ჩემი უფროსი, რომელიც ამავე დროს არის პარტუჯრედის მდივანი, მეხმარება. არც სამმართველოში არიან წინააღმდეგი ვნახოთ რას იტყვის პროკურორი და სასამართლო, ეს არის მეორე და მესამე მოქმედება. როგორც ხედავ საკითხი აქტუალურია და მომწიფებული. წინასწარ თქმა ძნელია, რომ ბოლომდე გავიტან. ეს ისეთი საკითხია, რომ ყოველ წუთს შეიძლება ჩაფლავდეს – მაგრამ იმედები მაქვს და მეც მივყვები ბოლომდე.

შენი დეპეშა მივიღე საავადმყოფოში. პასუხი არ მოგწერე იმის გამო, რომ არ ვიცოდი რა დასკვნას მისცემდა საავადმყოფო. რადგან დასკვნა ჩემს სასარგებლოდაა უბრუნდები კიდევ განაჩენის ასლის ამონაწერს რუსულად.

და აი რათ მინდა აგიხსნი: აქტი რომ სპეც ჩასტს ჩაბარდება – იქ უნდა დაურთონ განაჩენი მთლიანად – არ ვიცი არის თუ არა მთელი განაჩენის რუსული თარგმანი, და როგორც იცი იმდენად დიდია განაჩენი, რომ მაგის გადაბეჭდვა დაეზარებათ და მთელი თვეებით შეიძლება მიაგდონ საქმე. ამავე დროს კი მთელი განაჩენი ცუდ გავლენას იქონიებს საქმეზე და ამიტომ მარტო ამონაწერი ჩემს მიმართ ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს სერიოზულობის მხრივ.

იმ განაჩენით, რომელიც მე დაგიტოვეთ ამონაწერი გააკეთე რუსულად,

რაც შეძლება მოკლე – დიპლომატიურად შეეცადე ნოტარიუსმა შეგიმოწმოს, ან მანაშეროვს სთხოვე – სთხოვოს თითონ იცის ვისაც. გადაეცი ნუ დაიზარებს – თუ მიესვლება ისევ მან იცის ამაზე ბევრია დამოკიდებული და სასწრაფოდ გამომიგზავნე. თუ არაფერი გამოგივიდეს – მაშინ შეუმოწმებელი ასლის ამონაწერი გამომიგზავნე მანქანაზე გადაბეჭდილი ორ ცალად რუსულ ენაზე მეტად სასწრაფოდ რაც შეიძლება – გთხოვ გულით და სულით. ამ თვის ოცისთვის უკვე დამჭირდება.

აბა შენ იცი ჩემო ფანია. ავიო ზაკაზნოე ჩემს მისამართზე გამომიგზავნე. დეპეშითაც მაცნობე გამოგზავნა.

დღეს სარასგან მივიღე წერილი 2/XI გამოგზავნილი.

როგორ ხართ და რა არის თქვენთან ახალი მომწერე. წინა წერილზე არ მიპასუხნია. ეს 2-3 თვე ჩემთვის გადამწყვეტია და ცოტა არ იყოს „შეხურებული“ ვარ. ხომ გაგიგონია «чемоданное настроение» მოკითხვა ვისაც გსურდეს ჩემი სახელით, ვინც დაიმსახურა.

გკოცნი შენი ხაიმი

ველი სასწრაფოდ წერილს.



ხაიმის წერილებიდან

## სალამი და კარგად ყოფნა

## მამას[1], ფანიას და პაშას!

ვარ კარგად – ბინათ ვარ დოციასთან დღისით რომასთან.

28/I გამოვედი არბიტრაჟში ჩემი სამსახურის საქმეზე. საქმე ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა და ჩემი მისია სამსახურებრივი სრული ჩემი გამარჯვებით დამთავრდა. ამით მეტად გახარებული ვარ და მორალურად მეტად კმაყოფილი. მამასაგან*) ყოველ თვეში 2 ღია ბარათი მოდის. ამ ხუთი დღის წინადაც მოვიდა.

დოციას მდგომარეობა და გერასი არ არის ცუდი რაიმე გაჭივრებას ან შევიწროებას არ განიცდიან. გერა სწავლობს საშუალოზე უკეთ ცოტა ცელქია ეს ყველა ბავშვების თვისებაა. ხვალ მიმყავს ცირკში.

აბრაშა 700 მანეთს აძლევს დედას და დოციას, პეტია 500, თითონ 700–800 მანეთი ქონდა თვეში, ასე რომ ნორმალური ოჯახური ცხოვრება აქვთ.

ბინაზე დიდი სითბოა. (ეს 2 თვეა არ მუშაობს დოცია, თითონ გამოვიდა და მალე ახალ ადგილას დაიწყებს მუშაობას.

ყინვები აქ 25° აღწევს, წარმოიდგინე მშვენიერად გადამაქვს.

2–3 დღის ზოგიერთი პირადი საკითხები დამრჩა მოსაგვარებელი და წამოვალ.

წუხელ თეატრში ვიყავით მე რომა და გიტა ვნახეთ не называя фамилии მეტად კარგი პიესაა დიდებული დადგმით. ერთი სიტყვით კმაყოფილი ვარ ჩემი მივლინებით.

როგორ არის პაშას მოწყობის საკითხი ეს საკითხი ძალზე მაწუხებს, თუ რამე გამოჩნდა პაშამ უარი არ უნდა თქვას ჯერ ჯერობით დაწყება რაც იქნება უნდა დაიწყოს მერე კი წინსვლა უფრო ადვილია.

**თქვენი ხაიმი**

30/I 1954
შაბათი
მოსკოვი.

---

* ასე ეძახდა დედას

# ფანია

# ზეიმი

როცა ზეიმი დგება ფურიმის,
რომელიც ატკბობს ძლიერ და მკვეთრ ერს –
ჩვენ მოვიგონებთ უკვდავ გმირ ქალებს
და იმათ რიცხვში დედოფალ ესთერს!

ჩვენ არ გვახარებს, რომ იქ სპარსეთში
მოკვდა ოდესღაც ერთი ჰამანი,
მის დამარცხება ეს სიმბოლოა:
ჩვენ ვერ გვაჯობებს ვერც სხვა მტარვალი!

გაჰქრება ჩაგვრა, ერებთა შუღლი
და ჩანასახი მტრობის და შურის
და სიამაყით ჩვენ მოვიგონებთ
მაშინ ამ ზეიმს, ამ დიდ დღეს-ფურიმს.

ფანია.

6 ადარი II

გაზ. „მაკავეელი“,

№ 1; 20. 3. 24

# სიმანა მელამედი

კარგი მოსასმენი იყო ფანი, როცა ის რამეს გიყვებოდათ, განსაკუთრებით თუ ეს მას ეხებოდა – უსათუოდ ირონიული გაღიმებით თავის მიმართ. რატომღაც ძალიან უყვარდა სიმონა მელამედის გახსენება. ამ დროს გაღიმება უკვე სიცილშიც გადასდიოდა.

ეს იყო მისი ბავშვობის პერიოდი ონში. ჩვენს მამას თავისი ქალიშვილი – ფანი მიუყვანია ხედერში და დაუსვამს, ბიჭ-თალმიდებთან ერთად, თორის სასწავლებლად. იმ ხედერში თორას ასწავლიდა სიმანა მელამედი, კოჭლი. სწავლების დროს მას იქვე გვერდით მომარჯვებული ჰქონია დიდი კეტი ურჩი თალმიდების დასასჯელად. იმ მელამედს სწავლების თავისი მეთოდი ჰქონდა და დაჯერებული იყო თავის მოქმედებაში. აღარ მახსოვს ფანის თხრობიდან, რამდენი ხანი იარა იმ ხედერში.

ერთ ზაფხულს ჩვენი მამა-მშობელი არ იმყოფებოდა ონში. მომხდარა შემდეგი ინციდენტი. სწავლების დროს თუ მისი დამთავრების შემდეგ, კარგად არ მახსოვს, ფანი წამომდგარა და რაღაც კითხვა დაუსვამს მელამედისათვის. პასუხის ნაცვლად სიმონას თვალები დაუბრიალებია. ხელი დაავლო იმ კეტს და დაიძრა ადგილიდან. ფანი, რომელიც ოთახიდან გასასვლელ კართან ახლოს იმყოფებოდა, ისე შეშინებულა, რომ ინსტიქტურად გავარდნილა გარეთ და იქვე მოუკურცხლავს სახლისაკენ. გზადაგზა უკან იყურებოდა და ხედავდა, რომ მას როზგით ხელში გაცეცხლებული ეს კოჭლი მელამედი მოსდევდა უკან და გაიძახოდა: აი, შე ყასფანიმო... შეშინებული ფანი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გარბოდა და ისიც სულ მისდევდა და მისდევდა. სახლს რომ მიუახლოვდა ფანი, დაუნახავს, რომ კარებში იდგა ძმა – ხაიმი. ამ უკანასკნელმა ფანი შეუშვა ოთახში და იქვე, საწოლის ქვეშ შემძვრალა დასამალავად. ხაიმი მუშტებმოღერებული და ესეც თვალების ბრიალით ჩამდგარა კარებში, რათა თუ გაბედა იმ ცოფმორეულმა კაცმა მოახლოება, დას დაიცავდა საკადრისად. მაგრამ სიმონამ რატომღაც (შეუძლებელია დადგენა – ხაიმის საბრძოლოდ გამზადებულმა იერმა დაიფრთხო თუ თვითონ, იქნებ სულაც ხეიბარმა ფეხმა შეაწუხა სირბილის დროს) გადაწყვიტა შეეწყვიტა ფანის დევნა და გზიდან გაბრუნებულა უკან. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ფანი იმ ხედერს აღარ გაკარებია. როცა ჩვენი მამა დაბრუნებულა და შეიტყო ამ ინციდენტის შესახებ, მას არაფერი უთქვამს არც მელამედისთვის და არც ფანისთვის, რომელმაც შეწყვიტა ხედერში სიარული. ფანი ისევ თავის მამისგან და ძმებისგან სწავლობდა თორას.

ნუ გაგიკვირდება, მკითხველო, ონის მელამედის საქციელი და, რომ ფანისაგან მოსმენილი ეს ეპიზოდი მე ქაღალდზე გადმოვიტანე. იმ პერიოდში სად

არ იყო გავრცელებული სასწავლო სისტემაში გამოყენებული როზგის სისტემა, თუგინდ საქართველოშიც. აკაკი წერეთელს თავის მოთხრობაში „როზგი“ აღწერილი აქვს ეს საშინელი მეთოდი. მთელ რუსეთის იმპერიაშიც სასწავლო სისტემაშიც ოფიციალურად იყო დანერგილი როზგის მეთოდი. ასე იყო ინგლისშიც და სხვა ევროპულ სახელმწიფოებშიც. დიდმა ინგლისელმა მწერალმა ჩარლზ დიკენსმა მთელ თავის ნაწარმოებებში კლასიკურად აღწერა ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა აღმზრდელების მხრიდან. და ეს ე.წ. ცივილიზებულ ქვეყნებში.

ის, რაც გერცელს პირადად გადახდა ონში, ხედერში სწავლების დროს, მას მოცემული აქვს საბავშვო პიესაში „ჯინჭარი“ (იდგმებოდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში 30-იან წლებში). აღწერილი აქვს თუ როგორ დასაჯა მელამედმა ონავარი თალმიდები, როცა ამ უკანასკნელებმა გააცდინეს გაკვეთილი ხედერში და წავიდნენ რიონზე საბანაოდ. მელამედი მიეპარა და შეუმჩნევლად მდინარეში მოცურავე თალმიდებს მოპარა გახდილი ტანსაცმელი და თან წაიღო ხედერში. ბარ-მიცვას მიღწეული თალმიდები, შეურაცხყოფილნი და დარცხვენილნი, თავისი სიშიშვლის დასაფარავად ხელებამოფარებულნი, იძულებულნი იყვნენ დაბრუნებულიყვნენ ხედერში. აქ მათ ელოდათ სასჯელი შუასაუკუნეობრივი მეთოდის გამოყენებით. მელამედმა შიშველი თალმიდები გააწვინა იატაკზე და დაუსუსხა ახალგაზრდა სხეულები კონად შეკრული ჯინჭრით.

ამ შეურაცხყოფამ ისე იმოქმედა გერცელის ფსიქიკაზე, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ დაივიწყა და ამიტომაც ეს ამბავი აგვიწერა თავის პიესაში „ჯინჭარი“.

---

## ფანი თეატრში?

ქართული თეატრი თავის ჩამოყალიბების პროცესში (20-25 წ.წ.), როცა კოტე მარჯანიშვილი თავის გარშემო კრებდა ნიჭიერ მსახიობებს (ქუთაისიდან, ზესტაფონიდან და სხვადასხვა კუთხიდან), იგი პარალელურად ეძიებდა ახალ ძალებს არაპროფესიონალებს შორისაც. ამ მიზნით თავისი ძიების პროცესში, თეატრის თანამშრომლებთან ერთად, შემოივლიდა თბილისის სკოლებს, სადაც მოსწავლეთა ძალებით იდგმებოდა სპექტაკლები.

ფანი იმ პერიოდში სწავლობდა თბილისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში, რომელიც იმყოფებოდა მთაწმინდის ძირში (ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში). აღნიშნული სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს „აბესალომ და ეთერი“. ფანი ასრულებდა აბესალომის როლს. როდესაც თეატრალური

ჯგუფი. კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დაესწრო აღნიშნულ სპექტაკლს, კოტე მარჯანიშვილს მოსწონებია ფანის თამაში. მას იქვე განუცხადებია, რომ იგი ფანის წაიყვანს და თეატრისთვის მოამზადებს მომავალ ახალ კადრს. ამის შემდეგ კოტეს რამოდენიმეჯერ შეუთვლია, რომ ფანი მასთან გამოცხადებულიყო, მაგრამ ამ ბუმბერაზ პიროვნებას, თეატრის კორიფეს ფანიმ უარით უპასუხა.

ეს საკითხი საოჯახო თათბირზე არასდროს დასმულა განსახილველად, რმეთუ ფანიმ თავად გადაწყვიტა უარეყო თავისი მომავალი თეატრის ხაზით.

რატომ? –ეს კარგი კითხვაა.

მე ვფიქრობ, რომ ფანიმ არ მოისურვა, როგორც რაბინის ქალიშვილი ასულიყო სცენაზე. მან ამჯობინა გაჰყოლოდა თავისი უფროსი ძმების გერცელისა და ხაიმის კვალს და დაუფლებოდა იურისპრუდენციას.



**თამარ ხიტიბაშვილი**

## ერთი ეპიზოდი ძვირფასი ფანის შესახებ

*ჩემს ობლად შთენილ ჰოლინას*

1957 წლის შემოდგომის მიწურული იყო. უმაღლეს სასამართლოში ხალხმრავლობა იყო. დავით ბაღათურიას თავმჯდომარეობით ირჩეოდა ჯგუფური სისხლის სამართლის საქმე. დამნაშავეებს იცავდნენ თბილისის გამოჩენილი დამცველები: ბარათაშვილები, წერეთელი, ციციშვილი, დადიანი, აბაშიძე და სხვები.

ვრცელი დარბაზი გაჭედილი იყო. რომ იტყვიან, ნემსის ყუნწი არ ჩაეტეოდა. საინტერესო პროცესი მიმდინარეობდა და მინდოდა ცოტა ხნით დასწრება. ხალხი ბუზივით ირეოდა და ყველა ამათგან გამოირჩეოდა ერთი ქალი, განსხვავებული დედოფლური იერით, ახოვანი, დახვეწილი მანერებით, შთამბეჭდავი ხმით, რაღაც გამოუცნობი მიმზიდველი თავისებურებით. ყველანი თავაზიანი სიფაქიზით ესალმებოდნენ და საუბრობდნენ მასთან. მე არ ვიცნობდი. ძალიან დამაინტერესა გამეგო მისი ვინაობა. ამ დროს დავინახე, რომ მას მიუახლოვდა და საუბარი დაუწყო უმაღლესი სასამართლოს წევრმა ტოსია ჯაფარიძემ. მე ტოსიას ავემგზავრე და ვკითხე ამ ადვილად შესამჩნევი

პიროვნების ვინაობა.

–ნუთუ არ იცნობთ, თამარა, –მითხრა ტოსიამ, ეს ხომ ფანი ბააზოვა არის, ჩვენი სიამაყე, უმაღლესი სასამართლოს თვალი, არა მარტო როგორც

გამოჩენილი იურისტი, არამედ როგორც სისხლხორცეული მეგობარი, სუ-ლის სიღრმემდე ჩამწვდომი, მგრძნობიარე, მაგალითის მიმცემი ყველასათვის, მისაბაძი ყოველმხრივ. ჩვენ ყველანი ბევრს ვსწავლობთ მისგან.

მე ჩემი აღტაცება და სიხარული ვერ დავმალე. „ჩემი რაჭველი...“ –ვბუტბუტებდი ჩემთვის. რაჭველი ხალხის სიამაყის, აუწერელი მოამაგის, რაბი დავიდ ბააზოვის ქალიშვილი ყოფილა თურმე.

მალე მომეცა საშუალება გავცნობოდი. ხშირად ვესწრებოდი მის გამოსვლებს. სხვა ყველა ფასდაუდებელ თვისებებთან ერთად მას გააჩნდა შესანიშნავი უნარი ადამიანების სულის ნიუანსებში ჩაწვდომისა, უანგარო დამხმარე ყველა გაჭირვებულის მიმართ. მისი კარი ღია იყო ყველა, სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობისათვის. ყვე-ლას გზას უკაფავდა მომავლი-საკენ, განვითარებისაკენ, სიკეთისაკენ.

მე დღესაც აღტაცებული ვარ იმ სიმპათიით, ენით აუწერელი პატივისცემით, რომელსაც იჩენდა გამოჩენილი საზოგადოება ფანის მიმართ. როდესაც ის უმაღლეს სასამართლოში გამოჩნდებოდა, ყველანი თავს ხრიდნენ მის წინაშე. და ის თავის დიდებულ გარეგნობას და თავის დიდებას ისე სადად უხამებდა უბრალოებას, მე მგონია, რომ ცოტანი არიან მისი მსგავსნი.

როცა რაჭაში ხმა დაირხა, დიდი რაბინი დავით ბააზოვი გარდაიცვალაო, მთელი ხალხი, დიდი თუ პატარა, ზეცისაკენ ხელაპყრობილი დაემხო. გაჭირვებულთა ერთგული ქომაგი, თვითონ ხელმოკლე და ქვრივ-ობლებთან კი ხელგაშლილი. აი, ასეთი იყო ჩვენი დავიდი.

1980 წ. დეკემბერი



•

ᲞᲠᲝᲤ.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ

ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

ᲤᲐᲜᲘᲐ ᲑᲐᲐᲖᲝᲕᲡ

•

„საᲑ᭭ᲗᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ“

## ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ

ფანია მიხეილის*) ასული ბააზოვა დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწის დავით მიხეილის ძე ბააზოვის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ქ. ონში მიიღო.

1923 წელს დავით ბააზოვის ოჯახი საცხოვრებლად ქ. თბილისში. ფანიამ

*უნდა იყოს დავითის

აქ დაამთავრა საშუალო სკოლა და 1927 წელს შევიდა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1932 წელს.

1934 წელს იგი საქართველს სსრ ადვოკატთა კოლეგიის რიგებში მიიღეს, შემდეგ გადავიდა ლენინგრადის ადვოკატთა კოლეგიაში. 1942 წლიდან ფ. ბააზოვა კვლავ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრია.

ერთმა მოსამართლემ საუბარში განაცხადა: კარგია, როცა ქალბატონი ფანია მონაწილეობს პროცესში. ამ დროს დაზღვეული ხარ ყოველგვრი უხეში შეცდომისაგან. იგი საქმის მასალების ღრმა ანალიზის საუკეთესო ოსტატია. ყოველი მისი სიტყვა, მისი წინადადება, შუამდგომლობა წინასწარ გააზრებული და დამაჯერებელია. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია პროცესზე მისი გამოსვლა, არ შეიძლება არ განიმსჭვალოს ამ ქალისადმი განსაკუთრებული სიმპათიით.

საქართველოს ადვოკატურას ბევრი თვალსაჩინო იურისტი ჰყავს. მათ გვერდს უმშვენებს ფანია ბააზოვაც, რომელიც მთელი არსებით, თავისი შეგნებით იბრძვის მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის.

ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“,

1970, № 2

დანიელ შალელაშვილი

# ერთად თუ ცალ-ცალკე?

„ვიყოთ რუსეთიდან გამოსულებთან ერთად, ერთ ჭერქვეშ, ერთ ორგანიზაციაში, თუ გამოვეყოთ მათ, შევქმნათ ჩვენი დამოუკიდებელი გაერთიანება. რა უფრო სასარგებლო იქნება ჩვენთვის და ქვეყნისათვის, რა უფრო შეუწყობს ხელს ჩვენს აბსორბციას", –აი ცენტრალური პრობლემა, რომლის გარშემო მიმდინარეობდა სჯა-ბაასი და ზოგჯერ ცხარე კამათიც საქართველოდან გამოსულთა წრეებში უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე. ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა რამდენიმე შეხვედრაც ისრაელის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა თვალსაზრისის და შეხედულების დაჯგუფებებს შორის: პირველი აშდოდში 11 ნოემბერს ე.წ. „რუსული კომიტეტის" მუშაობის გაუმჯობესებაზე და კომიტეტში საქართველოდან ამოსულთა წარმომადგენლების დამატებაზე. თათბირის ორგანიზატორი იყო სსრ კავშირიდან გამოსულთა გაერთიანების თავმჯდომარე დანი ბლუძი.

შემდეგ, 14 ნოემბერს თელ ავივში, ბატონ მიხაკაშვილთან ცალკე გაერთიანების შექმნის აუცილებლობაზე. ამ შეხვედრის მასპინძელი იყო ბატონი მიხაკაშვილი.

17 ნოემბერს გაიმართა მეტად საყურადღებო შეხვედრა მთავრობის მეთაურთან იცხაკ რაბინთან. შეხვედრა, რომლის ინიციატორი იყო საქართველოდან ამოსულთა გაერთიანების გენერალური მდივანი რაფი ბალუა, გაიმართა იერუშალაიმში, იცხაკ რაბინის რეზიდენციაში. ამ შეხვედრაზე მთავრობის მეთაური გაეცნო იმ სიძნელეებს, რასაც საქართველოდან ამოსულნი აწყდებიან, იმ პრობლემებს, რაც მათ აღელვებთ.

19 ნოემბრის შეხვედრა ბათ-იამში იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი ზღურბლი, რომლის იქით საქართველოდან ამოსულები ან რუსეთიდან გამოსულებს უნდა შეხიზნებოდნენ ან ცალკე კაბინეტში უნდა გამოკეტილიყვნენ და მარტოს ეზიდათ თავისი ტვირთი.

ბათ იამის შეხვედრის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ქალბატონი ფანია ბააზოვი, ხოლო პრაქტიკულად მისი მოწყობა იკისრა დოდო ხუნდიაშვილმა.

ქვემოთ ვბეჭდავთ მოკლე ანგარიშებს ამ საინტერესო შეხვედრებიდან.

## ბათ-იამი

საღამოს ხუთი საათისათვის მშრომელ დედათა კლუბი ხალხით გაიჭედა. მოვიდნენ ადამიანები, ვისაც აღელვებს ჩვენი ჯამაათის აბსორბციის ბედი, საქართველოდან ალიის ბედი, ვინც მოსაწვევი მიიღო თუ შემთხვევით გაიგო თავშეყრის ამბავი და მოახერხა დრო ეპოვა ბათ-იამში ჩამოსასვლელად. სწორედ ამას გაუსვა ხაზი ქ-ნმა ფანია ბააზოვმა თავის სეფე სიტყვაში: ბოდიში იმათთან, ვინც თავისი ნიჭითა და უნარით ღირსი იყო მოგვეწვია, მაგრამ ძალა არ შეგვწვდა ხმა მიგვეწვდინა. უღრმესი მადლობა მათ, ვინც შემთხვევით გაიგო, არ გვიუკადრისა და მობრძანდა.

მე გავკადნიერდი და მოგიწვიეთ აქ, რადგან მივიჩნიე, რომ ვიმყოფებით მდგომარეობაში, რომლიდანაც გამოსავალი უნდა ვიპოვოთ. იქნებ დავსახოთ გზები და საშუალებები და ამ გაორებული მდგომარეობიდან გამოსასვლელად: დავრჩეთ საბჭოთა კავშირიდან გამოსულთა სრულიად ისრაელის გაერთიანებაში და, თუ კი, რა პირობით. ხოლო იმ შემთხვევეაში, უმრავლესობა თუ გამოყოფას ითხოვს, ავირჩიოთ საორგანიზაციო კომიტეტი ჩვენი დამოუკიდებელი გაერთიანების შესაქმნელად.

მე პირადად მიმაჩნია, რომ ჩვენ აქ მოვედით, რათა ვიქცეთ ერთ ერად, ერთ ხალხად, ამიტომ ყოველგვარი გაერთიანებები თანდათან და სწრაფად უნდა გაქრნენ, რომ ეს მოხდეს, ჩვენ კი არ უნდა დავქუცმაცდეთ, არამედ ერთმანეთს მხარში უნდა ვუდგეთ. ამიტომ მიმაჩნია, რომ გაერთიანებაში მათთან ერთად უნდა ვიყოთ, ისე, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა არ დავკარგოთ.

ქ-ნმა ბააზოვმა დადებითად დაახასიათა საქართველოდან გამოსულთა გაერთიანების ხელმძღვანელის რაფი ბალუაშვილის საქმიანობა, ქებით მოიხსენია სხვადასხვა პარტიებში მოღვაწეთა შრომა. მაგრამ შედეგი რომ უკეთესი იყოს, ერთმანეთის კარგი უნდა გვიხაროდეს, ერთმანეთს მხარში უნდა ვედგეთ.

გაზ. „ალია“, № 8 (1974 წ.)

(იბეჭდება ნაწყვეტი)

2 სექტემბერი, 1975

## პატ. ქ-ნ ბააზოვ ფანიას

საბჭოთა კავშირიდან ამოსულთა აბსორბციაში აქტიურად მონაწილე საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფისა და ბააზოვების ოჯახის ისრაელში ამოსული წევრების თხოვნით დავთანხმდი სათავეში ჩავუდგე საზოგადოებრივ კომიტეტს „საქართველოში სიონიზმის ფუძემდებლების" რაბი დავიდ ბააზოვისა და მისი ვაჟიშვილის, მწერალ გერცელ ბააზოვის სახელის უკვდავსაყოფად.

30 ათასამდე ებრაელი, რომლებიც საქართველოდან ამოვიდნენ მრავალ ღონეს მიმართავენ ისრაელის სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრებაში ჩაბმისათვის, რათა იქცნენ ჩვენი ხალხის განუყოფელ ნაწილად. მათი ეროვნული აღორძინების ფესვები განმტკიცდა იმ სიონისტური მუშაობით, რაც დაიწყო ამ ნახევარი საუკუნის წინათ და რომლის მოთავეთაგანიც იყო რაბი დავიდ ბააზოვი.

საქართველოში არსებული პოლიტიკური რეჟიმების პირობებში შეუძლებელი იყო სათანადოდ აღნიშნულიყო და დაფასებულიყო სიონისტური მოძრაობის მოღვაწეები და მეთაურები ქართველი ებრაელებისაგან. ახლა ისრაელის სახელმწიფოსა და სიონისტურ მოძრაობას შესაძლებლობა შეექმნა უკვდავყოს სიონიზმის მაუწყებელთა სახელები.

მე წილად მხვდა პატივი ქნესეთის სხდომის წინაშე, 1969 წლის ნოემბერში, წარმედგინა ამაღელვებელი წერილი 18 ოჯახისა, რომლებმაც გზა გაუხსნეს ალიას საქართველოდან ისრაელში.

გთხოვთ იყოთ წევრი ამ საზოგადოებრივი კომიტეტისა, რომელიც უხელმძღვანელებს ღონისძიებებსა და საქმიანობას ბააზოვთა ოჯახის წევრთა სახელების უკვდავსაყოფად.

კომიტეტის საპატიო სხდომა გაიმართება ხუთშაბათს, 18 სექტემბერს, 12 საათზე თელ-ავივის ნავთობის ინსტიტუტში, რამათ ავივში, უნივერსიტეტის ქ. 26 ა.

მოგილოცავთ ახალ წელს.

# სალამი

## ქალბატონ ფანია დავითოვნას და პოლინა დავითოვნას

კარგად ბრძანდებოდეთ თქვენი ყველა კარგის მდომებით. არ გაგიკვირდეთ წერილის მიღება. მე დიდხანს ვფიქრობ თქვენთან შეხვედრას. მხოლოდ ისრაელში ძნელია დროს გამონახვა. გწერთ ის კაცი, რომელიც შეგხვდით თელ-ავივში მხატვრულ გამოფენაზე დაქპირდით ცხონებული დავითის სურათსაც გადავეცი პოლინას ქართულ რედაქციაში ონის ლოცვის სურათი და დავითის სურათი ხალხთან ერთად გახსენებისათვის. (ღუღა) მიხეილ ხახიაშვილი დავესწარი ცხონებულების გახსენებას თელ-ავივში და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ძალიან კარგი ორგანიზაცია. ჩატარდა უამრავი ხალხის დასწრებით. პირდაპირ გული გამინათლდა. მასთან ერთად ძალიან მომეწონა. ხალხსაც ძალიან მოსწონთ თქვენი გამოსვლა. თქვენ ფრთები გამოასხით ქართველ ხალხს კარგი ნიჭით და კარგი გამომეტყველებით. როგორც ზარივით რეკავდა თქვენი ხმა, დაუფიქრებლათ და წაუკითხავად. კიდო მეტ წარმატებას გისურვებ. და მასთან ერთად ჯანმრთელობას. ძალიან გახარებული და მადლობელი დავრჩი თქვენს მიმართ. მინდა პირადათ შეგხვდეთ და გიამბოთ და თანაც გადაგიხადოთ მადლობა ონელი ხალხის გახსენებისათვის და თანაც მინდა გიამბო, დავითი რომ გადსახლებიდან დაბრუნდა იმ დროს მამაჩემი აბეშო იყო გაბაით. ხახამ მიხეელმა მოიყვანა ჩვენთან დავითი. მის გარდა მოვისმინე დავითის სიტყვები ლოცვაში თებიდან, რამაც ძალიან დააინტერესა ხალხი. იქ ქართველიც ესწრებოდა და სომეხიც. დანარჩენს შეგხვდებით და მერე გიამბობთ. გთხოვთ მომწეროთ როდის გეცლებათ, რომ ჩამოვიდე და გნახოთ და გიამბოთ ჩვენი შეხვედრები ონში. ყაზარია შიმშილაშვილის სახლში რომ მოეწყო შეხვედრა, იმ დროს კომისიის წევრი ვიყავი. რესტორან „მამისონში", გერცელის სახელი რომ დაერქვა თბილისის ქუჩას ბუაჩიძის თავმჯდომარეობით, იქაც ვესწრებოდი, მოვისმინე გიგა ჯაფარიძის ცხონებული გერცელის მიმართ.

დანარჩენს შეგხვდებით და მერმე გიამბობთ. გთხოვთ მომწეროთ თქვენი მისამართი.

მიხეილ აბეშოს ძე ხახიაშვილი

10/III 76

დანიელ შალელაშვილი

# ქართველ ებრაელთა დიდი დღე

იმ დღეს, 2 მაისს ძლიერი სიცხე დაიჭირა იერუშალაიმში. ნაშუადღევსაც კი გაგრძელდა სიცხე, რაც იშვიათია აქ. და ქალაქის უჩვეულო სიმხურვალის შემდეგ სიმშვიდე ეუფლება ადამიანს, ისრაელის პრეზიდენტთა რეზიდენციის („მიშქან ნესიეი ისრაელ") ჭიშკარში რომ შედის. ფაქიზი გემოვნებით მოწყობილი ეზო-გარემო... პრეზიდენტის მყუდრო სახლი. აგერ სასახლესთან მისასვლელი გზა... მაღალი კარები და უკვე პრეზიდენტის მისაღებ ვრცელ დარბაზში ხართ. დარბაზი და მასავით დიდი ფოიე სავსეა ხალხით. პირველი, რაც თვალში გხვდებათ, ქართველ ებრაელთა ნაცნობი სახეებია — ჩვენი კულტურისა და საზოგადოებრივი მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები და აქტივისტები. აქვე არიან რუსი ებრაელობის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ცნობილი მწერლები, პუბლიცისტები, მეცნიერები. მრავლად შეხვდებით აღმოსავლეთის ებრაელობის შესწავლით დაინტერესებულ ისრაელ მეცნიერებს, კულტურისა და საზოგადო მოღვაწეებს. ყველგან ლაპარაკი დღევანდელ თემას — საქართველოს ებრაელობის ისტორიის, კულტურისა და ყოფის შემსწავლელი ცენტრის შექმნას ეხება. საღამოზე მოწვეულები ჯგუფ-ჯგუფად საუბრობენ და ათვალიერებენ ებრაელთა ისტორიის აქ გამოფენილ დოკუმენტებს. აგერ ოთხი საუკუნის წინ გამოცემული თორა; აგერაც წინასწარმეტყველები კომენტარებით; აგერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ შესრულებული ხელნაწერი ტრაქტატი. როგორ ფაქიზად, როგორი სიყვარულით უმუშავია ოსტატს.

დღეს ეს წიგნები თითო ფურცელს მატებენ ჩვენი ისტორიის სქელტანიან მატიანეებს. აქ მოწვეულნიც იმისთვის მოსულან, რომ გზა დაულოცონ ჩვენი ხალხის ერთი პატარა, ერთი თავისებური ნაწილის — ქართველი ებრაელობის ისტორიის წიგნისათვის ერთი ფურცლის მიმატებას. ვინ იცის, იქნებ ეს ფურცელი გახდეს ამ ისტორიის ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევის თავფურცელი.

„ვინ იცის..." —ამბობენ და ფიქრობენ შეკრებილნი და ელოდებიან ისრაელის პრეზიდენტს, პროფ. ეფრაიმ კაცირს. სწორედ პრეზიდენტმა ითავა

ოფიციალური, სახელმწიფოებრივი სახე მიეცა იმ ღონისძიებისათვის, რომელიც ასეთი ცენტრის შექმნას და მის ფართოდ ამოქმედებას ითვალისწინებს. და ეს ცენტრი შემდგომშიც პრეზიდენტის მფარველობით გააგრძელებს თავის მოღვაწეობას.

მალე პრეზიდენტი გამოჩნდა და საღამო იწყება. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ პრეზიდენტი ე. კაცირი, ქ-ნი ფ. ბააზოვა, ბენ-ცვის ინსტიტუტის დირექტორი შ. შაკედი, დ-რი მ. ალტშულერი.

შეხვედრაზე მოხსენებებით გამოდიან პროფ. შ. შაკედი, დ-რი მ. ალტშულერი, ბენ-ცვის ინსტიტუტის თანამშრომელი ა. ხაიმი, პროფ. ა. კლაუზნერი.

როგორც შ. შაკედმა აღნიშნა, პრეზიდენტმა თავის სასახლეში მიიწვია სტუმრები ორი მიზეზის გამო: I. საქართველოს ებრაელთა ისტორიის კვლევითი ცენტრის შექმნა და 2. დავიდ ბააზოვის გარდაცვალებიდან 30 წლისთავის აღნიშვნა.

მომხსენებლებმა ილაპარაკეს ქართული ალიის თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე, დავიდ ბააზოვის ფასდაუდებელ წვლილზე ქართველ ებრაელობაში სიონისტური იდეების დანერგვისა და განმტკიცების საქმეში. დიდი პატივით მოიხსენიეს სხვა ქართველი ებრაელი სიონისტები, რომლებმაც დ. ბააზოვთან ერთად, თავიანთი თავგანწირული ბრძოლით საფუძველი

ფანია ბააზოვი ტრიბუნაზე პრეზიდენტ ეფრაიმ კაცირის რეზიდენციაში

ჩაუყარეს დიდი ალიის დაწყებას საქართველოდან.

ტრიბუნაზეა ქ-ნი ფანია ბააზოვი. ზარივით რეკს მისი ხმა დარბაზში და მსმენელს ჟრუანტელი უვლის ტანში. ორატორი ლაპარაკობს ქართველ ებრაელთა მძიმე ისტორიულ ხვედრზე, მის უწყვეტ სულიერ კავშირზე ისრაელთან, მის ერთგულებაზე სიონისადმი, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ისრაელში მასობრივ ამოსვლაში, ისრაელის ცხოვრების ფერხულში ჩაბმაში.

დარბაზი ტაშით მიესალმება ქ-ნ ფანია ბააზოვის გამოსვლას, ხოლო აღელვებული პრეზიდენტი მოწიწებით ეამბორება მას.

ტრიბუნაზე იწვევენ ისრაელის პრეზიდენტს ეფრაიმ კაცირს. დარბაზი დაძაბული ელოდება რას იტყვის პრეზიდენტი — ჩვენ არაერთხელ მოგვისმე-ნია, როგორ წარმოუთქვამს პრეზიდენტს რამდენიმე წინადადება და როგორ დაუთმია სხვისთვის მიკროფონი. ბევრი დამსწრე ახლაც ამას ელოდება. მაგრამ არა, პრეზიდენტი ლაპარაკობს. ლაპარაკობს ხმადაბლა, ნელა, მაგრამ მღელვარებითა და დიდი გატაცებით. გატრუნული უსმენს დარბაზი მის გულშიჩამწვდომ სიტყვებს საქართველოს ებრაელობაზე, თავის მეგობარ

საამასოვრო სურათი პრეზიდენტ ეფრაიმ კაცირთან

*) მოხსენებების ვრცელი შინაარსი, აგრეთვე ქ-ნ ფანია ბააზოვისა და პრეზიდენტ ეფრაიმ კაცირის სიტყვები გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომრებში. (გაზეთის შენიშვნა)

– ბავშვობის მეგობარ ქართველ ებრაელებზე, ქართული სიონიზმის მამამთა-ვარ რაბი დავიდ ბააზოვის როლზე, ბააზოვების ოჯახის ბედკრულ თავგადა-სავალზე.*) და როდესაც პრეზიდენტი ტოვებს ტრიბუნას, დარბაზი იხუვლებს და პრეზიდენტს შემოერტყმევა წრედ.

იწყება საღამოს არაოფიციალური ნაწილი – სამახსოვრო სურათების გადაღება. და გასაუბრებანი პრეზიდენტთან.

ხალხი ნელ-ნელა იშლება, თითო-ოროლად და მცირე ჯგუფებად ტოვებენ პრეზიდენტის სასახლეს.

უკვე ღამეა. გარეთ ისევ ცხელა. იწურება ერთი დღე – ქართველ ებრაელთა დიდი დღე.

გაზ. „ნერგი“, № 17,

17. 5. 78

პოლინა ბააზოვი

# გადაჭრილი ხე

ის იჯდა მდუმარედ „მირფესეთის“ (შუშაბანდის) ერთ კუთხეში და გასცქეროდა ქუჩას.

ჩვენი სახლი მაგისტრალური ქუჩის პირას იმყოფება. როგორც ყოველთვის ასეთი ქუჩა, ჩვენიც ხმაურიანია. მხოლოდ შაბათ დღეს გვეძლევა სანეტარო მყუდროება. მხოლოდ შაბათი გვანიჭებს სულის სიმშვიდეს და ფიზიკურ დასვენებას. ამ დღეს გარემო ბუნებაც კი თითქოს უფრო თავისუფლად სუნთქავსო. უფრო მკაფიოდ ისმის ჩიტების ჭიკჭიკი.

ერთხელ, ერთ შაბათ დღეს ფანიმ და მეც შევნიშნეთ, რომ დიდი ხე, რომელიც ჩვენი სახლის წინ, ტროტუარის პირას იდგა, ალბათ ქალაქის გამწვანების მმართველობის განკარგულებით, გადაეჭრათ. მისგან მხოლოდ პატარა ბავშვის სიმაღლის კუნძი-ღა დარჩენილიყო. ის ხე, ჩვენი მოსაზრებით, სავსებით ჯანსაღი იყო, ჩრდილსაც გვანიჭებდა და ნიავსაც. თვითონაც ხარობდა და ადამიანებსაც სიამოვნებას გვრიდა.

გადიოდა დრო და ადამიანები ამ საცოდავ კუნძს მეტად უდიერად ექცეოდნენ. გამვლელ-გამოვლელნი ხელს წაკრავდნენ და აქეთ-იქით ექაჩებოდნენ. რის შედეგადაც გადაჭრილი ხე გვერდზე გადაწვა. მაგრამ, ოი საოცრებავ! ამ „განწირული“ ხის ფესვები მეტად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ. რომ იტყვიან, „სულით არ დაცემულან“. და, აი, ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნეთ, რომ ამ კუნძს კვლავ გამოეზარდა ყლორტები, შემდეგ ტოტებიც და ბოლოს შეიმოსა ფოთლებითაც.

ფანი ბუნების ამ მოვლენას დიდხანს და უხმოდ მისჩერებოდა, გადაჭრილსა და წაქცეულ ხეს, მაგრამ მაინც სიცოცხლისუნარიან ხეს. ხანდისხან ხმამაღლაც დასძენდა:

—შეხედე, რა საოცარია. გადაჭრეს, წააქციეს, მაგრამ მაინც ეზრდება ტოტები, იმოსება ფოთლებით... მაგრამ რა გინდა, მაინც არ აძლევენ გახარების საშუალებას, არ ასვენებენ, აწყვეტენ ტოტებს, აგლეჯენ ფოთლებს... აი, შეხედე, ახლაც. ხედავ?!

გაიარა მეზობლის ქალმა ბ-მ. ჯერ ახლად აქოჩრილი ღია ფერის მწვანე ტოტები დააწყვიტა და შემდეგ გადავიდა ტროტუარიდან ქუჩაზე. მას შეეძლო გვერდზე მოევლო და ისე გადასულიყო გზაზე, მაგრამ მას სურვილი ჰქონდა დაეგლიჯა ახლადამოსული ყლორტები, თითქოს ეს მის რაღაც უხილავ და ქვეშეცნეულ ჟინს აკმაყოფილებდა.

უნებლიედ თავში რაღაც შემაძრწუნებელმა ფიქრმა გამიელვა. დამეუფ-

ლა უსიამოვნო გრძნობა. რომ გამეფანტა ბურუსში გახვეული ჩემი ფიქრები, ფანის მივმართე:

—რა გენაღვლება რაღაცა ხეა. რატომ უყურებ მას ასე ხშირად... უმჯობესია შეხედე ხალხს, თვალი გააყოლე. ნახე, როგორ უცხოდ ჩაცმულ-დახურულნი დაიარებიან ისრაელელები.

—სად არიან ჩაცმულნი... უფრო გახდილნი არიან, ვიდრე ჩაცმული, —ღიმილით მომიგებდა ფანი და შემდეგ ისევ ჩაეფლობოდა ფიქრებში და ისევ უმზერდა იმ გადაპრილ ხეს.

რა იწერებოდა მის გონებაში იმ დროს? არ მიყვარდა ჩაციება, მაგრამ ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ის ანალოგიას ატარებდა ადამიანთა ცხოვრებასთან. ალბათ თავის დედმამისეული ოჯახის ბედთან. ანდა იქნება სულაც ებრაელი ერის ბედთან და მის წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან.

დღეს, როცა მე ამ სტრიქონებს ვწერ, ფანი აღარ არის ცოცხალი და უნებურად მაგონდება მისი ნაფიქრალი.

ის ხე გაიზარდა და ხარობს. და ეს „სულით ძლიერი“ ხე არ ნებდება "მჩაგვრელებს". უხეში ხელის ჯინზე, ის გადაპრილი ხე გაიფურჩქნა, გაიზარდა და ხარობს.

„ძწამს გამრავლდება ქვეყნად შენი ანაბეჭდები“
(ქეთი ბიბილეიშვილის ლექსიდან)

ხოლონი

24. 00. 81




ის ხე – მაინც აუვავდა

# ფანია ბააზოვი

დიდი დანაკლისი განიცადა ისრაელის საზოგადოებრიობამ და, კერძოდ, საქართველოდან ამოსულთა თემმა: გარდაიცვალა სახელმოხვეჭილი იურისტი და მწერალი, მგზნებარე საზოგადო მოღვაწე, საერთო საქმისათვის თავდადებული ადამიანი ფანია დავიდის ასული ბააზოვი.

ფანია ბააზოვი დაიბადა 1911 წელს ქ. ონში, საქართველოში სიონისტური მოძრაობის მამამთავრის, რაბინ დავიდ ბააზოვის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება იქვე მიიღო. 1923 წელს ბააზოვების ოჯახი თბილისში გადასახლდა. ფანიამ 1927 წელს თბილისის ქალთა გიმნაზია დაამთავრა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე მოეწყო. უნივერსიტეტი 1932 წელს წარმატებით დაამთავრა.

1934 წლიდან იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი (რამდენიმე წელიწადს ლენინგრადის ადვოკატთა კოლეგიაში მსახურობდა). თითქმის ორმოც წელიწადს ეწეოდა მჩქეფარე იურიდიულ მოღვაწეობას და დიდი სახელითაც სარგებლობდა კოლეგებს შორის.

1973 წელს ერთადერთ დასთან — პოლინასთან ერთად ამოვიდა ისრაელში. თავიდანვე თანამშრომლობდა თელ-ავივის დიასპორის სახლსა და სხვა ორგანიზაციებში. მან ისრაელში მოამზადა და გამოსცა ფუნდამენტური შრომა „დავიდ და გერცელ ბააზოვები“.

ბოლო წლებში ივრითსა და ქართულ ენაზე გამოიცა მისი წიგნი „კეთროვანნი“, რომელიც ეხება ბააზოვების ღრმად სიონისტური ოჯახის ტრაგედიას.

ფანია ბააზოვი იყო რუსულ ენაზე გამომავალი სქელტანიანი ჟურნალის „ვრემია ი მის“ (დრო და ჩვენ) სარედაქციო კოლეგიის წევრი და მონაწილეობდა ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში. მიღებული ჰქონდა სხვადასხვა პრემიები.

ფანია ბააზოვას კიდევ ბევრი კარგი გეგმა და ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარ აცალა.

უაღრესად ნიჭიერი, ენერგიული, დიდბუნებოვანი ადამიანის ფანი ბააზოვის სახე არასოდეს არ წაიშლება მისი ნათესავ-მეგობრებისა და ნაცნობების ხსოვნაში.

გაზ. „სამშობლო“,
№ 62; 30. 11. 80

## სამძიმრის დეპეშები

მრავალი დეპეშა მოვიდა ამ დღეებში ფანია ბაზოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ისრაელის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეებისაგან, კულტურის მუშაკებისა და კოლეგებისაგან. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

მიიღეთ ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა თქვენი ოჯახის დედაბოძის გარდაცვალების გამო. გამჩენმა განუგეშოთ ციონისა და იერუშალაიმის სხვა მგლოვიარეებთან და გაკმაროთ ეს მწუხარება.

ალიზა და მენახემ ბეგინები

გაზ.

„სამშობლო“, № 64; 2. 12. 80

„სამშობლო“

## დაობლებულან თემის შვილები

### გუშინ, 30 ნოემბერს, ხოლონის სასაფლაოზე

რა მძიმეა ნაბიჯები. და რა მოკლე მანძილია აქედან იმ ადგილამდე; რა ფარფაა ბილიკები და რა ძნელია, რა აუტანელი ამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა.

მიდიან თავდახრილნი, მძიმე, ყრუ ნაბიჯებით, მიდიან გაქვავებულნი, თითქოს მხოლოდ სხეული, თითქოს მხოლოდ წარმავალი სხეული მიაბიჯებდეს ამ ქვის ბილიკებზე. სული კი უკან იხევს, სული ეურჩებათ. გული ვერ შეგუებია, რომ ეს არის ფანია ბაზოვის უკანასკნელი გზა.

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი ნუგეში თქვენი დიდებული დის – ციონისათვის ბრძოლის გმირის გარდაცვალების გამო. მეწადა მისი ნახვა და ვერ შევძელი.

იცხაკ ნავონი

ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი

რა მღელვარე და ბობოქარი იყო მისი ცხოვრების გზა და როგორ დამცხრალა ახლა ამ ბილიკის მაჯისცემა, როგორი მდორე გამხდარა ხალხის დინება; რა მშფო-თვარე და დაუდეგარი იყო მისი სული და როგორ დანებებია მარადისობის ბედისწერას; როგორი მგრგვინავი იყო მისი ხმა და რა მდუმარება გამე-ფებულა ამ მოკლე ბილიკზე; რა მომნუსხველი, რა ზეაღმტაცი იყო მისი სიტყვა და რატომ წართმევიათ სიტყვის ძალა მის მეგობრებსა და მისი ნიჟის თაყვანისმცემლებს.

უკანასკნელ გზაზე მიასვენებენ ჭეშმარიტ დედოფალს. და ამ მძიმე ნაბიჯებში, ამ მდუმარე რონინებაში გამოკრთის ის ღრმა მოკრძალება, ის დიდი მოწიწება, რითაც განმსჭვალულია ამ პროცესიის ყოველი მონაწილე.

მოძრაობის ძალა წართმევია დიდი დავიდ ბააზოვის ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ ქალიშვილს, ფანიას მიერ სათუთად, დედობრივად გამოზრდილ პოლინას, ამ გზაზეც რომ ვერ მოითმინა და ამოიგმინა:

—ეს უნდა იყოს შენი გზა?! ეს უნდა გახდეს ჩემი ახალი გზა?!

ღრმა სევდას მოუცავს ქართველ ებრაელთა შვილები; ღრმა მწუხარება დაუფლებია რუსეთის ებრაელობის სახელოვანი ინტელიგენციის წარმომად-

> თქვენთან ვვიგულეთ ამ მძიმე ვლოვის ქამს
> — თქვენი დის, სიონიზმისა და ალიისათვის
> ბრძოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის
> გარდაცვალების ქამს.
>
> იცხაკ რაბინი

გენლებს, დად და დედად რომ მიიჩნევდნენ იმას, ვისაც ახლა ცრემლმომდგარნი მიაცილებენ უკანასკნელ გზაზე.

აი, საფლავიც. კადიშის მთქმელი სისხლისმიერი არავინ დარჩენია და ხახამ რეფაელი ეულად ამბობს კადიშს. და ეს კადიში თითქოს უკანასკნელი აკორდია იმ მუსიკალურივით მჟღერადი და მღელვარების მომგვრელი სიტყვისა, რომელიც მან განსვენებულის ცხედართან წარმოთქვა ბინიდან გამოსვენების წინ.

—ბააზოვების ოჯახის ბედი ჩვენი მრავალტანჯული ერის ისტორიას მოგვაგონებს, —თქვა ხახამ რეფაელმა, —ამ სახელოვანი ოჯახის წევრებს პირადი სიხარული არ უნახავთ. ისინი თითქოს იმისათვის გაჩნდნენ, რომ ეტანჯათ და ეწამათ ხალხისათვის. ბააზოვების ოჯახის წევრებმა ერთგვარად გიზიარეს წილხვედრი ჩვენი წინაპარი ცადიკებისა, რომლებსაც ამქვეყნიური ბედნიერება არ ღირსებიათ.

განსვენებულის საფლავთან მთრთოლვარე ხმით წარმოთქვამენ კრძალვით

სავსე სიტყვებს ჩვენი ერის წარმომადგენლები.

რაბი ხანზინმა ცრემლნარევი ხმით თქვა:

—სოხნუთში ვიჯექი. შემოვიდა სიმპათიური შესახედაობის ქალი. ვკითხეთ ვინაობა. რაბინ დავიდ ბააზოვის ქალიშვილი ვარო, მოკრძალებით გვიპასუხა. გამახსენდა ცხონებული დავიდ ბააზოვი. მე ის პირველად მოსკოვში ვნახე ერთ-ერთ სიონისტურ ღონისძიებაზე. მერე ვხვდებოდი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. მახსოვს, როგორ ეხმარებოდა ყველას. ეს იყო ძალიან ენერგიული, განსწავლული, თავისი ერისათვის ამაყი ადამიანი. მისი დაღუპვა მარტო ბააზოვების კი არა, მთელი ჩვენი ხალხის ტრაგედიად მივიჩნიეთ. ფანია დავიდის ღირსეული შვილი იყო, მასავით დიდნიჭიერი, ერუდირებული, სახალხო საქმისათვის თავდადებული. ამიტომ დავტირით ასე მწარედ.

პროფესორმა მიხაილ ზანმა გაიხსენა ფანიას უკანასკნელი მონახულება საავადმყოფოში:

—შესვლისთანავე ასე მითხრა: საიქიოდან დაბრუნდიო. ვაი, რომ საბოლოოდ ვერ დაბრუნდა... ბააზოვების ოჯახმა ბევრი ტანჯვა გადაიტანა. ჯერ ერთი დაიღუპა, მერე მეორე, მესამე... ახლა ფანიც დაემატა: მან ხომ, მამისა და ძმების მსგავსად, ყველაფერი ხალხის სამსახურს შესწირა. ამაზე მეტყველებენ მისი წიგნები, სტატიები. მოთხრობა „კეთროვანნი" დიდი ადამიანური დოკუმენტია. ამ წიგნის მეორე ნაწილის დამთავრება მინდოდა, მითხრა. ჩვენ, მისმა ახლო მეგობრებმა დაუმთავრებლად არ უნდა მივატოვოთ მისი დაწყებული საქმე. ჩვენ შევძლებთ ამას და ეს იქნება ქალბატონ ფანის ნეტარი ხსოვნის პატივისცემა.

> თქვენთან ერთად ვგლოვობთ სახელოვანი, მახვილი და სიყვარულით მეგობრის გარდაცვალებას.
>
> ვაძლევთ ძალა და სიმტკიცეს გისურვებთ, ჰოლიანა.
>
> თანაგრძნობით თქვენი
>
> **თამარ ფალავა**

ლაპარაკობს რა ფანია ბააზოვას უდიდეს დამსახურებაზე, მის ღრმა სიონისტურ განწყობილებაზე, რაფი ბარ-ლავი იხსენებს:

—ახალი ამოსული იყო ისრაელში, იერუშალაიმის დასათვალიერებლად რომ მოვიწვიეთ. იგი მღელვარებით აკვირდებოდა ბეთ-ჰამიკდაშის კედლის ყოველ ქვას; ცხოველი ინტერესით ეკითხებოდა ყველას ამა თუ იმ ადგილის მნიშვნელობაზე, იქ მომხდარ ამბებზე. იგი სისხლით და ხორცით სიონისტი იყო. მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი ხალხი და ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა მას. რაოდენ დასანანია, რომ იგი გვერდით არ გვეყოლება იმ დიდი გეგმების განხორციელებაში, რაც დავისახეთ ქართველ ებრაელთა ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის ხაზით.

—ფანია ბააზოვი ჩვენთვის ყოველთვის იყო დაუზარელი მასწავლებელი და კეთილი მრჩეველი. თავისი ბრძნული აზრებით ამდიდრებდა ჩვენს ცოდნას და ძნელი საქმეების კეთებას გვიადვილებდა, —ამბობს რობერტ ელიგულაშვილი.

—დავკარგეთ ჩვენი გოლდა, —ამ სიტყვებით იწყებს თავის გამოსვლას მიხაელ კრიხელი, —ეს სახელი ტყუილად როდი შეგარქვეს, შენ მართლაც იყავი საქართველოდან ამოსულთა თემის „გოლდა მეირი". შენ იყავი ჩვენი თაჯი და გვირგვინი, ჩვენი სიამაყე, ჩვენი დედა.

ბააზოვების ოჯახის წევრთა ძვირფას ღირსებებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში მწერალმა აბრამ მამისთვალოვმა.

—ძვირფასი ნივთის ჭეშმარიტ ფასს მხოლოდ მისი დაკარგვის შემდეგ გავიგებთ ხოლმე, —ამბობს იგი, —ჩვენ თანდათანობით მივხვდებით, თუ რა განძი დავკარგეთ და რა ძნელი იქნება ფანიას გარეშე ყოფნა.

ფანია ბააზოვის საფლავთან ცრემლნარევ სიტყვებს წარმოთქვამენ აგრეთვე გერშონ მეგრელიშვილი, გრიშა ფეიგინი, ხაიმ ხუბელაშვილი და სხვები.

—ძვირფასო ფანია, — მიმართავს ეფრაიმ გური, —ჩემი, აგრეთვე შენი სხვა მეგობრებისა და დამფასებლების ცნობიერებამდე ჯერაც არ დასულა, და ალბათ დიდი დრო გაივლის, სანამ დავიდოდეს მთელი მნიშვნელობა შენი გარდაცვალებისა. შენ ამაღლდი ყველა განხეთქილებასა და შუღლზე ზემოთ. შენ იყავი მისამართი ყველასათვის, ვისაც აინტერესებდა ქართველ ებრაელთა ბედი და საქმეები, ვისაც ენაღვლებოდა ის, თუ რა სახელით წარსდგებოდა ქართველ ებრაელთა თემი ისრაელის საზოგადოებრიობის თვალში. შენ იყავი შესანიშნავი მრჩეველი მათთვის, ვისაც სურდა ემოღვაწა ქართველ ებრაელთა კულტურული, აღმზრდელობითი, დიდებული სულიერი მემკვიდრეობის წარმოჩენისათვის. შენ შენი კვალი დააჩნიე ქართველ ებრაელთა სიონისტური ისტორიის უკვდავყოფას და ამ ისტორიაში ხომ უპირველესი და უბრწყინვალესი ფურცელი სწორედ თქვენმა დიდებულმა ოჯახმა ჩასწერა.

—მე ვიცი, რომ კიდევ მრავალი გეგმა გქონდა; მე ვიცი, რომ დროს ეჯიბრებოდი, რათა მოგესწრო იმის გაკეთება, რაც დაისახე — გამოგეცა დამატებითი ტომები იმ მრავალრიცხოვანი დოკუმენტაციისა, რაც ხელთ გქონდა. და ვაი, რომ სიკვდილმა დაგასწრო და შეგიკვეცა შენი ფრთაგაშლილი ოცნება.

დასასრულ ეფრაიმ გური ამბობს:

—ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ძალგვიძს, რათა განვახორციელოთ შენი ნასათუთები ოცნებები.

სოხნუთის წარმომადგენელი შტუკარევიჩი ლაპარაკობს იმ დიდსა და ფასდაუდებელ მოღვაწეობაზე, რომელიც ბააზოვების ოჯახმა გასწია და შემდეგ განაგრძობს: ფანია ბააზოვი იყო სწორუპოვარი ქალი, რომელიც არაჩვეულებრივი ენერგიითა და ვაჟკაცური შემართებით იბრძოდა თავისი ოჯახის

სახელოვანი ტრადიციების გასაგრძელებლად. მან ბევრი რამ გააკეთა ისრაელისათვის, ებრაელი ხალხისათვის.

მეტად მგრძნობიარე და გულში ჩამწვდომია სიტყვა, რომელსაც იცხაკ დავიდი წარმოთქვამს. (ი. დავიდის სიტყვის მთლიანი ტექსტი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში).

...საფლავის ირგვლივ შეკრებილი ხალხი ნელ-ნელა იშლება. ზანტად, ფეხათრევით ბრუნდებიან უკან დაობლებული თემის შვილები. ფანია ხომ მათთვის საერთო დედა იყო — სულიერი დედა. და განა ასე იოლია დედის დაკარგვა? ამიტომაა, რომ ასე ზლაზვნით, ასე ნაღველჩაღვრილი და გულდაბოღმილი მოაბიჯებს ყველა. მხოლოდ ბუნება არ ეთანხმება ამ სევდიან განწყობილებას. მცხუნვარე მზე თვალისმომჭრელად კაშკაშებს და უხვად აფრქვევს ოქროსფერ სხივებს. ასეთი ამინდი ნოემბრის თვის უკანასკნელი დღისათვის ძალიან უჩვეულოა თვით ისრაელშიც კი და თითქოს არის ამაში რაღაც სიმბოლური: თითქოს-და მზეს შემატებია ფანიას აწ გაციებული გულის სითბო. მასაც ხომ მზესავით უხვი და მხურვალე გული ჰქონდა. ყველას ხელხალვათად უნაწილებდა სითბოსა და სიყვარულს, მისი გულის ცეცხლს კი მხურვალება არ აკლდებოდა.

გაზ. „სამშობლო“,
№ 63; 1. 12. 80



<u>იცხაკ დავიდი</u>

# ფანია ბააზოვის გარდაცვალება

(სიტყვა, წარმოთქმული ფანია ბააზოვის დაკრძალვაზე)

ვით ლოცვა ედება საღამო მთის კალთებს
შორს ქარი გაჰკივის, ბნელდება თანდათან
მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს
და შენი ლოდინის სიმღერას გავატან.

გალაკტიონი

გაოგნებულები დაგვტოვა შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ, განა ეს მარტო შენი გარდაცვალება იყო?! შენ ხომ ფიზიკურად გარდაიცვალე მხო-

ლოდ. ჩვენშიც გარდაიცვალა რაღაც, ჩვენს ცნობიერებაშიც შეირხა და ჩაკვდა რაღაც, ჩაქრა ის სხივი, ის ნაპერწკალი ქვეშეცნეული იმედისა, რომელიც, აი, თითქმის მთელი ათეული წელია ჩვენ გვამოძრავებდა, გვამოქმედებდა. ჩვენ ხომ იმის იმედით ვქმნიდით, ვწერდით, რომ გვეგულებოდა პირუთვნელი მსაჯული, აზრთ გამზიარებელი, შთაბეჭდილებათა თანამოკერძე, ვითარც სინდისი ქართულ-ებრაული მწერლური სულისა, გვწამდა ჩვენეულად, რომ სიტყვა-ნაწერი უანგარო და სპეტაკი ცნობიერების წიაღში მოივანებდა.

შენ გვაკავშირებდი, ბააზოვების ოჯახის ტრადიციისამებრ, კეთილშობილურ ქართველ ინტელიგენციასთან, მის საუკეთესო წარმომადგენლებთან. ბააზოვების ოჯახიც, და შენც, ვით მისი მკვიდრი ნაწილი, ყოველივე ქართულ-ებრაული დიადის, ნათელის, ამაღლებულის სიმბოლოს წარმოსახავდით საქართველოს ხალხისა და მისი ინტელიგენციის ცნობიერებაში.

შენ იყავ ჩვენი დამსხვრეული თაობის სინდისი, ზნეობრივი სისპეტაკე და სიდიადე, საწინდარი იმისა, რომ ოდესღაც მაინც გაიმარჯვებს სიკეთე და სიწმინდე ქართველ ებრაელებში. და შესაძლოა, ვით სპეტაკი საწინდარი, სწორედ ამად, მისივ მსხვერპლი იყავი ზოგჯერ, მსხვერპლი მოტანილი საქმეთა ჩვენთა ბიწიერთა განსაწმედელად...

ასე წაიქცა ეს ბერმუხა ბააზოვებისა, დიდი ოჯახის საბოლოვადო ნიშანსვეტი, დიდი დავითის ღირსეული ასული, დიდი გერცელის ღირსეული და, სანუგეშცემოდ მიატოვა რა თავის უმცროსი საყვარელი სისხლხორცი..

სულ რამდენიმე კვირის წინ, საავადმყოფოში ვუყურებდით შენს ფერმკრთალ, გათეთრებულ სახეს, მისუსტებული ხმით გვესაუბრებოდი. დიდი კეთილი თვალები ჩაცვენილიყვნენ თითქოს ფიზიკური ამაოების სიღრმეში, ეს სულ სხვა ფანი იყავი უკვე... მაგრამ იმედი არ გვტოვებდა მაინც. შორს, შორს იყო ჩვენგან თუნდაც მცირედი დაეჭვება და ფიქრთ გაელვება: ფანი და სიკვდილი, ფანი და ასეთი გარდაცვალება. სწორედ მაშინ, როცა ასეთი თავგამეტებით ემსახურებოდი ჩვენს საერთო, საერო საქმეს, დიდი ბააზოვების ოჯახის უშრეტი და ფოთოლუცვენელი მატიანის შექმნას ჩვენთვის, ჩვენს ზემდგომ მომავალი თაობებისათვის. განა კი სათუოა ის, რომ არა დავით ბააზოვი, რუსეთ-კავკასია-საქართველოს სიონიზმის ერთგული მედროშე, თანამედროვე და თანამეინახე ზეევ ჟაბოტინსკისა და ხაიმ ვეიცმანისა, ჩვენ შესაძლოა საერთოდ არ გვეხილა ტანჯული ქვეყანა ესე. რა სათუთი მოკრძალებით წერდა რუსი სიონისტების გაზეთი „ევრეისკაია ჟიზნ“ 1917 წლის 8 იანვარის ნომერში (გვ. 28): „ებრაული ენის მოყვარულთა საზოგადოების მოსკოვის განყოფილების კომიტეტმა საზოგადოების წევრთათვის ლექციის წასაკითხად მოსკოვში მოიწვია საქართველოში პოპულარული რაბინი დავით ბააზოვი.“

ასეთი ყოფილა ჟამსაწიერი ბედგანჩინება შენიც და ჩვენიც, რამეთუ შენ

მხოლოდ შენს თავს, მხოლოდ ბააზოვების ფუძემძლე გვარტომს არ ეკუთვნოდი, შენ ჩვენი სინდისიერების ნაწილიც იყავი, ჩვენი მოძღვარი, მასწავლებელი, დამრიგებელი, გზის მაჩვენებელი.

შენ მხოლოდ შენივ ფიზიკური არმყოვრობის ნაწილად როდი იქეცი, ჩვენთვისაა მძიმე განსაცდელი და გამოსაგრძნობი ეს ნაკლებობა... ჩვენ შემოგვაკლდი, რითღა შევივსებთ ამ სიცარიელეს ჩვენს ძაბუნსა და ზნეშემოფაკლულ სინამდვილეში?!.

ახლა, შენს გათხრილ სამარესთან თავმოდრეკილი დგას მთელი ქართველი ებრაელობა, დგანან მადლიერნი თვისტომნი შენნი, რათა ორგანულ, ამოუკვეთ ნაწილად შეერწყან ამ მარადიულ დროით მიჯნას, ამ მყისიერ წამს, როცა მათ სტოვებ და ეთხოვები, იმ ეპოქის ნაწილს ისრაელელი ქართველი ებრაელების ყოფიერებაში, რომელზეც ვიტყვი წარბშეუხრელად: მყოვრობა ჩვენი ფანი ბააზოვამდე და მისი ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ. რადგანაც უსაზღვროდ გვწამდა შენი სიკეთის, სიკეთე კი მარადიულია, იგი არ სახიერდება ფორმალურ-სამართლებრივი ჩარჩოების აღჩენით, სიკეთე ადამიანურისა და ღვთაებრივის ხელშეუვალი სინთეზია, აკი გწამდა კიდეც მისი და ეს რწმენა ჩვენ გადმოგვეცი, ამადაც გიმადლით ჩვენო სულიერო დედავ, მოძღვარო ჩვენო, დიდო ქართველო ებრაელო ქალო!

ჟამიდან ჟამზე თვალს ჩავაყოლებთ სულმნათი გერცელის სტრიქონებს, ამ სტრიქონებთან ერთად ამოტივტიდებიან ჩვენს ცნობიერებაში დაუვიწყარი თბილისური საღამოები, შენს მშობლიურ კერაში გატარებული, ყოველ თითოეულს ძეგლ-ანდამატებს აღვუმართავდით, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ფერუცვლელ წარმავლობას შევეჭიდებოდით შენს უკვდავ სულთან ერთად და კიდევ ერთხელ გერცელს გავიხსენებდით ივნისის თვისას, ტფილისში. დაუგდე ყური:

ვერ მამშვიდებს მე წიგნი: მარანის ბატუალა,
უშედეგოდ გავცვითე ტფილისის თეატრები.
ყველა შუბლზე ატარებს წარწერას: მატყუარა
და ამგვარ სახავსეთში მხოლოდ შენ მენატრები!

მოგვენატრები ჩვენც და ეს ნატვრა იმდენად იქნება ძლიერი და მიზანსწრაფული, რამდენადაც დროითი მანძილი ჩაწვება ჩვენს შორის, დრო უსასტიკესი და პირმოთნე. სიოს სისინში, ნეშოთ შრიალში გაგვახსენდები, შენი იავარქმნილი სავანის ჩრდილცემულ ხავერდებს შევაშტერდებით და შენს ფერმკრთალ სახოვანებასთან ერთად სხვა სიცოცხლეზე დავიწყებთ ფიქრს ანაზდეულად, სწორედ ისე, როგორც შენი გერცელის განუყრელი ქართველი მეგობარი გალაკტიონი წერდა:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?

მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთადერთი გზა არის სიკვდილი...

თვალებხილული ფიზიკური სიკვდილი არჩიე ფერშემოძარცვულ ფიზიკურ სიძაბუნეს, ობლად შთენილან შენი თეთრი ფურცელ-ფოლიანტები, ხელუკარები პერგამენტები, შენ დაგიცდიან... ვინღა შეავსებს მათ, ვინ დაუსვამს პირობით წერტილს, წერტილდაუსმელ ქმნილებებს შენთა. თუმც უკვდავებას არ ესმის წერტილი, თვით ეს წერტილი უკვდავების შეუცნობი ნაწილია, მარად საძიებელი და მისაკვლევი. ჩვენეულ მოკვდავთ ხელით უკვდავებას ბარდები ამიერიდან, მისი წილი და კერძი ხდები.

განისვენებდე! განისვენებდე უკვდავებაში!..

ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები,
საღამო კანკალებს შიშით და რიდობით,
საღამო ნელდება და კვდება ვარდები,
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!

(გალაკტიონი)

ხოლონი, ქისლევის თვის 22,

1980 წლის 30 ნოემბერი

გაზ. „სამშობლო“, № 64; 2. 12. 80

<u>**მოშე დანიელოვი**</u>

## ფანია-ფენია!

ჩემებური თქმითა —
პატივისცემითა და და-ძმური ალერსით
სიტყვის თქმამდე ექსპრომტულად მინაწერი:
ალბათ ებრაულად ფანია — ფენინაა,
მარგალით, კორალ, ე.ი.
მარგალიტია, ძვირფასი ქვაა...
მართლაც ხომ ფანია-ფენია
ყველასათვის მაგალითია!

ზეგარდმო ციდან —
მზის ლაჟვარდი,
ია-ვარდების ფერია,
სახედ რომ გფენია,
დაგფენია!
ფენია!

იარე და ხვიდოდე
შენს მშობლებთან,
შენს ძმებთან,
ერთად ხვიდოდეთ!
...რომელთ უკვდავება
შენც დააგვირგვინე

და შენც ალალად
        იგივ ირგუნე!

იარეთ და ხვიდოდეთ,
ვალმოხდილნო!
შეხინით იდიდეთ!
უფლისაკენ! უფლისაკენ!
შარავანდედით ხვიდოდეთ!
წელგამართულნი მშვენებით,
ხელაღმართულნი ჩვენებით!

აქ — მგლოვიარენი
        თვალცრემლიანები

შემოგყურებენ შენები, ჩვენები!
იარე და ხვიდოდე,
სულ ზევით, ზევით, ფანია!

ზეგარდმო ციდან —
მზის ლაქვარდი,
ია-ვარდების ფერია,
სახედ რომ გფენია,
  დაგფენია!
        ფენია!

წაკითხულ იქნა 29. 12. 80

ფ. ბააზოვის საფლავთან,

ხოლონში

ეთერ ფიჩხაძე

# ჩვენი ფანია

ბათ-იამის კლუბში საქართველოდან ამოსულთა შეხვედრა იყო. რამდენიმე თვის ამოსული ვიყავი ისრაელში და ასეთ კრებას პირველად ვესწრებოდი. ტრიბუნასთან ფანია ბააზოვა იდგა. მოჯადოებულივით ვუყურებდი მის წარმოსადეგ, ლამაზსა და მართლაც „თავადიშვილურ“ გარეგნობას. ხმა! რა ხმა ჰქონდა, ომახიანი და თანაც ქალური. მჭერმეტყველი, გამოცდილი ორატორის მანერებით. ლაპარაკობდა საქმეზე, რაღაცას ამტკიცებდა, მაგრამ გამოგიტყდებით, მისით მოხიბლული არც კი ვცდილვარ ჩავწვდომოდი მისი გამოსვლის აზრს. თითქმის ჩემსავე თვალში ავმაღლდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთად ვიხილე იგი — ლეგენდად ქცეული ოჯახის შვილი, დავით ბააზოვის ქალი, რომელმაც იმდენი ჭირ-ვარამი გადაიტანა, იმდენ ქარ-ცეცხლში გაიარა და სალი კლდესავით უდრეკი და ურყევი გამოდგა. ეს იყო ქალი, ამ სიტყვის სრული გაგებით — ჭკვიანი და ეშხიანი, ნაკითხი, ომახიანი, თავისი საქმის მცოდნე, ავ-კარგიანი, შესანიშნავი დიასახლისი. და ეს ქალი, რომლის ნახვა და გაცნობაც საქართველოში ძალიან მსურდა, აქვე იყო ჩემს ახლოს... და მაშინვე გადავწყვიტე, რომ უეჭველად დავუახლოვდებოდი მას.

●

პირველად მაინცდამაინც დიდი სურვილი არ გამოუთქვამს ჩემთან დაახლოებისა (ეგონა „ბურჟუაზიული“ ოჯახიდან გამოსული მატრაკვეცა ვიყავი).

მაგრამ დრო გავიდა და თანდათან უფრო ახლოს გამიცნო, თითქოსდა გაუთბა ჩემზე გული. რასაკვირველია ამაში პოლინას ხელი ერია. გაზეთში ერთად მუშაობის წლებში პოლინამ იგრძნო ჩემი დამოკიდებულება მისი ოჯახის როგორც წარსულსა, ასევე აწმყოსადმიც. მახსოვს ავადმყოფი ვინახულე ქალბატონი ფანია. გაუხარდა. საუბარში შეუმჩნეველად პოლემიკაზე გადავედით. ისეთი კამათი გაჩაღდა, რომ ავადმყოფობა სულ გადაავიწყდა, სახე აუვარდისფერდა და უფრო შთაგონებული და მომხიბლავი გაუხდა. ცოტა ხანში წამოჯდა და რომელიღაც ტომის ძებნა თხოვა პოლინას, რომელიც სუფრას აწყობდა. რასაკვირველია, მენანებოდა მასთან გამოთხოვება, მაგრამ ავადმყოფის დიდხანს შეწუხება არ ვიკადრე.

—რაო, ძლივს ხასიათზე მოვედი და ახლად გაგიშვებ?! მით უმეტეს, პოლინას სიტყვის არ იყოს, კაი გოგო ყოფილხარო.

◆◆◆ ვინც ფანიას იცნობდა, მისთვის გასაგებია, რამდენს ნიშნავდა მისი სიტყვები ჩემთვის.

სწორედ ამ დღიდან მოყოლებული მუდამ ახარებდა ჩემი ნახვა. ერთხელ ისე მომენატრა მასთან საუბარი, სპეციალური „ვიზიტით“ ვეწვიე მეუღლესთან ერთად და დაუვიწყარი, მართლაც დაუვიწყარი საღამო გავატარე. მას შემდეგ კი რაც მისი წიგნის — „განკიცხულნი“ — ფრაგმენტები წავიკითხე, უფრო დაწვრილებით გავიცანი მისი ბედი, მისი „მე“.

◆◆◆ ღმერთო, როგორ გაღარიბდით! რა ადამიანი დავკარგეთ... მწერალი? —უფრო მეტი; იურისტი? — არა, არც საზოგადო მოღვაწე, ... რაღაც უფრო დიდი, განუზომელი დანაკლისია ჩვენთვის, თითქოს მხარი ჩამოგვეცალაო.

◆◆◆ მახსოვს, დავით ბააზოვის ხსოვნის საღამოს წაყვანა მთხოვა „ბეითციონეი ამერიკაში“. რასაკვირველია, სიამოვნებით დავთანხმდი.

როდესაც მოხსენებები დაიწყო და ქალბატონი ფანია წამოდგა, კულისებში მდგომს ყველა მეკითხებოდა: „ანა კნიაჟნა?“, „ჩტო ზა პრელესტ!..“

საღამოს დასასრულს მადლობა გადამიხადა და ყვავილების უზარმაზარი თაიგული მაჩუქა. აღელვებული იყო. ყველაფერს განიცდიდა. ან კი როგორ იტევდა ამდენ განცდებს ერთი ადამიანი, როგორ უძლებდა ამ ცხოვრების ორომ-ტრიალს?

●

მე მისი გულწრფელი თაყვანისმცემელი ვიყავი და დავრჩები მუდამ, მაგრამ რაღაც მღრღნის, სინდისის ქენჯნას ვგრძნობ ყველას მაგიერ, თითქოს არ დავაფასეთ ცხოვრებაში სათანადოდ, მეფურ ქალს თავისი პატივისცემა, რომლის ღირსიც იყო, არ მიუღია... ჩვენგან, რომელთაც გვამშვენებდა, ჩვენგან, რომლებიც უიმისოდ თითქოს ობლად დავრჩით. ყველაფერს ასწრებდა ხან-

ში შესული, ჯანგატეხილი ქალი. წიგნის დაწერაც მოასწრო. ადვილი სათქმელია დაწერო წიგნი, რომელიც ლახვრად დაესო გულს მის მტრებს, გარეწრებსა და ნაძირალებს, რომლებიც მისი სახელის ხსენების ღირსნიც არ იყვნენ. ჩვენ, დიახ, ჩვენმა „უდიდებულესობამ", საქართველოდან ამოსულთა ინტელიგენციამ პირში წყალი ჩავიგუბეთ, მაშინ, როდესაც ნაძირალებმა მისი სახელის ხსენება გაბედეს. ხელისგულზე უნდა გვეტარებინა.

არ ვიცი, იქნებ დანაკარგის სიმძიმე იმდენად დიდია, რომ გადაჭარბებულ მოთხოვნებს ვუყენებ საკუთარ თავსაც და სხვებსაც, ასე გვიანღაა თითზე კბენანი. არც გაცვეთილი ფრაზები მოუხდება მისი ხსოვნის სტრიქონებს. სულ რომ არაფერი, ვინც წიგნი დაწერა იგი უკვდავიაო...

ფანიას ესეც ეყოფა.

გაზ. „სამშობლო", № 63; 1. 12. 80

**რომან იაკობაშვილი**

# გვარის უკვდავება

ფანია ბააზოვას ნათელ ხსოვნას

ლანდები, ლანდები, ლანდები,
მამა და ძმებიც? ...ო...
ფითრდები, ჩრდილივით ფითრდები,
„სისხლს – კი სისხლის წილ" გმობ.

კოდალას კაკუნით ტყვიების
კაკუნს მიუგდებ ყურს,
დავითის გამხმარი იები
ჰერცელს აყარეს გულს.

ფიქრივით ფითრდები, გაჰყევი
რაბი დავითის შტოს,
მაღლდები, ნისლივით მაღლდები,
უკვდავყოფ გვარში მყოფთ.

გაჰყევი ხეივანს ფიქრების,
ჰერცელის ლანდი გთხოვს
დრამებით აკინძულ ფარდების
დაცხრილულ სცენის რტოს.

ლანდები, ლანდები, ლანდები,
ეძებ ჰერცელის კვალს,
ფიფქივით ფიქრები, დარდები,
მამა დავითის ხმა.

ლოცვებით ჩურჩული: „ყიველი“
კურთხეულ მიწამ შვა,
მამა დავითის იმედი
ჰერცელმა, ფანიამ თქვა.

განცდები, ლანდები, განცდები,
ძმების ნაწური მზე
გაგათბობს, მაგრამ ვერ ასცდები
წიგნებს — საფლავშიც ძევს.

ლანდები წარსულით გამხნევებს,
სამარე გიძგერებს გულს,
გვარის უკვდავებას გაგონებს
მუდმივ სოფელის მდგმურს.

გაზ. „სამშობლო“
№ 68; 7.12.80

გერშონ მეგრელიშვილი

# ფანია ბააზოვი

გარდაიცვალა ფანია ბააზოვი, ცნობილი დავით ბააზოვის, საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის ფუძემდებლის და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის ქალიშვილი.

თვით ფანია ეკუთვნოდა საქართველოს სიონისტურ ორგანიზაციას. იგი წლების განმავლობაში ასრულებდა ორგანიზაციის მეტად საპასუხისმგებლო დავალებებს, გვერდში უდგა მამას, დიდ დავითს და ითვლებოდა სიონისტური მოძრაობის აქტივისტად.

როგორც ცნობილია, ბააზოვების ოჯახი მთლიანად სიონისტური იდეებით იყო გამსჭვალული. ამ ოჯახმა დიდი მსხვერპლი გაიღო სიონისტური მოძრაობის საქმეში. ეს ოჯახი არ დარჩა შეუმჩნეველი საბჭოთა დამსჯელი ორგანოებისათვის და მათ მიერ რიგრიგობით იქნა დასჯილი ამ ოჯახის თვალსაჩინო წევრები: მამა — დავით ბააზოვი და ძმები — გერცელი, ცნობილი მწერალი,

პოეტი და დრამატურგი, ხაიმი, ცნობილი იურისტი და მეირი, ინჟინერი.

ამ ჩაგრულსა და მრავალტანჯულ ოჯახს ახლა გამოაკლდა კიდევ ქ-ნი ფანია ბააზოვი, ცნობილი ადვოკატი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ადამიანი, სათნოებით სავსე და სიონის საქმისათვის თავდადებული. იგი ეკუთვნოდა საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის მეორე თაობას, რომელთაგან ბევრი აღარ დარჩა ცოცხალი, მაგრამ დარჩენილთა შორის და აგრეთვე შემდეგი თაობისათვის ქ-ნი ფანია იმსახურებდა დიდ პატივისცემას.

**P. S.** ცნობილია ქ-ნ ფანიას დაუღალავი მუშაობა საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის კორპორაცია „ავოდაში", რომლის ხელმძღვანელად ითვლებოდა მისი ძმა გერცელ ბააზოვი. ეს კორპორაცია შედგებოდა ახალგაზრდა ქართველ ებრაელთა ინტელექტუალებისაგან, რომლებიც იბრძოდნენ ხალუციანელთა იდეებისათვის (1926-30 წ.წ.).

**გერშონ მეგრელიშვილი**

საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის მდივანი 1922-31 წ.წ.
კორპორაცია „ავოდას" თავმჯდომარის მოადგილე, ახირ ციონი

29. 11. 80

<u>**დავით აჯიაშვილი**</u>

# რა მარტოდ რჩება

## ჩემი თაობა

დღეს უჩვეულო მოდის ზმანება –
ცით მოვლენილი ეპიფანია,
ხსოვნათა რიგი მიექანება
და გულში ძეგლად რჩება ფანია.

ფოთლები მშვიდი და უსენონი
კუბოსთან ფრენენ ქარად ისრისა;
რამ შეაშფოთა ძველი ქსენონი
და რა მწუხარე ფერმა მისრისა.

რაგინდ უწრფელეს ცრემლით ინამო,
ნისლი გბურავდეს, ჩემო თაობა, —
ირწმუნე: გაჰქრა მისი წინამო
და არტისტული გამბედაობა.

კოშკებზე წვება ჩრდილი იმფერი,
ვით ურჩხულების შავი ქილვაში, —
თითქოს ახლოა ისევ ციმბირი
შეჩვენებით და მარად კილვაში.

ისევ ჩვენება: კანებს სამპირებს
მოაქვთ კივილი, — სვემ რომ იშობა, —
და მზედაფლეთილ უძღებ ვამპირებს
ჰკლავთ გაბედულთა ღვთის მოშიშობა.

აქ ფრესკას მიაქვს ღრუბელი მკვრივი
და წყლიან თვალებს მიანინოებს,
ვით მეოცნებე და ნაზი ქვრივი
გრძნობით ატირებს პიანინოებს.

სად არის მისი მძლავრი ნატურა
და ეშხი ძველი, — რამ ორად-ორი, —
გადატყდა ქარში კლავიატურა —
გარდაიცვალა ის ორატორი.

გზებს ეფინება მრუმე სამოსი,
ვით უცხოობა შიშის ქალაქთა,
და სილამაზე სხივის, ამოსი,
განწირულების ხვედრით გალაგდა.

აჰ, ფრესკა თვალებს მიანინოებს,
რა მარტოდ რჩება ჩემი თაობა...
ემახსოვრებათ პიანინოებს
ის არტისტული გამბედაობა.

მარტის 30-ს, 1981 წელი.

გაზ. „ლიტერატურული
ისრაელი“,
№ 1 (1981 წ.)

დავიდა კროლი

# დედოფალი აღარა გვყავს

გუშინწინ, 29 დეკემბერს, როგორც ჩვენი თემის, ასევე ისრაელის მთელი საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი ხოლონის სასაფლაოზე, სადაც გაიმართა გამოჩენილი იურისტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ფანია დავიდის ასულ ბაასოვის გარდაცვალებიდან „ოცდაათი-სადმი" მიძღვნილი სამგლოვიარო ცერემონია.

სამგლოვიარო ცერემონია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოდან ამოსულ ოლიმ-აკადემაიმთა კავშირის თავმჯდომარემ ხაიმ ხუბელაშვილმა. განსვენებულის ჰატივსაცემად მოწვეულმა კიშინიოველმა ხაზანმა შეასრულა მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი გალობა „ელ მალე რახამიმ" („ღმ-ო აღსავსეო მოწყალებითა").

ფანია ბაასოვისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს რეკისორმა მოსე დანიელოვმა და აღმოსავლეთმცოდნე იცხაკ დავიდმა (ივრითზე). სიტყვებით გამოვიდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰასუხისმგებელი მუშაკი ცვი ოფერი, საქართველოდან ამოსულთა სრულიად ისრაელის ცენტრალური კავშირის გენერალური მდივანი რაფი ბარ-ლავი, ადვოკატი იაკობ მანიოვიჩი და სხვები.

გთავაზობთ ფანი ბაასოვის წიგნის „კეთროვანნის" ივრითზე მთარგმნელის ქ-ნ დავიდა კროლის მიერ სამგლოვიარო ცერემონიაზე კაგზავნილი წერილის ტექსტს, რომლის სათაურია „აღარა გვყავს დედოფალი".

მე შევხვდი ჰეშმარიტ დედოფალს. იგი იყო დედოფალი. პირველი დანახვისთანავე ადამიანს გეუფლებოდა დაუძლეველი გრძნობა მუხლი მოგეყარა მის წინაშე, გემზირა მისი დიდებული მშვენიერი სახისათვის და გესმინა, განუწყვეტლივ გესმინა მისი ბრძნული და სასიამოვნო ხმა. მწუხარე იყო დედოფალი. მწუხარე იყო, ვითარცა დედოფალი, თავისი სასხლიდან რომ გააძევეს და ლატაკური უბნის ერთ-ერთ უბადრუკ ბინაში რომ გამომწყვდიეს. და მას შერჩენია მხოლოდ მოგონებანი, შორეული და მწუხარე მოგონებანი. ირგვლივ წიგნები, სურათები და სუვენირები — აი, სულ ესაა, რაც მისი

სამფლობელოდან შემორჩენია.

და შენ მოწიწებით უსმენ მის მიერ განვლილ ტანჯვის გზებზე. უსმენ და შენს წინ წარმოდგებიან მისი თემის შვილები და ყველანი უფლისწულები და დიდებულთა შვილები არიან, ხოლო მთელი თემი – დიდებულთა და მრავალტანჯულთა ძველთაძველი თემია.

მე არ ვიცნობდი ქართველ ებრაელობას, ანდა ჩვენში ვინ იცნობს მას ახლოს და ღრმად? ჩვენი ყოველდღიურობის გაწამაწიაში, მუდმივ ფუსფუსსა და მოუცლელობაში ჩვენ სულმოკლეობას ვიჩენთ ხოლმე და სახელდახელოდ გამოგვაქვს კარგი თუ ცუდი განაჩენი, და უფრო ხშირად ცუდი. და ასე მოვექეცით ჩვენთან შორეთიდან – საქართველოდან მოსულ ებრაელებსაც.

და აი, დედოფალმა დაწერა თავის ხალხსა და თავის ქვეყანაზე. სისხლითა და ცრემლით დაგვიხატა ამ დიდებული თემის ისტორია. ჩვენ კი არაფერიც არ გვცოდნია, არ ვიცოდით, სანამ არ დაწერა. დაწერა და ამით ძეგლი აუგო თავის თემსა და თავის ოჯახს. დაწერა და ვერ დაამთავრა კი, „შუაზე შეწყდა მისი ცხოვრების სიმღერა". ჯერ კიდევ გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი და ბევრი რამ გასაკეთებელი, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო, რადგან მელნით კი არა, სისხლითა და ცრემლით წერდა, გულმაც მეტი ვეღარ შეძლო და უცბად შეწყვიტა ძგერა...

იყო ჭეშმარიტი დედოფალი. აღარ არის და მისი სახელია ფანია ბააზოვი.

ნება დამრთე, დედოფალო, შენს ახალ სასახლეს დავაფრქვიო ჩემი ცრემლები.

გაზ. „სამშობლო", № 90, 31. 12. 80

ფანიას გარდაცვალების წლისთავზე

შალვა ციციონი

# სულიერი დედა

შური ჩვეულებრივად ნიჭიერი ადამიანისადმი აღიძვრება. შურიანი ცდილობს ვნება და ტკივილი მიაყენოს იმას, ვინც ნიჭიერებით გამოირჩევა. ხოლო აღიარება და დაფასება ტალანტის პატრონს მიღწეულისა და შექმნილისათვის მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ხვდება წილად.

ამ უკადრისმა შურმა აქცია „კეთროვანებად" ბააზოვების მთელი ოჯახი, ოჯახი, რომელიც მაღალი იდეალებისათვის იღწვოდა. მამა და მისი სამი ვაჟი დაიღუპნენ და თვითონ ფანიამაც ბევრი ტანჯვა განიცადა ზოგი შურიანისაგან საბჭოთა კავშირშიც და ისრაელშიც. მაგრამ ფანია სულით არ გატეხილა. მან მოახერხა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგული ყოფილიყო თავისი ოჯახის ტრადიციისა და არ გაქრობია იმედი ისრაელი ხალხის უკეთესი მომავლისა.

შავმა ბედისწერამ მისი სიცოცხლე სწორედ მაშინ შეწყვიტა, როდესაც იგი შემოქმედებითი აღმავლობის ხანას განიცდიდა. მან, საბჭოთა კავშირში გამოჩენილმა იურისტმა, დათმო თავისი ბრწყინვალე კარიერა, და თავი გადასდო დიდი მიზნისათვის: გადაერჩინა საქართველოში სიონიზმის ისტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები. ის დღე და ღამეს ასწორებდა სანამ ამ მიზანს მიაღწევდა და როდესაც მიაღწია, მაშინ ამოვიდა ისრაელში თავის და პოლინასთან ერთად. დიდი შრომის შედეგად დაამუშავა მასალები და ქართულ ენაზე გამოსცა წიგნი. ამასთან ერთად იკვლევდა საქართველოს ებრაელობის ისტორიას, მაგრამ დასრულება ვერ მოასწრო. და ბოლოს, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ივრითზე და რუსულად გამოქვეყნდა მისი წიგნი „კეთროვანნი", რომელშიც მკვეთრად გამოჩნდა ფანიას მწერლური ნიჭიც და მისი ბრძოლაც ეროვნული იდეალებისათვის.

ცნობილია შემთხვევები, რომ ზოგ მწერალს ცოტა დაუწერია და ცოტა გამოუქვეყნებია, მაგრამ სახელი მოუხვეჭია თავისი ქმნილების მაღალი მხატვრული დონით. მე მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ფანია ბააზოვის „კეთროვანნი". ამას ადასტურებს გაზეთების რეცენზიებიც და წერილებიც, რომლებიც ქებას ასხამენ ამ წიგნს.

ძნელია ვთქვათ იგრძნო თუ ვერა ფანიამ სიკვდილის მოახლოება, მაგრამ სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე აღარ ლაპარაკობდა წამლებსა, ექიმებსა და თავის ავადმყოფობაზე. წაკითხვა აღარ შეეძლო, მაგრამ ძალიან აინტერესებდა მსოფლიოსა და ისრაელის ამბები. აინტერესებდა გაეგო პოლი-

ტიკის, ეკონომიკისა და ისრაელში ალიის მოვლენები.

ფანია ბააზოვი იყო ჩვენი სულიერი დედა და ეს დედა დავკარგეთ. მისმა ნაცნობებმა და მეგობრებმა მოაცილეს იგი თავის უკანასკნელ გზაზე აქამდე, ხოლონის სასაფლაომდე. აქ, მისი დაკრძალვის ადგილას აღმართულია მოკრძალებული მონუმენტი და სახსოვარი დაფა, რომელზეც ამოკვეთილია მისი ოჯახის, ბააზოვების ოჯახის წევრთა სახელები. მე მწამს, რომ ამ ქვაზე აღბეჭდილი სახელები სამარადისოდ აღიბეჭდება ცოცხალთა გულებში.

ხოლონი, 1981 წ

**მიშა ჯანაშვილი**

# ღამეთეული

ცხოვრებაში ხდება მოვლენები, რომლებიც დროთა განმავლობაში მომავალი თაობებისათვის ლეგენდის შარავანდედით იმოსება და ზღაპრული მნიშვნელობა ენიჭება. ასეთ მოვლენად შეიძლება ჩითვალოს ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში ბააზოვების დიდი ოჯახის მოღვაწეობა ჩვენი თემისა და ერის თვითშეგნებისა და უკეთესი მერმისისათვის.



მიშა ჯანაშვილი. ავტოპორტრეტი

...მაგრამ ბედის, დროის უკუღმართობამ ადრე გამოასალმა სიცოცხლეს სულით ძლიერი ადამიანები.

ამ დიდებული ოჯახის წარმომადგენელი იყო ფანია ბააზოვი, რომლის დაბადებიდან 70 წლისთავი ახლახან შესრულდა.

ფანია ბააზოვზე ბევრი დაწერილა, მაგრამ უფრო მეტი დაიწერება. რაც დრო გავა, მით უფრო დიდი მნიშვნელობის გახდება მისი მოღვაწეობა.

ფანია, მამამისის მსგავსად, დიდ ორატორულ ნიჭს ფლობდა. მასთან საუბარი სიამოვნებას ჰგვრიდა ყვე-

ლას. აი, ერთი დეტალი.

ფ. ბაბაზოვთან იკრიბებოდა ინტელიგენცია. მასთან საუბარი ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანს. ხშირად მასთან მისულს დამვიწყებია დროის საზომი და საუბარში დაგვთენებია. ასე „ღამეთეული" ალბათ მე არ ვყოლივარ, ბევრი ჰყოლია ფანიას.

მასთან საუბრისას ვგრძნობდით, რომ მის მზერაში სითბოსთან ერთად გამოსჭვიოდა დიდი სიმკაცრე, ერთ ყალბ სიტყვას არ შეგარჩენდა. მაგრამ როდესაც ის დაიწყებდა საუბარს, რაც არ უნდა „გაფანტული" ადამიანი ყოფილიყავი, იძულებული ხდებოდი სრულად მოგესმინა, რადგან გიპყრობდა მისი არგუმენტები, ფაქტების ცოდნა, გამოცდილება, მზრუნველობა... მას შეეძლო ესაუბრა ცხოვრების ყველა სფეროზე: ხელოვნებაზე, მუსიკაზე, ლიტერატურაზე, მშვიდობასა და ომზე თანაბარი მიმზიდველობით. ამიტომაც იყო, რომ მისი ახლოს მდგომი მეგობრები ხშირად გავმხდარვართ ღამეთეული.

... მოულოდნელი იყო ფანიას გარდაცვალება. ეს სულით ძლიერი ადამიანი შემოქმედებითი აღმავლობის ზენიტზე იდგა. ფანიას გარეშე არ წყდებოდა ჩვენი თემის არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. ის იყო ჩვენი მეგობრობის ღერძი და ცენტრალური ძალა. დედობრივ მზრუნველობას იჩენდა ყველას მიმართ. ტყუილად კი არ შეარქვეს მას ქართველ ებრაელთა გოლდა. აინტერესებდა და ყოველთვის კითხულობდა ახლო მეგობრების მდგომარეობას, ყოველთვის დაინტერესებული იყო მათი შემოქმედებითი უნარიანობით. კარგად მახსოვს, როდესაც ვემზადებოდი პერსონალური გამოფენისათვის, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს პრეზიდენტს უნდა გაეხსნა, ქალბატონი ფანია ამოვიდა ჩემთან იერუშალაიმში და დიდი გულმოდგინეობით შემომწმა თითო ნაწარმოები.

ასეთი იყო ფანია ყველა შემოქმედის მიმართ.

**<u>გერცელ ჩაჩაშვილი</u>**

*ნიუ-იორკი 15.VII.1983 წ.*

## *ძვირფასო ქალბატონო პოლინა!*

მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი სამი წიგნი — ფანიას მონოგრაფია „კეთროვანნი", თქვენს მიერ შედგენილი, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული

(ფანიას გამოკვლევებით) და ე. ხასინის წიგნის „ბილუელის დღიური“-ს თქვენი თარგმანი. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თავაზიანი წარწერისა და ყურადღებისათვის.

ფანიას მონოგრაფიასა და მის მიერვე თქვენი მონაწილეობით შედგენილ მამათქვენის, გერცელისა და მეირის ნაწერების კრებულს ჩემი ამერიკაში ჩამოსვლის (1980) შემდეგ გავეცანი და ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვასწარი და პირადად ვერ გავუზიარე მას ჩემი შთაბეჭდილებები ამ შესანიშნავ გამოცემებზე. ბევრი რამ ახალი გავიგე ამ ნაწერებიდან იმ მოვლენებზეც კი, რომელთა მეტ-ნაკლები მონაწილე ახალგაზრდობის წლებში მეც ვიყავი... ობიექტურად კი — ეს წიგნები მნიშვნელოვნად ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ქართველ ებრაელთა ძველი და უახლესი ისტორიის საკითხებში და ცოცხლად გვისურათებენ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილების თავდადებულ ბრძოლას ეროვნული აღორძინებისათვის იმ შავ-ბნელ ოცდაათიან წლებშიც. ეს წიგნები მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ჩვენი ხალხის კულტურისა და აზროვნების ისტორიაში...

დასასრულს, კვლავ დიდი მადლობას მოგახსენებთ ამ ძვირფასი საჩუქრისათვის და ვიმედოვნებთ ისრაელში ჩამოსვლისას საშუალება მექნება პირადად გინახულოთ და ამ თემებზეც უფრო დაწვრილებით გესაუბროთ (ხოლონში ჩემი ნათესავებიც ცხოვრობენ — ონიდან ამშიკაშვილები).

უღრმესი პატივისცემით

**გერცელ ჩაჩაშვილი**

ფანია ბააზოვი

# სახლი კავკასიონის ფერდობზე

მე დავიბადე რაჭის მაზრის პატარა ქალაქ ონში. ეს ქალაქი კავკასიის მთის ფერდობზე მდებარეობს. მას გარშემო სამტერასიანი ტყეები — ალპური მდელოებითა და ცამდე აზიდული მყინვარწვერებით შემოხვევია. ჩემი საბავშვო ოთახის ფანჯრიდან რაღაც არაჩვეულებრივი სილამაზის ბუნება იშლებოდა, რომელიც თვალს ელამუნებოდა და ადამიანს სულიერად ამაღლებდა. ყურთასმენამ ხომ სამუდამოდ შემომინახა მდინარე რიონის გულმოსული ბუტბუტი. იგი ჩვენი სახლის შორიახლოს მოედინებოდა. მდინარე რიონი თავისი შენაკადებით ასმევდა და რწყავდა რაჭის არემარეს. მაგრამ გაზაფხულზე, თოვლის დნობის შედეგად ადიდდებოდა და მოღონიერებული იჭრებოდა სოფლებში, საიდანაც სახლის ნივთებს, საბავშვო აკვნებსა თუ საბძელს თან მიაქანებდა შავი ზღვისაკენ.

მეზობლები და ნაცნობები, მაშინ ყველანი ჩემთვის ახლობლები იყვნენ. როცა მამა შორეული მგზავრობიდან შინ ბრუნდებოდა, სახლი სტუმრებით ივსებოდა.

რაჭველები დარბაისელნი და აუჩქარებელი ხალხია, რითაც განსხვავდებიან ქართველთა დანარჩენი ტომებისაგან. ისინი, შრომისმოყვარე და საქმეში პატიოსნები, ადამიანთა ურთიერთობებში რბილი და დელიკატურნი არიან. რაჭველებს უყვართ თავისი მთები და ქვეყანა, თავისი ისტორია და კულტურა. ისინი აუღელვებელნი და მხიარულნი არიან, როგორც ზეიმის დროს, ასევე ყოველდღიურად.

ებრაელები განცალკევებულ უბნებში ცხოვრობდნენ. იცვამდნენ, როგორც ქართველი გლეხები — ჩოხა-ახალუხს, ლაპარაკობდნენ ქართულად და შრომობდნენ ისევე მუყაითად, როგორც თავიანთი მეზობელი ქართველები, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ იცავდნენ თვითმყოფადობას, რწმენასა და დარდს. მათი ბედი მძიმე იყო. სხვა კუთხის ებრაელობის შესახებ მათ ცოტა რამ იცოდნენ — იმათი ამბავი ხანდისხან შემთხვევით მოხვედრილ მოგზაურებს მოჰქონდათ. მაგრამ ოცნებითა და რწმენით სიონის აღორძინების შესახებ ისინი მაინც დაკავშირებულნი იყვნენ დანარჩენ ებრაელობასთან. და ამიტომაც არ სწყვეტდნენ ლოცვას: „თუ დაგივიწყო შენ, იერუშალაიმ, დავიწყებულ

ბაზოევების სახლი ონში

იქნას მარჯვენა ჩემი“.

ბავშვობაში მსმენია, რომ „ონი პატარა იერუშალაიმია“ და ეს „პატარა იერუშალაიმი“ დიდი ხნის წინათ მოსწყდა ებრაელთა ერის საერთო ისტორიას.

რაჭის ებრაელობამ მაშიახის მოლოდინში შემოინახა არაჩვეულებრივი სულიერი სიწმენდე. ალბათ რაჭველი ებრაელის შესახებ გამოთქვა პოეტმა შემდეგი სიტყვები:

...და აქაც ისრაელი სუფთა სულით,
როგორც ელვარება მთის ალმასისა,
ძველადთქმული უბრალოებით
დღემდე სუნთქავს სტუმარი კავკასიისა.

როდის და როგორ მოხვდნენ ებრაელები რაჭაში, უცნობია. ამის შესახებ არ მოგვეპოვება წერილობითი წყაროები და არც ზეპირი გადმოცემებია შემონახული.

ვახტანგ ბატონიშვილი, საქართველოს სამეფოს აღწერის დროს, რომელიც განახორციელა 1745 წელს, ეხება ებრაელთა ყოფას რაჭის მაზრაში, მდინარე რიონის სამხრეთით: „... ურიანი ქალაქ ონში ცხოვრობენ და ეწევიან აღებ-მიცემობას“ (ვახუშტი ბაგრატიონი – „საქართველოს ისტორია“, გვ. 767). ზემოაღნიშნული აღწერილობიდან ნათელია, რომ 1745 წელს ონში არ იყო არც ერთი არაებრაელი. ქალაქი დაარსებულა ებრაელების მიერ და შემდგომ პერიოდშიც ონის მცხოვრებთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ ებრაელები. ქართველები ცხოვრობდნენ გარშემო სოფლებში. თანდათანობით ონი მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა, სადაც სოფლებიდან ჩასახლდა ქართველი ინტელიგენცია – ექიმები, მასწავლებლები, მოსამსახურეები, სტუდენტები. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მახლობელი სოფლებიდან ებრაელობამაც იწყო დინება ონში და ადგილობრივ ებრაელობასთან ერთად შექმნეს ერთი მჭიდრო საზოგადოება.

რას წარმოადგენდა ქალაქ ონის ებრაელობა? ისინი უმთავრესად ნახევრად გლეხები და ვაჭრები იყვნენ. თითოეულ ოჯახს ჰქონდა ბოსტანი და მიწის ნაკვეთი, ჰყავდათ ძროხა და თხა. ამის გარდა იმისთვის, რომ ოჯახი გამოეკვებათ, ოჯახის უფროსი დამატებით მეწვრილმანეობდა ან ხელოსნობას ეწეოდა. კვირიდან ხუთშაბათამდე დიდვაჭრისაგან განვადებით იღებდა სხვადასხვა საქონელს და ეს ონელი ებრაელი მიემართებოდა საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და დაბებში. იშვიათად ვინმეს ცხენი ან ჯორი ჰყოლოდა. უფრო ხშირად მეწვრილმანე მხარზე გადაიგდებდა საქონლით დატვირთულ დიდ კალათას. ონელი მოხეტიალე ვაჭრისათვის მთიან რაჭარში საქმიანობა გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ქალაქისა და ბარის ებრაელი ვაჭრისათვის. გარდა სიცხისა, სიცივისა, ზვავისა და თოვლიანი ქარბუქისა, მას სხვა საშიშროებაც ელოდა – თუ კავკასიონის ქედს გასცდებოდა, მას ჩრდილოეთ კავკასიის ტომების მძარცველი ან მკვლელი ელოდა.

ებრაელი მეწვრილმანეები ძალიან მცირედით კმაყოფილდებოდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ თუ შაბათს ღირსეულად ჩაატარებდნენ და, როგორც ეს კეთილ ებრაელს ეკუთვნოდა, უქმე დღეებშიც სუფრას გაშლიდნენ. მაშინ ისინი მღეროდნენ და ხმამაღლა მხიარულობდნენ, რომლის დროსაც ივიწყებდნენ ყოველდღიურ ჭაპანს.

საბედნიეროდ, რაჭაში, ისევე როგორც მეზობელ სვანეთში, კეთილგანწყობილი ურთიერთობა არასოდეს არ შეცვლილა. მთიან რაჭაში არ იყო რკინიგზა და არც ისე იოლი იყო იქ მეფის მოხელის ჩასვლა. აქედან გამომდინარე, რუსული ანტისემიტიზმის გავლენა ვერ აღწევდა რაჭაში იმ დროს, როდესაც საქართველოს სხვა პროვინციებში რუსმა მოხელეებმა ადგილობრივ მოსახლეობას შთაუნეგრეს იუდოფობიის საწამლავი. საქართველოს სხვადასხვა სოფლებში სისტემატიურმა სვლამ ებრაელები დააახლოვა ქართველებთან. ხშირად ებრაელი მეწვრილმანე ღამეს ათევდა თავის მეგობარ ქართველი ქრისტიანის სახლში, მასთან ინახავდა საქონელს და ვაჭრობას ხშირად განვადებითაც ეწეოდა. საქმეებს აწარმოებდნენ ხელწერილისა და დოკუმენტების გარეშე. პატიოსანი სიტყვა საკმარის გარანტიას წარმოადგენდა, ვერასდროს გაიგონებდით უნდობლობისა და მოტყუების შესახებ. ებრაელი მეწვრილმანე ხშირად პატარ-პატარა სამსახურს უწევდა ქართველ ქრისტიანს. მას ავალებდნენ საჩუქრის, ფულის გადაცემ-გადმოცემას. იყო შემთხვევები, როცა მას საქმროს ან საცოლეს შერჩევას ავალებდნენ. თითოეულ ონელ ებრაულ ოჯახს ჰყავდა თავისი მეშაბათე, რომელიც შაბათობით ღუმელს უნთებდა მათ.

ქართველი მეზობლები ებრაულ წეს-ჩვეულებასაც დიდ პატივს სცემდნენ. ონში ჩვენი სალოცავის „შამაში" (ლოცვის მსახური) იყო მოხუცი და კოჭლი; სელიხოთის დღეებში ის მამლის პირველ დაყივლებისას დგებოდა და თავის მსხვილ ჯოხზე დაყრდნობილი შემოუვლიდა ბნელ უბანს, შედგებოდა თითოეული სახლის წინ და მტკიცე ხმით იძახდა: „აბრამია! სალოცავში სელიხოთზე!" „ყაზარია, ლოცვაში – სელიხოთზე!" „მათათია!.." – და ა. შ. ასე ჩამოუვლიდა ყველას, ბოლოს მოადგებოდა ჩვენს სახლს ქალაქის ცენტრში და აღვიძებდა მამას. მის ძახილზე ეღვიძებოდა ყველა ქართველ მეზობელსაც, მაგრამ ამ უკანასკნელებს სულაც არ სწყინდათ და არც ჩიოდნენ. მათ ისეთი რწმენა ჰქონდათ, რომ ებრაელები ღვთის ხალხია, რომ ებრაელი არ მოკლავს, არ მოიპარავს, არ მოატყუებს და არ გასცემს.

რუსულიდან თარგმნა

**პოლინა ბააზოვმა**

# ახალციხეში

(1917-1919)

ახალციხის ებრაელთა საზოგადოების მთავარი გაბაის ისრაელ პიტიმა-შვილის სახლში დიდიხანია გველოდნენ და ამისათვის სათანადოდაც მომზადებულიყვნენ. ამას ადასტურებდა ის გულთბილი და გულითადი მიღება, რომელიც ამ მეტად, ხალხში პატივსაცემ ადამიანის მრავალრიცხოვანმა ოჯახმა მოგვიწყო; გამთბარი ოთახები, თბილი წყალი, ნაირ-ნაირ კერძებიანი უხვი ვახშამი და აბრეშუმის ზეწარგადაკრული ბუმბულის ლოგინი — ჩვენ, ხანგრძლივი და ზამთრის დამღლელი მგზავრობის შემდეგ ნამდვილ ნეტარებად მოგვეჩვენა, მით უმეტეს იმ პირობებში, რომლებიც 1917 წლის ბოლოს საქართველოში არსებობდნენ; იმ დროს, როცა კაცს ეგონა, რომ მთელი ქვეყანა ამოხეთქილ ვულკანზე ირყეოდა.

ისრაელ გაბაი ახალციხის ებრაელთა საზოგადოების ერთ-ერთი მდიდარი კაცი იყო. ის ებრაელთა უბნიდან ცოტა მოშორებით ცხოვრობდა თავის საკუთარ საკმაოდ მდიდრულ, თურქული ყაიდის ავეჯით მოწყობილ ორსართულიან სახლში. მაგრამ ის განირჩეოდა თავისი თანამოძმეებისაგან, თუნდაც იმ მდიდრებისგანაც, რომელნიც მასზე ქონებრივად უფრო ძლიერნიც კი იყვნენ (და ასეთები ცოტა როდი იყვნენ ახალციხეში), თავისი საოცარი უბრალოებითა და მოკრძალებით, გულწრფელი მზადყოფნით გაჭირვებულთათვის და ღარიბთათვის დახმარების აღმოსაჩენად და მთავარი კი, მისი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ მთელი საზოგადოების გასაჭირსა და უბედურებას მიიჩნევდა თავის პირად უბედურებად.

რამოდენიმე დღის მერე მოვიდა ჩვენი ნივთები და ჩვენ საცხოვრებლად გადავედით ბინაზე, რომელიც ახალციხის საზოგადოებას ჩვენთვის ადრევე დაექირავებინა ერთ მდიდარ სომეხ მესაკუთრესთან. აღნიშნული სახლი იდგა ქალაქის ცენტრში, საქალაქო ბულვარიდან შორიახლოს. იქიდან იწყებოდა აღმართი, მიმავალი ძველი კოშკისაკენ. მშვიდობიან პერიოდში აქ დედას ჩვენ სასეირნოდ დავყავდით. კარგად მახსოვს ჩვენი ბინა. ის ბევრი ოთახისგან შედგებოდა დატანებული ძალიან მაღალი ფანჯრებით. ბინასთან ერთად ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა მისი მოწყობილობაც. ის დიდად განსხვავდე-

რაბი დავიდ ბაზოვის ცოლ-შვილი ახალციხეში. 1918 წ.
მარცხნიდან: ხაიმი, მეირი, ვერცელი, ფანია, დედა;
წინა ჰლანზე – ფინსასი და მისი გამდელი

ბოდა ჩვენი ადრინდელი ბინის მოწყობილობისაგან. აქ ავეჯი და საერთოდ ყოველი ნივთი ევროპული ყაიდის იყო. ჩვენი მამა, ისევე როგორც შემდგომ პერიოდშიც, როცა არაერთხელ უხდებოდა ადგილსაცხოვრებლის გამოცვლა, მთელს ავეჯს და ყოველ მძიმე ნივთს ადგილზევე სტოვებდა და მიჰქონდა მხოლოდ ბიბლიოთეკა.

●●●

...ბენიამინ კაკიტელაშვილი და შელომო ციციაშვილი იმ დროს უკვე ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და მგზნებარე სიონისტები იყვნენ.

უფროსებისგან გადმოცემით ვიცი, რომ ჯერ კიდევ როცა ბენიამინ კაკიტელაშვილი ქ. ვენის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი იყო, 1904 წელს, თეოდორ ჰერცელის დაკრძალვისას, ქ. ვენის ებრაელ სტუდენტების სახელით მან წარმოსთქვა მეტად შთამბეჭდავი სამძიმრის სიტყვა.

მოუსყიდავი და თავისი ხალხისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის შელომო ციციაშვილის სახემ საქართველოს სიონის-ტების ცხოვრებაში გაიელვა როგორც ბრწყინვალე ზმანებამ. მე კარგად

მახსოვს, ეს იყო 1919 წლის ბოლოს თუ 1920 წლის დასაწყისში, ერთ მოღრუბლულ ადრიან დილას, ერეც-ისრაელში თავისი გამომგზავრების წინ მამასთან გამოსამშვიდობებლად ის ახალციხეში ჩამოვიდა. ბავშვური ცნობისმოყვარეობით მამის კაბინეტში შევედი და მაშინ პირველად ვნახე შ. ციციაშვილი, რომელზედაც ასე ხშირად და ბევრს ლაპარაკობდნენ ჩვენს ოჯახში. დამამახსოვრდა ის მომენტი, როცა მამის წინ იდგა – მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი, ღია ნაცრისფერ კოსტუმში და იმავე ფერის ცილინდრით. მე მაშინ მომეჩვენა, რომ მათი გამოთხოვება მეტად სევდიანი იყო. თითქოს-და ორივენი გრძნობდნენ, რომ ერთმანეთს სამუდამოდ ეთხოვობოდნენ.

ბ. კაკიტელაშვილისა და შ. ციციაშვილის გარდა გაზეთ „ხმა ებრაელი-სა"-ში მუშაობდნენ გამოჩენილი სიონისტი და მწერალი ნ. ელიაშვილი, იოსებ მოშიაშვილი, ძმები იცხაკ-ხაიმ და ნონიკო მინოვიჩები და სხვები.

ჟურნ. „**დროშა**", № 30 (1983 წ.)

თარგმანი **პოლინა ბააზოვისა**

# კეთილოვანნი

(ნაწყვეტები წიგნიდან)

საბრალო დედა! როგორ შეიცვალა! რამდენიმე დღეში ათი წლით დაბერდა. ახლა პატარა დაიკო? შეშინებული, დამფრთხალი, თავის თავში ჩაკეტილი!

ძია შელომოს ხომ ნუღა იკითხავთ, –მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის სრულ მზადყოფნაში იყო თავისი ერთგულებით სოფასთვის ესიამოვნებინა, გული მაინც ვერ მოულბო. სოფა კიდევ დიდხანს ემუქრებოდა, შენს თავს დავაჭერინებო. ზამთრის ყინვების დადგომამდე ძია შელომო, თურმე, სახლში ღამის გათევის რომ ეშინოდა, ქალაქის რომელიღაც ბაღის სკამზე იძინებდა. თუმცა, კი ჰქონდა შესაშინებელი: ის ხომ რამდენიმე მოწაფეს საიდუმლოდ ასწავლიდა თანახს. ეს იყო ერთადერთი საშუალება, რომ მრავალშვილიანი ოჯახი გამოეკვება. სიკვდილივით ეშინოდა სოფამ არ შემიტყოსო და მოსწავლეებთან მეცადინეობის შემდეგ ოპერის თეატრში მოეწყო კარისკაცად.

იმ თვეებში ებრაული წრეებიდან დედაჩემთან თითქმის აღარავინ დადიოდა. მხოლოდ მამას უახლოესი თანამებრძოლი, ჯერ კიდევ სიონისტური იატაკქვეშეთიდან, მოხუცი ი. ლ. ზარეცკი მოდიოდა ხოლმე და, შესაძლებლობის მიხედვით, ზრუნავდა და აქცევდა ყურადღებას.

სამაგიეროდ, სულ უფრო მოუხშირეს ჩვენს სახლში სიარულს ქართველმა მეგობრებმა. განსაკუთრებით ჩემმა უნივერსიტეტელმა დაქალებმა და ამხანაგებმა, რომლებიც ადვოკატთა კოლეგიაში შედიოდნენ. სწორედ მათ შეიტყვეს პირველებმა და დედას შეატყობინეს, რომ საქართველოს უმაღლეს სასამართლოში მამაჩემისა და ხაიმის საქმე შეიტანეს.

ბინდი რომ ჩამოწვა, ვექილ ა. ჭიჭინაძის სახლში მივედი. ჩემი ჩამოსვლის ამბავი რომ გაიგეს, ა. ჭიჭინაძის ბინაზე თავი მოიყარეს ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ვექილებმა და ხაიმის მომავალმა დამცველმა დ. კანდელაკმა..

ჭიჭინაძესა და კანდელაკს აზრადაც კი არ მოსვლიათ ჩემთვის დაემალათ საქმის ვითარება, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასტიკად აკრძალული იყო და „საიდუმლო მასალების გამჟღავნებისათვის“ ისინი დიდ რისკზე მიდიოდნენ. ვექილს უფლება არ ჰქონდა შეედგინა „დოსიე“ და თანაც ხელზე ჰქონოდა. ჩანაწერები, რომლებსაც იგი საქმის გაცნობისას აკეთებდა, სასამართლოში უნდა დაეტოვებინა.

საქმე ჯგუფური იყო. განსასჯელები იყვნენ: დავით ბააზოვი, ექიმი რამენდიკი, 103-ე სკოლის ყოფილი დირექტორი, მათემატიკოსი პაიკინი, ექიმი გოლდბერგი, ამიერკავკასიაში სსრკ-ს საგარეო ვაჭრობის ყოფილი რწმუნებული რ. ელიგულაშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის უმცროსი მეცმუშაკი გ. ჩაჩაშვილი და ხაიმ ბააზოვი.

ყველას წაყენებული ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10-11-ე სტატიებით გათვალისწინებული ბრალდება.

ჩემმა მეგობარმა ვექილებმა მითხრეს, რომ საბრალდებო დასკვნა კარგა მოზრდილი იყო. ის შეიცავდა ბრალდებათა ეპიზოდების უამრავ რაოდენობას, რომლებიც თავს იყრიდა შემდეგ ძირითად პუნქტებში:

—დავით ბააზოვი, დაწყებული 1904 წლიდან, იყო აქტიური სიონისტი და მჭიდროდ უკავშირდებოდა მსოფლიო სიონიზმის ხელმძღვანელობას. მან არაერთხელ მიიღო მონაწილეობა რუსი და ამიერკავკასიელი სიონისტების კონფერენციებსა და მსოფლიო სიონისტურ კონგრესებში. ჯერ კიდევ რევოლუციამდე მან საქართველოში შექმნა სიონისტური ორგანიზაცია, რომელშიც ჩაითრია ქართველ და რუს ებრაელთა ბევრი კლასობრივად არამდგრადი ელემენტი.

თავის საჯარო გამოსვლებში იგი ქადაგებდა ებრაული ეროვნული თვითმყოფადობის რასისტულ თეორიას, რითაც ებრაელ მშრომელ მასებს ჩამოაშორებდა რევოლუციურ ბრძოლას.

იგი აარსებდა რელიგიურ სკოლებს, რომლებშიც ებრაელ ბავშვებს ასწავლიდნენ რელიგიას, ძველებურ ენასა და ისტორიას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან არა თუ შეწყვიტა თავისი ანტიხალხური დანაშაულებრივი მოღვაწეობა, არამედ თავის უფროს ვაჟთან, დღეს გამოაშკარავებულ და ბრალდებულ გერცელ ბააზოვთან ერთად აქტიურ ნაციონალისტურ აგიტაციას ეწეოდა და საჯაროდ მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან ქართველ ებრაელთათვის „კულტურული ავტონომიის“ მინიჭებას.

1925 წელს მან შეცდომაში შეიყვანა მთავრობა, რომელმაც მას პალესტინაში გამგზავრების ნება დართო, ვითომცდა ღარიბ ქართველ ებრაელთათვის მიწის მიღების საკითხის მოსაგვარებლად.

—პალესტინაში, აღადგინა რა თავისი დანაშაულებრივი კავშირები მსოფლიო სიონიზმის ხელმძღვანელებთან, მან, მათი დახმარებით, ასობით სერთიფიკატი მიიღო.

მთავრობის დახმარებით მოახერხა მიღებული სერთიფიკატების ნაწილობრივი რეალიზაცია და იმავე წელს ორგანიზაცია გაუკეთა ათობით ებრაული ოჯახის ემიგრაციას პალესტინაში. მაგრამ ამ მიმართულებით მისი დანაშაულებრივი მოქმედება დროზე შეწყდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სიფხიზლის წყალობით.

განაგრძობდა რა თავის კონტრრევოლუციურ იატაკქვეშა მოღვაწეობას, იგი, თავის შვილთან გერცელთან ერთად, დანაშაულებრივ კავშირში შევიდა მოსკოვის სიონისტური ორგანიზაციის „არგო ჯოინთის“ წარმომადგენელთან ი. როზინთან, რომელსაც ჯაშუშურ ცნობებს გადასცემდა.

იყო მოსკოვის იატაკქვეშა ანტისაბჭოთა სიონისტური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის აქტიური წევრი ამ დანაშაულებრივი კერის ლიკვიდაციისა და მისი წევრების: კუგელის, კამინსკის, ბერნშტეინისა და სხვების დაპატიმრებამდე.

ებრაელთა შორის ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას და იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ითრევდა რუს და ქართველ ებრაელ ახალგაზრდებს. ასე ჩაითრია მან მოცემული საქმის ბრალდებულები რ. ელიგულაშვილი და გ. ჩაჩაშვილი.

რამენდიკს, გოლდბერგსა და პაიკინს ბრალი ედებოდათ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილები შევიდნენ დ. ბააზოვის იატაკქვეშა ორგანიზაციაში და საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდნენ.

რ. ელიგულაშვილსა და გ. ჩაჩაშვილს — იმაში, რომ ისინი დ. ბააზოვმა ჩაითრია სიონისტურ იატაკქვეშა ორგანიზაციაში და საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას ეწეოდნენ.

ხ. ბააზოვს — იმაში, რომ იყო რა ხალხთა მტრებისა და იმპერიალისტური ქვეყნების აგენტების შვილი და ძმა, ჯერ კიდევ ოციანი წლების დასაწყისში შევიდა მისი ძმის გ. ბააზოვის მიერ დაარსებულ ახალგაზრდა სიონისტების ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში „ცეირეი ციონ“.

საქმესთან დაკავშირებით ერთი მოწმეც კი არ გამოუძახნიათ. საქმეს თან არ ახლდა თუნდაც ერთი ნივთიერი მტკიცება. ერთი დოკუმენტიც კი არ ჰქონდათ, რომ, თუნდაც ირიბად, როგორმე დაემტკიცებინათ ეს ბრალდება.

საძიებო მასალების ტომეულები შესდგებოდა ბრალდებულთა, ძირითადად დავით ბააზოვის უთვალავი დაკითხვის ოქმებისაგან. ის ხომ ბრალდების ყოველი ეპიზოდის მიხედვით 10-15-ჯერ იყო დაკითხული. ეს ოქმები, როგორც წესი, იწყებოდა მოწოდებით, დაწვრილებით მოეთხრო „თავისი ფაშისტური და კონტრრევოლუციური მოღვაწეობის“ შესახებ. საქმეში იყო დავით ბააზოვისა და დანარჩენი ბრალდებულების პირისპირ წაყენების ამსახველი ოქმების უამრავი რაოდენობა. ყველა ეს მასალა ასახავდა გამოძიების მცდელობას, გამოერკვიათ როდის და სად ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს და რა გამოთქმებით მიმდინარეობდა მათ შორის „ანტისაბჭოთა გამოთქმები“ „ებრაულ საკითხებზე“.

საქმეს თან ერთვოდა, ასევე, მანქანაზე გადაბეჭდილი და ხელმოუწერელი გერცელის „ჩვენებები“, რომლებშიც გერცელი „ნიღაბს ხდიდა“ საკუთარ მამას სიონისტურ მოღვაწეობაში.

საქმე უნდა განეხილა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების სპეცკოლეგიას. თავმჯდომარედ დაინიშნა უმაღლესი სასამართლოს წევრი უბილავა. ის უმაღლეს სასამართლოში რამდენიმე თვის მოსული იყო. მე მას არ ვიცნობდი.

●

ერთი წლის მანძილზე, ვიდრე მე თბილისში არ ვიყავი, უმაღლეს სასამართლოსა და ადვოკატურაში დიდი ცვლილებები მოხდა. ჩემსობას იქ ძირითადად ძველ რევოლუციონერთა და მუშათა წრიდან დაწინაურებულთა პლეადის წარმომადგენლები სჭარბობდნენ. განაჩენისა და გადაწყვეტილებათა გამოტანის დროს მათ უნდა ეხელმძღვანელათ „კლასობრივი ინტერესებითა“ და „რევოლუციური მართლშეგნებით“. რა თქმა უნდა, ეს ბუნდოვანი კრიტერიუმი კანონიერების გარანტი ვერ იქნებოდა, მაგრამ მათ შორის იყვნენ წესიერი და პატიოსანი ადამიანები, ვისი ცხოვრებისეული გამოცდილება და სუფთა სინდისი ხშირად თავს იჩენდა ადამიანური სამართლიანობით აღბეჭდილი განაჩენის გამოტანისას.

ამ ხალხში თითქმის არავინ იყო უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე. ეს იმიტომ კი არა, რომ საქართველოს არ ჰყავდა დიპლომირებული იურისტები; უმაღლესი და სახალხო სასამართლოების ორგანიზაციის პერიოდში საქართველოში მრავლად იყო პეტერბურგში, ოდესაში, პარიზსა და ბერლინში განათლებამიღებული იურისტების დიდი არმია, მაგრამ ისინი ან უპარტიო, ან წარსულში სხვა პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენლები იყვნენ. მათ უმეტესობას, საქართველოს გასაბჭოებამდე, სენატორის, საოლქო პროკურორის, ან სხვა მაღალი პოსტები ეჭირათ (შალვა მესხიშვილი — იუსტიციის მინისტრი, გორგაძე — სამხედრო მინისტრი და ა. შ.). თავიანთი სოციალური წარმომავლობის ან პოლიტიკური წარსულის გამო ისინი, ბუნებრივია, ვერ დაიკავებდნენ სასამართლო ან პროკურატურულ პოსტებს. მათი უმრავლესობა ადვოკატურაში გადავიდა; ზოგი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებელი გახდა; ნაწილი კი სხვადასხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციების იურისკონსულტად მოეწყო.

საბჭოთა პერიოდში, 20-იანი წლების ბოლოს ან 30-იანი წლების დასაწყისში უნივერსიტეტმა გამოუშვა ძირითადად ძველი ინტელიგენტური ოჯახებიდან გამოსული თაობა. ისინი ძველი პროფესურის და, პირველ რიგში, ჩვენი უსაყვარლესი პროფესორის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის აღზრდილები იყვნენ. და ამიტომ, რასაკვირველია, არც ისინი იმსახურებდნენ ნდობას. მათი უმრავლესობა ადვოკატურაში გადავიდა, ზოგი ხელოვნების, ლიტერატურის ან თეატრის მოღვაწე გახდა, მცირე ნაწილი კი, ვისაც „სწორი პოლიტიკური ალღო“ აღმოაჩნდა, პარტიაში შევიდა და ნელ-ნელა შეუერთდა სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს.

სწორედ მაშინ, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისადმი უნდობლობის გამო, იუსტიციის სახკომთან შეიქმნა ორწლიანი იურიდიული კურსები. იქ აგზავნიდნენ კომკავშირლებსა და პარტიის წევრებს, ხოლო პედაგოგები, ძირითადად უკვე მოსკოვის წითელი პროფესურის პარტიული კურსდამთავრებულები იყვნენ. ამ „ცოდნის ტაძრის" მარქსიზმ-ლენინიზმით დატენილი მემკვიდრენი, ვინც სასწრაფოდ შეისწავლა სისხლის სამართლის კოდექსების პრაქტიკული გამოყენება, გახდნენ სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების „გაჯანსაღებისა" და გაახალგაზრდავების ძირითადი კადრები.

1937-38 წლებში უმაღლესი სასამართლოს ბევრი წევრის, ძველი მუშებისა და რევოლუციონერების, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვანო ბოლქვაძისა და მისი მემკვიდრის ისაკაძის დაპატიმრების შემდეგ, თუ ვინმე გადარჩა უმაღლეს სასამართლოში, ყველანი ახალი პარტიული კადრებით შეცვალეს.

მამაჩემისა და სხვათა საქმეთა მოსამართლე უბილავა სწორედ ასეთი „დიპლომანტი" იყო. სამაგიროდ, ბრალმდებელი პროკურორი გ. შეწირული 30-იან წლებში უნივერსიტეტიდან გამოძევებული ნიჭიერი და უნარიანი იურისტების რიცხვს განეკუთვნებოდა.

1936 წლიდან მოყოლებული, ადვოკატთა კოლეგიის ყველა წევრს როდი აძლევდნენ სპეცსაქმეთა განხილვაში მონაწილეობის ნებას. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს შინაგან საქმეთა კომიტეტის სპეცგანყოფილებიდან ეგზავნებოდა პოლიტიკურ საქმეებთან დაშვებულთა სია (ეს სია განუწყვეტლივ იცვლებოდა სიტუაციის მიხედვით), ძირითადად ის პარტიის წევრებისაგან შესდგებოდა, თუმცა, „ზრდილობის გულისათვის" ხანდახან უპარტიო, მაგრამ მცოდნე ადვოკატებსაც გაურევდნენ ხოლმე, თუ მათ „სუფთა ანკეტა" ჰქონდათ და ლოიალურებადაც ითვლებოდნენ.

ამ უკანასკნელთა რიცხვში იყვნენ ადვოკატები ა. ჭიჭინაძე და დ. კანდელაკი.

ალექსი ჭიჭინაძე უნივერსიტეტის 20-იან წლების ბოლო გამოშვება იყო. ჭკვიანი, საქმიანი და საკმაოდ გაბედული. წარმოშობით ონელს, ჩვენს ოჯახთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

დიმიტრი კანდელაკი — უფროსი თაობის წარმომადგენელი — კარგ პრაქტიკოსად ითვლებოდა და არც გაბედულება აკლდა.

იმავე სიიდან იყვნენ დანარჩენი ადვოკატებიც, ვინც სხვა ბრალდებულთა დასაცავად მიიღეს ორდერები.

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის ყოფილი რწმუნებულის რ. ელიგულაშვილის დამცველი ბ. ი. ამირაღოვი ძველი, რევოლუციის წინადროინდელი ადვოკატი იყო. ის საკავშირო მასშტაბით ერთ-ერთ ძლიერ დამცველად ითვლებოდა. ეს ნიჭიერი და განათლებული კაცი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მხცოვანი ადვოკატები ჰყვებოდნენ, რომ 1910 წელს, როცა

მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, მან, მოსკოვის სტუდენტთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ლ. ნ. ტოლსტოის დაკრძალვაზე. მაგრამ ამირაღოვი, ამავე დროს, უჩვეულოდ მხდალი იყო. მოგვიანებითაც კი, „ნორმალურ“ დროში, ირწმუნებოდა, რომ „ჩვენი თაობა ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება შიშისაგან!“

ბრალდებულებს პაიკინსა და გოლდბერგს სასამართლომ „უფასო“ დამცველებად დაუნიშნა უმაღლესი სასამართლოს ყოფილი წევრი, ცოტა ხნის წინ ადვოკატად ქცეული რობიდონ კალანდაძე. ეს იყო ძალიან თავისებური და კოლორიტული ფიგურა.

1902 წლიდან პარტიის წევრს მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და უამრავი ორდენი. საქართველოს გასაბჭოებამდე რკინიგზაზე გამცილებლად მუშაობდა. რევოლუციონერი სიჭაბუკეში გახდა და, როგორც ამბობდნენ, დიდი დამსახურება ჰქონდა ამიერკავკასიის რკინიგზის საამქროებში აჯანყების ორგანიზებაში. გაუნათლებელსა და დაბალი კულტურის მქონეს, ამავე დროს გლეხური ტვინი და ალღო ჰქონდა. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრად ერთ-ერთი პირველი მოხვდა, როგორც მოწინავე მუშა. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს გულმხურვალედ ხელმძღვანელობდა „კლასობრივი ინტერესებითა და რევოლუციური თვითშეგნებით“. ასე, რომ რკინიგზის მატარებლების გამცილებლიდან რევოლუციური კანონების სამაგალითო გამტარებლად გადაიქცა. ბუნებით ბოროტსა და შურიანს საშინლად სძულდა ინტელიგენტი ადვოკატები, განსაკუთრებით კი თავდაზნაურთა წრიდან. თავისი მრისხანებითა და დაუნდობლობით რ. კალანდაძემ სახელი გაითქვა 1932 წლის 7 აგვისტოს კანონის გამოსვლის შემდეგ, როცა საშუალება მიეცა ფართოდ და გულუხვად მიესაჯა დახვრეტა „ხალხის მტრებისათვის“, ვინც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებას ითვისებდა. 1934 წელს მთელი ქალაქი შეიძრა, როცა მან ერთი საწყალი ფოსტალიონი – სამი მცირეწლოვანი შვილის მამა – მაჭარაშვილი დახვრიტა 3000 მანეთის „გაფლანგვისათვის“. ამ თანხის „მსხვილმასშტაბიანობაზე“ (რაც აუცილებელი იყო 7 აგვისტოს კანონის მიყენებისათვის) წარმოდგენა რომ იქონიოთ, უნდა აღვნიშნო, რომ მაშინ ამ ფულით თბილისში ორი იაფი პიჯაკის ყიდვა შეიძლებოდა.

როცა ფოსტალიონის სახლში ქონების კონფისკაციის მიზნით ჩასატარებელი აღწერისათვის სასამართლოს აღმასრულებელი მივიდა, იქ ისეთი სიღარიბე დახვდა, რომ იძულებულნი გახდნენ ოქმი შეედგინათ ბრალდებულის ოჯახის უქონლობაზე. ხოლო როცა მსჯავრდებული მაჭარაშვილი დასახვრეტად საკნიდან გამოიყვანეს, ციხის ზედამხედველებს სთხოვა სახლიდან წამოღებული ლეიბი ცოლისათვის დაებრუნებინათ, რადგან ბავშვებს იატაკზე ეძინათ.

თუ 1937 წლამდე ძველი ადვოკატურა კიდევ იცავდა ბრალდებულთა ინტერესებს და ხშირად წარმატებებსაც აღწევდა, საუკეთესო ხანდაზმული

და ახალგაზრდა ადვოკატების ლიკვიდაციის შემდეგ დაცვის ინსტიტუტმა პოლიტიკურ პროცესებზე, ფაქტიურად, არსებობა შეწყვიტა. პარტიული ადვოკატები, როგორც წესი, არც კი იხილავდნენ ბრალდებას, მაშინაც კი, როცა საქმეში დანაშაულის დამადასტურებელი მინიმალური საბუთიც კი არ იყო და ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებდა. ამგვარ ადვოკატთა მთელი მოღვაწეობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მთლიანად ეთანხმებოდნენ პროკურორს და, თვლიდნენ რა ბრალდებას დამტკიცებულად, უბრალოდ სთხოვდნენ სასამართლოს გამოეჩინა მაღალი ჰუმანურობა და ცოტათი მაინც შეერბილებინა განაჩენი ბრალდებულის „ახალგაზრდობის" ან „პირველად ჩადენილი დანაშაულის" (საქმის ვითარებისდაგვარად) გამო.

1938 წლის ბოლოს, „სამეულების" გაუქმებისა და, განსაკუთრებით, ეჟოვის ადგილზე ბერიას მოსკოვში გადაყვანის შემდეგ, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეცკოლეგიაში დინება იწყო პოლიტიკურ საქმეთა მეტმა რაოდენობამ, ძირითადად 58-10-ე, 58-11-ე „პოპულარული" სტატიებით; ხოლო 58-ე სტატიის სხვა პუნქტებს: ღალატს, ტერორს, დივერსიასა და მსგავს მძიმე დანაშაულებს ძველებურად სამხედრო ტრიბუნალი განიხილავდა.

თუმცა დაპატიმრებები კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ მასობრივი უკვე აღარ იყო და ჯაჭვური რეაქციის ხასიათიც აღარ ჰქონდა. ამბობდნენ, გარდატეხის პერიოდი დადგაო. ყველა უბედურებას, რა თქმა უნდა, ხალხის მტერს ეჟოვს აბრალიდნენ, წყევლიდნენ და ლანძღავდნენ. სამაგიეროდ, თავგადაკლულად ამკობდნენ ბერიას, რომლის სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პოსტზე დანიშვნა საქართველოში ორი ცნობილი აკადემიკოსის დაბრუნებით აღინიშნა.

ეს შემთხვევები, ერთი მხრივ, უდიდესი ბელადის თანამებრძოლის სამართლიანობის უფრო მკვეთრ შარავანდედს ქმნიდა, მეორე მხრით კი იმის საფუძველს იძლეოდა, ოფიციალურად ემტკიცებინათ: „განიხილავენ. უდანაშაულოდ არ სჯიან".

ადვოკატები ალექსი ჭიჭინაძე და დიმიტრი კანდელაკი, ასევე, თვლიდნენ, რომ დადგა „საყოველთაო წარღვნის დასასრული". მათ სწამდათ, რომ ქალაქში გავრცელებული ხმა, თითქოს მოსკოვიდან საიდუმლოდ მიღებული დირექტივით ხალხის განთავისუფლება დაიწყებოდა, სასოწარკვეთილი ხალხის ფანტაზიის ნაყოფი კი არ იყო, არამედ რეალურ საფუძველს ეყრდნობოდა. ისინი განწყობილნი იყვნენ ერთობ ოპტიმისტურად და მიაჩნდათ, რომ რადგან მამაჩემს და ხაიმს ბედმა გაუღიმა და საქმე სასამართლომდე მივიდა, შედეგიც სასურველი იქნებოდა.

ადვოკატებს ნება დართეს 22 მარტს შეხვედროდნენ დასაცავ პირებს.

იმ დღეს მე უმაღლეს სასამართლოში მივედი, რათა „ოფიციალური ინფორმაცია" მიმეღო საქმის ვითარების შესახებ.

შენობა, რომელშიც სასამართლო იყო მოთავსებული, თბილისში თავისებურად ერთადერთი და თავისებური ნაგებობაა. ეს შენობა მეფის დროს ააშენეს საგანგებოდ ტფილისის საოლქო სასამართლოსათვის – უზარმაზარი, ექვსსართულიანი, ორი კორპუსისაგან შემდგარი ნაგებობა ერთმანეთს ფართე შიდა კიბით უკავშირდება. თითქმის ყოველ სართულზე სასამართლოს სხდომის დიდი და მცირე დარბაზებია, რომლებშიც მაშინ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო საგანგებოდ დამზადებული, თითქოს სცენაზე – ამაღლებულზე შემომდგარი მუხის მაგიდები, მაღალი სკამები სასამართლოს წევრებისათვის, სპეციალური მერხები ბრალდებულთათვის და გრძელი, ჩარიგებული სკამები პუბლიკისათვის.

ამ შენობაში იყო თავმოყრილი მართლმსაჯულების ყველა მაღალი ორგანო: რესპუბლიკის პროკურატურა, იუსტიციის სახალხო კომისარიატი, სამხედრო ტრიბუნალი და პროკურატურა, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი და იუსტიციის სხვა დაწესებულებები.

ავდივარ კიბეზე. ვხედავ გრძელ რიგს, რომელიც სპირალივით მიხვეულ-მოხვეული, „სპეცგანყოფილების“ მიმღებიდან გაჭიმულა, ფართე კიბის და პირველი სართულის გავლით, გარეთ, უზარმაზარ შიგა ეზომდე. აქ დგანან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ რაიმე ცნობის მიღებას ჯერ კიდევ 1937-38 წლებში „გამქრალი“ ახლობლების შესახებ. და ახლაც, როგორც ადრე, ყველანი ერთსა და იმავე პასუხს ღებულობენ: „მისჯილი აქვს 10 წელი, გადასახლებულია მიწერ-მოწერის აკრძალვით“.

მეხუთე სართულზე, სადაც უმაღლესი სასამართლო და ადვოკატთა კოლეგიაა, მეგობრები სიხარულით მეგებებიან, მამშვიდებენ და მიმტკიცებენ, რომ, მადლობა ღმერთს, დრო შეიცვალა და სასამართლო უეჭველად გაამართლებს მამასაც და ხაიმსაც. სამაგიეროდ, ალმაცერად მიყურებენ ახალი ადვოკატები, – უმაღლესი სასამართლოს ყოფილი წევრები ან ყოფილი პროკურორები; ხომ გამოგდებულები და განაწყენებულები არიან, მაგრამ როგორც პარტიის წევრები, ვალდებულნი არიან ზიზღით მოეკიდონ ხალხის მტრებს.

ვხედავ სასამართლოსა და პროკურატურის ზოგიერთ გადარჩენილ ძველ თანამშრომელს. შიშით არც მესალმებიან და არც მელაპარაკებიან, მაგრამ შორიდან მიღიმიან. თუმცა ასეთები ცოტანი არიან.

დერეფანში, უამრავ ხალხს შორის, ვხვდები ჩვენი საქმის მიხედვით გამავალ ბრალდებულთა ნათესავებს. ჩემდა გასაოცრად საუბარში ჩემდამი უნდობლობასა და დაძაბულობას ამჟღავნებენ. როგორც მერე გამოირკვა, სოფა, „სარწმუნო საიდუმლო წყაროებზე“ დაყრდნობით, ჩააგონებდა მათ, რომ „ბებერმა პროკოკატორმა“ დავით ბააზოვმა საკუთარი ტყავის გადასარჩენად დაღუპა ყველანი, მათ შორის საკუთარი ვაჟიშვილებიც, რისთვისაც მას, ვითომც, განთავისუფლებას შეჰპირდნენ. სოფამ მოუწოდა მათ

გაერთიანებულიყვნენ და ეომათ მოხუცის წინააღმდეგ „ერთიანი ფრონტით“, სამაგიეროდ, დახმარება აღუთქვა და დაცვის ორგანიზაცია იკისრა.

განა ბრალდებულთა ოჯახის წევრები ძალიან კარგად არ იცნობდნენ მამას, რომ მსგავსი სატანისებური ცილისწამება დაეჯერებინათ? მერე კიდევ გერცელი ხომ მამაზე გაცილებით ადრე დააპატიმრეს და განა ეს ფაქტი აბსოლუტურად უაზროს არ ხდიდა სოფას მტკიცებებს? მაგრამ საერთო შეშლილობისა და გონიერების კრიტერიუმების სრული დაკარგვის იმ დღეებში ძნელი არ იყო ადამიანების შეგნების მოწამვლა და ყველაზე წარმოუდგენელ ამბებში დარწმუნება.

მათ მიერ მოწვეულმა ადვოკატებმა — ამირაღოვმა, დიდებულიძემ და სხვებმა მალე აუხილეს თვალი და აუხსნეს საქმის ვითარება.

თბილისში ჩემი გამოჩენა რომ შეიტყო, სოფა იმ წამსვე გაქრა ჩვენი ჰორიზონტიდან.

საღამოს ალექსი ჭიჭინაძის ბინისკენ მივიჩქარი. იქ მოვა დიმიტრი კანდელაკიც. გულის ფანცქალით ველი — რას მეტყვიან? როგორ არის მამა? რა მდგომარეობაშია? როგორ უჭირავს თავი ხაიმს?

ალექსი, როგორც ყოველთვის, მშვიდი და მობილიზებული იყო, მაგრამ მე ვიგრძენი, რომ გარეგნული გულგრილობის მიღმა ის შინაგან მღელვარებასა და დაძაბულობას მალავდა.

უამრავი შეკითხვა მივაყარე: დაკითხვებზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. რა თქვა? როგორ თქვა? მინდა გამოვქაჩო და წარმოვიდგინო მამის ყოველი სიტყვა, აზრი, გამოხედვა და სუნთქვა.

—არა, არა, —მარწმუნებს ალექსი, —საშინელი ხერხებით არ უწამებიათ, —მაგრამ ძალიან დათრგუნული და თანაც შეუძლოდაა.

უცებ ვიჭერ მისი მეუღლის, მაროს მზერას (ის მეგობართა რიცხვს ეკუთვნის და სულითა და გულით განიცდის ჩემი ოჯახის ამბებს). თავისი მზერით ის ცდილობს რაღაცისაგან თავი შეაკავებინოს ქმარს.

და განა ალექსის შეეძლო ჩემთვის ეთქვა, როგორ აწამეს მამა? (ამის შესახებ დაწვრილებით წლების შემდეგ შევიტყვე).

და განა თვით ბრალდებულებს ჰქონდათ უფლება ვინმესთვის ეამბნათ რა საშინელი წამება გადაიტანეს?

გამოძიების მეთოდები სახელმწიფო საიდუმლოდ ითვლებოდა. თუ ვინმე ამ საიდუმლოს გასცემდა, ახალ ბრალდებას — სახელმწიფო საიდუმლოს გამხელას — მიუსადაგებდნენ.

და მაინც, თბილისში იცოდნენ რა ხდებოდა „იქ“. საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისაგან და თვით მოსკოვისაგან განსხვავებით, თბილისმა იცოდა ჯოჯოხეთური წამების „იქაური“ ხერხები: გადამტვრეული ძვლები, საკუთარი ნაწნავებით მომხრჩვალი ქალები, სხეულზე ჩამქრალი აალებული პაპიროსები, გაზით დამძვრალი ფრჩხილები და სხვა მხეცური მეთოდები, თავის

აპოგეას 1938 წლის მეორე ნახევარში რომ მიაღწია.

—ყველაზე ცუდი ის არის, რომ დავითი ვერაფრით დავარწმუნე იმაში, რომ შენ დაპატიმრებული არა ხარ და ახლა თბილისში ხარ, —მეუბნება ალექსი, —ბრალდების ეპიზოდებზე მსჯელობა საერთოდ არ მოისურვა. მხოლოდ იმას მეხვეწებოდა, მართალი მითხარი, ფანი სად არის ჩამწყვდეულიო.

ალექსიმ უმკაცრესად დამარიგა: ხვალ, ადრე დილიდან მივიდე უმაღლეს სასამართლოში და სანამ პატიმრებს დარბაზში შეიყვანენ და კარი დაიხურება, ისეთ ადგილზე დავდგე და ისე მოვიმოქმედო, რომ მამამ დამინახოს, მიცნოს და თუ მოვახერხებ, დაველაპარაკო კიდეც.

დიმიტრი კანდელაკი კი უფრო კმაყოფილი იყო თავისი დასაცველით. როგორც თვითონ მითხრა, ხაიმი ყოჩაღად გამოიყურება და მზად არის ხელჩართულში გადავიდეს გამომძიებელ ოვეიანთან. —ჩემზე არ იდარდოთ, დაცვის მთელი ხელოვნება მამის საქმეზე გადაიტანეთო, სთხოვა მან ადვოკატებს.

●

მამას სამი დღის განმავლობაში დაჰკითხავდნენ.

პირველ დღეს, დაკითხვის დაწყებამდე, თავმჯდომარემ მამას მოუწოდა „მართლად და დაწვრილებით ეამბნა სასამართლოსთვის თავისი დანაშაულებრივი სიონისტური მოღვაწეობის შესახებ“.

... და მამამ დაიწყო თხრობა. მან დაიწყო იმ ჩაგვრისა და უსამართლობის აღწერით, რაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ებრაელებს თავს გადახდათ რუსეთსა და საქართველოში. დროის თანმიმდევრობის მიხედვით, მან დახატა სულისშემძვრელი სურათი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში საუკუნის დასაწყისიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ებრაელთა თავს დატრიალებული უმოწყალო განკითხვისა.

აღიარა, რომ საკუთარი ხალხის ტრაგიკული ბედით შეძრწუნებული ის ჯერ კიდევ ადრეულ სიყმაწვილეში ჩადგა იმათ რიგებში, ვინც ებრაელი ხალხის ფიზიკური და სულიერი გადაშენების წინააღმდეგ იბრძოდა.

არ უარყო, რომ როცა ვილნოსა და სლუცკის ებრაულ სასწავლებლებში სასულიერო განათლებას ღებულობდა, დაუახლოვდა მეფის რუსეთში ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ბევრ, შემდგომში სახელგანთქმულ პიროვნებას, მაგრამ განა იგივესათვის არ იბრძოდნენ საუკეთესო ბოლშევიკები? —ებრაელებიც, რუსებიც, ქართველებიც...

დიახ, ის ადასტურებს, რომ 1920 წლამდე არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მსოფლიო, რუსეთისა თუ ამიერკავკასიის ებრაულ კონგრესებსა და კონფერენციებში. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ჯერ კიდევ დევნილი, თუმცა კატასტროფული დარბევების უკვე გადამტანი რუსი და პოლონელი ებრაელების გადარჩენის ინტერესებით; ებრაული რელიგიის, მისი კულტურის,

მისი ეროვნული თვითმყოფადობის ყველა უბოროტესი ანტისემიტისაგან გადარჩენის მიზნით.

—და ყველაფერი ის, რისთვისაც მე ვიბრძოდი და რაზეც ვოცნებობდი, — ებრაელების გადარჩენა ფიზიკური განადგურებისაგან, მათთვის თავისუფლებისა და ეროვნული თვითგამორკვევის მინიჭება, — განა თვით საბჭოთა ხელისუფლებამ არ მიანიჭა თავისუფლება და თავისი ეროვნული კულტურის აღორძინების უფლება რუსეთის იმპერიის ყველა დაჩაგრულ, დიდ და პატარა ხალხებს?!

—ისე გამოდის, რომ ხურდა იქით უნდა დაგიბრუნოთ, —ცინიკურად შენიშნა სასამართლოს თავმჯდომარემ...

—თუ ბოდიში მოგიხადოთ და სახლებში გაგიშვათ? —ბოროტად წამოისროლა პროკურორმა.

დღე დასრულდა. თითქმის შესვენების გარეშე, ავადმყოფი და მშიერი მამაჩემი, მთელი სხდომის განმავლობაში ფეხზე მდგომი იძლეოდა ჩვენებებს. არაქათგამოცლილი დაჯდა.

ცხადდება შესვენება დილამდე.

მეორე დილას, სხდომის დაწყებამდე, უმაღლესი სასამართლოს დერეფნებ-ში ორგანოების მუშაკები გამოჩნდნენ. ერთიმეორის მიყოლებით ისინი თავმჯდომარის კაბინეტში შედიან. აი, დამანახეს გამომძიებელი ოვეიანი, ტიპიური ჩეკისტი, ამღვრეული თვალებით, დაჟინებით მიმზერს.

სხდომა რომ დაიწყო, ისინი დარბაზში შემოვიდნენ. ოვეიანი პირველ რიგში დაჯდა. იმ დღესაც და მერეც გამომძიებლები ხშირად ესწრებოდნენ გამოძიებისას თავიანთი ობიექტების დაკითხვას, — ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად.

მამაჩემის დაკითხვის მეორე დღე იწყება პროკურორის უხეში რეპლიკით:

—საერთაშორისო ბურჟუაზიის აგენტის და პროლეტარიატის მტრის, ბრალდებულ ბააზოვის სიონისტური მოღვაწეობა აშკარად დამტკიცებულია. ახლა კი მან სასამართლოს უნდა უამბოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თავის კონტრრევოლუციურ საქმიანობაზე.

და ხმის აწევით ზედიზედ აყრის უამრავ შეკითხვას:

—უნერგავდით თუ არა ხალხს ებრაული ნაციონალიზმის რეაქციულ იდეებს?

—ვითომ რელიგიური მოძღვრებით, ეწეოდით თუ არა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პროპაგანდას?

—აბამდით თუ არა იატაკქვეშა სიონისტურ ორგანიზაციაში საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს?

—ავრცელებდით თუ არა ებრაულ ლიტერატურას? ებრაულ ენას არალეგალურად ასწავლიდით?

—გქონდათ თუ არა კავშირი ახლა უკვე გამოაშკარავებულ ხალხის მტრებთან

— მოსკოველ სიონისტებთან?

შეკითხვები, შეკითხვები, შეკითხვები...

პროკურორი ხმას თანდათან უწევს. ისტერიკამდე მიდის:

—თქვენ არ აღიარებთ წამოყენებულ ბრალდებებს?

—არა! —მტკიცედ ამბობს ბრალდებული დავით ბააზოვი და მშვიდად განაგრძობს: —ყვირილი არ ნიშნავს ბრალდების მტკიცებას. თქვენი შეკითხვები ბრალდების ფორმულებია. ბრალდება უნდა დაამტკიცო. თქვენ არ გაგაჩნიათ ჩემი დანაშაულის დამადასტურებელი საბუთები, იმიტომ, რომ მე ისინი არ ჩამიდენია.

—რითი შეგიძლიათ ბრალდების გაბათილება? —არ ცხრება პროკურორი.

—თქვენ კი რითი მიმტკიცებთ წამოყენებულ ბრალდებებს? —კითხვას უბრუნებს ბრალდებული ბააზოვი.

—თქვენ უფლება არა გაქვთ შეკითხვები დაუსვათ პროკურორს, —აწყვეტინებს თავმჯდომარე, —პროკურორის შეკითხვებზე პასუხი მოახსენეთ სასამართლოს.

და ბრალდებული ბააზოვი განაგრძობს ჩვენების მიცემას...

—მე თხოვნით მივმართე მთავრობას დაეარსებინა ებრაული სკოლები, სადაც, სხვა საგნებთან ერთად, ებრაულ ენასაც ისწავლიდნენ; ასევე, ვითხოვდი ისეთივე კულტურული ცენტრების გახსნას, როგორებიც ფართოდ ემსახურებოდა ყველა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს; ვითხოვდი მიწის გამოყოფას ებრაელთა დასაქმებისათვის მიწათმოქმედებაში; ვითხოვდი სასწრაფო ზომების მიღებას გარკვეული პროფესიის უქონელ და არსებობისათვის ყოველგვარ სახსარს მოკლებული ადამიანების დიდი ჯგუფისათვის...

და შემდეგ:

...ოციანი წლების მოწინავე ებრაული ინტელიგენციის მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო ქართველ ებრაელთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი ეროვნულ-კულტურული აღორძინებისათვის. ჩვენი ყოველი ქმედება კანონიერი იყო. მთავრობა გვეხმარებოდა და ზრუნავდა ჩვენზე. მამია ორახელაშვილი გამოეხმაურა ჩემს მოწოდებას და 1923 წელს გაზეთ „კომუნისტში“ საჯაროდ გამოვიდა წინადადებით, სკოლების პროგრამაში შეეტანათ იდიშის სწავლება რუსი ებრაელებისა და ძველი ებრაულის სწავლება ქართველი ებრაელებისათვის.

—მამია ორახელაშვილი ხალხის მტერი და მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტი აღმოჩნდა! —ყვირის პროკურორი.

—მაგრამ მაშინ იგი მთავრობის თავმჯდომარე იყო, —პასუხობს ბრალდებული; —განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა დაგვეხმარა მთელი რიგი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებაში.

—კანდელაკი მხილებულია, როგორც ხალხის მტერი! —ისევ უხეშად

აწყვეტინებს პროკურორი.

—მაგრამ მაშინ იგი განათლების სახალხო კომისარი იყო, —ამბობს ბრალდებული, —იმ წლებში ჩემი ყოველი ქმედება შეთანხმებული იყო მთავრობასთან და საბჭოთა კანონებს შეესაბამებოდა. ბრალდება უსაფუძვლოა. თქვენ ვერავითარ დასაბუთებას ვერ მოიყვანთ ჩემი ანტისაბჭოთა დანაშაულებრივი მოღვაწეობის დასადასტურებლად...

—თქვენი აგიტაციითა და წაქეზებით 1925 წელს ქართველ ებრაელთა დიდი ჯგუფი პალესტინაში გადასახლდა, —ბრალდებულზე შეტევას იწყებს თავმჯდომარე.

—პალესტინაში ქართველ ებრაელთა ემიგრაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში რელიგიური ებრაელები ხშირად ადიოდნენ წმინდა მიწაზე. 1925 წელს რელიგიურ ებრაელთა ჯგუფი მთავრობის ნებართვით გაემგზავრა.

—მაგრამ ემიგრაცია ხომ თქვენი ორგანიზებული იყო? —განაგრძობს თავდასხმას უბილავა.

—მე საქართველოს მთავრობამ ოფიციალურ დელეგატად მიმავლინა პალესტინაში იმ მიზნით, რომ იქ რაიმე საშუალება მომეძებნა უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ქართველი ებრაელებისათვის მიწის მისაღებად. მე, როგორც საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელმა, პალესტინის იმდროინდელი მმართველის, გენერალ-გუბერნატორის ჰერბერტ სემუელისაგან ოფიციალურად მივიღე სერთიფიკატები.

—კი, მაგრამ რატომ არ გადააფიქრებინეთ მათ და რატომ არ ეცადეთ, რომ აქ მიეღო იმ ხალხს მიწები? —აგრძელებს მხილებას თავმჯომარე.

—ჩვენ ვცდილობდით, ვითხოვდით მიწას. მაგრამ მაშინ არ იყო თავისუფალი მიწა. ჩემს მოთხოვნებს საშა გეგეჭკორმა სარკაზმით უპასუხა: „თუ შავი ზღვა დაშრება, მაშინ შეიძლება გამოუყონ ებრაელებს მიწა“.

—საშა გეგეჭკორი სიკვდილის შემდეგ მხილებულია, როგორც ხალხის მტერი! —ბოროტად შენიშნავს პროკურორი.

—მაგრამ მაშინ ხომ ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი იყო, —შეახსენებს პროკურორს ბრალდებული.

—დღეს ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. თავისთავად თქვენი მოღვაწეობა ანტისაბჭოურია! —ყვირის პროკურორი და ფეხზე წამომხტარი ეუბნება სასამართლოს: —მაღალი სასამართლოს ყურადღებას მივაპყრობ იმას, თუ როგორ ცდილობს თავის დაძვრენას კედელთან მიყენებული დავით ბააზოვი. თავისი დანაშაულებრივი მოღვაწეობის გასამართლებლად ის ხალხის მტრებს იმოწმებს. გასაკვირი არც არის, რომ მტერმა მტრების დახმარებით შეცდომაში შეიყვანა საქართველოს მთავრობა და ქართველ ებრაელთა პალესტინაში ემიგრაციის ორგანიზება შესძლო.

—ტყუილია! —პროკურორის ხმას ფარავს ბრალდებული ბააზოვი. და,

როგორც ჩანს, მას ვერაფერი შეაჩერებს, –მე ვაცხადებ, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა იმ წლებში, რასაც თქვენ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოს უწოდებთ, ხალხის მტრების დახმარებით კი არა, სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, სამთავრობო გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდებოდა. ეს კომისია 20-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა საგანგებოდ შექმნეს ქართველ ებრაელთა მძიმე ეკონომიურ და კულტურულ პრობლემათა გადასაჭრელად. ამ კომისიაში, სერგო ორჯონიკიძის გარდა, შედიოდნენ, ასევე, ვანო სტურუა და მიხა ცხაკაია. მეც შემიყვანეს. ქართველ ებრაელთა შორის მაშინ ჩატარებული ყველა კულტურულ-ეკონომიური ღონისძიება: ებრაული სკოლების გახსნა, ებრაული ენისა და ისტორიის სწავლება, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანოების დაწესება, ასევე, ებრაელთა ემიგრაცია პალესტინაში, ამ კომისიის ნებართვითა და შეტყობინებით ხორციელდებოდა, პირადად სერგო ორჯონიკიძის ნებართვითა და შეტყობინებით. ჩემს ჩვენებათა სიმართლის დასადასტურებლად მე აღვძრავ შუამდგომლობასა და კატეგორიულად მოვითხოვ:

1. განათლების სახალხო კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის არქივებიდან, ასევე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის არქივიდან გამოითხოვოთ ყველა დოკუმენტი და მასალა, რომლებიც ეხება როგორც ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებას, ისე ქართველ ებრაელთა ემიგრაციის ორგანიზებას.

2. ეთხოვოს ვანო სტურუას, მიხა ცხაკაიას და განსაკუთრებით სერგო ორჯონიკიძეს ცნობები ქართველ ებრაელთა 1925 წელს ემიგრაციის შესახებ.

ბრალდებული დავით ბააზოვის შუამდგომლობამ აფეთქებული ბომბის შთაბეჭდილება მოახდინა.

პროკურორს ხმა ჩაუწყდა ღრიალისაგან: „დამნაშავის უსირცხვილობა!.. დიდი ბელადის თანამებრძოლთა დაკითხვას თხოულობს!.. როგორ ბედავს? უარი ეთქვას! უარი ეთქვას!..“

სასამართლოს წევრები აშკარად დაბნეულები იყვნენ. დაუფარავი მრისხანებით თავმჯდომარე, ფეხზე წამომხტარი, აზრს ეკითხება დაცვას, რომელიც, როგორც იქნა, გაახსენდა.

დაცვა მხარს უჭერს შუამდგომლობას.

●

საბრალდებო სიტყვის ბოლოს პროკურორმა მოითხოვა: ბრალდებულ ხაიმ ბააზოვს მოეხსნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10-11-ე მუხლით მიყენებული ბრალდება და მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 58-12-ე მუხლით.

ბრალდებულებს რამენდიკს, ელიგულაშვილს, პაიკინს, გოლდბერგსა და ჩაჩაშვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10-ე მუხლის

I-II ნაწილით თვითეულს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

ბრალდებულ დავით ბააზოვს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ვერაგ და საშიშ მტერს, 58-10-ე მუხლით — სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

ცუდი დღე ადგათ დამცველებს. იმიტომ კი არა, რომ მამისადმი წაყენებული ბრალდება საფუძვლიანი იყო და ადვოკატები ვერაფრით უარყოფდნენ მტკიცებას, არამედ იმიტომ, რომ მამას მთელ მოღვაწეობას, რომელსაც ვერაფრით ვერ შეაფასებდი, თუ არა ამაღლებულსა და კეთილშობილურს, და რომელიც საბჭოთა დაწერილი კანონებით არ შეიძლებოდა განსჯილი ყოფილიყო, ახლა გადაულახავი ძალა სასიკვდილო დანაშაულად თვლიდა.

სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ მოსამართლემ, სანამ ბრალდებულებს ბოლო სიტყვას მისცემდა, მათ მიმართა წინადადებით: ვიდრე გვიანი არ არის, აღიარონ და გულწრფელად, მთელი გულით მოინანიონ ჩადენილი დანაშაული, რასაც სასამართლო განაჩენის გამოტანის დროს გაითვალისწინებს, როგორც ბრალდების შემამსუბუქებელ გარემოებას.

ყველასათვის მოულოდნელი პროკურორის მკაცრი მოთხოვნით დაბნეული და დათრგუნული ხალხი სულგანაბული ელოდა დავით ბააზოვის საბოლოო სიტყვას, შედრკება თუ არა იგი სიკვდილის საფრთხის წინაშე? აღიარებს მისდამი წაყენებული ბრალდების სამართლიანობას და მოინანიებს მიტევების თხოვნით?

—როგორ, დანაშაულად ვაღიარო სიყვარული ჩემი ხალხის, მისი ტრაგიკული ისტორიის, მისი უძველესი წმინდა ენისადმი? ფეხით გავთელო ჩემი წმინდა რელიგია, ერისადმი სამსახური, რაც ჩემთვის სიცოცხლეზე მეტად, საყვარელ შვილებზე მეტად, მაღალი და ძვირფასია? არა!

იგი დიდხანს ლაპარაკობს. მისი ხმა სულ უფრო სუფთად და მკაფიოდ ჟღერს, იგი ისმის დერეფნებსა და კაბინეტებში, სადაც მრავალმა მოსამართლემ, პროკურორმა და ადვოკატმა მოიყარა თავი მის მოსასმენად.

ის უფრო ტრიბუნს ჰგავს, ვიდრე ბრალდებულს. ლოგიკური თანმიმდევრობით ამტკიცებს, რომ საბჭოთა კანონებით არ ისჯება ის ქმედებანი, რომელთათვისაც პროკურორი სიკვდილით დასჯას მოითხოვს.

ის მიმართავს პროკურორს, კოლეგიის შემადგენლობას:

—თქვენ ხართ შვილები მრავალტანჯული ქართველი ხალხისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე სისხლს ანთხევდა თავისი თვითმყოფადობის, კულტურისა და ენის გადასარჩენად. მეფის თვითმპყრობელობას ეწადა ქართული კულტურისა და ენის განადგურება. საბჭოთა ხელისუფლებამ მოგიტანათ თქვენ ეროვნული კულტურის არნახული აყვავება. და თუ დღეს საბჭოთა საქართველოში თქვენ, ქართველებს, გინდათ დამხვრიტოთ ჩემი ხალხისადმი ერთგულების, ჩემი ენისადმი სიყვარულისთვის... მაშინ მესროლეთ... —და მან მკერდი გადაიღეღა... —ჩემი ხალხის ისტორია იცნობს მრავალ უდანა-

შაულო მსხვერპლს; ჩემი წმინდა რელიგიისთვის ბევრი უმანკო სისხლი დაღვრილა და თუ მამაზეციერის ნებით მე ასეთი სასჯელი მელის, კურთხეულ იყოს მისი გადაწყვეტილება.

პროკურორი და მოსამართლენი დიდხანს სხედან თავჩაქინდრულნი. სასამართლო დარბაზში, დერეფნებსა და კაბინეტებში ხალხი გაქვავებული დგას.

ჩუმად იშლებიან. ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, მხოლოდ თავს აქნევენ.

სასამართლო დარბაზში სხდომა გრძელდება.

რამენდიკი, პაიკინი, გოლდბერგი და ჩაჩაშვილი ბოლო სიტყვას მოკლედ ამბობენ. ისინი ერთხმად თხოულობენ დავით ბააზოვს არ გამოუტანონ სასიკვდილო განაჩენი.

რ. ელიგულაშვილი ისევ თავის პარტიულ სინდისს იცავს.

ხაიმი ცრემლად იღვრება. სიტყვის თქმა არ შეუძლია.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ განაჩენი ხვალ, დღის მეორე ნახევარში გამოცხადდება.

სასამართლო გადის.

ხვალ 2 აპრილია, პარასკევი — ფესახის წინადღე.

დღე მიილია, ღამდება.

როგორც პროცესის წინა დღეებში, აღარ ველოდები პატიმრების წაყვანას; რამდენიმე ძველ ადვოკატთან ერთად მე-6 სართულზე ავდივარ. იქ ჩვენი ერთი ახლობელი თავის პატარა კაბინეტს გვითმობს, თვითონ კი, ყოველ შემთხვევაში, მიდის.

ციებ-ცხელებიანივით ვმსჯელობთ სიტუაციაზე. რა ვქნათ? ერთნი თვლიან, რომ განაჩენს უნდა დაველოდოთ. ისინი მაინც დარწმუნებულები არიან, რომ კოლეგია ვერ გაბედავს კანონის ასე აშკარად დარღვევას და უარყოფს პროკურორის მოთხოვნას. მეორენი, პირიქით, თვლიან, რომ ახლავე უნდა მივმართოთ საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელს ფილიპე მახარაძეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს რაფავას (რომელიც ბერიამ გოგლიძის დახვრეტის შემდეგ დანიშნა) და ცენტრალური კომიტეტის მდივანს კანდიდ ჩარკვიანს.

მე ეს ყველაფერი უიმედოდ მეჩვენება, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ბრალდებულთა ბედი უკვე იმ დღეს იყო გადაწყვეტილი, როცა დავით ბააზოვის მიერ შუამდგომლობის მოთხოვნის შემდეგ დაბნეული პროკურორი და თავმჯდომარე თავიანთ უფროსებთან შესათანხმებლად გაცვივდნენ. ჩვენ შესანიშნავად ვიცოდით, რომ უბილავაცა და შეწირულიც ჩვენთვის უცნობი ძალის მხოლოდ ბრმა იარაღია.

ჩვენ ვიცით, რომ სასიკვდილო განაჩენი 24 საათის განმავლობაში მოჰყავთ სისრულეში მხოლოდ 1934 წლის კანონით (ღალატი, ტერორი, — არც გასაჩივრდება, არც შეიწყალება). 58-ე სტატიის ყველა დანარჩენი მუხლებით კი — დაუყოვნებლივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის

მიერ დამტკიცების შემდეგ.

არა!! გადარჩენის ყველა კარი საქართველოში ცხრაკლიტულია. და მე გადავწყვიტე: არ დაველოდები განაჩენის გამოტანას, ჩემი სახელით „ელვა“ დეპეშას გავუგზავნი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ი. ტ. გოლიაკოვს.

ძველი პოლიტიკური მოღვაწე და შესანიშნავი იურისტი ვანო გუბელაძე ხედავს, როგორ მიცახცახებს ხელები. მან კალამი გამომართვა და მიბრძანა:

—აბა, მიკარნახე!

და მსხვილი ასოებით დაწერა: „მამაჩემს უკანონოდ, სათანადო მუხლის მიუთითებლად, დახვრეტა მიუსაჯეს. გთხოვთ შეაჩეროთ განაჩენის სისრულეში მოყვანა და გამოითხოვოთ საქმე.“

ელვა დეპეშა შეტყობინებით გავაგზავნე და სახლში წავედი. დაახლოებით ღამის პირველ საათზე მივიღე ტელეგრამა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს კანცელარიიდან. ვკითხულობ: „თქვენი დეპეშა ჩაბარდა პირადად ამხანაგ გოლიაკოვს, საქმე გამოთხოვილია. ასლი საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.“

ვცდილობ ეს ტელეგრამა გამოვიყენო იმ საშინელი დარტყმის შესამსუბუქებლად, ხვალ დედას და ჩემს დას რომ ელოდება, ვარწმუნებ მათ, რომ ამ ტელეგრამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და თავი არ უნდა მოვიკლათ, თუნდაც ის განაჩენი გამოიტანონ, რაც პროკურორმა მოითხოვა.

2 აპრილს, დილით ადრე უკვე უმაღლეს სასამართლოში ვარ. ასევე ადრე მოვიდა ბევრი ჩემი მეგობარიც. ისინი მთელ სართულებზე დარბიან, რომ განაჩენის თაობაზე რამე შეიტყონ პასუხისმგებელი პირებისაგან. მაგრამ არავინ არაფერი იცის.

ჯერ ძალიან ადრეა, ვერავის გაუგია, რატომ გამოჩნდა ბადრაგის ახალი დიდი ბრიგადა. ბრიგადის უფროსი ბადრაგს ანაწილებს დერეფნებში, სხდომათა დარბაზის კართან, კიბეებზე. ეს კიდევ უფრო აძლიერებს დაძაბულობას, რომელმაც გუშინდელი დღიდან მოიცვა თითქმის მთელი შენობა.

ბევრი ვერ ფარავს გაოცებას და დაბნეულობას ამ უცნაური პროცესის გამო, მაგრამ შეკითხვის დასმას უფრთხიან, — სჯობს ჩუმად იყვნენ...

●

უკვე საათნახევარი გავიდა. კითხვა გრძელდება. ახლა დანარჩენებს ურტყამენ: რამენდიკი, პაიკინი, ელიგულაშვილი, ჩაჩაშვილი, გოლდბერგი დამნაშავედ სცნეს საბრალდებო დასკვნის ფორმულით, უცვლელად.

გადახრა მხოლოდ ხაიმთან დაკავშირებითაა: „ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ხაიმ დავითის ძე ბააზოვის მონაწილეობა სასამართლო გამოძიებამ არ დაადასტურა“.

დარბაზს ელექტროდენივით გადაუარა იმედიანმა ამოოხვრამ:

—გაამართლებენ!

თავმჯდომარის ზარი სიჩუმისაკენ მოუწოდებს.

უკვე ორი საათი გავიდა. განაჩენი თავის დასკვნით ნაწილს უახლოვდება. თავმჯდომარემ ერთი ყლუპი ცივი წყალი მოსვა და ხმას აუწია:

მიესაჯოს: ხ. დ. ბააზოვს — საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-12-ე მუხლით, იმისათვის, რომ არ დაასმინა, ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა; რამენდიკს, პაიკინს, გოლდბერგს, ელიგულაშვილსა და ჩაჩაშვილს — 58-10-11-ე მუხლით, თვითეულს ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა;

დ. მ. ბააზოვს — 58-10-2-II მუხლით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების საშიშ და მუხანათ მტერს, — სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

პროკურორი და კოლეგიის წევრებიც დგანან, ჩუმად, თავჩაქინდრულები. ყველას მზერა მამაჩემისკენაა მიპყრობილი. ის დგას, როგორც ქანდაკება. უფრო მაღალი მოსჩანს, თითქოს ვიღაცამ კვარცხლბეკზე შეაყენაო. მისი გაფითრებული სახე შინაგანი შუქითაა გასხივოსნებული. შუბლი სიდიადესა და სიმშვიდეს აფრქვევს. მის სახეზე ერთი ნერვიც კი არ შეტოკებულა, მხოლოდ თვალები... ფერმკრთალი სახის ფონზე თვალები განსაკუთრებული ცეცხლით უელავს, მზერა გამოხატავს შინაგანი უმაღლესობის გრძნობას, რომელიც ირონიითაა შეზავებული. დიახ, ირონიით (როგორც ყველას მოეჩვენა), მხოლოდ თვალები მეტყველებენ, რომ „ქანდაკება" მარმარილოსი არაა და რომ მასში ვულკანური, დაუმარცხებელი სულიერი ძალა ბობოქრობს...*)

## ტარასოვთან

იდგა იშვიათად თბილი და მზიანი დღე. ხუთი საათი იქნებოდა, როცა, უწყებით ხელში, ეზო გავიარე და პირდაპირ გავემართე სსრკ-ის პროკურატურის სპეცგანყოფილებაში პროკურორ ტარასოვთან. როდესაც კაბინეტში შევედი, მომეჩვენა, რომ ტარასოვი ძალიან დაკავებულია და რაღაც აწუხებს. ხელი არ ჩამოურთმევია, ისე გააგრძელა რაღაცის ძებნა ჯერ მაგიდის უჯრებში, შემდეგ კი კარადაში. სავარძელში ჩავჯექი და ველოდები სანამ მოძებნიდეს იმ რაღაც, ალბათ სასწრაფოდ საჭირო საბუთებს. ის კი მოღუშული აგრძელებს ძებნას უჯრებში და სულაც არ იყურება ჩემსკენ. შემაშფოთა მისმა ნერვიულობამ, მაგრამ ვზივარ და მდუმარედ ველოდები.

უცბად ჯახუნით შესწია ქვედა უჯრა, წამოდგა, მოშორდა მაგიდას და ჩემს

---

*თარგმნა **ლ. თელიამ.** გაზ. „მენორა", მარტი-ივლისი 1998 წ.

წინ შედგა. იყურებოდა სადღაც განზე, ოთახის კუთხისაკენ, რაღაც უცნაურად გაშალა ხელები და ჩაილაპარაკა:

—საერთოდ, არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

სანამ გონს მოვიდოდი, სწრაფად მიაშურა გვერდითა ოთახის ღია კარებს. იქ წამიერად შედგა, ჩემსკენ შემობრუნდა და ძალიან წყნარად მებუნება:

—თქვენ კულტურული ადამიანი ბრძანდებით, თვითონ მიხვდებით.

ესა თქვა და გავიდა.

ვცდილობ აზრები მოვიკრიბო... რაო? რას ნიშნავს „არაფრის გაკეთება არ შემიძლია"? და რას უნდა მივხვდე?

და უცებ მწვავე, აუტანელი ტკივილით გამსერა აზრმა: გერცელი დაუხვრეტიათ... მოუკლავთ... მოუკლავთ...

შემდეგში ველარასოდეს ველარ გავიხსენე რა მომივიდა და რამდენი ხანი ვიყავი ტარასოვის კაბინეტში. ეს კი მახსოვს, რომ ინსტიქტურად ჩავეჭიდე სავარძლის სახელურს, რადგან ნელ-ნელა ვცურდებოდი დაბლა. რაღაც წარმოუდგენელი ძალით მეზიდება ქვემოთ, მიწისკენ, შუაზე გაპობილი მიწისაკენ, უფსკრულისაკენ. საშინელი ძალით მაწვება თავს დამხობილი ზეცა და დედამიწა.

ტარასოვი აღარა ჩანს.

ვცდილობ წამოვდგე. ფეხები მეჩვარება. როგორც იქნა მივაღწიე კარამდე, ჩავეჭიდე სახელურს. წამოვიწიე. ბოლოს გავაღე კარი და მოკუზული წავჩანჩალდი ეზოსკენ. იქედან კი ქუჩისკენ.

ეზოდან რომ გავედი, რკინის ღობეს მივეყრდენი. შავად ბრწყინავდა ჩამავალი მზე. სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში ჩამავალი შავი მზის შავი სხივებით მოფენილი მოსკოვი 1941 წლის მარტის იმ ბოლო პარასკევს.

ყველაფერი დასრულდა...

ჯერ კიდევ დილით ბედნიერი ვიყავი. დილით სჩქეფდა სიცოცხლე მრავალი ტანჯვით, წამებითა და ცრემლით, მაგრამ ბრძოლითაც და მომავლის იმედითაც. ახლა კი აღარავითარი იმედი არაა, და აღარც მომავალი იქნება.

ბნელდებოდა. უაზროდ დავუყევი პუშკინის ქუჩას ქვემოთკენ, მოედნისაკენ. მივდიოდი და არ ვიცოდი საით ან რისთვის...

გერცელი მოკლეს... და ცხოვრებაში აღარ დარჩა აღარც გზა და აღარც მიზანი.

რისთვის მოკლეს?

ახალგაზრდა იყო და ლამაზი, მაღალი და წარმოსადეგი. ნიჭიერი იყო და განათლებული, კეთილი და კეთილშობილი, ამაყი და ვაჟკაცური. ასხივებდა სინათლესა და სიკეთეს. ანდამატური ძალით გიზიდავდა და გაჯადოებდა.

უყვარდა თავისი ხალხი და პოეზია. გულით ატარებდა თავისი ხალხის სევდასა და მწუხარებას, მაგრამ არ ტიროდა. მან გაშალა ახალგაზრდა არწივის ფრთები ნათელი მომავლისაკენ გასაფრენად და თან წარიტაცა

ათასობით ახალგაზრდა. გამოაღვიძა თავისი საძმო ათასწლოვანი ბურანისაგან, ენა ამოადგმევინა და დაეხმარა კვლავ დაებრუნებინათ დაკარგული ღირსება.

ის უყვარდათ ათასებს. გულღრძო შურით სძულდათ ერთეულებს.

უყვარდათ ებრაელებს და ქართველებს.

იყო ერთადერთი, არ ჰგავდა არავის.

ის იყო აცისკროვნება და სული ჩემი ცხოვრებისა.

გაქრა ცისკარი და დაბნელდა. სიბნელეში კი ქრება და ჭკნება ყოველი არსება.

◆

...1938 წლის ოქტომბრის დასაწყისში ბერიას ბრძანებით მასთან შინაგან საქმეთა მაშინდელი სახალხო კომისრის გოგლიძის კაბინეტში მიუყვანიათ გერცელი და ბერიას ხანგრძლივი საუბარი ჰქონია მასთან. ბერია განთავისუფლებასა და სრულ რეაბილიტაციას შეჰპირებია, მაგრამ ამის საფასურად რაღაც პირობები წამოუყენებია. გერცელს ამ პირობებზე უარით უპასუხია.

რა სატანური შეთანხმება შესთავაზა ბერიამ, რომ გერცელმა უარყო თავისი ახალგაზრდა სიცოცხლის ფასად?! ან 1938 წლის ზაფხულში თვითონ ბერიამ რატომ გასცა განკარგულება მარჯანიშვილის სახ. თეატრში აღედგინათ გერცელის პიესა „იცკა რიჟინაშვილი“? ეს იყო გაუგონარი შემთხვევა. და ამას მოჰყვა დაჟინებული ხმები გერცელს ათავისუფლებენო.

იმავე წლის 9 ოქტომბერს, ნაშუადღევს, გერცელის ოჯახის ახლო მეგობარმა, ექიმმა დორა მ. ორთაჭალის ქუჩაზე გადასვლისას დაინახა საპატიმრო ღია სატვირთო მანქანა, რომელიც ციხისაკენ მიქროდა. მანქანაში ისხდნენ პატიმრები, რომელთა შორისაც შეიცნო გერცელი. იგი ბოლო რიგში იჯდა და გაჰყურებდა უკან დარჩენილ ქალაქს.

ამას რომ ჰყვებოდა, დორა მ. ცრემლიანად ამბობდა: „სიკვდილამდე ვერ დავივიწყებ, რა ღრმა სევდა იდგა მის ცისფერ თვალებში.“

1938 წლის ოქტომბრის შემდეგ ქრება გერცელის არსებობის ყოველგვარი ნიშანწყალი თბილისში; დარჩა მხოლოდ ქვითრების დასტა: „მიღებულია 75 მან. ბააზოვ გერცელზე გადასაცემად.“ დედას აძლევდნენ ამ ქვითრებს მრავალი თვის განმავლობაში, სანამ გერცელს „ეტაპით გააგზავნიდნენ ჩრდილოეთის შორეულ ბანაკებში“.

...9 ოქტომბერი იყო გერცელის ამქვეყნიური არსებობის უკანასკნელი თუ უკანასკნელის წინა დღე.

საბრალო დედა! ამ ქვითრებს ხელჩანთაში ინახავს, როგორც „ცოცხალ ცნობებს“ გერცელისაგან. რამდენი ღამე და რამდენი დღე იდგა რიგში პოლინასთან ერთად გამხეცებულ ხალხს შორის, რათა ეს საცოდავი მანეთები გადაეცათ მისი, უკვე მოკლული, შვილისათვის?

ქუჩები დაცარიელდნენ. მე მიდივარ და მივდივარ. სულ უფრო იშვიათად ვაწყდები ვინმეს. არ ვიცი რომელ რაიონში ვიმყოფები. არ ვიცი რატომ ავდივარ ცარიელ ტროლეიბუსში. არ ვიცი საით მიდის იგი. ჩემთვის უკვე სულ ერთია — მე აღარ მაქვს აღარც გზები და აღარც მიზნები. ბოლო გაჩერებაზე გადავდივარ სხვა მარშრუტზე, მივყვები ბოლომდე, ჩამოვდივარ და ისევ მივდივარ.

ვილაც დაფათურობს ჩემს მეხსიერებაში, ვილაც ჩამჩურჩულებს დაცინვითა და ნიშნისგებით:

„როგორი გულუბრყვილო სულელი ხარ! მამამ ხომ უკვე მაშინ, პროცესის დღეებში იცოდა, რომ მისი პირმშო, მის იდეალთა ხორცშესხმა, მისი გერცელი დახვრიტეს ჯალათებმა."

და დაჟინებით მახსენებს:

„რატომ კრთებოდა მამა, რატომ ასე უკანკალებდა ხმა გერცელის ხსენებაზე?"

რატომ ერთხელაც არ ჰკითხა ვინმეს იმ დღეებში, გერცელის ამბავი ხომ არაფერი იცითო?

რატომ მითხრა, სიკვდილმისჯილთა საკანში რომ მიჰყავდათ, სიტყვები, რომელთა აზრს მაშინ ვერ ჩავწვდი: „თავი ღირსებით გეკავოს. შენ კიდევ ბევრის გადატანა მოგიწევს."

„რატომ ასე გამომცდელად შეჰყურებდა მოსანახულებლად მისულ დედასა და პოლინას? რატომ არაფერს ეკითხებოდა და რატომ ერთხელაც არ უხსენებია გერცელი?

რატომ ასე დაჟინებით შემომცქეროდა და დაჟინებითვე მთხოვდა, ლენინგრადში დაბრუნდიო?"

დიახ, იცოდა! და ისიც იცოდა, რომ ჩვენ ჯერაც არ ვიცით.

ხაიმი მიყვებოდა: როგორც ციხეში გავიგე, მამასთან ერთად სიკვდილმისჯილთა საკანში კიდევ ორი მჯდარა პირველ თვეს: რუსი — ისტორიის პროფესორი, და ქართველი — ძველი რევოლუციონერი. ერთი თვის შემდეგ ქართველი დახვრიტეს, რუსი კი ჭკუაზე შეცდაო.

და, როგორც იმ დღეებში, მე ვხედავ მამას, შავ საკანში მლოცველს. მაგრამ ახლა ვიცი, რომ თვითონ სიკვდილმისჯილი, დახვრეტილ გერცელს დასტიროდა. და იგი არ გაგიჟდა.

დედა? დედა სიცოცხლის ბოლომდე დარჩება ასე კეთილის მოლოდინში. ვინ შეჰბედავს საუკეთესო ვაჟკაცთა დედას და ვინ ეტყვის, შვილი მოგიკლეს იმიტომ, რომ ბოროტების განსახიერებამ დედამიწაზე ვეღარ აიტანა მისი არსებობა.

დღისით ოკეანესავით მღელვარე მოსკოვი, ახლა დუმილს მოუცავს. და სიჩუმეში აშკარად მესმის გერცელის ხმა. იგი თავისთვის ღიღინებს სიმღერას კინოფილმიდან: „საგზური ცხოვრებისაკენ".

გერცელს მუსიკა უყვარდა, თვითონ კი არასდროს არ მღეროდა. და აი, ჩემი ქორწილის დღეებში, ლენინგრადში, ბედნიერი და მხიარული იგი განუწყვეტლივ ღიღინებდა: „...და ვერ შეიტყობს ვერავინ, სადაა ჩემი საფლავი“.

ვერასდროს ვერ შევიტყობთ, სადაა მისი საფლავი. ვერავინ გაბედავს ხმამაღლა დაიტიროს იგი. ვერავინ გაბედავს ხმამაღლა ახსენოს მისი სახელი.

ისეთი სიძულვილი მიპყრობს, ისეთი გაცოფება მახრჩობს... ნამდვილად დავიხრჩე, თუ საქვეყნოდ არ ვიყვირე:

„აუ, ხალხო! გონს მოდით! ვისზე ლოცულობთ, ვის უმღერით! ეს არის ურჩხული, ადამიანთა მოდგმაზე მოვლენილი წყეველა, რომელმაც უზარმაზარი ტერიტორიები უდანაშაულო ადამიანების მდუმარე საფლავებად აქცია!“

მაგრამ კვლავ ჩამესმის დამცინავი ჩურჩული:

„იყვირე! წამოყვირებასაც ვერ მოასწრებ, რომ პირველივე შემხვედრი, ვინც გინდა იყოს — რუსი თუ ებრაელი, ქართველი თუ თათარი, ქალი თუ კაცი, ხნიერი თუ ახალგაზრდა — თუნდაც ყველაზე პატიოსანი და კეთილი ადამიანი, ხელს ჩაგავლებს, პირს მოგიკუმავს და გამოგაცხადებს გიჟად ან მტრად, რადგან სხვანაირად არ შეიძლება. შემდეგ კი შენც მოგკლავენ, როგორც კლავენ მტრებს.“

„მომკლან. სამაგიეროდ გულში ჩაწყნარდება ეს აუტანელი ტკივილი და გაგრილდება შიგ მოხვედრილი ცხელი ტყვია...“

◆

... 1938 წლის 10 ოქტომბერი...

ასე, გერცელის დახვრეტიდან ორ წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ მე და მეირი მიეხვდით, რომ ჩვენი ოჯახი სამუდამოდ დაინგრა და, რომ ჩვენს ცხოვრებაში დაისადგურა მუდმივმა წყვდიადმა.*)

*რუსულიდან თარგმნა **პოლინა ბაბაზოვამ.**

ფანია ბააზოვი

# ტანკები ბავშვების წინააღმდეგ

ყველაფერი ძალიან უბრალოდ დაიწყო. 1956 წლის 7 მარტის დილით, სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავზე პიონერთა სასახლის ბავშვების ჯგუფმა სტალინის სახელობის სანაპიროზე მდგარ სტალინისავე მაღალ მონუმენტთან დასდო ცოცხალი ყვავილების ორი ჩვეულებრივი გვირგვინი.

ახლომახლო ქუჩებიდან სკოლაში მიმავალმა ბავშვებმა შეამჩნიეს მონუმენტთან დადებული ყვავილები და გადაწყვიტეს თავიანთ კლასებში შეეგროვებინათ ფული ყვავილების საყიდლად და მიეტანათ მონუმენტთან. ერთ-ორ საათში თბილისის ცენტრალური უბნების სკოლებს ელვასავით მოეფინა ამბავი: უმცროსკლასელებს სტალინის მონუმენტთან ყვავილები მიაქვთო. და დაახლოებით შუადღის თორმეტი საათისათვის თბილისის მთავარ ქუჩებში გამოჩნდნენ სტალინის სახელობის სანაპიროსაკენ ყვავილებით მიმავალი მოსწავლეთა პირველი რაზმები. ხოლო სამუშაო დღის დამთავრებისას იმოდენა ხალხი მიედინებოდა ყვავილებით, რომ სანაპიროს ახლომახლო ქუჩებში შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა.

დილიდანვე იდგა ამ დროის თბილისში უჩვეულო უქარო, მზიანი ამინდი. ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა. უფრო მოზრდილები განცვიფრებითა და აღტაცებით შესცქეროდნენ ყვავილების ტალღებს. და ბავშვებიც, როგორც ჩანს, შინაგანად გრძნობდნენ უფროსების მოწონებას და კიდევ მეტი ხალისით და აღგზნებით განაგრძნობდნენ სვლას.

საღამოს ცხადად ჩანდა, რომ ქალაქი ამოვარდა თავისი ჩვეული კალაპოტიდან. ყვავილების შოვნა უკვე შეუძლებელი იყო თბილისის რომელიმე ბაზარში ან ყვავილების რომელიმე მაღაზიაში. ახლა ისინი მოჰქონდათ ქალაქის გარეუბნებიდან, საიდანაც ყვავილებთან ერთად მოედინებოდა მოსწავლეთა სულ ახალ-ახალი ნაკადები. ბავშვების დაოკება კი არავის უცდია. პირიქით, ბავშვები და მათი მშობლები არც მალავენ სიამაყეს, რომ მათი შვილები და ახლო მეგობართა ბავშვები ასე დამოუკიდებლად ამჟღავნებენ მხურვალე სიყვარულს სამშობლოსადმი და ასე აფასებენ საქართველოს უდიდეს შვილს.

საოცარი სანახაობა იშლებოდა იმ ღამის თბილისში. ხალხი გამოეფინა ქუჩებში და მასობრივი აჟიოტაჟით ატაცებული ტაშს უკრავდა მოსწავლეთა უწყვეტ მოწოდებას — „ვაშა სტალინს!" ღამეული ქალაქის ხალხით გადაჭედილ ქუჩებში მოსწავლეთა თავების უსასრულო ტალღებზე ნელა მიცურავდა ბელადის პორტრეტები.

სტალინის მაღალი მონუმენტი ყვავილებში იყო ჩაფლული და მის გარშემო მთელი ღამე გრძელდებოდა რელიგიურ აღტყინებამდე მისული კარნავალი. მონუმენტის ახლომახლო პარკებსა და მოედნებზე სახელდახელოდ აგებდნენ ტრიბუნებსა და სცენებს, სადაც ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ ბავშვთა ანსამბლები. მღეროდნენ ბელადის სადიდებელ სიმღერებს და კითხულობდნენ „ხალხთა მამისადმი" მიძღვნილ ქართველი პოეტების ლექსებს. ხალხის უმრავლესობას მსგავსი რამ არც ენახა — რაიმე დემონსტრაცია ან მსვლელობა გამართულიყო ზემოდან მითითების, ოფიციალური განკარგულებისა და მთავრობისაგან სპეციალური მომზადების გარეშე.

მაგრამ მეორე დილით, 8 მარტს, როდესაც თბილისის ყველა სკოლა ცარიელი აღმოჩნდა, ცხადი გახდა, რომ თბილისში მიმდინარე ამბები არ იყო მარტო აღტაცების გამოხატვა სტალინისადმი.

თუმცა სამი წელი გავიდა მისი სიკვდილიდან, ბევრს საქართველოში — და არა მარტო საქართველოში — ვერაფრით გაეგო, როგორ ბედავდნენ ვიღაცეები ჩვენი პლანეტის უდიდეს ღვთაებას მოქცეოდნენ ისე, როგორც ექცევიან უბრალო მოკვდავს.

ხალხთა მზედ წოდებული სტალინი სიკვდილის მეორე დღესვე გამოასვენეს კრემლიდან და მისი ცხედარი მოათავსეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. ხალხს ვერ გაეგო როგორ შეიძლებოდა ასეთი მკრეხელობა სტალინის მიმართ. თუმცა სვეტებიან დარბაზში ხდებოდა „მშრომელთა გამოთხოვება" ყველაზე გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან, როგორ გაბედეს სტალინის გათანაბრება მათთან, ჩვეულებრივ მოკვდავებთან?! ამის აღქმაც კი ვერ მოასწრო, რომ ქართველმა ხალხმა ახალმა დარტყმა იწვნია: კრემლიდან ცნობა მოვიდა, რომ ბელადის დაკრძალვა მოხდება... ორი დღის შემდეგ, 7 მარტს, ორშაბათს.

ხალხი ემზადებოდა ხანგრძლივი სამგლოვიარო ყოფისათვის, მაგრამ ჯერაც არ გასულიყო 7 მარტის ღამე, რომ მილიციონერებმა დარეკვა და კაკუნი დაიწყეს ბინებში: აივნებიდან სამგლოვიარო დროშები ჩამოხსენითო.

საქართველოში ერთ-ერთი უძველესი და თავისებური ტრადიციაა მიცვალებულისადმი პატივისცემა. დატირება და გამოთხოვება გრძელდება რამდენიმე დღეს. დასავლეთ საქართველოში კი ერთ კვირას. მიცვალებულს დასტირიან და ეთხოვებიან არა მარტო ახლობლები, არა მარტო ნაცნობ-მეგობრები, არამედ ნაცნობთა ნაცნობებიც. მკვეთრად არის განსაზღვრული როგორ უნდა მოხდეს დატირება და მას თან ახლავს განსაცვიფრებელი

ხალხური სიმღერები. ამ ტრადიციის ერთ-ერთი ხელუხლებელი წესია, რომ დასაფლავება არ შეიძლება ორშაბათს.

...საქართველოში ბევრი მწარედ გაანაწყენა ასეთმა მოპყრობამ თავიანთი „გენიალური თანამემამულისადმი"; იმისადმი, ვინც ჩამორჩენილი რუსეთი დედამიწის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია და, რომ ასეთ ადამიანს „კრემლის რუსებმა" ასეთი გაუგონარი რამ აკადრეს. ჯერ იყო და სახელდახელოდ დაკრძალეს, ახლა კი ხრუშჩოვი ცდილობს ღვთაება ბოროტმოქმედად წარმოსახოს!

შესაძლოა ყველაფერმა ამან გამოიწვია, რომ არც მშობლებს, არც მასწავლებლებს და თვით პარტიულ და სახელმწიფო მუშაკებსაც კი არ უცდიათ მიმდინარე მოვლენათა აღკვეთა. მხოლოდ იმას თუ ცდილობდნენ, რომ მოვლენებისათვის შესაფერისი პოლიტიკური ხასიათი მიეცათ.

8 მარტის დილას სტალინის პორტრეტებთან ერთად გამოჩნდა ლენინის პორტრეტებიც და არემარეს აზანზარებს ხალხის ძახილი: „ლენინი, სტალინი!" ვის შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა პატრიოტიზმის ასეთი გამოვლინებისადმი? ყოველ საათში მატულობდა და მატულობდა ლენინის ახალ-ახალი პორტრეტები და ისინი ფარივით იცავდნენ სტალინის სიდიადეს.

8 მარტს ბევრი საერთოდ არ წასულა სამუშაოზე, ბევრმაც კიდევ ადრე დაამთავრა მუშაობა. ხალხი აღგზნებული იყო, თუმცა გაეგებოდა კი ვინმეს რას ნიშნავდა ქალაქში მიმდინარე დემონსტრაციები? სახლში ჯდომა კი არავის სურს. საყოველთაო ენთუზიაზმს მოუცავს ქალაქი. სტალინის მიერ დახვრეტილთა შვილები ამაყად მიაბიჯებენ თავიანთი ამხანაგების გვერდით. არავის ფიქრადაც კი არ მოსდის, რომ მათი ოჯახების ტრაგედია პირდაპირ სტალინის ნამოქმედარის შედეგია.

ამ დღისათვის საქართველოს უმაღლეს სასამართლოში დანიშნული მქონდა დიდი ჯგუფური საქმის განხილვა. როგორც მრავალი ადვოკატი, მეც ძალიან ადრე მივედი, იქნებ პროცესის დაწყებამდე კიდევ ერთხელ მოვახერხო ჩემს დასაცავებთან დალაპარაკება-მეთქი. მაგრამ უმაღლესი სასამართლოს ჩვეულებრივი სამუშაო რიტმი დარღვეული იყო. გაირკვა, რომ პატიმრები საერთოდ არ მოუყვანიათ აქ და სასამართლო დარბაზებიც ჩქარა დაცარიელდა. ყველა გარეთ მიიჩქაროდა.

ამხანაგების ჯგუფი გამოვედით უმაღლესი სასამართლოდან და დავეშვით რუსთაველის პროსპექტზე. ტროტუარები გავსებული იყო ხალხით და სულ უფრო ძნელი ხდებოდა გარჩევა ვინ იყო დემონსტრანტი და ვინ არა.

...ზუსტად არ მახსოვს რა მომენტში, მაგრამ იმ საღამოს რაღაც შეშფოთებამ შემიპყრო. ჯერ ძლივს შესამჩნევი შინაგანი შეშფოთება თანდათან ძლიერდებოდა და ჩემს მეგობართა სახეებზეც იხატებოდა რაღაც ძნელად დასაფარავი შიში. თუმცა განგაშისათვის თითქოს არც კი იყო რაიმე

საფუძველი. მილიციის ფხიზელი მუშაკები, რაკი არ მიუღიათ რაიმე განსაკუთრებული მითითება, მშვიდად და თანაგრძნობით შეჰყურებდნენ დემონსტრანტებს. შეშფოთება კი ძლიერდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ქალაქს დემონსტრანტები დაეუფლნენ. ისინი წარმართავდნენ ტრანსპორტის მოძრაობას, ზოგჯერ კიდეც აჩერებდნენ მას.

თანდათანობით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სადღაც, როგორღაც შეიქმნა რაღაც „შტაბი", რომელიც აწესრიგებს და წარმართავს ხალხის კოლონებს ქალაქის სხვადასხვა უბნებში.

მანიფესტაციების მეორე საღამოს ცნობილი გახდა, რომ მოსწავლეებს მიემხრნენ უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ათიათასობით სტუდეტი მოეფინა ქუჩებს და შეუერთდა დემონსტრანტთა ნიაღვრებს.

8 მარტის ღამით თბილისი დაემსგავსა გიგანტურ ზღვას, რომლის ტალღათა ზემოთ ირხეოდნენ ხალხთა ბელადის უზარმაზარი პორტრეტები. სტალინის სახემ თითქოს გააფერმკრთალა მთავრობა, გააცამტვერა ყოველგვარი ხელისუფლება დედამიწაზე.

მივაბიჯებდი ღამეულ ქალაქში და ვერაფრით ვერ ვიშორებდი იმის სურვილს, რომ მქონოდა შესაძლებლობა და დაუყოვნებლივ, გათენებამდე როგორმე გამომეყვანა ქალაქის ყველა სახანძრო მანქანა და მათი საშუალებით გამეფანტა დემონსტრანტები; წყლის შადრევნებით ჩამექრო ეს აგიზგიზებული ალი, რათა აგვეცდინა მოახლოებული კატასტროფა.

მაგრამ იმ ღამით — იქნებ ბევრისთვის სასურველი — სახანძრო მანქანები ქალაქში არ გამოჩენილა.

9 მარტს სრულად დაცარიელდა უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, პროფესიონალური სასწავლებლების, ისევე როგორც საშუალო სკოლების შენობები. ცხადი ხდებოდა, რომ მანიფესტაცია იცვლის პირვანდელ ხასიათს და ვიღაც უხილავის ხელით მიემართება სხვა კალაპოტით.

9 მარტის ადრე დილას ქალაქში დატრიალებული ამბების გამო ჩამეშალა კიდევ ერთი პროცესი, ამჯერად ქალაქის ცენტრიდან დაშორებულ რაიონში — საბურთალოზე. უკან ვბრუნდებოდი ტროლეიბუსით, რომელიც ნელა მიიწევდა დემონსტრანტთა ნიაღვრებს შორის. ეს ნიაღვარი ყოფილა მეთაური კოლონა, რომელიც იმ უხილავი შტაბის მითითებით მიემართებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ.

შერჩეული დელეგაცია შევიდა შენობის კომენდატურაში და გადასცა დემონსტრანტთა მოთხოვნა — გამოეძახებინათ პარტის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე.

და მოხდა სასწაული. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მოსკოვის მიერ დანიშნული მმართველი პირველად წარდგა დემონსტრანტების წინაშე მათი მოთხოვნისამებრ.

იმ ხანებში მოსკოვში, წითელ მოედანზე არსებული მავზოლეუმი, სადაც ლენინის გვერდით ესვენა სტალინი, დაკეტილი იყო. დადიოდა ხმები: სტალინის მუმია განზრახ შეწამლეს ისე, რომ იქვე გაშავდაო; მაო ძე-დუნს მოუთხოვია: სტალინის ცხედარი გადმოგვეცით და ჩვენი სპეციალისტები აღადგენენო.

ახლა დემონსტრანტები მჟავანაძისაგან გადაჭრით მოითხოვდნენ: მხარი დაუჭირე მაო ძე-დუნს სტალინის ცხედრისა და სახელის აღსადგენადო. მჟავანაძე დიდხანს და ტკბილად ელაპარაკებოდა დემონსტრანტებს, პირდებოდა: ყველანაირად დაგიჭერთ მხარსო, და თავისი სიტყვა დაამთავრა ასე:

—ჩვენს ძვირფას სტალინს ვაგლახად ვერავინ შეეხება!

ეს სიტყვები მეხივით გავარდა ხალხში. ყვეგან გაისმოდა მოწონების ხმამაღალი შეძახილები და მჭუხარე ტაში. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისგან ფრთაშესხმული დემონსტრატები გაეშურნენ ქალაქის გარეუბანში მდებარე კრწანისის ქუჩისაკენ, ბერიას უწინდელი აგარაკისაკენ. ამ განსაცვიფრებელი სილამაზის ადგილებში აიშენა ბერიამ თავისი აგარაკ-სასახლეები მაშინ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რომ იყო. შენობათა ირგვლივ სულ ტყეები იყო და გარეშე თვალისაგან ფარავდა მარმარილოთი და ბრინჯაოთი მოპირკეთებულ ამ სრა-სასახლეებს. სწორედ აქ აწყობდა ხალხთა ბელადის ყველაზე ერთგული და გამოცდილი თანამებრძოლი, ბერია თავის ღამეულ ნადიმებს. ახლა კი აგარაკებს იყენებდნენ მაღალი რანგების სტუმართა რეზიდენციად. და 1956 წლის მარტის ამ დღეებში აქ იმყოფებოდა საქართველოში სტუმრად ჩამოსული ჩინეთის მარშალი ჯუ-დე.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ დემონსტრანტები კრწანისის რაიონს, მით უფრო მძლავრად გაისმოდა აღგზნებული ახალგაზრდობის განუწყვეტელი შეძახილები: „ჯუ-დე! ჯუ-დე!“

მარშალი ჯუ-დე გამოვიდა დემონსტრანტებთან. იგი საზეიმოდ დაპირდა: მაო ძე-დუნს გადავცემ თქვენს თხოვნას, რომ სტალინი დაიცვასო. თან აღუთქვა, მთლიანად გიჭერთ მხარსო.

იქიდან ქალაქისაკენ მობრუნებული დემონატრანტები წააგავდნენ ბრძოლის ველზე გამარჯვებულ ლაშქარს. ლეგენდარული ჩინელი მარშლის აღთქმებმა ისე იმოქმედა მათზე, რომ, როგორც ჩანს, იფიქრეს: სტალინის გულისთვის ვაკეთებთ ყველაფერს და ვინ გამოვა საბჭოთა კავშირში რაიმეთი რომ შეგვზღუდოსო.

მახსოვს, საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, მიხვეულ-მოხვეული გზებით რომ მივაღწიე მარქსის მოედანს. შემდეგ გადავიარე ხიდი და გავედი პლეხანოვის პროსპექტზე. ამის იქით ისე იყო ქუჩები გაჭედილი დემონსტრანტებით, ძლივს მივიწევდი ქალაქის პირველი კლინიკისაკენ, სადაც ჩემი ძმა ხაიმი იწვა კარდიოლოგიურ ინსტიტუტში. აქ მოვდიოდი ყოველ საღამოს

და რამდენიმე საათი ვრჩებოდი. ზოგჯერ აქვე ვხვდებოდი დედაჩემს, ხაიმის ბავშვებს ან სხვა ნათესავებს. დღეს კი ხაიმს დილიდანვე გაუბრუნებია ნათესავები და კატეგორიულად აუკრძალავს მოსულიყვნენ მასთან მანიფესტაციების დამთავრებამდე.

ჩემს ძმასთან ერთად იმავე — დიდ, ნათელ პალატაში იწვა ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი ვასილ ზარიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი პასუხსაგები თანამდებობის ინჟინერი. მამამისი და ბიძამისი დახვრიტეს 1937 წელს. როცა ისინი წაიყვანეს, ვასილი თოთხმეტი წლისა ყოფილა. მის გულში ღრმად ჩამარხულიყო სტალინური წმენდების ტრაგიკული ამბები. საქმიანი და ძალიან თავაზიანი კაცი იყო, მაგრამ თავის თავში ჩაკეტილი და ერთობ სიტყვაძვირიც. მხოლოდ ჩვენისთანა ხალხთან თუ მისცემდა თავს ნებას ყოფილიყო გულახდილი.

ამ საღამოს, 1956 წლის 9 მარტს, ვასილიც და ჩემი ძმაც, ყველა მოსიარულე ავადმყოფთან ერთად, ბაღში ჩასულიყვნენ მიუხედავად ექიმების მიერ აკრძალვისა. მარტო ავადმყოფები? თვითონ ექიმებიც ვერ ჩერდებოდნენ პალატებსა და კაბინეტებში და აფორიაქებული დაბორიალობდნენ სართულებსა და კორიდორებში. კარდიოლოგიური ინსტიტუტის ხეივნებში შესვლისთანავე თითქმის ყოველ ნაბიჯზე მაჩერებდნენ ნაცნობი ექიმები და ავადმყოფები და მეკითხებოდნენ ერთსა და იგივეს: „რა ხდება ქალაქში?“

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, რომ ჩემმა ძმამაც და ვასილმაც დაჟინებით მთხოვეს, ახლავე წადი, პირდაპირ სახლში, ქალაქში არაფერს შეაჩერდეო. ისინი ფერწასული იყვნენ და შეშინებული ჩანდნენ. ისინი პალატამდე მივაცილე და ისევ გამოვედი ხეივანში, რომლითაც პლეხანოვზე უნდა გავსულიყავი. და აქ, ნახევრად ბნელ ხეივანში, იასამნების ხშირი ბუჩქებს შორის ჩადგმულ მერხზე თვალი მოვკარი ვიღაცის მხრებჩამოყრილ და თავჩაქინდრულ ნაცნობ ფიგურას. ეს იყო უკვე ღრმად მოხუცებული პროფ. სერგო პავლეს ძე კ. ექიმის თეთრი ხალათი წამოესხა. შემამჩნია და ხელის აწევით მომესალმა გულითადად. მივედი და გვერდით მივუჯექი. ვიცოდი, რომ ასაკის გამო თავი დაანება სამედიცინო ინსტიტუტს, ხოლო კარდიოლოგიურ ინსტიტუტში კვირაში ორჯერ დადიოდა როგორც კონსულტანტი. ამიტომაც ძალიან გამიკვირდა, რომ ასე გვიან ზის აქ და ისიც სამუშაო ხალათით!

სერგო პავლეს ძე მამაჩემის დიდი ხნის მეგობარი იყო. ოციან და ოცდაათიან წლებში ხშირად იმყოფებოდა ჩვენსას. ინტერესით ვუსმენდი ხოლმე მის მონაყოლს ოციანი წლების საქართველოში მომხდარ ამბებზე. შემდგომში ვინღა ან სადღა შეხვდებოდა სიმართლეს იმ დროის შესახებ.

მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი იყო იგი, ეროვნული გვარდიის რიგებში თავდადებით რომ ებრძოდა საქართველოში შემოჭრილ მე-11 არმიას, რომელმაც საქართველო დაარბია 1921 წელს და ბოლო მოუღო მის დამოუკი-

დებლობას. 1924 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოს ათასობით საუკეთო შვილთა შორის დახვრიტეს მამამისიც, პავლე მღვდელი. თვითონ სერგო 1929 წელს გადაასახლეს შორეულ ჩრდილოეთში, შემდეგში კი უგზო-უკვლოდ გაქრა ბიძამისი — სოსო ჯუღაშვილის ერთ-ერთი ყველაზე ცხარე მოწინააღმდეგე. 1938 წელს დახვრიტეს მისი ერთადერთი ქალიშვილის ქმარი. შემდეგ დააპატიმრეს ქვრივად დარჩენილი ქალიშვილიც, გადაასახლეს ყაზახეთის ერთ-ერთ ბანაკში, სადაც გადასახლების ვადის გასვლამდე გარდაიცვალა ტიფით.

სერგო პავლეს ძემ და მისმა ცოლმა გაზარდეს ობლად დარჩენილი შვილიშვილები: ერთი მათგანი, სამი წლისა, მეორე — წლისა. ამის შემდეგ, მრავალი ადამიანის მსგავსად, სერგო პავლეს ძე გულდახურული გახდა, ზოგიერთ რაიმეზე საერთოდაც ეშინოდა ხმის ამოღება.

მისი გაზრდილი შვილიშვილები კი — ახლა მურთაზი ოცი წლისა იყო, ნუგზარი კი თვრამეტისა — დემონსტრანტთა შორის მიაბიჯებდნენ თბილისის ქუჩებში, ხმის ჩაწყვეტამდე გაყვიროდნენ და ადიდებდნენ ხალხთა მამას იმისათვის, რომ ასეთი ბედნიერი ბავშვობა მისცა მათ.

მოხუცი პროფესორი უყვარდათ სტუდენტებს და მას აღმერთებდნენ ავადმყოფები. მუდამ მშვიდი, კეთილგანწყობილი, თავისი მარტო გამოჩენითაც კი უნერგავდა იმედს ავადმყოფებს. ახლა კი მერხზე წყნარად მესაუბრებოდა:

—დღეს გული არ მიჩერდება სახლში. და, აი, მოვედი, რომ ჩემს ავადმყოფებს დავხედო. —შემდეგ კი რაღაც მწარე ღიმილით დასძინა, —უკვე სამი დღეა მურთაზი და ნუგზარი სახლში არ გამოჩენილან. სადღაც სკოლაში ათენებენ ღამეს ამხანაგებთან ერთად. გასაგებია? შეშიძლია სახლში ვიჯდე მშვიდად?

მოხუცი მწუხარედ იღიმება, ოდნავ აქნევს თეთრ თავს, შემდეგ კი ნელა, მაგრამ გარკვევით მეუბნება:

—ოი, რა შემაძრწუნებელია ჩემთვის, რომ ბავშვებმა არ იციან სიმართლე, და შესაძლოა ვერც ვერასდროს შეიტყონ. სიმართლე დახვრიტეს, დაჩეხეს ნაწილ-ნაწილ და ღრმად ჩაფლეს მიწაში. ბავშვებმა ფეხი აიდგეს სიცრუის სამყაროში. მე შეძრწუნებული ვარ იმითაც, თუკი რამენაირად აეხილებათ თვალები, ეს იქნება მათი კატასტროფაც, რადგან სულიერად დაიცლებიან.

იგი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ მოიხედა და შეშფოთებით მეუბნება:

—სახლში წადი. სახიფათო ღამეა. უფრო გვიან ჩამოვუვლი ავადმყოფებს. ხაიმსაც დავხედავ.

გამოვემშვიდობე მერხზე მჯდარ მოხუც პროფესორს და რამდენიმე წუთში ისევ ახმაურებულ პლეხანოვის პროსპექტზე ვიყავი. იქ შევერიე დემონსტრანტებს, რომლებიც ცენტრისაკენ, რუსთაველის პროსპექტისაკენ მიემართებოდნენ.

მანიფესტაციის მონაწილეები უკვე ისტერიაში იყვნენ ჩავარდნილი და ხმის ჩაწყვეტამდე გაჰყვიროდნენ: „სტალინი! სტალინი!“

შე შევყურებ მათ სახეებს და უკვე მერამდენედ ვეკითხები ჩემს თავს: საიდან იღებს სათავეს ის, რაც ამ დღეებში ხდება აქ? სტალინის გაღმერთება ხომ საქართველოში არ დაწყებულა? განა რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე არ მოიშორა საქართველომ სოსო ჯუღაშვილი? განა 1921 წელს მან არ უღალატა საქართველოს? განა მან არ მოაწყო ორჯონიკიძისა და ენუქიძის მეთაურობით მე-11 არმიის ვერაგული თავდასხმა საქართველოზე, რათა ჩაეხშო აქ გამოღვძებული სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ?

იმ წლებში ქართველი ხალხი აშკარად გამოხატავდა თავის ზიზღს მოღალატე და გამყიდველი სოსო ჯუღაშვილის მიმართ. ყველასათვის ცნობილია მისი განცხადება მოსკოვში: თუ პარტიისა და რევოლუციის ინტერესები მოითხოვს, მე დაუფიქრებლად გავწირავ საქართველოსო.

შემდეგ, ოკუპაციის შემდეგ, 1922 წელს რომ ჩამოვიდა თბილისში და მუშების წინაშე აპირებდა გამოსვლას, ისინი მუქარითა და გინებით მისცივდნენ მას და მაშინ გაქცევით უშველა თავს.

ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისრობისას მისი საქმიანობის შედეგად მოტყუებული, გაძარცვული და დამონებული ქართველი ხალხი 1924 წელს რომ აღდგა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, იმავე რუსული არმიის დახმარებით მანვე არ ჩაახრჩო საქართველო სისხლში?

ამ აჯანყების ჩახშობიდან დიდი ხნის შემდეგაც კი ხალხშიც და ინტელიგენციაშიც სოსო ჯუღაშვილის სახელის ხსენებაც კი ამაზრზენი იყო. ალბათ ამიტომ გახდა ასე ცნობილი მიხაელ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ ერთ-ერთი გმირი — ოსი ჯაყო, — უხამსი, გაიძვერა და უვიცი ავანტურისტი და მოძალადე, რომელსაც ბევრი აიგივებდა სტალინთან. და სცენაზე წარმოთქმული ჯაყოს სიტყვები: „ასე ვიცის ჯაყომა“, ხალხს ესმოდა, როგორც „ასე ვიცის სოსომა“. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ათი წლის შემდეგ მიხაელ ჯავახიშვილს წირვას გამოუყვანდნენ თავისი ჯაყოს გამო.

სტალინმა, რასაკვირველია, იცოდა რა თვალითაც უყურებდნენ მას საქართველოში. ოციანი წლების ბოლოს მასზე ჰყვებოდნენ უამრავ ანეკდოტს, რომელშიც იგი ჩანდა უხამს, უვიც და გაიძვერა უზურპატორად.

სტალინის სიდიადე საქართველოში მოსკოვიდან მოვიდა. 1930 წლის შემდეგ, როცა „პრავდამ“ ყოველ დღე იწყო წერა სოციალიზმის მშენებლობაში კოლოსალურ მიღწევებზე „გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ბრძნული ხელმძღვანელობით“, სტალინისადმი დამოკიდებულება იცვლება საქართველოშიც.

ჯერ ეცინებოდათ. შემდეგ უკვირდათ. მაგრამ პროპაგანდა ნელ-ნელა ახდენდა გავლენას და ხალხში თანდათან მკვიდრდებოდა სიამაყის გრძნობა, რომ სტალინი ქართული წარმოშობისაა. ისიც კი დაივიწყეს, რომ იგი, ჯუღაშვი-

ლი, ოსია. მოსკოვში შერქმეულ ეპითეტებს დაუმატეს „ქართველი ხალხის უდიდესი შვილი“.

ყველაზე მეტად სტალინს ეთაყვანებოდა ახალგაზრდა თაობა, რომელიც ასპარეზზე გამოვიდა ოცდაათიან წლებში. ეს იყო თაობა, რომელმაც აბსოლუტურად არ იცოდა საქართველოს უახლესი წარსულიც კი.

მაგრამ უმთავრესი, რამაც ხელი შეუწყო სტალინის გაღმერთებას საქართველოში, ეს იყო შიში. არნახული, ყოვლისმომცველი და გაუგონარი თავისი სისასტიკით. ამ შიშმა თითქოს დაადასტურა გენიალური რუსთაველის ნათქვამი: „შიში შეიქმს სიყვარულსა“. ამ შიშმა წარმოქმნა უდიდესი და ყოვლისმომცველი სიყვარული სტალინისადმი.

ხალხის ეს გრძნობა ასევე დარჩა უპასუხოდ სტალინის მხრიდან. სტალინს არ შეუყვარებია არც თავისი სამშობლო და არც ქართველი ხალხი. იგი მთელი თავისი სიცოცხლის ბოლომდე თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად სპობდა ამ ხალხის საუკეთესო, უბრწყინვალესსა და უნიჭიერეს შვილებს. არც თავისი სტუმრობით ახარებდა ხშირად ამ ქვეყანას.

1922 წელს რომ განდევნეს მუშებმა, იმის შემდეგ ათი წელი გავიდა და იგი საერთოდ არ გამოჩენილა საქართველოში. მხოლოდ ოცდათიანი წლების შუახანებში ერთ დილით თბილისში ხმა დაირხა, სტალინი წუხელ აქ იყოო.

ამ ამბავმა ააფორიაქა ქალაქი, მით უფრო, რომ გაზეთებმა მეორე დილით დაადასტურეს ბელადის თბილისში ყოფნა. ხალხი კი, რომელსაც ასე ეწადა თავისი ბელადის ხილვა, იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო... დედამისთნ, კეკესთან ინტერვიუთი. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, რომ პრესამ კეკე მოიხსენია. ამ ინტერვიუში იგი ჰყვებოდა, რომ მოამზადა მისი შვილის საყვარელი „კაკლის მურაბა“. ინტერვიუს ამთავრებდა სიტყვებით: „ყველას ვუსურვებ ასეთ შვილს“. ამის შემდეგ თითქმის მთელმა ხალხმა ფაცი-ფუცით დაიწყო „სტალინის საყვარელი კაკლის მურაბის“ კეთება.

სხვათა შორის, ამას ხელი არ შეუშლია იმ დღეებში ახალი ანეკდოტი დაბადებულიყო: დაჟინებული თხოვნის შემდეგ კეკეს ნება დართეს და „მოყვარული შვილი“ ანახეს. სტალინმა ახედ-დახედა და ეუბნება: „ჰე, შენ კიდევ ცოცხალი ხარ, კეკევ?“

კეკე რომ მოკვდა, სტალინი დასაფლავებაზე არ ჩამოვიდა და ამით ძალიან დაწყვიტა გული თავის მგზნებარე თაყვანისმცემლებს. სამაგიეროდ ლავრენტი ბერიამ მოაწყო სტალინის დედის ისეთი გრანდიოზული დაკრძალვა, რომ მეფესაც კი არ ღირსებია მსგავსი რამ. დასაფლავების გასალამაზებლად მიიწვიეს საქართველოს საუკეთეს მხატვრები და რეჟისორები. ხოლო დასაფლავებით დაასაფლავეს ქართველებისათვის უწმინდეს ადგილას, მთაწმინდაზე — ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პანთეონში.

პანაშვიდის მთელი კვირის განმავლობაში ხალხი მოუთმენლად ელოდა სტალინის მოსვლას. ქართველებს ვერ წარმოედგინათ, რომ შვილმა არ დაიტიროს დედა. შემდეგ ხმა გავარდა: დასაფლავების დღეს ჩამოვაო. მაგრამ ეს დღეც მოვიდა და სტალინი მაინც არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, ენაკვიმატები ჰყვებოდნენ ანეკდოტად, დეპეშა გამოუგზავნია ბერიასათვის: ვიზიარებ შენს ღრმა მწუხარებას... დედაჩემის გარდაცვალების გამოო.

სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე კი იმოგზაურა საქართველოში, მაგრამ ხალხი მაშინაც ვერ ეღირსა მის ხილვას. ხან ამ ქალაქში, ხან იმ ადგილას ელოდებოდნენ მის გამოჩენას, ემზადებოდნენ საზეიმო შეხვედრისათვის, და მოულოდნელად იგებდნენ... წუხელ გაიარაო.

და სტალინის ამ ბოლო სტუმრობას საქართველოში მისი წასვლისთანავე მოჰყვა დაპატიმრებათა ახალი ტალღა.

მაგრამ ვერც ერთი ასეთი „ღვთაებრივი მოქმედება" ვერ გამოაფხიზლებს და თვალს ვერ აუხელს მათ, ვინც თავისი გონებაც და გულიც მიუძღვნა იმას, ვისაც, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, „დილის მზეც კი ეთაყვანება".

მარქსის მოედნიდან რუსთაველის პროსპექტზე პირდაპირ გასვლა შეუძლებელი იყო. შევეცადე მოხვეული გზით — ჯორჯაძის ქუჩით წავსულიყავი. იქიდან კი ხალხის ტალღამ პირდაპირ შუა პროსპექტზე გამათრია. ოპერისა და რუსთაველის თეატრებთან თავი მოეყარათ მსახიობებს, მწერლებს, ადვოკატებს, პედაგოგებს.

ვიდექი მეგობართა შორის და მათთან ერთად ვადევნებდი თვალს, როგორ გაემართნენ დემონსტრანტები კავშირგაბმულობის შენობისაკენ, სადაც იმ დროს მოთავსებული იყო რადიოსადგური. სულ უფრო გარკვევით ვგრძნობდი, რომ ამაღამ რაღაც მოხდება. დემონსტრანტთა მჭიდრო ჯგუფებში მოულოდნელად გამოჩნდებიან უცნობი ახალგაზრდები. ისინი იძლევიან რაღაც იდუმალ განკარგულებებს და, როგორც მოვიდნენ, ისევე მოულოდნელად ქრებიან ადგილიდან. ხალხი სულ უფრო იძაბება.

ერთი შეხედვით მოგეჩვენება, თითქოს მოზეიმე რუსთაველის პროსპექტი საღღესასწაულოდ მოურთავთ და გაუჩირაღდნებიათ. მაგრამ სულ უფრო მიპყრობს შიში: რა მოხდება?!

ხალხის ჯგუფს გამოეყო რამდენიმე ახალგაზრდა, სწრაფად ჩაგვიარა და მოგვაძახა:

—კოლმეურნეობის მოედანზე წადით!

ვერც კი ვასწრებთ დავინახოთ ვინ არიან, ან ვკითხოთ: რისთვის უნდა წავიდეთ იქ? ისინი ელვისებურად შეერივნენ ხალხს.

იქნებოდა ღამის თერთმეტი საათი, მეგობრებთან ერთად რუსთაველის პროსპექტიდან პუშკინის ქუჩით კოლმეურნის მოედანზე რომ დავეშვი. აქ ხალხში პანიკა გამეფებულიყო. მშობლები ბავშვებს დაეძებენ, ძმა — ძმას; ნაცნობებს ეკითხებიან: ჩვენები ხომ არ გინახავთო.

პატარა მოედნის შუაგულში სახელდახელო ტრიბუნა აღუმართავთ. ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ ახალგაზრდები, მაგრამ სიბნელეში მათ სახეებს ვერ ვარჩევდით. ისინი ძალიან ხმამაღლა გაყვიროდნენ, მაგრამ ბრბოს გუგუნში არ ისმოდა რას ამბობდნენ. სადღაც გაისმა უკვე დიდი ხნის წინ აკრძალული ეროვნული ჰიმნი. სამოქალაქო ტანსაცმლიანმა რამდენიმე კაცმა სცადა შეეწყვეტინებინათ სიმღერა. მაგრამ მომღერლებს სხვებმაც დაუჭირეს მხარი და რამდენიმე ადგილზე გაწევ-გამოწევა და შეხლა-შემოხლა დაიწყო. იქვე გამოჩნდენ სამკლავიანი ახალგაზრდები და სიმღერა გაგრძელდა.

უეჭველად საშიში გახდა აქ ყოფნა, რადგან ამბები ვითარდებოდა ხელისუფლებისათვის უცნობი სცენარით.

ის იყო დავაპირე იქაურობას გავცლოდი, რომ ჰაერში რაღაც ფურცლები აფრიალდა. მოულოდნელობისაგან ხალხმა არ იცოდა რა ექნა. ზოგი შიშით გაურბოდა ამ ფურცლებს, ზოგი კი, პირიქით, ცდილობდა ჰაერშივე დაეჭირა. ჩემმა ერთმა მეგობარმა კი მოახერხა ერთ-ერთი პროკლამაციის ხელში ჩაგდება, მაგრამ მთლიანად წაკითხვა ვეღარ მოვასწარით. საიდანღაც გამოტყვრნენ წესრიგის დამცველები და ხალხს ხელიდან სტაცებდნენ ფურცლებს. ეს კი მახსოვს, რომ პროკლამაციის ერთ-ერთი პუნქტი მოითხოვდა საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირიდან და ავტორები ამ მიზნით იშველიებდნენ დიადი სტალინური კონსტიტუციის მუხლებს.

საეჭვო აღარ იყო, რომ მანიფესტაციის მღელვარე ზღვის სიღრმეებში მოქმედებს სხვა ძალა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ამ სტალინურ კარნავალთან.

კგბ-ს არქივებში დღესაც ღრმადაა ჩამარხული თუ რა ძალა მოქმედებდა მაშინ, ვინ იყვნენ ისინი, ვინც ამ ამბებს წარმართავდნენ. ერთი რამ კი უკვე მაშინაც იყო აშკარა: ესენი სტალინის ღირსების დასაცავად კი არა, არამედ მოსკოვის მესვეურთა ფეხქვეშ გათელილი ქართველთა ეროვნული გრძნობების დასაცავად მოქმედებენ. ამიტომაც „სტალინური მანიფესტაციები" სინამდვილეში წარმოადგენდა პროტესტს, რომელსაც ღრმა ეროვნული ფესვები გააჩნდა.

როგორც ჩანს, ეს ახალი პოლიტიკური შეფერილობა იგრძნო მოედანზე მყოფმა ხალხმაც.

უცბად ხალხი შედრკა, აირ-დაირია. უგზო-უკვლოდ გარბოდნენ ყოველი მიმართულებით. დაიწყო ზედახორა და დემონსტრანტები მწყობრად ვეღარ მიდიოდნენ კოლმეურნის მოედნისაკენ, საიდანაც უნდა წასულიყვნენ კავშირგაბმულობის შენობისაკენ, სადაც გვიან ღამით თავს იყრიდნენ დემონსტრანტთა „განსაკუთრებული ნაწილები".

ლენინის მოედანზე გამოვემშვიდობე მეგობრებს და ერთ-ერთი მაგისტრალური — ლესელიძის ქუჩით გავემართე სახლისაკენ. ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ, ყველა მიმდებარე ქუჩაზე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ხალხი. ისინი მო-

რბოდნენ ქალაქის ცენტრალური უბნიდან.

ჩვენი სახლის ახლო მოედანზე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ჩვენი უბნელები. ზოგიერთებს სურდათ ქალაქის გულისაკენ წასულიყვნენ, მაგრამ ცოლები აკავებდნენ.

ამასობაში გავიდა ერთი-ორი საათი. და უცბად არემარე შეაზანზარა სადღაც ახლომახლო მიმავალ მძიმე ჯავშანტრანსპორტიორთა გუგუნმა. რამდენიმე წუთიც და შორიდან მოგვესმა სროლის ყრუ ხმა. შეძრწუნებულები სახლებში შევიკეტეთ.

განთიადის თბილისი კი სულ სხვანაირი იყო, ვიდრე წუხელ. წუხანდელი მოზეიმე და მომღერალი ქალაქი ახლა მოთქმა-კვნესასა და წყევლა-კრულვას აფრქვევდა. რუსთაველის პროსპექტზე მომხდარმა ამბებმა თითქოს სრულიად დაუკარგა ხალხს შიშის გრძნობა და ხალხი ახლა დაუფარავად გამოხატავდა თავის რისხვას, აღშფოთებასა და მწუხარებას.

ამ ღამით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელი. ხალხმა მას შეარქვა „ტანკები ბავშვების წინააღმდეგ". სწორედ იმ ღამით კოლმეურნის მოედანსა და რუსთაველის პროსპექტზე ტყვიებით დაცხრილეს და ტანკებით დასრისეს სამასამდე ბავშვი და მოზარდი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ პიონერული ყელსახვევითა და „უბრძენესი მამის" პორტრეტებით.

კგბ-ს ჯურღმულებში ჩაყარეს ასობით გულუბრყვილო ყმაწვილი.

წმინდა იყო გათენებისას სიმწრისაგან შეშლილ თბილისელთა რისხვა. ისინი მჟავანაძის, ხრუშჩოვის, ჟუკოვის და ქალაქის კომენდანტის წყევლა-კრულვითა და მუქარით ეკვეთნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კგბ-ს. გული ვერ უძლებდა მოკლული და დაჭრილი ბავშვების გაცოფებულ დედათა და დათა ყურებას. იმ დღეს ადამიანს ვერ ნახავდი ისეთს, რომ არ შეეძრწუნებინოს ბავშვების ჟლეტას. ვერაფრით ვერ ვიგებდით რატომ ასე მხეცურად და უაზროდ დაღვარეს ბავშვების სისხლი. ყველგან გაისმოდა შურისძიების გამომხატველი სამი სიტყვა: „ტანკები ბავშვების წინააღმდეგ!"

რა თქმა უნდა, ხალხმა ვერ შეიტყო სრული სიმართლე თუ ვინ იყო დამნაშავე ამ ტრაგედიაში. მაგრამ ძირითადად მაინც გახდა ცნობილი ვინ რა როლი ითამაშა იმ სისხლიან ღამეს.

ხრუშჩოვის ახლო მეგობარი და მისი კაცი, საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე დაწვრილებითა და გულდასმით მოახსენებდა ხრუშჩოვს რა ხდებოდა ქალაქში

რაც უფრო ძლიერდებოდა დემონსტრაციები თბილისში, მით უფრო ცეცხლდებოდა ხრუშჩოვი მოსკოვში. ხოლო 9 მარტის გვიან ღამით, როდესაც მჟავანაძემ მოახსენა: დემონსტრანტებმა კავშირგაბმულობის შენობას შემოარტყეს ალყა და რადიოსადგურის ხელში ჩაგდებას ცდილობენო, განრის-

ხებულმა ხრუშჩოვმა დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება დაებომბათ თბილისი. მისი მითითებით თავდაცვის მინისტრმა გიორგი ჟუკოვმა თბილისის გარნიზონის უფროსს უბრძანა: ქალაქი დაბომბეთ და დემონსტრანტები დაცხრილეთო.

ჟუკოვის ბრძანება გარნიზონის უფროსმა აღასრულა ნაწილობრივ: ქალაქის დაბომბვაზე უარი თქვა. სამაგიეროდ დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყვანა სისასტიკითა და ულმობლობით ცნობილი მერვე პოლკი. ეს პოლკი განლაგებული იყო ქალაქის ცენტრიდან მოშორებით, ნავთლუღში. იგი მთლიანად შედგენილი იყო რუსეთის სხვადასხვა ქალაქების უპატრონო ბავშვთა სახლებისა და კოლონიების აღზრდილებით.

ნაშუაღამევს ეს პოლკი ტანკების თანხლებით გაემართა ქალაქის ცენტრისაკენ და მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ჯარისკაცებმა პირდაპირ დაუშინეს ტყვია მოწაფეებსა და სტუდენტებს.

დილით, როცა ქალაქის ცენტრში გავედი, ქლეტის ადგილები ჯერ კიდევ გადაკეტილი იყო, თუმცა დახოცილები და დაჭრილები უკვე აეკრიფათ იქიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კგბ-ს შენობებთან ჩავლისას მე ვაწყდებოდი დაღუპულთა ნათესავებისა და ახლობლების შეშლილ სახეებს. ეს ხალხი მზად იყო ნაცარტუტად ექცია ეს შენობები. და სადაც კი მოვხვდი იმ დილით, მესმოდა ეს სამი სიტყვა: „ბავშვებს ტანკები მიუსიეს“.

რესპუბლიკური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლები და პროკურორები ცდილობენ ისე გააფორმონ დაპატიმრებული მოზარდების „საქმეები“, რომ რაც შეიძლება იოლად გამოიყვანონ.

როგორც სხვა საავადმყოფოებსა და კლინიკებში, ისე კარდიოლოგიურ ინსტიტუტშიც, სადაც ჩემი ძმა იწვა, მთელი ღამე მოჰყავდათ დახოცილები და დაჭრილები. ავადმყოფები ხედავდნენ, როგორ სახელდახელოდ „ფუთავდნენ“ დახოცილ სტუდენტებს, რომელთაგან ბევრი რაიონებიდან იყო ჩამოსული, და კგბ-ს თანამშრომელთა თანხლებით საიდუმლოდ აგზავნიდნენ სახლში. დაღლილობისა და განცდებისაგან ექიმები ფეხზე ვეღარ დგებოდნენ. ხნიერი ექიმების ჯგუფი თავს დასტრიალებდა სერგო პავლეს ძეს. გათენებისას, როცა გაუგია: მურთაზი დაპატიმრებულია და კგბ-ს ციხეში ჰყავთო, მოხუც პროფესორს დამბლა დასცემია და ახლა უგრძნობლად იყო.

ასე დამთავრდა „ბრძენი მამისა და ყველა ხალხთა უდიდესი გენიის“ საპატივცემულო დემონსტრაცია.

სიკვდილის შემდეგაც კი, უკანასკნელად რომ ჩაუარა მის მაღმერთებელ თბილისის ქუჩებს, თან გაიყოლა ასობით გასისხლიანებული ბავშვის გვამი.

ჟურნალი **Время и мы**
№ 30, (1978 წ.), გვ. 189-204

**თარგმანი დანიელ შალელაშვილისა**

# ქართველი ებრაელები ისრაელში

1

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირიდან დაიწყო დიდი ალია, ისრაელში არ წყდება კამათი ამ ალიის თვისებებისა, ბედისა და მისი ადგილის შესახებ საზოგადოებასა და სახელმწიფოში. რუსულენოვან პრესასა და სხვადასხვა ივრითულ გამოცემებში გაჩაღებულია დისკუსია „ნეშირისა" და „იერიდის" გამალებული ტემპებით ზრდის მიზეზებზე. ეძიებენ და გვთავაზობენ მრავალ სხვადასხვა გზას როგორ გავზარდოთ ალია საბჭოთა კავშირიდან და როგორ გავაუმჯობესოთ მისი სულიერი აბსორბცია ისრაელში.

მაგრამ მთელ ამ კამათსა, დისკუსიებსა და გადაწყვეტილებების ძიებაში ვერავინ მოიცალა თუნდაც ოდნავ დაინტერესებულიყო ქართველ ებრაელთა ბედით.

„საბჭოთა ალიის" პრობლემებით გატაცებულ ზოგ ავტორს, როგორც ჩანს, მიაჩნია (სრულიად უმართებულოდ) თითქოს ქართველი ებრაელები, როგორც ამ ალიის ერთი შემადგენელი ნაწილი, შეიძლება ვზომოთ ზუსტად იგივე საზომებით, რასაც იყენებენ „რუსული ალიის" მიმართ. თითქოს „რუსული ალიის" პრობლემათა გადაჭრით გადაიჭრება ქართველ ებრაელთა პრობლემებიც. სხვები, პირიქით, საბჭოთა რეპატრიანტების სულიერი აბსორბციის განხილვისას სრულიად უგულებლყოფენ ქართველ ებრაელთა ინტერესებს და ყურადღებასაც კი არ აქცევენ მათ.

საბჭოთა კავშირიდან ალიის „მოზღვავების" დროს ქართველი ებრაელები შეადგენდნენ, სულ ცოტა, მის 25 პროცენტს, თუ მეტს არა. ხოლო თუ მთელ ქართველ ებრაელობას ავიღებთ, ისრაელში ამოსულია მათი 40 პროცენტი.

სავარაუდო იყო, რომ ასეთი საოცარი მონაცემები დაავალდებულებდა აბსორბციისათვის პასუხისმგებელ პირებს უფრო სერიოზული და გონიერი მიდგომა გამოეჩინათ ქართველი ებრაელებისადმი, ვიდრე ეს მოხდა სინამდვილეში.

ისრაელის ქართველ ებრაელობას თანდათანობით დაეუფლა იმის ღრმა რწმენა, რომ ისრაელში საერთოდაც არავის აინტერესებს არა მარტო უკვე ამოსული ორმოცი ათასი კაცის ბედი, არამედ არც იმ სამოცი ათასისა, რომლებიც დიდი ხანია მოისწრაფიან ისრაელისაკენ, მაგრამ მოულოდნელ-

ად „შეჩერდნენ“ საბჭოთა ზღურბლთან.

ქართველი ებრაელობის სულიერი აბსორბციისადმი მდუმარე და უგულებლყოფითი დამოკიდებულების გარდა არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი, უფრო სამწუხარო, თუ აღმაშფოთებელი არა, მოვლენა, რამაც დაუმსახურებლად მოსცხო ჩირქი საქართველოდან ამოსულთა მთელი მასების სახელსა და ღირსებას.

საქართველოდან ალია დაიწყო და, ისრაელი ჟურნალისტების წყალობით, ისრაელში შეიქმნა ქართველ ებრაელთა მეტად წარყვნილი სურათი. სწორედ ამ ჟურნალისტების „გულმოდგინებას“ უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს ისრაელის მცხოვრებლებს ღრმად სწამთ, რომ ნაკლებად ცნობილი, ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოსული ქართველი ებრაელები არიან პრიმიტიულნი და უვიცნი, არეულობათა მოთავეები, ქურდები და ყალთაბანდები!

ქართველ ებრაელთა გვარების უმრავლესობის ძირი ებრაული სახელებია (დავით, იაკობ, იოსებ, აბრამ და ა. შ.), დაბოლოება კი „შვილი“.

ისრაელის პრესა, მათ შორის რუსულ ენოვანიც, მხოლოდ მაშინ „უთმობს“ ადგილს თავის ფურცლებზე „შვილით“ დაბოლოებულ გვარებს, როცა ისინი დაკავშირებულია რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ისრაელის მცხოვრებს, რომელსაც ინფორმაციის საშუალებები ქართველ ებრაელს სხვა მდგომარეობაში არ წარუდგენენ და რომელსაც მცირეოდენი წარმოდგენაც კი არა აქვს როგორი ქვეყნიდან მოვიდნენ ქართველი ებრაელები ან ვინ არიან თვითონ ისინი, ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ისრაელში მოსულა ბრბო რომელიღაც ჯუნგლებიდან.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ არა მარტო მოზრდილებს სამუშაოზე მიღებისას, არამედ ბავშვებსაც სკოლაში სრულიად მოურიდებლად სთავაზობენ გვარი გამოცვალეთო.

მეტი გაჩუმება უკვე დანაშაულია. აგდებულმა დამოკიდებულებამ ქართველი ებრაელებისადმი და მათი სულიერი აბსორბციის პრობლემათა უგულებელყოფამ შეიძლება გამოუსწორებელი ტრაგიკული შედეგები მოუტანოს ებრაელი ხალხის ამ ნაწილს.

აღარ მოვიდა დრო დავფიქრდეთ ვინ არიან ისინი, ეს „ქართველები“? რისთვის და რით მოვიდნენ ისრაელში? ნუთუ ისინი მართლა არიან ასეთი აგდებული და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების ღირსნი თუ, პირიქით, სინამდვილეში არიან რაღაც საბედისწერო, მიუტევებელი შეცდომის მსხვერპლნი და ვიღაცას ადევს მათი ცოდვა?

## 2

ქართველი ებრაელები მკვეთრად განსხვავდებიან აშქენაზებისაგანაც და სეფარადებისაგანაც. დიასპორაში მათ სულ სხვა ისტორიული გამოცდილება მიიღეს. საქართველოში ისინი მივიდნენ რამდენიმე ტალღად პირველი

და მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ. ოცდაექვსი საკუნე გაატარეს საქართველოში და ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთლიანად იყვნენ მოწყვეტილნი დანარჩენი ებრაული სამყაროსაგან.

საქართველოში ისინი არ განიცდიდნენ ჩაგვრას რწმენის ან ეროვნული წეს-ჩვეულებების გამო. მათ წმინდად და სრულად შემოინახეს თავიანთი ტრადიციები და რელიგია.

და მაინც ქართველ ებრაელთა თემის ისტორიული ბედისწერა არანაკლებ ტრაგიკული აღმოჩნდა, რადგან თვით საქართველოს ისტორია იყო ტრაგიკული. უამრავი დამყრობლები ისევე ჟლეტდნენ, სწვავდნენ, ძარცვავდნენ ებრაელებს, როგორც ქართველებს. ებრაელები მიჰყავდათ ტყვედ, მონებად ყიდნენ თურქეთსა თუ სპარსეთში, ძალით ამაჰმადიანებდნენ.

ქართველი ებრაელობის ისტორია ჯერ არ დაწერილა. მომავალ ისტორიკოსებს მოუწევთ გაარკვიონ და ახსნან — საქართველოს ოდესღაც მძლავრი, ღონიერი და წარმატებული ეს თემი რატომ აღმოჩნდა მეოცე საუკუნის მიჯნაზე ასე დაჩიავებული, გამოთიშული მსოფლიო ებრაული ცხოვრებიდან, მატერიალურად ხელვიწრო და სულიერად უბადრუკი.

მაგრამ ქართველმა ებრაელებმა ერთი რამ შეინარჩუნეს და გამოატარეს აყვავებისა და კეთილდღეობის პერიოდებშიც და დაცემულობის ჟამსაც — ეს იყო სწრაფვა სიონისაკენ. უვიცნი იყვნენ არა მარტო ქართველი ებრაელი მშრომელნი, ხშირად უვიცნი იყვნენ მათი სულიერი წინამძღვრებიც, რომლებსაც ცოდვად მიაჩნდათ არა მარტო საერო, ზოგადი, არამედ ებრაული განათლებაც. სამაგიეროდ მტკიცე იყო ხალხში შთანერგილი ეროვნული არსი, რაკი მათ შესძლეს ასე მღელვარედ გამოხმაურებოდნენ მოწოდებას თავისუფლებისაკენ. დავიდ და გერცელ ბააზოვების, ნათან ელიაშვილის დაუდეგარმა მოღვაწეობამ ქართველ ებრაელებს დაუსახა გზა ისრაელისაკენ. საქართველოდან ისრაელში ალია დაიწყო 1925 წელს. მას დიდი გაქანება უნდა ჰქონოდა. მაგრამ არ ჰქონია. ხელისუფლებამ აღკვეთა იგი.

ბოლშევიკებმა ოცდაათიანი წლებიდან დაიწყეს და თანდათან და საბოლოოდ მოსპეს ებრაული კულტურისა და ეროვნული ყოფის განვითარების ყოველგვარი შესაძლებლობა. ებრაელებს აეკრძალათ ცოდნოდათ თავიანთი ისტორია, მოუსპეს შესაძლებლობა ზიარებოდნენ თავიანთ სულიერ სიმდიდრეს, ეამაყათ მით. და მაინც ქართველი ებრაელობა წამოიმართა, მძლავრად ამოძრავდა და იწყო სვლა სიონისაკენ, როგორც კი შეიქმნა ამის შესაძლებლობა. რაც იმის ნიშანია, რომ საუკუნის დასაწყისში დაცვენილი ნაპერწკლები ხალხის შეგნებაში ღრმად შემოინახა მრავალი ათეული წლის განმავლობაში.

1970 წელს დაიწყო ებრაელთა მასობრივი ამოსვლა საქართველოდან. ხელისუფლებამ სცადა აგიტაციის ძალით შეეკავებინათ ქართველი ებრაელები, მაგრამ ვერ შესძლეს. ხელისუფლებამ ჩასთვალა, რომ ამ წარუმ-

ატებლობაში დამნაშავე არიან სანდო ებრაელი კომუნისტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს ეს ფაქიზი დავალება. ხელისუფლების ერთგული ებრაელები კი თავს ასე იმართლებდნენ: სიონისტური ფესვები ღრმად არის გადგმულიო.

1971 წლის ზაფხულზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ მოიწვია ნდობით აღჭურვილი და ხელისუფლების სამსახურში მყოფი („მთავრობის-კაცი") ებრაელების სპეციალური თათბირი. ებრაულ საკითხებში მჟავანაძე სრულიად უვიცი იყო. მას მტკიცედ სწამდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქართველ ებრაელთა ცხოვრება არაჩვეულებრივად აყვავდა, და სურდა გაეგო, რა უბიძგებთ მათ ასე ძალიან სოციალისტური საქართველოდან კაპიტალისტურ ისრაელში. ყველაზე გაბედული და ყველაზე მტკიცე ამ „მთავრობის კაცებში" იყო ს. ნაციაშვილი: მან ოფიციალურად განაცხადა, რომ სამოცდაათიანი წლების მასობრივი ემიგრაციის მიზეზია „ბააზოვშჩინა", საუკუნის დასაწყისის სიონისტური ქადაგების წარუხოცელი ხსოვნა.

ქართველი ებრაელები გამოირჩევიან არა მარტო რელიგიურ-ეროვნული შეგნების დიდი სიცოცხლისუნარიანობით, არამედ სხვა ადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებებითაც. საუკუნეთა განმავლობაში ისინი შეეზარდნენ ქართველ ხალხს და მათგან შეითვისეს არა მარტო ენა, ქცევის მანერა და ჩაცმულობა, არამედ შეხედულებათა მათებური სისტემაც. ქართველი ყველაზე მაღლა აყენებს სამშობლოს თავისუფლებას, თავისი კულტურის ღირსებას. საქართველოს მთელი ისტორია გმირობისა და თავგანწირვის მატიანეა. და უცხოსაც, ხიზანსაც ქართველი პირველ რიგში იმით აფასებს, რამდენად იცავს ეს უცხო საკუთარ რწმენას, რამდენადაა მზად თავი შესწიროს საკუთარ ეროვნულ საქმეს. ქართველი ებრაელები მუდამ იჩენდნენ ერთგულებას თავიანთი ზნე-ჩვეულებებისადმი, ღრმა მოწიწებას თავიანთი რელიგიისა და თვითმყოფადი კულტურისადმი. ებრაელთა ამ თვისებებს ძალიან აფასებდა სხვა ხალხების მიმართ მეტად მომთმენი ქართველი ხალხი.

ეროვნული გრძნობის ამოფრქვევა, რაც ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში მოხდა ექვსდღიანი ომის შემდეგ, თქმა არ უნდა, წარმოადგენდა ღრმად დაფარულ მათ მისწრაფებათა გამოხატულებას. მაგრამ „დენთმა" ასე სწრაფად და ეფექტურად იმიტომ იმოქმედა, რომ შეეხო ქართველი ებრაელის ხასიათის განსაკუთრებულ თავისებურებებს. საეჭვოა, საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა რესპუბლიკაში თუ იყო ხალხის ასეთი შემართება. რა ძალით ეკვეთნენ მაშინ ქართველი ებრაელები რკინის ფარდას გასარღვევად, ცნობილია მთელ მსოფლიოში. ეს უკვე ისტორიად იქცა.

ქართველი ებრაელები აღიტაცა აღფრთოვანებისა და სიამაყის გრძნობამ: ისინი ცოცხლად აღიქვამდნენ, რომ არიან ნაწილი ხალხისა, რომლსაც დღეს გმირად აღიარებს მსოფლიო. მათ კიდევ უფრო აღაგზნებდათ ის, რომ ქართვე-

ლები ზეიმით გამოხატავდნენ თანაგრძნობას ებრაელთა გამარჯვებებისადმი.

ამ ხანებში ჩვენთან მოვიდა მატვეი გრუბიანი, ებრაელი პოეტი, რომელიც იდიშზე წერდა. საკითხი ეხებოდა მისი ლექსების თარგმანს ქართულად და კრებულად გამოცემას თბილისში. ებრაელი პოეტი გააცნეს მოხუც ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. მისალმებათა შემდეგ ქართველმა უთხრა ებრაელს: „ოცი წლით ახალგაზრდა რომ ვიყო, იარაღს ავიღებდი და მხარში ამოვუდგებოდი ლეგენდარულ ებრაელ მეომრებს."

საბრალო გრუბიანი! ათწლიანი ჯდომის შემდეგ ჯერ კიდევ კანკალებდა შიშით. გამსახურდიას ენთუზიაზმმა ისე დააფრთხო იგი, რომ ამის შემდეგ ყოველნაირად გაურბოდა შეხვედრას ქართველ კოლეგებთან, თარგმანების კრებულზე კი აღარც ფიქრობდა.

მოხუც გამსახურდიას არც თავაზიანობის გამო გამოუთქვამს აღფრთოვანება და არც სტუმართმოყვარეობის გამო. ორი წლის შემდეგ, ქართველ იურისტთა წინაშე გამოსვლის დროს მან ახალგაზრდა თაობას მოუწოდა: გაუფრთხილდით და დაიცავით ეროვნული გრძნობის უკანასკნელი საყრდენი — საკუთარი ენა და კულტურაო, და მოურიდებლად განაცხადა: „ჩვენ ხომ არა ვართ გენიალური ებრაელი ხალხი, რომელმაც მსოფლიო განაცვიფრა და ორი ათასი წლის შემდეგ აღადგინა თავისი სახელმწიფოებრიობა."

ექვსდღიანი ომის დამთავრების შემდეგ მალე მე, როგორც ადვოკატი ვმონაწილეობდი დიდ ჯგუფურ პროცესში, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა. თითქმის ყველა ადვოკატი მოსკოველი ებრაელი იყო. მარგამ ერთი ადვოკატი ქართველი იყო თბილისიდან. ერთხელ, დასვენების დღეს ამ ადვოკატთან ერთად სადილად მიგვიწვია ჩვენმა საერთო მეგობარმა — მოსკოველმა კოლეგამ.

მასპინძლებს სურდათ სამაგიერო მოეზღოთ იმ თბილისური სტუმრობისათვის, რაც ადრე ჰქონიათ ხოლმე და ნამდვილად სამეფო სუფრა გაგვიშალეს. ჩემმა ქართველმა კოლეგამ მასპინძელს მიართვა იშვიათი ქართული ღვინო დოქით. ეს ღვინო სპეციალურად ჩამოვიტანე, რომ მოსკოველ მეგობარ ებრაელებთან შევსვა ისრაელისა და მისი ძლევამოსილი გამარჯვების სადღეგრძელოო, თქვა მან.

ასეთი სადღეგრძელოს შემდეგ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრებს ელდა ეცათ. გონს პირველები მოეგნენ დიასახლისის ძმები. ორდენოსანი იყო ორივე: ერთი — დიდი ქარხნის დირექტორი, მეორე — სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

„ნებას არ მოგცემთ, —თქვა დირექტორმა, —ჩემი თანდასწრებით აგრესორი ადიდოთ."

„ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტისათვის ყველა სიონისტი მტერია", —ხაზგასმით დაუდასტურა მეორემ.

ჩემი ქართველი ამხანაგი ცნობილი იყო თავდაჭერითა და სიმშვიდით.

მაგრამ ახლა კი გაფითრდა და სასტიკად გაფიცხდა შეურაცხყოფილივით. მან უხეშად ჰკრა ხელი საზეიმო სუფრას და ორდენოსნებს მიაძახა: „მიმიფურთხებია თქვენი ორდენებისათვის, კაცუნებო! შევარცხვინე ვინც თქვენთან დაჯდეს სუფრაზე!"

გაქვავებულ მასპინძლებს ბოდიში მოვუხადეთ და იქაურობა დავტოვეთ.

მსგავსი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო საქართველოში — არც ქართველის სახლში და არც ქართველი ებრაელისას.

...ებრაელებს არასდროს დაუტოვებიათ საქართველო უკეთესი ბედის ძიებაში. მხოლოდ ერეც-ისრაელისათვის. ძველ დროს მოხუცები მიემგზავრებოდნენ იქ, რომ სასუფეველი წმინდა მიწაზე ეპოვათ. ოლეთა პირველი ჯგუფი ერეც-ისრაელში გაემგზავრა 1925 წელს. უკვე ითქვა, რომ მაშინ ხელისუფლებამ აღკვეთა მასობრივი ალია.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ალია საქართველოდან დაიწყო სტიქიურად და — ასეთი პატარა და კეთილმოწყობილი თემისათვის — განსაცვიფრებელი მასშტაბებით. ქართველი ებრაელები მიემგზავრებოდნენ და ცრემლებით ეთხოვებოდნენ ყველაფერს ძვირფასს, ასე ნებაყოფლობით რომ სტოვებდნენ. მიდიოდნენ იმედით, აღმაფრენითა და ენთუზიაზმით სანატრელი ქვეყნისაკენ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იზიდავდა მათ და რომელსაც სინამდვილეში სრულიად არ იცნობდნენ.

### 3

ამიტომაც ეცათ ასეთი ძლიერი ელდა ისრაელის სინამდვილესთან პირველი შეჯახებისთანავე. მათი ფსიქიკა მყისვე შეარყია აბსორბციის ორგანოთა ზოგიერთი ჩინოვნიკის უხეშობამ, უგულობამ და, ზოგჯერ, დაუფარავმა მტრულმა დამოკიდებულებამ. ამას დაემატა ისრაელის საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებანი, ზოგჯერ ანარქიამდეც რომ მიდის. მათი მდგომარეობა განსაკუთრებით დაამძიმა და გაართულა ენის უცოდინარობამ. ქართველ ებრაელთა უდიდესი უმრავლესობა ისრაელში დღესაც კი მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს და კითხულობს.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში გაზრდილ ქართველ ებრაელთა ახალგაზრდა თაობებს არც ებრაელი ხალხის ისტორიაზე აქვთ წარმოდგენა და არც ისრაელის სახელმწიფოს შესაქმნელად წარმოებულ მამაცურ ბრძოლაზე. ისინი არ იცნობენ არც თავისუფლებისა და დემოკრატიის ძირითად პრინციპებს, რასაც ეს სახელმწიფო ეყრდნობა.

ასეთი უგულო მიღებით დარეტიანებულებმა, რაკი ვერც ახერხებდნენ დამხვდურებისათვის აეხსნათ თავიანთი მისწრაფებანი და გულისტკივილი, თავი იგრძნეს უსუსურ, უმწეო, ყველასაგან ბედის ანაბარად მიტოვებულ არსებებად. და მათში ჩაიფერფლა ის დიდი აღფრთოვანება, დაემსხვრათ ილუზიები. წყენამ და იმედგაცრუებამ გადმოხეთქა „შავ წერილებში". პირველი

ცნობების მომლოდინე ნათესავები საქართველოში შეძრწუნებულები კითხულობდნენ, რომ ისრაელში გამეფებულია „უღმერთობა, გარყვნილება, უსულგულობა და უზომო სიცრუე.“

და მაინც ამ პირველმა ცუდმა წერილებმა თითქმის ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს წამომსვლელთა დაძრულ ნაკადზე. ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია წამოსვლისთვის იყვნენ განწყობილნი, მოდიოდნენ. მაგრამ როდესაც ამ ახალმა ჯგუფებმა დაჟინებით გაიმეორეს ადრე ამოსულთა ჩივილები, საქართველოდან ალია უცბად შეწყდა.

მაგრამ ქართველ ებრაელთა გულწრფელობამ და ეროვნული ცხოვრებისადმი სწრაფვის სიღრმისეულმა ძალებმა ახლაც იჩინეს თავი. მიუხედავად დაბნეულობისა და ღრმა იმედგაცრუებისა, ცოტა ვინმემ თუ დატოვა ისრაელი სხვაგან „უკეთესი ცხოვრებისათვის“.

პირველი დარტმის შემდეგ გონს რომ მოვიდნენ, ქართველმა ებრაელებმა იწყეს ისრაელში დამკვიდრება იმ ერთადერთი გზით, რაც მაშინ შეეძლოთ აერჩიათ. თავიანთ უფლებას შრომაზე ისინი იცავდნენ ხმაურიანი გაფიცვებითა და დემონსტრაციებით და ასევე იბრძოდნენ იმ მკაცრი წესის წინააღმდეგ, რომ „ბოლოს მოსული პირველი მიდის“. ხმამაღალი პროტესტებით მოითხოვდნენ სალოცავები აგვიშენეთ, ოჯახებს ნუ აშორებთ ერთმანეთს ისე, რომ მშობლები ჩრდილოეთში მოხვდნენ და შვილები სამხრეთშიო. ზოგიერთი იძულებული ხდებოდა მუშტზე გადასულიყო, რათა მიეღო ან გამოეგლიჯა ის, რაც კანონით ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ ქართველ ებრაელებს ისრაელში მტკიცედ დაუმკვიდრდათ არეულობის მოთავეთა და მოჩხუბრების სახელი.

თუმცა იმ მეტად მწვავე და კრიტიკული მდგომარეობიდან უკვე გავიდა ხუთ წელზე მეტი. ახალგაზრდა ქართველი ებრაელები დღეს უკვე საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობენ ივრითზე. ოფიციალური მონაცემებით, მათი 70 პროცენტი დასაქმებულია სამრეწველო საწარმოებში. ისრაელის ზოგი ფაბრიკის მუშათა ძირითადი მასა ქართველი ებრაელები არიან და მათ ბრწყინვალე სახელი მოიპოვეს. მრავალმა ექიმმა, ექთანმა, ინჟინერმა, ეკონომისტმა, პიანისტმა, ფიზიკოსმა და სხვა პროფესიათა წარმომადგენლებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს თავიანთ სამუშაო ადგილებზე და სასურველ მუშაკებად იქცნენ. ზოგიერთმა კერძო სავაჭრო საქმე გახსნა და წარმატებით უძღვება მას.

მაგრამ ყველაფერი ამის შესახებ ისრაელის საზოგადოებამ ცოტა რამ იცის — ამის შესახებ არსად არც წერენ და არც ლაპარაკობენ.

## 4

და თუმცა ქართველი ებრაელები მატერიალურად შედარებით კარგად მოეწყენ, თითქმის ერთხმად გაიძახიან: გული არ ხარობსო!

ებრაელები საქართველოს სტოვებდნენ ეროვნული სიამაყისა და ადამიანური ღირსების გრძნობით. ისრაელში კი მათ გულში ღრმად ჩაინერგა შეგრძნება, კარგად არ გვექცევიან არც ისრაელის მკვიდრნი, არც ძველ დროს ამოსული აშქენაზები და სეფარადები და არც... რუსი რეპატრიანტებიო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თავიანთი ხასიათით ქართველი ებრაელები მკვეთრად განსხვავდებიან აშქენაზებისაგანაც და სეფარადებისაგანაც. ამიტომ აუცილებელი იყო შესაბამისი გასაღები მოეძებნათ ქართველი ებრაელის გულისა და გონებისაკენ, დაეახლოვებინათ და ჩაერთოთ იგი ისრაელის საზოგადოებაში, ექციათ ამ საზოგადოების ორგანულ ნაწილად.

რაკი ირწმუნეს, არავის ვუნდივართ და ხელს გვკრავენო, განცალკევდნენ და ჩაიკეტნენ. მათი საზოგადოებრივი ცხოვრება დაშლილია და დანაწევრებული. და სულაც აღარაა გასაკვირი, რომ ბედის ანაბარად მიგდებულ მათ სულიერ ცხოვრებას იოლად დაეპატრონენ ვაი-მოღვაწეები!

სანამ გვიან არაა, გადაუდებლად უნდა შეიკრას ისრაელის ქართველი ებრაელობის დადებითი ძალები და აბსორბციისა და ალიის ორგანოებთან მჭიდრო კავშირით იქცეს აქტიურად მოქმედ კულტურულ ფაქტორად.

ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რათა ქართველმა ებრაელებმა შეისწავლონ ებრაელი ხალხის წარსული, მისი კულტურული მემკვიდრეობა, შეიცნონ ებრაული სახელმწიფოს ამოცანები და მიზნები, სისხლხორცეულად შეიყვარონ თავიანთი მიწა-წყალი და თავი იგრძნონ საკუთარ სახლში.

ქართველი ებრაელების შემობრუნება იმ მოლიპული გზიდან, საითკენაც მას უბიძგეს არაკეთილმოსურნეებმა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ძალუძს მხოლოდ საერთო ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდეებით გამსჭვალულ ბეჭდვით ორგანოს ქართულ ენაზე.

მეორე მხრივ, პრესა და ტელევიზია უპასუხისმგებლოდ, ცალმხრივად და დამახინჯებულად როდი უნდა ხატავდნენ ქართველი ებრაელის სახეს. უნდა გაცამტვერდეს ისრაელში გავრცელებული მითი „ქართველ ყალთაბანდებზე". ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ინფორმაციის ორგანოთა მუშაკები ინებებენ გაიგონ, რომ მრავალი ქართველი ებრაელი ექიმის, პედაგოგის, მხატვრის, ექთნის, ინჟინრის, ფიზიკოსისა და პატიოსანი მშრომელების ცხოვრების ობიექტური ასახვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას სხვადასხვა ეთნიკური თემების ერთ ებრაელ ხალხად გადაქცევის საქმეში.

მომავალში ისტორიკოსები ალბათ ახსნიან ასეთ, ნამდვილად პარადოქსალურ მოვლენას. როგორ მოხდა, რომ ათასწლეულების განმავლობაში, თვით ისრაელში წამოსვლამდე, ქართველი ებრაელი „ბოროტმოქმედი" იმდენად იშვიათი შემთხვევა იყო, თუ სადმე გამოჩნდებოდა, ისე უყურებდნენ, როგორც იშვიათ სამუზეუმო ექსპონატს. ისრაელში კი შეიქმნა მდგომარეობა,

თითქოს „ყოველი ქართველი ებრაელი ქურდია, სანამ არ დაუმტკიცებია, რომ ქურდი არ არის“.

ალია ცოცხალი, მოძრავი, ცხოვრებისეული მოვლენაა და იგი შეიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ელემენტს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს. ებრაელებს რომ უშვებს ისრაელში, საბჭოთა ხელისუფლება სულაც არ იწუხებს თავს იმისათვის, როგორმე „გაწმინდოს“ ისინი უარყოფითი ელემენტებისაგან. ათასობით შესანიშნავ ადამიანთან ერთად მოდიან ქურდებიც, ხულიგნებიც და... კეგებეს აგენტებიც კი. ისრაელის სახელმწიფოში, როგორც ყველგან სხვაგან, იმისათვის არსებობს დაწესებულებათა სისტემა: პოლიცია, სასამართლო, ციხე, რათა საზოგადოება დაიცვას ასეთი ელემენტებისაგან. და „ბრალდებულთა სკამზე“ არ უნდა დავსვათ მთელი საზოგადოება.

ქართველი ებრაელები უაღრესად ენერგიული და ნიჭიერი ხალხია. იგი ინარჩუნებს შესანიშნავ ტრადიციებს და მაღალი ზნეობრივი თვისებების მტარებელია. მისი დაუოკებელი სურვილია ტრიალებდეს ნათესავებსა და მეგობრებს შორის, და ეს თვისება მისთვის შეიძლება „საბედისწერო“ გახდეს.

თუ უახლოეს მომავალში არ შეიცვალა ქართველი ებრაელების გარშემო შექმნილი ატმოსფერო, ამან შეიძლება გამოიწვიოს, რომ საქართველოში დარჩენილი ნაწილი, რომელიც ინტელექტუალურად უფრო მაღლა დგას და ქონებრივადაც უფრო შეძლებულია, საქართველოდან ისრაელში კი არა, ამერიკაში წავა და დროთა განმავლობაში — „ერთმანეთთან ახლოს ყოფნის დაუძლეველი ძალის“ გავლენით — იქითკენ მიიზიდავს ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებსაც.

1979, ივნისი .

თარგმანი

**დანიელ შალელაშვილისა**

# მეორე



**გრ. ჰრეიგერზონი**

# დღიურები

> აქ მომეავს ნაწყვეტები მეირის თანამებრძოლისა და თანამოაზროვნის გრ. ჰრეიგერზონის დღიურებიდან, სადაც წერს მეირის შესახებ. თან ვურთავ რამდენიმე საჭირო განმარტებას (ჩარჩოში).
>
> პოლინა ბააზოვი

„მოსკოვში გვქონდა ჩამოყალიბებული ივრითის შემსწავლელი არალეგალური ჯგუფი და მეირ ბააზოვიც ამ ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წევრი იყო. ამ ჯგუფის წევრებმა ოფიციალურად მივ-მართეთ ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს, რათა მოსკოვის უნივერსიტეტში გაეხსნათ ივრითის შემსწავლელი განყოფილება."

> ამის საპასუხოდ, როგორც ცნობილია, 1948 წელს ამ ჯგუფის მთავარ წევრებთან ერთად მეირ ბააზოვიც იქნა დაპატიმრებული. მათ მიუსაჯეს 10-10 წლით პატიმრობა და ყარაღანდაში გადასახლება. გრ. ჰრეიგერზონი თავის დღიურებში აღნიშნავს, რომ

„ჩვენ, ებრაული ენის ერთგულნი, ყარაღანდაშიც, სადაც მე და მეირს ერთ ბანაკში მოგვიწია ყოფნა, ერთმანეთს შორის მხოლოდ და მხოლოდ ივრითზე ვსაუბრობდით. ორივენი ვიყავით მგზნებარე პატრიოტები ჩვენი ერისა და ენისა. ჩვენ — ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას, ორივეს — ებრაული ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლა და გავრცელება წმინდათა წმინდა მოვალეობად მიგვაჩნდა. ვისხედით მთელი საღამოები ლენინის სახ. ბიბლიოთეკაში და ვკითხულობდით ებრაულ ლიტერატურას."

> ჰრეიგერზონი თავის დღიურებში მეირს თბილად იგონებს და აღნიშნავს, რომ

„მეირი მეტად კარგი ადამიანი იყო და მიყვარდა იგი. იყო დაუცხრომელი და ტემპერამენტიანი, როგორც ყოველი სამხრეთელი ადამიანი." „მალე ჩვენ

შემოგვიერთეს არონ კრიხელი, საქართველოს ებრაელთა მუზეუმის დირ-ექტორი, შემდეგ იეხიზკიელ პულაროვიჩი – კაუნასის ბეითარის წინამძღოლი.“

მეირ ბააზოვი ჰატიმრობის შემდეგაც უშიშრად აგრძელებს ბრძოლას თავისი ხალხის ინტერესების დასაცავად. სიონისტური მოღვაწეობის დროს დაკავშირებული იყო ბენიამინ ზარეცკისთან (ისიც შემდეგში ასირ ციონი), ცვი ჰლოტკინთან და – მოგვიანებით – ჰროფ. მიხ. ზანდთან.

მეირი თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა ჰირნათლად. ჯერ კიდევ უმაწვილკაცობის დროს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ინსტიტუტი („ტბიეტი“) და მაშინვე იქორწინა მოსკოველ ულამაზეს ქალიშვილზე სოფიო ვერძონის ასულ ვიკსმანზე; დასახლდა მოსკოვში და თავისი შემდგომი მოღვაწეობით დაკავშირებული იყო მოსკოველ სიონისტებთან. მუშაობდა როგორც ინჟინერი, კითხულობდა ლექციებს ინსტიტუტში რკინა-ბეტონის შესახებ. ის შესანიშნავად ათავსებდა სამსახურებრივ მოვალეობას თავის მრწამსთან და იატაკქვეშეთა სიონისტურ მოღვაწეობასთან. მის ცოდნაზე და უნარზე მეტყველების ის ფაქტი, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ზემდგომი ორგანოების მიერ იმდენად იყო მეფასებული, რომ მიღებული იქნა

მეირი და მისი მეუღლე სოფია (დოცია) – 60-იანი წლები

საპასუხისმგებლო სამუშაოზე ქ. მოსკოვის ერთ-ერთ მთავარ კონსტრუქტორად. იკი არაერთხელ იქნა დაჯილდოებული, როგორც კარგი სპეციალისტი და მუშაკი.

მაკრამ მის ოცნებას წარმოადგენდა ჯერ კიდევ ბავშვობიდან ერეც-ისრაელში ჩასვლა. მის ახლო მეგობრებს კარგად ახსოვთ მეირის მიერ გამოთქმული სიტყვები: „რომ გამიშვან მე ერეც-ისრაელში, ალბათ თვალდასუქული შემოვიგლიდი მთელ ქვეყანასო, მის კუთხეებსა და ადგილებსო.“ მართლაც, მეირმა ჯერ კიდევ ბავშვობაში შეისწავლა ერეც-ისრაელის გეოგრაფია, ფლორა, ფაუნა და ყოველგვარი მისი ღირსშესანიშნავი ადგილები.

კრ. ჰრეიკერზონი თავის წიგნის [illegible] 71-ე გვერდზე აღნიშნავს:

„მე, მეირი და არონ კრიხელი ერთად ვცხოვრობდით. მეირ ბააზოვთან, რომელმაც ივრითი ძალიან კარგად იცოდა, ვლაპარაკობდი მხოლოდ ივრითზე. ის დაიბადა 1913 წელს ქ. ონში. მისი მამა დავიდ ბააზოვი იყო რაბინი და საზოგადო მოღვაწე. მისი უფროსი ძმა გერცელი იყო ქართველი ებრაელი მწერალი. დაიბეჭდა მისი წიგნები რუსულ ენაზეც. 1938 წელს დააპატიმრეს სიონიზმის ბრალდებით და იქნა მოკლული. 1938 წელს დააპატიმრეს მისი მამაც, რომელმაც მიიღო 5 წლით პატიმრობა და გადასახლება. ასევე დაპატიმრებული იქნა მისი მეორე ძმა ხაიმი, ადვოკატი.

მეირთან ვლაპარაკობდი მხოლოდ ივრითზე. ორივენი ვიყავით მგზნებარე პატრიოტები. მთელი სულით და გულით გვიყვარდა ივრითი. ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას ორივენი ლენინის სახ. ბიბლიოთეკაში ვკითხულობდით წიგნებს მხოლოდ ივრითზე. მეირი იყო მაღალი განათლების პატრონი და ამავე დროს კარგი სპეციალისტი. ბანაკში არავის არ შეეძლო გაეგო ჩვენი საუბარი. მეირი მეტად კარგი ადამიანი იყო და მე მიყვარდა იგი. თუმცა მეტად ტემპერამენტული, როგორც ყოველი სამხრეთელი ადამიანი. ის იყო ინჟინერი და ამ სფეროში ბანაკში ამუშავებდნენ როგორც კონსულტანტს რაიმე მშენებლობის დროს. გარდა ამისა ბანაკში ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა კურსები და მეირიც იყო იქ გამოყენებული როგორც მშენებლობის მასწავლებელი. თითქმის ყოველი დახურული ბანაკის პატიმრები ვალდებული იყვნენ გაევლოთ ეს კურსები. როდესაც დამთავრდა კურსების ვადა, მეირიც ვალდებული იყო ემუშავა ფიზიკურად. ისხშირად ავადმყოფობდა რევმატიზმით, რის გამოც გაწერეს საავადმყოფოში. მაგრამ სააავადმყოფოს შემდეგაც ამუშავებდნენ ფიზიკურ, მძიმე სამუშაოზე. თუ პატიმარი გადააჭარბებდა სამუშაოს ასი პროცენტით, მაშინ ის მიიღებდა დამატებით ერთ ნაჭერ პურს. ასეთ დადგენილებას მეირმა ხელი არ მოაწერა და გარდა ამისა თავისი ფიცხი ხასიათის გამო გაიფუჭა ბანაკის ზედამხედველებთან დამოკიდებულება. შემდეგში გადაიყვანეს შავ სამუშაოზე, რაც მეტად მძიმე

აღმოჩნდა მისთვის. ამ სამუშაომ ფიზიკურად მეტად გასტეხა." (გვ. 71).

„მეირი კარგი მათემატიკოსი იყო და მეც მასთან ვვარჯიშობდი უმაღლეს მათემატიკაში, რომელიც უკვე დავიწყებული მქონდა. ამის გარდა ვკითხულობდი ახალ ლიტერატურას ელექტრონიკაში. და აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურასაც. საღამოს ვსაუბრობდი მეირთან ივრითზე, აგრეთვე ვმღეროდით ივრითზე იეხისკიელ პოლიაროვიჩთან ერთად, რის გამოც მისი მადლიერი ვიყავი.

ჩვენ გვაკლდა შაქარი და ცხიმი. მე მიგზავნიდა მეუღლე. მეირიც იღებდა ამანათებს და ჩვენ ვერთიანდებოდით და ყველაფერს ვინაწილებდით. ჩვენთან იყო ერთი ზედამხედველი. შემდეგ შევიტყვეთ, რომ ის იყო დამბეზღებელი და ანტისემიტი. ბევრი იყო ჩვენს შორის ქურდები, რეციდივისტები, მკვლელები." (გვ. 73).

„1950 წელს, 6 იანვარს შემოგვიერთდა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი. ეს იყო პოლიაროვიჩი. იგი იყო „ბეითარის" წინამძღოლი კაუნასში. 40-იან წლებში, როცა იქ საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა, იგი დააპატიმრეს და მიუსაჯეს 10 წლით პატიმრობა. 1950 წელს, ნოემბერში ის გადაასახლეს ციმბირში, ქ. სლაბოგოროდში (კრასნოიარსკის მხარეს, ტაიგის ქალაქში) სამუშაოდ – ხეების საჭრელად.

მე მეტად მიყვარდა იეხისკიელ პოლიაროვიჩი და კიდეც ვმეგობრობდი მასთან. 10 თვე ერთად გავატარეთ და არასდროს დამავიწყდება იგი.

ჩვენს შორის იყო პატიმარი არონ კრიხელი. იგი დაიბადა ქუთაისში (?) და ცხოვრობდა თბილისში. იყო პარტიის წევრი, ხელმძღვანელობდა ებრაულ მუზეუმს საქართველოში. შემოუერთეს ჩვენს ჯგუფს. მანაც მიიღო 10 წელი. ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ებრაულ მუზეუმს. იმ პერიოდში ვისაც რაიმე ებრაული უყვარდა – ლიტერატურა, თეატრი, ფოლკლორიც კი, და ვისაც თავისი ხალხი უყვარდა, ყველას აპატიმრებდნენ. კრიხელი მუშაობდა ნაციონალური კულტურის დარგში და ეს საკმარისი იყო, რომ მასაც მიეღო 10 წელი.

ა. კრიხელის ცხოვრებაც მეტად მძიმე იყო. მას უჭირდა შეგუებოდა დახურული ბანაკის ცხოვრების პირობებს. მისი ჯანმრთელობა არ იყო კარგი. მთელ სახეზე ძირმაგარები ჰქონდა გამოყრილი, რომლებიც ძალიან აწუხებდნენ: ხშირად სახე შეფუთნული ჰქონდა ბანდით. იყო მეტად გამხდარი, არა მარტო იმიტომ, რომ საკვები აკლდა, არამედ ცუდი მადის გამო. არ მუშაობდა. ვერ ნახეს მისთვის შესაფერისი დასაქმება. ჩვეულებრივად გარეთ იყო და კედელს მიყრდნობილი გაჰყურებდა დახურული ბანაკის არემარეს. ივრითი კარგად არ იცოდა. ჩემთან ლაპარაკობდა რუსულ ენაზე, მეირთან – ქართულად. მეირ ბააზოვთან არ იყო კარგ დამოკიდებულებაში. ადანაშაულებდა „შენ გამოიწვიე ჩემი პატიმრობაო. მაგრამ ეს არ იყო მართალი. მე მას ველაპარ-

აკებოდი როგორც ჩემს ძმას. მან მიამბო ბევრი რამ თავისი ცხოვრებიდან. გამიხსნა გული. მიამბო თავის სიყვარულზე ერთი ქალის მიმართ, რომელიც არ იყო მისი ცოლი; და რომ ეს სიყვარული მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა. ბანაკში მისგან მიიღო წერილი. ჰყავდა აგრეთვე ქალიშვილი – მოსწავლე, სარა, და, რომ საკუთარი მეუღლე შიშის გამო არ წერს წერილებს.

კრიხელი საკმაოდ განვითარებული იყო. მას ჰქონდა სასიამოვნო სახე, ტუჩებიც კოხტა, რაც დამახასიათებელია ქართველებისათვის. ჰქონდა უკვე თეთრგარეული პატარა წვერი. მას ცოტა შურდა ჩვენი – ჩემი და მეირის კარგი ურთიერთ დამოკიდებულება, ასევე პოლიაროვიჩთანაც. მაგრამ ჩვენ მაინც „მაზონს" (საჭმელს) ერთმანეთს შორის ვინაწილებდით. იეხისკიელ პოლიაროვიჩს არ ყოფნიდა პური და ჩვენ მასაც ვუნაწილებდით. (გვ. 90).

„ჩვენი უფროსი რუსი იყო. სასტიკი. მას ევალებოდა პატიმრები დაენაწილებინა სამუშაოზე. ვინც მას წინააღმდეგობას გაუწევდა, იქვე თავში ურტყამდა. მან გაარტყა აგრეთვე მეირსაც, რათა აეძულებინა თავისი მოვალეობა შეესრულებინა, რომ მიეღო წილი საჭმელი. (გვ. 102).

„შმუელ ბენ ზალმანს შევხვდი მოსკოვში მის ბინაზე მეირთან ერთად." (გვ. 132).

ჩვენი მეოცნებე მეირი, ძმებში მესამე, უზომოდ შეყვარებული იყო თავის ისტორიულ სამშობლოზე – ერეც-ისრაელზე. ის არ გამოტოვებდა არავითარ საცნობარს ამ ქვეყნის შესახებ. მეირზე ოჯახში გამიგონია, რომ ის უკვე დაიბადა ივრითული ენის, ებრაული ისტორიის და თორის მცოდნეო. იმ ებრაული წიგნებიდან, რომლებიც გადარჩა იავარქმნილი, დანგრეულ-დაქცეული ოჯახიდან (თუ რა ბედი ეწია მამისეულ ბიბლიოთეკას, ძირითადად ივრითის ენაზე, მე ცალკე მოგახსენებთ) ცოტაოდენი შემთხვევით ჩამოგვეცა ისრაელში რუსულ-ქართულ წიგნებს შერეული. მეირის ყოველ წიგნში შეხვდებით მის ჩანიშვნებს ივრითზე. ასე, მაგალითად: წიგნი המורה („ჰამორია"). იგი განკუთვნილია, როგორც ეს სატიტულო ფურცელზეა აღნიშნული, ებრაელი ახალგაზრდებისათვის. ეს არის ქრესტომათია სკოლებისა და სახლისათვის იაკობ იავიცის ავტორობით. დაბეჭდილია ცუკერმანის ტიპოგრაფიაში 1894 წელს იერუშალაიმში. აღნიშ-ნული წიგნის ბოლოს – 124, 125 და 126 გვერდებზე ვხვდებით მეირის მიერ ლექსად გამოთქმულ აზრს.

მეირის მსგავს გამონათქვამებს შეხვდებით მის კუთვნილ – გეოგრაფიის, მათემატიკის და ასტრონომიის წიგნებში და უველა ისინი ივრითის ენაზე.

არის აგრეთვე რუსულენოვანი წიგნი, რომელიც უძღვნა თავის დას ფანის. ეს არის «Энциклопедический словарь правовых знании» . აქაც, ამ მიძღვნილ წიგნში ლექსად გამოთქმული წარწერა ივრითზეა:



из книги — Энциклопедический словарь правовых знаний

(м. мор. 153).

לאחותי החביבה פניה
אשר הטבע חננה בעתרת
סגולות-נפש נעלות והמזל
תלה על צוארה שרשרת
יסורי-חיים גדולה —

מאת אחיו
מא"ב
תמוז, תשכ"ה
מוסקבה

მეირის წარწერა წიგნზე: Энциклопедический словарь правовых знаний

•

წიგნი
„ჰამორია“ —
სატიტულო
ფურცელი.

•

შტამპი
(ივრითზე):
„ბაასოვების
ოჯახის
ბიბლიოთეკა“
გაკეთებულია
ისრაელში

•

הַמּוֹרִיָּה

ספר מקרא

לְבֵית הַסֵּפֶר וְלַבַּיִת

כתוב בידי

זאב יעב

ירושלם

תרנ"ד

ГАМОРІЯ

т. е. Христоматія для Еврейскаго юношества.

*Соч. В. Янпа.*

ІЕРУСАЛИМЪ.

Типографія С. Цукермана и комп.

1894



| | | | |
|---|---|---|---|
| 74 | 25 | פתלתל | כנען |
| 76 | 21 | חם | כנען |

לאחותי היקרה פניה, -
אשר הטבע חננה בדתרת
מנוחה - נפש נצלה והמעל
בלה על דוגרה שפשפ
נפלני - חיים בטוחה -
מתת אביו

מאיר

פמוט, תשכ"ה

מוסקבה

15.7.65. מכתב



רამდენიმე ნიმუში მეირის შენიშვნებისა იერითზე

# მეირ დავითის ძე ბააზოვი

მძიმე დანაკლისი განიცადა ქ. მოსკოვის საამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობამ – 1970 წლის 15 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა სკტბ პროექტის მთავარი ინჟინერი, რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა პროექტირების წამყვანი სპეციალისტი მეირ დავითის ძე ბააზოვი.

30 წელზე მეტი მიუძღვნა ამხ. მ. დ. ბააზოვმა საამშენებლო და მოსკოვის საქალაქო მეურნეობისათვის საჭირო ახალ პროგრესულ ეკონომიურ ნაკეთობათა და კონსტრუქციათა პროექტირების საქმეს. მისი ხელმძღვანელობით შექმნილ რკინა-ბეტონის ეფექტურ კონსტრუქციებს ამჟამად ამზადებენ სამინისტროს მთავარი სამმართველოს ქარხნები, ქვეყნის სხვადასხვა საწარმოები.

ინჟინერმა ბააზოვმა უზადო შრომით, დიდი გამოცდილებით, ენერგიითა და პირადი თვისებებით მოიპოვა სკტბ მთელი კოლექტივის, სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის მშენებელთა და მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული. ამხ. მ. დ. ბააზოვის დამსახურება ტექნიკური პროგრესის საქმეში აღნიშნულ იქნა სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა სრულიად საკავშირო გამოფენის მედლებით, იგი არაერთხელ დააჯილდოვეს საპატიო სიგელებით, 1957 წელს მისი სახელი შეიტანეს სკტბ-ს საპატიო წიგნში.

მეირ დავითის ძე ბააზოვის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

სკტბ-ს ხელმძღვანელობა,
პარტიული ბიურო და ადგილკომი

**პოლინა ბააზოვი**

# მეირის ხსოვნას

მაინც რა საშინელი, სუსხიანი ზამთარი იდგა იმ წელს. უიმედობა სევდას გვრიდა დარდით დაღლილ ადამიანს. მაგრამ სულიერად ძლიერი შეუცნობადი იმედით შესცქეროდა მომავალს და ცდილობდა გამკლავებოდა ცხოვრებას.

ამაოდ.

1970 წელს განგებამ კვლავ რისხვა დაგვატეხა თავს.

შუადღე იყო. ავის მაუწყებელი ზარივით გაისმა ტელეფონის ხმა მოსკოვიდან. თბილისიდან მოსკოვთან საუბარი ყოველთვის მოგვიანებით — საღამოს ან ღამით გვქონდა ჩვეულებად. შეშინებულმა ფანიმ აიღო ყურმილი. „ვაიმეო“ დაიგმინა და მოცელილივით დაეცა იატაკზე.

მეირის ცოლისძმა პეტია მოსკოვიდან გვამცნობდა მეირის უცაბედ და მოულოდნელ გარდაცვალებას.

ო, განგებავ, რად ხარ ასე ულმობელი ჩვენთან?! რა დაგიშავეთ? მეირი აღარ არის! უკანასკნელი ძმაც წაგვართვი!

„ფანი, —ორი კვირის წინ უთხრა მეირმა გვიან ღამით ფანის, —გთხოვ, მოიცალე და ჩამოდი. რაღაც მაქვს სათქმელი, საიდუმლო, გასანდობიო.“ მაგრამ ადამიანი როდი ფიქრობს ამ ჯანმრთელ და საღ ადამიანს უნდა ჩავუსწროო...

გაოგნებული და სასოწარკვეთილი ვიდექი ოთახის შუაგულს: ძნელი იყო მოულოდნელი უბედურების აღქმა, იმას კი ვგრძნობდი, რომ უნდა გამეძლო. უნდა გამეძლო ახლა ფანის გულისთვის, რომელიც იატაკზე იყო დაცემული.

გერცელის დაღუპვისა, დედ-მამისა და ხაიმის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ, ჩვენთვის — დებისთვის მეირი იმედის სანთელივით ენთო დედმამისეულ ოჯახში. ის იქ, მოსკოვში, შორეთში მყოფი, შუქურა ვარსკვლავი იყო. მეირი, საყვარელი ძმა, წმინდანის მსგავსი ადამიანი! და განა მარტო დებისთვის იყო ასეთი.

«Нет больше нашего Мейра, светоча нашего галута...». —აღნიშნეს მისმა თანამოაზრეებმა.

იშვიათად ნახავდა ვინმე მეირს ტრანსპორტში მჯდომს. ფეხით სვლა იყო

მისი თვისება. თბილისში ყოფნისას 26 კომისრის რაიონიდან მთაწმინდაზე ფეხით მიეშურებოდა. „რომ გამიშვან ერეც-ისრაელში, —უთქვამს მეირს ახლო მეგობრებისათვის, —იქაც მთელ ქვეყანას ფეხით შემოვივლი თვალდახუჭული. ასე მგონია მე იქ გავიზარდეო.“ მართლაც მეირს ჰქონდა ამის თქმის უფლება. ხომ საუცხოოდ იცნობდა ჯერ კიდევ ბავშვობიდან ისრაელის ყოველ კუნჭულს, ფაუნასა და ფლორას, მთელ მის ბუნებასა და გეოგრაფიას, რომ არაფერი ვთქვათ ივრითისა და ისტორიის ცოდნაზე.

ანგელოსისებრ ცისფერთვალება, სათნო შეხედულების მეირს ვინც ახლოს არ იცნობდა, ძნელად დაიჯერებდა, რომ იგი ძლიერი ფიზიკური ძალის პატრონიც იყო. მის საღ და ლამაზ კბილებს არასოდეს დასჭირვებია მკურნალის ხელი. მაგრამ ლეფორტოვოში გამომძიებელმა ციხის ფოლადის გასაღებების ჩარტყმით ყბაში ამოუგდო ოთხი კბილი. მთელი ჩვენი ოჯახიდან მხოლოდ მას იზიდავდა ცირკში მძლეოსანთა გამოსვლების ყურება. „შენ რომ მათემატიკოსი და ინჟინერი არ ყოფილიყავი, —შენიშნავდა ხოლმე მეუღლე დოცია, —უთუოდ ცირკში მოჭიდავედ წახვიდოდიო.“ „რატომაც არაო“, —ღიმილით მიუგებდა მეირი.

მეირი თბილისში 1968 წელს იმყოფებოდა. რა დამავიწყებს იმ ზაფხულის შესანიშნავ დღეებს. ერთხელ მეირს გზაზე შემოხვდა დიდი ხნის უნახავი თავისი ინსტიტუტის მეგობარი ა. დადეშქელიანი. ამ უკანასკნელს საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა მშენებლობაში. ამ ლამაზ და წარმოსადეგ სვანური წარმოშობის არისტოკრატს მეირი ადამიანობასა და პატიოსნებას უქებდა. მეირთან ერთად ჩვენც, დებიც ხშირად ვიყავით მისი სტუმრები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მცხეთაში, არაგვისპირა რესტორან „მერანში“ მისი გულუხვი მასპინძლობა. ჭაბუკობის მეგობარი მეირს თბილისში გადმოსვლას ეხვეწებოდა.

—რა გაკავშირებს მოსკოვთან, —უთხრა მეირს, —აქ დები გყავს. ოღონდ მოინდომე და შენთვის შესაფერის ბინას და სამსახურს მე მოგიმზადებ. გადმოიყვანე შენი ცოლ-შვილი და დაბრუნდი საქართველოში. დავიფიცავ, ახლაც შენი საყვარელი საკითხავი წიგნი ვაჟა-ფშაველაა უფრო, ვინემ რომელიმე რუსი მწერალი.

—როგორ მიმიხვდი? —გაიოცა მეირმა.

—მახსოვს, ინსტიტუტში ყოფნისას ვაჟა გიყვარდა და ის, ვინც ჭაბუკობაში რომელიმე მწერალს შეიყვარებს, ვერასოდეს დაივიწყებს.

მომეჩვენა, რომ დადეშქელიანმა მეირი დაითანხმა. სახლში მისვლისას გახარებულმა და აღტაცებულმა მივმართე მეირს.

—მეირ, იქ, მოსკოვში ყოველ წუთს საფრთხეში ხარ. ნუთუ არ გეყო ლეფორტოვო, ყარაღანდა... არ ტყუის შენი სიდედრი, როცა ამბობს მეირი გამოუსწორებელიაო. გულისყური სულ ერთთავად იქით, ისრაელისკენ გაქვს...

—იცი, რა გითხრა, ჩემო დაიკო, —გაუქრა ჩვეული ღიმილი და მკაცრი ტონით მიპასუხა, —თუ არ მოგწონვარ მე, ასეთი ძმა, შეგიძლია დამგმო. ჩემთან ფანი დარჩება. შენ, ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილივით, სულ სხვა პირობებში და სხვა ვითარებაში მოგიხდა ყოფნა და გაზრდა, ამიტომ გიძნელდებათ გამიგოთ მე. მარტო ფანი არის ჩემი გამგები. მთელი ჩემი სიცოცხლე, ბავშვობიდან შემიწირავს ჩემი იდეალებისათვის, და შენ გინდა, იმის გამო, რომ ჩემ სიდედრს ეშინია, დავგმო ეს იდეალები და ვუღალატო ჩემს პრინციპებს? ასე რომ არ იყოს, მე მართლა დიდი ხანია დავბრუნდებოდი. ჩემი მეგობრის, დადეშქელიანის გულწრფელობაში ეჭვიც არ მეპარება.

●

და გადავფრინდით დამწუხრებული დები შორეულ მოსკოვში, სადაც აღარ გვეგულებოდა ცოცხალი მეირი.

„ახალი ყელსახვევი, ჩემი ხელთქმნილი, იმ დილით მოვახვიე და მხიარული გავისტუმრე სამსახურში, —გვამცნო მეუღლემ, —რამდენიმე საათის შემდეგ სამსახურში დაემართა ინფარქტიო.“ მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „დამწვით და გადაეცით ჩემს დებს, რომ ჩემი ფერფლი ისრაელში ჩაიტანონო.“

ვაი, რომ ვერ შევასრულეთ ანდერძი. იმ დროს ჯერ კიდევ თავზარდაცემულ დებს აბსურდად გვეჩვენებოდა მეირის ფერფლად ქცევა. და იმ პერიოდში ჩვენი ისრაელში წამოსვლა არც თუ ისე საიმედოდ სჩანდა. გზა არ იყო გახსნილი მასობრივი ალიისათვის. აქა-იქ, ვინმე ფიქტიური ქორწინებითა და სხვა არაპირდაპირი საშუალებებით ახერხებდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლას და იქიდან ისრაელში გასვლას. მეირისთვის უცხო იყო ასეთი ხერხები. ის მოქმედებდა პირდაპირ. მეირი და მისი თანამებრძოლნი ხელისუფლებას სთხოვდნენ არა მარტო ისრაელში წასვლას, არამედ ოფიციალურად მოითხოვდნენ თვით საბჭოთა კავშირის ებრაელ მოქალაქეთათვის ებრაული ენის, კულტურისა და ისტორიის შესწავლის ნებართვას.

●

ო, რა საშინელია, როცა ზმანება ცხადზე უცხადესი ხდება.

1970 წლის 15 იანვარს მივაბარეთ მეირი მოსკოვის ცივ მიწას. განსვენებულთა მყუდრო სავანეს ყინულად ქცეულ, დათოვლილ მეირის საფლავზე დამხობილი ფანის გოდება არღვევდა.

ასე მიეკუთვნა მეირიც იმ წმინდანებს, ვინც იღწვოდა, იწვოდა, იბრძოდა, მოისწრაფოდა და ვერ მიაღწია წმინდა მიზანს.

და დღემდე დარჩა ჩვენთვის გამოუცნობი, თუ სად გაქრა მისი ყველა ხელნაწერი, რომელთაც ჩვეულებრივ სახლში არ ინახავდა. ჩვენ, დებმა ვიცოდით, რომ ის ბევრს წერდა პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, თარგმნიდა თავის შესანიშნავ ივრითზე — „ვეფხისტყაოსანს", ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, გერცელის „ფეთხაინს" და სხვა. ისიც ვიცოდით, რომ თავის ნაწერებს ჩვენთვის უცნობი ფსევდონიმით ნაწილობრივ ახერხებდა და გზავნიდა ისრაელში. მიუხედავად ჩვენს მიერ ბევრი ძიებისა, მის შრომებს ვერც მოსკოვში და ვერც ისრაელში ვერ მივაგენით.

აღმოჩნდა მხოლოდ ერთადერთი წერილი: „საქართველოს ებრაელები", რომელიც ისრაელში გამოქვეყნებულა ერთ-ერთ ჟურნალში იდიშზე. ეს წერილი თარგმნა იცხაკ დავიდმა და ფანიმ შეიტანა თავის მიერ შედგენილ კრებულში „დავიდ და გერცელ ბააზოვები".

ჟურნ. „დროშა", № 27 (1983წ.)



**მეირ ბააზოვი**

8/XII/64 .

## სალამი ჩემო ფანია, სალამი ჩემო პაშა

საპასუხო წერილი დაგიგვიანეთ, მაგრამ ამასაც თავის მიზეზები ჰქონდა. დღეს გიგზავნი ნაწყვეტს პოლონეთის ებრაულ გაზეთიდან ამოღებულს. გაზეთი „ფოლქს შტიმე" გამოდის ვარშავაში; ამ ნაწყვეტში აღნიშნულია, რომ მწერალ გ. ბ. საიუბილეო დღეები აღნიშნული იყო საქართველოში და რომ ის დიდი მეგობარი იყო პერეც მარკიშის.

პოეტმა გრუბიანმა (პირველ ხარისხოვანი პოეტია არა მარტო იდიშზე) თარგმნა იდიშზე „კაინი". სიტყვიერი (подстрочный ) თარგმანი გაუკეთე მე. (ორივე თარგმანს გიგზავ-ნი). ეს ლექსი დაიბეჭდება აგრეთვე „ფოლკს-შტიმე-ში", რომელსაც დიდი გავრცელება აქვს მთელ მსოფლიო პროგრესიულ ებრაელობაში. თვითონ ლექსი ყველამ მოიწონა, აღნიშნავენ, რომ დღესაც

ძალზე დროულია და მისი ძლიერი სიტყვა დიდ რეზონანს შექმნის.

შეასწორე ჩემი „სიტყვიერი“ რუსული თარგმანი და აქ ვინმე დიდი რუსი მგოსანი (ევტუშენკო ან სხვა) შესაფერისს და დასრულებულ ლექსად შექმნის.



Здравствуй, дорогая мамочка!

Здравствуйте мои дорогие: Юрик и Папа!

Поздравляю с праздниками, желаю здоровья, много чего, лишь спокойствия и благополучия.

Хватит, сколько горя перенесла наша несчастная семья.

Хоть в будущем живут немного — ладно.

Поздравьте всех наших родственников.

Крепко целую

Ваш Мейр.

ბესოს სტატია გერცელზე (რუსულ ენაზე) ყველას მოსწონს აქ. არაა გასაკვირველი, რო ასე მოსწონთ. ბესოს ხომ ასეთი კრიტიკოსის მდიდარი კულტურა ახასიათებს: ერუდიცია, ლამაზად აგებული ფრაზა, ღრმა ანალიზი გასარჩევი ნაწარმოების და მისდამი ერთგვარი სიყვარული, — ყველა ეს უთუოდ ნიჭიერ და **მუდამ ახალგაზრდა** ბესოს უხვად აქვს.

სახლის ამბებს დოცია მოგწერთ. დღესაც გული მტკივა მას შემდეგ რო ჩამოვედით. დოციაც ძალიან მოწყენილია. ხშირად და ხშირად გულთბილად გიხსენიებთ, თუმცა ნათანმა და მისმა მაგვარმა სრული გაცრუება შეიტანეს როგორც ჩემში ისე მასში.

იყავით კარგად, ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მალე კიდევ მოგწერთ. გკოცნით

მეირი

**P. S.** უჩა ჯაფარიძეს წერილი ქართულ ენაზე („თბილისი“) არ აღმომაჩნდა. თუ აქტუალობა არ დაუკარგავს იმას, რაზედაც გვქონდა

ლაპარაკი თბილისში — გადმომიგზავნე და მე გავაკეთებ.

ერთხელ კიდევ
გკოცნი. შენი

მეირი

გულითადი მოკითხვა და მადლობა ყველა ჩვენს პატიოსან მოკეთეებს და ნაცნობებს.

თინას — პერსონალური მოკითხვა.

მასალებს გიგზავნი ცალკე დაზღვეულ წერილით.

# პოლინა

## და სიყვარულით...

თქვენი
**და-ლინა**

# რის კამფეტი, რა კამფეტი? შარზე ხააარ?!

(ნამდვილი ამბავი)

... უკვე ბინდდებოდა, როცა დაღვრემილი და ფიქრებში გართული ქ. ქუთაისის პროკურორი ვალერიანი სახლიდან გამოვიდა და გაემართა პროკურატურის შენობისაკენ, რომელიც თეთრი ხიდის გადაღმა მდებარეობდა.

დილით ქალაქის პარტკომიტეტის ბიუროზე დაუნდობლად დაამუშავეს, უსაყვედურეს, რომ მისი ბრძოლა ფართო მოხმარების საქონლით სპეკულაციასთან სუსტი და არაეფექტურია, რის გამოც ქუთაისის მაჩვენებლები ამ კატეგორიის საქმეთა აღძვრაში რაოდენობის მხრივ თითქმის ყველაზე დაბალია სხვა რაიონებთან შედარებით. დადგენილებაში უკანასკნელი გაფრთხილება ჩაუწერეს, მაგრამ ქალაქკომის პირველი მდივანი სიტყვით დაემუქრა, თუ უახლოეს ხანებში არ გამოავლენ და არ აღძრავ საკმაო რაოდენობის საქმეებს სპეკულანტების წინააღმდეგ, საკითხი თანამდებობიდან შენი განთავისუფლების შესახებ დაისმება რესპუბლიკის პროკურორის წინაშეო. ეს კი უდრიდა მისი კარიერის დასასრულს ანუ სრულ განადგურებას.

მთელი დღე გაბორტებული დადიოდა. გულზე დაწოლილი ბოღმა ჯერ იყო და მილიციის მუშაკებზე გადმოანთხია, მილიციის უფროსიდან დაწყებული უკანასკნელ ოპერრწმუნებულამდე ყველას შავი დღე დააყენა, ყველას მოხსნით ემუქრებოდა. ახლა, საღამოს კი მოწვეული ჰქონდა თავისი ხელქვეითი გამომძიებლების თათბირი, სადაც აპირებდა მთელი რისხვით დასხმოდა თავს ამ „უქნარებს“, რომლებიც მხოლოდ იმაზე არიან გამამაცებულნი, რომ თავად დასუქდნენ და მომარაგდნენ სპეკულანტთა ხარჯზე და სულაც არ აწუხებთ პარტიისა და მთავრობის დირექტივები სპეკულაციასთან დაუნდობელი ბრძოლის შესახებ.

... ეს იყო დრო, როცა როგორც კვების პროდუქტები, ისევე ფართო მოხმარების საქონელი ჯერ კიდევ მკაცრად ნორმირებული იყო და ამიტომ რამოდენიმე ნაჭერი საპნის, ან ერთი კილო შაქრის, ან რამოდენიმე კოჭისძაფის კერძოდ გაყიდვის ფაქტი სავსებით საკმარისი იყო მილიციაში საქმის აღძვრისათვის. ასეთი კატეგორიის „ვაჭრები“ უხვად მომრავლდნენ ებრაელთა უბანში. ძირითადად ამ საქმიანობას ეწეოდნენ ქალები, რომელთა ქმრები ან შვილები ჯერ კიდევ ფრონტზე იმყოფებოდნენ ან უკვე მიღებული ჰქონდათ შავი ბარათები მათი დაღუპვის შესახებ; ანდა ხანში შესული მამაკაცები, რომელთაც კისერზე დააწვათ ფრონტზე წასული შვილების ოჯახის შენახვა. ასეთი კატეგორიის „სპეკულიანტები“ წარმოადგენდნენ ფარულად და მიუღწევლად მიმდინარე პროცესების დამამთავრებელ, საბოლოო ფაზას, რადგან ისინი უშუალოდ ჩნდებოდნენ მყიდველების წინაშე მაშინ, როცა მათ უკან

გაბმული იყო უხილავი გრძელი ჯაჭვი ერთმანეთზე ფარულად გადაბმული გადამყიდველებისა, რომელთა სათავე ყოველთვის იწყებოდა მაღლა, სადაც ძალზე პასუხისმგებელი პარტიის წევრები „გეგმიანად“ ანაწილებდნენ ყოველ-გვარ დოვლათს. ამიტომაც იყო, რომ გამოძიების მუშაკები იჭერდნენ „ლიფსი-ტებს“ და თავს ხრიდნენ „ორაგულების“ წინაშე.

ვალერიანმა ხიდის გადმოღმა გამოუარა მინგრეულ-მონგრეულ ქოხმახებს, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ... იცოდა, განა არ იცოდა ვალერიანმა, რომ ამ ქოხმახებში იყო „ბუდე“, სადაც იყიდებოდა შაქარი, წინდები, სა-პონი და სხვა, მაგრამ ეს სპეკულაციის მუხლი იმისთანა უცნაურია, რომ ვერავითარ სხვა ვითარებაში ვერ მიუყენებ, თუ ადგილზე ფაქტით, ე.ი. რაიმე საქონლის გაყიდვის მომენტში არ დაიჭირე.

ფიქრებში გართული ვალერიანი მიუახლოვდა ხიდის წინ მწყობრად მდ-გარ ალვის ხეებს. უცებ ფოთლებს შორის მან თვალი მოჰკრა, რომ ერთ-ერთი ეზოს დაბალი ხის ჭიშკარი ფრთხილად გაიღო და იქიდან თავი გამოჰყო გრძელწვერა შაბათა კუტმა. შაბათიამ ჯერ მარჯვნივ გაიხედა, მერე მარცხნივ, შემდეგ — თითქოს ჰაერს ყნოსავსო, თავი მაღლა ასწია და ერთხანს გარინ-დული იდგა. ვალერიანი ამ უბნიდან თითქმის ყველას იცნობდა, მათ შორის შაბათა კუტსაც. ისიც იცოდა მილიციის აგენტების ცნობებით, რომ შაბათა ეჭვმიტანილი იყო შაქრისა და „მომპასის“ გაყიდვაში. შაბათა კუტის ასეთმა ფრთხილმა გამოხედვამ ვალერიანი დააეჭვა. ის მთლიანად ხეს ამოეფარა, გაირინდა და ჭიშკარს თვალს არ აცილებდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჭიშკრიდან გამოვიდა შაბათა კუტი, რომელსაც მხარზე სავსე ტომარა გაედო და გაემართა ხიდის მიმართულებით.

—ჰატ! —დაიცხრა მოულოდნელად საფარიდან გამოსული პროკურორი შაბათა კუტს და სტაცა ხელი ტომარას, რომელიც სავსე იყო „მომპასი“ კამფეტით. შაბათიას ტომარა ძირს ჩამოუვარდა, თვითონ კი გაოგნებული იდგა, თითქოს ქვესკნელიდან ამოსული პროკურორის წინ.

—აჰა, ხომ ჩაგიგდე ხელში, ეშმაკის კერძო! —შეჰყვირა უზომოდ გახა-რებულმა ვალერიანმა. შაბათია იდგა თავჩაღუნული და დაჰყურებდა მის ფეხთ დაგდებულ კამფეტით სავსე ტომარას.

—აბა, გაიდე მხარზე ტომარა და წამიძეხი წინ! —უბრძანა ვალერიანმა შაბათიას და მანაც მორჩილად მოიგდო ზურგზე მისი დამღუპველი ტომარა, რომელიც თავად უნდა მიეტანა, როგორც უტყუარი მტკიცება თავისი დან-აშაულისა.

ვალერიანმა გადაწყვიტა შაბათია თავისი კამფეტით მიეყვანა პირდაპირ პროკურატურაში და თავად გაეფორმებინა ეს მსხვილი სპეკულაცია, რად-გან სულის სიღრმეში არ ენდობოდა მილიციის უფროსს, რომელსაც შეეძლო ქრთამის აღებით საქმე „გაეფუჭებინა“.

მიაბიჯებდნენ თეთრ ხიდზე პროკურორი და „დამნაშავე“. ორივეს ფიქრები

ტრიალებდნენ კამფეტით სავსე ტომრის გარშემო.

პროკურორი სიხარულს მოეცვა! დილით, პარტიის ბიუროზე მოწოლილი შავი ღრუბლები ახლა, შებინდებისას გაიფანტა და სულში ზეიმი შეიჭრა. ხუმრობა ხომ არაა — თავად დაიჭირა მსხვილი სპეკულიანტი, სავსე ტომარა კამფეტით, და ეს იმ დროს, როცა ერთი კილოგრამი შაქრის გაყიდვისათვის ბრალდებულს შესაძლოა ხუთი წლით პატიმრობა მიეღო. ოცნებებში წასულმა ვალერიანმა წარმოიდგინა რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი ასეთი მიღწევა ზემდგომ ორგანოებში. შეიძლება პროკურორთა მომავალ რესპუბლიკურ თათბირზე რესპუბლიკის პროკურორმა ისიც დაასახელოს სანიმუშო მუშაკთა რიცხვში, რომლებიც ძალ-ღონეს არ ზოგავენ სპეკულაციასთან ბრძოლაში, და მაშინ... ვინ იცის... შეიძლება მისი დიდი ხნის ოცნება ასრულდეს... და ის რესპუბლიკის პროკურატურაში გადაიყვანონ.

... თუ კამფეტით სავსე ტომარამ პროკურორი ოცნების ფრთებზე შესვა, სამაგიეროდ, შაბათა კუტს იგი აუტანელი სიმძიმით აწვებოდა. აზრები და სურათები მის თავში ელვისებრად ირეოდნენ. მან იცოდა, რომ ასეთი მსხვილი სპეკულაციისათვის მას კუთვნილი მუხლის მაქსიმუმს მიუსჯიდნენ. მაგრამ შემდეგ... სასამართლო გაითვალისწინებდა, რომ მას ერთი შვილი ფრონტზე დაეღუპა, მეორე მძიმედ დაჭრილი სადღაც ჰოსპიტალში წევს, ქალიშვილის ქმარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, და რომ ყველა ამ ოჯახებში მხოლოდ ის არის მარჩენალი და ამიტომ ჩამოუკლებენ 2-3 წელიწადს. მაგრამ რადგან ის არ ეწეოდა „საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას", მაინც დაუტოვებდნენ 5-7 წელიწადს. მერე და ეს ტომარა ხომ მასთან მეხუთე თუ მეექვსე ხელიდან მოხვდა და არ იცის სათავე — საიდან და ვინ გასცა მაღლა, სადაც სხედან მსუქანი და მაძღარი „პასუხისმგებელი მუშაკები", მაგრამ პასუხი მან უნდა აგოს. სადაა სამართალი?.. მას ხომ რაღაც კაპიკები დარჩებოდა?

ვალერიანი ორი ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა შაბათას და მეტი სერიოზულობა რომ ეგრძნო ამ ვითარებაში, ხელი გვერდზე, რევოლვერის ბუდეზე დაედო.

როდესაც თეთრი ხიდის შუა ადგილას მიაღწიეს, თითქმის მთლად ჩამობნელდა. მოულოდნელად, ოცნებაში წასული პროკურორის თვალწინ რაღაც საგანმა ფართო წრე შემოხაზა, უნებურად გაიხედა და შემოესმა ტყლაპ, ტყლუპ! იმავე წამში რიონის აზვირთებულმა ტალღებმა ვალერიანი გონს მოიყვანეს.

—რა ქენი შენ, კაცო! —დაიღრიალა პროკურორმა, —სადაა კამფეტი?! —წამიერი სულის მოთქმის შემდეგ ეკითხება იგი.

—რის კამფეტი, რა კამფეტი, შარზე ხააარ?! — მიუგო ხელებგაშლით შაბათია კუტმა.

ასე წაიღო რიონის ტალღებმა შაბათა კუტის კამფეტთან ერთად ვალერიან პროკურორის საოცნებო კარიერა.

გაზ. „იმედი", № 193,
14. 5. 76

# დამნაშავეა შავი თვალები

სახლში ვსხედვართ, ვმეცადინეობთ მე და ჩემი ამხანაგი რინა. კარზე დააკაკუნეს. კარის გასაღებად რინა წამოხტა.

–აქ ცხოვრობს ჩემი ბიცოლა? –მომესმა კარებს უკან.

–ვინ არის შენი ბიცოლა? –ეკითხება რინა.

–შენე ჩემი ბიძაშვილი ხაარ? –პასუხის ნაცვლად კვლავ კითხვას აძლევს ჩემს ამხანაგს უცნობი ხმა.

ახლა მეც წამოვხტი და გავემართე კარებისკენ. შემოსასვლელში იდგა

–მენე ჩემი ბიძაშვილი ხااარ?

ნახ. ალეკო კოჟიაშვილისა

თვალებამდე ქუდჩამოფხატული, ხურჯინგადაკიდებული ყმაწვილი. მისი ჩაცმულობა – სქელი, მწვანე ფერის წინდები, სოფლური წაღები და თეთრ-ფოლაქებიანი შავი ბლუზა – მოწმობდა, რომ სოფლიდან ახლახან იყო ჩამოსული.

უცბად ვიგრძენი, რომ ეს ახალგაზრდა ჩვენი ის ნათესავია, რომელსაც ოჯახი დიდი ხანია მოელოდა სოფლიდან.

–შენ ილუშა ხომ არა ხარ? შემოდი, რას გაჩერებულხარ გარეთ ამდენ ხანს. მე ვარ შენი ბიძაშვილი, –ხელის გაწვდით შემოვიყვანე იგი შინ.

–შენეც ჩემი ბიძაშვილი ხარ? –ჩააცივდა ჩემ ამხანაგ რინას ახალგაცნობილი ბიძაშვილი ილუშა.

–ხა, ხა, ხა, ხა! –გადაიკისკისა რინამ, –გამიგია, როცა ბიძაშვილები ერთმანეთს არ იცნობენ, მაგრამ ის კი აღარ გამიგია, რომ კაცმა არ იცოდეს, მას ქალაქში რამდენი ბიძაშვილი ჰყავს, –სიცილ-სიცილით აყრიდა რინა.

–როგორ, ქალაქელები ასე ცინებთ ხალხს? –წყენით შენიშნა ილუშამ.

ასე ჩამოგვისახლდა ჩვენს ბინაში უმაღლესი განათლების მისაღებად სოფლელი ბიძაშვილი.

დასაწყისში ილუშას მეცადინეობა ეკონომიურ ფაკულტეტზე წარმატებით მიდიოდა. მაგრამ თანდათანობით სწავლას უკლო, რის გამოც მისი ნიშნები ხუთებიდან სულ დაბლა დაიწია.

–რა დაგემართა, რომ აღარ სწავლობ, შენ ხომ სწავლისთვის ჩამოხვედი და არა სასეირნოდ. კარგად დაიწყე, ახლა კი... –მივმართე ერთხელ მკაცრად.

–არც თქვენი სწავლა მინდა და არც თქვენი არაფერი!.. და თუ შენ ჩემი სიკეთე გინდა, აი, ი გოგო, შენი ამხანაგი, კარები რომ გამიღო, გამირიგე, თუ კარგი ბიძაშვილი ხარ, –კოპებშეკრულმა გამომიცხადა ილუშამ.

ამას კი აღარ მოველოდი. ბიძაშვილი ბიძაშვილია, მაგრამ მეც ხომ ვიცოდი ჩემი უახლოესი ამხანაგის ფასი და მისი გემოვნებაც, რომ არაფერი ვთქვა იმაზე, თუ როგორ რჩებოდა მასზე ბევრ ახალგაზრდა ვაჟს თვალი და ყველას რომ სწუნობდა. არა, ნამდვილად ვერ შევბედავდი რინას ილუშას შესახებ, ამიტომ ბიძაშვილს სიტყვა ბანზე ავუგდე. ჩემგან ასეთი უგულებელყოფა მან იწყინა, ცხვირი ჩამოუშვა და ხმას აღარ მცემდა. არც ეს იყო ჩემთვის სასიამოვნო, რომ ბიძაშვილს გულნატკენს ევლო. მას ასე ეგონა, რომ მისი ბედნიერება ჩემს „მაჭანკლობაზე“ იყო დამოკიდებული. და აი, ერთხელ მოვიკრიფე გამბედაობა და ამხანაგს ნაზად მივმართე:

–იცი, რინა, როგორიც შენ გეკუთვნის, ხომ ხედავ, ასეთი საქმროები ჯერ არ დაბადებულან; წლები გადის... იქნებ არ იყოს დასაწუნი ჩვენი ილუშა, ხომ ხედავ, როგორი ნიჭიერია, კეთილია, პატიოსანია... ჰა, რას იტყვი? დაფიქრდი, ერთბაშად ნუ მეტყვი პასუხს.

–ხა, ხა, ხა, ხა! –პასუხის ნაცვლად გადაიკისკისა რინამ.

—რატომ იცინი, —არ ვეშვებოდი მაინც, —ასე ამბობს, კარი რომ გამიღო, იქავისე დამწვა მისმა თვალების ელვამო...

—რაღა ეგ საცოდავი დაიწვა, შენ ბიძაშვილს მე არას ვერჩოდი, —გულწრფელი სინანულით ამბობს რინა, —სად წავიღო ეს თვალები? ვინც მინდა რომ დაიწვას, ისინი, იწვებიან კი არა და, ოდნავ სითბოსაც ვერ გრძნობენ. ბედი არა მაქვს. შენ ბიძაშვილს მეც ბიძაშვილად ვუყურებ, გეფიცები, ჩემ ღვიძლ ძმა იცხაკშიაც არ ვარჩევ. მის ცოლობაზე კი... ნურას უკაცრავად. შენ რძლობას რა აჯობებდა, მაგრამ შენს ნათესავსაც კი მოეთხოვება, რომ ცოტა მაღალი იყოს, ცოტაც მეტი განათლება და კულტურა ეტყობოდეს, ჩემზე უფრო ჭკვიანიც იყოს. მოკლედ, ჩემი გასაზრდელი არ მინდა.

—აი, ის ქუდი, —მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო რინამ, —ჩამოფხატული რომ აქვს, რამდენმა ხანმა უნდა გაიაროს, თუ არ მოიხდის, ცოტათი მაინც გადაიწიოს, ქოჩორი გამოიჩინოს, იქნებ ქაჩალიც არის, რა ვიცი?.. ერთხელ შევესწარი, პირს რომ იბანდა, დედაშენმა ქუდი მოხადა და უთხრა, პირის დაბანის დროს ქუდი ხელს გიშლისო.... ილუშამ დენნაკრავივით გამოსტაცა დედაშენს ხელიდან თავისი ქუდი, სწრაფად ჩამოიფხატა თვალებამდე და ასეთ ფორმაში განაგრძო სახეზე წყლის შესხმა. ამის დანახვაზე გულიანად ჩავიფხუკუნე. მან ჩემი ჩაცინება იწყინა და ასე მითხრა:

—ჩვენში რჯულიც და წესიც შემონახული გვაქვს. თქვენ, ქალაქელები კი ნამდვილი ქრისტიანები ხართ, ალბათ ტარეფასაც მიირთმევთო... ამაზე მე სასტიკად გავბრაზდი. როგორ გამიბედა „ტარეფას მიირთმევთო“! გეფიცები. წავეჩხუბებოდი, იქ დედაშენი რომ არ ყოფილიყო, წავეჩხუბებოდი და გემოზეც ვაწყენინებდი. ხა, ხა, ხა, ხა! —დაამთავრა რინამ.

ერთ საღამოს ჩვენი სახლის გარშემო დავსეირნობდით მე და რინა. ჩვენი ოთახიდან გამოდიოდა ელნათურის შუქი. ქვაზე ფეხი შევდგი და ფანჯრიდან შევიხედე შიგ. ვხედავ, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობილი ზის ილუშა, თავი ხელებში ჩაურგავს და სახეზე ღაპაღუპით ცრემლი სდის. ხანდისხან პიჯაკის სახელოთი ცრემლს იწმენდს.

ჩამოვდგი ფეხი ფანჯრიდან და გულში იმედის ნაპერწკალანთებულმა მივმართე რინას:

—აი, შეხედე! შენ არ გჯერა, როგორ იწვის შენთვის. ნახე, როგორ ტირის შენთვის!

რინაც დიდი ცნობისმოყვარეობით შედგა ქვაზე და აიწია ფანჯრის ცხაურზე. ცოტა დაყოვნების შემდეგ ჩამოხტა და თავისებურად გადაიკისკისა:

—ხა, ხა, ხა, ხა! —ვის ატყუებ, ვის? ჩემთვის კი არ ტირის და რაღაც წიგნს კითხულობს. იქნებ რომანიც არის.

მე კვლავ ავიწიე ფანჯარაზე, კარგად დავაკვირდი და დავინახე, რომ მართლაც წინ ედო ჩემი წიგნი „ბიძია თომას ქოხი“.

—ხა, ხა, ხა, ხა!.. —კისკისებდა რინა, —ახლა რას მეტყვი!..

●●●

დილით ადრე დერეფანში ლაპარაკის ხმამ გამომაღვიძა. ეს ჩვენს ილუშას თანასოფლელები სწვეოდნენ.

—ესე, არაყი და ცოტა რამე შენიანებმა გამომატანეს შენთან.

—რა ისმის სოფელში, ხომ მშვიდობაა? —ეკითხება ილუშა.

—მშვიდობაა, ხოლო აი, ი შენი მამის ბიძა ყობია კი გარდაიცვალა.

—ჯერ შემობრძანდით ოთახში. დაბრძანდით, დაისვენეთ. ნამგზავრები ხართ, პატარა პური გავიტეხოთ... —ასეთი სიტყვებით შეუძღვა ახალჩამოსულებს ილუშა თავის ოთახში.

—მანიამ ლუბუკა გაათხოვა, —მესმოდა დერეფანში ფუსფუსის დროს სტუმარ-მასპინძლის საუბარი, —მერე და, შენ ხარ ჩემი ბატონი... —აგრძელებდნენ საუბარს.

—არა და ისი, თავიდან მოჰყევით, მართლა გარდაიცვალა ბიძია ყობია?

—კი, როგორ არა. გარდაიცვალა და გასულ კვირას კიდეც დავასაფლავეთ.

—მოდი, კიდევ დავისხათ და ახლა მისი მოსახსენებელი დავლიოთ. კარგი კაცი იყო, —მესმოდა ილუშას სიტყვები.

—კარგი არაყია... მართალია, ყობია ოთხმოც წელს გადაცილებული იყო, მარამა კარგი კაცი იყო, დასანანია.

—დავისხათ კიდევ. ეს ჭიქა დარჩენილებისათვის შევსვათ. მისმა დანატევრებმა იცოცხლონ დიდხანს... —მეტი აღარ გამიგონია, რადგან ინსტიტუტში წასასვლელად გავემზადე.

სახლში საღამო ხანს დავბრუნდი. ვხედავ ილუშა და მისი სტუმრები ფეხზე ძლივს-ღა დგანან. კარებშუა გაჩერებულან და თითქოს ემშვიდობებიან ერთმანეთს; მაგრამ ილუშამ უცებ მკერდში მჯიღი იკრა და წამოიძახა:

—კი მარა, აწი რაღად ღირს ჩემი სიცოცხლე? როგორ, ბიძია ყობია გარდაიცვალა და თავი რაღად მინდა ცოცხალი, ჰა?!

—შენ იცოცხლე და კარგად იყავი... თორემა იმას რაღა ეშველებოდა. იმნაირი სატკივარი ჰქონდა, რომე კარგი ჰქნა, რომ მოკვდა და მოისვენა, —ასე დაამშვიდეს თანასოფლელებმა. როგორც იქნა გატრიალდნენ და წავიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ შემოგვესმა ძახილი:

—აჰ! გამიშვით, როგორ თუ ყობია მოკვდა! გამიშვით, გამიშვით, თავი რაღად მინდა ცოცხალი...

მივვარდით ილუშას, რომელიც თავს კედელს ახლიდა. ბევრი ვამშვიდეთ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავაწყნარეთ. უცებ ხელიდან გაგვისხლტა და კარებიდან გავარდა. გამოვედევნეთ, მაგამ თვალის დახამხამებაზე გაქრა. საით წავიდა არ ვიცოდით. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოგვესმა ხალხის ჩოჩქოლი და ხმაური. უცნობ ვაჟკაცებს ძლივს მოჰყავდათ გაკავებული ილუშა.

—გამოხედეთ ამ ვაუბატონს, მდინარისკენ გარბოდა და გაიძახოდა, თავი უნდა მოვიკლაო, ბიძის სიკვდილს იმიზეზებს, ძლივს შევკარით და მოვაბრუნეთ აქეთ...

ოთახში ტახტზე ძალი-ძალზე დავსვით და მეზობელ-ნაცნობებიც გარს შემოეხვივნენ.

—ყობიას გარდა კიდევ ცხრა ბიძია გყავს. რას უპირებ დანარჩენებს? ვის უტოვებ ანდერძად, რომ მათთვისაც ვინმემ მოიკლას თავი? —თავზე ხელის გადასმით ეფერებოდა და შემპარავი საყვედურით ეუბნებოდა დედაჩემი.

ილუშამ თავი მაღლა ასწია. მან გარშემო შემოკრებილ ხალხს თვალი მიმოავლო და მწყრალად შესძახა:

—კი მარა, საიდან აიღეთ რომ ყობიასათვის ვიკლავდი თავს?!. —ცოტა დუმილის შემდეგ მე შემომხედა საყვედურის თვალებით:

—ჩემი ცოდვა ედვას აი, იმ შავთვალებიანს, სიბნელეშიც რომ ანათებს.

—ვის ჰყავს შავთვალებიანი გოგო? —აფუსფუსდნენ დამსწრენი.

—უი, ახლა კი მივხვდი! ჩემი ციალასათვის იკლავდა თავს ნამდვილად, —აღნიშნა ერთმა მანდილოსანმა.

—არა, ქალო, სწორად ვერ მიმხვდარხარ! შენის კი არა და აგე, მე რომ მყავს, ჩემი ცქრიალა თამრიკოსთვის... —შენიშნა მეორემ.

—ფხუკ, ფხუკ... რამდენი სულელი გაუჩენია ამქვეყნად ღმერთს, —მომესმა უკნიდან. მოვიხედე და დავინახე რინა და მისი მომცინარი ელვარე თვალები. სწრაფად მივადე ხელები ყბებზე, რომ მისი სიცილი არ გაეგონათ და შეუმჩნევლად შევაგდე მახლობელ ოთახში.

—გაჩერდი, ნუ ფხუკუნებ! გინდა, რომ მართლა მოიკლას თავი?! თუ თავის დახრჩობის ეს სცენა გაითამაშა შესანიშნავად, აწი მართლა გინდა ნამდვილად მოხდეს თვითმკვლელობა? დამეკარგე აქედან. აქ აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა...

—ხა, ხა, ხა, ხა!.. წავალ, მართლა წავალ და აღარ მოვალ... მაგრამ ცოტა ხნით...

გავარდა, ქუჩა გადაირბინა. შემდეგ — მოპიდაპირე ტროტუარზე — ჩემკენ შემოტრიალდა და სიცილით გამომძახა:

—ლექციების მოსამზადებლად შენ გადმოდი ჩვენთან... ხა, ხა, ხა!.. —სიცილით ხელი დამიქნია და ჯეირანივით გაიქცა.

გაზ. „იმედი“, №№ 113, 116;
24, 31. 10. 75

# მარჩიელობა ვერიჩკასებურად

ჩვენს ნაცნობ ვერიჩკას, მართალია, კარის მეზობელ ზინიჩკასთან ხანდისხან „კონფლიქტი“ მოსდიოდა, მაგრამ დანარჩენ მეზობლებთან საკმაოდ მშვი-
-დობიანი ურთიერთობა ჰქონდა. და თვით მის მეზობლებს შორისაც დამკვიდრებულიყო ერთობ გულთბილი დამოკიდებულება. სოფლიდან ჩამოსული თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ილუშაც ჩქარა შეეწყო მდგმურებს. თავმდაბალ და ზრდილობიან ახალგაზრდას სალამს ვერავინ დაასწრებდა.

როდესაც მოხუცებულ ვერიჩკას ჰკითხავდა: –როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ვერიჩკა, –ეს უკანასკნელი, ყოველთვის ახალგაზრდული შემართებით, კეკლუცური მიხვრა-მოხვრით, ლაკონურად უპასუხებდა: –ჩიტივით!

და აი, მაშინ შეგეხედათ ჩვენი ილუშასთვის, რომელიც არაფერს იტყოდა, მაგრამ მისი სახე ასეთი პასუხისაგან გაკვირვებას გამოხატავდა. მაგრამ ილუშას ყველაზე მეტად ვერიჩკას მიერ წარმოებული დილის „ვაჭრობა“ აოცებდა. ყველასთვის ცნობილი იყო იმ დროს თბილისის პროდუქტების სიმცირე და სიძვირე, და როგორ ახერხებდა ეს მანდილოსანი, თუნდაც, მაგ. 3 მანეთიანი ხახვის ყიდვას მანეთად, ან ორმანეთიან ლობიოსას 50 კაპიკად – ეს ილუშას ვერაფრით გაეგო. მოგეხსენებათ, ხელმოკლე სტუდენტისათვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მანამდე კი, ვიდრე სიმართლეს გაიგებდა, პროვინციელი, ხალასი, თავმოყვარე ახალგაზრდა ტყუილისაგან თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, რადგან ვერიჩკას სიტყვას აყოლილი ბევრჯერ გაქცეულა იაფი პროდუქტის საყიდლად, უკან კი ხელცარიელი და გაბრიყვებული დაბრუნებულა.

ერთხელ ილუშა საღამო ხანს სახლში ბრუნდებოდა და ხელში ქაღალდში გახვეული რაღაც საგნები ეკავა.

–რა გიყიდია, ჩემო ილუშა, რა გიჭირავს ხელში? –შეეგება კიბის თავზე ვერიჩკა.

–მაკარონი, ქალბატონო ვერიჩკა, თეთრი მაკარონი, თათრის მოედანზე, მოსახვევში, ახლა გამოიტანეს, შვიდ შაურად ვიყიდე, –თქვა და იქვე იკვნიტა ენაზე, როდესაც დაინახა, რომ პასუხი დამთავრებულიც არ ჰქონდა, ისე გაჰქრა ვერიჩკა აივნის „ჰორიზონტიდან“. ის ილუშას მიერ მითითებული მაღაზიისკენ გაქანდა მაკარონის საყიდლად. ინანა გულში ბევრი ილუშამ, შერცხვა. ამას ვეღარ წარმოიდგენდა, რომ მოტყუებული მოხუცი გაიქცე-

ოდა.

მალე დაბრუნდა მეზობელი ვერიჩკა ხელცარიელი, მაგრამ როდი შეიმ-ჩნია რაიმე, იხტიბარგაუტეხავად, ყველას გასაგონად წარმოთქვამდა: —და-მაგვიანდა, ვერ მოვუსწარი, გათავებულაო.

ასე იყო თუ ისე, ერთხელ დილით ბაზარში ჩვენი ილუშა ხილს ყიდულობ-და. ამ დროს მოესმა ვერიჩკას ნაცნობი ხმა. მიიხედა. მისკენ ზურგით იდგა ვერიჩკა და ვიღაც უცნობ ქალს ესაუბრებოდა. ილუშამ თავისი ვაჭრობა გააჭიანურა, განიზრახა ვერიჩკას საუბრის დამთავრებას დალოდებოდა, რათა შემდეგ ენახა, თუ როგორ ვაჭრობდა იგი „იაფად". მაგრამ არ იქნა და არ გაათავა ლაპარაკი ვერიჩკამ. ილუშა, თუმცა არ იყო ცნობისმოყვარე ახალგაზრდა, მაგრამ უნებურად გახდა სხვისი საუბრის მოწმე, რაც იქვე დაავიწყებოდა, რომ შემდგომში ამ შემთხვევითობას თავისი შედეგი არ ჰქონოდა.

—სად აპირებ, თინიკო, ამ ზაფხულს დასვენებას?

—შავ ზღვაზე ვაპირებ, ქალბატონო ვერა, ჩვენ ყოველ ზაფხულს იქ დავდი-ვართ, მიჩვეულები ვართ, — უპასუხა ქალმა.

—როგორი სიმპათიურია შენი მეზობელი ქალი, რა ჰქვია, დამავიწყდა, ხო... ელიკო, ელიკო, ისიც შენთან მოდის დასასვენებლად? არა? აბა სად, ბორჯომში? იცოცხლე, იქ კარგია, მეც მინდოდა, მაგრამ ექიმებმა კისლა-ვოდსკა მირჩიეს. ხო და, ის შენი მეზობელი ისე ძალიან ლამაზია, რომ ალბათ მისი ქმარი, საწყალი, სულ ეჭვიანობს მასზე.

—უი, არა, რას ბრძანებთ, სულაც არ ეჭვიანობს, ქალბატონო ვერა. ის ქალი ძალიან პატიოსანია. პირიქით, მან არც კი იცის, რომ მის ქმარს ჰყავს საყვარელი. ჩვენ, ზოგიერთმა მეზობელმა ეს შევამჩნიეთ, მაგრამ გვეცოდება ქალი და არ ვეუბნებით.

—ეგ მეც კი ვიცოდი, —შენიშნა ვერიჩკამ, —ერთხელ მეც დავინახე. მგონი თავისი მეზობლის ქალია, აი, ის, შავგვრემანი ქალი რომ არის...

—არა, ქალბატონო ვერა, მეზობელი კი არა, თავისივე თანამშრომელია, არც შავგვრემანია. ის ქერაა, კინოშიც ერთად უნახავთ.

—კი, ვიცი, შემეშალა. ჰო, ქერა იყო მე რომ ვნახე. ლიდია ჰქვია.

—არა, მგონი ბელას ეძახიან, —უმარტავდა უცნობი ქალი.

მანდილოსნებს საუბარი გაუგრძელდათ. ილუშას, ცოტა არ იყოს, ეუცნაურა ვერიჩკას მიერ ასეთი „გამოკითხვა", გამოძიებას უფრო რომ წააგავდა. მაგრამ მალე მოწყინდა სხვისი საუბრის მოსმენა, მოხსნა თავისი „სათვალთვალო პოსტი" და გამოეშურა თავის გზაზე. მალე შინისკენ მიმავალმა ილუშამ კვლავ მოჰკრა თვალი მეზობლის ქალს ვერიჩკას, რომელიც ტროტუარზე, ბავშვებს შორის ჩამდგარიყო. როდესაც გვერდით ჩაუარა, აქაც უნებურად ყური მოჰკრა მათ დიალოგებს.

—ჩიტიკო, გვრიტიკო, რა ნიშანი მიიღე გეომეტრიაში? ხუთიანი? აი ყოჩაღ!

მამაშენს „ვოლგა“ ხომ არ მოუგია? სად აპირებთ წელს წასვლას? ბორჯომში? შენ, თამრიკო, რა ნიშნებს იღებ? იმ დღეს დედაშენი საკაბეს ყიდულობდა, შეიკერა?.. –მეტი აღარ მოუსმენია ჩვენს ილუშას და კვლავ განაგრძო გზა.

მაგრამ მას სულ გული წყდებოდა, რომ შემთხვევა „გაუშვა“ და ვერ წაესწრო ვერიჩკას „იაფ“ ვაჭრობას, ამიტომ ერთხელ კიდევ უკან მოიხედა და სწორედ ამ დროს ვერიჩკას გლეხი გაეჩერებინა და მისგან ბატს ყიდულობდა. ახლა კი შეუმჩნევლად გვერდულად მიუახლოვდა და ნათლად დაინახა, რომ გლეხს არც კი შეევაჭრა, ისე გამოსტაცა ხელიდან ბატი, თითქოს ეშინოდა არავის დაესწრო მისთვის და შვიდი თუმნიანიც (კარგა ძვირი ფასი იმ დროისათვის) გადაუთვალა.

მოხდა ისე, რომ იმ ზაფხულს ილუშას თანაკურსელმა ზურიკო მჭედლიშვილმა ბორჯომში მიიპატიჟა იგი.

ერთხელ, საღამო ხანს ბორჯომ-პარკში სკამზე ისხდნენ ილუშა, ზურიკო და მისი და ქეთინო, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი. მოგეხსენებათ, ბორჯომ-პარკში რომ ზიხარ, საუბრობ და თან ხალხს თვალს აყოლებ..

–უი, ზურიკო, გაიხედე, კიდევ გამოჩნდა ის მარჩიელი – ვერა, –თითქმის წამოიძახა ქეთინომ. ილუშამაც გაიხედა და სახტად დარჩა, რადგან თავისი მეზობელი ვერიჩკა შეიცნო, მაგრამ არაფერი თქვა, ოღონდ სახეზე გაოცება კი დაეტყო.

–რა, ილუშა, რა გაგიკვირდა, მან თავისი მკითხაობით მთელი ბორჯომი აალაპარაკა, –შენიშნა ქეთინომ.

–ნუთუ შენ, ქეთინო, განათლებულ ქალს მარჩიელობის გჯერა? –ჰკითხა ილუშამ.

–მოდი და ნუ დაიჯერებ, როდესაც სიმართლეს ეუბნება ადამიანს! აი, თუნდაც მეზობელი ვარდიკოს დამსვენებლის ამბავს გეტყვი. ამას წინათ თბილისიდან ერთი ქალი ისვენებდა თავისი ორი ბავშვით, სახელად ელიკო ერქვა. ერთხელ ელიკო პარკში იჯდა. გამოიარა აი, ამ მარჩიელმა, მიუჯდა მას და პირდაპირ მიმართა, მინდა გიმარჩიელოო. იმან იუარა:

–არ მინდა, თან ფული არა მაქვს თანაო.

–არ მინდა შენი ფული, ისე გეტყვი შენს ბედსო. აი, ახლა, როცა შენ აქ ზიხარ, შენი ქმარი იმ ქალაქში საყვარელთან დროს ატარებსო.

–ეგ შეუძლებელიაო, –შეუძახა თურმე ელიკომ.

–თუ გინდა ნუ დაიჯერებ, მაგრამ სიმართლეს შენც მალე შეიტყობო, –უთქვამს ამ მარჩიელს.

–მაშინ ისიც მითხარი, ვინ არის ჩემი ქმრის საყვარელიო, –უკითხავს ელიკოს.

–კი, ბატონო, მაგასაც გეტყვი. მაგრამ ამას უკვე ფულის გადახდა სჭირდებაო.

იქვე მჯდარმა დამსვენებლებმა ელიკოს ასესხეს ფული და თვითონაც, რაც

კი აღმოაჩნდა ხელჩანთაში, ყველა გადმოულაგა მარჩიელს. ამის შემდეგ ამ ვერა-მარჩიელმა გამოართვა მარცხენა ხელი, დაუხედა ხელის გულზე და განუცხადა, რომ ის ქალი მისივე სამსახურიდანაა, ქერაა და ბელა ჰქვიაო.

უნდა გენახათ რა დღეში ჩავარდა ჩვენი დამსვენებელი. დაკარგა მოსვენება. ბოლოს, მეგობრების რჩევით, ბავშვები სახლის პატრონს მიაბარა რამოდენიმე დღით, თვითონ კი თბილისისკენ გაეშურა, ეგებ რაიმე შევიტყოო. მართლაც, მოულოდნელად რომ მისულა სახლში და შეუღია კარი, დაუნახავს, რომ მისი ქმარი (რომელიც იმ დროს სამსახურში უნდა ყოფილიყო), ვიღაც ქერათმიან ქალთან ერთად მაგიდასთან იჯდა და ტკბილად მუსაიფობდა...

ამის დანახვაზე გაცეცხლებული ელიკო პირდაპირ სამზარეულოში შევარდნილა და დიდი დანისთვის წაუვლია ხელი, მაგრამ სანამ მოტრიალდებოდა, ქმარმა, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყოლია ცოლს, იქვე მდგარ წყლით სავსე ვედროს დაავლო ხელი და ცოლს თავზე გადაასხა.

—რას შვრები, კაცო, ეს რა არის, წყალს რატომ მასხავო, —უკიჟინია ელიკოს.

—არაფერი, ისე, ჩემო სულიკო-ელიკო, დაგინახე მზიდან გახურებული შემოხვედი, სახეზე ალმური აგდიოდა და გასაგრილებლად წყალი გადაგავლე. ცოტა კი ბევრი მომივიდა წყალი, მაგრამ მაპატიე, გენაცვალე... —ასე დაყვავებით დაუწყია ქმარს ლაპარაკი. თითქოს ცეცხლი გაუნელესო, მოწყვეტილი ელიკო ჩამომჯდარა სკამზე და დაუწყია ტირილი.

—მე ვიცოდი, ვიცოდი რომ მღალატობდი და აგერ მოგისწარი კიდეც, —ტირილით მოთქვამდა თურმე ელიკო, რომელსაც ცრემლები და წყლის წვეთები წურწურით ჩამოდიოდა სახეზე.

—როგორ გეკადრება, ჩემო სულიკო, სადაური ღალატია აქ?! არ იცნობ, ეს ხომ ჩვენი ბუღალტერია, არ იცნობ. მადლობის მაგიერია, არ შეგაწუხე, არ შეგატყობინე, მოვიწამლე, ავად ვიყავი და ვიწექი, მან კი სახლში ხელფასი მომიტანა და უწყისზედაც ხელი მოვუწერე, —თავს იმართლებდა ქმარი.

—სუ, სტყუი, ნუ იმართლებ თავს; მე ისეთმა მარჩიელმა მითხრა შენი ღალატის შესახებ, რომ ეს ნამდვილია და არ დაგიჯერებ შენ...

—მართალია, ქმარი თუ მისი „საყვარელი“ სიკვდილს გადაურჩნენ, —ასრულებდა ქეთინო მოყოლას, —მაგრამ ის ქალი გუშინწინ ჩამოვიდა, ბავშვები წაიყვანა და გაბრუნდა თბილისში. ასე ჩაუმწარდა საწყალ ქალს აგარაკიც და დასვენებაც. აი, ასეთი ამბავი მოხდა, შენ კი ამბობ, მარჩიელის რატომ გჯერაო...

იჯდა ჩვენი ილუშა და უსმენდა ამ უცნაურ ამბავს. ახლა კი ყველაფერი გაახსენდა — თვალწინაც წარმოუდგა მის მიერ მოსმენილი თათრის ბაზარში, თბილისში ვერიჩკას მიერ უცხო ქალის „დაკითხვა“, რასაც ასეთი სავალალო შედეგი მოჰყოლია.

ილუშამ მაინც დაინდო, არ გასწირა მეზობელი ვერიჩკა და მისი „ხრი-

კები“ არ გააშიშვლა. ის მარტო იმით დაკმაყოფილდა, რომ თავის არაებრაელ მეგობრებს განუმარტა შემდეგი — ებრაული რელიგია და მისი წმინდა თორა არ სცნობს არავითარ მისნობას თუ მარჩიელობას. ეს ეწინააღმდეგება ებრაულ წმინდა რელიგიას და თუ ამას მაინც ვინმე ებრაელი სჩადის, ეს შედეგია უცხო ხალხის ცრურწმენისა და ბნელი ჩვევების შეთვისებისა.

გაზ. „იმედი“, № 100, 24. 9. 75

## ბოდიში ვერიჩკასებურად

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ჩემი პატივცემული მეზობლები ვერიჩკა და ზინიჩკა. რა დამავიწყებს მათ. კარგად შემონახული, 8 ათეულ წელს მიღწეული ვერიჩკა, მისივე სიტყვით რომ აღვნიშნოთ, თავს გრძნობს „ჩიტივით“; ხოლო ზინიჩკა, მართალია, ეს ახალგაზრდა ქალი გახლავთ, ფერ-უმარილსაც საკმაოდ ბლომად ხმარობს, მაგრამ წვრილშვილზე ზრუნვა-გარჯამ ადრეულად მოტეხა. მეტად სასიამოვნო საყურებელი იყო, როდესაც ერთად იდგნენ და ტკბილად მუსაიფობდნენ. ერთმანეთს მხოლოდ და მხოლოდ „ჩემო ძვირფასო მეზობელო“-თი მიმართავდნენ. მაგრამ განა ისე გავიდოდა კვირა, რომ ეს „ძვირფასი“ მეზობლები არ წაკიდებულიყვნენ? რაზე? საერო საკითხების გარდა, რაზედაც გნებავთ, ყველაფერზე, მაგრამ უთუოდ წვრილმანზე. თითქოს რაღაც კანონის ძალით წაკიდებას უთუოდ შერიგება მოჰყვებოდა, რის შემდეგ კვლავ განახლებული ენერგიით, მეტი „ეშხით“ ისევ წაეკიდებოდნენ ერთმანეთს. და ასე გრძელდებოდა ყოველთვის.

აი, თუნდაც უკანასკნელად — კიდევ წაიკიდნენ იმის გამო, რომ ზინიჩკამ ოფიციალურად, ეზოში ყველა მეზობლის გასაგონად ვერიჩკას „დილის მამალი“ უწოდა.

ეს ასე დაიწყო. მხცოვან და ენერგიულ ვერიჩკას ჩვეულებად ჰქონდა უთენია, სისხამ დილით თბილისის ბაზრების შემოვლა. ბრუნდებოდა ისე, რომ ხელში ფრთებგაშლილი და დაბლა კისერწაგრძელებული ინდოურები ეკავა. კიბეზე ქშენა-ქშენით და ხმაურით ამოდიოდა. ინდოურების დაბინავების შემდეგ გადმოდგებოდა აივნის მოაჯირზე (იმ დროს ზინიჩკა ისევ ლოგინში იწვა და მეორე გვერდზე გადაბრუნებას აპირებდა) და ხმამაღლა მოჰყვებოდა ტრაბახს:

—ოთხი ბაზარი შემოვიარე და ვერაფერი ვიშოვე. ეს პატრონსაკვდავი ბაზრები სულ ცარიელია. ჩემთვის მოვდიოდი, გზაზე გლეხი შემომხვდა და სულ მუქთად შემომაძლია სულიერი. აბა, ხუთ მანეთად არ მეყიდა ოცდაათ-მანეთიანი ინდოური? რომ შეხედო, კამეჩი გეგონება. მუქთაა, მუქთა. ნა-პოვნია შვიდ მანეთობაზე ნაყიდი!

ამ დროს ვერიჩკასთვის რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ თავისთავს ელაპა-არაკებაო. მაგრამ ჭეშმარეტება ის უფრო იყო, რომ ამ სიტყვებს კარის „ძვირფას მეზობელ“ ზინიჩკას გასაგონად თუ გასაღიზიანებლად წარმოთქ-ვამდა. ცოტაოდენი პაუზის შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გადასძახებდა დაბლა მდგომ მეზობელს:

—ვართუშ, ვართუშ, ორი ღერი ფოთოლი პეტრუშკა გექნება. ოთხი ბაზარი შემოვიარე და, კაი მოგცეთ ღმერთმა, ყოლიფერი სიკეთე მე შემოვიტანე ოჯახში, მაგრამ მწვანილი დამავიწყდა.

—ვაა, ვერიჩკაჯან, აბა მაგას როგორ დაგიჯერ. აჰა, ჯიგარჯან, მოდი, წაიღე ბედრუჟკა რამდენიც გინდა! —ამოსძახებდა დაბლაურა მეზობელი.

და ასე იყო ყოველთვის... სანამ, ერთხელაც იყო და, ვეღარ მოითმინა ლოგინში ნებიერად მწოლიარე ზინიჩკამ, რომელმაც აივანზე გადმომდგარი მეზობლის „ქადაგი“ პირდაპირ გამოწვევად მიიღო; ადგა, გამოვარდა აივანზე და დაიძახა:

—ხალხო! გესმით, რას გვიშვება ეს დილის მამალი, ლოგინშიც აღარ მაყენებს, ძილს მიფრთხობს, რა უნდა ჩემგან... არაფერს უშავებ. არა და თუ მეჯიბრება, კერძებს მაგაზე უკეთესს კიდევ ვაკეთებ. ჩემი მომზადებული ტოლმები ვინ-მემ სათითოოდ რომ ასწონოს, ყველა ზუსტად ერთდაიგივე წონის გამოვა. მე რომ ვარიას შევწვავ, შეჭმა დაგენანებათ, პირდაპირ ვიტრინაზე დასადე-ბია. (მართლაც, ერთხელ მეზობლების შესახედად აივნის მაგიდაზე დადო ახლად შებრაწული ქათამი, რომელიც თვალის დახამხამებაზე ჩემმა ციმბი-რულმა კატამ ჩემი საწოლის ქვეშ შემოაგორა).

—შენ არ მომიკვდე, ჩემ ნიგვზიანს ვერასოდეს მიედაროს შენი ნათითხნი, —გამოეპასუხა ვერიჩკა.

—დაიცა, დაიცა, ხალხო. ყოველ ხუთშაბათს პეტრუშკას რომ ითხოვს, ამაში უთუოდ რაღაც კუდიანობაა. ეს რაღაც ეშმაკობით არის, ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს!.. —ასე მიმართა ახალამდგარმა, თმებდაუვარცხნელმა ზინიჩკამ დაბლაურა მეზობლებს, რამაც მაშინვე თავისი ქმედითი ძალა გამოიღო.

—ვაა, მაიცა, ტოო! ჩემმა მზემ, ზინაჯან, ეგ მართლა, მართლა რაღაძ არის! —ცოტა შეფიქრების შემდეგ ამოსძახა ვართუშამ. აქ სხვა მეზობლებმაც გამოჰყვეს თავი.

—რაღა სულ ხუთშაბათს გავიძღდება ეგ ოხერი ბედრუჟკა? —გამოეხმა-ურა მეორე მეზობელი, აღუნიკა, —ეგ რაღაძას ნიშნავს.

ახლა იჩინა „სტიქიამ“ თავი და გაცეცხლებული ვერიჩკა ეცა „ძვირფას“

მეზობელს. იფეთქა, მაგრამ რა იფეთქა. ისეთი სკანდალი მეზობლებს შორის აშოროს ყველა ისრაელისშვილს. არც ერთი მხარე არ აკლებდა ერთმანეთს „შესამკობელ“ სიტყვებს.

გავიდა დღეები. „ძვირფასი“ მეზობლები უბრად იყვნენ. მოახლოვდა ქიფურის უქმეც. აქ კი ისევ ვერიჩკამ, მოგეხსენებათ, როგორც უფროსმა მანდილოსანმა, როდესაც დედოფალივით თეთრებში გამოწყობილი სალოცავში წასავლელად გაემზადა, ჩამოუარა ყველა მეზობელს კარზე მეხილის სათხოვნელად. ბოლოს „ძვირფას“ მეზობელ ზინიჩკასთანაც მივიდა, მეხილაც მოთხოვა და ყოველივე კარგი უსურვა მას და მის ოჯახს.

როგორც კი გაისტუმრეს აღნიშნული, ეს საპატივცემულო უქმე, მეორე დღესვე ვერიჩკა სისხამ დილით აიტუზა ზინიჩკას სახლის კარებთან და განუცხადა:

—არავითარი ბოდიში, მართალი არ გეგონოს ჩემი მეხილა, ქიფურის წინ რომ გითხარი, არ დამელაპარაკო, ხმას არ გაგცემ!

და წავიდა წელი ისევ ძველებურადა, ჩვეულებრივადა...

გაზ. „იმედი“, № 96; 12. 9. 75

## საბედისწერო მუთაქა

დამთავრდა სასწავლო წელი. ახლა თავისუფალი დრო მქონდა. გადავწყვიტე პირველ რიგში მომენახულებინა ბიცოლა მანია, რომელიც დიდი ხანია არ მენახა.

ადრიანი ზაფხულის დილა იყო. ავიარე მახლობელი აღმართი-ქუჩა და მივადექი დაბალ სადგომს. შევაღე კარი და დავინახე ოთახში თავწაკრული და წელგაკრული მოფუსფუსე ბიცოლაჩემი. ხელში ცოცხი ეჭირა და ცდილობდა ნაგვისათვის თავი მოეყარა.

—დილა მშვიდობისა, ბიცოლა მანია, —მივესალმე კარებიდანვე.

—უი, შემოდი, გენაცვალოს ბიცოლაშენი. მოდი, მოდი. გამიხარდა შენი ნახვა, შენ გაგახაროს ღმერთმა. შემოდი, ნუ გრცხვენია, —ასეთი გულთბილი სიტყვით შემომეგება მანია-ბიცოლა, ცოცხი ფეხებთან დაიგდო, ხელით ცხვირი მოისრისა და ოდნავ წელში გასწორდა.

—როგორ გიკითხო, ბიცოლა, როგორა ხარ?

—შენი მტერი იქნა ისე, მე რომ ვარ. აბა, განა ასეთი ვიყავი წინათ? ბიცოლაშვილობამ, ადრე რომ გენახე, ვერ მიცნობდი. დამღუპა ბიძაშენმა, დამღუპა! ჩემისთანა ქალი მთელ დედულეთში მეორე არ დაიარებოდა. სახელმწიფო ქალი ვიყავი, უბრალო კი არა, ყველა თავადიშვილს ჩემზე რჩებოდა

თვალი. აი, როგორ აგიხსნა და, ლობიოში რომ მუხუდოს გამოარჩევ, ხო იცი, აი, ისე გამოვირჩეოდი მთელი ჩვენი მხრის ქალებში, აბა! —ასე მესაუბრებოდა ნაგავთან გაჩერებული დოინჯშემოყრილი მანია-ბიცოლა.

—ახლა კი, —განაგრძობდა ბიცოლაჩემი, თან გამურული თითებით წარამარა ცხვირს ისრესდა, რის გამოც ცხვირის ნესტოებიც შავად მოუჩანდა, —ამ დღეში ჩამაგდო ბიძაშენმა. დამღუპა, ბიცოლაშვილობამ, დამღუპა, მარემა ახლა რა ვქნა.

ეს ამბავი ბიცოლაჩემისაგან პირველად როდი მესმოდა. მაგრამ ახლა, თითქოს რაღაც უნდა მეთქვა და უნებურად ვიკითხე:

—რით დაგღუპა, ბიცოლა, ბიძაჩემმა?

—რითი და, აი, ამ დღეში რომ მხედავ... მერედა, აქ რომ მომიყვანა და ასე რომ ვარ... ბიცოლაშვილობამ, ამნაირი როდი ვიყავი...

წყნარი მოსწავლესავით დიდხანს ვუსმენდი. ბოლოს გავიფიქრე, რომ დადგა წასვლის დრო, რადგან მისი მონახულების მისია შესრულებული მქონდა. წამოვდექი და წასასვლელად გავემზადე. მაგრამ თავისივე თხრობით გატაცებული ბიცოლა ამას როდი ამჩნევდა. ახლა კარებს მივუახლოვდი და სახელურს მოვკიდე ხელი გამოსაღებად. ესეც ვერ შეამჩნია. ბოლოს როგორც იქნა მიხვდა, რომ წასვლას ვაპირებდი და ენერგიულად გადამიდგა წინ.

—უი! დაგენაცვლოს ჩემი თავი, ასე როგორ გაგიშვებ. შემოდი, შემოდი, რა დროს წასვლაა. ერთი ჩემი ნახელავი კაკლის მურაბა გასინჯე.

არ მომეშვა და მეც დავყევი. მურაბა მართლაც გემრიელი გამოდგა.

სიამოვნებით ვახრამუნებდი ჩაშაქრულ კაკალს, მაგრამ, ოი... სასწაული! უცებ კედელზე შევნიშნე მურაბისფერი მცოცავი ბაღლინჯო და პირი ღია დამრჩა. ლუკმა ვერც გადავყლაპე და ვერც გადმოვაგდე პირიდან, რადგან ბიცოლა თავზე მადგა და, რომ დაენახა, ეწყინებოდა. ბოლოს როგორც იქნა, გაჭირვებით გადავყლაპე ლუკმა და დანარჩენზე კი ჯიუტად უარი განვაცხადე.

წამოვდექი, გავიარ-გამოვიარე, მიმოვიხედე. უცებ რაღაცა აზრი დამებადა და იმწამსვე მივმართე:

—ბიცოლა, მოდი დაგეხმარები და ეს ლოგინები გავამზეურთ ჰაერზე.

პასუხი არც კი ვაცალე, რაც კი ხელში მომხვდა, გავარბენინე იქვე ეზოში.

—უიმე, შვილო, ნუ სწუხდები, ჩემი პატივისცემის მაგიერია? სტუმარი ხარ და შენ რატომ უნდა გაისარჯო? —ამ სიტყვებით მომდევდა ბიცოლა და ვერც მეწეოდა.

—არა უშავს, სწავლა დავამთავრე და ახლა ცოტა საქმე კიდეც მომიხდება, —მივუგე და თანაც გრძელ ჯოხს რაც ძალა და ღონე მქონდა ვურტყამდი ბალიშებს და მუთაქებს.

ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა მუთაქამ მიიპყრო. გაუთავებლად მიდი-მოდიოდნენ ზედ წითელი ჯარისკაცებივით ბაღლინჯოები. ასეთი

არაფერი მენახა. ვერ ვკადრე ვერაფერი „ხელმწიფისდაგვარ“ ბიცოლას. რა მექნა? თითქოს რაღაცამ დამარტყაო, ისე გამიელვა აზრმა და სწრაფად მისი სისრულეში მოყვანა დავიწყე. შევვარდი ოთახში გამოვიტანე იქიდან ასანთი, ის საბედისწერო მუთაქა წავიღე ეზოს ბოლოში, გადავავლე ნავთი და წავუკიდე ცეცხლი. ვფიქრობდი, რომ მაგიერს ჩემი სახლიდან მოვუტანდი. ის იყო, რომ მუთაქამ აკვამლება დაიწყო, რომ მომესმა ბიცოლაჩემის საშინელი კივილი:

—უიმე! ბინია, შენ მოგიკვდეს ჩემი თავი! ახლა კი დაგღუპე. რაღა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდე! —თავში ცემით გაჰკიოდა იგი.

გაოცებული შევყურებდი. ვერ გამეგო — ძველი, ჭუჭყიანი მუთაქის დაწვას როგორ უნდა გამოეწვია ბიძაჩემის დაღუპვა!

ბიცოლამ შეიხსნა თავსაკრავი, წელსაკრავი, ყველაფერი რაც ხელთ ჰქონდა გადააფარა ცეცხლმოკიდებულ მუთაქას და როგორც იქნა ცეცხლი ჩააქრო. დაწვას გადარჩენილი მუთაქა ჩახუტებული გაარბენინა სახლისაკენ.

დარცხვენილი და აწითლებული, დამნაშევესავით გავბრუნდი შინისაკენ.

ბოლოს შევიტყვე, რომ ის „საბედისწერო მუთაქა“ კრიალ-კრიალა ოქროების შემნახველი სალარო ყოფილა ბიძიას ოჯახში.

გაზ. „იმედი“, №94, 5. 9. 7

## მოსკოვ-რიგის მატარებელში

მოსკოვ-რიგის მატარებელი ზაფხულში გადატვირთულია. ძლივს ვიშოვნე ბილეთი, ისიც საერთო, მაგარ პლაცკარტიან ვაგონში.

მატარებლის გასვლას სულ რამოდენიმე წუთიღა აკლდა, როცა ვაგონის საფეხურზე ფეხი ავდგი. ძმა მაცილებდა, ღელავდა, არ შეეძლო თავისი თვალით არ ენახა ვაგონში როგორ მოვეწყე, ვინ იქნებოდა ჩემი თანამგზავრი და სხვ. გამყოლმა ვაგონში არ ამოუშვა, საამისო დრო აღარ დარჩაო.

ვაგონში მე მოვძებნე ჩემი ადგილი და სწრაფად მივბრუნდი ფანჯრისაკენ. დაბლა, ბაქანზე ძმა ჩემგან პასუხს ელოდა.

—დარდი ნუ გაქვს. კარგად... შესანიშნავად მოვეწყე! —გადავძახე და ნაძალადევადაც გავუღიმე. მატარებელი დაიძრა. გაღიმებულმა ისევ ვანუგეშე და დასამშვიდობებლად ხელი დავუქნიე. ოო! მას რომ ის სცოდნოდა, რა გარემოშიც მოვხვდი, უსათუოდ კაბის კალთიდან დამითრევდა, ჩამომსვამდა ვაგონიდან და რიგის დათვალიერების განზრახვას ჩამიშლიდა.

ვაგონში შესვლისთანავე სახეში ალკოჰოლის სუნი მეცა. ჰაერში პაპიროსის ბოლის დაკლაკნილი, ხშირი ფარდები ეკიდა. მგზავრთა თვალები არ-

აბუნებრივად პრიალებდნენ.

მე მქონდა აღებული ბილეთი დაბლა ადგილზე. ჩემს მოპირდაპირე მხარეს ახალგაზრდა წყვილი — ცოლ-ქმარი ისხდა. ქმარი მეზღვაური აღმოჩნდა. თვალში იქვე გხვდებოდათ მეზღვაურის სახე. სახის მარცხენა მხარე გვერდზე მოღრეცოდა.

—მე კოლია მქვია, — გამეცნო თანამგზავრი მეზღვაური, —სახეზე დამბლა სმის შედეგად დამემართა, —თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე დამიწყო თავის მდგომარეობის ახსნა მეზღვაურმა და იქვე განაგრძო: —თქვენ იცით, რომ ექიმმა კატეგორიულად ამიკრძალა სასმელი და მეც გადავწყვიტე აღარასოდეს არ დავლიო? აი მაგალითად, დღეს მე არც ერთი წვეთი არ მიგემია...

უნებურად თვალი მაგიდისაკენ გავაყოლე, სადაც ნაირ-ნაირი ალკოჰოლიანი სასმელები ეწყო და ამავე დროს ერთი ბოთლი უკვე დაცლაზე იყო.

—მაშ, თუ ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება მიგიღიათ, —ფრთხილად შევბედე, —ამოდენა სასმელები რატომ წამოგიღიათ?

—ეს ისე, —ხელის აქნევით და დარცხვენილი ღიმილით მიპასუხა კოლიამ, —თან მიმაქვს, მე თვითონ არ დავლევ, ხანდისხან ჩემი მეუღლე გადაკრავს ხოლმე.

ჩემს ადგილზე გვერდით შუა ხნის მამაკაცი ჩამომჯდარიყო. მისი წყლისფერი თვალები უაზროდ იყურებოდნენ. მისგან სახეში სპირტის სუნი მცემდა. მალე მან სიმღერაც წამოიწყო. ემჩნეოდა, რომ ის სულაც არ აპირებდა მაღლა, თავის ადგილზე აბრძანებას. სწრაფად გავიფიქრე, რომ მისთვისაც და ჩემთვისაც სჯობდა, რომ მისთვის გამეცვალა ადგილი.

—თუ თქვენ დაბლა საწოლი გირჩევნიათ, მე ავალ მაღლა, —ფრთხილად მივმართე გამოლენჩებულ თანამგზავრს. მომეჩვენა, რომ მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. წამოვდექი და მაღლა ასასვლელად გავემზადე. უცებ, მოულოდნელად ვიგრძენი ძლიერი ჩარტყმა ფერდში... სიმწრისაგან და სიბრაზისაგან თვალთ დამიბნელდა. თავი შევიკავე, რომ არ წავქცეულიყავი. გავდექი განზე და ვხედავ, ჩემი მთვრალი თანამგზავრი, რომელსაც ადგილი გავუცვალე, წამომდგარიყო, მაგრამ ბარბაცებდა, ენას ძლივს ატრიალებდა პირში და რაღაცას ბოდიალობდა. ძლივს გავარკვიე:

—იცით თქვენ მე როგორ ვურტყამ ჩემს სიდედრს? აი, ასე! —და კვლავ ჩემსკენ გამოაქანა ჩასარტყმელად მუშტი, მაგრამ აქ მე ინსტიქტურად შევაგებე წიხლი, ისეთი წიხლი, რომელსაც ადამიანებს კი არ აკადრებენ, არამედ ურჩ სახედარს. ჩემი მოწინააღმდეგე იატაკზე გაიშხლართა მთელი სიგრძით. ჩემი „ლამაზი“ პანღურით ნათავაზევი ადგილიდან აღარ იძროდა, რაღაცას კი ბოდიალობდა, მაგრამ გარკვეულად გაიძახოდა სიტყვებს, რომელიც თითქოს ბავშვობიდანვე გაუზეპირებიაო:

—ყველაფერში ჟიიდები, ჟიიიიდები არიან დამნაშევენი!

ვითომ არაფერი მომხდარა, გარშემო მჯდომი მგზავრები ამ სცენას გულ-

გრილად შეხვდნენ, თითქოს ეს მათთვის ჩვეულებრივი რამაა, რაც ყურადღების ღირსი არც არის. მე კი ჩემს მიერ დანარცხებულ „მტერს“, ვით „ბიბლიურმა იაელმა თავის მიერ მოკლულ სისრას“ გადავაბიჯე და გავემართე ვაგონის გამყოლისაკენ.

ღმერთი დიდია! კიდევ კარგი, რომ მთელს ვაგონში ფხიზელი მარტო გამყოლი აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი, როგორც შემდეგ შევიტყვე, აღმოჩნდა სტუდენტი და ზაფხულის არდადეგების დროს ცოტაოდენი ფულის საშოვნელად დაჰყვებოდა მატარებელს. მე მას კატეგორიულად განვუცხადე, რომ უზრუნველეყო ჩემი მშვიდობიანი მგზავრობა. ისიც მზად იყო დამხმარებოდა, მაგრამ მთელს ვაგონში არ აღმოჩნდა ჩემთვის შესაფერისი ადგილი, რომ გადავეყვანე სხვაგან. ყველგან გალეშილი მთვრალები იყვნენ. მაშინ გამყოლმა ჩემს თანამგზავრებს ბრძანების კილოთი მიმართა, რომ არავის არ ეხლო ჩემთვის ხელი და არც სიტყვით ეკადრებინა რაიმე. –წინააღმდეგ შემთხვევაში, –ყველას ემუქრებოდა გამყოლი, მატარებლიდან ჩაიყვანდა და შეიძლება მილიციისთვისაც გადაეცა.

იატაკზე გაშხლართულს თითქოს ჩაეძინა და კარგადაც ხვრინავდა. გამყოლმა ის დიდი წვალებით გადაათრია ქვედა საწოლზე. ამის შემდეგ მეც ავედი ზედა საწოლზე და მოვეწყვე.

ახლა გამახსენდა, რომ მძახალმა ჩანთაში სამგზავრო საუზმე ჩამილაგა, კარგი ძეხვი, ნამცხვარი და სხვა. გავხსენი საგულდაგულოდ შეხვეული ბუტერბროდები, მაგრამ უსიამოვნო სპირტისა და ოფლის სუნმა საჭმელს გემო დაუკარგა. ისევ ჩავალაგე უკან, მივბრუნდი კედლისაკენ და დავხუჭე თვალები. ძილი არ მეკარებოდა. მახსოვს, ერთხელ დაბლა ჩემს თანამგზავრებს გადმოვხედე და ვხედავ, რომ მეზღვაურ კოლიას არყის ბოთლი მოუყუდებია და წრუპავს... მან შენიშნა ჩემი მზერა და დამიწყო თავის მართლება:

–იცით, მთელი დღის განმავლობაში სასმელი ხელში არ ამიღია. ეს მხოლოდ ერთი წვეთი... მხოლოდ ერთი წვეთი.

თვალი შევავლე მაგიდაზე ბოთლებს, რომლებიც საგრძნობლად დაცარიელებულიყვნენ.

„ჯანდაბას შენი თავი. შენ თუ შენი თავი არ გენაღვლება...“ –გავიფიქრე და კედლისკენ მივბრუნდი. შუა ღამე იყო. ძილმა წამტყუა. უცებ რაღაც შეუცნობელმა გრძნობამ გამომაღვიძა, გადმოვბრუნდი და ვხედავ, ოი, რას ვხედავ... არ ვუჯერი თვალებს. ხელით თვალები მოვიფშვნიტე... ჩემს პირდაპირ გასასვლელის გვერდითი საწოლის მაღლა ადგილზე წამომჯდარიყო მგზავრი. ზემო ჩაცმულობის მიხედვით ის სამხედრო ოფიცერი უნდა ყოფილიყო, ხოლო ქვედა საცვალი მას სულ არ ეცვა. ფეხები დაბლა ჩამოეშვა, შორს, გაოგნებული, უაზრო ჭროღა თვალებით სივრცეში იცქირებოდა და ასეთნაირ ფორმაში მაღლიდან დაბლა კარგი შადრევანივით უშვებდა... სპირტისა და ოფლის სუნს ახლა შარდის სუნი მიემატა. სწრაფად წამოხტა

მისი მეუღლე დაბლა საწოლიდან, სწვდა თავის ქმარს ფეხებში და დაუწყო დაბლა ჩამოთრევა.

—ვასია, ვასია, გესმის? შენ ტუალეტში არა ხარ, ახლავე შესწყვიტე! —და ამ სიტყვებით მთელი სიძლიერით ჩამოათრია ძირს, მძიმე ტომარასავით მხარზე წამოიგდო და თრევა-თრევით გაათრია ტუალეტისაკენ. მაგრამ რაღა დროს, როცა ვაგონის მთელი გასასვლელი ტბორით დაიფარა.

ღამე თეთრად დამათენდა. დილით შევედით რიგაში. ჩამოვდგი ფეხი ჩემი ზემო სამყოფელიდან, მაგრამ ფეხქვეშ მედებოდა იატაკზე მოსრიალე დაცლილი კონიაკის ბოთლები. ბარბაცით ჩამოვედი ვაგონიდან. ბაქანზე ჩემი რიგელი მასპინძლები — დავითი და მისი მეუღლე რინა — გორდონები დამხვდნენ.

—ვერ იმგზავრეთ კარგად? —მისალმების შემდეგ მეკითხება რინა. ალბათ სახეზე ძლიერი მოთენთილობა მეტყობოდა, რომ დამხვდურმა ასე მკითხა.

—არა... კი... ხო, „შესანიშნავად“ ვიმგზავრე მე, მხოლოდ მთვრალი ვარ, —ვუპასუხე და მთვრალი კაცივით მსახიობურად დავიწყე ბარბაცი.

—როგორ?! როგორ, თქვენ დალიეთ?! —გაოცებით და ღიმილით ერთხმად წამოიძახეს ცოლ-ქმარმა.

—არა, არ დამილევია არც ერთი წვეთი, მაგრამ მაინც დავითვერი... სუნით.

—ააა! —ახლა კი მიმიხვდნენ მასპინძლები და გულიანად გადაიხარხარეს.

## დაიტირეს უცხო კაცი

როგორც ყოველთვის, ახლაც შეიკრიბა მეგობართა ვიწრო წრე. თვითოეულს სწადია რაღაც თქვას, გაართოს და გააცინოს ამხანაგები.

—ახლა მე მოგიყვებით ისეთ ამბავს, რომელიც არსად წაგიკითხავთ და არც გსმენიათ, —თქვა ბოლოს პირმცინარე რობერტმა. — არ გეგონოთ მონაგონი, ნამდვილს მოგახსენებთ.

ამხანაგები სმენად იქცნენ.

—შემთხვევა ტრაგი-კომიკურია, —დაიწყო რობერტმა, —ეს მოხდა დაახლოებით 60-იან წლებში, ჩვენთან, ქუთაისში.

ერთი მეოჯახე კაცი, ვინმე გიგლა ნასიძე ხილითა და დაფნის ფოთლით დატვირთული ორი ჩემოდნით სავაჭროდ მოსკოვს გაფრინდა. ბედმა გაუღიმა. მოსკოვის ბაზრის მუშტრებმა ჩქარა და სარფიანად გაუსაღეს საქონელი. ჩვენი გიგლა კარგ ხასიათზე დადგა. ჯიბეები ფულით გაევსო. რომ იტყვიან, გული და სული უმღეროდა. „რას ვჩქარობ, ნეტავი, სახლისაკენ? —გაიფიქრა, —მოვასწრებ. მოდი, ამ მოსკოვში პატარა თვალს წყალს დავალევინებო.“ ოჯახში ჩასატანი ნავაჭრი ფული საბუთებთან ერთად საგულდაგულოდ შარვლის უკანა ჯიბეში შეინახა, ხოლო თავისთვის სახარჯავი ფული პიჯაკის

ზემო ჯიბეებში ჩაიდო. დაადგა მოსკოვის ქუჩებს. კაფე არ გამოსტოვა და რესტორანი. საღამო ხანს „ცოტა გადაკრულს“ ხალხით გაჭედილ ავტობუსში მოუწია ასვლა. აქ ქურდმა იხელთა და ჩვენს გიგლას შეუმჩნევლად შარვლის უკანა ჯიბე დაუცარიელა. არაფერი უგრძვნია გიგლას.

იმ ბედკრულმა ქურდმა მეტი სიფრთხილისათვის „გაუჩინარება“ ამჯობინა და იმ წამსვე გაუჩერებელი ავტობუსიდან ჩახტა. სწორედ აქ უმტყუნა საცოდავს ბედმა. უკნიდან მომავალი მანქანა დაეჯახა და წინ გადაგდება არ ეყო, თავი სულ გაუჭეჭყა.

შემთხვევის ადგილას სწრაფად გაჩნდა ხალხი. მოვიდნენ სამედიცინო სასწრაფო დახმარების და მილიციის მუშაკები. მაგრამ ჩვენი ნაცნობი ქურდი მკვდარი იყო.

მილიციის უბედურ შემთხვევათა განყოფილებაში დაღუპულ გიგლას ახლახან მოპარული საბუთებისა და ფულის გარდა სხვა არაფერი აღმოაჩნდა. სახე დასახიჩრებული ჰქონდა. საბუთების მიხედვით იგი გიგლად ჩასთვალეს და მოსკოვის ერთ-ერთ სასაფლაოზე მიწას მიაბარეს. გიგლას ვინაობის მიხედვით ამის შემდეგ აცნობეს ნასიძეების ოჯახს ქუთაისში, რომ დაიღუპა უბედური შემთხვევის გამო „გიგლა ვარლამის ძე ნასიძე“ და ითხოვდნენ რათა გიგლას კუთვნილი ფულისა და საბუთების მისაღებად ვინმე ახლობელი გამოცხადებულიყო მათთან.

ჩვენს მტერს, რაც ნასიძეების ოჯახში დატრიალდა. ქალების წივილ-კივილი ზეცაში ადიოდა. ახლობლები, მეზობლები, ნაცნობ-უცნობები, ყველა მათკენ მიემართებოდა სამძიმრის გამოსაცხადებლად. გიგლას შეუღლე და ახლობლები სასწრაფოდ გაფრინდნენ მოსკოვს მის საფლავზე დასატირებლად. შემდეგ ქუთაისში გამობრუნდნენ შესაფერისი ქელეხის მოსამზადებლად. გიგლას ძმები და ცოლისძმები მოსკოვში დარჩნენ გიგლას კუთვნილი ფულისა და საბუთების მისაღებად და, რაც მთავარი იყო, ნეშტის ქუთაისში გადმოსასვენებლად.

გავიდა რამდენიმე დღე.

გამოტირილი არც იყო დამთავრებული, რომ ჩვენი გმირი, ნამდვილი გიგლა ქუთაისში დაბრუნდა. სადგურზე ტაქსი აიყვანა და სახლისაკენ გამოემართა. გზაში გიგლა ვერც ამჩნევდა, თუ როგორი გაოცებული სახით უმზერდა მას ტაქსის მძღოლი. მძღოლის გაოცება იმით იყო გამოწვეული, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში მან არაერთი მგზავრი გადმოსვა გიგლას სახლთან, სადაც უამრავი ხალხი ტრიალებდა. მისთვის უკვე ცნობილი იყო მომხდარი „უბედურების“ შესახებ. თვითონ გიგლას სახე ქუთაისელ მძღოლს ეცნობებოდა. ბოლოს სიჩუმე დაარღვია და მგზავრს მიმართა:

—ძმობილო, რაღაც მეცნობი. ხომ არ მეტყვი შენს სახელს ან ვინაობას?

—გიგლა, ბატონო. აქ გახლავთ ჩემი სახლი, გამიჩერე, — მიუთითა გიგლამ და შემდეგ თავაზიანობისათვის თვითონაც იკითხა, შენ რომელი ბრძანდებიო.

—მართლა გიგლა ხარ და ეს შენი სახლია?! —პასუხის ნაცვლად ისევ ეკითხება მძღოლი.

—რას გაიოცე, ძამიკო! ალბათ ვინმეში გეშლები. მერე რაა? ხდება!

—შეიძლება... მართლა მეშლება, —დასძინა მძღოლმა და უცნაური გამომეტყველებით მანქანის ძრავს ხელი დააჭირა. მაგრამ წასვლას არ ჩქარობდა. სახლისკენ მიმავალ გიგლას ქურდულად თვალს აყოლებდა.

გაიღო სახლის კარი. აივანზე ძაძებში ჩაცმული გამოდიოდა ახალგაზრდა ქალი. ქალმა ხელით სახეზე მოიჩრდილა და სახლისკენ მიმავლისაკენ გაიხედა. შავებში გამოწყობილი ცოლი რომ დაინახა, გიგლამ ერთი ისეთი დაიყვირა, თითქოს იქექაო.

—ვაიმე, ლელა, ვაი ჩემს თავს უბედურს! —და ხელებგაშლილი გამოიქცა ცოლისკენ, —ბოვშვები ხომ კარგად არიანო!

გიგლას დანახვაზე ლელამ ერთი იკივლა და იქვე ჩაიკეცა. სახლიდან გამოცვივდნენ ქალები და ბავშვები. აივანზე წაქცეული ლელა რომ დაინახეს, ყველა მას მისცვივდა და ვერ შეამჩნიეს, რომ მათთან ერთად გიგლაც მიუახლოვდა. უცებ, ჯერ ერთმა იკივლა, მერე მას მიჰყვა დანარჩენნიც. ატყდა საერთო წივილ-კივილი. ხომ არ შეიძლებოდა ყველას მოჩვენებოდა დალანდება. არც ისე დაღამებული იყო, ელნათურებიც უკვე აინთო, მოჩვენებები კი სინათლეზე არ გამოდიან. იქ მდგომი კაცი, მათ მიერ უკვე გამოტირებული, მართალი გიგლა იყო.

როცა ლელა გონს მოვიდა და ყველა ნელ-ნელა გამოფხიზლდა ცხადად ნახული საოცრებისაგან, პირველი და მთავარი საზრუნავი ის შეიქნა, რომ სწრაფად ეცნობებინათ მოსკოვში დარჩენილი გიგლას ძმებისათვის და მისი ცოლისძმებისათ-ვის, რათა არ ჩამოესვენებინათ ნასიძეების ოჯახში უცხო კაცის ნეშტი.

ჟურნ. „დროშა“ №50 (1989 წ.)



## თელ-ავივის თახანა მერქაზითი

ახალი ჩამოსული ვარ. შთაბეჭდილებები თავში მერევა. აღტაცებაში მოვყავარ ფერადი ქვაფენილითა და კოხტად შეჭრილი გაზონებით კეთილმოწყობილ რამათ-ავივს; ჰაბიმას თეატრის ორიგინალური ნაგებობა? მის შესახებ ხომ ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს მსმენია; ბაღები თუ პარკები, რა რიგად ლამაზია საქალაქო საბჭოს წინ გაჩირაღდნებული და შადრევნებიანი მალხეი ისრაელის მოედანი. დღესასწაულების დროს აქ ხომ ნამდვილი სახალხო ზეიმი იმართება; ეინშტეინის გამზირი თუ უნივერ-

სიტეტის ქალაქი, ვეიცმანის თუ იბნ-გებიროლის ქუჩები; რომელი ერთი აღვნიშნოთ ამ, არც თუ ისე დიდი ხნის წინ უდაბურ ადგილზე აღმოცენებული ქალაქის ღირსშესანიშნაობაზე? როგორც ვათიკები იტყვიან, მათ დროს ახლან-დელი დიზენგოფის მოედნიდან ზღვა მოჩანდა და გზებზე აქლემები დადიოდნენო. დღეს კი? დღეს ვირტუოზულად მოძრავი ავტობუსები საით არ გინდათ, რომ არ მიგაქანებდნენ.

მაგრამ, ოი, ეს თახანათ მერქაზითი! ეს განთქმული „მელუხლახ" თახანათ-მერქაზითი. ჩემს დას მოთმინება როდი ჰყოფნის და როცა აქ მოხვდება, ჩქარა გარბის, სურს მალე გასცილდეს აქაურობას. გარბის. მინახავს, როგორ გარბიან სხვებიც. განსაკუთრებით „ახალ-ახალი" ოლე-ხადაშები გაურბიან ამ არაესთეტიკურ კუთხეს. მაგრამ განა ყველა გარბის? პირიქით, არიან, რომ სულაც არ ჩქარობენ, ნელა და ყურადღებით ტრიალებენ თახანათ-მერქაზითის ტერიტორიაზე და შემდეგ კარგა დატვირთულნი მიეშურებიან შინისაკენ. მეც ცნობისმოყვარეობა მძლევს. რას არ ნახავს აქა კაცი! ცხენი არ იყიდება აქ, თორემ რაღა არ არის ამ ნაგვიან ტერიტორიაზე.

უნებურად მახსენდება ერთი რაჭველის სიტყვები. როცა ის პირველად თბილისში მოხვდა, ნათესავებმა ადელხანოვების ქარვასლაში წაიყვანეს ფეხსაცმლის საყიდლად. რაჭაში დაბრუნებისას თანასოფლელების კითხვაზე: „რა ნახე ქალაქშიო", რაჭველს უპასუხნია:

—ქვე შენი ჭირიმე, ვნახე ჩუსტები, მერე კიდევ ჩუსტები, და კიდევ ჩუსტები და სულ ჩუსტები.

განა მეც იმ რაჭველივით არ მივწერე იქითა მხარეს დარჩენილ მეგობრებს? —„რას არ ნახავს კაცი აქ, —ხაზს ვუსვამდი ამ საკითხს წერილში, —სულ „შმოტკები", „შმოტკები", „შმოტკები".

და მარტო შმოტკები ხომ არაა?! აგერ, ქუჩის მეორე მხარეს პროდუქციის სიუხვეს ნახავთ, მოშაველებს თავიანთი დოვლათი გადმოულაგებიათ. ტროტუარის მარჯვენა მხარეს ხილის, ბოსტნეულისა თუ სხვადასხვა ნუგბარების მთელი რიგია. ვაჰ, ვაჰ, სულო და გულო! ტროტუარის მარცხნივ კი — ნაგავი, ნაგავი, ნაგავი...

და შენც მიდიხარ ამ „ხეივანში" და მოგძახის გამყიდველი:

—გევერეთ! გევერეთ! ხამეშ ლიროთ! „ქინერეთ", „იონათან", „ზე ახარონა", გევერეთ! —და ისე მოგძახის, ჯიბეში უკანასკნელი ხუთი ლირაც რომ გედოს, ვერ გაივლი ისე, რომ არ დაიხარჯო. აგერ, ჩემი ყურადღება ქორფა კიტრებმა მიიპყრეს. აღარ ვაქცევ ყურადღებას, რომ ჩემს ზურგს უკან ნაგვის გროვაა. გამყიდველიც რა მარდია! თუ ჩაგიგდო ხელში, სწრაფად გიწონის, როდი გაძლევს მოფიქრების საშუალებას, ცდილობს მოგიცილოს და „გამარჯვებული შიმშონ ჰაგიბორის" იერს იღებს. მაგრამ მე არ ვცილდები იქაურობას. გვერდით უცნაურმა დიალოგმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. მყიდველ ქალს ემჩნეოდა, რომ მთლად ახალი ამოსულია, ხელში ერთი მსხა-

ლი აეღო და ყნოსავდა. მე მივუხვდი, რომ მას ამით მსხლის ჯიშის გამოცნობა სურდა. მაგრამ გამყიდველმა მას ვერ გაუგო და მეტად მკვახედ მიმართა: –ჯერ უნდა იყიდო და მერე მოკბიჩოო. –ქალს ემჩნეოდა, რომ კარგად არ ესმოდა გამყიდველის სიტყვები და გაკვირვებული უყურებდა, მაგარამ მისი უხეში მიმართვით შეურაცხყოფილმა მსხალი დაუგდო, გატრიალდა და მიაძახა:

–Пошёл ты к чорту!

–!שמ המ, –უპასუხა გამყიდველმა.

–Пошёл ты к чорту! –უპასუხა მიმავალმა ქალმა და ასე განმეორდა რამოდენიმეჯერ.

მათ შემყურეს ახლა მე დამისხლტა ფეხი ძირზე დაყრილ გასრესილ ბოსტნეულზე. ეჰ, გავიფიქრე, რა კეთილმოწყობილი იყო უკანასკნელ ხანებში თბილისის ბაზრები? მაგრამ უცებ გონებაში ამოტივტივდა ერთი შემთხვევა ნავთლუღის ბაზრიდან...

დახლზე წკრიალა, კრიალა, ლამაზი პომიდვრების პირამიდა იყო აღმართული. მივედი და ავარჩიე სასწორზე დასალაგებლად, თანაც თვალით ვეძებდი გამყიდველს, რომელიც არ სჩანდა. დახლის იქით გადავიხედე და შევამჩნიე, რომ თათარი – გამყიდველი ჩაცუცქულიყო, წინ ტალახიანი პომიდვრით სავსე კალათა ედო; პომიდორს სათითაოდ იღებდა, ზედ აფურთხებდა, მეორე ხელში ეჭირა წვირიანი შავი ჭინჭი და ფურთხით დასველებულ ტალახს აცლიდა.

–ვაი, ღმერთო, მიშველე! მიშველე! –აღარ მახსოვს წამოვიკივლე თუ გავიფიქრე. ის კი მახსოვს, რომ იქვე ნაცნობი შემომხვდა და მეკითხება: –რა მოგვიდა, ცუდად ხომ არა ხარო, –ალბათ ჩემი სახე რაღაც საშინელ გრძნობას თუ გამოხატავდა.

იმ ზაფხულს პომიდორი აღარ მიჭამია.

თელ-ავივის ჩვენს „საამაყო“ თახანაზეც რა გამოლევს შემთხვევებს.

შუა ზაფხულია. ცხელა. ოფლად ვიღვრები, ხვითქი გადამდის. ვიყიდე ბანანი და სული მოვითქვი. მაგრამ სად გადავყარო მისი კანი? გამიხდა საზრუნავი. მეც ხომ პირდაპირ ქუჩაში არ ვისვრი?! აი, ახლა მე მსურს მკვიდრებს დავუმტკიცო, რომ მე, გუშინდელი ამოსული უფრო ფაქიზად ვეპყრობი ჩვენს მიწა-წყალს, ვიდრე ისინი. „არა და არა, –ვფიქრობ, –თქვენს ნაგავს ჩემი ბანანის კანით არ გავამდიდრებ.“ ბედზე თვალი მოვკარი სანაგვე ურნას. შუა ტროტუარზე იდგა შავი, გაკრიალებული, ლამაზი ურნა. „მაგრამ რამ გადარია ეს ებრაელები? –ნაგავი მაინც მის გარშემო ჰყრია. ნუთუ სიცხის გამო ეზარებათ ნაბიჯის გადადგმა, რომ გადასაყრელი შიგ ჩაყარონ? აი, მე გიჩვენებთ ჩემს კულტურას, –ვფიქრობ, –მივცემ მაგალითს, უსათუოდ შეამჩნევენ ჩემს მოქმედებას...“ მტკიცედ შევჩერდი ურნასთან და შიგ ჩავყარე ბანანის კანი.

...მესმის სიცილი. როდი მგონია, რომ ეს სიცილი მე მეხება. უცებ ჩემს წინ აღიმართა, როგორც „ჯინი“ „ათას ერთი ღამედან“, თვალებბრიალა ახმახი შავი კაცი. მომმართავს მე, მაგრამ ახალამოსულმა ივრითი ისე კარგად არ ვიცი, რომ მისი არაბული კილო გავარკვიო. „რა უნდა ჩემგან, –ვფიქრობ, –ტერორისტს ხომ არ გადავეყარე?“ ზურგს უკან ისევ სიცილი ისმის. უნებურად მივიხედე და უცებ მივხვდი, რომ მე დამცინოდნენ. ახლა კი მათ მიერ წარმოთქმული სიტყვებიც გავარჩიე:

-עולה חדשה, לא חשוב. לכי, גברת, אין דבר.

იმასაც კი ვხვდები, რომ ახლა აქეთ მე მამშვიდებენ. ჩემს წინ ატუზული „ჯინიც“ აღარ მაფრთხობს. ახლა იღიმება, უჩანს თეთრი კბილები და მისი სახიდან ღრუბლები იფანტება. მივხვდი, რომ მას თავისი საწვრილმანო მაღაზიიდან სანიმუშოდ გამოტანილ სხვადასხვა საგნებთან ერთად ეს გასაყიდი სანაგვე ურნაც გარეთ გამოეტანა.

მსურს ვუთხრა, რომ ქუჩაში გამვლელს ცხვირწინ ნუ დაუდგამ შენს გასაყიდ საქონელს, მყიდველი თვითონ მონახავს იმას, რაც მას სურს. მაგრამ მე მარტო "יודעתי, לא סליחה"-ს თქმა მოვახერხე და „ხიფათს“ გადარჩენილის გრძნობით განვაგრძე გზა.

იმედი, № 200, 17. 5. 76

# ინფლაცია და ბარაქა

ამბობენ, ბაზარი ბარაქის, სიმდიდრისა და ქვეყნის ხასიათის გამომხატველიაო.

ევროპული, ახალი სტილით ნაგებ თელ-ავივის ცენტრში საგანგებოდ შემონახულია ძველი, კეთილმოუწყობელი, აზიური ყაიდის ბაზარი – შუკ-ქარმელი. სულ რაღაც 5–10 წუთის სავალ გზაზე შეხვდებით ფარდულებს, დუქნებს, გზადაგზა აფრიალებულ ნეილონის ტოპრაკებს. გამყიდველები გამყივანი ძახილით გიხმობენ. წარმოებს გაჩაღებული ვაჭრობა. ვინ არ მოემართება აქეთ. აბა, ჰკითხეთ თუნდაც ახალ ამოსულ ოლეს, ისიც გეტყვით მის ამბავს. სისხამ დილიდან გვიან საღამომდე ელნათურების სინათლეზე აქ ზღვა ხალხი ირევა. მოდიან, მოდიან, მოდიან... მორბიან... –რა მოარბენინებთ? –იკითხავს კაცი.

–რა და გაძვირება, ინფლაცია, საყოველთაო გაძვირება, რაც ჩვენი ქვეყნის სიძნელეებით არის გამოწვეული. რაც უფრო იმატებს ფასები, მით მეტი მუშტარი უჩნდება შუკ-ქარმელს. და განა აქ ფასი გაყინულია? სულაც არა. აქაც კარგად „ცოცავს“ მაღლა... მაგრამ შეღავათი მაინც არის.

–გავგიჟდი! გავგიჟდი! –ცალი ხელისგული მიუდვია შუბლზე შავტუხა

ისრაელს. გაიძახის:

—გავგიჟდი, გავგიჟდი. სახლში მივალ, ცოლი იტყვის: საწყალი ჩემი ქმარი შეიშალაო.

—რატომ? —იკითხავს მეზობელი.

—იმიტომ, რომ იაფად გაუყიდია საქონელიო.

—რა ღირს ვაშლი?

—ბიმკომ 30 ლირა, 28 ლირა.

—ეს არის იაფი? მართლა გაგიჟებულხარ.

—წადი, ჰოროვიცს მოჰკითხე.

ჰოროვიცი! ღმერთმა დაგიფაროს. აქ რომ ყოველდღე ჰოროვიცმა შემოიხედოს, ამოდენა მყიდველი რომ დაინახოს, ხომ გადაირევა და უფრო ხშირად მოუმატებს ფასებს.

სად გცალია კაცს შუკ ქარმელზე ფიქრისათვის. თვალი გერევა, ამოდენა ხვავიან ბაზარს რომ ხედავ. თუ გეძვირება, ნუ იყიდი. არა და ხომ გაღიზიანებს ის ლამაზი, მსხვილთავა, ლალისფერი ხენდრო, ისე კოხტად რომ დაუწყვიათ! ხენდრო კი არა და ახლა იქ, შორეულ თოვლიან რუსეთში ხალხი ტალახიანი კარტოფილის რიგში დგას. აქ კი სუფთა, ნარჩევ, „ახალ“ კარტოფილს გთავაზობენ. აქეთ-იქით როკოკო-ნაქარგივით ლოყებწითელა და ქარვისფერი ვაშლის დახლებია.

—„იონათანი“, „ხერმონი“, „ალექსანდრა“! —თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს თუ ერთობიანო, ისე ისმის გამყიდველების ძახილი.

—რა ღირს მსხალი?

არ არის პასუხი.

—არ გესმით? არ გინდათ გაყიდოთ?

უჩვეულოა, მაგრამ ხედავ, ორი გამყიდველი საუბრით გართულა. ერთმანეთს ღიმილით რაღაცას უყვებიან.

—მაღირსეთ პასუხი, რომელი მოშავიდანაა?

—ნუბიიდან, პირამიდების იქითა მხრიდან, —გპასუხობთ ერთი მათგანი.

—აა, ესე იგი ეგვიპტიდან, აგაშენოს ღმერთმა, —გეღიმებათ, გიხარიათ და რაც არ უნდა ძვირად მოგეჩვენოთ, უსათუოდ იყიდით ეგვიპტელებისაგან. რატომ? მაგონდება ომარ შარიფის სიტყვები: „ისრაელ-ეგვიპტეს შორის დადებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ მე ბედნიერ კაცად მაქციაო“. მართლაც და რა ბედნიერებაა, როცა ხედავ ორი ერის წარმომადგენელს როგორ მეგობრულად დგანან ერთმანეთის გვერდით და ვაჭრობენ.

ამბობენ, მწვანე ფერის ხილვით თვალი ისვენებსო. და აი, თქვენც მზერა ბოსტნეულის რიგისკენ გაგექცევათ.

—ოხრახუშიო, ქინძი-კამაო, პიტნა-ნიახურიო, წითელი და თეთრი ბოლოკი, ყვავილოვანი, წითელი და თეთრი კომბოსტო. ხასა, პრასა, სოკო და, ამ ზამთარში, დიახ, წელს, წვიმიან იანვარსა და თებერვალში ახალი მწვანე

ხახვი, კიტრი და პამიდორიო...

თავდაყირა დაკიდული ფრინველების რიგს ხომ ბოლო არ უჩანსო? აქ ფრთხილად იყავით, ფეხი არ დაგისხლტეთ. დუქნებს ხშირად რეცხავენ, წყალი გარეთ გამოდის და პირდაპირ შენს გზაზე მოედინება. უნდა დაბლაც დაიხედო...

—სატოლმე გნებავთ თუ საყაურმე? სამწვადე თუ ანტრეკოტი? —იემენელი ებრაელი აგიწონით, გაგიხვევს, „შეგარგოსო", ამასაც გეტყვის და მოგართმევს.

—მოდი, ბიჭო, ქართული ყველი გაყიდინო, — გესმის ქართული ლაპარაკი. თუ მოიხედავ, უსათუოდ იცნობ „უცნობი" თანამემამულის სახეს.

—აქაც გქონიათ თვლებიანი ბერძნული პური? —კითხულობს ახალი ოლე.

—რის ბერძნული, ეს ნამდვილი ქართული პურია, დედას პური.

—დედას პური?

—ჰო, დედას პური. აი, გინდა ვკითხოთ.

—სადაურია?

—ისრაელური, —გპასუხობს შავგვრემანი მოშაველი.

აი, ეს არის ჩვენი სიამაყე; აქ იგრძნობა ქვეყნის მაჯა; ვინ შექმნა ეს დოვლათი? დაილოცოს ისრაელის კიბუცი და მოშავი, სადაც მზედაკრული ისრაელი შრომობს. ქალაქებიდან გადით და იქ ნახეთ ბუნებისა და შრომის სილამაზე. ეს ჩვენი ქვეყნის საუნჯეა, კიბუცია, რომ იზიდავს მსოფლიოში იდეალების მაძიებელ ახალგაზრდებს და რამდენი არაებრაელი მოემართება აქეთ, სახლდება ჩვენს კიბუცებში, რათა თავად ეზიაროს კიბუცის ცხოვრებას.

მაგრამ, ო, ისრაელის ბედო! სად, დედამიწის რომელ კუთხეში ნახავ, რომ სავაჭრო ადგილას თოფიანი კაცი წინ და უკან დაიარებოდეს? არა, როგორ არა. ყოველ ბაზარს ჰყავს პოლიცია თუ მილიცია ქურდ-ბაცაცების გამოსაჭერად. მაგრამ აქ, ჩვენს შუკ-ქარმელზე შეიარაღებული კაცი აქ მყოფთა სიცოცხლეს იცავს. რაღაც ათი წუთის სავალზე კაცს შეუძლია შეიმოსოს, მომარაგდეს სურსათ-სანოვაგით შედარებით იაფ ფასებში (რა თქმა უნდა, ჯიბის დაცარიელებით). სწორედ ამ ადგილს, სადაც ებრაელები თავს იყრიან, მტერი ჩასაფრებულა... და გახსენდებათ უშიშროების გაფრთხილება: „თვალი ადევნეთ საეჭვო საგნებს!"

მცველები კი გვიცავენ, მაგრამ მოდით, ჩვენც ვიყოთ ფხიზლად! თვალი ვადევნოთ საეჭვო საგნებს.

სამშობლო,
№11, 2. 3. 80

# ჯანუმ-ხანუმი

ულამ „არგამანში“ საზეიმო ერიამულია. ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ქორწილზე მოწვეული სტუმრები ნელი ნაბიჯით მიემართებიან სადარბაზოსკენ. ყველას დავიწყებია ყოველდღიური ჭაპან-ხავხავი; მათ სახეზე მხოლოდ ჟამიერი დროსტარების სურვილი და და კეთილშობილებაა გამოსახული. სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს ხელს ართმევენ; მხოლოდ მილოცვები, მილოცვები და კეთილი სურვილები.

—მეგობრებო, უნდა გახაროთ, —ღიმილით მიმართავს ხათანის ნათესავი დათიკო სადარბაზოს წინ დიდ ჯგუფად შეგროვილ სტუმრებს, —დღეს ჩვენს სტუმრებს შორის მოწვეულია პატივცემული ჯანუმ-ხანუმი! ხო არ დაგავიწყდათ! აბა გაიხსენეთ!

—რას ამბობ, დათიკო, როგორ არ გვახსოვს.

—თბილისში განთქმული დალალ-მაჭანკალი იყო; ვინ არ იცნობს.

—თუ არ ვცდები, ქმარი თბილისელი თათარი ჰყავდა.

—და ეხლა ის ისრაელშია! —წამოვიდა აქეთ-იქიდან კითხვა-პასუხები.

—დიახ, სწორედ გამოიცანით. და ამ საღამოს ის ჩვენი სატუმარი გახლავთ! —საზეიმო ტონით აღნიშნავს დათიკო.

—აი, საცაა გამოჩნდება და თქვენი ნებართვით შემიძლია წარმოგიდგინოთ.

—ძალიან საინტერესოა!

—მისი ნახვა გაგვეხარდება.

—როგორ წარმოვიდგენდით, თუ ასეთიც ისრაელში ამოვიდოდა. —ყველამ ცნობისმოყვარეობით მზერა გააყოლა კიბეზე ამომავალ ახალ-ახალ სტუმრებს. საგანგებოდ გამოწყობილ სხვადასხვა სტუმრებს შორის გამოჩნდა შავგვრემანი, ჩასუქებულ-ჩამრგვალებული შუახნის მანდილოსანი. იგი ახლო ნათესავების თანხლებით ნელი ნაბიჯით მოჰყვებოდა კიბეს. უკვე ზემოთ ამოსულმა დარბაზის წინ შეკრებილ სტუმრებს თვალი მიმოავლო და ყელ-მოღერებულმა ყველას ღიმილი შეაგება. ეს გახლდათ ჩვენი ჯანუმ-ხანუმი.

ცნობისმოყვარე თვალი კარგად შეამჩნევდა, რომ ახალმოსული სტუმარი ქალი ისრაელის უკანასკნელი მოდის ყაიდაზე შემოსილი იყო. ძვირფასი, გრძელი, ღრმად გულამოჭრილი იასამნისფერი კაბა განიერ გვერდებზე ისე შემოჭეროდა, რომ ნაოჭებსაც იკეთებდა. ფეხზე ეცვა კაბის მიმდეგარი ფერის ლაქის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. მკლავზე გადაეკიდა გრძელფოჩებიანი ხავერდოვანი მოსასხამი; მაგრამ მსუქან და ნაკეცებიან ყელზე შებმული პატიოსანთვლიანი ძეწკვი, საყურეები, სამაჯურები, ჩაფუნთულებულ თითებზე ბრჭყვიალა ბეჭდები მეტყველებდნენ „იქაურ“ წარმოშობაზე. იქ შეძენილი ძვირფასეულობით მორთულს, ამაყად და თავმომწონედ ეჭირა თავი. სახეგაბრწყინებული, თვითკმაყოფილი ღიმილით ესალმებოდა ყველას.

—ბარუხ ჰაბა, ჩვენო ჯანუმ-ხანუმ, შენ ჩამოსვლას ისრაელში გაუმარჯოს!.. —გულთბილად მიიღეს შემხვდურმა სტუმრებმა.

—როგორ გიკითხოთ? როგორ მოეწყეთ?.. —აყრიდნენ კითხვებს.

—ო, როგორ მიხარია, როგორ მიხარია, რომ ყველას აქ გხედავთ. ჩემი თავი ისევ იქ მგონია... უი, ბენო, შენც აქ ყოფილხარ, —ტრიალებს თანამემამულეებს შორის აღტაცებული. —შენ შალიკო ხარ, გიცანი, სიმხას ვაჟი, პატარა მახსოვხარ. —ახლა სხვას მიმართავს: —თქვენი სახელი არ მახსოვს, მაგრამ გიცნობთ, დებორას ეზოში ცხოვრობდი მგონი, ნავთლუღის ბაზარში ვაჭრობდი...

—ჯანუმ-ხანუმ, რას საქმობ ახლა ისრაელში? — ეკითხება ერთი.

—როგორ თუ რას? შენ ჩემს შესახებ არ გაგიგონია? აბა, ჰკითხე ვისაც გინდა, მე ხომ პირველი და ცნობილი ქალი ვიყავი. ნახევარ თბილისის ქალ-ვაჟი ჩემი დაქორწინებულ-დასახლებულია. ყველა ჩემზე ლოცულობდა. აქაც, რა თქმა უნდა, რომ ისევ მე ვიქნები პირველი; უკვე გავხსენი ჩემი კანტორა, ქართულ გაზეთშიც მივეცი სარეკლამო განცხადება: „ქალბატონი ესთერის ბიუროში“ — აქ, ისრაელში დავიბრუნე ჩემი ისრაელური სახელი.

—ქალბატონო, — მიმართავს შუახნის მამაკაცი, თუ საწყენი არ იქნება, ერთი ეს მითხარი, რატომ შენს თავს არ გაურიგე ვინმე?

—ეგ კითხვა სულაც არ არის საწყენი. მართლაც და, ოცდაათი წლის ქვრივი ვარ და ჩემზე იქ არ მიფიქრია. იკითხავთ, რატომ, და იმიტომ, რომ ჩემმა ქმარმა მამედამ, მოგეხსენებათ, ქმარი თათარი გახლდათ, სიკვდილის წინ დამიბარა: „არამც და არამც ჩემს შემდეგ არ გათხოვდე, თორემ საიქიოდანაც მოგწვდები და წაგახრჩობო.“ ეს იყო და ეს, მის მერე ყოველთვის მეცხადებოდა მისი ლანდი და სულ შიშით ვკანკალებდი. მე სულელი ვყოფილვარ, ნეტავი რისი უნდა მშინებოდა!

—ახლა, აქ კი ფიქრობ რამეს? —ეკითხება ქალი.

—როგორ არა! იმის შემდეგ, რაც ჩვენმა ხალხმა ისრაელში იწყო ამოსვლა, მეც სითამამე მომეცა და როცა ერთხელ ჩვეულებრივ ისევ გამომეცხადა, წამოვჯექი და მტკიცედ ვუთხარი: „თვალიც კი შენ დაგიდგება, შენ კი არა და მთელი ხოჯავანკის სასაფლაო რომ წამოდგეს, ვეღარავინ შემაშინებთ აწი, და ამის შემდეგ...

—გააგდე და მოიცილე ლანდები! —გამამხნევებელი ტონით მიაგებეს მსმენელებმა, —აი, ყოჩაღ, ქალო! ასეც იყო საჭირო.

—ახლა რას ფიქრობ?

—რას ვფიქრობ და რაც ფეხი ჩამოვდგი ისრაელში, ქალის უნახავებივით დამადგეს თვალი აქაურებმა.

—ჯანუმ, ცოტა ფრთხილად იყავი, ბრილიანტებსაც არ დაადგან თვალი.

—კარგად ვერკვევი, კარგად. იმას, ვისაც მეგონა, რომ ცოლად ვუნდოდი, დავრწმუნდი, რომ ჩემი ბრილიანტები სულაც არ აინტერესებდა.

—აა, უკვე გაგიჩნდა თაყვანისმცემლები, ჯანუმ-ხანუმ? როდის, სად, ვინ? აბა, გვიამბე. —გაჩნდნენ ცნობისმოყვარენი.

—დიდი სიამოვნებით. გამეცნო ერთი პოლონელი ებრაელი, სახელად იაკობი ერქვა. რამოდენიჯერმე გავიარ-გამოვიარეთ, მაგრამ არც ერთხელ არაფერი მითხრა დაქორწინების შესახებ. შემდეგ აქაურმა ქალმა ასე მირჩია, „აქ ასეთი ჩვეულებაა, სანამ შიშველი არ დაენახვები, არაფერს გეტყვის გადაწყვეტითო. ზღვაზე მაინც გაჰყევი და იქ საბანაო ტანსაცმელით ეჩვენეო." მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ ხელი მაინც არ მთხოვა. ბოლოს, ერთხელ, როცა ზღვიდან ვბრუნდებოდით, შემოხვდა ნაცნობები. იაკობს ანიშნეს ჩემზე, ცოლია თუ საცოლეო.

—მეგობარია, —უპასუხა იაკობმა. ცოტა ხნის შემდეგ მესმის, როგორ გადაულაპარაკა აშქენაზურად (მეც ცოტა აშქენაზური მესმის, რადგან მათ შორისაც ვმუშაობდი), —„მინდოდა ცოლად, მაგრამ არ მომწონს, ნამეტანი დიდი ცხვირი აქვსო." ეს რომ გავიგე, გავცეცხლდი, მარა რა გავცეცხლდი.

—აი, მეხი კი დაგაყარე, მაგ მოტვლეპილ თავში-მეთქი. აფსუს, ჩემი მამიდა, იმას ჰგვანებიხარ რაღა შენმა მზემ, იმის ერთ ულვაშადაც არ გიყიდი. იმიტომ გავიძრე კაბა, „კუპალნიკით" გეჩვენე, რომ ბოლოს ცხვირით დამიწუნო? —ერთი სიტყვით, მივაყარე საკადრისი სიტყვები, გამოვტრიალდი და წამოვედი.

—როგორ უთხარი ამდენი ივრითულად?

—ისე იცოცხლე, რომ მეც არ ვიცი საიდან მცოდნია ამდენი ივრითული. ზოგიც ხელებით ვანიშნე.

—ო, ჯანუმ, შენ კარგად იყავი, თორემ ცხვირს აქ ადვილად ეშველება. ხუთასი ლირა და მისი ჯანი...

—ისე კი, —მეგობრულად მიმართავს ერთი, —იქ იმდენი ხანი იცადე და აქ კი ცოტა აჩქარებულხარ, მაგრამ არა უშავს.

—შემობრძანდით დარბაზში! —მოისმა მასპინძელთა პატიჟი.

—აბა, წავიდეთ, ვიმხიარულოთ, ხათან-ქალა დავლოცოთ! —და ამ სიტყვებთან ერთად ჯანუმ-ხანუმთან მკლავგაყრილი სტუმრები გაემართნენ დარბაზისაკენ.



გაზ. „სამშობლო", ...

## ქნესეთის ნეჭრი ხანუმა

ხანუმა შევიდა ქნესეთში. შევიდა, მაგრამ ქედი არ მოუდრეკია. არც სკამის ზურგს უკან დამალულა. არა, ასეთი მოქმედება მის ხასიათს სულაც არ შეეფერებოდა. პირიქით, ის თამამად წარსდგა საკრებულოს წინ და

ომახიანად დაიწყო:

—ვაჰ, ვაჰ, ვის გინახავთ ასეთი ჩაგვრა?!

—ხავერათ ჰაქნესეთ ხანუმ... —დინჯად მიმართა სხდომის თავმჯდომარემ.

—არა, მე არ გავჩერდები...

—ხავერათ ჰაქნესეთ ხანუმ, —კვლავ მიმართა თავმჯდომარემ, —გთხოვთ აიღეთ სიტყვის თქმის უფლება და მერე მოახსენეთ ქნესეთს თქვენი გასაჭირი.

—კეთილი და პატიოსანი. მე კანონიერებას პატივს ვცემ. არც შეხსენება მჭირდება. მომეცით სიტყვის თქმის უფლება.

—გრთავთ!

—თუმცა მე არც მსურს თავი გავუტოლო არარაობას, მაგრამ ვარ იძულებული... მან მე შეურაცხყოფა მომაყენა. მან მე, ქნესეთის წევრს უქნარა მიწოდა... როგორ, მე ვარ უქნარა?! მე ხომ თავი მაქვს შეწირული ამ სახელმწიფოსთვის. მე, მე უარი ვთქვი დედოფლურ პატივზე და სიმდიდრეზე. ჩემთვის იქ, გალუთში, რაინდები ერთმანეთს ხმლებს უყრიდნენ მუცელში... აი, ხედავთ?! ახლაც კარის უკან დგას ეს დედაკაცი და მწყევლის. არ გესმით?! —„უი, შენ დაგიდგეს შავის წელიწადიო!“ —ნუთუ არ გესმით?! ეს რა ხალხი ყოფილხართ, როგორი მოღვაწეები ხართ, რომ ჩაგიგდიათ მუცელში ენა! რატომ არ ადგებით ყველა ერთად და არ ჩაქოლავთ ჩემს დამჩაგვრელს?! გაფრთხილებთ და იცოდეთ: ჩემი პირადი მტერი ამ ქვეყანასაც დაიქცევს. ის შეღებილია, ვითომ სიონისტია. სინამდვილეში არაფათზე უარესია!

და ამ ჩვენმა პოპულარულმა ხანუმამ, საქვეყნოდ ცნობილმა ქნესეთის წევრმა, თავის ბეღრიალა კაბით, ოქროს ფულებიანი თავსაკრავით, თვალებიდან ცეცხლის ფრქვევით და პაწია მუშტის ქნევით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იქ მსმენელებზე. მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები, წევრები და სხვა სტუმრები მოხიბლული შესცქეროდნენ მას. ერთმანეთს გადახედავდნენ და თითქოს ამით გამოხატავდნენ პირზე მომდგარ სათქმელს: აი, თურმე როგორი გულადი ქნესეთის წევრი ჰყოლიათ, და ამდენ ხანს არ აფასებდნენ, თანაც ასე მომხიბვლელი.

ხანუმას ეშხით დატყვევებული ჩარლზ ბიტონი, პირზე ნერწყვმოსული ერთთავად სულ ბოლთას სცემდა.

—დიახ, —განაგრძობდა ექსტაზში შესული ხანუმა, —თქვენ არ იცით, და არ იცით იმიტომ, რომ დღემდე არ მითქვამს, რადგან არ ვარ სხვებივით „ტრეპაჩი“. მე ისეთი მამა მყავდა, რომ იმის მსგავსი კაცი მთელს დუნიაზე არ დაიარებოდა. მთელი რიგი თევზის კონცესიების მფლობელი იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ის სიონიზმისთვის გადაასახლა...

—ხავერათ ჰაქნესეთ ხანუმ, —მიმართა თავმჯდომარემ, —თქვენი რეგლამენტი იწურება. რას მოითხოვთ კონკრეტულად ქნესეთისგან? გნებავთ თქვენს მჩაგვრელს მივუსაჯოთ ჩამოხრჩობა? თუ ჩამოხრჩობას მოითხოვთ, ხომ

იცით, რომ ისრაელში ასეთი კანონი არ არის.

—არა, ნუ ჩამოახრჩობთ. ეს მისთვის დიდი პატივია, რომ ეიხმანივით დაჰკიდოთ. ესეც არ იყოს, მე ის ჩამოსახრჩობად მაინც მებრალება. უმჯობესია გააპაზოროთ და ამით დაკმაყოფილდება ჩემი შელახული თავმოყვარეობა. განუმარტეთ, რომ ის ჩემამდის ვერასოდეს მოვა. მე სადედოფლო ქალი ვარ, ის კი არარაობა. ის... ის... მოკლედ, სჯობს რომ უთხრათ, რომ გაეთრიოს ქნესეთიდან, თორემ...

—თორემ, მაინც რას იზამთ? —კითხვა ესროლა რომელიღაც ქნესეთის წევრმა.

—თორემ... ავდგები და დავტოვებ ამ ქვეყანას. ამ უსუსურ და დამპალ ქვეყანას, სადაც ჩემისთანა ქალს არ აფასებენ. ისედაც, ჩემი ტალანტის მქონესთვის აქ ასპარეზი პატარაა. აგერ უკვე ოცდაათი წელიც იქნება, რაც მე ოკეანისიქითა ქვეყნების პარლამენტში მიწვევენ, სადაც, ვიცი, რომ ხელისგულზე დამისვამენ...

—ხავერათ ჰაქნესეთ ხანუმ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ! გზა მშვიდობისა! მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ აუცილებლად უნდა მოიხსნათ ეს ფულებიანი თავსაკრავი, რადგან ოკეანისიქითა ქვეყნების პარლამენტებში მაგ ფორმა მიღებული არ არის, და ჩვენგანაც რომ წაიღოთ სპეციალური ნებართვა, მასეთი თავსაბურავით ფეხსაც არ შეგადგმევინებენ თავიანთ პარლამენტში.

## კონტრასტული სურათები

პატარა ეპიზოდი, რომელიც უკვე მივიწყებული მქონდა, უნებურად გამახსენდა, როდესაც გაზ. „იმედის“ ფურცლებზე წავიკითხე მენახემ თალმის წერილი „რამოთი“.

როდესაც „რამოთს“ კითხულობ, თითქოს-და არ გჯერა, რაც იქ რამოთის შესახებ თქმულა: გგონიათ, რაღაც ფანტასტურს გვიხატავს მისი ავტორი. მაგრამ იხილეთ იგი და თავად დარწმუნდებით — მის სინამდვილეში, მის სიდიადესა და ზღაპრულ სილამაზეში.

რამოთი, რამათ-ეშქოლი, ნევე იაკობი, თალფიოთი, ყველა ახალშენნი და მთლიანად მთელი ქალაქი იერუშალაიმი თავისი სიძველითაც ზღაპრულს არ წარმოადგენს?

მივდივარ, მივყვები იერუშალაიმის ქუჩებს, ვუყურებ მის არემარეს, ვტკბები მისი საოცრებით და, თუ თბილისელი ხარ, უნებურად ნოსტალგიაც კი გიპყრობს, — თბილისიც ხომ მთებშემორტყმული დავაკებული ქალაქია და, საბჭოეთის ერთ-ერთი უძველესთაგანი ქალაქი. გახსენდებათ, მაგრამ მალე ისევ სინამდვილეში ეშვებით: თქვენს წინ მთაგორიან მიდამოზე გადაფენილა თეთრი ქალაქი. თეთრ-მოვარდისფრო ნათალი ქვით ნაშენი კოშკები მიწიდან

ამოზრდილან და ცისფერი ცისკენ აზიდულან.

მართლაც საოცრებაა და ზღაპრული იერუშალაიმის სინამდვილე. საუკუნეების მანძილზე მიწასთან გასწორებული, ნანგრევებიდან, ფერფლიდან აღმდგარი; იქ, სადაც მის მინდორ-ველად მოფენილი წითელი ყაყაჩოებიც კი მოგაგონებენ მის წარსულს: თქვენ ვერ ახლებთ ხელს ამ ყაყაჩოებს, ვერ მოსწყვეტთ, დაგენანებათ, რადგან მას ხალხმა „მაქაბელთა სისხლი" შეარქვა.

აი, ამ სიძველიდან უცებ იფეთქა ახალმა ძარღვმა და ძველი ქალაქის მიწა-წყალზე აღმოცენდა ახალი იერუშალაიმი.

იერუშალაიმის დღევანდელი არქიტექტურა მას თავის სპეციფიურ იერს უნარჩუნებს; მას თავისი სტილი აქვს, რომელიც ბუნებასთან და გარემოსთანაა ჰარმონიულად შეხამებული.

ქალაქს ყველგან მტკიცედ ატყვია მზრუნველის ხელი.

მსოფლიოს რომელი კუთხიდან არ ნახავთ მარადიული ქალაქის სანახავად ჩამოსულ უამრავ ტურისტს.

◆◆◆

ამ ლამაზ ქალაქში ერთ-ერთ კეთილმოწყობილ ახალდასახლებას ჩამოვუარე. მივყვებოდი ქუჩებს და გული სიამაყით მევსებოდა. უცებ მომესმა ხმაური. არასასიამოვნოდ ყლერდა ადამიანთა მიერ წარმოთქმული „შემამკობელი" სიტყვები. შეწყდა ჩემი იდეალური აღმაფრენა და „დავეშვი" ძირს, დედამიწაზე, ადამიანებთან, ჩვეულებრივ ადამიანებთან.

ეზოში გაცხარებულ ჩხუბს წავაწყდი. ჩხუბობდნენ ქალები და ერთი ხანშესული მამაკაცი. უფრო სწორად რომ აღვნიშნოთ, ხელებგაშლილი ქალები მისეოდნენ ხსენებულ შავწვეროსან მამაკაცს და ედავებოდნენ. იქვე, მათ შორიახლოს ტოკავდნენ ყელგამოჭრილი ქათმები და მათ გარშემო ყივილ-ხივილით ხტოდნენ ეზოს ბავშვებიც.

იმის მიხედვით, რომ შავწვეროსანს ხელში პრიალა დანა შევნიშნე, მივხვდი, რომ ის შოხეტი უნდა ყოფილიყო.ხოლო მაშინ მივხვდი, რომ ეს უკანასკნელი საქართველოდან ამოსული ებრაელი იყო, როდესაც ამ ქალებს ქართულ ენაზე ერთი გემოზე შეუკურთხა.

—ვაა, აი ამათი, —გაიძახის ესეც ხელებგაშლილი, —სად გინახავთ ასეთი დაძალულობა, ეს არის ისრაელობა? იქ როცა ვიყავი, საქართველოში, ქრისტიანებს შორის ვცხოვრობდი და ჩემს კარ წინ რამდენიც მინდოდა იმდენ ინდოურსა და ქათამს დავკლავდი. ვინ იყო ჩემი დამშლელი. იერუშალაიმში ამოსვლას ვნატრობდი, მეღირსა და ამისრულდა ოცნება, მაგრამ ეს ყოლამი რამ გადარია ვერ გამიგია. აქ, ჩემს იერუშალაიმში ისრაელები კარ წინ ქათმის დაკვლას მიშლიან! —ცხარობდა ხან ქართულად და ხან ივრითზე შოხეტი.

—ბატონო ჩემო, — მიმართა ერთმა დამსწრემ, ჩემსავით შემთხვევით გამვლელმა, —რატომ წვალობთ, რა ძალა გადგიათ, იყიდეთ გამზადებული ქაშერი ქათამი. მეც თქვენზე ნაკლებად არ ვიცავ ჩვენი წესების სიწმინდეს, და გეახლებით იმას, რასაც ყიდიან.

—აარა, არავითარ შემთხვევაში, მე მათ სიქაშრეს არ ვენდობი! —ხელის გაქნევით წყრომით მიუგო მოხუცმა.

—რატომ, რა არის მიზეზი? —იკითხა გამვლელმა.

—იმიტომ, რომ ისინი დანას ასე კი არ უსვამენ, არამედ ისე! —დასძინა მოხუცმა.

გამვლელი აშქენაზი აღმოჩნდა. მან მოხუცს მეგობრულად დაადო ხელი და წყნარად მიმართა:

—მაშინ, ხომ ხედავ, ცოტა იქით, ჯერ კიდევ დაუსახლებელი ადგილებია, შენც იქით წადი და იქ დაკალი. აქ კი ნამდვილად დაუშვებელია. ხომ ხედავ თვითეული ქვაფენილი როგორ კრიალებს. ჩვენ, ებრაელებს ყველას პურზე უფრო ქათმის ჭამა გვიყვარს. ყველამ რომ ჩვენ კარ წინ ქათმები და ინდოურები დავკლათ, რას დაემგვანება ჩვენი ქალაქი? არა და, ნამდვილად, ქალაქის ადმინისტრაცია ამაზე ნებას არ დაგრთავს! —ეს სიტყვები ისე დინჯად წარმოთქვა, ის ჩვენი შოხეტი დაცხრა და დაწყნარდა.

ამ საუბრისა და კამათის დროს ვერავინ შენიშნა იქვე მდგომი ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი, რომელიც ნელა მიუახლოვდა მოხუცს, თავაზიანად მხარზე ხელი დაადო და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

—აბი, ჰუ ბეემეთ ცოდეკ! (ჩემო მამიკო, ეს კაცი ნამდვილად მართალიაო!), —მოხუც შოხეტს სიხარულით თვალები გაუბრწყინდა, ჯარისკაცი მისი ვაჟიშვილი ყოფილა.

ამასობაში მეზობელი ქალებიც დამცხრალიყვნენ და კრძალვითაც კი დაეხიათ უკან. მეზობელთა ჩხუბი ურთიერთ შეთანხმებით დამთავრდა და მეც გავუდექი ჩემს გზას.

გაზ. „იმედი“, № 146

## ჩვენებური სურათები

საღამო ჟამს კირიათ შარეთის ცენტრში ადამიანთა ჟრიამულია. ნავახშმევს ზოგს სად მიეჩქარება, ზოგიც უბრალოდ გარეთ გადის სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად, და თუ ნაცნობ-მეგობრები შემოგხვდათ, ამას რაღა სჯობია. აი, ახლაც ფართო ტროტუარზე შეკრებილან მანდილოსნები. მოიკითხეს ერთმანეთი. ნუ სწუხართ, ისინი არც ისე მალე დაიშლებიან. თათბირობენ. თავისუფლად შეგიძლიათ დაარქვათ მათ შეხვედრას „კირიათ შარეთის ქალ-

თა საგარეო სათათბირო". ბოლოს ნელ-ნელა დაიშლებიან. სახლებში ხომ უნდა დაბრუნდნენ? აგერ, გამოეყო მათ ჩვენი ნაცნობი ორი მანდილოსანი, აჰყვნენ განათებულ ტროტუარს, შეჩერდნენ მოსახვევთან კუთხეში და ბოლოს ბუჩქის მახლობელ გრძელ სკამზე ჩამოჯდომა ამჯობინეს.

—ხაისარა, რატომ არ გამოხველი ამ კვირას, რამდენი ხანია არ გვისაუბრია.

—არ მეცალა, ჩემო ვერიჩკა, საქართველოდან სტუმრები ჩამომივიდნენ.

—რომ გითხრა სიმართლე, არც მე მეცალა, ტყემალი მოვხარშე. გავაკეთე წო. ეხლა ეს მითხარი, ვინ არიან შენი სტუმრები? რა ამბავი ჩამოიტანეს საქართველოდან?

—ისინიც იმას ჰყვებიან, რაც გაზეთებში იწერება და ტელევიზიით გადმოსცემენ ხოლმე. ვაჭრობის განვითარება ორივეს მხრიდან — საქართველოსა და ისრაელს შორის სასურველი ყოფილა. კულტურული ურთიერთობის შესახებ შენც გეცოდინება. ჯერჯერობით კი ცალკეული ადამიანები, ჩვენებურები არ იკარგებიან. ჩააქვთ თურმე რაღაც-რაღაცეები, უცხო-უცხო საგნები და მდიდრდებიან.

—ეგ მეც ვიცი. ჩაუტანიათ ბავშვის მაწოვარა, ჩვრები, ბავშვის ეტლი და სხვა.

—მე კი ვიცი, რომ წაუღიათ ქალის ქვედასაცვლები, ხელოვნური ქალის ფრჩხილები, ასევე მისამაგრებელი გრძელი წამწამები, საინექციო ერთჯერადი ნემსები და სხვა. სამაგიეროდ კარგი შინდის მურაბები ჩამოუტანიათ. რა ჯობია შინდს, მე ძალიან მიყვარდა...

—მოკლედ, ხალხი ცხოვრობს. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს კარგ საქმეში.

—ისე კი, ჩემო ვერიჩკა, სიწყნარე არსად არ არის, ქვეყანა არ არის, რომ შიდაარეულობა არ ჰქონდეს, ან და სასაზღვრო კონფლიქტი მეზობელ ხალხთან. რას გვამტყუნებს ინგლისის პრემიერი ქალბატონი მარგალიტ ტეჩერი: „არა და არ იქნება, რომ ისრაელმა „შტახიმებზე" ახალი დასახლება მოახდინოსო." დალოცვილს რატომ ავიწყდება თავისი. რაც ჩემი თავი მახსოვს, ინგლისი ირლანდიას ჩაგრავს. ირლანდიელები ერთთავად სულ იარაღით ხელში ებრძვის ინგლისს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. და ასეთი მაგალითებით სავსეა მსოფლიო, ჩემო კარგო.

—ჩვენს ქვეყანას რაღა ეშველება, ჩემო ხაისარა. იქნებ, ჩვენი თემის კაცი, ქნესეთში რომ გვიზის, კარგი ფეხის იყოს და მშვიდობა მოუტანოს ყველას.

—ჯერ თვითონ უნდა იდგეს მაგრად ერთ პრინციპზე. მაგრამ „ალევაი", რომ შენი ნატვრა გამართლდეს.

—ჩვენი თემის კაცი ცენტრისტი ხომ არ არის ტროცკივით.

—შენ რა იცი, ჩემო ვერიჩკა, ტროცკის ცენტრისტობის შესახებ. მეგონა მარტო ტყემლის მოხარშვა გეხერხებოდა.

—მეზობელი მყავს ერთი, მარტოხელა, აშქენაზი, უცოლშვილო, მაგრამ ნასწავლი. ჩემი ნახელავი უყვარს, მივართმევ ხოლმე და ისიც სულ პოლიტიკაზე მესაუბრება. სამწუხაროდ, იმდენი რუსული არ ვიცი, რომ ყველაფერი გავიგო.

—მაგალითად, კიდევ რა გითხრა ტროცკიზე. ეგ მეც მაინტერესებს.

—სიონისტებმა თურმე ტროცკის შესთავაზეს ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტობა, მაგრამ იუკადრისებია. ასე უთქვამს: „ისრაელი ჩემთვის პატარა ქვეყანააო. ჩემი მოღვაწეობისათვის მე დიდი მასშტაბის რუსეთი მჭირდებაო.“ ახლა კი რუსებს თავი წამოუყვიათ და გაიძახიან: „რატომ ერეოდნენ ებრაელები ჩვენი ქვეყნის საქმეებშიო, ვინ ეკითხებოდათო.“

—იკურთხოს დიდი გამჩენის სახელი. ნამეტანი არეულია ქვეყნიერება. რა დაალაგებს მსოფლიოს. ვაი, თუ ისე განრისხდეს ჩვენი გამჩენი იმისათვის, რომ ამ მოუსვენარ ადამიანებს ჭკუა ასწავლოს, რამე არ მოიმოქმედოს...

—რას ხუმრობ, ხაისარა.

—მე სულაც არ ვხუმრობ. აგერ, ჩინელ მეცნიერებს აღმოჩენიათ, რომ ყოველ 100 წელიწადში მზე 1500 კილომეტრით მცირდებაო. თუ ასე იკლო, მაშინ ბოლოს ჩვენგან აღარაფერი დარჩება — აღარ იქნებიან ლიკუდნიკები და არც მაარახისტები, აღარც ინტიფადა და აღარც გორბაჩოვი, არც მულტიმილიონერები და არც უბრალო მუშა...

—უი, რას ამბობ, ხაისარა, კარგი რამე თქვი ამ ძილის წინ, ღამე აღარ დამეძინება. მაშინ რა უნდა ვქნათ, სად წავიდეთ?

—სადაც გინდა წადი. გინდ მაღლა აფრინდი და გინდ თავშესაფარში დაიმალე. შენ გესმის? ჩვენ ხომ მზის ენერგიის წყალობით ვარსებობთ... მაგრამ შენ მართლა ნუ გეშინია, შენი ყოფის დროს კიდევ ვიარსებებთ, არაფერი მოხდება. წადი, მშვიდად დაიძინე. ტყემალიც მოიხარშე და ყალიაც. ილხინე და იხარე. მოასწარი, იარე კინოთეატრებში, ქორწილებზე, ბრიგადილაზე და სხვა.

—ვისთან ერთად წავიდე, ჩემო ხაისარა, კინოთეატრებში. ამას წინათ მე ავუღე ბილეთი ჩემს მეზობელს და დავპატიჟე თეატრში. ეს მაშინ, როცა რუსთაველის თეატრი იყო ჩამოსული ფესტივალზე. ნეტავი არ წამეყვანა, სულ საყვედურით ამავსო:

—სად წამომიყვანე, რა მინდოდა აქ, ვის უნდა ეს რაღაც „კავკასიური ცარცისა თუ ნახშირის წრეო“... ის მაინც ეჩვენებინათ „რაც გინახავს, ველარ ნახავთ“. აფსუს, შესვენების დროს თეატრის ბუფეტში რა ღვეზელები და ლიმონათი იყო. იქ სხვა გემო ჰქონდაო.

—რას ნიშნავს, ჩემო მეზობელო, რომ თეატრში წარმოდგენისათვის არ გივლია. წიგნიც არ წაგიკითხავს, ამიტომაც არაფერი გესმის! —მეც ასე მკვახედ მივაგებე.

—უი, შენ ხომ ბევრი წიგნი წაგიკითხავს, ნეტავი რას მიაღწიე? —მიპასუხა

მეზობელმა, —ბიტუახ ლეუმს რომ არ იღებდე, რით იარსებებდი! ერთი წესიერი კაბაც ვერ გამოგიცვლია. ისრაელში თანამდებობა მოგცეს თუ? შენისთანა ქალს სათავეში ჯდომა გეკუთვნოდა, მაგრამ აგერ, აქ ჩვენთან ერთად კირიათ შარეთში დაიარებიო.

—ებრაელები სულაც წიგნის ხალხია, —აღნიშნა ხაისარამ, —ყველა რომ სათავეში დააჯინონ, დაბლა ვინღა გაივლის?

—მაშ, რა გვეშველება, გვითხარი გვირჩიე, ჩემო ხაისარა, რა უნდა გაკეთდეს ყველას სასიკეთოდ?

—ის, რომ კირიათ შარეთში ქუჩები ებრაელებმაც უნდა დაგავონ და არა ჩვენმა მტრებმა — არაბებმა.

—კი მარა, ეს როგორ?! ჩვენებურები საქართველოდან იმიტომ ამოვიდნენ, რომ დაგლახავდნენ და ცოცხს ხელი მოკიდონ?! საქართველოში ხომ უმრავლესობა ბურჟუებივით ცხოვრობდა.

—შენი სახლი შენი ხელით ააშენეო...

—ჩვენმა სტუმრებმა საქართველოდან ის რომ ნახონ, საქართველოს ებრაელები ქუჩებს გვიანო, არასოდეს გამოუშვებენ თავის შვილებსა და შვილთაშვილებს ისრაელში.

—რა მაგის პასუხია, ჩემო ვერიჩკა, და ჯერჯერობით ჩემი სტუმარი ერთ ნათესავს გაჰყვა რამათ-განში. იქ თურმე საპირფარეშოების საჯდომების გამოფენა ყოფილა. სურს საქართველოში გააგზავნოს.

—ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ის საჯდომი შენს სტუმარს. ეგ ძველი და სხვა ახალი. ისიც ურჩიე, რომ ისრაელური ტუალეტის ქაღალდიც მიაყოლოს. ურიგო არ იქნება, — ჩაიცინა ვერიჩკამ და წამოდგა.

—უი, რა დროს მოაღწია. ღამე მშვიდობისა, ჩემო ვერიჩკა, მომავალ შეხვედრამდე.

—მშვიდობა არ გამოგელიოს, ჩემო ხაისარა.

ჟურნ. „დროშა“ №58 (1990 წ.)

## ბნელ ღამეში

ღამეა. კოკისპირულად წვიმს. ქუხს და ჭექს. ელნათურები ქრებიან. სიბნელე გამეფებულა. თითქოს ბუნებას სურს ადამიანს შეახსენოს თავისი ძალა. თავსხმაა უწყვეტი. კიდევ ერთხელ იელვებს და ჭექს ძლიერად.

—მეხი გავარდა, —თქვა დედამ.

—მეხი გავარდა? აბა სად, მე მინდა ვნახო! —წამოიძახა ლოგინიდან წამომხტარმა პატარა რუთიკომ. ფანჯარასთან მიირბინა და გაიხედა,

—დედა, სად?

—დაწექი, შვილო, შენ მას ვერ დაინახავ. ის აქედან შო-ო-ო-რს, სადღაც შორს არის. დაწექი.

ისევ ელავს და ანათებს არემარეს.

—დედა, დედა...

—რა არის კიდევ?

—დედა, იქ ვიღაც კაცი დგას.

—მერე რა, შენ რა გინდა, იდგეს. ალბათ გამვლელ მანქანას ელოდება. დაწექი.

მაგრამ პატარა რუთი, რატომღაც ვერ სცილდება ფანჯარას, მონუსხულივით გასცქერის ქუჩას, სადაც წყალი ნიაღვარივით მოედინება; და უნებურად მზერა გაურბის სახლის გარეთა კედლისკენ, სადაც საცოდავად ატუზულა ადამიანი.

—როგორ მეცოდება... არ ეშინია წვიმის? —ჩაილაპარაკა თავისთვის პატარამ და უხალისოდ მოსცილდა ფანჯარას, ჩაძვრა ლოგინში და თავზე ისე წაიფარა საბანი, თითქოს რაღაცას ემალებაო.

ოჯახში ყველა დაწვა. მოაღწია შუაღამემაც. წევნან. არავის სძინავს. შფოთავენ, ბორგავენ, თითქოს ძილში ჯავრად ჩაჰყოლიათ ამ თავსხმაში თავშესაფრის გარეშე დარჩენილი კაცის ბედი.

ბუნება თავისას აგრძელებს. ერთხელ კიდევ დასჭექა ისე, რომ კაცს ეგონებოდა ძლიერი ბომბი გასკდაო.

ახლა რუთიკოს უფროსი ძმა იოსი წამოვარდა. მასაც დასძლია ცნობისმოყვარეობამ და გაიხედა ფანჯრიდან.

—დედა, დედა! —იძახის იოსი, —ჩვენი სახლის კედელთან წვიმის ქვეშ ვიღაც გდია. ალბათ ეს ისევ ის ვაჟია, რუთიკომ რომ დაინახა.

უცებ გაქრა ძილი. წამოიშალა ყველა.

—ვაი შენს დედას, შვილო, ალბათ ნარკომანია, —ვიშვიშებს დედა, — სულ გაითოშებოდა საცოდავი. —დავით! დავით! —გადასძახა მეუღლეს, —იქნებ დაბლა ჩახვიდე, ნახე...

მაგრამ დავითი საწვიმარმოსხმული უკვე კარებთან მისულიყო და გასასვლელად ემზადებოდა.

—ვაი, თუ უკვე გვიანაც არის. ეს ცოდვა მე დამედება, ჩემი ბრალია... ღმერთო, მაპატიე! —როცა ჩემმა რუთიკომ შენიშნა, მაშინვე უნდა ჩავსულიყავი, —და ასე ბუზღუნით ოთახიდან გავიდა დავითი. მას იოსი გაედევნა. დედამ გაზქურაზე წყალი დადგა ასადუღებლად. რუთიკო წამომჯდარიყო და თვალებს იფშვნეტდა.

—დედა, დედა! —სირბილთით შემოვარდა ოთახში შეშინებული იოსი, —ჩქ-

არა, მიშტარაში დამარეკინე.

რადა, რა მოხდა!

—ალლო, ალლო, მიშტარა! ჩვენი სახლის კედელთან საეჭვო საგანია. რა საგანი? ესეიგი ადამიანის ფორმის მანეკენი. მა-ნე-კე-ნი, დიახ, მანეკენი. გადაცმული აქვს ძველმანები, გაკეთებული აქვს ყელსახვევი, თავზე წამოცმული აქვს ნაქსოვი ქუდი... პირში სიგარეტი... ჩვენი ნომერია...

—აი, თურმე რა მეხი დაგვცემია ამ წვიმიან ღამეს, —თავზარდაცემული ამბობს დედა. —მეზობლებს დავაღვიძებ... გავიქცეთ აქედან.

—დედა. გთხოვ, ნუ ასტეხ ალიაქოთს. ეხლავე მიშტარა მოვა და გააუვნებლებს.

—მიშტარამ დაგვიანება იცის. იმას თუ ველოდეთ...

—საცაა მოვა... დედა, ნუ ღელავ...

—როცა შენი მიშტარა მოვა, ჩვენგან აღარაფერი იქნება დარჩენილი.

—დაწყნარდი, დედა, დამიჯერე, საცაა მოვა... ნუ გეშინია, დამშვიდდი, დალიე ვალერიანის წვეთები.

—წავალ მეზობლებს დავაღვიძებ, —თავისას არ იშლის დედა.

—ტყუილად დაუფრთხობ მეზობლებს ძილს.

—შენ თვითონ არ სთქვი, რომ შიგ შეიძელბა „ჯოჯოხეთური მანქანა“ იყოსო? რაღას ველოდოთ? აფეთქებას?

—„იქნებაო“, ასე თქვა მამამ. ეს მისი ვარაუდია.

—მამას არასოდეს არაფერი ეშლება.

—დიახ! თქვენ, უფროსებს „არასოდეს არაფერი გეშლებათ“, —გამოაჯავრა იოსიმ.

—იოსი! როგორ ბედავ შენ ასეთი ტონით ლაპარაკს მშობლებზე!

—მაპატიე, დედი.

—ტუ, ტუ, ტუ!.. —გაისმა პოლიციის მანქანის სიგნალი. იოსიმ კიბე ჩაირბინა. დედა შეფუთულ რუთიკოსთან ერთად ღია კარებში ჩადგა. რა ქნას? რამდენჯერ გადაადგა მეზობლის კარისკენ ნაბიჯი, მაგამ ვერ ბედავს დააჭიროს ღილაკს თითი და უკან ბრუნდება.

—დედა, შეჩერდი! —ამოიძახა კიბეზე სირბილით ამოსულმა იოსიმ, —მადლობა ღმერთს, საშიში არაფერი აღმოჩნდა. მიშტარამ მანქანაზე დასდო მანეკენი და თან წაიღო.

—მანეკენს ბეჭზე რაღაც ნიშანი აღმოაჩნდა, —აღნიშნა ოთახში შემოსულმა დავითმა.

—ალბათ ვიცამ იხუმრა.

და უცებ განცდილი შიში და ძრწოლა ოჯახში საერთო სიცით-ხარხარმა შესცვალა.

ამბავი მოედო გაღვიძებულ მეზობლებს. შემდეგ — მთელ ქუჩას და მალე იმ ღამის თავგადასავალი ერთი ქუჩიდან მეორეზე გადავიდა. გაგონილ ამ-

ბავს ყველა თავისებურად ხსნიდა.

საღამოს სატელევიზიო „ახალი ამბები“ იუწყებოდა:

„წუხელ, დიდი წვიმის დროს, ალენბის ქუჩაზე გატეხილ იქნა მაღაზია, გატაცებული იქნა ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი მამაკაცის იმპორტული ტანსაცმელი. ქურდს ერთ-ერთი ძვირფასი კოსტუმი მანეკენთან ერთად წაუღია. როგორც ჩანს ქურდმა ადგილზე ვერ მოასწრო მანეკენისთვის გაეძრო კოსტუმი. შემდეგ, მიფარებულ ადგილას, ან შეიძლება მანქანაში, ქურდმა მანეკენს საკუთარი ტანსაცმელი „გაუცვალა“. ძველმანებში გადაცმული აღნიშნული მანეკენი აღმოჩენილი იქნა ბათ-იამის ერთ-ერთი მცხოვრების მიერ თავის სახლთან.“

სამშობლო, №141,
25.3.80

## მომაკვდავი

როდესაც „იხილოვის“ საავადმყოფოში მოვხვდი, თვალში მომხვდა მისი კეთილმოწყობილობა, მედპერსონალის საუცხოო მომსახურეობა. მაგრამ მაინც, უნებურად, უსიამოვნო გრნობამ შემიპყრო. გულს ავადმყოფთა ყურება მიღონებდა. ავადმყოფიც არის და ავადმყოფიც. ჯანმრთელი ადამიანიც კი, თუ მას სუსტი ნერვები აქვს, მძიმედ დაავადებულ და უსუსურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა ხილვით და მათდამი სიბრალულით ავად გახდება.

მე ფეხზე მოსიარულე ავადმყოფი ვარ. გვერდითა საწოლზე ერთი ქალი წევს. „ეს ავადმყოფია თუ მიცვალებული“, –ვფიქრობ ჩემთვის. თავი გადაგდებული, თვალები გადაკარკლული; ფეხები გაფშეკილი; არ იგრძნობა სუნთქვა. მოუცილებლად თავს ადგანან მედიცინის დები, ექთნები და ექიმები – ასხამენ და აყრიან პირდაღებულს „ქადურებს“ თუ საჭმლის მსგავს რაღაცას. ექთნებს შემართებით უჭირავთ გამზადებული ნემსები. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოაბრუნეს ეს „მიცვალებული“ ავადმყოფი. გამიგონია, ავადმყოფი თავადაც უნდა შეეცადოს, ხელი შეუწყოს თავის მკურნალ ექიმს. მაგრამ აქ ყოველი ღონისძიება ცალმხრივი აღმოჩნდა. მის მობრუნებას არავითარი ნიშანწყალი არ უჩანდა. მოშორებით მის ახლობლებს თვალზე ცრემლი არ უჩერდებოდათ...

გული დამეწვა, მაგრამ მე ისღა დამრჩენია გავიმაგრო გული, არ მივაქციო ყურადღება, რადგან მისი ყურებით მე უფრო ცუდად ვგრძნობ თავს.

შუაღამეა. გვძინავს. ფხიზლად მარტო სამედიცინო პერსონალია.

ღრმა ძილში ვიყავი. უცებ საშინელმა ყვირილმა დამაფრთხო. გულმა ფრიალი დამიწყო. მესმის მამაკაცის ძახილი: „მიშტარა! მიშტარა!“ წამოვხ-

ტი, გავერკვიე. ყვიროდა მეზობელი ოთახიდან ავადმყოფი. მორიგე ქალები მას ვერ აკავებდნენ. იგი მუშტებსა და ფეხებს ურტყამდა მათ. შეშინებული ქალები ეცნენ ტელეფონს და სხვადასხვა განყოფილებებიდან ექიმი მამაკაცები მოიხმეს საშველად. დერეფნიდან შევიხედე. ვხედავ „უთანასწორო" ბრძოლას — ერთ ავადმყოფს და ოთხ-ხუთამდე საავადმყოფოს მუშაკს. საშინელებაა. თვალთ დამიბელდა, გული შემიღონდა. მომხედეს, მომაბრუნეს. როცა თვალი გავახილე, ოი, საოცრებავ... რას ვხედავ! „ხომ არაფერი მეჩვენება? ხომ არაფერი მეჩვენება?.. მეც ხომ არ შევიშალე? ნუთუ ეს ის „მიცვალებული" ავადმყოფია, რომელიც საიქიოს კანდიდატად მეჩვენებოდა?" თვალებს არ ვუჯერი. წამომჯდარა, თვალში არამც თუ აზრი დაბრუნებია, ენაც ამოედგა და სწორედ რომ პირდაპირ მე მომმართავდა და საკმაოდ მტკიცე ხმითაც:

—ხედავ, რა ამბავია, როგორ ყვირის!

ეს რა ვნახე... ექიმთა ყურადღებაც გაიყო. იმ მყვირალა ავადმყოფისათვის ეშველათ თუ მობრუნებული „მიცვალებულისაკენ" გაეხედათ. უფალმა გვაპატიოს და, შეიქმნა ტრაგი-კომიკური სიტუაცია.

—აწი გეცოდინებათ ახალი მეთოდით მკურნალობა, —ხუმრობით მივმართე ექიმებს.

—მართლაც და რა საკვირველია, —მიპასუხებდნენ ისინი, —თქვენ იცით, რომ მთელი ათი დღეა, რაც მის მობრუნებას ვცდილობთ.

მეორე დღეს ეს „მიცვალებული" ავადმყოფი საწოლიდანაც ჩამოვიდა, დაჯდა სკამზე და ყველას ყურადღებით დაგვიწყო თვალიერება. მესამე დღეს კი იგი უკვე საკუთარი ფეხით გაიმართა იქით, საითაც ერთ დროს თავად დიდი მეფეებიც კი კადრულობდნენ სიარულს — ტუალეტისაკენ.

გაზ. „იმედი", №193, 30. 4. 79

**ეხმაურებიან წერილს**

**„გამიღეთ კარები! -წიგნის საუბარი"**

თქვენი გაზეთის მე-5 ნომერში (1978 წლის 1 თებერვალი) წავიკითხე წერილი „გამიღეთ კარები (წიგნის საუბარი)", რამაც ძალიან დამაფიქრა. გულახდილად რომ ვაღიაროთ, „წიგნის კარის" გასაღებად მართლაც-და ძნელი უოფილა გასაღების გამოძებნა. მაგრამ მე მაინც იმედს არ ვკარგავ. მწამს, რომ ჩვენს ქართველ ებრაელთა შორის მოიძებნებიან ისეთი ძალები, რომლებიც შესძლებენ ან ხელს შეუწყობენ ზოგიერთთა ჩაბნელებული უბნის განათებას.

ჯერ-ჯერობით კი გთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს წიგნის თავგადასავლიდან, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით გამახსენდა.

# 1. საბრალო დონ-კიხოტი

ის დღე განსაკუთრებით ცივი და სუსხიანი იყო. ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა. საყელოაწეულ პალტოებში შეფუთული ადამიანები მხრებში კისერჩარგულები მიიჩქაროდნენ შინისაკენ. მაგრამ მე როდი ვგრძნობდი სუსხს. კარგი წიგნის ძებნით გატაცებულმა აღფრთოვანებით შემოვიარე თბილისის წიგნის მაღაზიები. ბოლოს ბედმა გამიღიმა და ერთმა ნაცნობმა გამყიდველმა გამომიწოდა ჩემი საყვარელი წიგნი — სერვანტესის „დონ-კიხოტი", ახალი, დასურათებული გამოცემით.

სიხარულით ავირბინე თანაკლასელის ბინის ხის კიბე. შემომესმა მისი დაბადების დღის აღსანიშნავად შეკრებილი სტუმრების მხიარული სიცილ-კისკისი. ზარი დავრეკე. კარი გამიღეს, შემომეგებნენ. სახეგაბრწყინებულია ჩემი თანაკლასელი. მივულოცე. იღიმება. მეც გახარებული ვარ.

შესანიშნავად ვგრძნობდი თავს. რა გვიშლიდა ხელს? შევექცეოდით გემრიელ კერძებს, ნუგბარებს. ვხუმრობდით, ვიცინოდით, ვცეკვავდით, ვმღეროდით. მეტი რა უნდა ბავშვის გახარებას ასეთ დროს?

იკითხავთ, მაგრამ მერე რა მოხდა ისეთი? თითქოს-და არაფერი. მოხდა ჩემთვის. ბავშვის ფსიქიკის აღქმით, სუფრის გარშემო მსხდომი ეს „კეთილი" ადამიანები უცებ „გარდაიქმნენ" და დაუნდობელ ქმნილებებად მომეჩვენენ. ყველაფერი ჩამშხამდა...

დადგა სუფრის თავში არონ ბიძია და ხელისგულზე დადებული ვერცხლის ფართო თასი კარგი ილუზიონისტივით ასწია მაღლა. თან ომახიანად დაიწყო დაძახება: —თეთროს ბიუმა მოართვა ვერცხლის ექვსი ჭიქა. შოკოლადკამფეტას გოგომ — ვერცხლის ნახევარდუჟინი დანა-ჩანგალი. ფაშ-ფაშა

ესთერას ბიჭმა სამი მეტრო „სასაროჩკე“. კვაჭა-მორდეხას ბიჭმა ოქროს საათი. ლამაზ-ლამაზმა სონამ — ბროლის ლარნაკი. ასე მიჰყვა ბოლომდე, ვიდრე თასზე ძვირფასი საჩუქრების მთა არ აღიმართა.

ვზივარ საქციელ-წამხდარი. ვნატრობ, —ნეტავ ჩემი საჩუქარი არავის გაახსენდეს; გამორჩეთ მაინც, რა იქნება? მაგრამ როცა არონ ბიძიამ საჩუქრებით სავსე თასი დიასახლისს წასაღებად გადასცა და მეგონა, რომ გადავრჩი, უცებ ვიღაცამ მეორე ოთახიდან გამოარბენინა ჩემი „დონ-კიხოტი“.

—ბოდიში, ბატონებო! —დაიძახა არონ ბიძიამ და ჩემზე ხელით მონიშნებით თქვა, აი, ამან და ამან წიგნი მოართვაო.

„მოართვა წიგნი“!.. ამით მორჩა და გათავდა. მაგრამ წიგნს ხომ სათაური აქვს, ავტორი ჰყავს? ნურას უკაცრავად, არავითარი წიგნის სათაური არ იყო დასახელებული. ჰმ!!! იმ წუთებში დონ-კიხოტად მე ვიგრძენი თავი. ვიგრძენი და კიდეც შევნიშნე, როგორ წამოვიდა წვიმასავით ჩემსკენ შემბრალე და ქედმაღლური მზერის ისრები. მათ დამჩხვლიტეს, დამწვეს. ყველაზე მეტად დამსერა ილოს მეუღლის თავშეკავებულმა ღიმილმა და შეწყალების თვალით გადმოხედვამ. ჩემს პირდაპირ მჯდომი დებორას სიტყვებმა: —„რა ვუყოთ, მერე რაა? ის მოართვა, რაც ღმერთმა შეაძლებინა“, —მთლად გამანადგურა. ისეთი ჟრუანტელი, მაშინ რომ ამიტყდა, არ მახსოვს ჩემს ცხოვრებაში კიდევ დამმართოდეს.

და იმ დროს შემიპყრო მხოლოდ ერთადერთმა სურვილმა — გაქცევის სურვილმა. გაქცევა. მხოლოდ გაქცევა. ფიცი. მტკიცე ფიცი და მტკიცე გადაწყვეტილებაც, რომ აღარასოდეს შევდგა ფეხი ისეთ კარებში, სადაც წიგნი ვერცხლის დანა-ჩანგალზე ნაკლებად ფასობს და სადაც წიგნს დახშული აქვს კარები.

გაზ. „ნერგი“, № 11, 15. 3. 78

## 2. რა შუაშია პუშკინი?

დონ-კიხოტი რჩება დონ-კიხოტად. მეც კარგა გამოუსწორებელი თომა ვყოფილვარ. კიდევ ვერ ვისწავლე ჭკუა.

გზაზე ძველი ნაცნობი — სიმონიკა შემომხვდა. მისაყვედურა, რატომ ერთხელ არ მოხვალ ჩვენსას, არ დაგვათვალიერებ, მეტად ძვირფასი ოჯახი შევქმენითო.

—რატომაც არა, მოვალ. გვიან არასდროს არ არის, —ვუპასუხე რწფელად.

და მართლაც ცოტა ხნის შემდეგ დანაპირები შევასრულე. მესიამოვნა,

როცა მის კეთილმოწყობილ, ფართო ბინაში შევდგი ფეხი. მასპინძელმა მთელი ბინა შემომატარა, დამათვალიერებინა. სახლ-კარი სავსე იყო ყოველ-გვარი სიკეთით. არაფერი აკლდა. აკლდა კი არა, ყოველი კუთხე გაჭედილი იყო ძვირფასი საგნებით. ბოლოს ჩამოვჯექით და საუბარი განვაგრძეთ.

—რას იტყვი, ჰა, როგორია ჩემი მოწყობილი ოჯახი? —სიამოვნების შეგრძნებით მეკითხება მასპინძელი.

—დიდებულია ყველაფერი, ჩინებულია. ღმერთმა სულ სიხარული და ბედნი-ერება მოგანიჭოს ამ ჭერქვეშ! —მასპინძელი გულწრფელად დავლოცე. მაგრამ თუ შეფასებაზე წავიდა საქმე, მაშინ უნდა თქვა სიმართლე, თუ ერთგული ხარ. ამას კი გამბედაობა უნდა. მე ვგრძნობ რაც აკლია მის ბინას, მაგრამ განა შეიძლება აწყენინო ადამიანს, რომელსაც ვინ იცის რამდენი უშრომია, ჯაფა გაუწევია, რომ ყველა ეს ნივთი შეეძინა და თავის სახლ-კარში მოეზიდა? როგორ მოგიტრიალდება ენა და ეტყვი ადამიანს, რომ შენს მდიდრულად მოწყობილ ოჯახში არ იგრძნობა ესთეტიკა! თუნდაც, მაგალითად, აი, იმ მუსიკალურ ინსტრუმენტზე — პიანინოზე შეგიძლია მიუთითო შენს სიმონიკა-მეგობარს?! აგერ, თითქოს თვითონ ინსტრუმენტი გეხვეწება: „ამოდენა ფუფუ-ნების საგნები თავზე რომ დამილაგე, როგორ გამოვცე ხმა? ასეთი სიმძიმის გამო ხომ დავჩლუნგდები? გთხოვ გამანთავისუფლე!“ —მაგრამ არა — პიანი-ნოს „თხოვნის“ გადასაცემად მე არ მეყო სითამამე. გაჩუმება ვარჩიე.

შუშაბანდიდან შემოსულმა მზის სხივმა მიმიზიდა და რატომღაც მომინდა იქ გასვლა.

—ო, რა შესანიშნავია ეს ფართო აივანი! —შევნიშნე გასვლისთანავე, —ბავშ-ვები აქ ალბათ თავისუფლად ნავარდობენ.

—კი, მართლაც კარგია, —მომიგო მასპინძელმა.

—იცი რა, ჩემო სიმონ, —მივმართე უნებურად, —ამ ნათელ და მზიან შუშაბანდში გაუღე ბუნებას კარი. თუნდაც იმ მზიან კუთხეში დააწყე ქოთნები ლამაზი ყვავილებით.

—ოო, ეგ არ გააგონო ჩემს ოჯახობას, —გაღიმებით მიპასუხა მასპინძელმა, —ასეთი რამეები მას არ უყვარს. და მართლაც ეგ ხომ გოიმების საქმეა, და ისეთების, ვისაც ისეთი რამეები არ უნახავთ, რაც მე გამაჩნია.

ასეთმა პასუხმა თითქოს ბიძგი მომცა და წათამამებულმა შევნიშნე:

—მაგრამ წიგნები?! წიგნები სადღა გაქვს? მე ვერ დავინახე შენს ძვირფას ოჯახში ვერც ერთი წიგნი!

—წიგნები? რის წიგნები? ხო, მართლა. ბავშვები დაბლა სწავლობენ და იქ უჯრაში უწყვიათ, —მომიგო სიმონმა და ცოტა დაყოვნების შემდეგ, თით-ქოს-და ბოდიშობსო, მიმართა იქვე მდგომ თავის 13-14 წლის გოგონას:

—წადი, შვილიკო, ციალა, მამიკო გენაცვალოს, დეიდას აინტერესებს, ამ-ოუტანე და უჩვენე ის წიგნი, ამას წინათ სკოლაში რომ დაგაჯილდოვეს.

და ცოტა ხნის შემდეგ ციალამ გამომიწოდა ვაჟა-ფშაველას კრებული —

ყდამოგლეჯილი, დაჩხაპნილი.

—რატომ, რატომ შემოგიგლეჯია, ჩემო ციალა, ყდა, —ვცადე დარიგება, —წიგნს, და მით უმეტეს საჩუქარს, ფაქიზად უნდა მოპყრობა!

—ეჰე, —ახლა საუბარში იქვე მდგომი სიმონიკას მეუღლე ეთერა ჩაერია, —ეგ მაგას სულაც არ უშლის ხელს. ისე იხარე, როგორც მაგას ბევრი მთხოვნელი ჰყავს; ისე მაწუხებენ, რომ ალბათ მალეც გათხოვდება. მალე პატრონს ჩავაბარებ და რაღა აზრი აქვს ბევრი წიგნების კითხვას?

—იმისათვის, რომ დღეს ბავშვის გაზრდას განათლებული დედა სჭირდება; რომ ქალი საზოგადოებაში პირუტყვივით არ გამოიყურებოდეს; რომ ის ცხოვრებაში ყოველი შემთხვევისათვის მომზადებული იყოს; რომ მასზე მეუღლემ მალე გული არ აიცრუოს, როცა ის თავის სამსახურში განათლებულ ქალს შეხვდება; და ბოლოს თუნდაც იმიტომ, რომ წიგნი ადამიანისათვის განუყრელი მეგობარიაო, უთქვამთ, —მოვიმართე ჩემებურად, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემს დიდაქტიკურ სიტყვებს არავითარი დამარწმუნებელი ძალა არ გააჩნიათ მათზე. სიმონიკას მეუღლის — ეთერიკოს თვალებში თავდაჯერებულობა და ცოტა დაცინვაც კი ამოვიკითხე.

—კი მართალი ხარ, მაგრამ, —დასძენს ეთერი, —მაგალითად, თუ შენ იმდენი გიკითხია პუშკინი, რა მოიგე ცხოვრებაში, გამდიდრდი, გასუქდი თუ გაბედნიერდი?

—აი, მაგაში კი მართალი ხართ, ჩემო ეთერიკო! მართლაც, რომ მე არც გავმდიდრებულვარ და არც გავსუქებულვარ! ––გულიანად გამეცინა და ისე ვუპასუხე. მერე მზერა ლაქვარდოვან ცისკენ გამექვა, თითქოს იქ უნდა მეპოვნა პასუხი. შემდეგ განვაგრძე: —მაგრამ რა შუაშია პუშკინი?! მე მგონია, რომ ალექსანდრე პუშკინი აქ არაფერ შუაშია.

ასე დავუსვი წერტილი ამ საჩოთირო საუბარს.

გაზ. „ნერგი“, № 12, 22. 3. 78

## სხვისი ტვინით

30-იან წლებში მთელი კაპიტალისტური სამყარო ეკონომიურმა კრიზისმა მოიცვა.

მხოლოდ პარიზელებს როდი უყვართ ელისეის ველები...

ვის არ შეხვდებით აქ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის შვილებსა თუ ოკეანის იქითა მხრიდან მოსულ უცხოელებს.

ელისეის ველის ხეივნებს შორის, მყუდრო ადგილას, მოჩრდილულ სკამზე ჩამომჯდარიყო სანდომიანი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი. მას სახელად

მორისი ერქვა. წარმოშობით ევროპელი ებრაელი. სად არ იყო მორისი, ევროპის რომელი ქალაქი არ მოიარა სამუშაოს საძებნელად, მაგრამ სულ ამაოდ! ვერსად ვერავითარი სამსახური ვერ აღმოაჩინა. დაღლილ-დაქანცულს ქუდი წარბებზე ჩამოეწია და მალე თვალებზე რულიც მოეკიდა. გარინდული და თავდავიწყებაში წასული მორისი ყურადღებას არ აქცევდა ელისეის ველის ბუნების მომაჯადოებელ სილამაზეს, ჩიტების ჟღურტულს და მოსეირნეთა შნოიან გავლა-გამოვლას.

თავდაპირველად მორისმა ისიც კი ვერ შეამჩნია, რომ მის სკამზე შორიახლოს დამჯდარიყო ხნიერი უცხო მამაკაცი. პატარა ხანს ამ ორ უცხო ადამიანს შორის მდუმარება სუფევდა. ბოლოს უცხო მამაკაცი ცნობისმოყვარეობით გამოელაპარაკა მორისს. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, საუბარი უმნიშვნელო საკითხებით დაიწყო...

—პროფესორი ჯეიმს მილერი! —წარუდგინა უცხომ თავისი თავი მორისს. ახლადგაცნობილი პროფესიით ნეიროქირურგი-ფიზიოლოგი აღმოჩნდა. მისი გადმოცემით იგი ევროპაში ტურისტად იმყოფება, ცხოვრობს ჩიკაგოში, აქვს ფეშენებლური ვილა და კლინიკა. რამდენიმე წლის წინ დაქვრივდა და ახლა ცხოვრობს ერთადერთ ვაჟიშვილ ბობისთან ერთად.

თავის მხრივ პროფესორმა შეიტყო მორისის გასაჭირი. მალე მისმა დაკვირვებულმა თვალმა და გამჭრიახმა აზრმა შენიშნა, რომ მორისი იშვიათი ნიჭისა და ერუდიციის პატრონი იყო. იმავე დროს დიდი ენერგიის მქონე და მონდომებული. მისი ბრალი როდი იყო თუ იგი უმუშევრად დაიარებოდა. ეს ხომ იმ პერიოდში საერთო სენით — ეკონომიური კრიზისით და მასან დაკავშირებული უმუშევრობით იყო გამოწვეული. პროფესორი, შეწუხებული მორისის მდგომარეობით, იჩენს დიდ გულისხმიერებას.

—ჯერ კიდევ გვიან არ არის, —აიმედებს პროფესორი, —მზად ვარ დაგეხმარო. რა გინდა ევროპაში? წამომყევი თან! გთავაზობ ჩემს ბინას და ულუფას იმ დრომდე, სანამ სამუშაო მოიძებნებოდეს. რამდენ ხანს გასტანს მოლოდინი, არ ვიცი, მაგრამ გპირდები ყოველგვარ დახმარებას, რათა სამუშაოზე მოეწყო.

ამერიკელის გულისხმიერებამ, მისმა თბილმა სიტყვებმა გული გაუთბო იმედგაცრუებულ ახალგაზრდას; თავბრუ დაახვია პროფესორის მიერ შეთავაზებულმა პირობებმა და მორისიც დათანხმდა.

გაჰყვა მორისი ჯეიმს მილერს ამერიკაში. პროფესორის ვილა განმარტოებით იდგა ჩიკაგოს პერიფერიაზე. მორისი აღტაცებაში მოიყვანა მწვანეში ჩაფლულმა კეთილნაშენმა თეთრმა სახლმა. მაგრამ ბობი, პროფესორის ვაჟი, სტუმარს რატომღაც ცივად შეხვდა. მოცვეთილტანსაცმლიანი ახალგაზრდა მას თვალში არ მოუვიდა. სამაგიეროდ, პროფესორის მითითებით, მსახურთა პერსონალი მას დიდ ყურადღებას აქცევდა. გადიოდა დრო. მორისი კომფორტულ პირობებში ცხოვრობდა. სამუშაოს მოლოდინში მას ყველაფერი

ხიბლავდა. თავად ახლადშეძენილი მფარველი პროფესორი ჯეიმს მილერი ყოვლის შემძლე ადამიანად ესახებოდა.

გაიარა სავარაუდო დრომ. კვირა კვირას მისდევდა და თვე თვეს. მდგომარეობა მორისის ახალ ცხოვრებაში უცხო კონტინენტზე უცვლელი რჩებოდა და თავისდა უნებურად უცებ წაუხდა განწყობილება. მალე სევდამაც მოიცვა.

—როდემდის? —ეკითხება მორისი თავის თავს და ამ კითხვას მერამდენედ იმეორებს. ცოდნით და უნარით სავსე ახალგაზრდა, თუ დიდხანს უმოქმედოდ იქნება, ის მალე დაჩლუნგდება, დეგრადაციამდე მივა. როდემდის უნდა ჭამოს სხვისი პური და იძინოს უცხოს სასთუმალზე?! ეს ხომ მისი თვისება არ არის. მალე ის პროფესორის შვილს ბობის დაემსგავსება, ყოვლად უქნარას, უსარგებლოს და ქარაფშუტას. პარაზიტი ბობი თვითონ არაფრის შემქმნელია. ის მხოლოდ მამის დოვლათის მფლანგველია. პროფესორის შვილი ვერ გახდება მამის ცოდნის და სპეციალობის გამგრძელებელი. მამის სიკვდილის შემდეგ უღირსი მემკვიდრე მალე გაანიავებს ყველაფერს. მორისმა გადაწყვიტა რაც შეიძლება მალე გაეცალოს პროფესორს და დროზე უშველოს თავის თავს. რაკიღა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, უცებ შვებაც იგრძნო და კაეშანიც გადაეყარა.

—თქვენ დამპირდით დახმარებას, მაგრამ დღემდე არაფერი შემოგითავაზებიათ, —დინჯად, მაგრამ მტიცე ტონით მიმართა მორისმა პროფესორს, —მე დიდად მადლობელი ვარ თქვენი უხვი მასპინძლობისათვის, მაგრამ ვარ იძულებული დაგტოვოთ და ჩემი ბედი მე თვითონ ვცადო.

—მაშ კარგი, იყოს თქვენი ნება, ჩემო მორის! ოღონდ ერთი-ორი დღეც მადროვე და თუ კიდევ ვერაფერი შევძელი, მოიქეცი ისე, როგორც გიჯობდეს, —უპასუხა მასპინძელმა.

და როდესაც ის ორი დღეც მიიწურა, შუაღამისას გადაწყდა მორისის ბედიც...

იმ საბედისწერო ღამეს პროფეორის სახლში რატომღაც ყველა უცნაურად ღრმა ძილს მოეცვა. არ ეძინა მარტო ჯეიმს მილერს. მისი ვილა სიბნელეში ჩაფლულიყო. მარტო ჰერმეტულად დახურულ პროფესორის საოპერაციო კაბინეტში ნეონის ნათურები ღაჟღაჟებდნენ. თეთრ ხალათში გახვეული პროფესორი, საოპერაციო ინსტრუმენტებით ხელში ორ საოპერაციო მაგიდას შორის ტრიალებდა. ერთ-ერთ მაგიდაზე პირაღმა იწვა დაძინებული მისი ვაჟი ბობი, ხოლო მეორე ისეთსავე მაგიდაზე — იმავე მდგომარეობაში მყოფი, იწვა მორისი.

ეს არ იყო საექსპერიმენტო ცდები.

პროფესორი ატარებდა მეტად საპასუხისმგებლო ოპერაციას და ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თავის ნააზრევის განხორციელებას მოჰყვებოდა მისთვის სასურველი შედეგები.

ორივე პაციენტზე პროფესორს უკვე გაეჭრა თავის უკანა მხარე ძირში, კინჩხთან. ორივეს ამოაცალა მოგრძო ტვინი. მორისის ტვინი ჩაუდო თავის ვაჟიშვილს, ხოლო ამ უკანასკნელის ტვინი ჩაუდო მორისს. ნაოპერაციევი ადგილები სწრაფად გაკერა და ოპერაციაც დამთავრებული იყო. თითოეული მათგანი ბორბლებიანი მაგიდით გაიყვანა თავთავიანთ საძინებელ ოთახებში. საოპერაციო ოთახი მიალაგ-მოალაგა, ყველაფერი მოაწესრიგა. ვინაიდან გათენებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, პროფესორი ტანსაცმელგაუხდელად მიწვა. ალბათ ღამის დაძაბულმა მუშაობამ და დაღლილობამ თავისი გაიტანა და ღრმა ძილმა წასტყუა თავი...

მეორე დღეს უკვე გვიანი დილა იყო, როცა რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა. კარგად ვერ გარკვეულიყო რა ხდებოდა მის გარშემო. თვალები ხელით მოიფშვნიტა. ხედავს, მისი ვაჟი ბობი ოთახის ღია კარებში მორისის ჩემოდნით ხელში ჩამდგარიყო და მოღუშული სახით მას მიმართავდა:

—მე ვტოვებ თქვენს სახლს. მივდივარ ჩემი ბედის ანაბარა. მადლობელი ვარ თქვენი პურ-მარილისათვის, მაგრამ... თქვენთან მე დავკარგე ძვირფასი დრო. —ამ სიტყვებთან ერთად ის პირდაპირ ბინის გასასვლელ კარისკენ გაემართა.

პროფესორი თავის თვალსა და ყურს არ უჯერებდა. თავი ისევ ძილში ეგონა. თავში ცალი ხელი შემოირტყა გამოსაფხიზებლად, ხომ არაფერი მეჩვენებაო, —ფიქრობს და ვიდრე გონს მოვიდოდა, მისი ვაჟიშვილი მორისის ტვინით არა მარტო თვალს მიეფარა, არამედ სახლიდან გასული ის სწრაფი ნაბიჯით გაემართა უცნობი მომავლისაკენ.

თითქოს რაღაცას ეძებსო, პროფესორმა მიმოიხედა თავის ბინაში. როცა სასაუზმეში შეაღო კარი, ხედავს, რომ მორისი — მისი სტუმარი, უკვე ბობის მოგრძო ტვინით აღჭურვილ თავში, მომღიმარი სახით, როგორც მის შვილს ახასიათებდა ხოლმე, იჯდა სასაუზმე მაგიდასთან და უდარდელად შეექცეოდა უხვ ულუფას.

—ოლ რაიტ! დილა მშვიდობისა, მამავ, —მიმართა მორისმა სასაუზმეში შესულ პროფესორს, —როგორ გიკითხოთ?

თავზარდაცემულმა პროფესორმა მილერმა ორივე ხელი შემოირტყა თავზე.

(ჩაწერილია ჰროფ. ნამორაძის მიერ
40-იან წლებში მონათხრობის მიხედვით).

ჟურნ. „დროშა“, № 44 (1988 წ.)

# შინაარსი

## პოლინა ბააზოვი

## ფურცლები წარსულიდან


წინასიტყვის მაგიერ ..... 7
ბელორუსული სურათები ..... 9
ჩვენი საოჯახო ფოტოსურათი ..... 16
იერუსალიმის შესახვევი ..... 19
საშინაო სურათები ..... 22
სცენისმოყვარეთა ცხოვრება ..... 28
პირველი ზარი ..... 32
თბილისის ქართველ ებრაელთა შრომის სკოლის პიონერული რაზმი 34
აქლემები ჩვენს ქუჩაზე ..... 36
„ძაძი კნუტ, ძაძი კნუტ...“ ..... 36
„ვის გინახავთ ჩემი სულელი და?“ ..... 37
ჰუმანური მამა ..... 39
მამა, გერცელი – როგორც აღმზრდელები და მათი ხასიათი ..... 40
102-ე შრომის სკოლის პედაგოგები და მასწავლებლები ..... 42
სხვათა მოგონებები ახალგაზრდა დავიდ ბააზოვზე ..... 49
ქალთა კრება ..... 49
როგორ გადაურჩა ჩამოხრჩობას ადიდებულ ლიახვში ..... 52
ებრაელებს ეკრძალებათ ჰარასკევს ეიდვა ..... 53
თავისა და ხალხის დახსნა „მხსნელი არმიისაგან“ ..... 54
ყუთში ჩალაგებული ტანსაცმელი ..... 56
ქაშერი ღვინო ..... 56
„ქარმელიდან“ – „ახალ გზამდე“ ..... 57
ელო ძია ..... 59
ადამიანის ბედ-იღბალი გარდუვალიაო ..... 61
ჩემი თაობის ლამაზმანი მანდილოსნები ..... 65
შამაში მოშეს ოჯახი ..... 66
შულმანები ..... 69

მალქიელ იეგისკელაშვილის ტრაგიკული დაღუპვა ..... 71
გერასიმენკოს ოჯახი ..... 72
სეით დევდარიანი ..... 74
ჩვენი სტუმარი სოლომონ მიხოელსი ..... 79
შოვიდან მოსკოვში ..... 80
ი. ბიხოვი ..... 84
უდღეური მემუარები ..... 86
შავადმოსაგონარი 40-იანი წლები ..... 88
ხაშურში ..... 103
მამაჩემის დაბრუნება გადასახლებიდან ..... 107
„სტალინური მადლობა“ ..... 111
მამა ლიაქში ..... 112
რივა და მე ..... 120
იცხაკა ..... 127
ჩემი მამიდები ..... 128
ბიძაჩემი შელომო ..... 131
რაბინი კუპჩანი ..... 133
რაბი ყიმანუელ დავითაშვილი ..... 135
თბილისის ებრაელობა და აკივა ბარ-მოშე ..... 136
ახალციხელ ებრაელთა სალოცავი თბილისში ..... 140
ზოგი რამ რაბინ დავიდ ბააზოვის
სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდიდან ..... 144
1947 წელი. ზაფხული-შემოდგომა ..... 144
გრომიკო ..... 147
სტომატოლოგი ხაკკევიჩი ..... 151
ისევ ციხეში – ამჯერად ძმები ..... 153
მეირი ..... 153
ხაიმი ..... 156
ჩემი სტუდენტობის ბოლო პერიოდი ..... 159
დიპლომით ხელში ..... 161
„მოღალატე ექიმების“ საქმე ..... 162
ვითარება იცვლება ..... 164
საიუბილეო სამზადისი ..... 171
გააძევეს სასიძო კაცი ..... 179
ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება
ახალგაზრდა ქართველ ებრაელთა შორის 60-70-იან წლებში ..... 181
საუბარი შალვა ბებერაშვილთან ..... 182
საუბარი ბორის ჩაჩანაშვილთან ..... 183
საუბარი იცხაკ დავიდთან ..... 184
„შლოშიმი“ ..... 187

სოსო ..... 196
ისტორიულ სამშობლოში ..... 200
ქიფურის დღის ომი ..... 202
ფესახის დღესასწაული ბეით-ბროდეცკიში ..... 204
აღთქმა ..... 206
1976 წელი. იუბილე ..... 209
პრეზიდენტ ეფრაიმ კაცირთან ..... 215
ჩემი ფესახობა ისრაელში ..... 223
ჩვენი მეორე თაობა ..... 224
ბოლოსიტყვა ..... 231

# რაბინი დავიდ ბააზოვი

დავიდ ბააზოვი
მენახემ უსიშკინს ..... 242
ბერშონ მეგრელიშვილი
სიონიზმის საწყისებთან საქართველოში ..... 245
რაბი იცხაკ მამისთვალოვი
დავით ბააზოვი ცხინვალში ..... 253
შ. ხ. შლომო შვილი
წმიდა ქვეყანაში ..... 255
მორდეხ ელიაშვილი
მოგონება დავიდ ბააზოვზე ..... 258
ჰოლინა ბააზოვი
საუბარი მორდეხ ბინიაშვილთან ..... 258
შიმეონ ხახიაშვილი
მოგონება ..... 261
არიე რ. ცინციპერი
სიონიზმი კავკასიაში ..... 263
იოსეფ ბენ-იონათანი
ჩემი მოგონებანი რაბი დავიდ ბააზოვზე ..... 265
იოსებ ყვითელაშვილი
მოგონება რაბი დავიდ ბააზოვზე ..... 265
იაკობ ჩიკვაშვილი, მზია მამისთვალოვი
ერთი საღამო გორელაშვილების ოჯახში ..... 267

იაკობ ჩიკვაშვილი, მზია მამისთვალოვი
აქოშვილების ოჯახში ..... 268
სიმონ ბათოშვილი
როგორ გადაარჩინა რაბი დავით ბააზოვმა
აწყურის ებრაელობა დახვრეტისაგან ..... 272
როზა ჯორელაშვილი
მზადება ერეც-ისრაელისათვის ..... 274
დავით კაჟილოტი
დავით ბააზოვის დარიგებითა და კურთხევით ..... 274
რონი მიხელაშვილი
იჩქარეთ, იჩქარეთ სალოცავში ..... 277
გერშონ წიწუაშვილ
რაბი დავიდ ბააზოვი ..... 279
მ. ქავთარაძე
დავით და გერცელ ბააზოვები ..... 290
შალვა ბებერი (ბებერაშვილი)
რუსეთის სიონისტთა წერილები
დავით ბააზოვის მოღვაწეობის შესახებ ..... 291
ჰოლინა ბააზოვი
მამა ისეთი, როგორიც მე მახსოვსანუ როგორ იბრძოდა დავიდ
ბააზოვი ებრაული რელიგიის სიწმინდის შენარჩუნებისათვის ..... 296
იოსებ კრიხელი
დავიდ და გერცელ ბააზოვებს ..... 300
თამარ კეზერაშვილი
უკვდავებაში გადასული სიცოცხლე ..... 302
თემურ იოსებაშვილი
ერის მოამაგენი ..... 308
რუთ ელიეზერი
ებრაელი ხალხი თავის გმირებს უნდა იცნობდეს ..... 312
დ. შალელაშვილი, ა. მამისთვალოვი
ბააზოვების ხსოვნის უკვდავსაყოფად ..... 315
გაზ. „იმედი“
დავიდ და გერცელ ბააზოვების ხსოვნის საღამო ..... 319
გოლდა მეირის სიტყვა ..... 322
„საქართველოს რესპუბლიკა“
იქ, სადაც დავით ბააზოვი ცხოვრობდა ..... 324

# გერცელი


გერცელ ბააზოვი
იუდეველი ..... 328
„მარადი მგზავრის“ მონოლოგიდან ..... 330
დინა დავარაშვილი
გერცელის სურათთან ..... 332
ისაკ მეგრელიშვილი
გერცელ ბააზოვის ქუჩაზე თელ-ავივში ..... 334
ისახარ იაკობაშვილი
გერცელ ბააზოვს ..... 335
ფანია ბააზოვი
გერცელ ბააზოვი ..... 336
ჰოლინა ბააზოვი
კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა 20-იან წლებში ..... 338
ფანია ბააზოვი
„მაქაბი“ საქართველოში ..... 348
ლატავრა შანშიაშვილი
მეგობრების არდავიწყება (სანდრო შანშიაშვილის არქივიდან) ..... 353
იაკობ ჩიკვაშვილი, მზია მამისთვალოვი
ინტერვიუ ისტორიკოს ილია პაპისმედოვთან ..... 355
ესთერ თეთრუაშვილი
სკოლა ივრითზე თბილისში ..... 356
სიმა ჯორელაშვილი
მოგონება ..... 359
მზია მამისთვალოვი, იაკობ ჩიკვაშვილი
ჩვენი ესთერი ..... 361
დოდო ანთაძე
„კადიმა“ ..... 364
ჰროფ. ს. ჯორბენაძე
გერცელ ბააზოვი – ადვოკატი ..... 367
მორდეხ (მორის) დანიელოვი
ჩემო პაშა! ..... 369
მოტკე მამისთვალოვი
მართალი მხატვარი ..... 373

ბეკლარ ხიტიბაშვილი
გახსენება ..... 375
„საქართველოს რესპუბლიკა“
მწერლის სახელის უკვდავსაყოფად ..... 377
„ლიტერატურული საქართველო“
უკვდავყოფა ..... 379
თამაზ წივწივაძე
თუ დაგივიწყო შენ, გერცელ ბააზოვ!.. ..... 380
„ხელოვნება“
„გერცელ ბააზოვი“ ..... 381

## ხაიმი

შალვა ხანანაშვილი
ხაიმ ბააზოვის შესახებ ..... 386
ხაიმ ბააზოვი
სალამი ჩემო ფანია! ..... 387
სალამი და კარგად ყოფნა მამას, ფანიას და პაშას! ..... 389

## ფანია

ფანია ბააზოვი
ზეიმი ..... 392
ჰოლინა ბააზოვი
სიმანა მელამედი ..... 394
ფანი თეატრში? ..... 395
თამარ ხიტიბაშვილი
ერთი ეპიზოდი ძვირფასი ფანის შესახებ ..... 396
„საბჭოთა სამართალი“
ადვოკატი ..... 398
დანიელ შალელაშვილი
ერთად თუ ცალ-ცალკე? ..... 400
ეოლდა მეირი
პატ. ქ-ნ ბააზოვ ფანიას ..... 402
მიხეილ ხახიაშვილი
სალამი ქალბატონ ფანია დავითოვნას და პოლინა დავითოვნას ..... 403

დანიელ შალელაშვილი
ქართველ ებრაელთა დიდი დღე ..... 404
ჰოლინა ბააზოვი
გადაჭრილი ხე ..... 408
გაზ. „სამშობლო“
ფანია ბააზოვი ..... 410
სამძიმრის დეპეშები ..... 411
გაზ. „სამშობლო“
დაობლებულან თემის შვილები ..... 411
იცხაკ დავიდი
ფანია ბააზოვის გარდაცვალება ..... 415
მოშე დანიელოვი
ფანია-ფენია! ..... 418
ეთერ ფიჩხაძე
ჩვენი ფანია ..... 419
რომან იაკობაშვილი
გვარის უკვდავება ..... 421
გერშონ მეგრელიშვილი
ფანია ბააზოვი ..... 422
დავით აჯიაშვილი
რა მარტოდ რჩება ჩემი თაობა ..... 423
დავიდა კროლი
დედოფალი აღარა გვყავს ..... 425
შალვა ციციონი
სულიერი დედა ..... 427
მიშა ჯანაშვილი
ღამეთეული ..... 428
გერცელ ჩაჩაშვილი
ძვირფასო ქალბატონო პოლინა! ..... 429
ფანია ბააზოვი
სახლი კავკასიონის ფერდობზე ..... 431
ახალციხეში ..... 435
კეთროვანნი ..... 438
ტანკები ბავშვების წინააღმდეგ ..... 460
ქართველი ებრაელები ისრაელში ..... 473

# მეირი


კრ. ჰრეიგერზონი
დღიურები ..... 486
ნეკროლოგი
მეირ დავითის ძე ბააზოვი ..... 49ძ
ჰოლინა ბააზოვი
მეირის ხსოვნას ..... 494
მეირ ბააზოვი
სალამი ჩემო ფანია, სალამი ჩემო პაშა ..... 497


# პოლინა


რის კამფეტი, რა კამფეტი? შარზე ხაარ?! ..... 503
დამნაშავეა შავი თვალები ..... 506
მარჩიელობა ვერიჩკასებურად ..... 511
ბოდიში ვერიჩკასებურად ..... 515
საბედისწერო მუთაქა ..... 517
მოსკოვ-რიგის მატარებელში ..... 519
დაიტირეს უცხო კაცი ..... 522
თელ-ავივის თახანა მერქაზითი ..... 524
ინფლაცია და ბარაქა ..... 527
ჯანუმ-ხანუმი ..... 530
ქნესეთის წევრი ხანუმა ..... 532
კონტრასტული სურათები ..... 534
ჩვენებური სურათები ..... 536
ბნელ ღამეში ..... 539
მომაკვდავი ..... 542
საბრალო დონ-კიხოტი ..... 544
რა შუაშია პუშკინი? ..... 545
სხვისი ტვინით ..... 547

# פולינה באזוב וספרה

"בא לארצנו הרב הגדול דוד באזוב מקוקז.

שם בלתי נודע לרבים לעת עתה, עומד להיות מפורסם בעתיד הקרוב ושם הסטורי בעתיד הרחוק".

צעיר הוא — מבשר הציונות בגורגיה, הרב דוד באזוב — בן 24 הוא, כאשר שורות הנבואה האלה רואות אור בעיתון הירושלמי "חבצלת" בשנת 1908. ואכן הלך שמו לפניו והתפרסם לגדולה, לכבוד ולהערכה זכו גם בניו, אותם גידל ברוח הציונות, הרצל בכורו — הסופר הידוע לימים, המשפטנים חיים ופניה והמהנדס מאיר — ציוני נלהב ומפורסם.

וכעת, הבת הצעירה פולינה מציגה לנו יריעה רחבה וסגונית של החיים הסוערים והטרגיים שלהם, החיים שהוקדשו למאבק אדיר למען העם.

לכל אחד מהם פרק משלו ובו זכרונות ותעודות רב גוניות עליהם. מאחר סיפוריה התוסיסים של פולינה זה מבליט ומחיי את דמותם.

פולינה באזוב נולדה בעיר תביליסי, בשכונה היהודית והיא מציירת תמונה צבעונית ותוסיסת של הווית השכונה; היא גדלה במשפחה ציונית והספר מפגיש אותנו עם רבים מנציגיה החשובים של הציונות בגורגיה ומחוצה לה; למשפחה היו קשרים אמיצים עם אישי תרבות גורגיים, ומעל דפי הספר בולטים שמם ודמותם.

אחרי ילדות מפונקת־מה התאכזרו החיים אליה, אך סקרנותה ועקשנותה גברה על מכשולים עצומים והיא הצליחה לרכוש השכלה גבוהה ואפילו השיגה את עבודתה במקצועה, אם כי אחר שנים של טלטולים וטרטורים כיאה ל"בת משפחת אויבי עם". רושם עז עלינו מסיפורי יסוריה ויחד אתה אִנו עוברים בדרכים הטרגיות האלה שהיו מנת חלקם של רבים מאד.

למרות סבלותה הרבות לא נפגמה סקרנותה ולא כהו עיניה לראות דברים ופולינה באזוב במריחות קלות של הצבעים מציירת דמויות מענינות מסביבתה היהודית. הרישומים ההומוריסטיים התפרסמו בישראל בשפה הגורגית אחר עליתה ארצה.

דרך סיפור חייה, בתוספת זכרונות רבים ומגוונים של אחרים, מסמכים אותנטיים וצילומים מקוריים שחלקם מתפרסמים לראשונה, מוצגות לפנינו תמונות דרמטיות מחייה יהדות גורגיה משחר הציונות עד עליתם ארצה וגם אחריה.